


180
1986


ISSN 0134-9848

1986/6

სეზონი

ქართული
ზოგადი განათლების
საბჭოთა სკოლის
საგანმანათლებლო
და მეთოდური
საქმის





ლმანო. მახვილიანი მუხვიანები



ზინაარსი

ალგამი კაშიუ. შავი-ჭირი. რომანი. დახასრული. ფრანგულიდან თარგმნა ნესტან იორდანიშვილმა	8
ზარლ გოდლერი. სონეტები. ფრანგულიდან თარგმნა სიბილა გელაძემ	81
ედგარ ალან პო. უორანი. თარგმნა ჭემალ ინჯიამ	84
მაგალინა სიზოვა. „უშპით და ცეცხლის ალით“. თარგმნა დავით იუკურიძემ	87
მანან-ინგუზუხათის კოეტიკი. ლექსები. თარგმნა ხეთისო წიკლაურმა	151
ალი ისაევ-აპარსკი. ლექსები. თარგმნა ირაკლი არაბულმა	153
დოროთი პარკერი. მოთხრობები. ინგლისურიდან თარგმნა თამარ ფხაკაძემ	156
ფრანს ბრილპარცერი. ოპროს საფრისი. პიესა. გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა	168
პარკის სურენიანი. ნატვრა. თარგმნა არჩილ დავითიანმა	182
ედვარდ რაქინსკი. ნერონისა და ხენცეას უამინდელი თეატრი	193
ფელიქს კრივინი. მოგზაურობა საბანთა ქვეყანაში. თარგმნა ვაჟა უზუბუხიძემ	226

წერილები

ანდრეი ვოუენახენსკი. მე თოთხებიტი ფლისა ვარ. თარგმნა ჭუმბერ თითმერიაშ	257
გიორგი ნოდია. თაგაში და უტოკია	276
ლეილა თათრუაშვილი. ზოგი რამ ტიპოლოგიური კვლევის შესახებ ლიტერატურაში	295
ნინო ნახუცრიშვილი-ბაქანიძე. იუვენდუტილი და რაინდო მარია რილკის აღრეული პროზა	299
ცინული კვლივიძე. თანამედროვე აფრიკული თეატრი	305
როზე პახერონი. თავისი ეპოქის მოწვე. თარგმნა ეთერ ყურაშვილმა	309

საქართველოს მწიკაღტა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი
მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
მთავარი სარედაქციო კოლეგია



მთავარი რედაქტორი:

მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია:

ელზა ახვლედიანი
ჯეჟალ აჯინაშვილი
გიორგი ბაქანიძე
მზია ბაქრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
ბურამ გოგიაშვილი

ნანა დარჩია (პ. მგ. მდივანი).

მაგალი თოღუა
ნოდარ ქაქაბაძე
ზურაბ კიქნაძე
ვახუშტი კობახიშვილი
რომან მიჰინოშვილი
გიორგი ნიჰინიანიძე
ოთარ ნოდია
დალი ზაქიკიძე
რუსუდან ქეგულაძე
იორამ ქეჰერტელიძე
ნიკო ყიასაშვილი
გივი შანაზარი
გივი ქნელაძე
დავით წარადიანი
ნუგზარ წარათელი
თამაზ წიჰვივაძე

რაზო ჭიჰვილი (მთ. რედ. მოადგილე)

გარეკანზე: ონორა დომი. მრეცხავი კალი

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი
გამომშეები ნანა ბართია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

საღრ. თ. 24,84 სასტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,7, ტირ. 10 000, შეკვ. № 2271
გად. წარმ. 3.10.86 წ., ხელმოწ., დასაბეჭდად 21.12.86 წ., ქალაღლის ზომა 70X108^{1/16}
ფასი 1 მან. 60 კაპ.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14



რომანი

ურანგულიდან თარგმნა ნესტან იორდანიშვილმა

18847

III

ერთი სიტყვით, მრავალი კვირის განმავლობაში შავი ჭირის ტუსალები თავს როგორადაც კი შეეძლოთ, ისე იცავდნენ. ზოგიერთმა მათგანმა, რამბერისა არ იყოს, კიდევაც ირწმუნა, ჯერ კიდევ თავისუფალი ადამიანებივით ვირჯებით, ჯერ კიდევ შეგვიძლია არჩევანის მოხდენაო. მაგრამ სინამდვილეში აგვისტოს შუა რიცხვებისათვის თამამად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ჟამიანობამ მოიცვა ყოველი. იმხანად უკვე აღარ არსებობდა ვისიმე კერძო ბედი, იყო მხოლოდ საყოველთაო უბედურება — ჟამიანობა და ვრძნობები, ყველა თანაბრად რომ დაეზაფრა. ყველაზე საშინელი განშორება და გადასახლება გახლდათ და მით გამოწვეული შიში და გულისწყრომა. ამიტომაცაა, რომ სიცხისა და სენის ამ არნახული ზედმოსევის ჟამს მთხრობელს საჭიროდ მიაჩნია სხვებისათვის სამაგალითოდ აღწეროს საერთო ვითარება: ჩვენი ცოცხლად დარჩენილი მოქალაქეების მძვინვარება, დახოცილთა დამარცხვა და გაყრილ მიჯნურთა ტანჯვა.

სწორედ ამ წელს, შუა ზაფხულში, ქარი ამოვარდა და რამდენიმე დღეს ჭირით გასენილ ქალაქში ზუზუნი გაჰქონდა. ორანის მკვიდრთ ქარის განსაკუთრებით ეშინიათ, რადგან მას არავითარი ბუნებრივი ჯებირი არ ეღობება, აკი ქალაქი ტრიალ ველზეა დაცემული და ქარიც თავისუფლად დათარეშობს ქუჩებში. იმ გრძელი თვეების შემდეგ, რაც ცვარი წვიმაც არ დასცემია ქალაქს, მას რუხი ფერის გარსი გადაეკრა, მთლად აქერცლა ქარის ქროლვამ. ქარი მტვერს აყენებდა და ქალაქს აფრიალებდა, შეთხელეებულ გამვლელებს ფეხებში რომ ეღებოდა. ქალი და კაცი წინ გადახრილი, გაჩქარებული მიდიოდა, პირზე ხელი ან ცხვირსახოცი ჰქონდა აფარებული. სალამობით ჯგროდ აღარ გამოეფინებოდნენ ხოლმე ქუჩებში, აღარ ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტად გაეხანგრძლივებინათ დღეები, რომელთაგანაც ყოველი შეიძლებოდა უკანასკნელი გამხდარიყო. ახლა პატარ-პატარა ჯგუფებსღა ნახავდით, შინისაკენ, ანდა კაფეებში რომ მიეჩქარებოდათ და მწუხრისას, იმ დროს, როცა ქალაქში ჩვეულებრივზე ადრე წვებოდა ბინდი, ქუჩები უკაცურდებოდა და მხოლოდ ქარის გაბმული კვნესაღა ისმოდა ირგვლივ. მფრთხიანი და თვალით უჩინარი ზღვიდან წყალმცენარეებისა და მარილის სუნი მოდიოდა. ეს გაუკაცურებული, მტვრისაგან გადათეთრებული და ზღვის სუნით გაქლენილი

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 5.

ბიბ. სსრ კ. ბარქაის
საბ. საბ. ინსპუბ.

ქალაქი, სადაც ქარის კვილი გაისმოდა, ისე კვნესოდა, როგორც ჭვარცმული კუნძული.

აქამომდე ჭირმა გაცილებით მეტი ხალხი იმსხვერპლა გარეუბნებში, რომლებიც ბევრად უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული და ნაგებ კეთილმოწყობილიც გახლდათ, ვიდრე ქალაქის ცენტრი. მაგრამ ქუჩის მკვეთრ მოსახლეთა კვარტალებში შეიპარა და კიდევაც მოიკალათა. იქაურნი მტკიცედ იმუშავეს ყველაფერში ქარს სდებდნენ ბრალს, მას შემოაქვსო ჭირის ბაცილები. დავთრები აგვირიაო, ამბობდა სასტუმროს დირექტორი. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ცენტრში მაცხოვრებლებმა იცოდნენ, რომ მათი ჯერიც დამდგარიყო, რაკი მათგან სულ ახლოს, ღამის სიჩუმეში, სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა სანიტარული მანქანების საყვირთა ხმა. მათ ფანჯრებქვეშაც რეკდა შავი ჭირის პირქუში და უგრძობელი ზარი.

ხელისუფალთ აზრად მოუვიდათ გაემიჯნათ ქალაქის განსაკუთრებით დასახლებული რაიონები და იქიდან გამოსვლის უფლება მხოლოდ იმ პირთათვის მიეცათ, რომელთა გარეშეც ფონს ვერ გადიოდნენ. იმათ, ვინც იქ ცხოვრობდა, ეს ღონისძიება საგანგებოდ მათ წინააღმდეგ მიმართულად მიიჩნიეს და ერთობ საწყენადაც დაურჩათ; სხვა უბნების ბინადრებზე ისე ფიქრობდნენ, როგორც თავისუფალ ხალხზე. სამაგიეროდ, ეს უკანასკნელნი, როცა სასოწარკვეთა დარევდათ ხელს, ნუგეშს იმაში პოულობდნენ, რომ სხვები უარეს დღეში იყვნენ ჩაცვივებულნი. „ჩემზე მეტად ხელ-ფეხშეკრულებიც არიანო“ — აი, ამ სიტყვებში ისხამდა ხორცს ერთადერთი შესაძლო იმედი.

დაახლოებით იმავე ხანებში საშინლად გახშირდა ხანძრები, მეტადრე უწინდელ გართობათა ადგილას, ქალაქის დასავლეთ კარიბჭესთან. გამოიძიეს და აღმოჩნდა, რომ ამ საქმის მომქმედნი კარანტინიდან დაბრუნებული ადამიანები იყვნენ: მახლობელთა გლოვითა და უბედურებით გაგიჟებულნი ცეცხლს აძლევდნენ თავიანთ სახლებს იმ იმედით, შიგ შავ ჭირსაც ჩაწვავთო. ძალიან გაძნელდა ბრძოლა ამ ბოროტებასთან. ხანძრები ისე გახშირდა, რომ მთელ კვარტალებს დღენიადაგ გადაბუგვას უქადდა, რაკი ძლიერი ქარი ქროდა ხოლმე. ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ეს უბედურები, მთავრობის მიერ ჩატარებული დეზინფექცია სრულიად საკმარისია ჭირის ბაცილების მოსასპობადო, მაგრამ ვერაფერს გახდნენ; მერე სხვა ღონე იხმარეს — მკაცრი განაჩენი განუწესეს ამ უდანაშაულო ცეცხლისწამკიდებლებს. და, ცხადია, ციხის შიშს როდი დაუფრთხია ეს ხალხი, იმისა შეეშინდათ, რომ პატიმრობა სასიკვდილო განაჩენს უდრიდა, რაკი ყველას ის ეკერა პირზე, ქალაქის ციხეში განსაკუთრებით დიდი სიკვდილიანობა არისო. რა თქმა უნდა, ეს მითქმა-მოთქმა საფუძველს მოკლებული არ ყოფილა. ცხადზე ცხადი მიზეზების გამო შავი ჭირი ყველაზე მეტად, ეტყობა, იმათ დაერია, ვისაც ერთად ცხოვრება ხვდა წილად: ჯარისკაცებს, ბერ-მონაზვნებსა და პატიმრებს. ციხე, თუმცა კი ზოგი პატიმარი იქ იზოლირებულია, მაინც კომუნას წარმოადგენს, რასაც ის გარემოებაც მოწმობს, რომ მუნიციპალურ საპატიმროში შავ ჭირს დარაჯები ხარკს პატიმართა თანაბრად უხდიდნენ. შავი ჭირის უზენაესი ნებით ყველანი — დირექტორიდან მოკიდებული უკანასკნელ პატიმრამდე — განწირულნი იყვნენ და ეგების პირველად ციხეში აბსოლუტური სამართლიანობა დამყარებულიყო.

მთავრობა ამოდ ცდილობდა იერარქია დაემყარებინა ამ თანასწორობაში, როს განიზრახა ციხის იმ დარაჯთა დაჯილდოება, თავიანთი მოვალეობის აღს-

რულებას რომ შეეწირნენ. რაკი საალყო მდგომარეობა იქნა გამოცხადებული და ციხის დარაჯებიც, კაცმა რომ თქვას, მობილიზებულნი იყვნენ, მათ სამხედრო მედლებით აჯილდოებდნენ სიკვდილის შემდეგ. მაგრამ თუ პატრონებს ხმა არ აუმაღლებიათ ამგვარი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, სამხედრო წრეებმა მეტად იწყინეს; დაიჩემეს, ხალხში შეიძლება ამ ამბავზე სიწყინებელი გაუგებრობა შეიტანოსო და მართალიც იყვნენ. მთავრობამ მთელი საქართველო შეიწყინარა და გადაწყვიტა, ყველაფერს აჯობებს, თუ დახოცილ მცველებს ეპიდემიის მედლებით დავაჯილდოვებთო. მაგრამ უკვე დაჯილდოებულებს რაღას უზამდნენ, მედლებს უკან ხომ ვერ წაართმევდნენ? სამხედრო წრეებიც ისევ ჩიუტად ადგნენ თავის აზრს. სხვათრივ, ეპიდემიის მედალს ის ნაკლი ჰქონდა, რომ იმგვარ კმაყოფილებას ვერ ჰგვრიდა დახოცილთა ქირისუფალთ, როგორსაც სამხედრო ორდენი, რაკი ეპიდემიის დროს ამგვარი მედლის მიღება ვის გააკვირვებდა? ერთი სიტყვით, ყველა უკმაყოფილო დარჩა.

თანაც ციხის განმგებელთ არ შეეძლოთ ისე ემოქმედათ, როგორც ეკლესიის მესვეურთ ანდა სამხედრო ხელისუფალთ. იმ ორად-ორი მონასტრის ბერები, ქალაქში რომ იდგა, დაქსაქსეს და დროებით ღვთისმოსავ ოჯახებში გახიზნეს. როცა კი მოუხერხდებოდათ, პატარ-პატარა რაზმები გამოჰყავდათ ყაზარმებიდან და სკოლებში ან სხვა რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებაში აყენებდნენ. ასე რომ, სენი, რომელსაც ქალაქის მცხოვრებლები ალყა-შემორტყმულთა დარად სოლიდარობის გრძნობით უნდა განემსჭვალა, ამსხვრევდა ტრადიციულ კავშირ-დაჯგუფებებს და ყოველ კაცს სიმარტოვის მსხვერპლად აქცევდა. ეს კი ყველას თავგზას ურევდა.

შეიძლება ითქვას, რომ ამ გარემოებათ, ქარის ქროლვისა არ იყოს, ხანძარი დააგზნეს მავანთა და მავანთა გონებაშიც. ღამით ისევ შეუტიეს ქალაქის კარებს, თანაც რამდენჯერმე, ამჯერად უკვე შეიარაღებულმა პატარა რაზმებმა. სროლაც იყო; ზოგი დაიჭრა, ზოგმა მაინც მოახერხა გაქცევა, მაგრამ საყარაულო პოსტები გაამაგრეს და მათ თავს აღარავინ დასხმია. ოღონდ ამან ქალაქში ამბოხების სული გააძლიერა და ვიღაც-ვიღაცებმა ერთი-ორჯერ ძალმომრეობასაც მიმართეს: ძარცვავდნენ ცეცხლმოდებულ ანდა სანიტარული მოსაზრებით დაკეტილ სახლებს. კაცმა რომ თქვას, ძნელია მტკიცება იმისა, რომ ეს ძარცვა-გლეჯა წინასწარ იყო განზრახული. უმეტესწილად უეცარ შემთხვევას მიჰყავდა აქამომდე პატივისცემის ღირსი ხალხი საძრახ საქმემდე, უმაღვე რომ იქცა მიბადვის საგნად. მოინახნენ შეთიანებიც, მწუხარებისგან გამოთაყვანებული პატრონების თვალწინ რომ ცვიოდნენ ჯერ კიდევ აღმოდებულ სახლში. რაკი სახლის პატრონი ხმას არ იღებდა, პირველთ სეირის მაყურებელთაგანაც ბევრი ემატებოდა და ჩაბნელებულ ქუჩაში, ხანძრის შუქზე, მოჩანდა, აქეთ-იქით როგორ გარბოდნენ ზურგზე წამოკიდებული დგამ-ავეჯით დამაბინჯებელი აჩრდილები. სწორედ ამის გამო იყო, მთავრობამ ქირიანობა საალყო მდგომარეობას რომ გაუთანაბრა და შესაბამისი კანონებიც შემოიღო. ორი ქურდი მიახვრიტეს, მაგრამ საექვოა, ამას სხვებზე მოეხდინა შთაბეჭდილება, რადგან ამდენ მკვდრებში ეს ორი დახვრეტრლი არც არავის შეუნიშნავს: ეს წვეთი გახლდათ ზღვაში და სიმართლე თუ გნებავთ, მსგავსი ამბები მერეც განმეორდა და მთავრობამაც განზრახ მოიყრუა ყური, ხელი აღარ გამოუღია. ერთადერთი ღონისძიება, რომელმაც ქალაქის ყველა მცხოვრებზე მოახდინა შთაბეჭდილება, საკომენდანტო საათის შემოღება იყო. თერთმეტი საათის შემდეგ წყვდიადში ჩაფლული ქალაქი გაქვავებულს მოჰგავდა.

მთვარიან ღამეებში იგი თავის მოთეთრო კედლებსა და ლარივით გაჭიმულ ქუჩებს აჩენდა, რომელთაც არასოდეს ადგებოდა ხეების ჩრდილი, მყუდროებას არ ურღვევდა არც გამვლელთა ხმა და არც ძაღლის ყუჟა. დიდი, მღუმარე ქალაქი მაშინ მარტოოდენ მასიური და უძრავი კუბების გროვას წარმოადგენდა, რომელთა შორისაც მხოლოდ მივიწყებულ ქველმოქმედთა და ვარდასულ დროთა დიდ-დიდი ადამინების ბრინჯაოში ჩაკრთული უწყვი გამოსახულებანი ცდილობდნენ, თავიანთი ქვისა თუ ლითონის ყალბი სახეებით მიახლოებით მაინც გაეხსენებინათ აქაურ მკვიდრთათვის, უწინ კაცი რას ერქვა. ეს უხეირო კერპები, უგრძნობი ქვაკაცები ისხდნენ თავიანთ ტახტებზე მოქურუხებული ცის ქვეშ, უკაცურ მოედნებზე, თვალნათლივ წარმოგვიდგენდნენ უძრავობის სამეფოს, რომელშიაც ფეხი შევდგით, და გვიჩვენებდნენ მის უზენაეს კანონს — ნეკროპოლის კანონს, სადაც ეამიანობას, ქვასა და ღამეს დაეჩუმებინა ყოველგვარი ხმები. ✓

ღამეს დაესადგურებინა ყველას გულშიაც და ის მართალი თუ ჭორშესხული ამბები, რასაც დასაფლავების შესახებ ყვებოდნენ, ჩვენს თანამოქალაქეთ როდი ამშვიდებდა. დიახ, დაკრძალვებზედაც უნდა მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა და მთხრობელი ბოდის ითხოვს, თუმცა კი გრძნობს, რა საყვედურითაც აავსებენ ამის გამო. მაგრამ თავი შეუძლია იმით იმართლოს, რომ ხალხს კრძალავდნენ მთელი ამ ხნის განმავლობაში და ისიც ისევე, როგორც ყველა მისი თანამოქალაქე, იძულებული იყო თავი შეეწუხებინა დაკრძალვაზე ფიქრით. ისე ნუკი გამიგებთ, თითქოს მოსწონდეს ამგვარი ცერემონიები; პირიქით, ცოცხალთა თავყრილობები ურჩევნია, მეტადრე — ზღვაში ბანაობა, მაგრამ ზღვაში ბანაობა აიკრძალა, ცოცხლებს კი ეშინოდათ, დღეს-ხვალ მკვდრებმა არ წაგვლეკონო. და არცთუ ტყუილი შიში იყო. ცხადია, შეიძლება ბოდა თვალები დაგებრძავებინა და არაფერიც არ დაგენახა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, საშინელი ძალა აქვს და, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერსა სძლევს. ან კი როგორ არ უნდა ირწმუნო დაკრძალვა, როცა იმათ, ვინც გიყვართ, დაკრძალვა სჭირდება?

მაშ, ასე: დაკრძალვის ცერემონიალს თავშიაც, ცოტა არ იყოს, აფუჩეჩებდნენ ხოლმე. ყველა ფორმალობა გაემარტივებინათ და სამგლოვიარო პროცესიის მთელი ზარ-ზეიმურობა გაეუქმებინათ. ავადმყოფები თავიანთ კერას მოწყვეტილები იხოცებოდნენ, აიკრძალა რიტუალური ღამის თევანი, ისე რომ, ვინც ღამით კვდებოდა, დილაამდე უმეტვალყუროდ რჩებოდა, დღისით დახოცილებს კი მზის ჩასვლამდე მარხავდნენ. ცხადია, ოჯახს კი ატყობინებდნენ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ოჯახის წევრებს კარში გამოსვლის უფლება არ ჰქონდათ, რადგან კარანტინში უწევდათ ყოფნა, თუკი აწ გარდაცვლილთან ერთად ცხოვრობდნენ. იმ შემთხვევაში კი, თუ განსვენებული ცალკე იდგა ბინად, ოჯახი დანიშნულ დროს, ესე იგი, სასაფლაოზე წასვლისას მოდიოდა; მიცვალებული უკვე განბანილი იყო და კუბოში ესვენა.

წარმოვიდგინოთ, რომ ამგვარი ამბები იმ დამხმარე ლაზარეთშიაც ხდებოდა, რომელსაც ექიმი რიე განაგებდა. სკოლას გასასვლელი კარი ჰქონდა მთავარი შენობის უკან. დერეფანში გამავალ დიდ საწყობში კუბოები ჩაერიგებინათ. თვით დერეფანში ჭირისუფალთ მარტო ერთი, უკვე დაჭედილი კუბო ხვდებოდა. მოიყვანდნენ და მყის მთავარ საქმეზე გადადიოდნენ — ოჯახის თავს საბუთებზე ხელს აწერიანებდნენ. მერე კუბოს მანქანას დაუდებდნენ,

რომელიც ან მართლა სამგლოვიარო ფურგონი იყო, ან არადა, საგანგებოდ ამისათვის გადაკეთებული სასწრაფო დახმარების მანქანა. ჭირისუფლები ტაქსის იჭერდნენ, ტაქსი ჯერ კიდევ არ იყო აკრძალული, და მანქანები მთელი სიჩქარით მიქროდნენ გარეუბნების ქუჩებით სასაფლაოსაკენ. ქალაქის კარიბჭესთან უანდარმები აჩერებდნენ კორტეჟს, ბეჭედს არტყამდნენ ელფიციალურ საშვს, ურომლისოდაც ვერ მოიპოვებდით „საუკუნო განსახლებულს“, როგორც ჩვენი მოქალაქენი ამბობდნენ, მერე მიმავალთ გზას უტევდნენ და მანქანებიც მიაღებოდნენ მიწის ოთხკუთხა ნაკვეთს, სადაც ბევრი გაჭრილი სამარე პატრონს ელოდა. მღვდელი აქ ხვდებოდა მიცვალებულს, რადგან ეკლესიებში პანაშვიდის გადახდა აკრძალეს. სანამ მღვდელი ლოცვას ბუტბუტებდა, კუბო გადმოჰქონდათ მანქანიდან, თოქს ამბდნენ, თრევა-თრევით მიიტანდნენ ღია სამარის კარამდე და შიგ უშვებდნენ. ფსკერს რომ დაასკდებოდა, მღვდელი უსუპს აიქნევდა და მიწის პირველი გორბები უკვე ცვიოდა კუბოს სახურავზე. სასწრაფოს მანქანა მაშინვე მიდიოდა საღებენფექციოდ და სანამ სველ-სველი გორბები ყრუდ ეცემოდა ერთიმეორეს, ჭირისუფლებიც ტაქსიში შერგავდნენ თავს და თხუთმეტი წუთის შემდეგ უკვე შინ იყვნენ.

მოკლედ, ყველაფერი მაქსიმალური სისწრაფითა და მინიმალური რისკის გაწევით ხდებოდა. ეჭვი არ არის, პირველ ხანებში მაინც, ჭირისუფალთ ძალიან სტკენდა გულს ეს ამბავი. მაგრამ უამიანობის დროს ამგვარ რასმე ვინ გაუწევს ანგარიშს: ყველაფერი ჭირთან ბრძოლის ეფექტიანობას შესწირეს. თანაც თუ დასაწყისში წრეგადასული სისწრაფე მოსახლეობის გულისწყრომას იწვევდა, რაკი წესიერად დამარხვის სურვილს უფრო მაგრადა აქვს გადგმული ფესვი, ვიდრე ზოგს ჰგონია, ცოტა მოგვიანებით, საბედნიეროდ, სურსათით მომარაგება გაჭირდა და მოსახლეობამაც უფრო საჭირბოროტო საკითხებზე იწყო ფიქრი. სურსათისათვის რიგში დგომით განაწამებ, ათასი ფორმლობითა და დღიური ლუკმისთვის სირბილით დაქანცულ ხალხს იმის საფიქრად აღარ სცხელოდა, როგორ იხოცებოდნენ ირგვლივ, ან თვითონ როგორ დაიხოცებოდნენ, როცა მათი უამი დაჰკრავდა. ასე რომ, ეს მატერიალური სიძნელეები ბოროტების ნაცვლად სიკეთედ შემობრუნდა და ყველაფერი უკეთ იქნებოდა, ანაზღად სენს რომ არ ემძლავრა და როგორც ვნახავთ, კიდევ მეტად არ გავრცელებულიყო.

აქეთ კუბოების გასაჭირი ედგათ, სუდარებისათვის ტილო არ ჰყოფნიდათ, სასაფლაოებზედაც ტევა აღარ იყო. რაღაც უნდა ელონათ. ყველაზე მარტივი და გონივრული დაკრძალვის ცერემონიათა გაერთიანება ჩანდა და რაკი ეს აუცილებელი შეიქნა, საავადმყოფოსა და სასაფლაოს შორის რეისების გახშირება. რიეს საავადმყოფოში, მაგალითად, ხუთად ხუთი კუბო ჰქონდათ. ხუთივე რომ გაივსებოდა, მანქანას უდებდნენ. სასაფლაოზე ცლიდნენ, რკინისფერ სხეულებს საკაცებზე დებდნენ და საგანგებოდ გაკეთებულ ფარდულში ასვენებდნენ. კუბოებს ანტისეპტიკურ ხსნარს ასხურებდნენ, ისევ საავადმყოფოში აბრუნებდნენ და ეს ამბავი დღეში იმდენჯერ მეორდებოდა, რამდენჯერაც საჭიროება მოითხოვდა. საქმე კარგად მოგვარდა და პრეფექტიც კმაყოფილი ჩანდა. რიეს კიდევაც უთხრა, ეს უკეთესი გამოსავალია, ვიდრე ის, რაც ძველ ქრონიკებშია მოთხრობილი, როცა ჭირიანობით გამწყდარ ხალხს ურიკებზე ყრიდნენ და ზანგებს ამარხვინებდნენო.

— დიახ, — მიუგო რიემ, — იმგვარადვე ვმარხავთ, ოღონდ კართოტეკას ვადგენთ. პროგრესი უდაოა.

ადმინისტრაციის წარმატებათა მიუხედავად, იმ არასასიამოვნო ხასიათის გამო, დაკრძალვის ცერემონიალმა რომ მიიღო, პრეფექტურა იძულებული გახდა ჭირისუფლებისათვის დაკრძალვაზე დასწრების ნება აღარ დაეკრათ. მათ მარტო სასაფლაოს კარიბჭემდე უშვებდნენ, ისიც გამონაკლისის სახით, რადგან უკანასკნელი პატივმისაგები ცოტა შეიცვალა. სასაფლაოს ბოლოს, დანამასტაკით მოფენილ ველზე, ორი უზარმაზარი ორმო გათხარეს. ქალებისათვის იყო განკუთვნილი, მეორე — კაცებისათვის. ამ თვალსაზრისით ადმინისტრაცია ზნეობას არ ბღალავდა და მხოლოდ გაცილებით მოგვიანებით, გარემოებათა იძულების ძალით ამ უკანასკნელ სირცხვილ-ნამუსის შენახვასაც ვეღარ გასწვდა და ერთიმეორეზე იწყო ქალებისა და კაცების დამარხვა. საბედნიეროდ, ამ უკიდურესმა აღრევამ მხოლოდ ჟამიანობის ბოლო ხანებში იჩინა თავი. იმ პერიოდში კი, რომელზედაც მოგახსენებთ, საფლავეები გამიჯნული იყო და პრეფექტურა ამ წესს არ გადადიოდა. თითოეული ორმოს ღირში ჩაუმჭრალი კირი ბღალავდა და თუხთუხებდა. ორმოს კიდევებზეც იგივე კირი დაეხვავებინათ და სუფთა ჰაერზე ბუყბუყი გაჰქონდა. როცა საავადმყოფოს მანქანა მისვლა-მოსვლას მორჩებოდა, ფარდულიდან საკაცეებს გამოიტანდნენ, ორმოსთან ჩაამწკრივებდნენ და შიგ ერთიმეორის მიყოლებით ყრიდნენ შიშველ, ოდნავ მოხრილ ფიგურებს. მერე ზედ ასხამდნენ კირს, მიწას აყრიდნენ, მაგრამ გამოზომილად, რათა შემდეგ მოსასვლელი სტუმრებისათვისაც დაეტოვებინათ ადგილი. მეორე დღეს იწვევდნენ ჭირისუფლებს. ხელს აწვრილებდნენ დავთარში, და სულ ეს იყო განსხვავება, რაც დარჩენილიყო ადამიანებსა და ვთქვათ, ძაღლებს შორის, რომელთა სიკვდილიანობის აღნუსხვაც არავის მოუვიდოდა აზრად.

მთელი ამ საქმიანობისათვის მუშახელი იყო საჭირო და შიშობდნენ, საცაა, ხალხი დაგვაკლდებაო. ბევრი სანიტარი და მესაფლავე ჭირმა გაწყვიტა. მერე სახელდახელოდ იწყეს ხალხის დაჭირავება, მაგრამ მათაც იგივე ბედი ეწიათ. რაც არ უნდა ელონათ, სენი ბოლოს და ბოლოს მაინც ედებოდათ. მაგრამ თუ კარგად ჩაუფიქრდებოდა კაცი, ყველაზე გასაკვირი ის იყო, მთელი ეპიდემიის მანძილზე ამ საქმისათვის ხალხი არასდროს დაკლებიათ. კრიტიკული მომენტი იმაზე ცოტა ადრე დადგა, ვიდრე ჟამიანობა თავის ზენიტს მიაღწევდა და მაშინ ექიმ რიეს შიში საფუძვლიანი გახლდათ. ექიმ-სანიტრების ნაკლებობას ხომ განიცდიდნენ, მაგრამ ექიმ რიეს სიტყვებით რომ ვთქვათ, არც „შავი სამუშაოსთვის“ კმაროდა ხალხი. მაგრამ მას აქეთ, რაც ჟამიანობამ მთელი ქალაქი მოიცვა, ჭირი სასარგებლოდაც შემოუბრუნდათ: სენის ბობოქრობამ არევ-დარევა შეიტანა მთელ ეკონომიურ ცხოვრებაში და უმუშევართა რიცხვი გაიზარდა; მართალია, ამ ჯურის ხალხი სპეციალისტთა მაგივრობას ვერ გასწევდა, მაგრამ შავი საქმისათვის მისწრება იყო. ამ ხნიდან მოკიდებული ყველა მიხვდა, რომ გაჭირვება უფრო ძლიერი იყო, ვიდრე შიში, მით უფრო, რომ სამუშაო რისკის შესაბამისად ნაზღაურდებოდა. სანიტარულ მომსახურებას საშუალება მიეცა მთხოვნელების სიაც შეედგინა და როგორც კი ადგილი განთავისუფლდებოდა, აცნობებდნენ ხოლმე იმათ, ვინც სიის თავში ეწერა და თუკი ამასობაში ისინიც მოუსაველეთში არ გამგზავრებულიყვნენ, მყისვე მოდიოდნენ ამ ძახილზე. ასე და ამგვარად, პრეფექტს, რომელიც დიდხანს ყოყმანობდა, გამოეყენებინა თუ არა ამგვარი სამუშაოებისათვის დრო-

ებითი ან მუდმივი პატიმრები, ამ უკიდურესი ზომისათვის მიმართვა აღარ დასჭირვებია. გადაწყდა, სანამ უმუშევრები გვყავს, საშური არაფერიც.

ავად თუ კარგად, აგვისტოს შუა რიცხვებამდე ჩვენს თანამოქალაქეებს შეეძლოთ საუკუნო განსასვენებლის ადგილას როგორც ეკადრობოდათ ისე თუ არა, საკმაო წესით და რიგით მაინც მისულიყვნენ და ქალაქის განმკვიდრებაც თავს ირწმუნებდა, ჩვენს ვალს ვასრულებთო. მაგრამ მისივე მსგავსად მომდგომ მსვლელობას უნდა გავუსწროთ, რომ გიამბოთ, ბოლოს იძულებით რისი ვაკეთება მოუხდათ. აგვისტოს დასაწყისიდან ქალაქში, სადაც შავი ჭირი მძვინვარებდა, იმდენი მსხვერპლი გაჩნდა, რომ ჩვენმა პატარა სასაფლაომ ვეღარ დაიტია. გალავანი გაარღვიეს, მკვდრებს შემოგარენში ადგილი გამოუყვეს, მაგრამ მალე სხვა გამოსავლის ძებნა გახდა საჭირო. ჯერ გადაწყვიტეს, მკვდრები ღამ-ღამობით დაემარხათ, რაც ზოგი თავაზისაგან ათავისუფლებდათ და დღითი დღე სულ უფრო და უფრო მეტ მკვდრებს ახვავებდნენ მანქანაში. შეგვიანებულ გამვლელებს, რომლებიც აკრძალვისდამიუხედავად საკომენდანტო საათის შემდეგაც ქუჩაში იყვნენ (ანდა იმათ, ვისაც ხელობა კარში ყოფნას ავალებდა), ზოგჯერ ხვდებოდათ გრძელი, თეთრი სანიტარული მანქანები, მთელი სისწრაფით რომ მიქროდნენ და უკაცრიელ, ღამეულ სიჩუმეში თავიანთ საყვირებს აყვირებდნენ. მკვდრებს სწრაფად ყრიდნენ ორმოებში და ზედ მყისვე ნიჩბებით ჩაუმქრალ კირს აყრიდნენ. მიცვალებულებს კირი და მიწა ეცემოდათ სახეზე და ორმოში ასე უსახელოდ ქრებოდნენ; ორმოსაც სულ უფრო და უფრო ღრმად თხრიდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მაინც იძულებული გახდნენ ახალი გზები ეძებნათ და სამოქმედო ასპარეზი გაეფართოებინათ. პრეფექტურის ბრძანებით წვაკდნენ ნივთებს, რომლებსაც კი სნეული შეხებოდა; მალე თვით შავი ჭირისაგან დახოცილთა გვამების დაწვაც იწყეს. საამისოდ ნაგვის საწვავი ღუმელი გამოიყენეს, რომელიც ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა, კარიბჭის გარეთ. საყარაულო პოსტები შორს გადაიტანეს, ხოლო მერიის ერთმა მოხელემ მთავრობას საგრძნობლად გაუადვილა საქმე იმით, რომ ურჩია, ტრამვაები გამოიყენეთ, უწინ ზღვის გასწვრივ მიმავალ გზას რომ ემსახურებოდნენ და ამჟამად უქმად დგანანო. მისაბმელი ვაგონებისა და ელექტრომავლების შიგნით სკამები აჭარეს და ტრამვაები კრემატორიუმის გზას გაუყენეს, რომელიც ამრიგად უკანასკნელ გაჩერებად იქცა.

ზაფხულის მიწურულშიაც და შემოდგომის წვიმების დროსაც, ყოველ შუალამეს, სანაპიროს მთელ გაყოლებაზე, ზღვის ზემოთ, ტრამვაების უცნაური ალალი მიდიოდა ჭაყჭაყ-ჭაყჭაყით, უმგზავრებოდ. ქალაქის მოსახლეობამ ბოლოს მაინც შეიტყო სიმართლე და თუმცა პატრული ხალხს ახლოს მისვლას არ ანებებდა, ვიღაც-ვიღაცები მაინც ახერხებდნენ კლდეებზე აძრომას და როცა ტრამვაები ჩაივლიდნენ ხოლმე, ვაგონებს ყვავილებს აყრიდნენ. ზაფხულის ღამეში ვაგონების ხრიგინი ისმოდა, მიცვალებულებითა და ყვავილებით დატვირთული ვაგონებისა.

გამთენიისას, პირველ დღეებში მაინც, სქელი და გულისამრევი ორთქლი ცურავდა ქალაქის აღმოსავლეთ უბნების თავზე. ეს ანაორთქლი, თუმცა კი უამური იყო, ექიმთა აზრით არავის მოუტანდა ვნებას. მაგრამ იქაური მოსახლეობა იმუქრებოდა, აქედან ავიყრებითო, რაკი დარწმუნებული იყო, ჭირი ზეციდან დაგვატყდება თავსო. ისე რომ, იძულებული გახდნენ მოსახლეობის დასამშვიდებლად კვამლის მშთანთქავი რთული სისტემა შეექმნათ. მხოლოდ

იმ დღეებში, როცა ძლიერა ქარი ქროდა, აღმოსავლეთიდან მონადენი მქისე სუნი ახსენებდათ, რომ ახალი დროება დაუდგათ და რომ შავი ქირის ალი ყოველდღე ნთქავდა მათ მოდგმას.

თი ასეთი საშინელება დაატეხათ თავს ეპიდემიამ. შემდეგში, საბედნიეროდ, სენი მეტად აღარ გამძვინვარებულა, თორემ ჩვენი დაწესებულებები და პრეფექტურა სულ ტყუილად დაშვრებოდნენ და საკრემაციო, ლეჩინათოც საქმეს ვეღარ აუვიდოდა. რიემ იცოდა, რომ ასეთ შემთხვევაში სასოწარკვეთილ ზომებს მიმართავდნენ, გვამებს ზღვაში გადაუძახებდნენ და თითქოს თვალნათლივ ხედავდა, ცხედრები საზარელ ქაფად როგორ მოედებოდნენ ცისფერ ტალღებს. იცოდა, თუ სტატისტიკური მონაცემები კვლავ აიწვედა, ვერავითარი ორგანიზაცია, რაგინდ სრულყოფილიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ვერ აუვიდოდა საქმეს, დახოცილი ხალხი ზვინებად ეყრებოდა ქუჩებში და იქვე გაიხრწნებოდა, მიუხედავად პრეფექტურის მეცადინეობისა, და ქალაქი იხილავდა, მოედნებზე კანონიერი სიყუღვილითა და უგონო იმედით შებყრობილი მომაკვდავები ცოცხლებს როგორ მოებლაუჭებოდნენ.

სწორედ ამგვარი სიცხადე თუ შიში გახლდათ, ჩვენს თანამოქალაქეებს განდევნისა და გაკიდევანების გრძნობას რომ უცხოველებდა. მთხრობელს თავადაც მშვენივრად მოეხსენება, რა დასანანია, რომ არ ძალუძს იმგვარი რამის მოყოლა, რაც ჭეშმარიტად ღირსსახსოვარი იქნებოდა; რომ არ შეუძლია ნუგეშიად რომელიმე გმირი დახატოს, ანდა საგმირო ამბავი გაამბოთ, იმათი მსგავსი და ცალი, ძველ ქრონიკებში რომ გვხვდება. ეს იმიტომ, რომ არაფერია ქამიანობაზე ნაკლებ ეფექტური სახილველი და სწორედ თავიანთი ხანგრძლივობის წყალობით დიდ-დიდი უბედურებანი მონოტონური ხდებიან. იმათ მეხსიერებაში, ვინც სენს გადაურჩა, ქირიანობის საშინელი დღეები ბრწყინვალე და სასტიკ ცეცხლის ვეება ალებად როდი მოჩანდა, ის უფრო გამუდმებით ერთი ადგილის ტკეპნას ჰგავდა, ყველაფერს რომ სრესს, რაც კი მოხვდება ფეხქვეშ.

არა, ქირის არაფერი ჰქონდა საერთო იმ დიდ, შთამბეჭდავ სურათებთან, ექიმ რიეს რომ აეკვიატებოდა ხოლმე ეპიდემიის დასაწყისში. შავი ქირი, უპირველეს ყოვლისა, ფრთხილი და უზადო აღმინისტრაციული მანქანა იყო, ჩინებული მცოდნე თავისი საქმისა. ამგვარად, არაფრისთვის რომ არ ელაღატა და პირველ რიგში თავის თავის ერთგული დარჩენილიყო, მთხრობელმა ობიექტურობა ირჩია. თითქმის არ შეუღამაზებია სათქმელი; მხოლოდ ის წვრილმანი ცვლილებები შეიტანა, რაც ნაამბობს თავბოლოიანს გახდიდა. სწორედ ობიექტურობა უბრძანებს გითხრათ ახლა, რომ თუ ამ დროს ყველაზე დიდი, ყველაზე ღრმა და საყოველთაო სატანჯველი განშორება იყო, თუკი აუცილებლად მართებს გიჩვენოთ, რა ვითარება შეიქნა ქირიანობის ამ ეტაპზე, ისიც არ უნდა დარჩეს უთქმელი, რომ თვით ამ სატანჯველსაც იმხანად სიმძაფრე აკლდებოდა.

ორანელები, ყოველ შემთხვევაში ისინი, ვინც ყველაზე მეტად გაიტანჯნენ ამ განშორებით, ხვედრს ხომ არ შეურიგდნენ? მთლად სწორი არ იქნება ამის მტკიცება. უფრო მართებული იქნება იმის თქმა, რომ მორალური და ფიზიკური უილაჯობით იტანჯებოდნენ. ქამიანობის დასაწყისში ძალიან კარგად ახსოვდათ არსება, რომელსაც დაშორდნენ და ნადვლობდნენ მასზე. მაგრამ რაგინდ კარგად არ უნდა ხსომებოდათ საყვარელი სახე, სიცილი, დღეები, ახ-

ლაღა რომ ეჩვენებოდათ ბედნიერად, უჭირდათ იმის წარმოდგენა, რას აკეთებდა ის, მეორე, ამ წუთას, როცა თავად იმ შორეულ დღეებს მისტიროდნენ. მოკლედ, იმხანად მეხსიერება კი შერჩათ, მაგრამ წარმოსახვის უნარი დაუჩილუნგდათ. ჭირიანობის მეორე სტადიაში მეხსიერებაც წარებოცათ. არა, საყვარლის სახე კი არ დავიწყებიათ, მაგრამ ერთგვარად უხორცუროდ ვეღარ ვიხსენებდნენ თავიანთი სულის სიღრმეში, რაც, არსებითად, იგბე დაგვიწყნებდა მაშინ, როცა პირველ კვირებში დღენიადაგ ჩიოდნენ, მხოლოდ აჩრდილებსღა ვეტრფითო. შემდეგ და შემდეგ შენიშნეს „რომ ეს აჩრდილები კიდევ უფრო განძარცულიყვნენ ხორცისგან და ფერების ნიშანწყალიც დაეკარგათ, მეხსიერებაში რომ ჰქონდათ შემონახული. ამ ხანგრძლივი განშორების ბოლოს უკვე ვეღარც წარმოედგინათ გარდასულ დღეთა ინტიმურობა, ანდა როგორც ხოვრობდა მათ გვერდით ადამიანი, რომლისთვისაც ყოველ წუთს შეეძლოთ ხელის შეხება.

ამ თვალსაზრისით მათ შავი ჭირის მეუფებაში შედგეს ფეხი, მით უფრო ძლევამოსილსა და სასტიკ მეუფებაში, რაც უფრო უღიმღამო და უფერული ჩანდა გარეგნულად. ჩვენში უკვე აღარავის გააჩნდა ამაღლებული გრძნობები; ყველა ერთფეროვან გრძნობათა ტყვე გამხდარიყო. დროა, ამას ბოლო მოეღოსო, ამბობდნენ ორანელები, რადგან ასეთი დიდი უბედურების უამს, ბუნებრივია, საყოველთაო ტანჯვის აღსასრული ინატრო კაცმა და, მართლაც, ვანსაცდელის აღსასრულს ნატრობდა ყველა. მაგრამ მათ ნათქვამში აღარ იგრძნობოდა თავდაპირველი აღშოთება და სიმწარე, რასაც ჯერ კიდევ გასაგები, მაგრამ უკვე ნაკლებდამაჯერებელი მიზეზები ჰქონდა. პირველი კვირების პირქუშ აღტყინებას ქანცმიხდილობა მოჰყვა, რომელიც შეცდომა იქნებოდა ხვედრს შერიგებად ჩაგვეთვალა, მაგრამ დროებითი ქედის მოდრეკა მაინც იყო.

ჩვენი თანამოქალაქენი დამორჩილდნენ, ან როგორც იტყვიან, ხვედრს შეურიგდნენ, რაკი სხვა გზა აღარა ჰქონდათ. ბუნებრივია, ჯერაც უბედურებისა და ტანჯვის დაღი ესვათ, მაგრამ მათ სიმწვავეს ვეღარა გრძნობდნენ. ექიმი რიე, მაგალითად, თვლიდა, რომ სწორედ ეს იყო უბედურება და რომ ჩვევად ქცეული სასოწარკვეთა უარესია, ვინემ თვით სასოწარკვეთა. წინათ განშორებულთ ჰეშმარიტად უბედურები არ ეთქმოდათ, მათ ტანჯვაში ერთი სხივი მაინც კიანთობდა და ახლა ისიც ჩამქრალიყო. სადაც არ უნდა შეხვედროდით მათ, ქუჩის კუთხეებში, კაფეებში თუ მეგობრებთან, — უდრტვინველებსა და დაბნეულებს ისეთი მოწყენილი თვალები ჰქონდათ, რომ მათი გამოისობით მთელი ქალაქი მოსაცდელ დარბაზს დამგვანებოდა. ისინი, ვისაც ხელობა გააჩნდა, თავის ხელობას ჭირის ფეხის ხმას აყოლილი მისდევდა, თავჩაბრითა და უსიცოცხლოდ. ყველა თავმდაბალი გამხდარიყო. პირველად მოხდა, რომ გაყრილ მიწნურებს აღარ ეთაკილებოდათ იმაზე ლაპარაკი, ვისთანაც განშორება არგუნათ ბედმა, აღარ ეთაკილებოდათ გაცვეთილი სიტყვების ხმარება და თავიანთ განშორებას იმ კუთხით უცქერდნენ, როგორც ეპიდემიის სტატისტიკას. თუ აქამომდე თავიანთ ტანჯვას ჯიუტად გამორიცხავდნენ საერთო-სახალხო უბედურებისაგან, ახლა თანახმა იყვნენ თავიანთი სატკივარიც მის განუყრელ ნაწილად ეცნოთ. აღარც მახსოვრობა შერჩენოდათ, არც იმედი და მხოლოდ აწმყოთილა სულდგმულობდნენ. დიახ, დღეის დღედ ქცეულიყო მათთვის ყოველივე. უნდა ითქვას, რომ შავმა ჭირმა ყველას წაართვა სიყვარუ-

ლისა და თვით მეგობრობის ძალა, რადგან სიყვარულს ცოტა მომავალი სჭირია, ჩვენ კი წუთებილა შემოგვრჩა სასიცოცხლოდ.

ვერ დავიჩემებ, რაც გიამბეთ, სულ ასე იყო-მეთქი. რადგან, თუკი მართალია, რომ ყველა განშორებული მიჯნური ამ დღეში ჩაეარდა, სამართლიანობა მოითხოვს დავსძინოთ, რომ ყველა ერთბაშად არ მიყვალთ ყმ ყოფამდე. და თვით ამ ყოფაში ჩაეარდნილთაც ჰქონდათ უეცარად წაგრიტება — წარსულის მოგონება, აზრის ანაზღეული სიმახვილე, უფრო ცხოველსა და მტკივნეულ გრძნობებს რომ აუშლიდათ. მათთვის აუცილებელი იყო ასეთი წუთები, როცა სამომავლო გეგმებს ადგენდნენ, ისე, თითქოს ჭირიანობის აღსასრული დამდგარიყოს. ისიც მაღლი იყო, მოულოდნელად თუ დაგესლავდათ უსაგნო ექვიანობის ნესტარი. სხვებიც მათსავით გამოდიოდნენ ჩვეული გარინდებიდან და თითქოს ხელახლა იბადებოდნენ კვირის ზოგიერთ დღეებში, უმეტესწილად კვირაობით და კიდევ — შაბათ-საღამოს, რადგან ეს დღეები დაკავშირებული იყო რაღაც რიტუალთან, როცა აწ განშორებული მიჯნური გვერდით ჰყავდათ. ზოგჯერ საღამო ეამს უეცრად შემოწოლილი ნალექელი აფიქრებიანებდათ, მახსოვრობა კვლავ დაგვიბრუნდებაო, თუმც კი ხშირად გასცრუებიანთ იმედი. საღამოს ეს საათი, რომელიც მორწმუნეთათვის სულის ჩხრეკის საათია, მძიმეა პატიმრისა თუ გადასახლებულისათვის, მათ ხომ არაფერი აქვთ გასაჩხრეკი სიცარიელის მეტი. ერთხანს სულის სიმხნევე ემატებოდათ, მერე კვლავ უბრუნდებოდათ აპათია და შავ ჭირში იკეტებოდნენ.

უკვე მიხვდებოდით, რომ ამგვარი ვითარება აიძულებდათ ხელი აეღოთ იმაზე, რაც ყველაზე მეტად პიროვნული გააჩნდათ. და თუკი უამიანობის პირველ ხანებში აწამებდათ უამრავი პატარა წერილმანი, რომელთაც უზომოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის, სხვები კი არად აგდებდნენ, და ამგვარად თავიანთი მეობის გადარჩენას ლამობდნენ, ახლა პირიქით, მხოლოდ ის აინტერესებდათ, რაც სხვებს, მხოლოდ საერთო იდეებით სულდგმულდებდნენ და მათმა სიყვარულმაც სრულიად განყენებული სახე მიიღო. ჭირს ისე მაგრად ჩაეჭირა ისინი თავის ჭანგებში, რომ მხოლოდ მისგან ბოძებული ძილის იმედილა ჰქონდათ და ხშირად გაუელვებდათ ფიქრი: „ნეტა ბუბონებს დამაყრიდეს და ბოლო მოეღებოდეს ყველაფერს“. მაგრამ მათ ისედაც ეძინათ უკვე და მთელი ეს ხანი სხვა არა იყო რა, თუ არ ხანგრძლივი ძილი. ქალაქი ზეზურად მძინარე ხალხით იყო მოფენილი. რომლებიც მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში უძვრებოდნენ ხელიდან თავიანთ ხვედრს, როცა ღამით მათი ვითომდა პირშეკრული იარები იხსნებოდა, როს ანაზღეულად გაღვიძებულნი დაბნეულად ივლებდნენ ხელს გაფიცებულ ბაგეებზე, და წამიერად კვლავ სატანჯველი დარევდათ ხელს — უეცრად განახლებული — და მასთან ერთად თვალწინ დაუდგებოდათ თავიანთი სიყვარულის შეძრწუნებული სახე. დილაობით კი ჭირიანობას, ე. ი. რუტინას ემონებოდნენ.

მაგრამ იკითხავთ, როგორ გამოიყურებოდნენ ეს განშორებული მიჯნურნი? კეთილი, პასუხი იოლია, არც როგორ. ანდა თუ გნებავთ, ისე, როგორც ყველა, საერთო მასიდან არაფრით გამოირჩეოდნენ. ისინიც სხვებივით ხან ბალღურ უდრტვინელობასა და ხან ბალღურ მშფოთვარებას ეძლეოდნენ. კრიტიკული აღლო უჩლუნგდებოდათ და უფრო გულგრილნი ხდებოდნენ. ნახავდით, მაგალითად, რომ მათგან თვით უშკვიანესნიც ისე ირჯებოდნენ, თით-

ქოს სხვებსავით გაზეთებში ან კიდევ რადიოგადაცემებში დაეძებდნენ საფუძველს იმის საფიქრად, ჭირიანობას მალე ბოლო მოეღებო და გარეგნულად ჭიმერულ იმედებს ინარჩუნებდნენ, ანდა უსაფუძვლო შიშს ეძლეოდნენ იმ მოსაზრებათა კითხვისას, ალალბედზე რომ შეეთხზა მოწყენილობისაგან მთქნარებაატეხილ მავანსა და მავან ჟურნალისტს. სხვაფრივ, თავიანთ ლულს წრუპავდნენ ან თავიანთ სნეულებს უვლიდნენ, ზარმაცობდნენ, ატრიალებდნენ, ხსნის შანსებს ითვლიდნენ, ან ფირფიტებს ატრიალებდნენ; მოკლედ, არაფრით განსხვავდებოდნენ სხვებისაგან. სხვაგვარად რომ ითქვას, უკვე აღარაფერს ირჩევდნენ. ჭირმა წარუხოცათ შეფასების უნარი და იმაზედაც ეტყობოდათ ეს, რომ უკვე აღარავინ დაგიღვედათ, ვარგოდა თუ არა საქმელი ან ნაყიდი ტანსაცმელი.

დასასრულ შეიძლება ითქვას, რომ გაყრილ მიჯნურთ უკვე აღარ ჰქონდათ ის უპირატესობა, თავდაპირველად რომ იფარავდათ. უკვე დაეკარგათ სიყვარულის ეგოიზმი და მისგან მოძებნილი სიკეთე. ახლა სამაგიეროდ სურათი ნათელი იყო, უბედურება ყველას ერთნაირად დაატყდა თავს. ყველა ჩვენგანი, ქალაქის კარიბჭესთან გასროლილ ხმებში, საყვირის კივილში, სიკვდილ-სიცოცხლის წუთებს რომ გვითვლიდა, სიკვდილით, ხანძრებით, სააღრიცხვო ბარათებით, შიშითა და ათასგვარი ფორმალურობით შეძრულნი, დამამცირებელი, მაგრამ რეგისტრირებული სიკვდილისთვის განწირულნი, თავზარდამცემ კვამლსა და ლაზარეთების წყნარი ზარების რეკვაში გადასახლების ერთ პურს ვჭამდით და ყველანი ქვეშეუცნობლად იმავე ერთობასა და იმავე ამაღელვებელ მშვიდობას ველოდით. ჩვენი სიყვარული, ცხადია, არ გამქრალა, მაგრამ გამოუსადეგარი შეიქნა, ჩვენში უმოქმედოდ შთენილი, სატარებლად მძიმე და უნაყოფო, როგორც დანაშაული, ან სასჯელი. დარჩა მხოლოდ მოთმინება ხვალინდელი დღის გარეშე და ჭიუტი მოლოდინი. ამ მხრივ ზოგი ჩვენი ქალაქელის ყოფა გაგახსენებდათ იმ გრძელ რიგებს, ქალაქის ოთხსავე კუთხეში რომ შეხვდებოდით სასურსათო მაღაზიების წინ. აქაც და იქაც იგივე ხვედრს შერიგება და იგივე მოთმინება იყო, ერთსა და იმავე დროს უსაზღვროცა და ილუზიებს მოკლებულიც. ეს გრძნობა გაათასკეცებული უნდა წარმოგედგინა, გაყრილ მიჯნურთა სულისკვეთებას თუ მივუსადაგებდით, რადგან აქ სხვა შიმშილთან გვქონდა საქმე, რომელიც განადგურებით ემუქრებოდა ყველაფერს.

ასეა თუ ისე, თუკი ვივარაუდებთ, რომ მკითხველს სურს ზუსტი წარმოდგენა იქონიოს, თუ რას ფიქრობდნენ გაყრილი მიჯნურები, ხელახლა უნდა შევახსენოთ ის ოქრონაყარი და მტვრიანი საღამოები, რომლებიც უხეებო ქალაქში ჩამოდგებოდა ხოლმე, სანამ კაცები და ქალები გამოეფინებოდნენ ქუჩებში. ჩვენდა გასაოცრად, რაკი მანქანები აღარსად ჩანდნენ, რომელთა ხმითაც ჩვეულებრივ ქალაქი მეტყველებს ხოლმე, საღამოობით ჯერ კიდევ მზით განათებული ტერასებისკენ მიიწევდა ნაბიჯების საშინელი ხმაური და ყრუ დრტვინვა, უბედურების სტვენის ხმას აყოლილი ათასობით ლანჩის ნაღვლიანი ტყაპატყუპი დამძიმებული ცის ქვეშ. ეს იყო დაუსრულებელი და სულისშემხუთველი ტკეპნა ადგილისა, თანდათანობით რომ მოიცავდა ხოლმე მთელ ქალაქსა და დღითი დღე სიჯიუტის უერთგულეს და უმწუხარეს ხმად იქცეოდა, ბრმა სიჯიუტისა, ჩვენს გულებში სიყვარულის ადგილი რომ დაეკავებინა.

სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში შავ ჭირს ისევ თავის ჭანგებში ჰყავდა ქალაქი მოქცეული. რაკი ადგილის ტკეპნაზე მიდგა საქმე, ათასობით კაცი ტკეპნიდა ერთ ადგილს ამ კვირების მანძილზე, რომელთაც ბოლო არ უჩანდა. ნისლი, სიცხე და წვიმა ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ხაჭირეთიდან მოფრენილმა შოშიების და შაშვების მღუმარე გუნდებმა ძალიან მაღლა გადაიარეს, ქალაქს გვერდი აუქციეს, თითქოსდა პანელუს ეპიძანობის ოროლი, სტვენით რომ ტრიალებდა სახლებს ზემოთ, ძირს დაშვებას არ ანებებდათ. ოქტომბრის დამდეგს კოკისპირულმა წვიმებმა დატბორეს ქუჩები. და მთელი ამ ხნის განმავლობაში ორანელები სულ ერთ ადგილს ტკეპნიდნენ, სხვა რამ მნიშვნელოვანი არ მომხდარა.

რიემ და მისმა მეგობრებმა მაშინლა შენიშნეს, თუ რა ზომამდე დაღლილიყვნენ. ველარც სანიტარული რაზმების ხალხი ახერხებდა გამკლავებოდა ამ დაქანცულობას. ექიმმა რიემ ეს მაშინ შეამჩნია, როცა დაინახა, მის მეგობრებსა და თვითონ მასაც როგორ დარია ხელი უცნაურმა გულგრილობამ. ასე მაგალითად, იმ ხალხს, ვინც აქამომდე ცხოველ ინტერესს იჩენდა ყოველივე იმის მიმართ, რაც შავ ჭირს შეეხებოდა, ახლა სულაც არაფერი ენალვლებოდა.

რამბერმა, დროებით ერთ-ერთი საკარანტინო სახლის განმგებლობა რომ ჩააბარეს, რომელიც ის-ის იყო, მის სასტუმროში გაემართათ, შესანიშნავად იცოდა, რამდენი კაცი ჰყავდა მიბარებული. იმ სისტემის ყველა წვრილმანიც ზედმიწევნით იცოდა, იმათი სასწრაფო გადაყვანისათვის რომ იყო დადგენილი, ვისაც უეცრად ავადმყოფობის ნიშნები გამოაჩნდებოდა. კარანტინში მოხვედრილებზე შრატის რა ეფექტურობას აღწევდა, იმის მონაცემებიც მეხსიერებაში ჰქონდა ამოკვეთილი, მაგრამ იმის თქმა კი არ შეეძლო, კვირაში ჭირი რამდენი ადამიანის სიცოცხლეს იწირავდა. არსებითად ისიც არ იცოდა, მათი რიცხვი მატულობდა თუ კლებულობდა. თვითონაც, ყველაფრისდამიუხედავად, მალე გაქცევის იმედით სულდგმულობდა.

სხვებიც დღისით და ღამით თავიანთ სამუშაოში იყვნენ ჩაფლულნი, გაზეთებს არ კითხულობდნენ და არც რადიოს უსმენდნენ. თუ შედეგების ამბავს ეტყოდა ვინმე, ისეთ სახეს იღებდნენ, თითქოს აინტერესებდათ, მაგრამ სინამდვილეში გაგონილს იმ დაბნეული გულგრილობით ხვდებოდნენ, რომელიც ხანგრძლივი ომის მონაწილეებს შეიძლება ჰქონდეთ, ქანცი რომა აქვთ გაცლილი, მარტო იმის ცდაში არიან, იმდღევანდელი ვალი აღასრულონ და უკვე აღარც გადამწყვეტი შეტევისა და აღარც ზავის დადების იმედი აღარა აქვთ.

გრანიც, ჭირიანობის სტატისტიკურ ანგარიშს რომ აწარმოებდა, უთუოდ ვერ შეძლებდა საერთო შედეგებზე რაიმეს თქმას. რამბერის, ტარუსა და რიესაგან განსხვავებით, დაღლა რომ არ ერეოდათ, ჯანი მუდამ სუსტი ჰქონდა. მაინც ერთმანეთს უთავსებდა მერიის მოხელის, რიეს მდივნის თანამდებობასა და ღამის სამუშაოებს. ამიტომ სულ გამუდმებით ილაჯგაწყვეტილს ნახავდით, ძალას მარტო ორი თუ სამი აკვიატებული აზრი მატებდა. ფიქრობდა, ჭირიანობის შემდეგ ერთს გემრიელად დავისვენებ, ერთ კვირას მაინცო და გულიანად ვიმუშავებ იმაზე, რაზედაც „მოწიწებით მოიხადეთ ქუდები“ — იტყვიანო. უეცრად იცოდა გულის აჩვილება და ასეთ წუთებში სიამოვნებით უყ-

ვებოდა რიეს ქანაზე, თავს ეკითხებოდა, ნეტა ახლა, ამ წუთას სად არისო და გაზეთებს რომ კითხულობს, თუ ფიქრობს ჩემზეო. რიემაც სწორედ მას უამბო ვითომ სასხვათაშორისოდ თავის ცოლზე, რაც აქამომდე არავისთან დასაუბრებია და გაუკვირდა. ცოლის მანუგეშებელ დებუშებს მაინცდამაინც არ ენდობოდა, გადაწყვიტა, შეკითხვა გაეგზავნა კლინიკის მთავარი ექიმისკენ და დაეცა ქალი მკურნალობდა. იქიდან აცნობეს, თქვენს ცოლს ავადმყოფობის გამო ურთულდაო, თან არწმუნებდნენ, ყოველივეს ვილონებთ, რომ სენის განვითარებას წინ აღვუდგეთო. ეს ახალი ამბავი არავისთვის გაუნდვია და თუ არ დადლილობით, სხვაფრივ ვერაფრით აეხსნა, როგორ შეეძლო ამის გამხვლა გრანისათვის. მოხელემ, მას შემდეგ, რაც ქანაზე ელაპარაკა, გამოკითხვა დაუწყო ცოლზე და რიეც პასუხობდა. „იცი, — უთხრა გრანმა, — ეს სენი ახლა იოლად იკურნება“. და რიეც დაეთანხმა, ოღონდ დააყოლა, განშორება ერთობ გაგვიგრძელდა, მე იქნებ მოვხმარებოდი ჩემს ცოლს სენის დაჯავნაში, ახლა კი თავს ალბათ სულ ეუღლად გრძნობსო. შემდეგ გაჩუმდა და გრანის კითხვებზე პირდაპირ პასუხს თავს არიდებდა.

დანარჩენებიც ამ დღეში იყვნენ. ტარუს სხვაზე უკეთ ეჭირა თავი, მაგრამ მისი უბის წიგნაკები მოწმობენ, რომ თუმცა მის ცნობისმოყვარეობას სიმძაფრე არ დაჰკლებია, იმდენ საგანს ველარ მოიცავდა. მართლაც, მთელი ამ ხნის განმავლობაში თითქოს კოტარის მეტი არავინ აინტერესებდა. მას შემდეგ, რაც მისი სასტუმრო საკარანტინო სახლად აქციეს, საბოლოოდ რიესთან გადამარგდა და სადამოობით ცალი ყურით თუ უსმენდა გრანს ან ექიმს, როცა ისინი ეპიდემიის შედეგებზე ესაუბრებოდნენ. საუბარი მყისვე ორანის ყოველდღიურ წვრილმანზე გადაჰქონდა, რადგან მათდამი ინტერესი არასოდეს განელეებია.

ერთ დღეს კასტელი მოვიდა ექიმთან და უთხრა, შრატის უკვე მზადა მაქვსო. გადაწყვიტეს, პირველად მისი მოქმედება ბ-ნ ოტონის ბიჭუნაზე ეცადათ, რომელიც ის-ის იყო, საავადმყოფოში მოეყვანათ და რიეს უკვე განწირულად მიაჩნდა. მერე ექიმმა უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემები აცნობა თავის ძველ მეგობარს, მაგრამ შენიშნა, რომ მის თანამოსაუბრეს ღრმა ძილით ჩასწინებოდა სავარძელში. სახე, რომელსაც, ჩვეულებრივ, სინაზე და ირონია მარად ჭაბუკურ იერს აძლევდა, ერთბაშად მოშვებულყო, ხოლო გაპობილ ბაგეზე ნერწყვის ძაფი გადმოჰკიდებოდა; აშკარად მოჩანდა კასტელის სიბერე და სიძაბუნე და რიემ იგრძნო, როგორ შეეკუმშა გული.

რიეს ამ სისუსტით შეეძლო განესაზღვრა, რაოდენ ძლიერ იყო თვითონაც დადლილი. მგრძობიარობაც დალატობდა. ნიადაგ შებოჭილი, გაუხეშებული და გამოფიტული სულს დაფავდა და იმ ემოციათა ანაბარად იყო მიგდებული, რომელთაც თავად ველარ განაგებდა. მისთვის სწორედ ეს გახევება იყო ერთადერთი თავშესაფარი; გრძნობდა, მაგრამ უნდა შეეკრა ყულფი, სულში რომ გასჩენოდა. კარგად უწყოდა, ეს საუკეთესო ხერხი იყო საიპისოდ, შემდეგშიაც რომ გაეძლო. თითქმის აღარ შემორჩენოდა ილუზიები, ხოლო რაც შემორჩენოდა, იმასაც დაცლილობა უქარწყლებდა, რადგან იცოდა, რომ ამ პერიოდისათვის, რომლის ბოლოსაც ვერ სჭვრეტდა, მისი როლი სწავლთ განკურნებაში აღარ მდგომარეობდა, მას აღარაფერი ეკითხებოდა დიაგნოზის დასმის მეტი. უნდა მიეკვლია, ენახა, აღეწერა, აღენუსხა, მერე განაჩენი გამოეტანა, ეს იყო მისი საქმე. ცოლები მაჯებში სწვდებოდნენ და შეპ-

ბლოდნენ: „ექიმო, აჩუქეთ სიცოცხლე!“ მაგრამ ის სიცოცხლის საბოძებლად როდი იყო მისული. იმისათვის მისულიყო, რომ ბრძანება გეცა, სნეული სხვებს განარიდეთო. მაშ, რა აზრი ჰქონდა სიძულვილს, დაბხედურთა სახეებზე რომ კითხულობდა? „თქვენ გული არა გქონიათ“, — უთხრეს ერთ დღეს. მაგრამ როგორ არა, ჰქონდა გული. ეს გული ატანიებდა, ჩუქრულად საათს ეცქირა, როგორ იხოცებოდნენ ადამიანები, სიცოცხლისათვის იყვნენ შობილნი. იგი ეხმარებოდა დღეცისმარე თავიდან დაეწყო ყველაფერი. დღეიდან მხოლოდ საამისოდ შესწევდა გული. მაშ, როგორღა ეყოფოდა ეს გული სიცოცხლის საბოძებლადაც?

არა, შემწეობით ვერავის ეწეოდა, მარტო ცნობებს არივებდა დღის განმავლობაში. ამას, ცხადია, კაცის საფერი სამუშაო არ ეთქმოდა. მაგრამ საბოლოო ჯამში ამ თავზარდაცემულსა და განადგურებულ ბრბოში ვის ჰქონდა საიმისო წუთისოფელი, თავისი კაცური საქმე ეკეთებინა? კიდევ კარგი, რომ დაღლილობა მაინც არსებობდა. რიე უფრო მოსვენებული რომ ყოფილიყო, ეს ყველგან გაბნეული სიკვდილის სუნი უთუოდ სანტიმეტალურს გახდიდა. მაგრამ, როცა დღეში მხოლოდ ოთხ საათს გძინავს, სანტიმენტალური ვერ იქნები; საგნებს ისე აღიქვამ, როგორც სინამდვილეში არიან, ესე იგი, სამართლიანობის შუქზე, საზარელი და სასაცილო სამართლიანობის შუქზე. დანარჩენები — განწირულებიც კი გრძნობდნენ ამას. ეამიანობამდე ისე ღებულობდნენ რიეს, როგორც მხსნელს შეჭფერის. ყველაფერს უწამლებდა რალაც სამიოდე აბითა და შპრიცით და ხელს ართმევდნენ, როცა გრძელ დერეფანში მიაცილებდნენ. ეს გულს ეამებოდა, მაგრამ სახიფათო იყო. ახლა, პირიქით, ჯარისკაცების თანხლებით მოდიოდა, ჯარისკაცები კონდახებს სცემდნენ კარებს, სნეულის ახლობლებს შინ რომ შეეშვათ იგი. ბედკრულთ ერჩიათ, ისიცა და მთელი კაცობრიობაც თავიანთთან ერთად სიკვდილში ჩაეთრიათ. ეჰ! მართალია, ადამიანები უადამიანებოდ ვერ გაძლებენო; ისიც ისეთივე უმწეო იყო, როგორც ეს უბედურები და თავადაც იმსახურებდა იმ სიბრაულის თრთოლვას, რომელსაც მხოლოდ მაშინ მინებდებოდა, როცა ამ ბედკრულთა თვალს მიეფარებოდა.

მოკლედ რომ მოვჭრათ, ამ დაუსრულებელი კვირების მანძილზე ასეთ აზრებს უტრიალებდა ექიმ რიეს გონება განშორებულ ცოლზე ფიქრთან ერთად. ეს ის ფიქრები გახლდათ, რომელთა ანარეკლსაც თავისი მეგობრების სახეებზე კითხულობდა. მაგრამ ყველაზე უფრო სახიფათო შედეგი ამ დაქანცულობისა, თანდათან რომ რევდა ხელს იმათ, ვინც ჭირთან ბრძოლას აგრძელებდა, ამ ამბებისა და სხვათა ემოციებისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში კი არ მდგომარეობდა, არამედ დაუდევრობაში, რომელსაც ამ ბოლო დროს თავი დაუდეს: რადგან მაშინ ყველა გამეცადინებული გახლდათ ხელიც კი არ გაენძრიათ, თუ ეს აუცილებელი არ იყო, რაკი ფიქრობდნენ, ყოველი ხედმეტი მოძრაობა ჩვენს ძალ-ღონეს აღემატებაო. ამ ადამიანებმა თანდათან დაივიწყეს ჰიგიენის წესები, რომლებიც თავადვე შემოიღეს; დაივიწყეს, თუ რამ პირადი დეზინფექცია ჰქონდათ ჩასატარებელი. ხანდახან ფილტვების ჭირით შეპყრობილ ავადმყოფთან ისე გარბოდნენ, არავითარ ღონეს არ ხმარობდნენ საიმისოდ, სენი რომ არ გადადებოდათ, რაკი ბოლო წუთებში თუ შეიტყობდნენ, იმ სახლში მოგვიწევს წასვლა, საცა ჭირმა იჩინა თავიო, იმის არაქათი აღარ შესწევდათ, სადმე სამედიცინო პუნქტში შეველოთ შრატის შე-

საშხაპუნებლად. ეს იყო ჭეშმარიტი საფრთხე, რადგან თვით ჭირთან ბრძოლა მათ ჭირისათვის ყველაზე იოლ ლუკმად აქცევდა; მოკლედ, შემთხვევაზე ამყარებდნენ იმედს, შემთხვევა კი კაცს სულ ადვილად გიმტყუნებს.

მაგრამ ქალაქში მაინც იყო ადამიანი, ვინც არც გადაქანცული ჩანდა, არც იმედწარხოცილი და კმაყოფილების ცოცხალ განსახიერებად ჩანებოდა. ეს კოტარი გახლდათ. კვლავ განმარტოებით იყო, მაგრამ ხალხს უწინდელს არ გაურბოდა. მაინც ამჯობინებდა, ყველაზე ხშირად ტარუსთან ევლო, როცა კი ამ უკანასკნელს სამუშაო მისი მასპინძლობის ნებას აძლევდა. ეს იმიტომ, რომ ტარუმ ძალიან კარგად იცოდა მისი მდგომარეობა და წვრილ რანტიეს მუდამ გულითადობით ღებულობდა. ეს მიწყვიტი სასწაული იყო, მაგრამ მიუხედავად უამრავი საქმისა, მხრებზე რომ აწვა, ტარუ მუდამ ყურადღებიანი და კეთილმოსურნე რჩებოდა. მაშინაც კი, როცა დაღლილობა საღამომობით ილაჯს აცლიდა, მეორე დღეს ახალი ენერგიით იღვიძებდა. „მასთან საუბარი შეიძლება, — უთხრა კოტარმა რამბერს, — იმიტომ, რომ მუდამ გაგიგებს; ნაღდი კაცია“.

1898

ამიტომაც, რომ ამ ხანებში ტარუს ჩანაწერებში კოტარის სახელი სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება. ტარუ შეეცადა მოეცა კოტარის ქცევისა და აზრთა მდინარების სურათი, იმგვარი, როგორც კოტარის ნაამბობის მიხედვით ესახებოდა. ცალკე თავიც კი გამოუყო: „კოტარისა და შავი ჭირის ანგარიშები“. ამ თავს უბის წიგნაკის რამდენიმე გვერდი უჭირავს და მთხრობელს მიზანშეწონილად მიაჩნია იქიდან ზოგი ამონაწერის მოხმობა. ტარუს საერთო შეხედულება წვრილ რანტიეზე ამ დასკვნაში გამოიხატებოდა: „ესაა კაცი, რომელიც იზრდება“. უკეთ რომ ითქვას, ხალისი ემატებოდა. უკმაყოფილო როდი გახლდათ იმით, საქმემ ასეთი მიმართულება რომ მიიღო. ხანდახან თავის ამ იღუმალ ფიქრს ტარუს უმხელდა: „ცხადია, საქმე მაინცდამაინც ვერაა რიგზე, მაგრამ ასეა თუ ისე, ყველანი ერთ ტაფაში ვიწვით“.

„რასაკვირველია, — დასძენდა ტარუ, — მასაც სხვებსავით მოელის საფრთხე, მაგრამ სწორედ რომ სხვებსავით. თანაც დარწმუნებული ვარ, სერიოზულად არცა სჯერა, რომ მასაც შეიძლება ჭირი შეეყაროს. ისეთი სახე აქვს, თითქოს იმ ფიქრით სულდგმულობს, მთლად სულელურიც რომ არ უნდა იყოს: კაცს, რომელიც მძიმე სენს ან დიდ მწუხარებას გაუთანგავს, სხვა სნეულებანი ვერაფერს დააკლებსო. „შეგინიშნავთ თუ არა, — მითხრა ერთხელ, — რომ არ შეიძლება რამდენიმე სენი ერთად აგეკიდოთ? წარმოიდგინეთ, სერიოზული სენი გაქვთ, მამალი კიბო, ანდა გვარიანი ტუბერკულოზი, თავის დღეში არ შეგეყრებათ ჭირი ანდა ტიფი, ეს შეუძლებელია. მეტსაც გეტყვით: თავის დღეში ვერ ნახავთ, კიბოიანი კაცი მანქანას გაეტანოს“. მცდარი იყო თუ მართალი, ეს აზრი კოტარს სიმხნევეს მატებდა. ერთადერთი რამ, რასაც ნატრობდა, ის იყო, სხვებისაგან მოწყვეტილი ნუ ვიქნებო. ერჩია ყველასთან ერთად ყოფილიყო ალყაში მოქცეული, ვიდრე საპყრობილეში მართოკა მჯდარიყო. ქამიანობის დროს ვიღას სცალია საიდუმლო ანკეტებისათვის, დოსიეებისათვის, საკატალოგო ბარათებისათვის, საიდუმლო მითითებებისა და დაპატიმრებისათვის. კაცმა რომ თქვას, აღარ იყო პოლიცია, არც ჭველი და ახალი დანაშაულებანი, აღარც დამნაშავენი, მხოლოდ მსჯავრდებულები დარჩნენ, პოლიციელების ჩათვლით და ყველანი უზენაეს წყალობას ელოდნენ. ამგვარად კოტარი, ისევ და ისევ ტარუს მტკიცებით, მიდრეკილი იყო შემწყნარებლური და გამგებიანი კმაყოფილებით ეცქირა იმ მწუ-

ხარებისა და დაბნეულობისათვის, ჩვენი თანამოქალაქენი რომ დაეზაფრა და ეს კმაყოფილება გამოიხატებოდა შემდეგი სიტყვებით: „რაც გინდათ თქვით, მე კი ყოველივე ეს თქვენზე აღრე გამოვცადე“.

„ამაოდ ვუჩიჩინებდი, ერთადერთი გზა, სხვებს არ დაშორდეს ისაა, სუფთა სინდისი გქონდეს-მეთქი. ბოროტად შემომხედა და მიფიქრავს: მაგ ანგარიშით სუყველა მარტოსულია“, შემდეგ კი დასძინა: „მეცნობათ ისა თქვით, მე კი ასე მწამს: ერთადერთი გზა ხალხის გასაერთიანებლად მათთვის შავი ჭირის მოვლენა იყო. აბა, მიმოიხედეთ ირგვლივ!“ და მართლაც, კარგად მესმის რისი თქმა უნდა და ჩვენი დღევანდელი ყოფა რა ხელსაყრელად უნდა ეჩვენებოდეს. ძალიან კარგად იცნობს იმ სულისკვეთებას, უწინ მარტო მისი ხვედრი რომ იყო: თითოეული ჩვენგანის წადილს, ყველა თავისკენ გადაიბიროს. ამის წყალობაა თავაზიანობა, რომელსაც გზააბნეული კაცისადმი ვიჩინთ, თუმც სხვა დროს თავს არ ავითკივებდით მისთვის. ამის ბრალია, ხალხი მდიდრულ რესტორნებს რომ აწყდება, რომ სიამოვნებს იქ ყოფნა და დროსტარება; ამიტომა დგას ზღვა ხალხი რიგში კინოთეატრების წინ დღეცისმარე, სანახაობათა დარბაზებს ავსებს და დანსინგებს, ფაფარაყრილ ზღვასავით აწყდება ყველა თავშეყრის ადგილს. ცალკერძ ყოველგვარი კონტაქტის შიშია და ცალკერძ — ადამიანური სითბოს წყურვილი, ადამიანებს მაინც ერთიმეორისაკენ, მკლავს მკლავისაკენ და სქესს სქესისკენ რომ უბიძგებს. კოტარმა, თქმა არ უნდა, სხვაზე უწინ გაიგო ეს. ცხადია, ქალების ამბავს კი არ ვგულისხმობ, რადგან მისნაირი კაცისათვის... ვფიქრობ, ალბათ ბევრჯერ დააპირა კახებთან წასვლა, მაგრამ გადაიფიქრა, სახელი არ შემებღალოს და შემდეგ სანანებლად არ დამირჩესო.

მოკლედ, უამიანობა ძალიან წაადგა. შავმა ჭირმა ეს ეული კაცი თავის თანამზრახველად აქცია. თანაც, ცხადია, კოტარი დიდ სიტკბოებას ჰპოვებს ამ თანამზრახველობაში. თანამონაწილედ გაუხდა ყოველივე იმას, რასაც ხედავს — ცრურწმენებს, უგონო ძრწოლას, შეშფოთებული სულების წრეგადასულ მგრძნობიარობას. მასაც სხვებსავით იბყრობს მანია, რაც შეიძლება ნაკლები ილაპარაკოს შავ ჭირზე და მაინც მუდამ უამიანობა ეკეროს პირზე. სხვებისა არ იყოს, თავი ოდნავ თუ წამოსტკივდა, გიჟდება, ფერი მისდის, რაკი იცის, რომ სენი ამ სიმპტომით იწყება. მასაც დასჩემდა გულფიცხოება, ზედმეტად მგრძნობიარე და ფხუკიანი გახდა, უბრალო გულმავიწყობას შეურაცხყოფად რომ მიიჩნევს და სასოწარკვეთას ეძლევა, თუკი შარვლის ღილი დაეკარგა.“

ზოგჯერ ტარუს საღამოობით, კოტართან ერთად უხდებოდა გავლა. მერე თავის უბის წიგნაკში ყვებოდა, მხარდამხარ მავალნი როგორ ინთქმებოდნენ მწუხრის ან ღამეულ პირქუშ ბრბოში, როგორ ამოტივტივდებოდნენ ამ თეთრსა და შავ მასაში, რომელსაც აქა-იქ თუ ფლეთდა ფარნების შუქი და როგორ მისდევდნენ ხალხის არვეს იმ ადგილებისაკენ, სადაც ეძლეოდნენ მწველ სიამოვნებათ, ჩვენს თანამოქალაქეებს შავი ჭირის სუსხისაგან რომ იცავდა. ფუფუნებასა და ხელგაშლილ ცხოვრებას, ამ რამდენიმე თვის უკან კოტარი ამაოდ რომ დაეძებდა თავშეყრის ადგილებში, ახლა მთელი ქალაქი ეტანებოდა, ლაგამაწყვეტილ სიამოვნებათაკენ მიილტვოდა სუყველა. თუმცა ყველაფრის ფასი განუხრელად მატულობდა, ამდენი ფული არასოდეს გაუფლანგავთ, და თუმც უმრავლესობას აუცილებელიც კი აკლდა, ასე არხეინად თავის დღეში არ გაუტანებიათ ქონება ქარისათვის. უსაქმურობის აზარტული თამაშობანი

გამრავლდა, თუმცა უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, უმუშევრობისა-მეთქი. ტარუ და კოტარი ხანდახან საათობით უთვალთვალდნენ ერთ წყვილთაგანს, რომელიც წინათ ცდილობდა დაემალა, რა აკავშირებდა ერთმანეთთან ახლა კი ერთიმეორეს მიკრულნი ჯიუტად მიაბიჯებდნენ ქალაქში და ვერც კი ამჩნევდნენ ბრბოს, გარს რომ ერტყათ; მხოლოდ დიდ სიყვარულს, სჩვევით, კმგვარი უგულისყურობა. კოტარს გული უჩვილდებოდა, დახეკილხეკილად თავის ქნევით. ხმამალლა ლაპარაკობდა, ხარობდა საყოველთაო ციებ-ცხელებით გარემოცული, მეფური გასამრჯელოების შემყურე, უხვად რომ არიგებდნენ და ინტრიგების შემხედვარე, ყველას თვალწინ რომ ინასკვებოდა.

ტარუს მაინც მიაჩნდა, რომ კოტარის საქციელში დიდი ბოროტება არ არის. მისი „მე ეს მათზე უწინ გამოვიარე“ უბედურების ძახილი უფრო იყო, ვიდრე ნიშნის მოგება. „მე ვფიქრობ, — წერდა ტარუ, — თანდათან უყვარდება ამ ცასა და მშობლიური ქალაქის კედლებს შორის დატყვევებული ხალხი. სიამოვნებით აუხსნიდა კიდევ მათ, რომ შეეძლოს, ასე საშიში არა არისო. „ხომ ვესმით, — მითხრა, — როგორ ამბობენ, ჭირიანობის შემდეგ ამას ვიზამ, ჭირიანობის შემდეგ იმას ვიზამო... დღეს იწამლავენ, ნაცვლად იმისა, მშვიდად მიწებდნენ ბედს. თანაც ვერ ხვდებიან, რა უპირატესობა მოუვლინათ განგებამ. განა მე შემეძლო მეთქვა, რომ დამიჭერენ, ამას და ამას ვიზამ-მეთქი? დაპატიმრება დასაწყისია, დასასრული კი არა. ჭირი კი... გინდათ ჩემი აზრი? ისინი უბედურები არიან, რაკი ჭირს თავს არ უღებენ. მე კარგად ვუწყვი, რასაც მოგახსენებთ“.

„მართლაც იცის, რასაც ამბობს, — დასძენდა ტარუ, — კარგად სწვდება იმ წინააღმდეგობათა არსს, ორანელთა გულები რომ მოუცავს. თუმც კი ღრმად გრძნობენ იმ სითბოს საჭიროებას, მათ ერთმანეთთან რომ აახლოებს, არ ძალუძთ აპყვნენ გულის კარნახს, რაკი ერთმანეთს არ ენდობიან. ვინ არ უწყის, რომ მეზობლის ნდობა არ იქნება, რომ მას შეუძლია ჭირი შეგყაროთ ანაზღუელად, ისარგებლოს თქვენი მიმნდობლობით და ბაცილები გადმოგდოს. როცა ამდენ ხანს კოტარივით დამსმენები გელანდება იმათ შორის, ვისკენაც მაინც მიგიწევს გული, შეიძლება გაიგო ეს გრძნობა. ძალიან კარგადაც შეიძლება უთანაგრძნო ხალხს, რომელსაც არ ასვენებს აზრი, შავ ჭირს ყოველდღე შეუძლია ხელი დაგვადოს მხარზე და იქნებ ემზადება კიდევ საამისოდ ახლა, ამ წუთას, როცა ვნეტარებთ, ვხარობთ, რომ ჯერ კიდევ საღ-სალამათნი ვართო. რამდენადაც წარმოსადგენია ამ საყოველთაო ძრწოლის უამს, თავს ხალვათადა გრძნობს. მაგრამ რაკი ყოველივე ეს მათზე ადრე იწვინია, ვფიქრობ, აღარ შეუძლია განიცადოს მთლად მათთან ერთად ამ ორჭოფული მდგომარეობის მთელი სისასტიკე. მოკლედ, ჩვენზე, ჭირისაგან ჯერ არდახლოცილებზე ნაკლებ როდი უწყის, რომ მის თავისუფლებას და მის სიცოცხლეს დღეცისმარე დაღუპვა ელის. მაგრამ რაკი თვითონ უცხოვრია შიშით დაზაფრულს, სამართლიანად მიაჩნია, რომ აწი სხვებმაც იწვინონ ეს შიში. უფრო ზუსტად, შიშის ზაფრა მას ნაკლებ მძიმე ეჩვენება, ვიდრე მაშინ, მარტო რომ იყო. სწორედ ამაში ცდება და უფრო ძნელი გასაგები გახლავთ, ვიდრე სხვები. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, სწორედ ამით იმსახურებს სხვებზე მეტად, რომ შეეცადონ და გაუგონ“.

ტარუს ჩანაწერი თავდება ამბით, რომელიც შუქს ჰფენს იმ უცნაურ გუნება-განწყობილებას, კოტარიცა და ჭირიანებიც რომ მოეცვა. ეს ნაამბობი და-

ახლოებით აღადგენს იმჟამინდელ მძიმე ატმოსფეროს და მთხრობელიც ამიტომ ანიჭებს დიდ მნიშვნელობას.

ერთხელ ოპერაში წავიდნენ, სადაც „ორფეოსი“ და ევრიდიკე“ იდგმებოდა. კოტარმა დაპატიჟა ტარუ. გამოდიოდა დასი, ჭირიანობის დამდეგ გაზაფხულს რომ ჩამოსულიყო ჩვენს ქალაქში საგასტროლოდ. უამიანობისაგან გარიყული დასის წევრები ჩვენი თეატრის მესვეურთ შეუთხანხმდნენ და იძულებით კვირაში ერთხელ გაითამაშებდნენ ხოლმე თავიანთ სპექტაკლს. ასე რომ, თვეების მანძილზე, ყოველ პარასკევს, ქალაქის თეატრს ორფეოსის მელიოდიური ჩივილი და ევრიდიკეს უმწურო ძახილი ავსებდა. სპექტაკლი მაინც მაყურებლის მოწონებით სარგებლობდა და შემოსავალიც მუდამ დიდი ჰქონდა. ყველაზე ძვირიან ადგილებზე გამოჭიმული კოტარი და ტარუ საუქმოდ გამოწყობილი ორანელებით გაჭედულ პარტერს გადასცქეროდნენ. ახლად შემოსულთ ცხადად ეტყობოდათ, ცდილობდნენ, დარბაზში მყოფთ მათი შემოსვლა არ დარჩენოდათ შეუნიშნავი. რამპის დამაბრმავებელ შუქზე, სანამ მუსიკალები ფრთხილად აწყობდნენ თავიანთ საკრავებს, მაყურებელთა სილუეტები ცხადლივ გამოიკვეთებოდა. რიგთა შორის მოდიოდნენ და მოხდენილად ესალმებოდნენ ერთმანეთს. დარბაისლურ საუბარში კაცებს უბრუნდებოდათ თვითდაჯერებულობა, ასე რომ აკლდათ რამდენიმე საათის წინ, ქალაქის ბნელ ქუჩებში. ფრაკს შავი ჭირი გაეძევებინა.

მთელი პირველი აქტის განმავლობაში ორფეოსი მოხდენილად ჩიოდა, რამდენიმე ტუნიკიანი ქალი გრაციოზულად უკეთებდა კომენტარს მის უბედურებას და ასე მღეროდნენ სიყვარულს არიებად. დარბაზმა გულთბილად, თავშეკავებით დაუკრა ტაში. ლამის არც შეუნიშნავთ, რომ ორფეოსმა მეორე მოქმედების არიაში გაუთვალისწინებელი თრთოლვა გაურია და, ცოტა არ იყოს, გადამეტებულის პათეტიკურობით სთხოვდა სულეთის განმგებელს, გული მოლობოდა მის ტირილზე. მისი მეყვსეული ქესტები მცოდნეებმა სტილიზაციის შედეგად მიიჩნიეს, მომღერლის ინტერპრეტაციას რომ ამდიდრებდა.

მაგრამ ორფეოსისა და ევრიდიკეს დიდი დუეტი რომ დაიწყო მესამე აქტში (როცა ევრიდიკე ხელიდან ეცლება თავის მეუღლეს), დარბაზი ცოტა არ იყოს, გაკვირვებამ შეიპყრო. და თითქოს მომღერალმა დარბაზის ეს სულისკვეთება შენიშნაო, ან უფრო უკეთ, თითქოს პარტერიდან მონადენმა ხმებმა დაარწმუნეს იმაში, რაც მის თავს ხდებოდა, ეს დრო შეარჩია, წინ, რამპისაკენ წავიდა უცნაურად ხელ-ფეხგაჩაჩხული თავის ანტიკურ სამოსელში და ძირს მოიღო ზღარბანი დეკორაციის ყვავილ-რტოებს შორის, თავიდანვე ანაქრონოლოგიის დადი რომ ესვა, მაგრამ მაყურებელთა თვალში ახლალა იქცა საშინელ ანაქრონიზმად. იმავე წამს ორკესტრი დადუმდა, პარტერში მჯდომი ხალხი ზე წამოიჭრა და ნელ-ნელა მდუმარედ იწყო გასვლა დარბაზიდან ისე, როგორც ეკლესიიდან გადიან ხოლმე, ღვთისმსახურება რომ მორჩება, ან როგორც მიცვალებულის ოთახიდან გაილალებიან ხოლმე; ქალებს კაბის კალთები წამოეკრიფათ და თავდახრილნი მიიპარებოდნენ კარებისაკენ, კაცები თავიანთ თანამგზავრებს იდაყვებით უკაფავდნენ გზას და სკამის საზურგეებს არიდებდნენ. მერე შეჩოჩქოლდნენ, ჩურჩული ყვირილად იქცა და ბრბო გასასვლელებს მიაწყდა, იქ შეტბორდა, ჭიკავ-ჭიკავი მორთო, დაბოლოს წივილ-კივილი ატეხა. კოტარი და ტარუც წამოდგნენ, მაგრამ დარბაზიდან არ გასულან. ისინი მარტონი აღმოჩნდნენ იმჟამინდელი ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი სურათის პირისპირ: შავი ჭირი სცენაზე იდგა კრუნჩხვაატეხილი მსახიობის სახით, დარ-

ბაზში კი მთელი ეს უსარგებლოდ შთენილი, სავარძლების წითელ ხავერდზე დავიწყებული მარაოები და აქა-იქ გარჩენილი მაქმანებილა მოჩანდა.

სექტემბრის პირველ დღეებში რამბერი თავდაუზოგავად მუშაობდა რიეს მხარდამხარ. მარტო ერთი დღის შვებულება მოითხოვა, როცა მისი მშობლების წინ გონზალესსა და ამ ორ ახალგაზრდას უნდა შეხვედროდა.

ამ დღეს, თორმეტ საათზე, გონზალესმა და ჟურნალისტმა შორიდანვე დაინახეს, როგორ მოდიოდნენ ბიჭები სიცილ-სიცილით. თქვეს, მაშინ ბედმა არ ვაგვიღიმა, მაგრამ ასედაც იყო მოსალოდნელი. თან დააყოლეს, ჯერჯერობით ვერც ვერაფერს გავაწყობთ, ახლა ჩვენი ყარაულობის კვირა არ არისო. შემდეგ კვირამდე უნდა მოეთმინათ. მაშინ ხელახლა ვცდითო ბედს. რამბერი დაყაბულდა. გონზალესმა მომავალ ორშაბათს დაუნიშნა პაემანი. ოღონდ მაშინ უკვე რამბერი მარსელსა და ლუისთან უნდა დასახლებულიყო. „მხოლოდ მე და შენ შევხვდებით. თუ ვერ მოვედი, პირდაპირ იმათთან მიხვალ; ახლავე აგიხსნი, სად დგანან“. მაგრამ ამ დროს მარსელმა თუ ლუიმ თქვა, ყველაფერს აჯობებს, ეს ამხანაგი ჩვენსა ახლავე წავიყვანოთო. თუ ერთობ წუნია არ არის, კიდევაც ვასადილებთ, საჭმელი ოთხივესთვის მოიძებნებაო. თან სახლსაც ნახავსო. გონზალესმა შესძახა, ჩინებული აზრიაო და ოთხივე ნავსადგურისაკენ მიმავალ გზას დაუყვა.

მარსელი და ლუი საფლოტო უბნის ბოლოში იდგნენ, იმ კარიბჭის მახლობლად, ზღვისპირა გზაზე რომ გადიოდა. პატარა, ესპანური სტილის სახლი ჰქონდათ, სქელკედლებიანი, ხის შეღებილი დარაბებით და თითქმის ცარიელი, გრილი ოთახებით. ბიჭების დედამ, მომლიძარე და სახედანაოქებულმა ქალმა ბრინჯი გამოუტანა სტუმრებს. გონზალესს გაუკვირდა, რადგან ქალაქში ბრინჯი უკვე გამწყდარიყო. კარიბჭესთან ვშოულობთო, — გაიცინა მარსელმა. სუფრაზე გონზალესი გაიძახოდა, რამბერი ჩვენი კაციო, ჟურნალისტი კი მხოლოდ იმ კვირაზე ფიქრობდა, აქ რომ უნდა დახანებულიყო.

სინამდვილეში ორი კვირა მოუხდათ ლოდინი, რადგან ყარაულთა მორიგეობა ორ კვირამდე გაზარდეს, რაზმების რიცხვი რომ შეემცირებინათ. მთელი ამ თორმეტი დღის მანძილზე რამბერი თავდაუზოგავად, შეუსვენებლივ მუშაობდა ალიონიდან დაღამებამდე და ვერაფერს ამჩნევდა ირგვლივ. გვიან ღამით წვებოდა და მკვდარივით იძინებდა. უეცარმა გადასვლამ უსაქმობიდან ჯანცგამცლელ მუშაობაზე თითქმის უსიზმროდ დატოვა და ძალა წაართვა. ცოტას ლაპარაკობდა თავის მომავალ გაქცევაზე. ღირსშესანიშნავი მხოლოდ ის იყო, რაც ეჭიმს გაანდო ერთი კვირის თავზე: მთელი ამ ხნის განმავლობაში გუშინ პირველად დავთვერიო. ბარიდან გამოსულს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ საზარდული შესიებოდა და ილღიებშიც ისე სტეხდა, ხელის განძრევა უჭირდა. გაიფიქრა, უთუოდ ჭირი შემეყარაო, და თუმცა კი შემდეგ გამოუტყდა რიეს, უგუნურება იყო, სხვა რომ ველარაფერი მოიფიქრა, ქალაქის ყველაზე შემალღებულ ადგილს მიაშურა და იქ, პატარა მოედნიდან, საიდანაც ზღვას ვერ უწვდენდით თვალს, მაგრამ ცოტა მეტი ცა ჩანდა, თავის ცოლს დაუძახა ხმამაღლა, ყვირილით, ქალაქის კედლებს გადაღმა. შინ რომ დაბრუნდა და თავს სენის ვერავითარი ნიშანი ვერ შეატყო, შერცხვა ამ უეცარი სისუსტისა. რიემ უთხრა, ძალიან კარგად მესმის თქვენი, ამგვარი საქციელი ჩემის ფიქრით სავსებით ბუნებრივიაო.

— ბატონი ოტონი მელაპარაკა თქვენზე ამ დილით, — დასძინა უეცრად რიემ იმ დროს, როცა რამბერი ემშვიდობებოდა, — მკითხა, თუ იცნობთო. დამავალა, ურჩიეთ, კონტრაბანდისტებში ნუ ტრიალებს, შენინულია უკვეო.

— მაგით რისი თქმა გნებავთ?

— იმისა, რომ უნდა იჩქაროთ.

— გმადლობთ, — უთხრა რამბერმა ექიმს და ხელბრახეჭრეჭეჭა

ზღურბლთან უეცრად შემობრუნდა. რიემ შენიშნა, რომ ჭირიანობის აქეთ პირველად იღიმებოდა:

— რატომ არ მიშლით ხელს წასვლაში? ხომა გაქვთ ამის საშუალება?

რიემ თავი გააქნია, როგორც სჩვეოდა ხოლმე, და უთხრა, ეს თქვენი საქმეა, ბედნიერება ირჩიეთ და მე, რიე, ვერავითარ საბუთს ვერ დაგიპირისპირებთ; სად ძალმიძს განვსაჯო ამ საქმეში რაა კეთილი და რა ბოროტო.

— მაშ, რატომღა მაჩქარებთ?

ახლა რიესაც მოერია ღიმილი:

— იქნებ იმიტომ, რომ მეცა მსურს ბედნიერებისათვის რაღაც გავაკეთო.

მეორე დღეს ამეებზე აღარ ულაპარაკიათ, უხმოდ მუშაობდნენ. მომდევნო კვირას რამბერი, როგორც იქნა, გადაბარგდა პატარა ესპანურ სახლში. საწოლი საერთო ოთახში დაუდგეს. რაკი ბიჭები სადილად შინ არ ბრუნდებოდნენ და რამბერსაც სთხოვეს, რაც შეიძლება, იშვიათად გადით გარეთო, სულ მარტო იყო, ანდა, დრო რომ მოეკლა, მოხუც ქალს ესაუბრებოდა. ქალი სულ ფუსფუსებდა. ხმელ-ხმელი იყო, შავით მოსილი, დანაოჭებული, შავ-გვრემანი სახე ჰქონდა და თეთრი, სპეტაკი თმა. სიტყვას ძვირად თუ იტყოდა, მარტო თვალებით იღიმებოდა, როცა რამბერს უცქეროდა.

ხანდახან ჰკითხავდა, არ გეშინიათ, ცოლს შავი ჭირი რომ შეჰყაროთო. რამბერი მიუგებდა, ეგ მოხდება თუ არა არავინ უწყის, ჩემი ამ ქალაქში დარჩენით კი შეიძლება სამუდამოდ დავცილდეთ ერთმანეთსო.

— ეშხიანია? — ეკითხებოდა მოხუცი ღიმილით.

— ძალიან.

— ლამაზია?

— მე მგონი.

— აჰა, კიდევაც მაგიტომ მიისწრაფით. — ამბობდა ქალი.

რამბერი ჩაფიქრდა. უთუოდ ამიტომაც მიეჩქარებოდა შინისაკენ, მაგრამ შეუძლებელი იყო, მხოლოდ ეს ყოფილიყო მიზეზი.

— ღმერთი არა გწამთ? — ეკითხებოდა ქალი, თვითონ ყოველ დილით წირვაზე რომ დადიოდა.

რამბერი გამოუტყდა, არაო და მოხუცმა ქალმა გაიმეორა, კიდევაც მაგიტომ მიისწრაფითო.

— მაშინ სწორად იქცევით; გაემგზავრეთ მასთან, თორემ რაღა დაგრჩენიათ?

რამბერი მთელი დღეები შიშველ და კირით შეფეთქილ კედლებშუა ტრიალებდა; ხელით ეალერსებოდა ტიხრებზე მიჭედებულ მარაოებს, ანდა ითვლიდა, სუფრას ირგვლივ რამდენი ფოჩი ჰქონდა შემოვლებული. საღამოს ახალგაზრდები ბრუნდებოდნენ. ბევრს არც ისინი ლაპარაკობდნენ, მარტო იმას თუ ეტყოდნენ, ჯერ ადრეაო. ნასადილევს მარსელი გიტარაზე უკრავდა

და ანისულის ლიქიორს სვამდნენ. რამბერს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს რაღაც საფიქრალი გასჩენიაო.

ოთხშაბათს, მარსელი რომ დაბრუნდა, უთხრა: „ხვალ შუალამისათვის მემზადე!“ იმ ორი კაციდან, ვინც მათთან ყარაულობდა, ერთს ჭირი შეჭროდა, მეორე კი — ვინც მასთან ერთად ცხოვრობდა ოთახში, კარანტინში მრეცხავსებინათ ასე რომ, ორი თუ სამი დღის განმავლობაში მარსელი და ლუის მარტო იდგებოდნენ საგუშაგოზე. ლამის განმავლობაში გაქცევის თადარიგს დაიჭერდნენ. მეორე დღეს შესაძლებელი იქნებოდა გაქცევა. რამბერმა მადლობა გადაუხადა. „კმაყოფილი ხართ?“ — ჰკითხა მოხუცმა ქალმა. რამბერმა თავი დაუქნია, მაგრამ ფიქრით სულ სხვაგან იყო.

მეორე დღეს მძიმედ ჩამოწოლილი ცის ქვეშ ნესტიანი და სულისშემბუთველი სიცხე იდგა. უკანასკნელი ცნობები სანუგეშო ვერ იყო. მოხუცი ესპანელი ქალი მაინც უშფოთველი ჩანდა. „ქვეყნად ცოდვა გამრავლდა, ამის ბრალია ყველაფერი“, — ამბობდა იგი. მარსელისა და ლუისა არ იყოს, რამბერიც წელამდე შიშველი იყო, მაგრამ რაც უნდა ექნა, ოფლი მაინც წურწურით ჩამოსდიოდა ბეჭებშუა და მკერდზე. დარაბაჩარაზული სახლის ბინდუნდში სხეულები ყავისფრად მოჩანდა, თითქოს ლაქი გადაუსვიათო. რამბერი უსიტყვოდ სცემდა ბოლთას. უეცრად, ნაშუადღევის ოთხი საათისათვის, ჩაიკვა და ძმებს დაუბარა, გავდივარო.

— ოღონდ შუალამისას აქ იყავი, — უთხრა მარსელმა, — ყველაფერი მზადაა უკვე.

რამბერი ექიმს ეწვია. რიეს დედამ უთხრა, საავადმყოფოში არისო. საყარაულო პოსტთან ისევ ბრბო ირეოდა. „მოსცილდით აქაურობას!“ — გაჰყვიროდა თვალგადმოკარკლული სერჟანტი. ხალხი მაინც არ იშლებოდა. „ტყუილად რას უდგებართ?“ — სჭექდა სერჟანტი, ოფლს გამოეყონა მის პერანგზე. ყველა ხვდებოდა, რომ ტყუილად იდგა, მაგრამ მიუხედავად გამთანგავი სიცხისა, არცინ იძროდა ადგილიდან. რამბერმა თავისი საშვი უჩვენა სერჟანტს, მანაც ტარუს კაბინეტი მიასწავლა. კაბინეტის კარი ეზოში გამოდიოდა. გზად რამბერი მამა პანელუს გადაეყარა, რომელიც ის იყო, გამოსულიყო კაბინეტიდან.

პატარა, თეთრად შეფეთქილ, ჩაბინძურებულ ოთახში, სადაც წამლებისა და ნესტიანი თეთრეულის სუნი იდგა, შავი ხის საწერ მაგიდასთან მიმჯდარი, სახელოებაკაპიწებული ტარუ ცხვირსახოციით იმშრალებდა ოფლს მაჯებზე.

— ისევ აქა ხართ? — შეაგება მოსულს კითხვა.

— დიახ, რიესთან მინდა ლაპარაკი.

— პალატაშია, მაგრამ თუ უმისოდ გახვალთ ფონს, უმჯობესი იქნება.

— რატომ?

— ძალზე გადაქანცულია და ვცდილობ, რაც კი შემიძლია, საქმე ავარიდო.

რამბერი ტარუს დააცქერდა. ტარუ გამხდარიყო. დაღლილობამ თვალები აუმღვრია, ნაკვთები დაუგრძელა. ღონიერი ბეჭები მოჰლუნვოდა. კარზე დააკუნეს. ოთახში ნილაბაფარებული სანიტარი შემოვიდა, ტარუს მაგიდაზე ბარათების დასტა დააწყო და თუმც ხმას პირზე აფარებული ნილაბი უხშობდა, გარკვევით თქვა, ექვსიო, და გავიდა. ტარუმ შეხედა ჟურნალისტს და ბარათები მარაოსავით აუფრიალა თვალწინ.

— მშვენიერი ბარათებია, არა? მკვდრებისაა, წუხელ დახოცილების. შუბლი შეეჭმუხნა. ბარათების დასტა გადაკეცა.

— ერთადერთი ისღა დაგვრჩენია, რომ აღვსუსხოთ და ანგარიში ვაწარმოთ.

ტარუ წამოდგა, მაგიდას დაეყრდნო.

— მალე გაემგზავრებით?

— დღეს შუალამით.

ტარუმ უთხრა, მოხარული ვარო, და დააყოლა, თავს გაუფრთხილდითო.

— ამას გულწრფელად მეუბნებით?

ტარუმ მხრები აიჩეჩა:

— ჩემს ხანში კაცი, უნდა თუ არა, გულწრფელია. სიცრუე ძალზე დამლელია.

— ტარუ, — უთხრა ჟურნალისტმა, — ექიმის ნახვა მინდა. მაპატიეთ.

— ვიცი. ის ჩემზე უფრო ადამიანურია. წავიდეთ მასთან.

— მაგიტომ როდი ვამბობ, — გაჭირვებით თქვა რამბერმა და შედგა.

ტარუმ მოხედა და უცებ გაულიმა.

მერე გაუყვნენ ვიწრო დერეფანს, რომლის კედლებიც სალათისფრად იყო შეღებილი. შიგ, როგორც აკვარიუმში, ისეთი სინათლე იდგა. სანამ ზედ მიადგებოდნენ ორმაგშუშიან კარს, რომლის უკანაც ჩრდილებს გაცხოველებული მოძრაობა ჰქონდათ, ტარუმ რამბერი ერთ პატარა ოთახში შეიყვანა, სადაც კედლებში თახჩები იყო დატანებული. ტარუმ ერთი მათგანი გამოაღო, სტერილიზატორიდან ორი ჰიგროსკოპიული ნიღაბი გამოიღო, ერთი რამბერს გაუწოდა და უთხრა, გაიკეთეთო. ჟურნალისტმა ჰკითხა, თუ შველის რამესო, ტარუმ მიუგო, არა, მაგრამ რომ გიკეთია, გული მაინც საგულეს გაქვსო.

შემინული კარი შეაღეს. უზარმაზარი ოთახი იყო: საგულდაგულოდ დაეხშოთ ფანჯრები, თუმც კი ზაფხული იდგა. კედლებზე, ზედ ჰერქვეშ თახხებდნენ ჰაერის გამწმენდი აპარატები. მათი მოღუნული ფრთები ასუფთავებდნენ დახუთულსა და გადახურებულ ჰაერს ნაცრისფერ საწოლთა ორ მწკრივს ზემოთ. ყოველი მხრიდან კვნესა ისმოდა: ხან ყრუ, ხან მჭახე და ერთ საერთო, მონოტონურ ჩივილად ერწყმოდა ერთმანეთს. თეთრით მოსილი ადამიანები ნელა მიმოიძვროდნენ თვალისმომჭრელ სინათლეში, რომელიც ცხაურებით შეჭედილი მაღალი კამარებიდან იღვრებოდა. რამბერმა ცუდად რგძნო თავი ამ საშინელ სიცხეში და ძლივსღა იცნო რიე, მკვნესარე სხეულზე რომ დახრილიყო. ექიმი საზარდულს უსერავდა ავადმყოფს, მოწყალების დებს შაყანაკრავივით აქეთ-იქით რომ გაეკავებინათ. საქმეს რომ მორჩა, წამოდგა, ხელსაწყობები დაყარა ლანგარზე, ექთანმა რომ შეაგება და ერთხანს უძრავად დაჰყურებდა კაცს, რომელსაც განასერს უხვევდნენ.

— რა არის ახალი? — ჰკითხა მან თავს წამომდგარ ტარუს.

— პანელუ თანახმაა შეცვალოს რამბერი საკარანტინო სახლში.. უკვე ბევრი რამ გააკეთა. ურამბეროდ მესამე საინსპექციო რაზმის თავიდან შექმნა მოგვიწევს.

რიემ თავი დაუქნია.

— კასტელს უკვე მზადა აქვს პირველი პრეპარატები. გვეუბნება, გამოცადოთო.

— ოჰო! — თქვა რიემ, — ეს კარგია.

— კიდევ ისა, რომ რამბერი აქაა.

რაც შემობრუნდა. თვალბმობრუნებულმა შეხედა ჟურნალისტს ნილბის ზემოდან.

— აქ რას აკეთებთ? — ჰკითხა რამბერს. — ახლა ხომ სხვაგან უნდა იყოთ.

ტარუმ უთხრა, ამალამ, თორმეტ საათზე წავაო, რამბერმა უკან დასრულდა.

— ჰო, თეორიულად.

ყოველთვის, როცა რომელიმე მათგანი ლაპარაკობდა, ნილაბი იბერებოდა და იქ, საცა პირი იყო, ნესტიანდებოდა. ეს საუბარს ცოტა ირეალურს ხდიდა, როგორც ქანდაკებათა დიალოგს.

— თქვენთან ლაპარაკი მწადია, — უთხრა რამბერმა ექიმს.

— თუ გნებავთ, ერთად წავიდეთ. ტარუს კაბინეტში დამელოდეთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ რამბერი და რაც ექიმის მანქანის უკანა საჯდომზე ისხდნენ. საჭეს ტარუ უჭდა.

— ბენზინი გველევა, — თქვა მან, მანქანა რომ დაძრა, — ხვალ ფეხით მოგვიწევს სიარული.

— ექიმო, — უთხრა რამბერმა, — მე არსადაც არ წავალ, თქვენთან მსურს დარჩენა.

ტარუს წარბიც არ შეუხრია, ისე მიჰყავდა მანქანა. რაც თითქოს ვერ ამოეყვინთა დაღლილობიდან.

— კი მაგრამ, თქვენი ცოლი? — ჰკითხა ყრუდ.

რამბერმა უთხრა, კიდევ ვიფიქრე, ისევ იმ აზრზე ვდგავარ, მაგრამ რომ წავიდე, სირცხვილი გამტანჯავს და ხელს შემოშლის ქალის სიყვარულში. მაშინ რაც წელში გასწორდა და მტკიცე ხმით უთხრა, ეს სისულელეა და სულაც არაა სირცხვილი ბედნიერება ამჯობინოთო.

— დიახ, — მიუგო რამბერმა, — მაგრამ შეიძლება შერცხვეს კაცს, მარტო შენ თუ იქენი ბედნიერი.

ტარუ აქამდე დუმდა, ახლა კი მათკენ თავის შემობრუნებულად შენიშნა, თუ რამბერს სურს კაცთა უბედურება გაინაწილოს, ბედნიერებისათვის თავის დღეში დრო არ გადაურჩება, ან ერთი უნდა აირჩიოს, ან მეორეო.

— საქმე ეგ როდია, — შეაწყვეტინა რამბერმა, — მე მუდამ ვფიქრობდი, რომ უცხო ვიყავ ამ ქალაქისათვის და თქვენთან არაფერი მესაქმებოდა. მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი ეს ჩემი თვალითა ვნახე, ვიცი, რომ აქაური ვარ, მინდა თუ არ მინდა. მივხვდი იმასაც, რომ ჭირიანობა ყველას გვეხება. არავინ გამოპასუხებია და რამბერს მოუთმენლობა დაეტყო:

— ეს თქვენც კარგად უწყით! თორემ რა გესაქმებათ ამ ლაზარეთში? განა არჩევანი მოახდინეთ და უარი თქვით ბედნიერებაზე?

ტარუს და რაც ამჯერადაც არ გაუღიათ ხმა. დუმდნენ დასტანა, მანამ, სანამ ექიმის სახლს არ მიუახლოვდნენ. რამბერმა ისევ დაუსვა მათ თავისი შეკითხვა, უფრო დაჟინებითაც. მხოლოდ რაც შებრუნდა მისკენ ძლივ-ძლივობით:

— მაპატიეთ, რამბერ, მაგრამ არ ვიცი. დარჩით ჩვენთან, რაკი ასე მოგისურვებიათ.

მანქანამ უეცრად მოუხვია და ექიმს სიტყვა გააწყვეტინა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ რაც მანც გააგრძელა სათქმელი, ოღონდ რამბერს არ უცქერდა, წინ იცქირებოდა:

— ქვეყნად არაფერი ღირს იმად, რომ ზურგი აქციო, რაც გიყვარს. მაგრამ მაინც ზურგს ვაქცევ, თუმცა კი არ ვიცი, რატომ. — თქვა ესა და ისევ უკან გადაესვენა, — მე მხოლოდ იმას ვამბობ, რაც სინამდვილეშია, — დასძინა დაღლილი ხმით, — ყურად ვილოთ და სათანადო დასკვნები გამოვიტანოთ.

— რა დასკვნები? — ჰკითხა რამბერმა.

— ისა, რომ არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს წამლობდე და იცოდე კიდევ, — თქვა რიემ, — მაშ, რაც შეიძლება ჩქარა ვუწამლოთ. ეს ყველაზე საშური საქმეა.

შუალამისას ტარუ და რიე რამბერს იმ უბნის გეგმას უხაზავდნენ, რომლისთვისაც თვალყური უნდა ედევნებინა. უცბად ტარუმ საათს დახედა. თავი რომ ასწია, რამბერის მზერას შეხვდა.

— თუ გააფრთხილეთ მაინც?

ყურნალისტმა თვალი მოარიდა:

— ბარათი გავუგზავნე, — თქვა მძიმედ, — სანამ თქვენთან გამოვეშურებოდი.

კასტელის შრატის ოქტომბრის მიწურულს გამოსცადეს. არსებითად ეს რიეს უკანასკნელი იმედი იყო. თუ კვლავ გაწბილდებოდნენ, ექიმი ხვდებოდა, რომ ქალაქი სენის კაპრიზების ანაბარად იქნებოდა მიგდებული, თუნდ ეპიდემია კიდევ გამძვინვარებულიყო და თვეების განმავლობაში ებობოქრა და თუნდ მოგუნებებოდა და უმიზეზოდ ჩამცხრალიყო.

იმ დღის წინა საღამოს, როცა კასტელი ეწვია რიეს, ბ-ნ ოტონის ვაჟი ავად გახდა და მთელმა ოჯახმა იძულებით კარანტინში ამოჰყო თავი. დედა, ამ ცოტა ხნის წინათ რომ გამოსულიყო კარანტინიდან, უკვე მეორედ ჩავარდა ამ დღეში. გამომძიებელმა, ვინც ხელისუფალთაგან დაწესებულ კანონებს არასდროს არ გადაუხვევდა, მაშინვე უხმო ექიმს, როგორც კი ბავშვის ტანზე ავადმყოფობის ნიშნები შენიშნა. რიე რომ მოვიდა, დედ-მამა საწოლის ფერხთით იდგა. პატარა გოგონა უკვე გაეხიზნათ. ბიჭი კი მთლად დაუძლურებულიყო და უდრტვინველად მინებდა ექიმს. როცა ექიმმა თავი აიღო, გამომძიებლის მზერას შეხვდა და მის უკან დედის გამტკნარებული სახეც დალანდა. ქალს პირზე ცხვირსახოცი აეფარებინა და გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა ექიმის ყოველ მოძრაობას.

— ისაა, არა? — ჰკითხა გამომძიებელმა პირქუშად.

— დიახ, — მიუგო რიემ, თან ისევ ბავშვს დაჰყურებდა.

დედას უფრო გაუფართოვდა თვალები, მაგრამ ხმას მაინც არ იღებდა. გამომძიებელიც დუმდა, მერე უფრო ხმადაბლა თქვა:

— მაშ, ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც წესია.

რიე ცდილობდა არ შეეხედა დედისათვის, ცხვირსახოცს რომ არ იშორებდა პირიდან.

— ყველაფერი მალე მოგვარდება, — თქვა ყოყმანით, — თუ დარეკვა მოვახერხე.

ბ-ნმა ოტონმა უთხრა, მე გიჩვენებთო ტელეფონს, მაგრამ ექიმი მის ცოლს მიუბრუნდა:

— ძალიან ვწუხვარ... მაგრამ ცოტა რამ ბარგი უნდა შეკრათ, თავად მოგეხსენებათ.

ქალბატონი ოტონი გაოგნებული ჩანდა. იატაკს არ აცილებდა მზერას.

— დიახ, ახლავე გავაკეთებ ყველაფერს, — უთხრა თავის ქნევით რიეს.

სანამ ოტონებს გამოეთხოვებოდა, რიე თავს ვერ მოერია და ჰკითხა დისასახლისს, რამე ხომ არ გჭირდებათო. ქალი კვლავ მღუმარედ შემოჰყურებდა. მოსამართლემაც თვალი აარიდა.

— არა, — უთხრა ბოლოს, მერე ნერწყვი გადაულაპა და დასწრლა. ოლონდ ბავშვი გადამირჩინეთ.

კარანტინი, თავდაპირველად უბრალო ფორმალობას რომ წარმოადგენდა, რიემ და რამბერმა მეტად მკაცრად მოაწყვეს. კერძოდ, მოითხოვეს, რომ ერთი და იგივე ოჯახის წევრებიც იზოლირებულნი ყოფილიყვნენ ერთმანეთისგან; თუ ოჯახის რომელიმე წევრს სენი გამოაჩნდებოდა, სხვა მაინც დაზღვეული უნდა ყოფილიყო. რიემ ეს მოსაზრებანი გააცნო გამომძიებელს და მანაც გონივრულად მიიჩნია, მაგრამ ცოლ-ქმარმა ისეთი თვალებით გადახედა ერთმანეთს, რომ ეჭიმმა იგრძნო, ეს განშორება რარიგ უკვეთდათ სასოს. ქ-ნი ოტონისა და მისი პატარა გოგონას მოთავსება რამბერის საკარანტინო სახლში მოხერხდა. გამომძიებლისათვის კი იქ ადგილი არ აღმოჩნდა და ისიც საიზოლაციო ბანაკში გაამწყესეს. ეს ბანაკი პრეფექტურამ დააარსა ქალაქის სტადიონზე საგზაო უწყებისაგან ნათხოვარი კარვებით. რიე ბოდიშობდა, მაგრამ ბ-ნმა ოტონმა უთხრა, კანონი ყველასთვის ერთია და ყველა უნდა დავმორჩილდეთო.

თვითონ ბავშვი კი დამხმარე ლაზარეთში გადაიყვანეს, ყოფილ საკლასო ოთახში, სადაც ათი საწოლი იდგა. ოციოდე საათის შემდეგ რიემ უკვე იცოდა, რომ სააქეთო პირი აღარ უჩანდა. პატარა სხეული სენს თავს მორჩილად აქმევინებდა, არ კი ერკინებოდა. მომცრო, მაგრამ მტკივნეული ბუბონები ერთი ბეწო, გამხდარ ხელ-ფეხს უბორკავდნენ. წინასწარვე წაგებული ჰქონდა ბრძოლა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა რიემ მასზე გამოეცადა კასტელის შრატი. შრატი იმავ საღამოს გაუკეთეს, ნასადილევს, მაგრამ ბავშვს არავითარი რეაქცია არ ჰქონია. მეორე დღეს, ალიონზე ყველამ პატარა ავადმყოფის საწოლთან მოიყარა თავი რომ ამ გადამწყვეტი ცდის შედეგები შეემოწმებინათ.

ბავშვი გარინდებიდან გამორკვეულიყო და საბანქვეშ იკრუნჩხებოდა. ეჭიმი, კასტელი და ტარუ დილის ოთხი საათიდან თავს დასტრიალებდნენ, ნაბიჯ-ნაბიჯ ადევნებდნენ თვალს სენის შემოტევასა და უკანდახევას. სასთუძალთან წელში ოდნავ მოხრილი ტარუ იდგა. საწოლის ფერხთით კასტელი ჩამომჯდარიყო და რაღაც ძველ შრომას კითხულობდა ისე, რომ გარეგნულად მღელვარების ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. რიე გვერდით ედგა. თანდათანობით, სინათლე რომ მატულობდა სკოლის ყოფილ საკლასო ოთახში, სხვებიც მოდიოდნენ. ჯერ პანელუ მოვიდა და საწოლის მეორე მხარეს დადგა, ტარუს პირისპირ, ზურგით კედელს მიყრდნობილი. სახეზე საშინელი ტანჯვა აღბეჭდოდა, მთლად დაღაროდა ალუწილი შუბლი. მერე იყო და, ყოზეფ გრანიც მოვიდა. უკვე შეიღმა საათმა ჩამოჰკრა და მოხელემ ბოდიში მოიხადა, ცოტა შემაგვიანდაო. მხოლოდ ერთი წუთით შემოერბინა, იქნებ გარკვეული რამ იცოდნენო. რიემ უსიტყვოდ მიუთითა ბავშვზე, თვალი რომ დაეხუჭა, სახე შეშლოდა, კრიჭა შეეკრა და გასავათებულს თავი ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ უვარდებოდა ბალიშზე. როცა საკმაოდ ინათა, იმდენად, რომ ოთახის სიღრმეში, ადგილზე დარჩენილ საკლასო დაფაზე შესაძლებელი შეიქნა ძველი განტოლებების ამოკითხვა, რამბერიც მოვიდა. მეზობელი საწოლის ზურგს

შიეყუდა და სიგარეტის კოლოფი ამოიღო ჯიბიდან. მაგრამ ბავშვს ჰკიდა თუ არა თვალი, კოლოფი ისევ ჯიბეში დამალა.

კასტელი კვლავ იჯდა და რიეს შესცქეროდა სათვალის ზემოდან.

— მამისა არაფერი შეგიტყვიათ?

— არა, — უთხრა რიემ, — საიზოლაციო ბანაკშია.

ბავშვი კვნესოდა. ექიმი ღონივრად უჭერდა ხელს საწოლის მსხვერპლს, თან თვალს არ აცილებდა პატარა ავადმყოფს, რომელიც უეცრად გახევდა, კრიჭაშეკრულმა მუცელი შეიწია, მერე ნელ-ნელა გაშალა ხელ-ფეხი. ჯარისკაცული საბნის ქვეშ გაწოლილ პატარა, შიშველ სხეულს მატყლისა და მჭახე ოფლის სუნი უდიოდა. ბავშვი თანდათან მოეშვა, დასუსტდა, ხელ-ფეხი შემოიკრიბა და ისევ დაბრმავებულმა და დამუნჯებულმა თითქოს უფრო ჩქარა დაიწყო სუნთქვა. რიემ ტარუს მზერა დაიჭირა, ტარუმ წამსვე აარიდა თვალი.

მათ უკვე ენახათ, როგორ იხოცებოდნენ ბავშვები, რადგან სენი, ეს რამდენიმე თვე რომ მძვინვარებდა, არავის ინდობდა, მაგრამ თავის დღეში არ ენახათ წუთიდან წუთს მათი ტანჯვა, როგორც ამ დილით. ცხადია, ამ უცოდველთა თავს დამტყდარი სატანჯველი მუდამ იმად ეჩვენებოდათ, რაც სინამდვილეში იყო — აღმაშფოთებელ ამბად, მაგრამ აქამდე მათი აღშფოთება, ცოტა არ იყოს, განყენებული გახლდათ, რადგან უცოდველი ყრმის სულის ამოხდომისათვის ასე დიდხანს პირისპირ არასოდეს უცქერიათ.

სწორედ ამ დროს ბალლი ისევ მოიკრუნჩხა, თითქოს მუცელზე რაღაცამ უკბინაო და სუსტად აკვნესდა. რამდენიმე გრძელ წამს ასე მოკრუნჩხული დარჩა, კონვულსიურად თრთოდა და ცახცახებდა, თითქოსდა მისი სუსტი სხეული იდრიკებოდა შავი ჭირის მძვინვარე ქარის შემობერვისაგან და სიცხის ხელახალი შემოტევისაგან ჭრიალი გაჰქონდათ. როცა ქარაშოტმა გადაიარა, ბავშვი ცოტა მოეშვა, სიცხემ თითქოს უკლო, უკუიქცა, დატოვა თავისი მსხვერპლი აქოშინებული, სველსა და მიკრობებით მოწამლულ სარეცელზე, სადაც მოსვენება უკვე სიკვდილსა ჰგავდა. როცა არმური მესამედ შემოეგზნო და ოდნავ წამოსწია, ბავშვი მოიკრუნჩხა, საწოლის სიღრმეში მიიკუნჭა იმ ცეცხლით გათანგული, შიგნეულს რომ უწვავდა. თავს შეთიანივით აქნევდა აქეთ-იქით, საბანს იძრობდა. მსხვილი კურცხლები გადმოსცივდა აღმოდებული ქუთუთოებიდან, ტყვიისფერ ლოყებზე ჩამოუგორდა. კრიზისი რომ დასრულდა, ქანცგაწყვეტილმა ბავშვმა გაძვალტყავებული ხელ-ფეხი, ორ დღე-ღამეში მთლად რომ დადნობოდა, გაფარჩხა და აშლილ საწოლში რაღაც უცნაური ჯვარცმულის პოზაში გაქვავდა.

ტარუ დაიხარა და თავისი მძიმე ხელით ცრემლითა და ოფლით სველი სახე შეუმშრალა პატარას. კასტელმაც დახურა თავისი წიგნი და ავადმყოფს დააცქერდა. ერთი წინადადება წამოიწყო, მაგრამ იძულებული გახდა ჩაეხველებინა სათქმელის დასამთავრებლად, რადგან მისი ხმა ყალბად გაისმა:

— დილით უკეთესობა არ დასტყობია, არა, რიე?

რიემ უთხრა, არა, მაგრამ ბავშვი უფრო დიდხანს ეურჩება სენს, ვიდრე ჩვეულებრივ ხდებოდა. მაშინ პანელუმ, კედელს რომ მიყრდნობოდა, მოწყვეტით, ყრუდ ჩაიდუდუნა:

— თუ სასიკვდილოა, მეტი ტანჯვა მოუწევს.

რიე უეცრად შემობრუნდა მისკენ და პირი გააღო რაღაცის სათქმელად,

მაგრამ გაჩუმდა, თავს აშკარად ძალა დაატანა, რომ პირს მომდგარი სიტყვა უკან ჩაებრუნებინა და მზერა ისევ ბავშვზე გადაიტანა.

სინათლე მატულობდა ოთახში. დანარჩენ ხუთ საწოლზე ჩალაც უფრო-
 შო სხეულები ფუთფუთებდნენ და კვნესოდნენ, მაგრამ ისეთი სიფრთხილით,
 თითქოს ერთმანეთში პირი შეუკრავთო. დროდადრო მხოლოდ მარჯვენა-
 ლოდან მოისმოდა ყვირილი და ისიც გაკვირვებას უფრო გამრჩატავდა, ვინემ
 ტკვილს. კაცს ეგონებოდა, ავადმყოფებიც შეეგუენ თავიანთ ყოფას და ისეთი
 თავხარი აღარ ეცემათ, როგორც დასაწყისშიო. სენს ისე მინებებულებიყვნენ,
 თითქოს ნებაყოფლობით ეტვირთათ. მარტო ბავშვი იბრძოდა, რაც ძალი და
 ღონე შესწევდა. რიე დროდადრო მაჯას უსინჯავდა ბიჭს, თუმც ეს აუცილებ-
 ლობას არ წარმოადგენდა; უფრო იმიტომ, რომ თავი დაეღწია უილაჯო უმოქ-
 მედობისაგან, რომელშიაც იყო ჩავარდნილი. თვალს რომ დახუჭავდა, გრძნობ-
 და, სნეულის თრთოლვა მის სისხლის ფეთქვას როგორ ერწყმოდა. თვითონაც
 ერწყმოდა გატანჯულ ბავშვს და ცდილობდა შეწევნოდა თავის ჭერ კიდევ
 მოუსრავი ძალ-ღონით. მაგრამ წამით შეხმატკბილებული პულსაცია მათი
 ორი გულისა ირღვეოდა, ბავშვი ხელიდან უსხლტებოდა და რიეს მთელი
 მცდელობა წყალში ვარდებოდა. მაშინ ექიმი ხელს უშვებდა ბიჭის გაღუულ
 მაჯას და თავის ადგილს უბრუნდებოდა.

კირით შეფეთქილი კედლების გასწვრივ ვარდისფრად აჭიატებული სი-
 ნათლე ყვითელში გადაიზარდა. ფანჯრის მიღმა ხვატიანი დილა იწყებდა
 ტკრციალს. გრანი პალატიდან გავიდა და დაიბარა, დავბრუნდებიო, მაგრამ
 მისი წასვლა თითქმის არც არავის შეუნიშნავს. ყველა მოლოდინად იყო ქცე-
 ული. ბავშვს დახუჭული ჰქონდა თვალები და თითქოს ცოტათი დამშვიდებუ-
 ლიყო. მისი ხელები ბრჭყალებს დამგვანებოდნენ და საწოლის კიდეს გამალე-
 ბით ფხოჭნიდნენ. მერე ხელები ზევით ამოცოცდნენ, საბანი მოფხოჭნეს მუხ-
 ლებთან. უეცრად ბავშვმა ფეხები მოკრუნჩა, მუცელთან მიიტანა და გაშეშ-
 და. მაშინ პირველად გაახილა თვალები და შეხედა რიეს, რომელიც მის
 წინ იდგა. ნაცრისფერ თიხის ნილაბად გაქვავებულ მის სახეზე ბაგე გაიპო
 და თითქმის მაშინვე გაისმა გაბმული კივილი, სუნთქვა ოდნე რომ ათრთო-
 ლებდა და ოთახი აავსო მონოტონური, ხრინწიანი ჩივილით, რომელშიც ისე
 ცოტა იყო ადამიანური, თითქოს ყველა ადამიანს ერთად აღმოხდაო. რიე
 კბილს კბილზე აჭერდა, ტარუმ პირი იბრუნა. რამბერი მიუახლოვდა საწოლს
 და კასტელს ამოუდგა გვერდში, რომელმაც მყისვე დახურა წიგნი, მუხლზე
 გადაშლილი რომ ედო. პანელუმ შეხედა ავადმყოფობისაგან დაღუდუდე-
 ბულ ბავშვურ პირს, ყველა ასაკის კაცთა კივილით რომ იყო დამანჭული, მერე
 ანგარიშმიუცემლად ჩაიჩოქა და ამ ანონიმური კვნესის ფონზე ყველას ბუ-
 ნებრივად მოეჩვენა მისი ოდნავ მოგუდული ხმით, მაგრამ მკათიოდ ნათქვამი:
 „ღმერთო, გადაარჩინე ეს ბავშვი!“

მაგრამ ბავშვი გამუდმებით ყვიროდა და ირგვლივ სხვა ავადმყოფებიც
 შეჩოჩქოლდნენ. იმან კი, ოთახის ბოლოს რომ იწვა და ხანგამოშვებით რომ
 კიოდა, ჩივილს მოუხშირა, მთელი ხმით იწყო ბლავილი, სხვებმაც მოუმატეს
 კვნესას. ბლავილი ზღვასავით მოსკდა ოთახში, ჩაახშო პანელუს ლოცვა და
 საწოლის თავს ჩაფრენილმა რიემ თვალები დახუჭა, თითქოს დათვრაო დაღ-
 ლილობისა და ზიზღისაგან.

თვალი რომ გაახილა, ნახა, ტარუ გვერდში ამოსდგომოდა.

— უნდა წავიდე, — უთხრა რიემ, — აღარ შემიძლია ამის ატანა.

მაგრამ უეცრად სხვა ავადმყოფები დაჩუმდნენ. ექიმმა მაშინლა შენიშნა, რომ ისე ხმამაღლა აღარ ყვიროდა ბავშვი, თანდათან კიდევ უფრო მისუსტდა მისი ძახილი და უეცრად მიწყდა კიდევ. მის ირგვლივ განახლდა კვნესა, მაგრამ ისე ყრუდ გაისმოდა, როგორც შორეული ექო ბრძოლისა, რომელმაც ის იყო, გადიხმაურა. მართლაც მიმწყდარიყო ბრძოლა. კასტელის თავით გადავიდა და თქვა, გათავდაო. პირღია, მაგრამ ფეხები უფრო უმოძრაოდ იწვა აშლილ ლოგინში; უეცრად დაღეულიყო, ცრემლის კურცბლები თვალებზე შეჰყინვოდა.

პანელუ საწოლს მიუახლოვდა და ბავშვს ჯვარი გადასახა. მერე ანაფორის კალთები აიკრიფა და კარისაკენ გაემართა.

— ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ? — ჰკითხა ტარუმ კასტელს. — მოხუცმა ექიმმა თავი დააქნია.

— უთუოდ, — თქვა ნაძალადევი ღიმილით, — მაინც დიდხანს ეურჩა სიკვდილს.

მაგრამ რიე უკვე გადიოდა ოთახიდან. ისე გაჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა, ისეთი უცნაური სახე ჰქონდა, რომ, როცა პანელუს გაუსწრო, ამ უკანასკნელმა ხელი წაავლო და შეაჩერა:

— დამშვიდდით, — უთხრა მღვდელმა.

რიე ფიცხლად შემობრუნდა და ბრაზით მიუგდო:

— ო, ეს ბაღლი ხომ უცოდველი იყო, თქვენც კარგად უწყით!

მერე მიტრიალდა, პანელუს გაუსწრო და სკოლის ეზოში გავარდა. იქ მერხზე ჩამოჯდა, მტვრიან ხეებს შორის, და ოფლი შეიმშრალა, უკვე თვალებშიაც რომ ჩასდიოდა. უნდოდა კიდევ ეყვირა, რომ, ბოლოს და ბოლოს, გადაეგდო გულს დაწოლილი მძიმე ლოდი. სიცხე ნელ-ნელა ატანდა ფიკუსის ტოტებს შორის. დილის ლაყვარდი ცა სწრაფად იფარებოდა მოთეთრო ლიბრით, რომელიც პაერს უფრო სულისშემხუთველს ხდიდა. რიე სკამზე გახევდა. შესცქეროდა ტოტებს, ცას, ნელა ითქვამდა სულს, თავს აღწევდა დაღლილობას.

— ასეთი წყრომით რად მელაპარაკეთ? — თქვა მის უკან ვილაცამ, — ეს სანახაობა ჩემთვისაც აუტანელი იყო.

რიე პანელუსაკენ შემობრუნდა:

— თქვენ მართალი ხართ, შემინდეთ. დაღლილობამ დამრია ხელი. მაგრამ არის წუთები, ამ ქალაქში ჯანყისათვის რომ განგაწყობს.

— მესმის, — წაიჩურჩულა პანელუმ, — ჯანყისთვის განგვაწყობს, რაკი ყოველგვარი წვდომის ზღვარს სცილდება. მაგრამ იქნებ გვმართებს იმისი სიყვარული, რასაც ჩვენი გონება ვერ მისწვდენია.

რიე ერთბაშად გაიმართა წელში. ჯიქურ შეაცქერდა პანელუს, ამ მზერაში ჩააქსოვა, რაც კი რამ ვნება და ძალი შესწევდა და თავი გაიქნია:

— არა, მამაო, მე სხვაგვარად მესმის სიყვარული, და სანამ სული მიდევას პირში, უარს ვიტყვი მიყვარდეს ამიერსოფელი, სადაც ბავშვებს სტანჯავენ.

პანელუს სახეზე შეშფოთების ჩრდილმა გადაუარა:

— აჰ, ექიმო, — უთხრა მწუხარედ, — მე ახლა გავიგე, მადლი რა ყოფილა.

მაგრამ რიე კვლავ მერხის საზურგეს მიესვენა. დაღლილობამ ისევ დარია ხელი და პანელუს უფრო ტკბილად უთხრა:

— მე მოკლებული ვარ მაგ მადლს, ვიცი. მაგრამ არა მსურს ამაზე თქვენთან კამათი. ჩვენ ვიღვწით იმისათვის, რაც ღვთის გმობასა და ღრცეებზე მალა დგას და რამაც შეგვაერთა. მხოლოდ ამასა აქვს ფასი.

პანელუ რიეს მიუჯდა გვერდით. აღელვებული ჩანდა.

— დიახ, — უთხრა მან, — თქვენც კაცის ხსნისათვის რიემ ნაძალადევად გაუღიმა:

— კაცის ხსნა ერთობ ხმამალა ნათქვამია ჩემთვის. მე ასე შორს არ მივდივარ. მე მისი ჯანმრთელობა მაინტერესებს, პირველ რიგში მისი ჯანმრთელობა.

პანელუს ყოყმანი დაეტყო.

— ექიმო, — წამოიწყო, მაგრამ შეჩერდა. მასაც შულზე ღვარად სდიოდა ოფლი. მერე წაიხურჩულა: „ნახვამდის“. რომ წამოდგა, თვლები უელავდა. უკვე წასვლას აპირებდა, რომ რიე ფიქრებიდან გამოერკვა, წამოიმართა და ნაბიჯი გადადგა მისკენ:

— ამ ერთხელაც შემინდეთ, — უთხრა პანელუს, — დამიჯერეთ, ასე აღარასოდეს განვრისხდები.

პანელუმ ხელი გაუწოდა და მწუხარედ უთხრა:

— და მაინც, ვერაფრით გადაგარწმუნეთ!

— რა მნიშვნელობა აქვს? — უთხრა რიემ, — თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ყველაზე მეტად სიკვდილი და ბოროტება მეჯავრება. და, გნებავთ თუ არა, ბედმა ერთად შეგვყარა, რომ ვიტანჯოთ და ვებრძოლოთ ამ სიავსს.

რიეს ხელში ეჭირა პანელუს ხელი.

— ხედავთ, — უთხრა, თან თვალს არიდებდა, — თვით ღმერთსაც კი არ შეუძლია ახლა ჩვენი გაყრა.

მას შემდეგ, რაც სანიტარულ რაზმში შევიდა, პანელუ არ მოშორებია პოსპიტლებსა და უბნებს, სადაც შავი ჭირი ბობოქრობდა. მშველელთა რაზმში ის ადგილი დაიჭირა, რომელიც თავის კუთვნილად მიაჩნდა, ესე იგი, პირველი. სიკვდილი მრავალჯერ უნახავს და თუმცა თავად თითქოსდა შრატის იცავდა, საკუთარი სიკვდილის შიშიც უცხო როდი იყო-მისთვის. გარეგნულად მაინც სულ მშვიდი ჩანდა. მაგრამ იმ დღიდან მოკიდებული, რაც დიდხანს უცქირა ბავშვის სულთახდომას, შეიცვალა. სულ ერთთავად დაძაბულობა ეწერა სახეზე. და იმ დღეს, როცა ღიმილით უთხრა რიეს, მოკლე ტრაქტატს ვამზადებ თემაზე: სამღვდელო პირს შეუძლია თუ არა მიმართოს გაჭირვებისას ექიმსო, ექიმს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ უფრო სერიოზულ რასმე ეხებოდა საქმე, ვიდრე თვითონ პანელუ ამბობდა. რაკი რიემ სურვილი გამოთქვა გასცნობოდა მის შრომას, პანელუმ ამცნო, მალე ქადაგებას წავიკითხავ მამაკაცთათვის წირვაზე და იქ მოკლედ გადმოვცემ ჩემს მოსაზრებათაგან უთავრესსო. მერე დააყოლა:

— მინდა, თქვენც მოხვიდეთ, ექიმო საკითხი, ვფიქრობ, დავაინტერესებთ.

მამა პანელუმ თავისი მეორე ქადაგება ერთ ქარიან დღეს წაიკითხა. სიმართლე თუ გნებავთ, დამსწრეთა რიგები უფრო შეთხელებული იყო, ვიდრე პირველი ქადაგებისას. ეს იმის ბრალი გახლდათ, რომ ამგვარ სანახაობას სიახლის მომხიბვლელობა აღარ ჰქონდა ჩვენი ქალაქის მცხოვრებთათვის. იმ მძიმე ვითარებაში, რომელშიაც ქალაქი აღმოჩნდა, თვით სიტყვა „სიახლე-

მაც“ დაკარგა აზრი. თანაც ხალხის უმეტესობა, მაშინაც კი, თუ მთლად არ აელო ხელი თავის რელიგიურ მოვალეობებზე, ან არ შეერწყა ისინი თავის უაღრესად უზნეო ცხოვრებისათვის, წირვაზე სიარულს მაინც ვულუბრყვილო ცრუმორწმუნეობას ამჯობინებდა. წირვის მოსმენას სენისაგან დამცველი მედალიონებისა და წმიდა როქის ავგაროზების ტარება ერჩიათ.

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის გარემოება, ~~ყოველგანაა~~ ჩვენი ქალაქის მკვიდრნი ზედმეტად იყვნენ გატაცებულნი წინასწარმეტყველებით. გაზაფხულზე წუთი წუთს ველოდით ჟამიანობის აღსასრულს და არავის მოსვლია აზრად სხვისათვის ეკითხა, ეპიდემია მაინც როდის დასრულდებაო, რაკი ყველა დარწმუნებული იყო, რომ სენს დიდი დღე არ ეწერა. მაგრამ რაც დრო გადიოდა, ყველა შიშმა შეიპყრო, ამ უბედურებას ბოლო არ ექნებაო, და ეპიდემიის აღსასრულზე მეტად სანატრელი აღარაფერი დაურჩათ. ასე გადადიოდა ხელიდან ხელში მოგვებისა თუ კათოლიკური ეკლესიის წმიდანების წინასწარმეტყველებანი. ორანელმა გამომცემლებმა მყისვე იაზრეს, რა სარფა შეეძლოთ ამოეგოთ ამ საყოველთაო გატაცებიდან და მრავალ ეგზემპლარად დაბეჭდეს ტექსტები, რომელთაც დიდი გასავალი ჰქონდა ხალხში. რაკი შენიშნეს, ხალხის ცნობისმოყვარეობას საზღვარი არა აქვსო, ქალაქის ბიბლიოთეკებში იწყეს ძებნა, ამ სახის ყველა საბუთი ამოქექეს, რაც მათიანებში მოიძებნებოდა, და ქალაქში გაავრცელეს. მერე კი, როცა მათიანეს წინასწარმეტყველებანი შემოაკლდა, ჟურნალისტებს მისცეს შეკვეთა და ამ დარგში ისინიც ისეთივე კომპეტენტურნი გამოდგნენ, როგორც გარდასულ საუკუნეებში მცხოვრები მათი წინამორბედნი.

ზოგ წინასწარმეტყველებას მთელი „სარდაფი“ ეჭირა გაზეთში და ხალხიც ნაკლები სიხარბით როდი ეწაფებოდა, ვიდრე იმ სანტიმენტალურ ამბებს, უწინ, ქირიანობის დამდეგამდე რომ ქვეყნდებოდა. ზოგი წინასწარმეტყველება უცნაურ გამოთვლას ეყრდნობოდა, სადაც აუცილებლად ჩართული იყო ციფრი ათასი, გარდაცვლილთა რიცხვი და ჟამიანობის უღელქვეშ ჩავლილ თვეთა რაოდენობა. სხვები პარალელს ავლებდნენ ისტორიის დიდ-დიდ ჟამიანობებთან, გამოჰყოფდნენ მსგავსებათ, რომელთაც წინასწარმეტყველებანი „საერთოს“ უწოდებდნენ და არანაკლებ უცნაურ გამოთვლათა გზით იმედოვნებდნენ ძველზე დაყრდნობით დღეის დღის განსაცდელზედაც შეეტყოთ რამე. მაგრამ საზოგადოება უპირატესობას იმ წინასწარმეტყველებათ ანიჭებდა, რომლებიც აპოკალიფსური ტონით ამცნობდნენ ხალხს იმ მოვლენათა შესახებ, ჩვენი ქალაქის იმჟამინდელ ყოფას რომ შეესატყვისებოდა და ისეთი ჩახლართული იყო, კაცს შეიძლებოდა ყველანაირად აეხსნა. ყოველდღე იქვე ბოდნენ ნოსტრადამუსისა¹ და წმინდა ოდილიას² ნაწერებში და ბევრსაც ბოულობდნენ საგულისხმოს. ამ წინასწარმეტყველებათ ის ჰქონდათ საერთო, რომ საბოლოო ჯამში ყველა მათგანი შვების მომგვრელი იყო, რასაც შავ ქირზე ვერ იტყოდა კაცი.

ერთი სიტყვით, ეს ცრურწმენანი რელიგიის მაგიერობას უწევდნენ ჩვენს თანამოქალაქეებს, ამიტომაც მოხდა, რომ მამა პანელუს ქადაგების დროს

1. მიშელ დე ნოტრ-დამი (1503—1566) — ფრანგი ასტროლოგი და ექიმი, წინასწარმეტყველებათა წიგნის — „ცენტურიების“ ავტორი.

2. წმიდა ოდილია (დაახლ. 660—720) — ელზასელი მონაზონი, რომელმაც ეოჟში საუცხოო ეკლესია ააგო მონ-სენტ-ოდილიას სახელწოდებით. წმ. ოდილიას წინასწარმეტყველების ნიშნაც მიაწერდნენ მორწმუნენი.

ეკლესია სანახევროდ ცარიელი იყო. როცა საღამოს რიე ტაძარში შევიდა, ქარი თავისუფლად ატანდა შემოსასვლელ კარში და ლაღად დანავარდობდა მსმენელებს შორის. სწორედ ამ ცივსა და მღუმარე ეკლესიაში, სულ მამაკაცებისგან შემდგარ მრევლს შორის დაიჭირა რიემ ადგილი და დაინახა, როგორ ავიდა მღვდელი კათედრაზე. ამჯერად უფრო ტკბილად და დინჯად ჩაქაჩა, ვინემ პირველად და დამსწრეთ შენიშნეს, რომ ბევრჯერ ყოყმანით დაეცო. კიდევ ის იყო უცნაური, რომ უკვე „თქვენო“, კი არ ამბობდა, „ჩვენო“, იძახდა ხოლმე.

და მაინც, მისმა ხმამ თანდათან მოიცა ძალი. ჯერ იყო და შეახსენა მრევლს, აგერ რამდენიმე თვეა, ჭირი მოკალათებულა ჩვენ შორის, ახლა უკეთ ვიცნობთ მას, რაკი ბევრჯერ ჩვენს ტაბლას მოსჯდომია ან იმათ სასთუმალთან ჩამომჯდარა, ვინც გვიყვარდა, ჩვენ გვერდით უვლია, დაგვლოდებია სამსახურში, მაშ, ახლა იქნებ უკეთ შევისმინოთ, რასაც ჩაგვძახის ყურში და რაც პირველი გაოცების უამს კარგად ვერ გავიგონეთო. ის, რაც უწინ გიქადაგეთ, სრული სიმართლეა, მე არ შემიცვლია მრწამსი, მაგრამ იქნება რაცა ვთქვი, იმაში მოყვასისადმი თანაღმობა ცოტა იყო, და ამას დღეს ცოდვად მივითვლიო. სიმართლე გახლდათ ისიც, რომ კაცს ყველაფერში შეუძლია ნახოს ჭკუის სასწავლი რამ. ყველაზე ძნელი გამოცდაც კი სიკეთედ მობრუნდება ქრისტიანისათვის. ქრისტიანს კი სწორედაც მართებს ეძიოს ეს სიკეთე, ჩახვდეს, რა არის მისი არსი და როგორ იპოვოსო იგი.

როცა პანელუ ამ სიტყვებს ამბობდა, რიეს ირგვლივ მსხდომი ხალხი რაც შეიძლება, მოხერხებულად მოკალათდა სკამებზე. ამ დროს ტაძრის კარი ნელა გაიღო და ჯახუნი გაისმა. ვილაც ადგა და კარის დაკეტვა სცადა. ამ გარემოებამ გონება დაუფანტა რიეს და ძლივსლა ადევნებდა ყურს პანელუს ქადაგებას. მღვდელი კი დაახლოებით ამას ამბობდა, ტყუილად ვეცდებით ავხსნათ შავი ჭირის ეს ზედმოსევა, მარტო იმის ცდაში უნდა ვიყოთ, ვისწავლოთ, ის, რისი სწავლაც მისით შეიძლებაო. რიემ იმგვარი დასკვნა გამოიტანა, რომ პანელუს აზრით არც არაფერი იყო ასახსნელი. ეჭიმს ყურადღება კვლავ დაეძაბა, როცა პანელუმ მჭახე ხმით დაიძახა: არსებობს მრავალი რამ, რისი ახსნაც ღვთის წინაშე შეიძლებაო, და კიდევ მრავალი, რისი ახსნაც არ იქნებაო. ცხადია, იყო კეთილი და ბოროტი და ყველა ხვდებოდა, რა მიჯნავდა მათ ერთმანეთისაგან. მაგრამ ბოროტის ბოროტისაგან გამიჯვნა კი ჭირდა. იყო მაგალითად, ბოროტება, გარეგნულად აუცილებელი და ბოროტება, გარეგნულად უსარგებლო რომ ჩანდა. იყო ჯოჯოხეთში დანთქმული დონ უუანი და ბავშვის სიკვდილი. და თუ ყველას სამართლიანად მიაჩნია, რომ შემრუშეს თავს დაატყდეს ღვთის რისხვა, არავინ უწყის, ბავშვს რად მოუვლინა ღმერთმა სატანჯველი. მართლაც არაფერია ყრმის ტანჯვაზე მნიშვნელოვანი, არც იმ თავზარზე, ეს ტანჯვა რომ იწვევს და არც იმ მიზეზებზე, რომელთა მიგნებაც აუცილებელია. სხვა დანარჩენში უფალი გვიადვილებს ყველაფერს და ჩვენი რწმენაც დიდ დამსახურებად არ ჩაგვეთვლება. ახლა კი, პირიქით, უფალმა კედელს მიგვაყენა. მოკლედ, შავი ჭირის კედლებში ვართ მომწყვდეულნი და მათ მსახვრალ ჩრდილში უნდა ვპოვოთ ჩვენი სიკეთე. მამა პანელუს არ სურს ის შეღავათები, კედელზე გადაძრომის საშუალებას რომ მისცემდა. მას სულ იოლად ძალუქს თქვას, მარადიული ნეტარება, ბაღს რომ მოელის, გამოისყიდის მის ტანჯვასო, მაგრამ დანამდვილებით რომ არა უწყის? მართლაც, ვის ძალუქს დაბეჭითებით თქვას, რომ მარადიულ ნეტა-

რებას შეუძლია გამოისყიდოს ადამიანის ტანჯვის თუნდაც ერთი წუთი? ცხადია, ამის მთქმელი არ იქნება ქრისტიანი, რამეთუ მაცხოვარი იგვემა ხორციითაც და სულითაც. არა, პანელუ დარჩება კედლის ძირას, ბავშვის ტანჯვის პირისპირ, ერთგული იმ შაყის კერისა, რომლის სიმბოლოც ჯგერია და უშიშრად ეტყვის მათ, ვინც დღეს უსმენს: „უამმა დაპკრა, ძმებო! ან ყველაფერი უნდა იწამოთ, ან უნდა უარყოთ ყველაფერი... მაგრამ თქვენ შორის ვინ გაბედავს ყველაფრის უარყოფას?“

რიეს წამით ფიქრმა გაუელვა: მღვდელი ახლა კი ერესში ვარდებო, მაგრამ პანელუ თავგამოდებით შეუდგა მტკიცებას, ეს განაწესი, ეს წმიდა მოთხოვნა ქრისტიანისათვის დიდად მარგიაო, ეს მისი სათნოებაცააო. მღვდელმა ისიც თქვა: „ეს წრეგადასული სათნოება, რომელზედაც ახლა ვლაპარაკობ, ბევრს განაცვიფრებს, რაკი ისინი მიჩვეული არიან უფრო ღმობიერსა და ტრადიციულ მორალს. მაგრამ ქაშიანობისდროინდელი რელიგია ჩვეულებრივი რელიგია ვერ იქნება და თუკი ღმერთს შეუძლია დაუშვას და ისურვოს კიდევ, რომ სული იშვებდეს და ნეტარებდეს ბედნიერების ქამს, არც უბედობის ქამს უნდა შეუდრკეს კაცი თავს დამტყდარ განსაცდელს. დღეს უფალმა მისგან სულდგმულთ წყალობა მოუვლინა და ჩაყარა ისინი ისეთ განსაცდელში, რომ მორწმუნეთ ხელახლა უნდა პპოვონ და იტვირთონ ყველაზე უდიდესი სათნოება — ან ყველაფერი იწამონ, ანდა საერთოდ უარი თქვან რწმენაზე.“

გასულ საუკუნეში ერთი ერისკაცი თავს ითნევდა, ამოვხსენიო ეკლესიის საიდუმლოება და ამტკიცებდა, განსაწმედელი არ არსებობსო. ამით იმის თქმა სურდა, სანახევრო ზომები არ არსებობს, არის მხოლოდ სამოთხე და ჯოჯოხეთი, ესე იგი, ან გადარჩები, ან წაწყმდები, იმისდა მიხედვით, რას აირჩევო. პანელუსათვის რომ გეკითხათ, ეს იყო ერესი, რომლის მსგავსიც შეიძლებოდა შობილიყო მხოლოდ თავაშვებული კაცის სულის წიაღში: „რამეთუ სალხინებელი არსებობს. მაგრამ თქმა არ უნდა, არის ეპოქები, როცა ამ სალხინებლისა მაინცდამაინც დიდი იმედი არა აქვთ, არის ეპოქები, როცა არ შეიძლება ლაპარაკი მისატევებელ ცოდვაზე. ყველა ცოდვა მომაკვდინებელია და ყოველგვარი გულგრილობა — დანაშაულებრივი. ან ყველაფერი, ან არადა, სულ არაფერი“.

პანელუ შეჩერდა და რიემ უკეთ გაიგონა კარიდან შემოჭრილი ქარის კვნესა, გარეთ ერთიორად რომ ემძლავრა. მღვდელმა კვლავ განაგრძო: ყოვლისმომთმენ სათნოებას იმ ვიწრო გაგებით როდი ვხმარობ, ჩვეულებრივ რომ სჩვევიათ, საქმე ეხება არა ბანალურ რეზინიაციას ანდა უფრო ძნელად მისაღწევ უდრტვინველობასო, არამედ თავის დამდაბლებას, მაგრამ ისეთ დამდაბლებას, რომლის მოსურნეც ადამიანი თავად არისო. ცხადია, ბავშვის ტანჯვა დამამცირებელია გულისთვისაც და გონებისთვისაც. სწორედ ამიტომ უნდა განვიცადოთ ეს. სწორედ ამიტომ (აქ პანელუმ დაარწმუნა თავისი მსმენელები, რასაც ვიტყვი, ადვილი სათქმელი არ არისო ჩემთვის), უნდა ვისურვოთ ეს ტანჯვა, რაკი თავად უფალმა მოგვივლინა. ქრისტიანი მხოლოდ ასე არ დაზოგავს არაფერს და რაკი ყველა გზა დახშული ექნება, უმთავრეს არჩევანამდე მივა, იგი აირჩევს ყველაფრის რწმენას, ყველაფრის უარყოფა რომ არ მოუხდესო. და იმ ქველი ქალებისა არ იყოს, რომლებიც ავადმყოფისათვის ბუბონების მოვლენას შესთხოვენ უფალს, რაკი შეიტყვეს, რომ სხეული სწორედ მათი შემწეობით დევნის სნეულებას, ქრისტიანიც უნდა მინებდეს ღვთაბრივნებას, თუნდაც იგი მისთვის მიუწვდომელი იყოსო. არ შეიძლება ითქვას:

„ეს მესმის, ეს კი ჩემთვის მიუღებელია“. ამ მიუღებელის გულისგულს უნდა ჩავხედოთ, რაკი მიუღებელი გვებოძა სწორედ იმიტომ, რათა არჩევანი მოვახდინოთ. ბავშვის ტანჯვა ჩვენი მწარე პურია, მაგრამ უამბუროდ სული ჩვენი სულიერი შიმშილით დაიღუპებოდაო.

აქ ყრუ ჩოჩქოლმა, რომელიც თან ახლდა მამა პანელუს ქადაგებულ ველ პაუზას, იმძლავრა, მაგრამ მქადაგებელმა რიხიანად განაგრძო, მითქმსდა თავის მსმენელთა მაგივრად კითხულობდა, ბოლოს და ბოლოს, როგორ უნდა მოვიქცეთო. ისიც დააყოლა, დარწმუნებული ვარ, რომ ფატალიზმს, ამ საზარელ სიტყვას წარმოთქვამთო. კეთილი, მეც არ დავიხვევ ამ სიტყვის წინაშე, თუკი ნებას დამრთავთ მას ზედსართავი „ქმედითი“ დავუმატოო. ცხადია, კვლავაც გეტყვით, რომ არ უნდა მიჰბაძოთ აბისინიელ ქრისტიანებს, რომელთა შესახებაც უკვე გიამბეთო. არც იმ სპარს ჭირიანებს უნდა გამოვემგვანოთ, თავიანთ კონკებს რომ ესროდნენ ქრისტიანულ სანიტარულ რაზმებს და ხმამალა შესთხოვდნენ ცაში ალაჰს, ჭირი შეჰყარე ამ ღვთის გარეგანთ, რომელთაც სურთ უფლის მიერ გამოგზავნილ სასჯელს წინ აღუდგნენო. მაგრამ კაიროელ ბერებსაც არ უნდა მივბაძოთ, რომლებიც გასული საუკუნის ეპიდემიის დროს სეფისკვერს პინცეტით იღებდნენ, ზიარებისას რომ არ შეჰხებოდნენ სველსა და ცხელ ბაგეს, სადაც სენს დაედო ბინა. სპარსი ჭირიანებიცა და კაიროელი ბერებიც თანაბრად სცოდნებოდნენ, რადგან პირველთ არაფრად უჩნდათ ბავშვის ტანჯვა, მეორეთ კი, პირიქით, ტანჯვის სრულიად ადამიანურმა შიშმა ყველაფერი გადააფიწყათ. ორთავ შემთხვევაში გაყალბდა პრობლემა: არც პირველთ და არც მეორეთ ხმა უფლისა ყურად არ იღესო. მაგრამ სხვა მაგალითებიც იყო, რომელთა მოხმობაც სურდა პანელუს. „თუ მარსელის დიდი ჟამიანობის მემატიანეს დავუჯერებთ, მერსის მონასტრის ოთხნოცდაერთი ბერიდან მხოლოდ ოთხი გადურჩა ავბედით ცხელებას. ამ ოთხიდანაც სამი გაიქცა. ასე მოგვითხრობს მემატიანე და მას მეტის თქმა არც მოუთხოვება. მაგრამ ამას რომ ვკითხულობდი, მთელი ჩემი ფიქრი და გონება იმ ერთს უტრიალებდა, რომელიც მარტო დარჩა, თუმც გარს-სამოცდაჩვიდმეტი გვაში ერტყა და, რაც მთავარია, თვალწინ იმ სამი, თავდალწეული ძმის მაგალითი ჰქონდა“. აქ მამა პანელუმ მაგრად დასცხო მუშტი კათედრის კიდეს და შეჰყვირა: „ძმანო ჩემნო, უნდა მივბაძოთ იმას, ვინც დარჩა“!

მერე დააყოლა: „უარი როდი უნდა ვთქვათ სიფრთხილეზე, გონივრულ ზომებზე, საზოგადოებას მხსნელად რომ ესახება ამ დიდი უბედურების მიერ მოტანილ უწესრიგობაში. ყური არ უნდა ვუგდოთ იმ მორალისტებს, რომლებიც ქადაგებენ, მუხლი მოვიდრიკოთ და ხელი არ გამოვილოთო. პირიქით, ხელის ცეცებით უნდა გავიკვლიოთ გზა წყვედიდში და ვეცადოთ, ვთესოთ სიკეთე. სხვაფრივ კი უნდა ყველაფერი ღმერთს მივანდოთ, თვით ბავშვების აიკვდილიც კი და საკუთარი თავის სახსნელად საფარველს ძებნა არ დავუწყოთ“.

აქ მამა პანელუმ მსმენელთ უამბო ეპისკოპოს ბელზენსის ამბავი მარსელის დიდი ჟამიანობის დროს: „ეპიდემიის ბოლოსათვის ეპისკოპოსმა, ყველაფერი რომ იღონა, რაც ვალად ედვა და იფიქრა, სხვით აღსვლას ვერაფრით ვუსაშველებო, სასმელ-საჭმელი მოიძარაგა და თავის სახლში ჩაიკეტა, თან კარი ამოაქოლინა. მარსელელებს, თავიანთ კერპად რომ სთვლიდნენ, მყის წყრომით აფესოთ გული. გრძნობის ასეთ უეცარ ცვალებადობას ვხვდები, ხოლმე უდიდესი განსაცდელის ჟამს. ეპისკოპოსსაც გაურისხდნენ, მისი სახლის ირგვლივ

ცხედრები დაახვავეს, რომ მასაც სენი შეჰყროდა. ის კი არადა, ცხედრები ვალავანს იქითაც გადაუყარეს, რომ სიკვდილს ვერსად წასვლოდა. ერთი სიტყვით, ეპისკოპოსმა ისულმცირა, იფიქრა, განვერიდები სიკვდილის სამეფოსო და მკვდრების წვიმა კი დაატყდა ციდან. ჩვენც გულსხმაში უნდა ჩავვარდეთ და ვირწმუნოთ, რომ ჭირიანობის დროს კუნძულებზე არსებობს. არა, საშუალო არ არსებობს. უნდა ვიტვირთოთ ეს სიტყვები, ავირჩიოთ, შევიძულოთ ღმერთი თუ შევიყვაროთ. ღმერთის სიძულვილს კი აბა, კინ ირჩევს?“

„ძმანო ჩემნო, — ისეთი კილოთი თქვა ბოლოს პანელუმ, რომ იქ მყოფნი მიხვდნენ, ქადაგებას ამთავრებსო, — ღვთის სიყვარული ერთობ ძნელი სიყვარულია. იგი საკუთარი თავის დავიწყებასა და დამდაბლებას მოითხოვს. მაგრამ მხოლოდ მას ძალუძს წარხოცოს ბავშვების ტანჯვა და სიკვდილი, მხოლოდ მას ძალუძს ეს საშინელება აუცილებლობად აქციოს, რამეთუ კაცს არ შეუძლია ამის გაგება, მას მარტო იმის უნარი შესწევს, ეს ამბავი გულით ინდომოს. აი ის ძნელი გაკვეთილი, თქვენთან ერთად მეც რომ უნდა ვიტვირთო. აი რწმენა, ადამიანთა თვალში სასტიკი რომ მოჩანს, ღვთის თვალში კი — დიდად ღირებული, ღვთისა, რომელსაც უნდა მივუახლოვდეთ. ამ საშინელი სახილველის წინაშე ჩვენც უნდა გავთანასწორდეთ. ამ მწვერვალზე ყველაფერი შეერწყმება ერთმანეთს და გათანასწორდება, ჭეშმარიტება აღმოსჩქევს მოჩვენებითი უსამართლობიდან. ამიტომაც, რომ საფრანგეთის ბევრ ეკლესიაში ჭირით დახოცილები განისვენებენ მგალობელთა ჩარდახის ფილებქვეშ, მღვდლები ქადაგებენ მათი საფლავების თავზე და ჭეშმარიტება, ისინი რომ სთესენ, ამობრწყინდება ამ ფერფლიდან, რომელშიაც ვაგლახ, ყრმათა ფერფლიც აზელილა“.

რეე რომ გავიდა გარეთ, ძლიერი ქარი შემოიჭრა გაღებულ კარიდან და სახეში ეცა მორწმუნეთ. ქარმა ეკლესიაში შემოიტანა წვიმის სურნელი, სველი ქვაფენილის სუნის, მანამ რომ აშცნობდათ, რა სახილველი დახვდებოდათ ქალაქში, სანამ გარეთ გავიდოდნენ. ექიმ რეეს წინ ერთი მოხუცებული მღვდელი და ჭაბუკი დიაკვანი მიდიოდნენ და ქარს რომ არ წაერთმია, ხელით იმაგრებდნენ ქულებს. უფრო ხნიერი გამალებით მსჯელობდა პანელუს ქადაგებაზე. უქებდა მქვერმეტყველებას, მაგრამ აზრის სითამამეს უკიყინებდა. მისთვის რომ გეკითხათ, ეს ქადაგება შეშფოთებას მეტს ამჟღავნებდა, ვინემ ძალას, პანელუს ხნის ღვთისმსახურს კი უფლება არ ჰქონდა შეშფოთებისა. ჭაბუკ დიაკვანს თავი დაეხარა, ქარს რომ მორიდებოდა და მოხუცს ეუბნებოდა, ხშირად მიხდება მამა პანელუსთან ყოფნა, ვიცი, როგორ გამოიცვალა, მწამს, მისი ტრაქტატი კიდევ უფრო თამამი იქნება და ექვი არ არის, *imprimatur*¹-ს ვერ ეღირსებაო.

— მაინც რა აქვს გულში ამოჭრილი? — იკითხა მოხუცმა მღვდელმა.

უკვე კარიბჭეს მიაღწიეს, ქარი ღრიალით ეხლებოდათ სახეში და ჭაბუკს სიტყვის თქმას არ აცლიდა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ხმის ამოდება მოახერხა, დიაკვანმა მხოლოდ ესა თქვა:

— დაუქინია, თუ მღვდელი ექიმს უხმობს საშველად, წინააღმდეგობაში ჩავარდებაო.

რეემ რომ პანელუს ქადაგება უამბო, ტარუმ თქვა, ერთ მღვდელს ვიც-

1. *Imprimatur* — საეკლესიო ცენზურის ნებართვა — (ლათ.).

ნობ, რომელსაც რწმენა შეერყა, როცა ომიანობის დროს თვალდათხრილი ჭა-
ბუჯი ნახაო.

— პანელუ მართალია, — უთხრა ტარუმ. — როცა უცოდველობას თვა-
ლები აქვს დათხრილი, ქრისტიანმა ან რწმენა უნდა დაკარგოს, ან თვითონაც
თვალდათხრილის ხვედრს დამორჩილდეს. პანელუს არ სურს რწმენის და-
კარგვა. ამიტომ ბოლომდე წავა. სწორედ ეს უნდოდა ეთქვა.

ტარუს ეს შენიშვნა შეგვაძლებინებს ცოტათი მაინც შეუქი მოვფინოთ იმ
ბედნავს მოვლენებს, შემდგომ რომ დატრიალდა და პანელუს საქციელი გაუ-
გებარი გახადა მათთვისაც კი, ვინც გარს ერტყა.

ქადაგებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მამა პანელუმ ბინის შეცვლა გა-
ნიზრახა. ეს ის დრო იყო, როცა სენის გამძვინვარებამ დიდი გადასახლებ-
გადმოსახლება გამოიწვია ქალაქში. ისევე, როგორც ტარუ გახდა იძულებ-
ული განიზნულიყო თავის სასტუმროდან და რიესთან გადასულიყო საცხოვ-
რებლად, მამა პანელუსაც უნდა დაეტოვებინა სამყოფელი, სადაც მისმა ორ-
დენმა დაუდო ბინა და შეჰკედლებოდა ერთ ღვთისმოსავ დედაბერს, რომელ-
საც პირი ჯერ არ შეჰყროდა. გადაბარგების დროს მღვდელმა იგრძნო, რა
ძლიერ იყო დაღლილი და კაეშანიც როგორ მოსძალებოდა. ამ გარემოებამ დი-
ასახლისის პატივისცემაც კი დააკარგვინა. მოხუცი ქალი წმიდა ოდილიას
წინასწარმეტყველებათა ქებას რომ მოჰყვა, მღვდელს ცოტა მოუთმენლობა და-
ეტყო. რაც, ცხადია, მისი დაღლილობით იყო გამოწვეული. რა ღონეს არ მი-
მართა მერე მოხუცი ქალის გულის მოსაგებად, მაგრამ არაფერი გამოუვიდა,
თავიდანვე ისეთი ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ყოველ საღამოს, სა-
ნამ თავის ოთახში გავიდოდა, რომელიც ყაისნალით ნაქსოვი მაქმანებით იყო
სავსე. სასტუმრო ოთახში მჯდარი თავისი მასპინძლის ზურგისათვის უნდა
ეტყობრა, ქალი ერთს არ მოაბრუნებდა თავს მისკენ, „ღამე მშვიდობისა, მა-
ნაო“. ამ სიტყვებსაც მშრალად მიუგდებდა ხოლმე. ერთ ასეთ საღამოს, და-
წოლის წინ, მღვდელმა იგრძნო, თავში, მაჯებში საფეთქლებში როგორ დაეტაკ-
ნენ ლაგამწყარილი ტალღები ხურვებისა, ეს რამდენიმე დღე სხეულში რომ
ატარებდა.

ის, რაც მერე მოხდა, მხოლოდ მისი დიასახლისის მონათხრობით გახდა
ცნობილი. დილით ქალი ადრე ადგა ჩვეულებისამებრ. რამდენიმე ხნის შემ-
დეგ, გაკვირვებულმა იმით, რომ მისი მდგმური ოთახიდან არ გამოდიოდა,
აღლია მორცხვობას და მღვდელს კარზე მიუკაცუნა. პანელუ ისევ საწოლში
დაუხვდა. უძილო ღამის შემდეგ სული ეხუთებოდა და ჩვეულებრივზე მეტად
მოსწოლოდა სახეზე სისხლი. ქალი მერე ყვებოდა, ვუთხარი, ახლავე ექიმს
დავუძახებ-მეთქი, მაგრამ მღვდელმა ჩემი წინადადება სამწუხაროდ შორს და-
ეტყობრა და მეც რაღა დამრჩენოდა, ავადმყოფს გავეცალეო. ცოტა ხნის შემდეგ
მამა პანელუმ დარეკა და დიასახლისი თავისთან იხმო. ბოდიში მოუხადა, წე-
ლან უბეშად მოგეპყართო და დააყოლა, ჭირი ნაღდად არ მექნება, არავითარი
საამისო ნიშანი არა მაქვს, ეტყობა, დროებითმა დაღლილობამ დამრია ხელიო.
მოხუცმა ქალმა ღირსეულად მიუგო, ექიმის მოყვანა რომ გირჩიეთ, შიში რო-
დი მაღაპარაკებდა, მე ჩემი თავი არ მედარდება, ჩემი სიცოცხლე ღვთის ხელ-
თაა, მე თქვენი ჯანმრთელობის ამბავი მაფიქრებს, რაკი თქვენი ყურის გდება
მეც მეკისრებაო. მაგრამ, რადგან მღვდელი კრინტს არ სძრავდა, ქალმა კვლავ
შესთავაზა, ექიმს ვუხმოთო. შემდეგ თვითონვე ყვებოდა, ასე იმითომ მოვი-
ქეცი, რომ ჩემი ვალი აღმესრულებინაო. პანელუმ ისევ იუარა, თან უარის

მიხეზიც აუხსნა, მაგრამ მოხუცმა ქალმა ვერა გაუგო რა. ავადმყოფის ნათქვამიდან მხოლოდ ის აზრი გამოიტანა, რომ მღვდელი იმიტომ ამბობდა უარს ექიმს სჩვენებოდა, რწმენა მიკრძალავსო. და სწორედ ეს ეჩვენა გაუგებარი. ქალმა დაასკვნა, სიცხემ ჩემს მდგმურს გონება აურიო, რაღაც სამკურნალო ნაყენი მოუტანა და სხვა აღარაფერი უღონია.

გულით უნდოდა, სინდისიერად შეესრულებინა მოვალეობანი, გარემოებამ რომ დააკისრა და ყოველ ორ საათში ავადმყოფთან შედიოდა დასახედად. ყველაზე მეტად იმან გააოცა, რომ მღვდელი მთელი დღე გამუდმებით შფოთავდა, საბანს იხდიდა და ისევ იხურავდა, წამდაუწუმ ხელს ისვამდა და ცვა-რულ შუბლზე, ხშირად წამოიწევდა ხოლმე დასახველებლად. ყრუ ხველა ჰქონდა, სველი და ამავე დროს ხრინწიანი, თითქოს შიგნეულობა ეფლითებო, თითქოს ვერაფრით ამოულია ყელიდან ბამბის ფთილები, დახრჩობით რომ ემუქრებო. ასეთი შეტევების შემდეგ უკან გადაესვენებოდა დაღლილ-დაქანცული. ბოლოს ისევ სანახევროდ წამოჯდებოდა საწოლში და ერთხანს ისეთი დაჟინებით იცქირებოდა წინ, წელანდელ მღელვარებაზე უარესი რომ ჩანდა. მაგრამ მოხუცი დიასახლისი მაინც ვერ ბედავდა ექიმის დაძახებას ავადმყოფის უნებურად, რაკი ეს სენი, შესახედავად ასეთი საშინელი რომ ჩანდა, შეიძლებოდა უბრალო ხურგება ყოფილიყო.

ნაშუადღევს მაინც შეეცადა მოლაპარაკებოდა მღვდელს, მაგრამ მისი პააუხიდან გარკვეული აზრი ვერ გამოიტანა. მაინც არ მოეშვა. მაშინ მამა პანელუ წამოიშართა და თუმც ყელს მომდგარი ხველა ლაპარაკს უშლიდა, გარკვევით უთხრა, ექიმი არ მინდაო. დიასახლისმაც გადაწყვიტა, ხვალ დილამდე დაეციდი და თუ უკეთესობა არ დაეტყო, დავრეკავ ნომერზე, ცნობათა სააგენტო დღეში თორმეტჯერ მაინც რომ იმეორებსო. თავისი ვალის ერთგული ქალი ფიქრობდა, ღამითაც დავხედავ ხოლმე ჩემს მდგმურს და თვალყურს ვადევნებო. მაგრამ საღამოს, მას შემდეგ, რაც სნეულს ახალი ნაყენი მიუტანა, მიწვა და მხოლოდ მეორე დღის გამთენიისას გამოეღვიძა. გაახილა თუ არა თვალი, მაშინვე პანელუს ოთახისაკენ გაიქცა.

სნეული უმოძრაოდ გამოტილიყო საწოლზე. გუშინდელივით წამოქარხლებული აღარ იყო, ახლა სახეზე მკვდრისფერი დასდებოდა და ეს სიფერმკრთა-ლე მით უფრო საგრძნობი ჩანდა, რომ მის ნაკვთებს სისავსე არ დაჰკარგვოდათ. იწვა და დაჟინებით შეჰყურებდა ნაირფერი შუშებით შემკულ ქალს, რომელიც საწოლის თავზე ეკიდა. მოხუცი ქალი რომ შემოვიდა, თავი მოაბრუნა მისკენ. იმ წუთას ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მთელი ღამე ებრძოდა და დარეტიანებულს გაგების უნარი დაჰკარგვოდა. ქალმა ჰკითხა, როგორ ბრძანდებითო და ხმით, რომელშიაც უცნაური განურჩევლობა გამოკრთოდა, ავადმყოფმა მიუგო, ცუდად ვარ, ექიმი არ მჭირდება, ოღონდ ლაზარეთში კი უნდა გადამიყვანოთ, რომ ყველაფერი წესისამებრ იყოსო. თავზარდაცემული მოხუცი ტელეფონს ეცა.

რეე შუადღისას მოვიდა. მასპინძლის ნაამბობი რომ მოისმინა, მხოლოდ ისა თქვა, პანელუ არ შემცდარა, მაგრამ უკვე გვიან არისო. მამა პანელუმ იმავე განურჩევლობით მიიღო იგი. რიემ გასინჯა და გაუკვირდა, რაკი სნეულს არც ბუბონები ასხდა ტანზე და არც ფილტვების ჰირის რაიმე ნიშანი ვმჩნეოდა; მხოლოდ ეგ იყო, ყელი დასცობოდა და სუნთქვა უჭირდა. მაგრამ ასეა თუ ისე, პულსი ისეთი ნელი ჰქონდა და ისე იყო მისუსტებული, რომ ექიმს იმედი ცოტა შერჩა.

— სენის არც ერთი ძირითადი ნიშანი არა გაქვთ, — უთხრა პანელუს, — მაგრამ მაინც საექვო მდგომარეობაა და სხვებს უნდა გაგარიდოთ.

მღვდელმა უცნაურად გაიღიმა, თითქოს ზრდილობის გულისათვის, მაგრამ მამა არ ამოუღია. რიე დასარეკად გავიდა და მალე უკანვე შებრუნდა პანელუს დააცქერდა.

ეროვნული
ზიზღიერება

— გვერდიდან არ მოგცილდებით, — უთხრა ტკბილად.

მღვდელს გამოცოცხლება დაეტყო და ექიმს მიაპყრო მზერა, რომელშიაც თითქოს კვლავ სითბო ჩაედვარა. მერე გაჭირვებით ამოღერდა და ძნელი მისახვედრი იყო, მწუხარებით ამბობდა ამას თუ არა:

— გმადლობთ. ოღონდ სამღვდელთა პირებს მეგობრები არა ჰყავთ. მათ უფალს ანაცვალეს ყოველივე.

მერე მოითხოვა ჯვარცმა, საწოლის თავთან რომ ეკიდა და როცა მიაწოდეს, შებრუნდა და ცქერა დაუწყო.

საავადმყოფოში პანელუს კრიჭა არ გაუხსნია. უსულო რამ ნივთივით მიწებდა ყველა სახის მკურნალობას, რაც კი დაუნიშნეს, მაგრამ ჯვარცმა არ დაუგდია ხელიდან. მისი მდგომარეობა მაინც გაურკვეველი იყო. თითქოს ზოოი სჭირდა და არც სჭირდა. ეს ერთი ხანობა იყო, სენი თითქოს იმით ერთობოდა, რომ თავგზას უბნევდა დიაგნოზის დამსმელთ. მაგრამ მამა პანელუსათვის ამ გაურკვეველობას, როგორც შემდგომ გამოჩნდა, დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ავადმყოფს სიცხემ აუწია. ხველა სულ უფრო და უფრო ყვიანა გაუხდა და მთელ დღეს მოსვენება არ მისცა. ბოლოს, საღამო ხანს, როგორც იქნა, მამა პანელუმ ნახველს ამოაყოლა ბამბის ფთილა, რომელიც ახრჩობდა. იგი წითელი იყო. სიცხით გათანგულ მოხუცს ისევ გულგრილი გამოხედვა ჰქონდა. მეორე დღესაც, როცა დილით მკვდარი ნახეს საწოლიდან სანახევროდ გადმოკიდებული, მისი მზერა არაფერს გამოხატავდა. მის ბარათზე, საექვო შემთხვევა იყო, დააწერეს.

იმ წელს ყველაწმიდის დღესასწაული წინა წლებისას არაფრით ჰგავდა. ცხადია, ამინდის ბრალიც იყო ეს. ამინდი უეცრად აირია და გაჭიანურებულმა სიცხეებმა ერთბაშად დაუთმო ადგილი სიცივეს. როგორც სხვა წლებში, ახლაც გამუდმებით უბერავდა ცივი ქარი. ცაზე ქულა ღრუბლები მიცურავდნენ და ჩრდილს ჰფენდნენ სახლებს, რომელთაც მათი ჩავლის შემდეგ ეცემოდა ნოემბრის ცის ცივი ოქროსფერი სინათლე. აქა-იქ გაკრთნენ პირველი ლაბადებიც. მალე საოცრად გამრავლდა მბრწყინავი და ბრეზენტისმაგვარი ქსოვილი. გაზეთებმა საქვეყნოდ გამოაცხადეს, რომ ორასი წლის წინათ, სამბრეთ საფრანგეთში დიდი ჭირიანობის დროს ექიმები თავის გადარჩენის მიზნით გაზეთილ ტანსაცმელს იცვამდნენ. მაღაზიებმა ამით ისარგებლეს და სულ დაასადეს, რაც რამ მოდიდან გამოსული ტანსაცმელი ჰქონდათ, რაკი მათი წყალობით თითოეული ჩვენი მოქალაქე იმედოვნებდა სენისაგან თავის დაცვას.

მაგრამ შემოდგომის ამ დროის ვერც ერთი ეს ნიშან-თვისება ვერ დაავიწყებდა ხალხს, რომ სასაფლაოები მიტოვებული იყო. წინა წლებში ტრამვაები სავსე იყო ქრიზანთემების მტკნარი სუნით და ქალთა პროცესია მიემართებოდა იქითკენ, სადაც მათი მახლობლები იყვნენ დაკრძალულნი,

რათა ყვავილებით შეემკოთ გარდაცვლილთა საფლავები. ეს ის დღე გახლდათ, როცა ცდილობდნენ მიცვალებულთათვის სამაგიერო მიეზღოთ იმ დავიწყებისა და სიმარტოვისათვის, რომლის ანაბარადაც ხანგრძლივი თვეები მანძილზე ჰყავდათ მიგდებული. მაგრამ წლეულს არავის სურდა მკვდრებზე ეფიქრა. მათზე ისედაც ხომ ბევრი ფიქრი უწევდათ და ახლა აღარაფერს სურდა სწვე-
ოდა მათ საფლავებს ცოტა სინანულითა და უზომო კმეფლანქოუფიფი, ახლა მკვდრები მიტოვებულნი როდი იყვნენ, რომელთა წინაშეც სინდისის გასაწ-
მენდად წელიწადში ერთხელ კმაროდა მისვლა. ისინი მოძალადენი გამხდარიყ-
ვნენ, რომელთა დავიწყებაც ყველას ეწადა. აი, რატომ იყო, რომ მიცვა-
ლებულთა დღესასწაული ამ წელს როგორღაც მიაფუჩეჩეს კოტარის თქმით,
ვისაც ტარუ სულ უფრო და უფრო მეტ ენამწარობას ამჩნევდა, დღეცისმარე
მკვდართა დღესასწაული იყო.

და მართლაც, შავი ჭირის ფეიერვერკები სულ უფრო მხიარულად გიზ-
ვიზებდნენ კრემატორიუმის ღუმელში. მკვდრების რიცხვი დღითი დღე აღარ
მატულობდა, მაგრამ შავი ჭირი თითქოს არხეინად მოკალათებულიყო თავის
უმალლეს წერტილზე და ყოველდღიურ ხოცვა-ჟლეტაში სანიმუშო მოხელის
სისუსტე და სიბეჯითე შეჰქონდა. ვისაც დაეჭვებოდა, ამბობდა, კაცმა რომ
აქვას, საქმეს კარგი პირი უჩანსო. ექიმ რიშარს, მაგალითად, მიაჩნდა, შავი
ჭირის მრუდი აქამდე სულ მალლა-მალლა იწევდა, ახლა ერთ ადგილას რომ
გაიყინა, სასიკეთო ნიშანიაო. ჩინებული, საუცხოო დიაგრამააო, ამბობდა იგი.
მისთვის რომ გეკითხათ, ეპიდემიას უკვე ჭერისათვის მიელწია და ირწმუნე-
ბოდა, დღეიდან უეჭველად კლებისაკენ უნდა წავიდესო. ამაში რიშარი კას-
ტელის ახალი შრატის დამსახურებას ხედავდა: შრატს მართლაც მოულოდნე-
ლი რამდენიმე გამარჯვება ხვდა წილად. მოხუცი კასტელი არ უარობდა, მაგ-
რამ გაიძახოდა, დანამდვილებით ჯერ ვერაფერს ვიტყვით, ჭირიანობის ის-
ტორიაში მრავლად ყოფილა შემთხვევა, რომ სენი უეცრად შემობრუნებუ-
ლაო. პრეფექტურამ, რომელიც მოწადინებული იყო დაეშოშმინებინა საზო-
გადოებრივი აზრი და შავი ჭირი ამის საშუალებას არ აძლევდა, განიზრახა
შეეკრიბა ექიმები, რომ მათი მოსაზრებანი შეეტყო, მაგრამ ამ დროს ექიმი
რიშარიც მოცელა შავმა ჭირმა, სწორედ მაშინ, როცა სენის მრუდი „ჭერზე“
გაქვავებულიყო.

ეს ამბავი, ცხადია, შთამბეჭდავი იყო, თუმც, კაცმა რომ თქვას, არც არა-
ფერს ამტკიცებდა. მაგრამ ამ ამბის მომსწრე ხელისუფალთ უმალ პესიმიზ-
მისკენ იბრუნეს პირი. თუმცა ეს პესიმიზმიც ისევე გაუმართლებელი იყო,
როგორც ოპტიმიზმი, გულში ამ ცოტა ხნის წინათ რომ ჩანერგვოდათ. კას-
ტელი მარტო იმასლა ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი შრატი დაემზადებინა
და თავაულებლივ მუშაობდა. ასე იყო თუ ისე, მხოლოდ ერთი საზოგადო-
ებრივი ადგილიდა შერჩათ, საავადმყოფოდ და ლაზარეთად რომ არ გადაეკე-
თებინათ და თუკი ჯერ კიდევ ზოგავდნენ პრეფექტურას, ეს იმიტომ, რომ სხვა
გზა არ ჩანდა, ხომ უნდა დაეტოვებინათ ადგილი, სადაც თავშეყრა მოუხერხ-
დებოდათ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იმ ხანებში სენის შედარებითი
სტაბილურობის წყალობით რიეს დაარსებული სამკურნალო ორგანიზაცია საქ-
მეს თავს როგორღაც ართმევდა. ექიმები და მათი თანაშემწეები, ძალ-ღონის
დაუზოგავად რომ შრომობდნენ, იმედოვნებდნენ, ამაზე მეტი ქანცის გაცლა არ
მოგვიხდებაო. მათ მხოლოდ მუყაითად უნდა შეესრულებინათ ეს, თუ შეიძ-
ლება ასე ითქვას, ზეადამიანური სამუშაო. ფილტვების ჭირი, აქა-იქ რომ ეჩი-

და თავი, ახლა ქალაქის ოთხსავე კუთხეს მოედო, თითქოსდა ქარი აღვივებდა და აძლიერებდა ხანძარს ადამიანთა მკერდში. სისხლის რწყევისა ავადმყოფები უფრო სწრაფად იხოცებოდნენ. გადაღების საშიშროებამაც თითქოს იმატა სენის ამ ახალი ფორმის გაჩენასთან ერთად. თუმცა სპეციალისტები ამ საკითხში არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს. მაინც, მეტი უსაფრთხოების მიზნით, სანიტარული პერსონალი სადღეინფექციო ნივთიერებით გაუღებდა მძიმე ზით მუშაობდა. ამის შემხედვარე კაცი იფიქრებდა, ებიდემია უცილოდ გაიზრდებოდა, მაგრამ რაკი ბუბონებიანი ჭირის შემთხვევები შემცირდა, სასწორი გაწონასწორდა.

ოღონდ ახლა სხვა სახის სიძნელეებმა იჩინა თავი. ქალაქის სურსათით მომარაგება დღითი დღე სულ უფრო ძნელდებოდა. სპეკულაცია გაჩაღდა და ზღაპრულ ფასებში იყიდებოდა პირველი მოხმარების საგნები, რომელთა შოვნაც ჩვეულებრივ ბაზარზე ადარ ხერხდებოდა. ღარიბი ოჯახები მეტად სავალალო ყოფაში ჩაცვივდნენ, მდიდარ ოჯახებს კი თითქმის არაფერი აკლდათ. ასე რომ, შავ ჭირს, რომელსაც ქმედითი მიუკერძოებლობის ძალით ჩვენს ქალაქელთა შორის თანასწორობა უნდა დაემკვიდრებინა, ეგოისტურ ვნებათა ბუნებრივი თამაშის წყალობით უსამართლობის გრძობა კიდევ უფრო მწველი გაეხადა კაცთა გულებში. სიკვდილის უზეშთაესი თანასწორობა კი სუფევდა, მაგრამ მისკენ არავინ მიილტვოდა. შიმშილით განაწამებნი შურით ფიქრობდნენ მეზობელ სოფლებსა და ქალაქებზე, სადაც ხალხი თავისუფლად ცხოვრობდა და პური ძვირი არ ღირდა. რაკი ჩვენი გამოკვება არ შეუძლიათ, აქედან წასვლის ნება უნდა დაგვრთონო, ამოიჭრეს გულში. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ ლოზუნგიც შეთხზეს და ხანდახან კედლებზე ნახავდით მიწერილს, ხან კი გაიგონებდით, მანქანით ჩავლილ პრეფექტს რომ მისძახოდნენ: „პური ან თავისუფლება“! ამ ირონიული ლოზუნგით ჩაიარა რამდენიმე დემონსტრაციამ, რომლებიც თავშივე ჩაახშეს, მაგრამ მდგომარეობა რომ სერიოზული იყო, ამას ყველა ხვდებოდა.

გაზეთები, ცხადია, მორჩილებდნენ მიღებულ ბრძანებას და რაც უნდა მომხდარიყო, მაინც ოპტიმისტურ სულისკვეთებას ამჟღავნებდნენ. მათთვის რომ გეგდოთ ყური, ქალაქში, სადაც შავი ჭირი ბობოქრობდა, მოსახლეობა „სიმშვიდისა და თავდაჭერილობის მაგალითს“ იძლეოდა. მაგრამ კარჩაკეტილ ქალაქში, სადაც საიდუმლოებით მოცული არაფერი რჩებოდა, ჩვენი საზოგადოების ამ „მაგალითით“ არავინ ტყუვდებოდა. და სწორი წარმოდგენა რომ შეგქმნოდათ იმ სიმშვიდესა და თავდაჭერილობაზე, გაზეთებში ხოტბას რომ ასხამდნენ, საკმარისი იყო საკარანტინო დაწესებულებაში ან საიზოლაციო ბანაკებში შეგეხედათ, რომლებიც მთავრობას ჰქონდა მოწყობილი. საქმე ისე აუწყო, რომ მთხრობელს სულ სხვაგან უწევდა ყოფნა და ეს ბანაკები არ უნახავს. ამიტომ მხოლოდ ტარუს ნაამბობი შეუძლია დაიმოწმოს.

ტარუ თავის უბის წიგნაკში მართლაც გვიამბობს, როგორ ეწვია რამბერთან ერთად ქალაქის სტადიონზე გამართულ ბანაკს. სტადიონი ზედ ქალაქის კარიბჭესთანაა გაშენებული და ცალი მხრით ქუჩას გადაჰყურებს, სადაც ტრამვაები მიხრიგინებენ, მეორე მხრით კი უშენ ადგილებს ემიჯნება, იმ ზეგანის ბოლომდე რომაა გადაჭიმული, რომელზედაც ქალაქია შეფენილი. ირგვლივ ბეტონის კედელი აკრავს და საკმარისია, ოთხივე კარში გუშაგები ჩააყენონ, რომ ძეხორციელი ვერ გამოიპარება იქიდან. თანაც ეს გალავანი გარეთ დარ-

ჩენილთა შეურაცხყოფელი ცნობისმოყვარეობისაგან იფარავდა კარანტინში მოხვედრილთ. სამაგიეროდ საწყლებს მთელი დღეების განმავლობაში მოსვენებას უფრთხობდა ტრამვაების რაზრახი. თუმც კი დანახვით ვერაფერს ხედავდნენ, ამტყდარ ხმაურზე მაინც შეეძლოთ გამოეცნოთ, როდის მიდიოდა ხალხი სამსახურში ან როდის ბრუნდებოდა შინ. ასე რომ, გრძნობდნენ, როგორ გრძელდებოდა მათგან რამდენიმე ნაბიჯზე ცხოვრება, რომლისგანაც თავად მოკვეთილნი იყვნენ და რწმუნდებოდნენ, რომ ბეტონის კედლები ორი სამყაროს ბინადართ ჰყოფდა, რომლებიც უფრო უცხონი იყვნენ ერთმანეთისათვის, ვიდრე სხვადასხვა პლანეტების მკვიდრნი.

ტარუმ და რამბერმა ერთ-ერთი კვირადღე აირჩიეს სტადიონზე მისასვლელად. თან გონზალესიც ახლდათ, ფეხბურთელი, რომელიც რამბერმა იპოვა და დაითანხმა, სტადიონზე მორიგეობისათვის თვალყური ედევნებინა. რამბერს იგი ბანაკის უფროსებისათვის უნდა წარედგინა. გონზალესმა უთხრა რამბერსა და ტარუს, როცა ერთმანეთს შეხვდნენ, სწორედ ამ დროს, უამიანობა-მდე, ფორმას ვიცვამდით და მატჩისთვის ვემზადებოდითო. ახლა, რაკი სტადიონი ჩამოგვართვეს, ამეებზე უარი გვეთქვა და თავს სულ უსაქმოდ შეთენილად ვგრძნობო. ეს გარეგნულადაც კი ეტყობოდა. აი, ეს გახლდათ ერთი იმ მიზეზთაგანი, მეთვალყურეობაზე თანხმობა რომ ათქმევინა, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით დაყაბულდა, მარტო კვირის ბოლოს თუ მამუშავებთო. ცა სანახევროდ მოქუფრულიყო და გონზალესმა სინანულით შენიშნა, ასეთ ამინდს, როცა არც მზეა და არც წვიმს, არაფერი შეედრება ფეხბურთისთვისო. ნეტარებით იხსენებდა შესაზელი საცხის სუნს, გასახდელში რომ იდგა, ხალხით გაჭედნილ ტრიბუნებს, ცინცხალი ფერის მაისურებს ხასხასა მდელიოზე, პირველი ტაიმის შემდეგ მოწუწნილ ლიმონს ანდა ცივ-ცივ ლიმონათს, გამომშრალ სასას უთვალავი გრილი ნემსით რომ ჩხვლეთს. ტარუს ისიცა აქვს ჩანიშნული, გზადაგზა, გარეუბნის ნახევრად აყრილ ქუჩებს რომ მივუყვებოდით, ფეხბურთელი წამდაუწუმ ფეხს კრავდა ქვებს, წინ რომ ხვდებოდა, ცდილობდა, წყალსადენის ღარში შეეგდო და როცა საწადელს მიაღწევდა, ერთით ნულიო, და-აყოლებდა ხოლმე, მერე, როცა სიგარეტის მოწევას მორჩა, ნამწვი გადააფურთხა და შეეცადა ჰაერშივე დაეჭირა ფეხითო. სტადიონის მისადგომებთან ბავშვებს ფეხბურთი გაეჩაღებინათ. თამაშისას აქეთ გამოუგორდათ ბურთი და გონზალესს არ დაზარებია, უკან გამოუდგა და ზუსტი დარტყმით ბავშვებს დაუბრუნა იგი.

ბოლოს სტადიონზე შევიდნენ. ტრიბუნები ხალხით იყო სავსე, მინდორი კი მოფენილი იყო ასობით წითელი კარვით, რომელთა შიგნითაც შორიდანვე საკაცეები და რალაც ფუთები მოჩანდა. ტრიბუნებზე კარანტინში მყოფნი თავს აფარებდნენ სიცხესა და წვიმას. მაგრამ ნაბრძანები ჰქონდათ, მზის ჩასვლის-თანავე კარვებისათვის მიეშურებინათ. ტრიბუნების ქვეშ შხაპები იყო, რომლებიც საგანგებოდ შეეკეთებინათ და ფეხბურთელთა ყოფილი გასახდელები, კანცელარიებად და სამედიცინო პუნქტებად რომ გადაეკეთებინათ. კარანტინში მყოფთა უმრავლესობა ტრიბუნებს მოსდებოდა. სხვები საშხაპის თავზე მიმოდიოდნენ. ზოგი თავისი კარვის წინ ჩაცუცქულიყო და გარემოს ავლებდა დაფანტულ მზერას. ტრიბუნებზე მსხდართ თავი მოწყვეტით ჩაეკიდათ, თითქოს რაღაცას ელოდნენ.

— მთელ დღეს რას აკეთებენ? — ჰკითხა ტარუმ რამბერს.

— არაფერს.

მართლაც, თითქმის ყველას მკლავები ჩამოეშვა, ხელშიც არაფერი ეჭირათ. აღამიანთა ეს უზარმაზარი თავყრილობა საოცრად მღუმარე იყო.

— პირველ დღეებში ერთმანეთის ხმა არ ესმოდათ, ისეთი ყაყანი იდგა. მაგრამ რაც ხანი გადის, სულ უფრო და უფრო ნაკლებს ლაპარაკობენ.

მის ჩანაწერებს თუ დავუჩერებთ, ტარუს ესმოდა მათი; ხვდებოდა, მისთვის ხანობას როგორ შეყუყულიყვნენ თავ-თავიანთ კარვებში, ბუზების ბზუილს უსმენდნენ ან იქექებოდნენ და თავიანთ რისხვასა და შიშს ანთხევდნენ, თუკი ვინმე თანაგრძნობით ყურს მიაპყრობდათ. მაგრამ მას მოღმა, რაც ბანაკი ხალხით გაიჭედა, ასეთი გულისყურიანი მსმენელის პოვნა სულ უფრო და უფრო გაჭირდა. ისღა დარჩენოდათ, გაჩუმებულიყვნენ და უნდობლობა დასჩემდათ. ეს კი არადა, თითქოს რუხი, მაგრამ მაინც სხივოსანი ციდანაც უნდობლობა ჩამოშვავებულიყო და ქვეშ დაეტანა წითლად აელვარებული ბანაკი.

ღიახ, ყველას უნდობლობა ეწერა სახეზე. რაკი სხვებს მოგვწყვიტეს, უმიზნოდ არ მოხდებოდაო, ფიქრობდნენ უთუოდ და ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თავის მართლებების მოწადინე, შიშით დაზაფრულ ხალხს რომ იქვს ხოლმე. ყველას, ვისაც ტარუ აცქერდებოდა, უაზრო გამოხედვა ჰქონდა. ეტყობოდათ, სტანჯავდათ უწინდელ ცხოვრებასთან განშორება, მაგრამ ისიც აშკარად ჩანდა, რომ ეს განშორება მათ თვალში, სულ უფრო და უფრო განყენებულ სახეს იღებდა. და რაკი არ შეეძლოთ სულ სიკვდილზე ეფიქრათ, არაფერზედაც არ ფიქრობდნენ. თითქოს არდადეგები ჰქონდათ. „მაგრამ ყველაზე უარესი ისაა, — წერდა ტარუ, — რომ ხვდებიან, დავიწყებულნი ვართო. მათმა ნაცნობებმა ისინი დაივიწყეს, რადგან სხვა რამეზე უწევთ ფიქრი და ეს სავსებით გასაგებია. ვერც იმას იტყვის კაცი, ვისაც ესენი უყვარს, ახსოვს კიდევო, რაკი სულ მისვლა-მოსვლაში არიან და თავს იმტვრევენ იმაზე ფიქრით, ერთი რა გზა ვნახოთ ისეთი, რომ გამოვიხსნათო. ამ დახსნაზე ფიქრით გართულნი, იმათზე აღარ ფიქრობენ, ვისი გამოხსნაც სწადიათ. ესეც ბუნებრივია, ბოლოს და ბოლოს, ამჩნევ, რომ სინამდვილეში არავის ძალუძს იფიქროს ვინმეზე ასეთი უბედურების ჟამს, რადგან თუ ნამდვილად გინდა ვინმეზე ფიქრი, სულ მასზე უნდა ფიქრობდე, ყოველ წუთს; ამ საფიქრალს არ უნდა დავიწყებდეს არც ოჯახზე ზრუნვა, არც ბუზი, თავს რომ გადაგიფრენს, არც სასმელ-საჭმელი და არც ქავილი. მაგრამ ბუზებსა და ქავილს ვერსად დაემალები. აი რატომაა ცხოვრება ეგზომ ძნელი. ამათ ეს კარგად უწყიან!“

ადმინისტრატორი წამოვიდა მათკენ და უთხრა, ბ-ნ ოტონს სურს თქვენი ნახეაო. მან გონზალესი თავის კაბინეტში შეიყვანა, მერე კი რამბერს და ტარუს იმ ტრიბუნისაკენ გაუძღვა, სადაც ბ-ნი ოტონი იჯდა განმარტოებით. მისამართლე მოსულთ ფეხზე ადგომით შეხვდა. ისევ უწინდებურად ეცვა და უწინდებურადვე გახამებული საყელო ეკეთა. ტარუმ მხოლოდ ის შენიშნა, რომ თმა საფეთქლებთან ჩვეულებრივზე მეტად ასწეწოდა და ფეხზე ერთი ყაითანი შეხსნოდა. გამომძიებელს დაღლილი გამომეტყველება ჰქონდა და თანამოსაუბრეებისათვის ერთხელაც არ შეუხედავს სახეში. უთხრა კი, ბედნიერი ვარ, რომ გხედავთ და გთხოვთ ჩემი მადლობა გადასცეთ ექიმ რიეს ყველაფრისათვის, რაც გაგვიკეთაო.

სტუმრები დუმდნენ.

— იმედი მაქვს, — თქვა გამომძიებელმა ცოტა ხნის დუმისის შემდეგ, — უილიამს ბევრი არ უწვავია.

ტარუმ პირველად გაიგონა, როგორ წარმოთქვა გამომძიებელმა თავისი შვილის სახელი და მიხვდა, რომ რაღაც შეცვლილიყო ამ კაცში. მზე პორიზონტისკენ გადახრილიყო, მზის სხივები ღრუბელთა შორის ირიბად იჭრებოდა ტრიბუნებში და მოსაუბრეთა სახეებს ოქროსფრად ეფინებოდა.

— არა, — უთხრა ტარუმ, — არა, სულ არ უწვავია.

რომ წამოვიდნენ, გამომძიებელი კვლავ თვალმიშტერებით იცქირებოდა იმ მხარისაკენ, საიდანაც მზის სხივი სცემდა.

მერე გონზალესთან მივიდნენ გამოსამშვიდობებლად. თავს რომ წაადგნენ, მორიგეობის განრიგს ამოწმებდა. ფეხბურთელმა სიცილით ჩამოართვა ორთავეს ხელი.

— გასახდელეები მაინც ვნახე, — თქვა მან, — ამაზედაც მადლობელი ვარ.

ცოტა ხნის შემდეგ ადმინისტრატორმა გამოაცილა ტარუ და რამბერი. გასასვლელამდე არც იქნებოდნენ მისული, რომ რაღაც საშინელი ხმაური შემოესმათ ტრიბუნებიდან. წამიც და, რეპროდუქტორებმა, რომლებიც უკეთეს ღროს მატჩების შედეგებს ამცნობდნენ დამსწრეთ ანდა გუნდების შემადგენლობას, დუდლუნით გამოუცხადეს ბანაკში მყოფთ, ახლავე კარვებს მიაშურეთ, ვახშამია ჩამოსარიგებელიო. ადამიანები ნელ-ნელა წამოიშალნენ ტრიბუნებიდან და ფეხათრევით გაემართნენ თავ-თავიანთი კარვებისაკენ. როცა ყველამ თავისი ადგილი დაიკავა, ორმა პატარა ელექტრომანქანამ, სადგურებზე ბარგის გადასაზიდად რომ ხმარობენ ხოლმე, გაიარა კარვებს შორის და ვეება ქვაბები ჩამოატარა. ხალხი ხელს იწვდიდა, ორი ჩამჩა ჩაყვინთავდა ორ ქვაბში და კერძს ორ ჯამში ასხამდა. მერე მანქანა თავის გზას აგრძელებდა, მომდევნო კარავთან ისევ დგებოდა და ისევ ივსებოდა წვნიანით ჯამები.

— საქმე მეცნიერულ დონეზე გაგიმართავთ, — უთხრა ტარუმ ადმინისტრატორს.

— დიახ, — მიუგო მანაც კმაყოფილებით, თან ხელს ართმევდა სტუმრებს, — სწორედ რომ მეცნიერულ დონეზე.

მწუხრი წვებოდა და ცაზე ერთი ფთილა ღრუბელიც არ ჩანდა. ნაზი და ვრილი სინათლე ეფინებოდა ბანაკს. საღამოს სიმშვიდეში კოვზებისა და თეფშების ხმაური გაისმოდა ყოველი მხრიდან. ლამურებმა თავს გადაუქროლეს კარვებს და მყისვე თვალს მიეფარნენ. ტრამვაის ხრიგინი ისმოდა გზის გასაყართან, კედლის იქითა მხარეს.

— საწყალი გამომძიებელი, — წაიჩურჩულა ტარუმ, როცა კედლებს გასცდნენ. რაღაც უნდა გაგვეკეთებინა მისთვის. მაგრამ გამომძიებელს აბა, რით უნდა დაეხმარო კაცი?

ქალაქში ბევრი სხვა ბანაკიც იყო, რომელთა შესახებაც მთხრობელი არას ამბობს, რაკი მას ზუსტი ცნობები არ გააჩნია და დუმისს არჩევს. მაგრამ ის კი შეუძლია გითხრათ, რომ თვით ამ ბანაკთა არსებობა, ადამიანთა სუნი, მათგან რომ ქროდა, მწუხრში აბლავლებული რეპროდუქტორების ხმა, კედელთა საიდუმლო და შიში, ეს დაწყევლილი ადგილები რომ იწვევდნენ, მძიმედ აწვა ქალაქელთა სინდისს და კიდევ უფრო ზრდიდა საყოველთაო თავგზააბნეულო-

მასა და სიმძიმის. გახშირდა შეტაკებები და კონფლიქტი ადმინისტრაციასთან.

ნოემბრის მიწურულს დილ-დილაობით სუსხი დაიჭირა. ნიაღვრებად მომსკდარი კოკისპირული წვიმები რეცხდა ქვაფენილებს, ცაზე ღრუბლის ფთილაც აღარ რჩებოდა და სულ კრიალი გაჰქონდა წვიმით გაბზინებული ქუჩების თავზე. ძალაგამოლეული მზე ყოველ დილით ქალაქს უგზავნიდა გაყინულსა და გაშკაშა სინათლეს. სალამო ხანს, პირიქით, ჰაერი ისევ თბებოდა. სწორედ ასეთი სალამო შეარჩია ტარუმ ექიმ რიესთვის გულის გადასახსნელად.

ათი საათი იქნებოდა, ხანგრძლივი და მომქანცველი დღის შემდეგ, ტარუ გაჰყვა რიეს, რომელიც ჩვეულებისამებრ ასთმით სნეულ მოხუცთან მიდიოდა. ცა ნაზად ბრწყინავდა ძველი უბნის სახურავებს ზემოთ. სუსტი ქარი უხმაუროდ ქროდა ბნელ შუკებში. მშვიდი ქუჩიდან შემოსულთ მოხუცი ლაყზობით მიეგება: ზოგ-ზოგები ჩივიან, მაძლარი ლუკმა ისევ იმათა აქვთ, ვისაც ჰქონდა, მაგრამ ერთხელაც იქნება, კოკა წყალზე გატყდებაო; მერე ხელები მოიფშენიან და დააყოლა, თქმა არ უნდა, ერთი მაგარი ჩხუბი ატყდებაო. ექიმს სანამ სინჯავდა, სულ ბოლოდროინდელ ამბებზე მსჯელობდა.

ამ დროს მათ თავს ზემოთ ნაბიჯების ხმა გაისმა. მოხუცის ცოლმა შენიშნა, რომ ტარუს ცნობისმოყვარეობა აღებეჭდა სახეზე და აუხსნა, მეზობლის ქალები ტერასაზე დადიან, ზევიდან კარგი ხედია, აქაური სახლები ერთმანეთს ებჯინება და უბნის ქალებს შეუძლიათ ისე ეწვიონ ერთმანეთს, კარში ფეხი არ გადგანო.

— აბა, — თქვა მოხუცმა, — თქვენც აბრძანდით. ზევით საუცხოო ჰაერია.

ტერასა ცარიელი დაუხვდათ, სამი სკამი კი იდგა ზედ. ცალ მხარეს, სადამდეც კი კაცის თვალი სწვდებოდა, სულ ბანები მოჩანდა, რომლებიც ბოლოს ერთ ჩაშავბნელებულსა და ქვიან მასას ებჯინებოდნენ. კარგად რომ დააკვირდნენ ამ მასას, სანაპიროს პირველი მთა შეიცნეს. მეორე მხარეს, რამდენიმე ქუჩის და თვალისთვის უხილავი ნავსადგურის იქით მზერა იძირებოდა პორიზონტში, სადაც ცა და ზღვა იდუმალი თრთოლვით ერწყმოდა ერთიმეორეს. შორეული კლდეების თავზე ეამიდანეამს ჩნდებოდა სინათლე, რომლის სათავესაც მზერას ვერ უწვდენდნენ. ეს შუქურის ფარები იყო, გაზაფხულს აქვთ რომ ბრუნავდნენ ხომალდებისთვის, რომლებიც სხვა ნავსადგურებისაკენ იღებდნენ გეზს. ქარისგან მოწმენდილ-მოკრიალებულ ცაზე ვარსკვლავები გაშკაშებდნენ და ფარების შორეული შუქიც დროდადრო შეაფრქვევდა ხოლმე მათ თავის ცრიატ სინათლეს. ზღვიდან მონაბერ ნიავს მოჰქონდა სუნელ-სანელებლისა და ქვის სუნი. ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— რა კარგია, — თქვა რიემ და ჩაიმუხლა, — თითქოს ჭირს თავის დღეში არ ამოელწიოს აქამდე.

ტარუს ზურგი შეეჭცია მისთვის და ზღვას გაჰყურებდა.

— ჰო, — თქვა მანაც ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, — აქ კარგია.

მერე ექიმს მიუჯდა გვერდით და ყურადღებით დააცქერდა. ცაში სამგზის გაკრთა შუქურას სინათლე. მათ ყურამდე მოაღწია ჯამ-ჭურჭლის ხმამ ქუჩის სიღრმიდან. მეზობელ სახლში კარი გაჯახუნდა.

— რიე, — უთხრა ტარუმ რაც შეეძლო ბუნებრივად, — არასდროს მოგსურგვებიათ გაგეგოთ, ვინა ვარ? მეგობრად თუ მთვლით?

— დიახ, — მიუგო ექიმმა, — მეგობრად კი გთვლით, მაგრამ აქამდე საამისოდ დრო არც გვჭონია.

— ო, ეს მანუგეშებს. გინდათ, ეს ერთი საათი ჩვენს მეგობრობას დაუთმოთ?

საპასუხოდ რიემ მხოლოდ გაუღიმა.

— მაშ, ყური დამიგდეთ...

რამდენიმე ქუჩის იქით მანქანამ გაისრიალა სველ ქვაფენილზე, მერე შორიდან მონადენმა შეძახილებმა გაჰკვეთეს ღამეული მღუმარება. შემდეგ ორთავეს მთელი სიმძიმით კვლავ დააწვა თავს ცა და ვარსკვლავები. ტარუ წაჰმოდგა, რომ ტერასის მოაჯირს დაყრდნობოდა, რიე კი ისევ თავის სკამზე იჯდა და მეგობარს შესცქეროდა. ცის ფონზე ტარუს ვეება სილუეტი მოჩანდა, მან დიდხანს ილაპარაკა. აი დაახლოებით მისი ნაუბარი:

„ბევრი რომ არ გავაგრძელო, რიე, მე შავი ჭირისაგან ვიტანჯებოდი მანამ, სანამ ამ ქალაქში მოვხვდებოდი და ეპიდემია დაგვრევდა ხელს. საკმარისია ითქვას, რომ მეც ისეთი ვარ, როგორც სხვები. მაგრამ ზოგ-ზოგებმა არ იციან, რა დღე ადგათ, ზოგმა კი უბრალოდ თავი დაუდო ასეთ ყოფას, ზოგსაც შეგნებული აქვს ყოველივე და სურს დააღწიოს თავი, მე მუდამ თავის დაღწევა მეწადა.

სანამ ახალგაზრდა ვიყავი, ჩემი უცოდველობის რწმენა მასულდგმულეზდა, ტვინის ჭყლეტა არ მჩვეოდა, ცხოვრებაშიც წარმატებებით შემოვდგი ფეხი. ყველაფერი კარგად ამეწყო, ტკუა მიჭრიდა, ქალებს მოვწონდი, თუ რამ მოუსვენრობა შემიპყრობდა, უმაღვე განქარდებოდა ხოლმე. ერთ დღეს ფიქრი დავიწყე. მაშინ კი...

უნდა გითხრათ, რომ მე თქვენსავით ღარიბი არ ვყოფილვარ. მამაჩემი პროკურორის მოადგილე იყო. ეს კი გვარიანი თანამდებობა გახლავთ. თუმცა ისე ეჭირა თავი, ამას ვერც შეატყობდით. ბუნებით კეთილი კაცი იყო. დედაჩემი უბრალო და ყოვლად უჩინარი ქალი გახლდათ. ახლაც უწინდებურად მიყვარს, მაგრამ მირჩვენია, არაფერი ვთქვა მასზე. მამა სიყვარულით მევლებოდა თავს და მგონი, კიდევაც ცდილობდა, გაეგო ჩემთვის. რაღაც სასიყვარულო ინტრიგები ჰქონდა, ახლა კი ვხვდები, მაგრამ, ღმერთმანი, სულაც არ ვჭაფრობ. ამ თავის საქმეებს ისე აგვარებდა, როგორც მოსალოდნელი იყო — სხვებს თვალში არ ეჩხირებოდა. მოკლედ რომ გითხრათ, ძალიან ორიგინალური არ იყო და დღეს, როცა უკვე მკვდარია, ვხვდები, რომ თუ წმინდანივით არ უცხოვრია, ცუდი კაცი მაინც არ ეთქმოდა. ასეთი ადამიანები კი ყველაფერში ზომიერებას არჩევენ, გონივრულ სიყვარულს შთააგონებენ გარშემომყოფთ, თანაც დიდი ხნით.

ერთი ახირებული ჩვევა კი ჰქონდა: შექსის დიდი ცნობარი მისი სამაგიდო წიგნი იყო. მოგზაურობით როდი მოგზაურობდა, მხოლოდ შვებულების დროს ახერხებდა ბრეტანში წასვლას, სადაც პატარა მამული ჰქონდა, მაგრამ შეეძლო ზუსტად ეთქვა პარიზი — ბერლინის მატარებლის გასვლის და ჩამოდგომის დრო, ან როდის სად უნდა გადამქდარიყავით, რომ ლიონიდან ვარშავას ჩასულიყავით, ზუსტად რამდენი კილომეტრი აშორებდა ერთმანეთისაგან ნებისმიერ დედაქალაქებს. შეგიძლიათ მითხრათ, როგორ უნდა ჩახვიდეთ ბრიანსონიდან შამონიქსში? სადგურის უფროსსაც კი გაუჭირდება პასუხის გაცემა. მამაჩემი კი გიპასუხებდათ. ყოველ საღამოს იმას ახმარდა, რომ გაემდიდრებინა თავისი ცოდნა ამ დარგში და ამეებით თავიც მოჰქონდა. ეს ამბავი მე

ჩემდათავად ძალიან მართობდა, ხშირად გამოვეკითხავდი ხოლმე და აღფრთოვანება მიპყრობდა, როცა მის პასუხებს შექსში გამოწმებდი და ვრწმუნდებოდი, რომ არაფერი ეშლებოდა. ამ პატარა ვარჯიშობებში ძალიან დაგვიამბობრა, რადგან მე მადლიერი მსმენელი ვიყავი და მამა ამას მიფასებდა. მე კი მტკიცედ მწამდა, რომ რკინიგზის განრიგებში მამაჩემის განსწავლვობა ბევრ სხვა უპირატესობას არ დაუვარდებოდა.

მაგრამ სიტყვა გამიგრძელდა და ვწიშობ, ეს პატიოსანი კაცი ძალიან მნიშვნელოვან ვინმედ დავიხატეთ. სიმართლე თუ გნებავთ, მას ჩემს პიროვნულ ჩამოყალიბებაზე პირდაპირი გავლენა არცა ჰქონია. დიდი-დიდი — ერთი ბიძგი მომცა. როცა ჩვიდმეტი წლისა გავხდი, სასამართლოში დამპატიყა, მომისმინეო. დიდი საქმე ირჩეოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში და ცხადია, იფიქრა, თუ თავის გამოჩენა მინდა, ამაზე უკეთეს დროს სად ვიშოვიო. ვფიქრობ, დიდ იმედს ამყარებდა ამ ცერემონიალზე, რომელსაც შეეძლო განცვიფრებაში მოეყვანა კმაწვილის გონება და იმედოვნებდა, ჩემს ვაჟებსაც იმ კარიერისკენ სწრაფვას აღუძრავს გულში, თავად მე რომ ავირჩიეო. მე დავთანხმდი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი ამება მეწადა, თანაც მინდოდა შენახა და მომესმინა სხვა როლშიაც, მართო იმის ცქერას აღარ ვკმარობდი, რომელსაც შინ თამაშობდა. სხვა არაფერზე მე არ ვფიქრობდი ის, რაც სასამართლოში ხდებოდა, ისეთი ბუნებრივი და გარდუვალი მეგონა, როგორც 14 ივლისის ზეიმი და სასწავლო ჯილდოების განაწილება. სამართალზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა და ეს ამბავი სულაც არ მაწუხებდა.

მაგრამ იმ დღიდან მეხსიერებაში მხოლოდ ერთი სახე შემომრჩა — სახე დამნაშავისა. მგონი, მართლაც დამნაშავე იყო, რა მნიშვნელობა აქვს, რა დანაშაული მიუძღვოდა. მაგრამ ეს ოცდაათიოდე წლის ჩია, წითურთმიანი კაცი იმდენად მოწადინებული ჩანდა ყველაფერი ეღიარებინა, ისე გულწრფელად იყო თავზარდაცემული იმით, რაც ჩაედინა და იმით, რაც მისთვის უნდა ექნათ, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ მხოლოდ მან მიიჯაჭვა ჩემი მზერა. მჭახე სინათლით თავტანდაკარგულ ბუს ჰგავდა. ჰალსტუხი გვერდზე მოგდებოდა, რატომღაც მართო ცალი, მარჯვენა ხელის ფრჩხილებს იკვნეტდა... ერთი სიტყვით, აღარ გავაგრძელებ, თავადაც მიხვდებით, ცოცხალი რომ იყო, იმის თქმა მინდა.

მე კი მაშინღა შევნიშნე ეს აქამდე მის მსგავსთ ჩემთვის მოსახერხებელ კატეგორიას — „ბრალდებულთა“ კატეგორიას მივაწერდი. ვერ გეტყვით, მამაჩემი სულ დამაფიწყდა-მეთქი, მაგრამ რაღაც ისე მიჭერდა გულ-გვამში, რომ სხვა რამისთვის ყურადღების მიქცევის თავი აღარ მქონდა. მხოლოდ ბრალდებულს ვერ ვაცილებდი მზერას. თითქმის არაფერს არ ვუსმენდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ სურდათ მოეკლათ ეს ცოცხალი ადამიანი და ტალღასავით მძლავრი ინსტინქტი ბრმა სიჯიუტით მისკენ მიმაქანებდა. მხოლოდ მაშინ გამოვეფხიზლდი, როცა მამაჩემმა დაიწყო თავისი საბრალმდებლო სიტყვა.

წითელი მანტიით სახეშეცვლილ მამაჩემს აღარც კეთილი ეთქმოდა და არც მოყვარული. მისი ბიგენა წარმოთქვამდნენ უსაშველო ფრაზებს, რომლებიც გრძლად მოსისინებდნენ გველების დარად. და მე გავიგე, რომ მამაჩემი საზოგადოების სახელით მოითხოვდა, მოეკლათ ეს კაცი, უფრო მეტიც, თავი მოეკვეთათ. თუმცა თქმით მხოლოდ ამას ამბობდა: ეს თავი ძირს უნდა დაგორდესო. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, განსხვავება ხომ დიდი არ არის, გინდ ასე გითქვამს, გინდ ისე, ბოლოს ხომ მაინც მიიღო ეს თავი, თლონდ ეგ იყო,

თვითონ არ გაუსვრია ხელი. მე კი, ვინც ბოლომდე ვადევნებდი თვალყურს ამ საქმის მსვლელობას, საბოლოო სიტყვამდე, მივხვდი, რომ ამ უბედურთან ისეთი ენით უთქმელი სიახლოვე მაკავშირებდა, როგორც თავის ცხვში არ მქონია მამასთან, ეს უკანასკნელი კი უნდა დასწრებოდა იმას, რასაც ზრდილობისათვის ბოლო წუთებს უწოდებენ, სინამდვილეში კი სხვა არა არის რა, თუ არ ყველაზე ამაზრზენი მკვლელობა.

ამ დღიდან მოკიდებული შექსის ცნობარს ზიზღით დავუწყე ცქერა. მას მოღმა ძრწოლით ვადევნებდი თვალყურს მართლმსაჯულებას, წაუკითხავი არ მრჩებოდა სასიკვდილო განაჩენების, სიკვდილით დასჯის ამბები და თმა ყალყზე მიდგებოდა, რაკი ვხვდებოდი, რომ მამაჩემი უაქრავჯერ დასწრებია მკვლელობას. სწორედ იმ დღეებში, როცა უთენია დგებოდა-მეთქი, ვფიქრობდი გულში. მახსოვს, ასეთ დროს მალევიძარას დააყენებდა ხოლმე. მე ვერ ვბედავდი დედისათვის მეთქვა რამე, მაგრამ უკეთა რომ დავაკვირდი, მივხვდი, რომ ჩემს დედ-მამას აღარაფერი ჰქონდათ საერთო და რომ დედაჩემის მთელი ცხოვრება საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვა იყო. ეს დამეხმარა მეპატიებინა მისთვის, როგორც მაშინ ვამბობდი ხოლმე. მოგვიანებით შევიტყვე, რომ არაფერი ჰქონდა საპატიებელი, რადგან გათხოვებამდე სულ სილატაკეში ეცხოვრა და სიღარიბემ ასწავლა ბედისადმი მორჩილება.

თქვენ ალბათ მოელოთ, რომ გეტყვით, მაშინვე წავედი-მეთქი შინიდან. არა, რამდენიმე თვეს დავრჩი, თითქმის ერთ წელიწადს. მაგრამ ლამის გული დამიავადდა. ერთ საღამოს მამამ მალევიძარა მოიკითხა, მეორე დღეს ადრე იყო ასადგომი. მთელ დამეს თვალი არ მომიხუჭავს. მეორე დღეს, როცა დაბრუნდა, წასული დავხვდი. რაა დისამალი, მამაჩემმა ჩემი თავი მოაძებნინა, ჩვენ ერთმანეთს შევხვდით, მაგრამ არაფერი ამიხსნია, მშვიდად ეუთხარი, თავს მოვიკლავ, თუ დაბრუნებას მაიძულებთ-მეთქი. ბოლოს დამყაბულდა, რადგან ბუნებით დამყოლი კაცი იყო, დიდხანს კი მიჩიჩინა, სიბრყვეა, შენით რომ გინდა სწიო ცხოვრების ჭაპანიო (ასე გაიგო ჩემი საქციელი და მეც აღარ ვცდილვარ მის გადარწმუნებას), ათასი რჩევა-დარიგება მომცა და ძლივს შეიკავა გულწრფელი ცრემლები, თვალზე რომ მოსდგომოდა. შემდეგ, თუმცა საკმაოდ მოგვიანებით, დედის სანახავად სიარულს მოვუხშირე და მაშინ მასაც ვხვდავდი. ასეთი ურთიერთობა, ვფიქრობ, აკმაყოფილებდა. მე მისდამი მტრობა გულში არ მედო, უბრალოდ, დანადვლიანებული ვიყავ. როცა მოკვდა, დედა ჩემთან გადმოვიყვანე და დღესაც ჩემთან იქნებოდა, რომ ისიც არ გამოძცლოდა ხელიდან.

დიდხანს ვილაპარაკე ამ დასაწყისზე, რადგან თავი და თავი სწორედ ეს გახლდათ. ახლა უფრო ჩქარა ვიტყვი სათქმელს. თვრამეტი წლისამ გავიგე, რაა სილატაკე, თანაც მას შემდეგ, რაც შეძლებული ცხოვრება ნაგემები მქონდა. ათასი ხელობა გამოვიცვალე, თავი რომ დამერჩინა. ვფიქრობ, არცთუ ისე ცუდად წამივიდა საქმე, მაგრამ სასიკვდილო განაჩენი ვერ იქნა და ვერ ამოვიგდე გულიდან. მინდოდა შური მეძია წითური ჭოტისათვის. ერთი სიტყვით, პოლიტიკურ საქმიანობას მივყავ ხელი, როგორც ამბობენ ხოლმე. არ მინდოდა ჭირიანი ვყოფილიყავი, ეს იყო ჩემი მთავარი საფიქრალი. მეგონა, საზოგადოება, რომელშიაც ვცხოვრობ, სასიკვდილო განაჩენზეა დაფუძნებული და მასთან ბრძოლით მკვლელობას დავამარცხებ-მეთქი. მე ასე მწამდა, სხვებიც ამ აზრზე იდგნენ და, ბოლოს და ბოლოს, კაცმა რომ თქვას, ეს მართალიც

იყო. მოკლედ, იმათ მივეკედლე, ვინც მიყვარდა და ახლაც მიყვარს. დიდხანს დაგყავი მათთან, ევროპაში ქვეყანა არ დარჩენილა, რომლის ბრძოლებშიაც მონაწილეობა არ მიმეღოს. მაგრამ კმარა ამაზე.

ცხადია, ვიცოდნი, რომ თუ საჭიროება მოითხოვდა, ჩვენც სასიკვდილო განაჩენი გამოგვქონდა ხოლმე. მაგრამ მარწმუნებდნენ, ეს რამდენიმე მსხვერპლი აუცილებელია იმისათვის, რომ დამყარდეს საზოგადოება, ესადაც უნდა არაფერს არ კლავსო. ერთგვარად ეს მართალი იყო, მაგრამ მეც უნდა ვთქვათ შემწევს უნარი ჩავხვდეთ ამგვარ ქეშმარიტებათ. ერთი სიტყვით, ყოყმანი შეჰიდგა. მაგრამ ის ქოტი მახსენდებოდა და ვაგრძელებდი ჩემს საქმეს იმ დღემდე, სანამ საკუთარი თვალით არ ვნახე სიკვდილით დასჯა. ეს მოხდა უნგრეთში და იმავ თავზარმა, ყმაწვილს რომ დამრია ხელი, მოწიფულ კაცსაც დამიბნელა თვალთახედვა.

ოდესმე თუ გინახავთ, კაცს როგორ ხვრეტენ? არა, ცხადია, თუ საგანგებოდ არ მიგიწვიეს, იქ ვერ მოხვდებით და საზოგადოებაც წინდაწინაა შერჩეული. შედეგი ამისა ის ვახლავთ, რომ ესტამბებისა და წიგნებში აღწერილი სურათების ტყვეობაში ვართ. თვალწინ გვეხატება დოლბანდი, ბოძი და მოშორებით მდგარი რამდენიმე ჯარისკაცი, ნურას უკაცრავად! იცით თუ არა, რომ დამსჯელი რაზმი მსჯავრდადებულებიდან სულ მეტრ-ნახევრის მანძილზე დგება? იცით თუ არა, მსჯავრდადებულმა ორი ნაბიჯიც რომ გადმოდგას წინ, მკერდით ნიაწყდება თოფის ლულებს? იცით თუ არა, რომ ამ მცირე მანძილიდან მსროლელები შიგ გულში უმიზნებენ და ყველანი ერთად იმოდენა ჭრილობას აჩენენ თავიანთი მსხვილყალიბიანი ტყვიებით, რომ კაცის მუშტი თავისუფლად შეეტევა? არა, ეს არ იცით, რადგან ეს ის წვრილმანებია, რომელთა შესახებაც არ ლაპარაკობენ. აღამიანთა ძილი უფრო წმინდა რამაა, ვიდრე ჭირიანთა სიცოცხლე. განა იქნება კეთილ ხალხს ძილი დავუფრთხოო? ამას უგემოვნებაში ჩამოგვართმევენ, რამეთუ გემოვნება მოითხოვს, არავის გაუწვრილო გული, ეს ყველამ იცის. მე კი ძილი გამიტყდა მას შემდეგ. ცუდი გემო დამრია პირში და ნანახიც ვერ იქნა და ვერ ამოვიგდე გულიდან.

მაშინდა მივხვდი, რომ კვლავ ჭირშეყრილი ვიყავ ამ გრძელზე გრძელი წლების მანძილზე, სანამ მთელი არსებით ვფიქრობდი, რომ ვიბრძოდი სწორედ ჭირის წინააღმდეგ. გავიგე, რომ უნებურად ათასობით კაცის სიკვდილზე მომიწერია ხელი, რომ გამოვიწვიე კიდევც ეს სიკვდილი, რაკი მხარს ვუჭერდი იმ პრინციპებსა და ქმედებათ, რომელთაც ეს მკვლელობა ფატალურად წარმოშევს. სხვებს, ეტყობა, არ აწუხებდათ ეს ამბავი, ასეა თუ ისე, ამაზე თავის დღეში არ ლაპარაკობდნენ. მე კი თითქოს ყელში მიჭერდნენო ხელს. მათთან ერთად ვიყავი და მაინც მარტოობისგან ვიტანჯებოდი. როცა ჩემს სინდისის ქენჯნაზე ჩამოვაგდებდი სიტყვას, მეუბნებოდნენ, უნდა იმაზეც იფიქრო, სასწორზე რაა შეგდებულო და ათას საბუთს მოუხმობდნენ, რომ გადაეყლაპინებინათ ჩემთვის ის, რის გადაყლაპვასაც ვერ ვახერხებდი. მაგრამ მე მივუგებდი, საბუთები არც დიდ ჭირიანებს აკლიათ, წითელ მანტიებს რომ ისხამენ და თუ მისაღებად მივიჩნევ წვრილ-წვრილი ჭირიანების მიერ მოხმობილ საბუთებს, დიდ-დიდ ჭირიანთა საბუთებსაც ვერ უგულვებელყოფმეთქი. ამაზე მეუბნებოდნენ, წითელმანტიანთა გამართლებაც სწორედ ისაა, თუკი სცნობ მათ უზენაეს უფლებას — კაცს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანონო. გულში ვფიქრობდი, კაცმა თუ ერთხელ მოაწერა ხელი სასიკვდილო განაჩენს, მერე ვეღარ გაჩერდება-მეთქი. და მგონი, ისტორიამ გაამართლა ჩემი

ვარაუდი, დღეის დღე იმისია, ვინც მეტს მოკლავს. ყველა მკვლელობის სიშმაგეს შეუბყრია. სხვაგვარად არც ძალუძთ.

მაგრამ მე მსჯელობა როდი მიტაცებდა. მე სულ იმ წითურ ჭოტზე ვფიქრობდი და იმ საზოხლარ ამბავზე, როცა ჭირშენაყარ ბაგეებით გამოუცხადეს ბორკილდადებულ ადამიანს, მოკვდებიო და ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ მართლაც მომკვდარიყო მრავალი ლამის აგონიის შემდეგ, რომელთა განმავლობაშიაც თვალღია ელოდა, როდის მოუსწრაფებდნენ სიცოცხლეს. იმ დაცხრილულ მკერდს უტრიალებდა ჩემი ფიქრი და თავს ვეუბნებოდი, სანამ სული მიდგას პირში, ვერ ვირწმუნებ თუნდაც ერთ საბუთს, ამ ამბავზენ ყასბობას რომ ამართლებს-მეთქი. დიახ, მე ეს კერპი სიბრმავე ვარჩიე, სანამ რაიმეს ნათლად დანახვას შევძლებ.

მას შემდეგ არ შევცვლილვარ. უკვე რახანია მრცხვენია, ლამის მოვკვდისე მრცხვენია, რომ შორიდან, თუნდაც უნებურად, ქარგის მდომელი მეც მკვლელობას ჩავდიოდი. დროთა განმავლობაში შევნიშნე, რომ ჩვენ შორის საუკეთესოებსაც კი არ ძალუძთ არ მოკლან, ან მკვლელობას არ შეუწყონ ზელი, რადგან ასეთია მათი ცხოვრების ლოგიკა და ამქვეყნად ხელსაც კი ვერ გავძრავთ ისე, თუ ვინმეს სიცოცხლე არ მოვუსწრაფეთ. დიახ, სირცხვილით ვიწვოდდი, მივხვდი, რომ ყველას ჭირიანობამ დაგვრია ხელი და სულის მშვიდობა დავეკარგე. ახლაც მას დავეძებ, ვცდილობ გავუგო ყველას და არავის მოვეკიდო მოსისხლე მტრად. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ყველაფერი უნდა ვიღონო საიმიხოდ, რათა ჭირიანი აღარ მერქვას და რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება სულის სიმშვიდე ვპოვოთ, ანდა ღირსეულად მაინც დავიხოცოთ. სწორედ ამას ძალუძს კაცთა სულის შემსუბუქება და თუ ვერ იხსნის, რაც შეიძლება ნაკლებ ზიანს მაინც მიაყენებს, ხანდახან კი ცოტაოდენ სიკეთესაც მოუტანს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე უარი მეთქვა ყველაფერზე, რაც პირდაპირ თუ მოიარებით, კეთილ თუ ბოროტ განზრახვათა მომიზნებით კლავს ადამიანს, ანდა მკვლელობას ამართლებს.

აი, რატომაა, რომ ამ ეპიდემიას ჩემთვის ახალი არაფერი უსწავლებია, გარდა იმისა, რომ თქვენს მხარდამხარ უნდა ვიბრძოდე. მე დანამდვილებით ვიცი (დიახ, რიე, მე ყველაფერი ვიცი სიცოცხლეზე, როგორც თავადვე ხედავთ), რომ ჭირს ყველა თავის თავში დაატარებს იმიტომ, რომ ქვეყნად არვინ, დიახ, არვინაა მისგან დაზღვეული; რომ მუდამ თვალი უნდა გეჭიროს საკუთარ თავზე, რათა შემთხვევით სახეში არ შეასუნთქო სხვას და ინფექცია არ გადასდო. რამეთუ მიკრობი ბუნებრივი რამაა. სხვა დანარჩენი, ჭანმრთელობა, პირიანობა და, თუ გნებავთ, სიწმინდეც — ეს ნებისყოფის ნაყოფია, ნებისყოფისა, თავის დღეში რომ არ უნდა მოდუნდეს. ნამუსიანი კაცი, არავის რომ არ გადასდებს ინფექციას, ისაა, ვინაც წამითაც არ მისცემს თავს მოდუნების უფლებას. საამისოდ კი ნებისყოფის საოცარი დაძაბვაა საჭირო! დიახ, რიე, მეტად დამღლელია ჭირიანად ყოფნა. მაგრამ უფრო მომქანცველია წადილი, არ გინდოდეს, ჭირიანი გერქვას. ამიტომაა, რომ ყველა დაღლილი ჩანს, დღეს ხომ ყველას ცოტათი მაინც ჭირი შეყრია. ამიტომაა ისიც, რომ ზოგს, ვისაც აღარ სურს ჭირიანი იყოს, უკიდურესი დაღლილობა რევს ხელს, რომლისგანაც ვერაფერი იხსნის სიკვდილის მეტი.

დღეის ამას იქით მე ვიცი, რომ არაფერს წარმოვადგენ ამ ქვეყნისათვის და იმ წუთიდან, რაც კაცის კვლაზე ვთქვი უარი, საბოლოო განდევნა მივუსაჯე ჩემს თავს. ისტორიას სხვები შექმნიან. მე ისიც ვიცი, რომ არ ძალმიძს ბრალი

დავდო ამ სხვებს. რაღაც თვისება მაკლია საიმისოდ, რომ საკუთარი თავის სიმართლეში დარწმუნებული მკვლელი შევიქნე. ეს სულაც არაა უპირატესობა. ახლა თანახმა ვარ ვიყო ის, რაცა ვარ, თავმდაბლობა ვისწავლე. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ამქვეყნად არის დიდ-დიდი უბედურებანი და არიან მათი მსხვერპლნი და რომ ყოველი ღონე უნდა იხმარო, რათა უბედურებათა შემწე არ აღმოჩნდე. ეს შეიძლება ცოტა მარტივად მოგეჩვენოს, არ ვიცი, მართლა მარტივია თუ არა, მაგრამ ჭეშმარიტება კია. მე იმდენი მსჯელობა მოვისმინე, რომ კინაღამ თავბრუ დამეხვა. ასეთმა მსჯელობებმა ბევრს აურიეს გონება და მკვლელობის მომხრედ აქციეს. და მე მივხვდი, ადამიანთა ყველა უბედურება იქიდან მოდის, რომ ნათლად ვერ გამოუთქვამთ სათქმელი. მაშინ გადავწყვიტე, ჩემი სიტყვაცა და საქმეც ნათელი ყოფილყო, რომ კარგ გზას დავდგომოდი. ერთი სიტყვით, თავში ჩავიჭედე, რომ არის დიდ-დიდი უბედურებანი და არიან მსხვერპლნი და მეტი არაფერი. თუ ამის თქმით მე თავადაც უბედურებად ვიქცევი, ეს ჩემი დასტურით მაინც არ მოხდება. მე ვცდილობ უდანაშაულო მკვლელი გავხდე. ხომ ხედავთ, ამაში დიდი პატივმოყვარეობა არ ძვეს.

ცხადია, მესამე კატეგორიაც უნდა არსებობდეს, კატეგორია ჭეშმარიტი ექიმებისა, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ბევრნი არ არიან და დიდი გასაჭირიც ადგათ. აი, რატომ გადავწყვიტე მსხვერპლთა მხარეს დავდგე, რომ ცოტათი მაინც შემცირდეს უბედურება. მათ შორის მყოფს ის მაინც შემიძლია ვეძიო, მესამე კატეგორიაში როგორ ხვდებიან და როგორ პოვნებენ სულის სიმშვიდეს.

ამ სიტყვებს რომ ასრულებდა, ტარუ ფეხს ნელა სცემდა ტერასის მოაჯირს. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ექიმმა ნელა წამოიწია და ჰკითხა, თუ იცით, რა გზას უნდა დაადგეს კაცი, სულის სიმშვიდე რომ ჰპოვოსო.

— თანაგრძნობის გზას, — მიუგო ტარუმ.

შორიდან ზედიზედ ორჯერ სასწრაფო დახმარების მანქანის საყვირის ხმა გაისმა. აქამდე გაფანტული ხმები შენივთდა ქალაქის კარიბჭესთან, კლდოვანი ბორცვის მახლობლად. მათ ყურს უეცრად მისწვდა ხმაური, გასროლის ხმას რომ ჰგავდა. შემდეგ კვლავ სიჩუმე ჩამოდგა. რიემ დაითვალა: ორჯერ გაიელვა ფარების შუქმა. ზღვიდან მონაბერმა სიომ თითქოს ძალი მოიცა და ერთბაშად მარილის სუნიც მოაყოლა. ახლა გარკვევით ისმოდა, ტალღები როგორ ეტყულაშუნებოდნენ კლდოვან ნაპირს.

— არსებითად, — თქვა ტარუმ უბრალოდ, — მე მაინტერესებს, როგორ ხდებიან წმინდანები.

— თქვენ ხომ ღმერთი არა გწამთ.

— არა, დღესდღეობით მართო ერთი კონკრეტული პრობლემა მადლევენს — უღმერთოდ თუ შეიძლება წმინდანად ქცევა.

უეცრად დიდი სინათლე ამოვარდა იმ მხრიდან, საიდანაც ყვირილი შემოესმათ და ქარმა რაღაც ყრუ ხმაურიც მოიტანა ტერასაზე მდგომთა ყურამდე. სინათლე მაშინვე ჩამუქდა და შორს, ტერასების ბოლოსდა აკიაფდა წითლად. ქარის აბაღმა ტალღამ ადამიანთა ყვირილის ხმა მოიტანა. შემდეგ გარკვევით გაისმა სროლის ხმაც და ბრბოს შეშახილება. ტარუ წამოდგა და მიაყურა. სიჩუმე ჩამოდგა ირგვლივ.

— ისევ კარიბჭესთანაა შეტაკება.

— უკვე მორჩა, — თქვა რიემ.

ტარუმ წაიხურჩულა, მორჩენით არასოდეს მორჩება და მსხვერპლიც კვლავ იქნება, იმიტომ, რომ ხვედრი ასეთი გვაქვსო.

— შეიძლება, — მიუგო ექიმმა, — მაგრამ იცით თუ არა, რომ მე დამარცხებულთ უფრო ვუთანაგრძნობ, ვინემ წმინდანებს. მე თავად, მგონი, გმირობა და სიწმინდე არ მიტაცებს. მე მარტო ადამიანად ყოფნას ვეძებო.

— დიახ, ჩვენ ერთსა და იმავეს ვეძებთ, მაგრამ მსხვერპლებს ვატივმოყვარე ვარ.

რიემ იფიქრა, ტარუ ხუმრობსო და დაკვირვებით დააცქერდა. მაგრამ ციდან მონადენ მკრთალ შუქზე მწუხარე და სერიოზული სახე შემოჰყურებდა. ქარმა კვლავ დაუბერა და რიემ კანით იგრძნო მისი სითბო. ტარუ გამოერკვა:

— იცით, — თქვა მან, — რა უნდა მოვიმოქმედოთ ჩვენი მეგობრობის განსამტკიცებლად?

— რასაც ინებებთ, — უთხრა რიემ.

— მოდიოთ, ზღვაში ვიბანაოთ. ეს ისეთი სიამეა, მომავალი წმინდანისგანაც არ დაიწუნება.

რიეს ღიმილი მოერია.

— ამ საშვებით ჯებირებამდე გავვიშვებენ. ბოლოს და ბოლოს, სისულელეა, სულ უამიანობით იცხოვრო. ცხადია, კაცმა მსხვერპლთა მხარეზე კი უნდა იბრძოლოს, მაგრამ მათ მეტი თუ ყველაფერი მოიძულა, მაშინ რაღა აზრი აქვს ბრძოლას?

— კეთილი, წავიდეთ, — უთხრა რიემ.

ცოტა ხნის შემდეგ მანქანა პორტის ქიშკართან შედგა. მთვარე ამოსულიყო. ცაზე რძისფერი ნისლი გაწოლილიყო და ირგვლივ მკრთალი ჩრდილები ეფინა. მათ უკან კიბე-კიბედ ამოდიოდა ქალაქი და მიმავალთ თბილსა და სნებიან სუნთქვას აყოლებდა, რომელიც მათ ზღვისკენ მიერეკებოდა. გუშაგს საბუთები უჩვენეს. დიდხანს უკირკიტა. საგუშაგოს გასცდნენ და კასრებით ჩახერგილი გზით, ღვინისა და თევზის სუნად რომ ყარდა, ჯებირებისაკენ გაემართნენ. იქ მისვლამდე ცოტა ხნით ადრე იოდისა და წყალმცენარეების სუნმა ზღვის სიახლოვე ამცნოთ. წამიც და, ტალღების ხმაურიც შემოესმათ.

ზღვა ნელა ეხეთქებოდა კლდოვან ნაპირს. ცოტა მაღლა რომ ავიდნენ, კიდევაც გამოჩნდა ხავერდით სქელი, მკვრივი და მტაცებელი ნადირით მოქნილი, მბზინავი ზღვა. ზღვისკენ გაშვერილი კლდის ძირას ტალღები იქოჩებოდნენ და ნელ-ნელა მიგორავდნენ უკან. ზღვის ეს მშვიდი სუნთქვა ბადებდა და აქრობდა წყლის ზედაპირზე მოლაპლაპე ცხიმოვან ანარეკლებს. რიეს, რომელიც თითებქვეშ გრძნობდა კლდის დასვრეტილ ზედაპირს, უცნაური ბედნიერებით ევსებოდა გული. ტარუსკენ რომ შემობრუნდა, თავისი მეგობრის მშვიდსა და სერიოზულ სახეზე იგივე სიხარული ამოიკითხა, ოღონდ იმასაც მიხვდა, რომ ტარუს არაფერი დავიწყებოდა, ისევ აწვალებდა კაცთა კვლავ ფიქრი.

ტანთ გაიხადეს. პირველად რიემ ჩაყვინთა. ჯერ ცივი ეჩვენა წყალი, მერე თბილი, როცა ამთიფურყუმელადა. წამდენამე ზღვას ნაქნევს შემდეგ უკვე იცოდა, რომ ზღვა თბილი იყო, შემოდგომურად თბილი, მიწას რომ ართმევს გრძელი თვეების მანძილზე დაგროვილ მცხუნვარებას. ნება-ნება მიცურავდა. მისი ფეხების დგაფუნისაგან უკან აქაფებულ კვალი რჩებოდა, ტალღა მკლა-

გებზე უსხლტებოდა და ფეხებზე გადასდიოდა. წყალთა შხეფებამ ამცნო, რომ ტარუმაც შემოსტოპა ზღვაში. რიე ზურგზე გაწვა და ერთხანს ასე ირწეოდა ტალღებზე მთვარიტა და ვარსკვლავებით მოჭედულ ცაზე თვალმიშტერებული. ღრმად ამოისუნთქა. მერე უფრო გარკვევით შემოესმა წყლის დგაფუნა, სო-ჩუმესა და ღამის სიმარტოვეში საოცრად მკვეთრად რომ მოისმოდა. ტარუ უახლოვდებოდა, უკვე მისი სუნთქვაც ჩაესმა ყურში. რიე შემძებნენ მტრ-გობარს მხარში ამოუდგა და იმავ რიტმით განაგრძო ცურვა. ტარუ უფრო აღონივრად მიიწევდა წინ და რიე იძულებული შეიქნა აჩქარებულიყო. რამდენიმე წუთის განმავლობაში მხარულით ერთად მიაპობდნენ ტალღებს მარტონი, სამყაროსაგან მოწყვეტილები, ქალაქისა და შავი ჭირისაგან თავდახსნილნი. რიე პირველი შედგა და ნელა გამობრუნდნენ უკან, მხოლოდ მაშინ უმატეს სიჩქარეს, როცა ანაზდად ცივ ნაკადში მოხვდნენ. ერთმანეთისთვის სიტყვაც არ უთქვამთ, მაგრამ გამალებით მოიქნიეს ხელ-ფეხი ზღვის ამ მოულოდნელი მუხანათობით შემცბარებმა.

ტანთ რომ ჩაიცვეს, უსიტყვოდ გამობრუნდნენ უკან. მაგრამ გული ერთნაირად უძგერდათ და ამ ღამის ხსოვნა სასიამოვნო იყო ორთავესათვის. როცა შორიდან შენიშნეს შავი ჭირის გუშაგი, რიეს გაუელვა, ტარუც ჩემსავით ფიქრობს, სენმა რამდენიმე ხანს დაგვივიწყა ჩვენდა საბედნიეროდ, ახლა კი ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთო.

ღიახ, თავიდან მართებდათ დაწყება, რაკი შავი ჭირი დიდი ხნით არავის ივიწყებდა. მთელი დეკემბრის განმავლობაში ცეცხლს აგზნებდა ჩვენი თანამოქალაქეების მკერდში, კრემატორიუმის ლუმელს აგიზგიზებდა, უმოქმედო აჩრდილებით დაასახლა ბანაკები და ასე მიიწევდა წინ ნახტომ-ნახტომ, ჭიუტი მოთმინებით. მთავრობა იმედოვნებდა, ცივი დღეები სენის წინსვლას შეაფერხებსო, მაგრამ პირველმა სუსხმა შავ ჭირს ნირიც ვერ უცვალა. კიდევ ლოდინი იყო საჭირო. მაგრამ ამდენი ხნის ლოდინს ლოდინიც აღარ ეთქმოდა და მთელი ჩვენი ქალაქი მომავლის გარეშე ცხოვრობდა.

სიმშვიდისა და მეგობრობის სწრაფლმავალ წუთს, რიეს რომ ებოძა, ხვალინდელი დღე არ ეწერა. კიდევ ერთი საავადმყოფო გახსნეს და ექიმი ავადმყოფების მეტს სულ ველარავის ხედავდა. მაინც შენიშნა, რომ ეპიდემიის ამ სტადიაზე, მაშინ, როდესაც სენი უპირატესად ფილტვებს ედებოდა, ავადმყოფები თითქოს რალაციტ ეხმარებოდნენ ექიმს. ახლა თითქოს აღარც პროსტრაცია რევდათ ხელს და აღარც სიმშაგე, გრძნობდნენ, რა ამბავი იყო მათ თავს და თვითონვე ითხოვდნენ იმას, რაც არგებდათ. სულ წყალს თხოვლობდნენ და სითბოს ეტანებოდნენ. და თუმცა ექიმი უწინდებურად იღლებოდა, ახლა თავს ნაკლებ ეუღლად გრძნობდა.

დეკემბრის მიწურულს რიემ ბ-ნ ოტონის წერილი მიიღო. გამომძიებელი ისევ ბანაკში იყო და წერილით ატყობინებდა რიეს, კარანტინის ვადა გამოვიდა, მაგრამ ადმინისტრაციამ ვერ მიაგნო ჩემი აქ მოსვლის თარიღს და, ეტყობა, კიდევ დამაკავებენ შეცდომითო. ჩემი ცოლი უკვე გავიდა კარანტინიდან და საჩივარი შეიტანა პრეფექტურაში, მაგრამ იქ ცუდად შეხვდნენ, უთხრეს, შეცდომა არასდროს მოგვდისო. რიემ რამბერი ჩარია საქმეში და რამდენიმე დღის შემდეგ თავად ბ-ნი ოტონიც ეწვია. მართლაც შეცდომა მოსვლოდათ და რიე, ცოტა არ იყოს, გაცხარდა კიდევ, მაგრამ ბატონმა ოტონმა, რომელიც კიდევ უფრო გამხდარიყო, ულონოდ ასწია ხელი და გარკვევით,

თითქოს სიტყვებს წონისო, თქვა, ყველას შეიძლება შეცდომა მოუვიდესო. ექიმმა გაიფიქრა, რალაციით შეცვლილა ეს კაციო.

— ახლა რალას იზამთ, ბატონო გამომძიებელო? თქვენა საქმეები მიგელიან.

— არა, — მიუგო გამომძიებელმა, — შევებულეა მინდა ავიღო.

— მართალი ბრძანდებით; უნდა დაისვენოთ.

— დასვენებას როდი დავეძებ. ვერ მიმიხვდით. ისევ ბანაკში მინდა დაებრუნდე.

— ახლა არ გამოხვედით იქიდან?

— კარგად ვერ გამოვთქვი სათქმელი. გავიგე, რომ ბანაკში მოხალისეები სჭირდებათ.

გამომძიებელი აქეთ-იქით აცეცებდა თავის გადმოკარკლულ თვალებს და ცდილობდა აჩეჩილი თმა გაესწორებინა.

— ხომ გესმით, ამგვარად საქმე გამიჩნდება. მერე კიდევ, სისულულეა ამის თქმა, მაგრამ ვფიქრობ, ასე უფრო ახლოს მეყოლება ჩემი საწყალი ბიჭი.

რიე სახეში შეაცქერდა. წარმოუდგენელი იყო თითქოს, მაგრამ მისი კუშტი მზერა გაელზო უეცრად მოწოლილ სინაზეს, თვალები მონისლვოდა და თავიანთი ფოლადისებური ბზინვა დაეკარგათ.

— კეთილი, — უთხრა რიემ, — ვიზრუნებ მაგაზე, რაკი ასე გინებებით.

მართლაც მოუხერხა ეს საქმე. ჭირიანი ქალაქის ცხოვრებაც თავისი გზით წავიდა. ასე გაგრძელდა შობამდე. ტარუ კვლავ მშვიდად ირჩებოდა და მისი სიმშვიდე სხვებსაც გადაედებოდა ხოლმე. რამბერმა გაანდო ექიმს, რომ გუშაგი ძმების დახმარებით ფარულად დაუკავშირდა თავის ცოლს; ხანგამოშვებით წერილებსაც იღებდა მისგან. რიეს შესთავაზა, თქვენც ამ გზას მიმართეთო და ექიმიც დათანხმდა. განშორების გრძელი თვეების შემდეგ პირველად მისწერა წერილი ცოლს, მაგრამ დიდის გაჭირვებით. ვერ იქნა და ვერ ააწყო სათქმელი. წერილი გააგზავნეს. პასუხი აგვიანებდა. კოტარი ამასობაში ბედის მადლიერი იყო, წვრილ-წვრილი სპეკულაციებით მდიდრდებოდა. აი, გრანს კი შობა-ახალწლის დღესასწაულები ჩამწარდა.

ამ წლის შობას ჯოჯოხეთის დღესასწაული უფრო ეთქმოდა, ვინემ სახარებისა. ჩაბნელებული მალაზიები, ვატრინებში გამოდებული ბუტაფორიული შოკოლადები და ცარიელი კოლოფები, სახემოღუშული ხალხით გაქედილი ტრამვაები — არაფერი მოგაგონებდათ გასულ შობა-ახალწელიწადს. ამ დღეს უწინ ერთნაირად ხარობდა მდიდარიცა და ღარიბიც, ახლა კი ადგილი მხოლოდ სამარცხვინო სიხარულისა და განმარტოებულ სიამეთათვის დარჩენილიყო, მდიდრები თქროს ფასად რომ ყიდულობდნენ ბინძური დუქნის უკანა ოთახებში. ეკლესიებში გლოვის ზარი უფრო გაისმოდა, ვინემ ღვთის სადიდებელი ლოცვა. პირქუშსა და გაყინულ ქალაქში მხოლოდ ბავშვები დანაევადობდნენ უდარდელად, რაკი ჯერ არ უწყობდნენ, ბედი რას უქადდათ. მაგრამ ვერავინ ბედავდა ემცნო მათთვის უწინდელი ღმერთის მოვლინება, საჩუქრებით ხელდამშვენებული ღმერთისა, ადამის მოდგმის მწუხარებასავით ძველი რომ იყო და მაინც ახალი, როგორც ჩვილი იმედი. ხალხის გულში უკვე აღარაფერი კიანთობდა, გარდა ძალიან ძველი და უღიმღამო იმედისა, კაცს ხელს რომ უშლის მინებდეს სიკვდილს და სხვა სახელი არ მოეძევა, თუ არ სიცოცხლისაკენ ჯიუტი ლტოლვა.

წინა დღით გრანი არ მოვიდა დათქმულ საათს. შეშფოთებულმა რიემ

უთენია მიაკითხა შინ და ვერ ნახა. ყველგან მოიძიეს. თერთმეტი სრულდებოდა, როცა რამბერი მოვიდა საავადმყოფოში და აუწყა ექიმს, გრანი შორიდან შევნიშნე, ქუჩაში დაეხეტებოდა სახეშეშლილი, მერე თვალთახე მიმეფარაო. ექიმი და ტარუ მანქანით წავიდნენ მის საძებნელად.

შუადღეს, როცა სუსხმა იმძლავრა, რიე მანქანიდან გადმოვიდა და შორიდან გრანს მოჰკრა თვალი, რომელიც ხისგან ულაზათოდ გამოჩნდა. საუთამაშოებით გამოტენილ ვიტრინას აკვროდა. მოხელეს ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა სახეზე. ამ ცრემლებმა შესძრეს რიე, რადგან ესმოდა მათი აზრი და გრძნობდა, რომ თვითონაც გორგალი აწევებოდა ყელში. მასაც გაახსენდა ამ უბედურის ნიშნობა, გაახსენდა, როგორ იდგა იგი თავის საცოლესთან ერთად საშობაოდ გაჩახჩახებული ღუქნის წინ და როგორ წამოიძახა უკან თავგადაგდებულმა ჟანამ, ბედნიერი ვარო. თქმა არ უნდოდა, რომ შორეული წლების სიღრმიდან იმავ სიგიჟით შეპყრობილი გრანის ყურამდე, სიგიჟისა, მთელი ქალაქი რომ მოეცვა, ჟანას ნარნარი ხმა აღწევდა. რიემ იცოდა, რად იმდურებოდა იმ წუთას მოხუცი და თვითონაც მასავით ფიქრობდა, რომ უსიყვარულო სამყარო მკვდარი სამყარო იყო და რომ ყოველთვის დგება ჟამი, როცა კაცი იღლება ციხეებით, მუშაობითა და სიმამაცით და მიელტვის ცოცხალი ადამიანის სახესა და სინაზით გამთბარ გულს.

მოხუცმა უეცრად ვიტრინის მინაში შენიშნა იგი. ტირილი არ შეუწყვეტია, მიეყრდნო ვიტრინას და ისე დაელოდა რიეს.

— ოჰ! ექიმო! ექიმო! — გაიძახოდა იგი.

რიე თავს უქნევდა, რომ გაემხნევებინა მოხუცი. სიტყვის თქმა უმძიმდა. სასოწარკვეთას გრანივით მისთვისაც დაერია ხელი და ამ წუთას გულს უფლეთდა უსაზღვრო რისხვა, რომელიც კაცს ეუფლება იმ მწუხარების წინაშე, ყველა ჩვენგანისათვის საერთო რომაა.

— იყუჩეთ, გრან, — უთხრა მოხუცს.

— მინდოდა მომესწრო წერილის მიწერა, რომ სცოდნოდა... ბედნიერი ყოფილიყო და სინდისის ქენჯნით არ დატანჯულიყო.

რიემ თითქმის ძალით მოსწყვიტა ვიტრინას. ძალისძალათი ადგმევინებდა ფეხს, გრანი კი ჩურჩულებდა:

— არ იქნა და აღარ დასრულდა ეს ამბავი; წინააღმდეგობის თავიც აღარა მაქვს, დე, მოხდეს, რაც მოსახდენია! ოი, ექიმო! გარეგნულად თითქოს მშვიდად ვარ, მაგრამ მუდამ უდიდესი ძალის მოკრება მჭირდება, ჰკუთახე რომ არ შევცდე. ახლა ნერვებმა მიმტყუნეს.

გრანი შედგა, მთელი სხეულით კანკალებდა, თვალებს შეშლილივით აცეცებდა. რიემ ხელი დაუჭირა. ცეცხლი ეკიდა ხელზე.

— შინ უნდა დაბრუნდეთ.

მაგრამ მოხუცი ხელიდან დაუსხლტა, რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა, მერე შეჩერდა, ხელები გაშალა, დაბარბაცდა, ერთი შემოტრიალდა და გაყინულ ქვაფენილზე მოიღო ზღართანი. დასვრილ სახეზე კვლავ ლაპალუპით სდიოდა ცრემლები. გამვლელები შორიდან უმზერდნენ, უეცრად შედგებოდნენ ხოლმე, მაგრამ მოახლოებას ვერ ბედავდნენ. რიე იძულებული გახდა ხელში აეტატებინა მოხუცი.

ლოგინში რომ ჩააწვინეს, გრანი იხუთებოდა: სენს ფილტვები ჩაეთრია. რიე საგონებელს მიეცა. მოხელეს ოჯახი არ ჰყავდა. რისთვის გადაეყვანათ საავადმყოფოში? აქ ისედაც მარტო იქნებოდა, ტარუ მიხედავდა...

გრანი ღრმად იყო ჩაფლული ბალიშში, სახე გამწვანებოდა, თვალები ჩაქრობოდა. დაჯინებით უცქერდა მბუხტავ ცეცხლს, ტარუს რომ დაენთო ბუნარში ძველი ყუთის ფიცრებით. „ცუდადაა საქმე“, — ამბობდა ჯგი და მისი აღმოდებული ფილტვებიდან საშინელი ხიხინი ამოდიოდა, თან სდევდა მის ყოველ სიტყვას. რიემ ურჩია, ლაპარაკით თავს ნუ დაიტოვებდა და დაუბარა, კვლავ შემოვივლიო. ავადმყოფს უცნაური ღიმილი გაუჩივრებდა და მასთან ერთად სახეზე სინაზეც გამოეხატა. რის გაჭირვებით თვალი ჩაუკრა მიმავალს და უთხრა: „თუ გამოვძვერი ამ დავიდარაბიდან, ქუდი მდაბლად მოიხადეთ, ექიმო!“ მერე კი ერთბაშად პროსტრაციაში ჩავარდა.

რამდენიმე საათის შემდეგ რიე და ტარუ უკანვე მობრუნდნენ და ნახეს, ავადმყოფი სანახევროდ წამომჯდარიყო ლოგინზე. რიეს თავზარი დაეცა, რაკი მის სახეზე აშკარად წაიკითხა, რომ სენს მაგრად ჩაეჭიდა მისთვის კლანჭები და ცეცხლს უგზნებდა, მაგრამ, გონებაზე უფრო ნათლად იყო და მყისვე უცნაურად ჩახლეჩილი ხმით უთხრა მისულებს, ხელნაწერი მომიტანეთ, უჯრაში რომ მიღვესო. ტარუმ მიუბრუნებინა ქალაღები. გრანმა გულში ჩაიკრა ნაწერი ისე, რომ არც დაუხედავს, მერე კი ექიმს გაუწოდა და ხელით ანიშნა, წაიკითხეთო. ეს გახლდათ მოკლე ხელნაწერი, ასე ორმოცდაათიოდე გვერდი. ექიმმა გადაფურცლა დასტა და დაინახა, რომ ყოველ გვერდზე მხოლოდ ერთი და იგივე ფრაზა ეწერა, უთვალავჯერ გადაკეთებულ-გადმოკეთებული გამდიდრებული თუ განძარცული. სულ მაისის თვე, ამორძალი და ბულონის ტყე ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, ოდნავ სახეცვლილნი და შელამაზებულნი. ყოველივე ამას თან ერთვოდა უსაშველოდ გრძელი ახსნა-განმარტებანი და ვარიანტები. უკანასკნელი გვერდის ბოლოს კი ახალი მინაწერი იყო გულმოდგინედ გამოყვანილი. „ჩემო ძვირფასო უანა, დღეს შობაა“... ზევით კალიგრაფიული ხელით ეწერა ფრაზის უკანასკნელი ვარიანტი. „წაიკითხეთ!“ — სთხოვა გრანმა და რიემაც წაიკითხა:

„მაისის მშვენიერ დილას საუცხოო ქურანზე ამხედრებული ტანწერწეტა ამორძალი ყვავილთა შორის მიჰქროდა ბულონის ტყის ხეივანებში....“

— ვარგა რამედ? — იკითხა მოხუცმა სიცხისგან გათანგული ხმით. რიემ თვალი ვერ გაუსწორა.

— ა! — აწრიალდა მოხუცი, — „მშვენიერი“, „მშვენიერი“ მარჯვედ მიგნებული სიტყვა ვერაა.

რიემ ხელი მოჰკიდა ხელზე.

— მაცალეთ, ექიმო. თორემ დრო აღარ მეყოფა...

მკერდი გაჭირვებით აუღ-ჩაუდიოდა, უცბად შესძახა:

— დაწვით!

ექიმი შეყოყმანდა, მაგრამ გრანმა ისეთი საშინელი კილოთი გაიმეორა თავისი ბრძანება და ისეთი ტანჯვა ჩააქსოვა ხმაში, რომ რიემ უსიტყვოდ შეპყარა ფურცლები თითქმის მინავლულ ცეცხლში. ოთახი ერთბაშად გაანათა აღმა, წამით დათბა კიდეც. როცა ექიმი კვლავ მივიდა ავადმყოფთან, მოხუცს ზურგი შეებრუნებინა მისთვის და კედელს მიკვროდა. ტარუ ფანჯარაში იმზირებოდა, თითქოს იქ მომხდარი სცენა არ აღელვებდა. ავადმყოფს შრატის რომ გაუკეთა, ექიმმა უთხრა ტარუს, გრანი დილაძე ვერ გაატანსო. ტარუმ ითავა, გვერდიდან არ მოვშორდებიო. რიე დათანხმდა.

მთელ ღამეს თან სდევდა ფიქრი იმისა, გრანი კვდებაო, მაგრამ მეორე დღით, როცა კვლავ ეწვია ავადმყოფს, ნახა, რომ მოხუცი ლოგინში წამომ-

ჯდარიყო და ტარუს ესაუბრებოდა. სიცხე აღარ ჰქონდა. მხოლოდ საერთო და-
ქანცულობის დალი ესვა.

— ოი, ექიმო, — ეუბნებოდა მოხელე, — შევცდი. მაგრამ თავიდან და-
ვიწყებ. აი, ნახავთ, ყველაფერი მახსოვს.



ეროვნული

— კიდევ მოვიცადოთ, — უთხრა რიემ ტარუს.
მაგრამ შუადღეს არაფერი შეცვლილა. საღამოს უკვე შეიძლება ითქვას
თქმა, რომ გრანი გადარჩენილი იყო. რიეს ვერაფერი გაეგო ამ მკვლრებით
აღდგომისა.

დაახლოებით იმავე პერიოდში რიეს ავადმყოფი მოუყვანეს. რიეს მისი
საქმეც ხელიდან წასული ეგონა და სხვა ავადმყოფებისაგან განცალკევებით
მოათავსებინა. ქალიშვილი სულ ბოდავდა და ყველა ნიშნის მიხედვით ფილ-
ტრების ჭირი სჭირდა. მაგრამ მეორე დღით სიცხემ დაუწია. ექიმმა გამო-
ცდილებით იცოდა, რომ ეს დილანდელი მომჭობინება სნეულს კარგს არა-
ფერს უქადდა და ძალიან გაუკვირდა, რაკი შუადღეს ავადმყოფისათვის სიც-
ხეს არ აუწევია. საღამოს მხოლოდ რამდენიმე ხნით აუწია და მეორე დღეს
სულ დაუვარდა. ქალიშვილი თუმცა ღონემიხდილი იყო. თავისუფლად სუნ-
თქავდა. რიემ უთხრა ტარუს, რაღაც სასწაულით გადარჩაო. კვირის განმავ-
ლობაში მსგავსი შემთხვევები განმეორდა.

იმავე კვირის მიწურულს ასთმით სნეულ მოხუცთან რომ მივიდნენ ექიმი
და ტარუ, მასპინძელი ერთობ აღელვებული დაუხვდათ:

— ისევ, ისევ გამოდიან!

— ვინა?

— ვინა და ვირთხები!

აპრილის აქეთ ერთი მკვდარი ვირთხაც არ დაულანდავთ.

— ნუთუ თავიდან დაიწყება ყველაფერი? — ჰკითხა ტარუმ რიეს.

მოხუცი ხელებს იფშვნეტდა:

— უნდა უცქიროთ ერთი, როგორ მოძვრებიან! საუცხოო სანახავია.

ორი ცოცხალი ვირთხა ენახა, ქუჩაში გამავალი კარიდან რომ შემოვიდ-
ნენ. მეზობლებიც გაიძახოდნენ, ჩვენთანაც ისევ გამოჩნდაო. საღამო, ხარაჩო-
ებზე, ისევ ესმოდათ თვეების წინათ დავიწყებული ფხაკაფხუკი. რიე დაელო-
და სტატისტიკურ ცნობებს, ყოველი კვირის დასაწყისში რომ აქვეყნებდნენ.
ისინი სენის უკუქცევას იტყობინებოდნენ.

V

თუმცა სენის უეცარ უკუქცევას არავინ ელოდა, ჩვენი თანამოქალაქენი
არ ამჩატებულან და სიხარულს არ მისცემიან. ეამიანობა თვეების მანძილზე
გრძელდებოდა, განთავისუფლების წყურვილსაც თანდათან უფრო აღვივებდა
ჩალხის გულში. მაგრამ სიფრთხილესაც შთააგონებდა და ჭირს შეჩვეულებს
უკვე იმედი აღარ ჰქონდათ, ეპიდემია მალე დასრულდებაო. ეს ახალი ამბავი
მაინც ყველას ეკერა პირზე და გულის სიღრმეში დიდ, იღუმალ იმედებს აღუძ-
რავდათ. სხვა დანარჩენი უკანა პლანზე იწევდა. შავი ჭირის ახალი მსხვერპლი
რალა მოსატანი იყო ამ განსაცვიფრებელ ამბავთან შედარებით. სნეულების
მრუდი ეცემოდა. ერთ-ერთი ნიშანი იმისა, რომ იღუმალ ყველა ჯანმრთელობის

ხანის დადგომას ელოდა, თუმცა კი აშკარად მასზე ოცნებას ვერავინ ბედავდა, ის გახლდათ, რომ ჩვენი თანამოქალაქენი ამ ხნიდან მოკიდებული უკვე ხალხით ლაპარაკობდნენ, თითქოსდა სასხვათაშორისოდ, თუ როგორ წარიმართებოდა განახლებული ცხოვრება ჭირიანობის შემდეგ.

სუყველა იმას ფიქრობდა, რომ წარსული ცხოვრების შემდეგ ერთბაშად არ დაუბრუნდებოდათ და რომ დანგრევა უფრო ხანგრძლივად გაგრძელდებოდა. ოღონდ იმედოვნებდნენ, რომ მომარაგება შეიძლება ცოტა გაუმჯობესებულიყო და ხალხს მთავარი საზრუნავი მოაკლდებოდა. მაგრამ სინამდვილეში ამ უწყინარი შენიშვნების ქვეშ უგონო იმედი იჭვრიტებოდა, თანაც იმ ზომამდე იწყვეტდა ლაგამს, რომ ჩვენი თანამოქალაქენი მალევე მოეგებოდნენ ხოლმე გონს და გაცხარებით ამტკიცებდნენ, ასეა თუ ისე, ხსნა ხვალ მაინც არ გვიწერიაო.

მართლაც შავი ჭირი მეორე დღესვე არ გასცლიათ, მაგრამ უფრო სწრაფად შესუსტდა ვიდრე იმედოვნებდნენ. იანვრის პირველ დღეებში საშინელი სიცივეები დაიჭირა და თითქოს დაკრისტალდა ქალაქის თავზე. და მაინც ცა არასდროს ყოფილა ასეთი ფირუზისფერი. მთელი დღეების განმავლობაში მისი უცვლელი და გაყინული შუქი ჩვენს ქალაქს ათოვდა თავზე. გაწმენდილ ჰაერში შავმა ჭირმა სამი კვირის მანძილზე რამდენჯერმე დაიხია უკან და მსხვერპლიც საგრძნობლად შემცირდა. ცოტაც და თითქმის მთლად მიეღო ძალა, რომლის დაგროვებასაც თვეები მოანდომა. რომ გენახათ, როგორ უშვებდა ხელიდან მსხვერპლთ, სასიკვდილოდ გადადებულნი რომ ჩანდნენ, გრანისა და იმ ქალიშვილისა არ იყოს, როგორ აფთრობდა ზოგიერთ კვარტალში სამიოთხი დღის მანძილზე, მაშინ როდესაც სხვებიდან სულ ამოეკვეთა ფეხი, რომ გენახათ, ორშაბათობით როგორ იწირავდა უამრავ ხალხს, ოთხშაბათობით კი თითქმის ყველას ინდობდა, როგორ ეცლებოდა არაქათი ან ძალას უეცრად როგორ მოიცემდა ხოლმე, იტყოდით, ნერვიულობამ და დაღლილობამ თავგზა აუბნია, თავს ვეღარ მორეგია და კარგავს მათემატიკურად გაანგარიშებულსა და მეფურ ძალმოსილებას, მის უპირატესობას რომ შეადგენდაო. კასტელის შრატმა იმ დღეებში მრავალი გადაარჩინა, თუმცა წინათ ამ შრატითაც ვერას ხდებოდნენ. ექიმების მცდელობა, უწინ ამათ რომ ჩანდა, ახლა უცილობელი წარმატებით გვირგვინდებოდა. იტყოდით, ამჯერად თვით შავ ჭირს შესევნიან და მისმა უეცარმა სისუსტემ ძალი შთაბერა იმ დაჩლუნგებულ იარაღებს, მას რომ უპირისპირებდნენო. სენი მხოლოდ დროდადრო თუ იმძლავრებდა, ბრმად ჰკრავდა ირაოს და საიქიოს გზას გაუყენებდა სამ-ოთხ ავადმყოფს, რომელთა გამოჯანმრთელების იმედიც ჰქონდათ. ესენი უიღბლონი იყვნენ ეპიანობისა, რაკი მაშინ უწევდათ სიკვდილი, როცა იმედმა ფრთა შეისხა. ასე დაემართა გამომძიებელ ოტონსაც, რომლის გამოყვანაც საკარანტინო ბანაკიდან მოუხდათ. ტარუმ თქვა, იღბალი არ ჰქონიაო, ოღონდ კაცმა არ იცოდა, რა შიამჩნდა უიღბლობად, მოსამართლის სიკვდილი თუ სიცოცხლე.

მაგრამ საერთო ჯამში სენი უკან იხევდა მთელ ფრონტზე და პრეფექტურის კომუნიკაციებმა, რომელთაც ჯერ გაუბედავი და იღუმალი იმედი დაბადეს ორანელთა გულებში, ბოლოს ყველა დაარწმუნეს, გამარჯვება მოპოვებულია, ჭირი საბოლოოდ ტოვებს თავის პოზიციებსო. სინამდვილეში - გამარჯვებაზე ფიქრი ცოტა ნაადრევი იყო. მარტო იმის თქმა შეიძლებოდა თამამად, რომ სენი ისევე მოულოდნელად მიდიოდა, როგორც მოვიდა. მის წინააღმდეგ მიმართული ზომები არ შეცვლილა, მაგრამ რაც უშედეგო იყო ვუშინ, დღეს

შედგინა ჩანდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, სენმა თვითონ ამოიჭამა თავისი თავი, ანდა ყველა, ვინც ნიშანში ჰყავდა ამოღებული, გაწყვიტა და ახლა თავისით გვეცლებაო. ერთი სიტყვით, მისი როლი თითქმის დამთავრებული იყო.

ქალაქში გარეგნულად თითქმის არაფერი შეცვლილა. ქუჩებში იყო დღისით, საღამოობით კი კვლავ ივსებოდა ხალხით. უმეტესობა ეცვა და კაშნეები ეკეთა. კინოებსა და კაფეებს კვლავ ეტანებოდა მუშტარი. მაგრამ უფრო დაჟინებით თუ დააკვირდებოდით, შენიშნავდით, რომ ხალხს სახეზე მეტი სიმშვიდე აღბეჭდვოდა და აქა-იქ ღიმილიც გაკრთებოდა ხოლმე. მაშინლა იაზრებდით, რომ დღემდე არავინ იღიმებოდა ქუჩებში. ქუფრი საბურველი, თვეების მანძილზე რომ ებურა ქალაქს, ჩახეულიყო და ყოველ ორშაბათს ორანის თითოეულ მკვიდრს შეეძლო დაენამდვილებინა რადიოთი გადმოცემული ცნობების წყალობით, რომ ნახევრი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და ბოლოს და ბოლოს სულის მოთქმის საშუალება ეძლეოდათ. ეს ჯერ სავსებით ნეგატიური შემსუბუქება იყო, გარეგნულად რომ არაფრით გამოიხატებოდა. მაგრამ თუ წინათ უნდობლად ეკიდებოდნენ ცნობას იმის შესახებ, მატარებელი წავიდა ან გემი ჩამოვიდაო, ანდა დარხეულ ხმას, მალე მანქანებით სიარულის ნებას დაგვრთავენო, ამგვარი ამბები იანვრის მეორე ნახევარში უკვე არავითარ გაოცებას არ იწვევდა. ცხადია, ეს როდი კმაროდა. მაგრამ ეს პატარა ნიუანსი საცნაურს ჰყოფდა, რამოდენა გზა განვლეს ჩვენმა თანამოქალაქეებმა იმედის გზაზე. შეიძლება ისიც კი ითქვას თამამად, რომ იმ წუთიდან, როს იმედის ნამცეცა სხივი ჩაესახა გულს მოსახლეობას, შავი ჭირის ჰეშმარიტ მეუფებასაც ბოლო მოეღო.

ოღონდ უნდა დავსძინოთ, რომ იანვრის თვეში ჩვენი თანამოქალაქენი წინააღმდეგობრივ გრძნობათა ტყვეობაში იყვნენ. უკეთ, უეცარ აღტყინებას დებრესია ცვლიდა ხოლმე. მოხდა ისეც, რომ იმ დროს, როცა სტატისტიკური მონაცემები ყველაზე მეტად სანუგეშო იყო, რამდენიმე კაცი დააკავეს, გაქცევას რომ აპირებდა. ამ გარემოებამ ერთობ გააოცა ხელისუფალნიცა და საყარაულო პოსტების განმგებელნიც, რადგან ლტოლვილთა უმეტესობამ გაქცევა შეძლო. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ხალხი, რომელიც ამ დროს გარბოდა, ბუნებრივ გრძნობას ემორჩილებოდა, ზოგთა გულებში ჭირმა ჩამოთესლა ღრმა სკეპტიციზმი, რომელიც ვერა და ვერ მოეცილებინათ თავიდან. იმედი ველარ დაიუფლებდა მათ სულებს. მაშინაც კი, როს უამიანობას ყავლი გაუვიდა, მისი წესისამებრ ცხოვრობდნენ. ესენი მოვლენებს იყვნენ ჩამორჩენილნი. სხვები, პირიქით, იმათთაგანნი, ვინც სატრფოს ან მახლობლებს იყვნენ გაყრილნი და ხანგრძლივი კარდახშულობის უამს უნუგეშობით გვემულნი, ახლა იმედის ქარით ატანილნი მოუთმენლობას შეეპყრო და თავს ველარ იოკებდნენ: პანიკა იპყრობდათ იმის გაფიქრებაზე, რომ შეიძლებოდა სულ ბოლო წუთში, თითქმის მიზანს მიღწეულნი დახოცილიყვნენ, რომ თავის დღეში ველარ იხილავდნენ სათაყვანო არსებას და ეს გრძელი სატანჯველიც ფუჭად ჩაუვლიდათ. და თუმცა თვეობით, პატიმრობისა და განდევნის მიუხედავად, ბრმა სიჭიუტით მაინც ხსნას მოელოდნენ, იმედის პირველი სხივი საკმარისი შეიქნა იმის დასანგრევად, რასაც შიშმა და სასოწარკვეთამ ვერაფერი დააკლო. გიყებებით მოსწყდნენ ადგილს, რომ გადაესწროთ უამიანობისათვის, რაკი უკანასკნელ წუთამდე მასთან ფეხაწყობით სიარული აღარ შეეძლოთ.

მაგრამ იმავ ხანებში ოპტიმისტური სულისკვეთებაც გამძაფრდა. ამას ისიც

უნდა დავსძინოთ, რომ საგრძნობლად დაიწიეს ფასებმა. წმინდა ეკონომიკის თვალსაზრისით ეს გარემოება ვერ აიხსნებოდა. სიძნელეები იგივე დარჩა, ქალაქის კარიბჭე კვლავ ჩარაზული იყო, მომარაგება ისევ ჭირდა მაშასადამე, წმინდა მორალურ ფენომენთან გვექონდა საქმე — თითქოს შავი ჭირის უკანდახევა ყველაფერში აირეკლაო. ამავე დროს კვლავ შეყრისე მძედე მიეცათ იმათ, ვინც წინათ ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრობდა და სენმა დაჰმფრეშორა. ქალაქის ორი მონასტერი ხელახლა გაივსო და ბერებიც კვლავ ერთად შეუდგნენ ცხოვრებას. სამხედროებიც ისევ ერთად შეყარეს დაცარიელებულ ყაზარმებში: ისევ დაიწყეს ნორმალური, ჯარისკაცული ცხოვრება. ასე რომ, ეს ვითომდა წვრილმანი ამბები პატარა მნიშვნელობისა როდი გახლდათ.

მოსახლეობა ამ იდუმალ მღელვარებაში ცხოვრობდა ოცდახუთ იანვრამდე. ხოლო ამ კვირას სიკვდილიანობის მრუდი ისე დაბლა დაეცა, რომ სამედიცინო კომისიის თათბირის შემდეგ პრეფექტურამ გამოაცხადა, ეპიდემიას, შეიძლება ითქვას, გზა გადავუკეტეთო. კომუნიკე იმასაც ამატებდა, სიფრთხილეს თავი არ სტკივა და იმედია, მოსახლეობაც მოგვიწონებს, თუ ქალაქის კარიბჭენი კიდევ ორ კვირას იქნება დახშული და პროფილაქტიკური ზომების მიღება ერთ თვემდეც გასტანსო. თუ ამ ხნის განმავლობაში იოტისოდენა რამ მაინც შეინიშნება საგანგაშო, status quo უნდა იყოს დაცული მისგან გამომდინარე ყველა შედეგითო... მაინც ყველა იმ აზრზე იდგა, ეს დამატებანი სავინიციობოდ მოაყოლესო, და ოცდახუთ იანვარს სალამოს მხიარულმა გამოცოცხლებამ შოიცვა ქალაქი. საერთო სიხარულისათვის რომ მხარი აეება, პრეფექტმა ბრძანა, ქალაქი უწინდელივით გაანათეთო. გაბღვრილებულ ქუჩებში, ცივსა და კრიალა ცის ქვეშ ჩვენი თანამოქალაქენი ხმაურიან და მოციწარ ჯგუფებად მიმოიფანტნენ.

ცხადია, ბევრ სახლში დარაბები ისევ დაგმანული იყო და ბევრმა მღუმარედ გაატარა ეს სალამო, როს სხვები სიხარულს ვერ მალავდნენ. მგლოვიარეთაგან ბევრისათვის მაინც ეს დიდი ნუგეში იყო, იქნებ იმიტომ, რომ, ბოლოს და ბოლოს, დაუცხრათ სხვა მახლობელთა დაკარგვის შიში, ან იქნებ იმიტომაც, რომ იმედი მოეცათ, ჩვენ მაინც გადავრჩებითო. მაგრამ საერთო მხიარულებას არ იზიარებდნენ, ცხადია, ის ოჯახები, რომელთა წევრიც ამ დროს შავ ჭირს ერკინებოდა ლაზარეთში, თვითონ კი საკარანტინო სახლებში ან შინ მსხდომნი ელოდნენ, ჟამიანობა ნეტა ჩვენც ისე დაგვეხსნებოდეს, როგორც სხვებსო. ცხადია, მათაც ჰქონდათ იმედის სხივი შემორჩენილი, მაგრამ იზოგავდნენ, მანამ ვერ უბედავდნენ ხელის შეხებას, სანამ ნამდვილად არ ექნებოდათ ამის უფლება. და ეს მოლოდინი, ეს მღუმარე ღამისთევა — ცალკერძ აგონიასა და ცალკერძ სიხარულს შორის მოქცეული — უფრო სასტიკი ეჩვენებოდათ ამ საერთო ლხენა-ზეიმში.

მაგრამ ეს გამონაკლისები სხვათა კმაყოფილებას ნირს ვერ უცვლიდა. ცხადია, ჟამიანობა ჯერ კიდევ არ გათავებულებოდა, ერთი-ორჯერ კეხსაც შემოიბრუნებდა და მაინც უკვე ყველას გონებაში რამდენიმე კვირით ადრე მატარებლები მიქროდნენ უსასრულო გზებზე და გემები მიაპობდნენ სხივმოსილი ზღვის ტალღებს. ხვალ ყველას დაუცხრებოდა გონება და ექვის ჭია კვლავ გაიღვიძებდა. მაგრამ ახლა მთელი ქალაქი ზანზარებდა, დაეტოვებინა კარდაგმანული, პირქუში სამყოფელი, სადაც ქვის ფესვები ჰქონდა გადგმული და ბოლოს და ბოლოს დაძრულიყო, სიკვდილს გადარჩენილი ადამიანებით დატვირთული. ამ სალამოს ტარუ, რიე, რამბერი და სხვები მიაპობდნენ ხალ-

ის ტალღას და თავადაც გრძნობდნენ, რომ მიწა ეცლებოდათ ფეხქვეშ. დიდი ხნის შემდეგაც, რაც ბულვარები უკან მოიტოვეს, ტარუსა და რიეს ქსოვ-
დათ, როგორ ფეხდაფეხ მისდევდათ ეს მზიარულება გაუკაცურებულ ქუჩებში,
დარბაზიარაზულ სახლებს შორის მიმავალთ. დაღლილობის გამო მათ არ შეე-
ლოთ დაეშორიშორებინათ დარაბებს უკან განაბული ტანჯვა და მარჯვენა
კოტა მოშორებით ქუჩებს რომ ავსებდა პირთამდე. მომავალ ღამეს ისინი
ღიმილი უკრთოდა და თან ცრემლები უღტობდა დაწვევს.

იმ წუთას, როცა ხმაური გაძლიერდა და სამზიარულო გნიასმაც იმატა,
ტარუ შედგა. ბნელ ქვაფენილზე მსუბუქად გადაირბინა ჩრდილმა. ეს კატა
იყო, პირველი კატა, რომელიც გაზაფხულს აქეთ დალანდეს. ერთ წამს გაქ-
ვავდა ტროტუარზე, შეყოყმანდა, თათი გაილოკა, მარჯვენა ყურზე გადაისვა,
მერე ისევ უჩუმრად განაგრძო გზა და ღამეში გაუჩინარდა. ტარუმ გაიღიმა —
იმ მოხუცს რა სიხარული შეუდგებაო.

მაგრამ იმ დროს, როცა შავი ჭირი თითქოს გვეშორებოდა, რომ დაბ-
რუნებოდა იმ უცხო ბუნავს, საიდანაც პირუჩუმრად გამოვიდა ქალაქში, ერთი
კაცი მაინც მოიძევებოდა, ვისაც ეს უკუქცევა თავგზას უბნევდა. ტარუს უბის
წიგნაკებს თუ ვენდობით, ეს კაცი კოტარი გახლდათ.

სიმართლე თუ გნებავთ, ეს წიგნაკები საკმაოდ უცნაური შეიქნა მას
შემდეგ, რაც სნეულების მრუდმა დაბლა იწყო დაშვება. იქნებ დაღლილობის
ბრალი იყო, მაგრამ ნაწერი ძნელი გასარჩევი გახდა და საუბარიც ერთი საგნი-
დან ხშირად გადადიოდა მეორეზე. უფრო მეტიც, ჩანაწერებმა პირველად და-
კარგეს ობიექტურობა და მისი ადგილი პირადული ხასიათის მსჯელობებმა
დაიჭირეს. ასე მაგალითად, კოტარის ამბავში, რომელსაც საკმაოდ ვრცელი
ადგილი უკავია, ჩართულია კატებს გადამტერებელი მოხუცის ამბავიც. ტარუს
თუ დავუჭვრებთ, შავმა ჭირმა ვერაფრით წარუხოცა ამ პერსონაჟისადმი მო-
წიწება, რომლისადმი ინტერესი არც ეპიდემიის შემდეგ განულებია, მაგრამ სა-
უბედუროდ ცნობისწადილს აწი ველარ დაიკმაყოფილებდა, თუმცა ამაში თვი-
თონ როდი მიუძლოდა ბრალი. საქმე ის გახლავთ, რომ იგი შეეცადა მოხუცის
ნაბვას. ოცდახუთი იანვრის იმ სამახსოვრო საღამოდან რამდენიმე დღის შემდეგ
ქუჩის კუთხეში ჩაუსაფრდა. კატებს აქ მოეყარათ თავი, თბებოდნენ მზის
გულზე, ერთგულად მოსულს ეყვნენ პაემანზე. მაგრამ ჩვეულ დროს დარაბები
არ გაღებულა. ტარუმ ვერც მომდევნო დღეებში შენიშნა, რომ გამოელო
ვინმეს. რატომღაც დაასკვნა, მოხუცი განაწყენებულია, ან არადა, მოკვდაო;
თუ გულმოსული იყო, უთუოდ იმიტომ, რომ ფიქრობდა, მართალი ვარო, და
ჭირმა მტყუანად გამოიყვანა. თუ მოკვდა, საკითხავია, იმ ჩვენი ასთმიანისა
არ იყო, ესეც წმინდანი ხომ არ არისო. ტარუს კოტათი ეჭვი ეპარებოდა მის
წმინდანობაში, მაგრამ თვლიდა, აქ „ღვთიური რამ ნიშანი“ მაინც ურევიაო.
„იქნებ, — ეწერა უბის წიგნაკში, — კაცს მხოლოდ სიწმინდის კარიბჭესთან
ძალუქს მიახლოება. მაშ, მოკრძალებული და გულმოწყალე სატანიზმით უნდა
დავკმაყოფილდეთ!“

ისევ და ისევ კოტარის ამბებში ჩართულს თუ ამოიკითხავთ ამ უბის წიგ-
ნაკებში უთავბოლოდ გაბნეულ მრავალ შენიშვნას, რომელთაგანაც ზოგნი
გრანზე გვიამბობენ, განიკურნა და კვლავ ისე შეუდგა მუშაობას, თითქოს არა-
ფერი მომხდარიყოს მის თავსო; ზოგნი კი ექიმ რიეს დედის ამბებს გვიყვებიან.

მოხუცი ქალის ყოფაქცევა, მისი ღიმილი, მისი შენიშვნები ქამიანობაზე ტარუს გულდასმით აღუნუსხავს. ჩაწერილი აქვს ის საუბრებიც, ერთ ჰერკვეშ ცხოვრებამ რომ დაბადა. ტარუს ათასჯერა აქვს აღნიშნული, ქალბატონი რიესულ იმის ცდაშია, როგორმე უჩინარ იქმნესო; ყველაფრის მარტივი ფრაზებით გამოთქმა სჩვევია, განსაკუთრებით ის ფანჯარა უცხარსაქვს — შეთვისებია, წყნარ ქუჩაზე რომ გადადის; სწორედ მას მიუჯდება სწორედ სწორად ამოობით, წელში გამართული, გულხელდაკრეფილი და თვალეზგაფაციცებული, და ასე ზის მანამ, სანამ ბინდი არ ჩამოწვება ოთახში და თვითონაც მწუხრში გარინდულ შავ აჩრდილად არ გადაიქცევა, მწუხრში, თანდათან რომ მატულობს და ნთქავს მის უძრავ სილუეტსო. ყვებოდა იმაზეც, თუ რა მსუბუქად დაფარფატებდა ქალი ერთი ოთახიდან მეორეში; სიკეთეზე, რომელიც თითქოს ეგზომდიდად არც არასდროს გამოუჩენია ტარუს თანდასწრებით, მაგრამ რომლის სხივიც გამოკრთოდა ყველაფერში, რასაც აკეთებდა ან ამბობდა. დაბოლოს, იმაზედაც, რომ ქალმა ყველაფერი იცოდა ისე, რომ თავის დღეში ტვინი არ უჭყლეთია და ამოდენა მდუმარებითა და ჩრდილით მოსილს შეეძლო ნებისმიერი სინათლის სიმალღეზე ასვლა, თვით შავი ჭირის სიმალღეზედაც კი. აქ, სიმართლე, თუ გნებავთ, ტარუს ნაწერი როგორღაც უცნაურად გამოიყურება, მომდევნო სტრიქონების გარჩევა ჭირს და თითქოს ნახსენები უცნაურობის დასტურად პირველად გვამცნობს პირადულს: „დედაჩემიც ასეთი იყო! მიყვარდა მასში ეს უჩინარობა და ყველაზე მეტად მასთან ყოფნა მწყურია. აგერ უკვე რვა წელი გავიდა, რაც მოკვდა, თუმცა, მოკვდა კი არა, ცოტა უფრო მეტად უჩინარი შეიქნა, ვინემ ოდესმე და როცა მოვტრიალდი, ველარსად ვპოვე“.

მაგრამ სჯობს, კოტარს დავუბრუნდეთ. მას შემდეგ, რაც ეპიდემია შენელდა, კოტარმა ხან რა მიზეზი მოიღო, ხან რა და რამდენჯერმე ეწვია რიეს. მაგრამ არსებითად სულ იმას ეკითხებოდა ექიმს, ეპიდემიის მსვლელობას როგორი პირი უჩინარო: „მართლა ფიქრობთ, რომ ქამიანობა შეიძლება ასე მოულოდნელად, ერთბაშად შეწყდეს?“ თვითონ დიდად ეჭვობდა ამას, ან არადა, თავს განზრახ იკატუნებდა. მაგრამ ეს ჩაცხები უცნაური შეკითხვები იმას მოწმობდა, რომ მაინც შერყეოდა რწმენა. იანვრის შუა რიცხვებში რიემ საკმაოდ იმედიანი პასუხი უთხრა და ამგვარი პასუხები კოტარს სიხარულის ნაცვლად უგუნებობასა და სასოწარკვეთილებაში აგდებდა. ბოლოს უკვე ექიმი ეუბნებოდა, სტატისტიკური ცნობები თუმც კი საამურია, მაგრამ გვიჯობს, თუ გამარჯვების ნაღარას ჯერ არ დავცემთო.

— სხვაგვარად რომ ვთქვათ, — შენიშნა კოტარმა, — არაფერი ვიცით და სენმა ხვალ-ზეგ შეიძლება ისევ იმძლავროს?

— დიახ, თუმცა ისიც შეიძლება, სულ უფრო და უფრო მეტი სნეული განიკურნოს.

ამ ვარაუდმა, ყველა სხვას რომ შეაშფოთებდა, აშკარად გულს მოუფონა კოტარს და ტარუს თანდასწრებით არაერთგზის სცადა თავისი უბნის კომერსანტებში გაევრცელებინა ეს აზრი. მართალი თუ გნებავთ, ეს არც გასძნელებია, რადგან პირველი გამარჯვების ციებ-ცხელების შემდეგ ბევრის გონებაში ისევ ეჭვი ჩასახლდა და დააზრო პრეფექტურის დეკლარაციებით გამოწვეული სიხარული. კოტარი ნუგეშს ჰპოვებდა ამ შეშფოთების შემხედვარე, ზოგჯერ კი ისევ დალატობდა სიმხნევე. „ეჰ, — ეუბნებოდა ტარუს, —

ბოლოს ისე წავა საქმე, რომ კარიბჭესაც გააღებენ და ნახავთ, ყველა ზურგს შემაჭევს!“

ოცდახუთ იანვრამდე ყველამ შენიშნა მისი ხასიათის ეგზომ მალაქის ცვალებადობა. ადრე თუ სულ იმის ცდაში იყო, მთელი კვარტალისა და ყველა ნაცნობის გული მოეგო, ახლა სუყველას ზურგს აქცევდა. ყოველ შემთხვევაში, ხალხისგან განაპირდა და რამდენიმე დღეს კარებიც კარებია. ველარც რესტორანში მოპკრავდით თვალს, ველარც თეატრში, ვერც მის საყვარელ კაფეებში. და მაინც ეტყობოდა, გამოზომილი და უჩინარი ცხოვრებით როდი ცხოვრობდა, როგორც ეპიდემიის დაწყებამდე. მთლად განმარტოებულიყო თავის ბინაში და მეზობელ რესტორნიდან ატანიებდა სადილებს. მხოლოდ საღამოობით, ისიც მალულად თუ გამოვიდოდა კარში, უიღულობდა, რაც ჰქონდა საყიდელი, და მალაზიებიდან გამოსული უკაცურ ქუჩებში შერგავდა ხოლმე თავს. თუ ამ დროს ტარუ გადაეყრებოდა, ჰოსა და არას მეტს ვერაფერს ამოგლეჯდა პირიდან. შემდეგ უეცრად ისევ ამოიდგამდა ენას, ენაწყლიანად ალაპარაკდებოდა შავ ჭირზე, სხვის აზრს გამოიძიებდა და ყოველ საღამოს კვლავ სიამოვნებით დაინთქმებოდა ხალხის ტალღებში.

იმ დღეს, როცა პრეფექტურის დეკლარაცია გამოქვეყნდა, კოტარს თითქოს მიწამ უყო პირი. ორი დღის შემდეგ ტარუმ თვალი მოპკრა, როგორ დაწანწალებდა ქუჩებში. რანტიემ სთხოვა, გარეუბნამდე მიმაცილეთო. ტარუ იმ დღეს განსაკუთრებით იყო დაღლილი და შეეყოყმანდა. მაგრამ კოტარი არ მოეშვა. ძალიან აღელვებული ჩანდა, უთავბოლოდ იქნევდა ხელებს, ხმამაღლა და ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა. ჰკითხა ტარუს, მართლა თუ ფიქრობთ, რომ პრეფექტურის დეკლარაცია უამიანობის დასრულებას მოასწავებსო. ტარუმაც უთხრა თავისი ვარაუდი: ადმინისტრაციის დეკლარაცია თავისთავად საკმარისი არაა უამიანობის შესაჩერებლად, მაგრამ ჰკუასთან ახლოა ვიფიქროთ, რომ ეპიდემია, თუ რამ მოულოდნელობა არ დაგვატყდა თავს, შეწყდებაო.

— დიახ, — უთხრა კოტარმა, — თუკი მოულოდნელობა არ დაგვატყდა თავს. მოულოდნელობა კი ყოველთვის შეიძლება გამოტყვევდეს.

ტარუმ შენიშნა, კაცმა რომ თქვას, პრეფექტურამ ეს მოულოდნელობაც გაითვალისწინა, რაკი ქალაქის კარიბჭის გახსნა ორი კვირით გადადო.

— კარგადაც მოიქცა, — შესძახა კოტარმა, კვლავ პირქუშად იმზირებოდა და აღელვებაც არ დასცხრობია, — თორემ იმისდა მიხედვით, როგორ მიდის საქმე, შეიძლება კიდევაც გასცუდებოდა დანაპირები.

ტარუმ მიუგო, საქმე ასედაც შეიძლება შემობრუნდესო, მაგრამ ბოლოს მაინც დასძინა: სჯობს იმედი ვიქონიოთ, რომ ქალაქის კარიბჭე მალე გაიხსნება და ნორმალურ ცხოვრებას დავუბრუნდებითო.

— დავუშვათ, ასეც მოხდეს, მაგრამ რას ნიშნავს, ნორმალურ ცხოვრებას დავუბრუნდებითო? — ჰკითხა კოტარმა.

— რასა და, კინოში ახალი ფილმი გვექნება, — ღიმილით მიუგო ტარუმ.

მაგრამ კოტარს არ ელიმებოდა. მას სურდა სცოდნოდა, ნიშნავს თუ არა ეს, რომ შავმა ჭირმა ვერაფერი შეცვალა ქალაქში და ყველაფერი წინანდებურად წავა, ისე, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოსო. ტარუსთვის რომ გეკითხათ, შავმა ჭირმა კიდევაც შეცვალა ქალაქი და ვერც შეცვალა. ცხადია, ჩვენი თანამოქალაქეების უმხურვალესი სურვილი იყო და იქნება თავი ისე

დაიჭირონ, თითქოს არაფერი შეცვლილიყოს და ამდენად, ერთი მხრივ, არც არაფერი შეიცვლება, მაგრამ მეორე მხრივ ყველაფერს დავიწყებას ვერ მისცემენ, რა ძალი და ღონეც არ უნდა იხმარონ, და შავი ტარი გულეებში მაინც უეჭველად კვალს დასტოვებსო. წვრილმა რანტიემ მიახალა, გულეები მე არ მაინტერესებს, გულეები მე ფეხებზე მკიდიათ. მარტო იმის გაგება სურდა, წყობა ხომ არ შეიცვლებაო, უწინდებურად თუ იმუშავებდა დაწესებულებაო. ტარუ იძულებული გახდა ელიარებინა, ამაზე წარმოდგენაც არა მაქვსო. მაგრამ ვარაუდობდა, ეპიდემიის დროს აწეწილ ამ დაწესებულებებს, ცოტა არ იყოს, გაუჭირდებათ წელში გამართვაო. საფიქრალი იყო ისიც, რომ უამრავი ახალი პრობლემა იჩენდა თავს, რომლებიც, სულ ცოტა, ძველ დაწესებულებათა რეორგანიზაციას მოითხოვდნენ.

— ჰო, ეგ შეიძლება, — კვერი დაუკრა კოტარმა, — მართლაც ყველას ყველაფერი თავიდან ექნება დასაწყები.

კოტარის სახლს მიუახლოვდნენ. კოტარი აღგზნებული ჩანდა, ცდილობდა იმედიანად ჩვენებოდა თანამოსაუბრეს. წარმოიდგინა, როგორ იწყებდა თავიდან ცხოვრებას ქალაქი, როგორ შლიდა თავის წარსულს, რომ ყველაფერი სულ ნულიდან დაეწყო.

— იქნებ, ბოლოს და ბოლოს, თქვენს სასიკეთოდაც წარიმართოს საქმე, — უთხრა ტარუმ, — აკი გარკვეული აზრით ახალი ცხოვრება იწყება.

სადარბაზოს წინ შედგნენ და ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

— მართალი ბრძანდებით, — უთხრა კოტარმა. თანდათან მეტი მღელვარება ეტყობოდა, — სულ თავიდან დაწყება მართლაც ჩინებული რამ იქნებოდა.

უცებ დერეფნის ჩრდილს ორი კაცი გამოეყო. ტარუმ ძლივს გაიგონა, როგორ წაიჩურჩულა კოტარმა, ეს რა ჩიტები მოფრენილანო. ჩიტებმა, საუქმოდ გამოწყობილ მოხელეებს რომ ჰგვანდნენ, ჰკითხეს კოტარს, ბატონი კოტარი ხომ არ ბრძანდებითო, მან კი ყრუდ შეჰყვირა, შეტრიალდა და ბნელში გაუჩინარდა, სანამ ის ორი და ტარუ გონს მოეგებოდნენ. უეცარი გაოცებისგან რომ გამოერკვა, ტარუმ ჰკითხა მოსულებს, რა გნებავდათო. მათაც თავშეკავებით, მაგრამ ზრდილობიანად მიუგეს, რაღაც-რაღაცები უნდა გვეკითხა კოტარისთვისო, და დინჯად გაემართნენ იქით, სადაც წვრილი რანტიე გაუჩინარდა.

შინ რომ დაბრუნდა, ტარუმ თავის წიგნაკში ჩაიწერა ეს ამბავი და ზედ დააყოლა, ძალიანა ვარ დაღლილიო (ნაწერიც ამას ადასტურებდა). ისიც ჩაეწერა, კიდევ ბევრი რამა მაქვს გასაკეთებელი, მაგრამ ეს სულ არ არის საბაბი საიმისოდ, რომ მზად არ ვიყო, და თავს ეკითხებოდა, ნეტა თუ ვარ მზადო. მერე პასუხობდა და ტარუს ჩანაწერებიც სწორედ აქ წყდებოდა: დღისითაც და ღამითაც მუდამ დგება ქამი, როცა ყოველი კაცი მზდალია და მეც სწორედ ამ ქამისა მეშინიაო.

მესამე დღეს, კარიბჭის გაღებამდე რამდენიმე დღით ადრე, ექიმი რიე შუადღისას შინ ბრუნდებოდა და თავს ეკითხებოდა, ნეტა დეპეშა თუ დამზავდებაო. თუმცა დღეცისმარე იმგვარივე დამქანცველი შრომა უწევდა, როგორც გაცხარებული ქამიანობის დროს, საბოლოო განთავისუფლების მოლო-

დინმა სრულიად წარუხოცა დაღლილობის კვალი. ახლა იმედი ჩასახვოდა გულში და ლხენას ეძლეოდა. სულ მუდამ ვერ დაძაბავ ნებისყოფას და გულსაც ვერ გაიქვავებ; და აი ფიქრობდა, რა ბედნიერებაა, რომ ბოლოს და ბოლოს, შემძლია ერთბაშად მოვადუნო საბრძოლველად შემართული ძალებით. თუ დეპეშა, რომელსაც მოუთმენლად ელოდა, სასიკეთოს ამცნობდა, რიეს შეეძლო ეძლო თავიდან დაეწყო ყველაფერი. მისთვის რომ გეკითხათ, ყველაფერი თავიდან დაწყება მართებდა.

გვერდით ჩაუარეს კონსიერჯის სადგომს. ახალი კონსიერჯი ფანჯარაში იჯდა და უღიმოდა. კიბეზე რომ აღიოდა, ექიმს თვალწინ ედგა მისი სახე, დაღლილობისა და შიმშილისაგან გადაფითრებული.

— დიახ, თავიდან დაიწყებდა, როცა ბოლო მოეღებოდა ამ აბსტრაქციას და თუ ცოტათი მაინც გაუღიმებდა ბედი... მაგრამ ამ ფიქრებში გართულმა შეალო თუ არა კარი, მაშინვე გამოეგება დედა და უთხრა, ბატონი ტარუ თავს უქეიფოდ გრძნობსო. დილით კი ამდგარიყო, მაგრამ გარეთ გასვლის ღონე აღარ ჰქონია და კვლავ ჩაწოლილიყო. ქალბატონი რიე შეშფოთებული ჩანდა.

— იქნებ სერიოზული არაფერი სჭირს, — უთხრა ვაჟმა.

ტარუ გაშხლართულიყო საწოლზე, მძიმე თავი ბალიშში ჩაეფლო, ღონიერი მკერდი გამოკვეთილად მოუჩანდა საბანში. სიცხე ჰქონდა და თავის ტკივილი აწამებდა. რიეს უთხრა, ისეთი ნიშნები მაქვს, ადვილი შესაძლებელია ჭირიც მჭირდესო.

— არა, ჯერ გარკვეულს ვერაფერს ვიტყვი, — გასინჯა და უთხრა რიემ.

მაგრამ ტარუს წყურვილი ახრჩობდა. დერეფანში ექიმმა უჩურჩულა დედას, შეიძლება, მართლაც ჭირი ეწყებაო.

— ოჰ! — თქვა ქალმა, — ეს შეუძლებელია. მერე როგორ დროს! — და მაშინვე დააყოლა: — ჩვენთან გვყავდეს, ბერნარ!

რიე ჩაფიქრდა:

— ნება არა მაქვს. მაგრამ ქალაქის კარი დღეს თუ ხვალ გაიღება და ამ ერთი რამის უფლებას კი მივცემდი თავს, შენ რომ არ მყავდე აქ.

— ბერნარ, ორთავე დაგვტოვე. მე ავი სულ ახლახან ამიცრეს.

ექიმმა მიუგო, ტარუსაც ახლახან აუცრეს, მაგრამ იქნებ დაღლილობამ სილია და უკანასკნელი აცრა გამოტოვა, ან სათანადოდ არ იფრთხილაო.

მერე თავის კაბინეტში შევიდა. როცა გამობრუნდა, ტარუმ დაინახა, რომ ხელში შრატის უხარმაზარი ამბულეები ეჭირა.

— მაშ, ისაა, — აღმოხდა ავადმყოფს.

— არა, მაგრამ სიფრთხილეს თავი არა სტკივა.

პასუხად ტარუმ მკლავი მიუშვირა და იგრძნო, როგორ დაუსრულებლად უშხაპუნებდნენ შრატს, ზუსტად ისე, როგორც თვითონ უშხაპუნებდა სხვა ავადმყოფებს.

— საღამოს ვნახავთ, — უთხრა რიემ და სახეში შეხედა ტარუს.

— აქაურობას არ უნდა გამარიდოთ, ექიმო?

— მთლად დარწმუნებული არა ვარ, რომ ჭირი გაქვთ.

ტარუმ ნაძალადევად გაიღიმა:

— ეს პირველი შემთხვევაა, ავადმყოფს შრატს რომ უშხაპუნებთ, მის იზოლაციას კი არ მოითხოვთ.

რიემ სახე მოარიდა.

— დედაჩემი და მე მოგივლით. აქ უკეთ იქნებით.

ტარუ დადუმდა და ექიმი, ამბულებს რომ ალაგებდა, დაელოდა, როდის ამოიღებდა იგი ხმას, რომ მისკენ მიხედვის საბაბი ჰქონოდა, მაგრამ ველარ გაუძლო ღუმელს და ისევ საწოლს მიაშურა. ავადმყოფი უსიტყვოდ შემოჰყურებდა. სახე დაღლილი ჰქონდა, მაგრამ ნაცრისფერ თვალებში სიმშვიდე ედგა. რიემ გაუღიმა.

— დაიძინეთ, თუ მოახერხებთ. მე ახლავე დავბრუნდები.

კართან რომ მივიდა, ტარუს ძახილი ჩაესმა ყურში. მაშინვე შემობრუნდა, მაგრამ ტარუ თითქოს სათქმელს ებრძოდა:

— რიე, — ამოღერდა ბოლოს, — ყველაფერი უნდა მითხრათ. მე ეს მჭირდება.

— პირობას გაძლევთ.

ავადმყოფს ფართე სახე კვლავ დაუმანჯა ღიმილმა:

— გმადლობთ. მე სულაც არა მსურს სიკვდილი, მე ვიბრძოლებ, მაგრამ თუ წაგებულა საქმე, მინდა ღირსეულად მოვკვდე.

რიე დაიხარა და მხარზე მოუთათუნა ხელი:

— არა, — უთხრა მან, — წმინდანად რომ იქცეთ, უნდა იცოცხლოთ. იბრძოლეთ!

ღღის განმავლობაში მსუსხავმა სიცივემ ოდნავ იკლო, მაგრამ ნაშუადღევს საშინელი თქეში და სეტყვა წამოვიდა. მწუხრისას ცამ ცოტა ჯდაიკარა და სიცივე უფრო საგრძნობი შეიქნა. რიე საღამოთი დაბრუნდა შინ. პალტო არც გაუხდია, ისე შევიდა მეგობრის ოთახში. დედამისი ქსოვდა. ტარუ თითქოს არც შერხეულიყო, მაგრამ მისი სიცხისაგან გადაფითრებული ტუჩები ამხელდა, რა ბრძოლაც ჰქონდა გამოვლილი.

— როგორაა საქმე? — ჰკითხა ექიმმა.

ტარუმ ძლივს შესამჩნევად აიჩეჩა ვეება მხრები.

— როგორ და, ვაგებ თამაშს.

ექიმი მისკენ დაიხარა. სიცხით გათანგულ კანზე ჭირკვლები დასხდომოდა. მკერდი ისე უდგანდგარებდა, თითქოს შიგ მთელი სამჭედლო ჩაბუდებულიყო. საოცარია, მაგრამ ტარუს ჭირის ორთავ სახის სიმბტომები გამრაჩნდა. რიემ თავი ასწია და თქვა, ეტყობა, შრატს ჯერ ბოლომდე არ უმოქმედიაო. ტარუ შეეცადა რაღაც ეპასუხნა, მაგრამ ყელს მობჭენილმა სიცხის აღმურმა სიტყვის თქმა არ აცალა.

ნასადილევს რიე და დედამისი სნეულს მიუსხდნენ. ღამე ბრძოლით იწყებოდა ტარუსათვის და ექიმმა იცოდა, რომ ეს ბრძოლა ჟამიანობის ანგელოზთან დილამდე გასტანდა. ტარუს განიერი მკერდი ან ფართე ბეჭები კი არ იყო ყველაზე საიმედო იარაღი ამ ბრძოლაში, არამედ სისხლი, ახლახან რომ იჩქეფა რიეს შპრიცქვეშ და ამ სისხლში მიმალული იდუმალი რამ, მის სულზე უფრო იდუმალი, რასაც ვერც ერთი მეცნიერება ვერ აღმოაჩენდა. რიეს კი მხოლოდ უნდა ეცქირა, როგორ ერკინებოდა სენს მისი მეგობარი. მრავალი თვის წარუმატებელი ბრძოლის შემდეგ კარგად ისწავლა ჩირქოვანი მეწუქების გაკვეთის, აცრების, ტონუსის ამწევი პრეპარატების ეფექტიანობის ფასი. კაცმა რომ თქვას, მისი ერთადერთი მოვალეობა იყო ხელი შეეწყო შემთხვევისათვის, რომელიც ხშირად არც ერევა საქმეში, თუ ძალით არ გამოიწვიე. შემთხვევითობას კი უეჭველად მართებდა ახლა ხელის გამოღება, რადგან რიეს თვალწინ იყო სახე შავი ჭირისა, რომელიც სხვაზე მეტად აერთობდა. შავი ჭირი ისევ და ისევ ცდილობდა გვერდი აევილო მის წინააღმდეგ

მიმართული ყველა ღონისათვის, ჩნდებოდა იმ ადგილებში, საცა აღარავინ ელოდა, და ქრებოდა იქ, საცა ჩანდა ფესვებგადგმული. ამჯერადაც საგონებელში ჩაეგდო ექიმი.

ტარუ უძრავად იწვა და იბრძოდა. ღამის განმავლობაში ერთხელაც არ აწრიალებულა სენის შემოტევაზე, იბრძოდა მხოლოდ თავის ბრვე ტანითა და სრული მღუმარებით. ერთხელაც არ დაულაპარაკნია და მით ამტკუნებდა ვისდაუნებურად, რომ არც მართებდა სხვა რამეზე ფიქრი ასეთ დროს. რიეს ისლა დარჩენოდა, ბრძოლის ფაზებისათვის ედევნებინა თვალყური მეგობრის თვლებში, ხან გახელილი რომ ჰქონდა, ხანაც დახუჭული, ხან მოჭუტული, ხანაც გაფართოებული, ხან რაღაც საგანს რომ მიაშტერდებოდა ჩაცვიებით, ხანაც რიესა და დედამისს რომ მიაპყრობდა ხოლმე. ყოველთვის, როცა ექიმი აწყდებოდა ამ მზერას, ტარუ დიდი გაჭირვებით უღიმოდა.

წამით ქუჩიდან გაჩქარებული ფეხის ხმა შემოესმათ. თითქოს შორეულ გრუხუნს გაუბრბოდა ვიღაცა. მაგრამ გრუხუნი თანდათან მოახლოვდა და შხაპუნით მოსკდა ფილაქანზე: ისევ გაწვიმდა, მალე ზედ სეტყვაც დაერთო და ტკაცატკაცი ატეხა ქვაფენილზე. ფანჯრებზე გადმოფარებული ვეება ტენტები დაიბერნენ. ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში. მჯდარმა რიემ წუთით წვიმას მიუგდო ყური და კვლავ ტარუს მიაჩერდა, რომელიც სასთუმალთან მდგარი ლამპის ნაშუქით იყო განათებული. დედამისი ქსოვდა, დროდადრო თავს აიღებდა ხოლმე და ყურადღებით აკვირდებოდა ავადმყოფს. ექიმმა უკვე ყველაფერი გააკეთა, რისი ვაკეთებაც შეეძლო. წვიმის შემდეგ სიჩუმე შენივთდა ოთახში. ამ სიჩუმეს მხოლოდ უხილავი ბრძოლის უტყვი მშფოთვარება არღვევდა. უძილობისგან გატანჯულ ექიმს ამ სიჩუმეში თითქოს ქამიდან ქამს ჩუმი სტვენა ესმოდა, რომელიც მთელი ეპიდემიის მანძილზე თან სდევდა. დედას უჩურჩულა, დაწექიო, მაგრამ ქალმა უარის ნიშნად თავი გადააქნია, თვლებში სხივი ჩაუდგა, შემდეგ გულდასმით დააცქერდა ჩხირებს, თვალი ხომ არ ჩამივარდაო. რიე წამოდგა, ავადმყოფისთვის წყალი რომ დაეღვეინებინა, და ისევ საწოლთან ჩამოჯდა.

გამვლელებს გამოდარებით ესარგებლათ, სწრაფი ნაბიჯებით მიუყვებოდნენ ტროტუარებს. მათი ნაბიჯების ხმა თანდათან შორეული ხდებოდა და ბოლოს წყდებოდა კიდევ. ექიმმა პირველად შენიშნა, რომ ეს ღამე, რომლის წიაღშიც ბევრი ნაგვიანევი მგზავრი სეირნობდა და სასწრაფო დახმარების საყვირთა ხმები არ ისმოდა, უწინდელ ღამეებს მოჰგავდა. ეს ქამიანობისაგან თავდახსნილი ღამე იყო და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სიცივის, ლამპიონებისა და ბრბოსაგან განდევნილი სენი ქალაქის ბნელ წიაღს დასხლტომოდა, აქ, ამ თბილ ოთახში შემოყუყულიყო და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაემართა ტარუს უმოძრაოდ გაშობილ სხეულთან. ჭირი უკვე აღარ დაქროდა ქალაქის ცაზე, მაგრამ ხმადაბლა სტვენდა ოთახის შეხუთულ ჰაერში. სწორედ მისი ხმა იყო, რიეს რომ ესმოდა ეს რამდენიმე საათი. უნდა დალოდებოდა, რომ ჭირი აქაც უკუქცეულიყო, თავი აქაც დამარცხებულად ეცნო.

განთიადს ცოტალა უკლდა, როცა რიე დედისკენ გადაიხარა და უთხრა:

— უთუოდ უნდა დაწვე, რომ რვა საათზე ჩემი შეცვლა შეძლო. სანამ დაწვებოდე, ინსტილაცია გაიკეთე.

ქალბატონი რიე წამოდგა, საქსოვი წამოკრიფა და საწოლისაკენ გადაიხარა. ტარუს ეს ერთი ხანობა იყო, დახუჭული ჰქონდა თვალეები. ოფლი უხუ-

ქუჩებდა თმას კოპებიან შუბლზე. ქალბატონმა რიემ ამოიოხრა და სნეულ-
მაც თვალი გაახილა. დაინახა ალერსიანი სახე, მის თავთან რომ დახრილიყო
და თუმც სიცხით იყო სულ ერთიანად გათანგული, კვლავ ჯიუტი ღიმილი
გაუქრთა ბაგეზე. მაგრამ თვალები მყისვე მიელულა. მარტო რომ დარჩა, რიე
იმ სავარძელში ჩაესვენა, რომელშიაც ერთი წუთის წინ ედგებოდა. ქუ-
ჩიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა და ირგვლივ მკვდრული სიჩუმე გამეფებულიყო.
დილის სუსხი ატანდა ოთახში.

ექიმს თვლება მოერია, მაგრამ განთიადის პირველმა ოთხთვალამ გაუფრ-
თხო ძილი. შეაფრქოლა, მერე ტარუს გადახედა და მიხვდა, სენი წამით დახს-
ნოდა ავადმყოფს და მასაც ჩასძინებოდა. ცხენშებმულ ოთხთვალას რკინით
შემოსალტული ხის თვლების ხრიგინი ჯერაც არ მიმწყდარიყო. ფანჯარაში ჯერ
ისევ ბნელოდა. როცა ექიმი საწოლისაკენ გაემართა, ტარუმ უაზრო თვალეებით
შემოხედა, თითქოს ჯერაც ძილში იყო დანთქმული.

— გეძინათ, არა? — ჰკითხა რიემ.

— დიახ.

— უკეთ სუნთქავთ?

— ცოტათი. განა ეს რამეს ნიშნავს?

რიემ იყუჩა და ცოტა ხნის შემდეგ უთხრა:

— არა, ტარუ, არაფერსაც არ ნიშნავს. თქვენ ჩემსავით უწყით, რომ ეს
დილის რემისიაა და მეტი არაფერი.

ტარუმ თავი დაუქნია.

— გმადლობთ, — უთხრა ექიმს, — სულ სიმართლე მითხარით ხოლმე.
რიე ავადმყოფის ფერხითი ჩამოჭდა. სულ ახლოს გრძნობდა სნეულის
გრძელ, გაფიჩხულ ფეხებს, როგორიც მიცვალებულებს აქვთ ხოლმე. ტარუმ
ქშენა დაიწყო.

— სიცხე კვლავ ამიწევს, არა, რიე? — ჰკითხა ექიმს ქოშინით.

— ჰო, ოღონდ შუადღით და მაშინ გაირკვევა ყოველივე.

ტარუმ კვლავ დახუჭა თვალი, თითქოს ძალას იკრებდა. სახეზე დაღლი-
ლობა ჰქონდა აღბეჭდილი. ელოდა სიცხის ახალ შემოტევას, სადღაც მისი სხე-
ულის სიღრმეში რომ დაბუდებულიყო. თვალი რომ გაახილა, მზერა დაბინ-
დოდა. მხოლოდ მაშინ გაუნათდა თვალი, საწოლთან დახრილი რიე რომ და-
ინახა.

— მოსვით, — ეუბნებოდა ექიმი.

ავადმყოფმა წყალი მოსვა და კვლავ ჩაჰკიდა თავი.

— როგორ გამიგრძელდა, — თქვა ამოოხვრით.

რიემ მკლავზე მოუჭირა ხელი, მაგრამ ტარუ მისკენ აღარ იყურებოდა და
ეტყობოდა, აღარც არაფერი ესმოდა მისი. უეცრად სიცხე თვალნათლივ შე-
მოენტო თმის ძირებამდე, თითქოს რაღაც შინაგანი კაშხალი გაერღვიოსო. როცა
ტარუს მზერა კვლავ ექიმისას შეხვდა, ექიმი სახედაძაბული ამხნევებდა მეგო-
ბარს. ავადმყოფი კვლავ შეეცადა გაეღიმა, ოღონდ ეს ღიმილი არ გასცილე-
ბია შეკრულ კრიჭას და მოთეთრო დუჟით შედუღაბებულ ბაგეთ. მის გაქვა-
ვებულ სახეზე მხოლოდ თვალეზილა ელავდნენ ვაჟკაცური შემართებით.

შვიდ საათზე ქალბატონი რიე შემოვიდა ოთახში. ექიმი თავის კაბინეტში
გავიდა, რომ ლაზარეთში დაერეკა და ეთხოვა, ვინმე შემცვლელი მომინახეთო.
გადაწყვეტილი ჰქონდა, კონსულტაციებიც გადაედო და წამით თვალის მოსატ-
ყუებლად თავისი კაბინეტის დივანზე მიწვა, მაგრამ მყისვე წამოხტა და სა-

წოლ ოთახში შეტრიალდა. ტარუს ქან რიესკენ შეებრუნებინა სახე. შესცქეროდა მისგან სულ ახლოს შენივთულ პატარა ჩრდილს სკამზე, რომელსაც ხელები მუხლებზე დაეწყო; ისე დაძაბულად შეჭყურებდა, რომ ქალბატონმა რიემ თითი მიიტანა ტუჩებთან, როცა ოთახში შემოსული შვილი დაინახა, და წამოდგა, რათა სასთუმლის ნათურა ჩაექრო. მაგრამ ფარდებში თანდათან იჭრებოდა დღის სინათლე და ცოტა ხნის შემდეგ, როცა ავადმყოფის ნაკვეთებმა ამოყვინთეს სიბნელიდან, ქალბატონმა რიემ დაინახა, რომ ტარუს კვლავ მისთვის მიეცივებინა მზერა. სწეულისაკენ დაიხარა, სასთუმალი გაუსწორა და სანამ თავის ადგილას დაჯდებოდა, წამით ხელი დაადო გაოფლილსა და შეხუჭუჭებულ თმაზე. მაშინ მის ყურს მისწვდა შორიდან მომავალი, ყრუ ხმა, მაღლობას რომ ეუბნებოდა და არწმუნებდა, აწი აღარა მიშავსო. ქალი ხელახლა რომ დაჯდა, ტარუს კვლავ დახუჭული ჰქონდა თვალები და გატანჯულ სახეზე, თუმც კი კრიჭა მაგრად ჰქონდა შეკრული, თითქოს ისევ ღიმილი დასთამაშებდა.

შუადღისას ავადმყოფს სიცხე ძალიან აუევარდა. შინაგანი ხველა არყევდა მის სხეულს. მალე სისხლიც ამოჰყვა ნახველს. ჯირკვლები აღარ უსივდებოდა, მაგრამ არც გაჰქრობია. ისევ ისე იყვნენ გაქვავებული, თითქოს სახსრებს ჩაბრაზნოდნენ და რიემ გადაწყვიტა, მათ გასერვას აზრი არა აქვსო. ხურგებისა და ხველების შემოტევებს შორის ტარუ ჟამიდან ჟამს ისევ გამოჰხედავდა ხოლმე თავის მეგობრებს. მაგრამ თვალს სულ უფრო და უფრო იშვიათად ახელდა და სხივი, რომელიც მის განაცრებულ სახეს აშუქებდა, თანდათან ქრებოდა. ქარიშხალს, ამ სხეულს უმოწყალოდ რომ არყევდა, იშვიათადღა ანათებდა ელვა და ტარუც ნელა მიჰყვებოდა ამ გრივალს. რიეს თვალწინ ახლა მარტოოდენ უძრავი ნილაბილა ედგა, ინერტული და ღიმჩამორეცხილი. ეს სახე, მიათვის ესოდენ მახლობელი რომ იყო, ახლა ათასლაბვარდასობილი, არაადამიანური სატკივრით დადაგული, ცის ყველა ავი ქარით დაქარული, მის თვალწინ შავი ჭირის მორეცში იძირებოდა და მას არ შეეძლო წყალწალღებულისთვის ეშველა რამე. თვითონ ნაპირზე უნდა დარჩენილიყო ხელცარიელი და გულდასერილი, უიარაღო და უმწეო ამ ერთხელ კიდევ მისი მძლეველი უბედურების წინაშე. ბოლოს უძღურების ცრემლებმა ხელი შეუშალეს დაენახა, როგორ უეცრად შეებრუნდა ტარუ კედლისაკენ და ყრუ კვხესას როგორ ამოაყოლა სული, თითქოს მთავარი ძარღვი ჩაუწყდა სხეულშიო.

მომდევნო ღამე ბრძოლის კი არა და, დუმილის ღამე გახლდათ. სამყაროდან მოწყვეტილ ამ ოთახში, ახლა უკვე ჩაცმული მიცვალებულის თავით მდგარმა რიემ იგრძნო, როგორ დაქროდა საოცარი სიმშვიდე, რომელიც ამასწინათ, ჟამიანობისას, ტერასებს ზემოთ ტრიალებდა, როცა ქალაქის კარიბჭეზე იერიში მიიტანეს. ჯერ კიდევ მაშინ ფიქრობდა ამ სიჩუმეზე, რომელიც ამოიზრდებოდა საწოლებიდან, სადაც ადამიანები სულს უტევენდნენ. ყველგან იგივე პაუზა იყო, იგივე საზეიმო ინტერვალი, მუდამ იგივე დამშვიდება, თან რომ მოჰყვება ბრძოლებს. ეს დამარცხების დუმილი გახლდათ. მაგრამ დუმილი, მის მეგობარს რომ მოსავდა, ისეთი მჭისე ჩანდა, ისე ერწყმოდა ჟამიანობისგან თავდახსნილი ქუჩებისა და ქალაქის სიჩუმეს, რომ რიე კარგად გრძნობდა, ეს დამარცხება უკვე საბოლოო იყო, იმგვარი, ომებს რომ მოსდევს და თვით მშვიდობასაც უკურნებელ, ტანჯვად გვიქცევს. ეჭიმმა არ უწყოდა, ტარუმ ბოლოს თუ მაინც ჰპოვა სიმშვიდე, მაგრამ თავად კი ამ წუთას ფიქრობ-

და, ჩემთვის აწი აღარ იარსებებს სიმშვიდე, როგორც შვილმკვდარი დედისათვის ანდა კაცისათვის, მეგობარი მიწას რომ მიაბარაო.

გარეთ ისევ ცივი ღამე იდგა, მოწმენდილსა და გაყინულ ცაზე ვარსკვლავები კიაფობდნენ. სანახევროდ ჩაბნელებულ ოთახში იგრძნობოდა, როგორ აწვებოდა სიცივე — პოლარული ღამის ეს მქრქალი სუნთქვები. საწოლის ახლოს ქალბატონი რიე იჯდა ჩვეულ პოზაში; მხარეებზე მისი სასათუმალთან მდგარი ნათურა უნათებდა. ოთახის შუაგულში, შუქისგან მოშორებით რიე მიმჯდარიყო სავარძელში. ცოლი აგონდებოდა, მაგრამ ამ ფიქრს ჯიუტად იცილებდა თავიდან.

გამვლელთა ფეხის ხმა მკაფიოდ გაისმოდა სიცივეში.

— ყველაფერი მოაგვარე? — ჰკითხა ქ-მა რიემ.

— ჰო, დავრეკე.

მერე ისევ განაგრძეს მღუმარე ღამისთევა. ქ-ნი რიე დროდადრო შვილს გადახედავდა ხოლმე. მის მზერას რომ დაიჭერდა, შვილი უღიმოდა. ქუჩიდან ღამეული ხმები მოისმოდა: თუმცა საამისო ნებართვა ჯერ არ მიეცათ, ბევრს მანქანაც გამოეყვანა. მანქანები სწრაფად დასრიალებდნენ ქვაფენილზე, ქრებოდნენ და ხელახლა ჩნდებოდნენ. მოისმოდა რალაც ხმები, გადაძახილ-გადმოძახილი, წამით კვლავ სიჩუმე დაისადგურებდა, რომელსაც ცხენის ფლოქვების ხმა, მოსახვევში ტრამვაის ხრიგინი ან გაურკვეველი გნიასი არღვევდა და მერე ყველაფერი კვლავ ღამის სიჩუმეში ინთქმებოდა.

— ბერნარ!

ჰო, დედი.

— არ დაიღალე?

— არა.

რიემ იცოდა, რას ფიქრობდა დედამისი, იცოდა, რომ დედას უყვარდა ამ წუთში. მაგრამ ისიც იცოდა, რომ დიდი არაფერი ბედენაა ადამიანიშვილი გიყვარდეს, ყოველ შემთხვევაში, სიყვარული თავის დღეში არაა ისე ძლიერი, რომ სიტყვაში გამჟღავნდეს. ასე რომ, მასა და დედამისს მუდამ უსიტყვოდ ეყვარებათ ერთიმეორე. მერე დედაც მომიკვდება, ან თვითონ მოკვდება და მთელი სიცოცხლის მანძილზე სიყვარულში ამაზე უფრო მეტად ვერ გამოვუტყდებით ერთმანეთსო. ასევე ცხოვრობდა ტარუს გვერდით და ტარუ ისე მოკვდა ამ საღამოს, რომ მათ მეგობრობას არ დასცალდა ბოლომდე გაეშალა ფრთები. ტარუმ წააგო პარტია, როგორც თავად იტყოდა ხოლმე. რიემ კი რა მოიგო? მხოლოდ ის, რომ ჭირიანობა გამოიარა და დაიხსომა, იგემა მეგობრობა და მეხსიერებაში ჩაიჭედა, იგემა სინაზე და ერთი დღეც იქნება, ისიც მოგონებასლა შემორჩება. ყველაფერი, რისი მოხვეჭაც კაცს შეეძლო უამიანობისა და სიცოცხლის თამაშში, ცოდნა და მახსოვრობა იყო. იქნებ ტარუც სწორედ ამას ეძახდა პარტიის მოგებას!

მანქანამ ისევ ჩაიჭროლა ქუჩაში და ქალბატონი რიე ოდნავ შეირხა სკამზე. ეჭიმმა გაუღიმა. დედამ უთხრა, არ დავდლილვარო და მაშინვე დააყოლა:

— იქ, მთებში უნდა წახვიდე დასასვენებლად.

— ასეც ვიზამ, დედი.

მართლაც წავიდოდა და დაისვენებდა. რატომაც არა? საბაბიც მიეცემოდა მოგონებებისათვის. მაგრამ თუკი ამას ეთქმოდა პარტიის მოგება, რა მძიმე უნდა იყოს სიცოცხლე მხოლოდ იმის ამირა, რაც ვიციით და რაც გვახსოვს,

თუკი მოკლებული ვიქნებით იმას, რისი იმედიცა გვაქვს. უთუოდ ასე ცხოვრობდა ტარუ და შეგნებული ჰქონდა, რა უნაყოფო რამ არის ილუზიების გარეშე სიცოცხლე. არ არსებობს სულის სიმშვიდე იმედის გარეშე და ტარუ ვინც კაცთ სხვათათვის მსჯავრის დადების ნებას არ აძლევდა, თუმც კი უწყობდა, რომ თვით მსხვერპლნიც ხშირად ჯალათებად გადაიქცევიან, ცხოვრობდა უწყობაში დაბუდებული ამ ვარამით და შინაგანი წინააღმდეგობებით უწყობაში ვის დღეში არ სცოდნია, იმედი რა იყო. იქნებ ამიტომაც მოინდომა წმინდახად ქცევა და სულის სიმშვიდეს ხალხის სამსახურში დაუწყო ქება? რიემ ამ ამბების შესახებ არსებითად არაფერი იცოდა, მაგრამ ამას არც ჰქონია დიდი მნიშვნელობა. ტარუს რომ გაიხსენებს, თვალწინ დაუდგება კაცი, მაგრად რომ ბლუჯავდა საჭეს მანქანის მართვისას, თვალწინ დაუდგება მისი ბრვე ტანი, აბლა უძრავად რომ გაშოტილიყო საწოლზე. სიცოცხლის სითბო და სახე სიკვდილისა — აი, ეს გახლდათ ცოდნა.

უთუოდ ამიტომაც იყო, რომ დილით ექიმი მშვიდად შეხვდა ცოლის სიკვდილის ამბავს. თავის კაბინეტში იჯდა. დედამისმა თითქმის სირბილით მოუტანა დეპეშა, მერე ისევ გაიქცა, რომ ფოსტალიონისათვის ცოტაოდენი ფეხის ქირა მიეცა. როცა შემობრუნდა, მის შვილს ხელში გახსნილი დეპეშა ექირა. ქალმა შეხედა, მაგრამ რიე ჯიუტად გასცქეროდა ფანჯარაში საუცხოო დილას, პორტის თავზე რომ თენდებოდა.

— ბერნარ, — შეეხმიანა ქალბატონი რიე.

შვილმა დაბნეულად შეხედა.

— რაო, დეპეშამ? — ჰკითხა ქალმა.

— ჰო, დედი, — გამოჰხედა ექიმმა, — ერთი კვირის წინ.

ქალბატონმა რიემ ფანჯრისკენ მიაბრუნა თავი. ექიმი ღუმდა. შემდეგ უთხრა დედას, ნუ ტირი, ამ ამბავს ველოდი, მაგრამ შემწარაო მაინც. ამას რომ ამბობდა, მიხვდა, რომ მის ტანჯვაში გაოცება არ ერია. ეს რამდენიმე თვე და რამდენიმე დღე სულ ეს სატანჯველი ღრღნიდა.

ბოლოს, თებერვლის ერთ საუცხოო დილას, ქალაქის კარიბჭენიც გააღეს. ხალხი, გაზეთები, რადიო და პრეფექტურა სიხარულით შეხვდნენ ამ ამბავს. მთხრობელს ისღა დარჩენია, აღწეროს ეს ღებნა, კარების გაღებას რომ მოჰყვა, თუმც კი თვითონ არ იყო თავის თავის უფალი და არ შეეძლო მთლიანად შეერთებოდა სხვათა სიხარულს.

იმ დღესა და იმ ღამეს დიდი საზეიმო მსვლელობა მოაწყვეს ქალაქში. იმავ დროს მატარებლებმაც მოაკვივლეს სადგურებს, შორეული ზღვებიდან მოსულმა გემებმა ღუზები ჩაუშვეს ჩვენს ნავსადგურში და თავისებურად გვაგვცნეს, რომ ამ დღეს ყველა იმათთვის, ვინც განშორებით იტანჯებოდა, შეხედრის სიხარული მოჰქონდა.

ადვილად წარმოიდგენთ, რად უნდა ქცეულიყო განშორების სატანჯველი, ბევრ ჩვენს თანამოქალაქეს გულს რომ უფლეთდა. მატარებლები, ამ დღეს რომ შემოდდიოდნენ ჩვენს ქალაქში, აქედან გასულებზე ნაკლებ გაჭედდილნი როდი იყვნენ. ყველამ დაიბევა ადგილი ჯერ კიდევ ორი კვირის წინ და შიშით გული ელეოდათ, ვაითუ პრეფექტურამ უკანასკნელ წუთს თავისი გადაწყვეტილება გააუქმოსო. ზოგ მგზავრს, ქალაქს რომ უახლოვდებოდა, მთლად არ გადაუგდია გულიდან შიში, რადგან ვარაუდით თუ იცოდა, რა ბედი ეწია მისიანებს, სხვა-

თა შესახებ და თვით ქალაქის შესახებ არა უწყოდა რა და ეგონა, ქალაქი შესაზარი შესახედავი იქნებოდა. მაგრამ ეს ითქმოდა უფრო იმათზე, ვისაც ვნება არ დაგავდა მთელი ამ ხნის მანძილზე.

ვნების ქარით დადაგულნი კი მთლად თავიანთი აკვიატებული / აზრის ტყვეობაში იყვნენ. მათთვის მხოლოდ ერთი რამ შეიცვალა, უწყენს გადასახლების ჟამს, თვეების მანძილზე ცდილობდნენ, როგორმე — დასტურებინათ დრო, ატყულებინათ, ელვის სისწრაფით ევლო, ახლა კი, როცა ქალაქი გადაიშალა მათ თვალთა წინაშე და მატარებელმა უკვე დამუხრუჭება იწყო, ნატრობდნენ, ნეტა დრო გაჩერდებოდეს, გაქვავდესო. ბუნდოვანი და ამავე დროს მწველი გრძნობა იღუშალ სურვილს აღუძრავდათ, რაკი ეს თვეები დაკარგა ჩვენმა სიყვარულმა, სამაგიერო იმით მაინც მოგვეზღოს, რომ სიხარულის ჟამი მოლოდინისაზე ორჯერ უფრო გახანგრძლივდესო. და ისინიც, ვინც მათ ელოდნენ თავ-თავიანთ ოთახებში ან ბაქანზე, — რამბერისა არ იყოს, რამდენიმე კვირით ადრე რომ შეატყობინა ცოლს, ჩამოსვლა შეიძლებაო და წუთი წუთზე ელოდა ქალს, რომელმაც ყოველი ღონე იხმარა ჩამოსასვლელად, — იმავე მოუთმენლობისა და დაბნეულობის ტყვეობაში იყვნენ. ეს სიყვარული თუ სინაზე ჭირიანობას თვეების მანძილზე აბსტრაქციად ექცია და რამბერიც შიშის კანკალით ელოდა, როდის დაუყენებდა მათ პირისპირ ხორცშესხმულ არსებას, რომელიც ამ სიყვარულისა თუ სინაზის საგანი იყო.

უნდოდა ისევ იმ რამბერად ქცეულიყო, ვინც ებიდემიის დასაწყისში ცდილობდა უკანმოუხედავად გაქცეულიყო ქალაქიდან და გაჭრილიყო მის შესახვედრად, ვინც უყვარდა. მაგრამ იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. ის შეიცვალა, ქამიანობამ უცნაური გულგრილობა შეჰყარა, რომელსაც რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ებრძოდა და რომელიც კაეშნის დარად დაუფლებოდა. ცალკერძ იმის ფიქრი სტანჯავდა, ეს შავი ჭირი ისე ერთბაშად შეწყდა, გონს მოსვლაც არ მაცალაო. ბედნიერება ელვის სისწრაფით უახლოვდებოდა, მოვლენათა მსვლელობა მოლოდინს წინ უსწრებდა. რამბერს ესმოდა, რომ ყველაფერი ერთბაშად დაუბრუნდებოდა და რომ სიხარული დამწვრობასა ჰგავს — გემოს ვერაფერს ჩაატან.

კაცმა რომ თქვას, მეტ-ნაკლებად ყველა მის დღეში იყო და სწორედ ამ ყველაზე მინდა გიამბოთ. სადგურის ბაქანზე, სადაც კვლავ ნასკვავდნენ პირადი ცხოვრების ძაფს, ჯერ კიდევ თავიანთ ერთობას გრძნობდნენ და ეს მათ მზერაში, მათ ღიმილში გამოსჭვიოდა. მაგრამ როგორც კი ორთქლმავლის კვამლს მოჰკრეს თვალი, გადასახლების ეს შეგრძნება ერთბაშად გაანელა მღელვარე და თავბრუდამხვევი სიხარულის შხაპუნა წვიმამ. მატარებელი რომ ჩამოდგა, ამავე ბაქანზე დაწყებულ უბოლოო განშორებათ ერთ წამში მოელო ბოლო, როს დამხვდურთა მკლავები ღხენით, ხარბად შემოეჭდო სხეულებს, რომელთა სითბო და მოყვანილობაც დავიწყებული ჰქონდათ. რამბერმა ვერც კი მოასწრო შეეხედა იმ ქალისათვის, მისკენ რომ მორბოდა და ქალი უკვე გულში ჰყავდა ჩაკრული. მაგრად მოხვია მკლავები, მკერდზე მიიკრა მისი თავი, სახეს ვერ ხედავდა, მარტო ნაცნობ თმებსღა ეალერსებოდა. უეცრად ცრემლი წასკდა თვალებიდან და არ კი უწყოდა, რისი ბრალი იყო ეს — ახლანდელი ბედნიერებისა თუ ამდენხანს გულში ჩაგუბებული ნალველისა. იმას კი ხვდებოდა, რომ ეს ცრემლები ხელს უშლიდნენ შეემოწმებინა, მის მკერდში

ჩარგული სახე ამდენი ხნის ნანინანატრი ქალისა იყო თუ ვინმე უცხოთ. მოგვიანებით შეიტყობს, გამართლდება თუ არა მისი ეჭვი. ამ წუთში კი, ისევ ერთგორც ყველა იქ მყოფს, სურდა ერწმუნა, შავ ჭირს შეუძლია ისე მოვიდეს და წავიდეს, კაცთა გულებში ვერაფერი შეცვალოსო.

ყველა წყვილი ხელიხელგადახვეული ბრუნდებოდა შინ, ვეღარავინ და ვეღარაფერს ზედავდნენ, გარეგნულად ჭირზე გამარჯვებულად დასიყვარულად ყველანაირი განსაცდელიცა და ისინიც, ვინც მათთან ერთად ჩამოჰყვა მატარებელს, არავინ დახვედრია და ახლა იმის ფიქრში იყო, სახლში მისულს უთუოდ გამიმართლდება შიში, ხანგრძლივმა დუმილმა გულში რომ ჩამისახლათ. ამ უკანასკნელთათვის, რომელთაც თანამგზავრად მხოლოდ ახლად შობილი მწუხარება სდევდათ, და სხვებისთვისაც, გარდაცვლილი არსების მოგონებას რომ მისცემოდნენ, ამ წუთას ყველაფერი სხვაგვარად მოჩანდა და განშორების გრინობა მთლად გაუსაძლისი გამზდარიყო. მათთვის — ამ დედებისათვის, ქმრებისათვის, მიჯნურებისთვის, რომელთაც მთელი სიხარული ჩამარხეს უსახელო თხრილში გაუჩინარებულ, ანდა ფერფლის გროვად ქცეულ საყვარელ არსებასთან ერთად, ეამიანობა ისევ გრძელდებოდა.

მაგრამ მათ სიმარტოვეზე ვილა ფიქრობდა? შუადღისას მზემ დასძალა ცივი ქარი, დილიდან რომ ერკინებოდა, და ჰაერს უძრავი შუქის ტალღები მოჰფინა. დღე თითქოს გაწვავდა. ბორცვზე აღმართული ციხე-სიმაგრეიდან ზარბაზნები განუწყვეტლად ისროდნენ ცაში. მთელი ქალაქი გამოეფინა გარეთ, რომ ეზეიმა ეს სულის შემგუბებელი წუთი, როცა ტანჯვის ეამი დასრულდა, ხოლო დაეწყების ეამი ჯერ არ დამდგარიყო.

ყველა მოედანზე ცეკვა-თამაში გაეჩაღებინათ. მოძრაობა მყის გაცხოველდა და მანქანებს უჭირდათ ხალხით შეტნორილ ქუჩებში გავლა. ქალაქის ზარები განუწყვეტლივ რეკდნენ ნაშუადღევადან მოკიდებული და გუგუნიით ავსებდნენ ლაყვარდოვან ცას, რომელსაც იქროსფერი დაჰკრავდა. ეკლესიებში პარაკლისს იხდიდნენ, სამადლობელს აღავლენდნენ. გასართობი დაწესებულებებიც გაჭედილი იყო და კაფეების მეპატრონენი ხვალინდელ დღეზე აღარ ფიქრობდნენ, ისე არიგებდნენ უკანასკნელ სასმელს. დახლების წინ ერთიანად აღგზნებული ხალხის ჯგრო ტრიალებდა, მათ შორის ბევრი იყო ხელიხელგადახვეული წყვილიც, უცხო თვალს რომ აღარ ერიდებოდა. ყველა ყვიროდა ან იციროდა. სიცოცხლის მარაგს, მთელი ამ თვეების მანძილზე რომ დაეგროვებინათ, თვეებისა, როცა თითოეულ მათგანს სული კბილით ეჭირა, ხარჯავდნენ ამ დღეს, რომელიც თითქოს ზედმეტად მიუსართათ განგებამ. ხვალ ცხოვრება დაიწყება და თან სიფრთხილესაც მოიძღვანს. ახლა კი სხვადასხვა წრის ხალხი უძმობილდებოდა ერთმანეთს. თანასწორობა, რომელიც სიკვდილმაც კი ვერ დაამყარა, სიხარულსა და ხსნას დაემყარებინა ამ რამდენიმე საათით მაინც.

მაგრამ ეს ბანალური სიმშაგე ყოვლისმეტყველი როდი იყო და ისინი, ვინც ქუჩებს ავსებდნენ ნაშუადღევს, ხშირად გარეგნული სიმშვიდით ნიღბავდნენ უფრო სათუთ ბედნიერებას. ბევრი წყვილი და ბევრი ოჯახი გარეგნულად მართლაც ისე გამოიყურებოდა, თითქოს მშვიდობიანი მოსეირნენი ყოფილიყვნენ და მტეი არაფერი. სინამდვილეში უმრავლესობა იმ ადგილების მოსახილველად მიეშურებოდა, სადაც იტანჯნენ. ჩამოსულთათვის უნდა ეჩვენებინათ შავი ჭირის თვალში საცემი თუ იდუმალი ნიშნები, მისი ცოცხალი კვალი. ზოგ შემთხვევაში მეგზურის როლს სჯერდებოდნენ, კაცისა, ვისაც ბევრი რამ უნახავს, ბევრიც განუცდია. ეამიანობის ეს გადამტანნი საფრთხეზე

ისე ლაპარაკობდნენ, რომ მსმენელთ შიშს არ აღუძრავდნენ. ეს უწყინარი სიანდუნებანი გახლდათ. მაგრამ სხვა შემთხვევებში უფრო ძრწოლის მომგვრულ გზას გაუყვებოდნენ ხოლმე, როს მოგონების ტკბილი კაეშნით შეპყრობილი საყვარელი სატრფოს ეუბნებოდა: „მაშინ, ამ ადგილას, ისე გინატრე, ისე გინატრე, შენ კი არსად ჩანდი“. ამ ადამიანებს, რომლებსაც ვნება მიუძღოდნენ მეგზურად, უმალვე გამოარჩევდით სხვათაგან: ისინი ჩუჩქლანსა და აღსარებათა კუნძულებად მოჩანდნენ ირგვლივ შემოჯარულ მონიშნებულ ხალხში. ისინი უკეთ ამცნობდნენ ირგვლივ მყოფთ, განსაცდელმა ქეშმარიტად გადაიარაო, ვიდრე ორკესტრები, ყოველ გზაჯვარედინზე რომ უკრავდნენ. რადგან ეს აღტაცებული, სიტყვაძუნწი წყვილები, მაგრად რომ ეკვროდნენ ერთმანეთს, მთელ ამ გზასში თავიანთი ბედნიერების გამარჯვებითა და უსამართლობით ამტკიცებდნენ, რომ ქამიანობას ყავლი გასვლოდა და შიშიანობასაც ბოლო მოღებოდა. და თუმცა ცხადზე ცხადი იყო, მაინც უარყოფდნენ, რომ ჩვენ შევიცანით ეს უგუნური სამყარო, სადაც კაცის სიკვდილი ისეთივე ჩვეულებრივი რამ არის, როგორც ბუზისა, რომ შევიცანით ეს გაანგარიშებული ველურობა, გამოთვლილი ბოდვა, პატიმრობა, როს აღარაფრისად შეგვწევდა გონება, რაც დღეის დღის ფარგლებს სცილდებოდა; რომ შევიცანით სიკვდილის სუნი, რომელიც თავზარს სცემდა ყველას, ვისაც ვერ კლავდა; დაბოლოს ისინი უარსა ჰყოფდნენ, რომ ჩვენ ის თავგზააბნეული ხალხი ვიყავით, რომლის ერთ ნაწილსაც ყოველდღე კრემატორიუმის ღუმლებში ჰყრიდნენ და მქრე კვამლად ფანტავდნენ ცაში, მაშინ, როდესაც უღონობისა და შიშის ჯაჭვით დაბრკილი მეორე ნახევარი თავის ჯერს ელოდა.

ასეა თუ ისე, ყოველივე ამგვარად ეხატებოდა ექიმ რიეს, გარეუბნისკენ რომ მიიჩქაროდა ნაშუადღევს და მარტო მიაბიჯებდა ზარების რეკვასა და ზარბაზნების გრიალში, მუსიკის ხმებსა და გამაყრუებელ ქვილ-ხივილში. მისი ხელობა კვლავ საჭირო იყო. ავადმყოფებმა უქმე დღე არ იციან. ნახ, ლამაზ შუქში, ქალაქს თავს რომ ეღვრებოდა, უწინდელი სუნი ტრიალებდა: შებრაწული ხორცისა და ანისულის ნაყენისა. მის ირგვლივ მყოფთ სიხარულისაგან გაბრწყინებული სახეები მიეპყროთ ცისკენ. კაცს და ქალს ხელი ჩაეჭიდა ერთმანეთისათვის. სახეზე აღმური ასდიოდათ, ვნებისაგან გახელებულთ ყვირილი სწყდებოდათ ბაგეთაგან. დიახ, ქამიანობა ვათავდა, შიშიანობას ბოლო მოეღო და მკლავები, ერთურთს რომ გადაქდობდნენ, ამბობდნენ, შავი ჭირი გადასახლება და განშორება იყო, ამ სიტყვის ღრმა გაგებითო.

რეიმ პირველად ახლა შეამჩნია ის საერთო გამომეტყველება, თვეების მანძილზე ყველა გამვლელს რომ ანათესავებდა. ახლა საკმარისი იყო, ირგვლივ მიმოეხედა. ამ ადამიანებმა, რის გაჭირვებით მშიერ-მწყურვალეებმა ქამიანობის ბოლოს რომ მიატანეს, როგორც იქნა, როლის შესაფერი კოსტიუმი მოირგეს ტანზე, როლისა, რამელსაც დიდი ხანია თამაშობდნენ — ემიგრანტის როლისა; ჯერ მათი სახეები, ახლა კი ტანსაცმელიც მოწმობდა მათ უთვისტომობასა და სამშობლოდან მოწყვეტას. იმ წუთიდან, რაც შავმა ჭირმა ჩარაზა ქალაქის კარები, განშორების კირთებქვეშ მოექცნენ, მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ იმ ადამიანურ სითბოს, რომელიც ყველაფერს გვავიწყებს. ქალაქის ყოველ კუთხე-კუნჭულში ქალები და კაცები რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ნატრობდნენ ერთობას, რომელიც ყველას ერთნაირად არ წარმოედგინა, მაგრამ ყველას ერთნაირად სწყუროდა. უმეტესობა წარსულს მიატეროდა, ნატრობდა ვიდაცის სხეულის სითბოს, სინაზეს ანდა უბრალოდ, რაიმე ჩვეულებას. ზო-

ვიერთები, ხშირად თავადაც რომ არ უწყობდნენ ისე იტანჯებოდნენ, რადგან მეგობრებს იყვნენ მოკლებულნი და არ შეეძლოთ მათთან დაკავშირება მეგობრობისათვის ისეთი ჩვეულებრივი გზებით, როგორცაა წერილები, მატარებლები და გემები. სხვები, ტარუს მსგავსნი, ასეთები კი უფრო იშვიათნი იყვნენ, ისეთ რამესთან ნატრობდნენ შეერთებას, რასაც სიტყვით ვერ გამოხატავდნენ, მაგრამ მათთვის ერთადერთ სანუკვარ სიკეთედ მოჩანდა. და რაკი სხვა სახელი ვერ მოეძებნათ, ხშირად ამას მშვიდობას ეძახდნენ.

რეე კვლავ მიაბიჯებდა. რაც უფრო მიიწევდა წინ, ბრბო მით უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა, ხმაურიც მატულობდა და ექიმს ეჩვენებოდა, რომ გარეუბანი, საითაც მიეშურებოდა, თანდათან შორდებოდა. მალე თვითონაც გაითქვიფა ამ ვეება, აღრიცხვებულ სხეულში, რომლის ყვირილიც სულ უფრო და უფრო უკეთ ესმოდა, რაკი ნაწილობრივ მისი სულის ამოძახილიც იყო. დიახ, ყველა ერთად იგვემა ხორციტაც და სულიტაც, ერთად გადაიტანეს განსაცდელი, უსაშველო გადასახლება და ერთად იტანჯნენ დაუოკებელი წყურვილით. ამ მძიმე განსაცდელის ქაშს, როცა ათასობით კაცი კვდებოდა, როცა სასწრაფო დახმარების მანქანებს წივილი გაჰქონდათ, როცა ავის მომასწავებელი ძახილი ისმოდა, ჩვეულებრივ ბედისწერის ხმას რომ ეძახიან, როცა შიშით იყო ქალაქი დაზაფრული და ადამიანთა გულებში საშინელ ჯანყს დაებუდებინა, ყოველი მხრიდან დრტვინვა მოისმოდა განუწყვეტლივ, რომელიც აფორიაქებდა ამ თავზარდაცემულ ხალხს და დღეცისმარე ჩასჩიჩინებდა, კვლავ უნდა ჰპოვოთო თქვენი ქეშმარიტი სამშობლო. ქეშმარიტი სამშობლო კი ყველასათვის ამ მოშთობილი ქალაქის ზღუდეებს მიღმა იყო. იგი ფერდობების სურნელოვან ბუჩქნარში ბუდობდა, ხლვაში, თავისუფალ ქვეყნებსა და სიყვარულის ძალაში. და სწორედ მისკენ — ბედნიერებისკენ სურდათ მიბრუნება, რომ სხვა ყველაფრისათვის ზიზლით ებრუნებინათ ზურგი.

რა აზრი უნდა ჰქონოდა ან განდევნას ან ხელახლა შეერთების ამ წყურვილს, რიემ არ უწყობდა. ისევ ისე მიაბიჯებდა ტროტუარზე, ყოველი მხრიდან აწვებოდნენ, ეძახდნენ. როგორც იქნა, გავიდა იმ ქუჩებში, სადაც ნაკლები ხალხი ტრიალებდა. ფიქრობდა, არცთუ ისე მნიშვნელოვანია აქვს თუ არა ამეებს აზრი, მთავარია, რა მიეგება პასუხად კაცთა იმედსო.

დღეიდან ეს პასუხიც იცოდა, როგორღაც უფრო ნათლად დაინახა გარეუბნის თითქმის უკაცურ ქუჩებში. ისინი, ვინც იმ მცირედს სჯერდებოდა, რაც ებოძათ, მხოლოდ იმასლა ნატრობდნენ: ნეტა ჩვენი სიყვარულის ქერქვეშ დაგვაბრუნაო, და ზოგჯერ კიდევაც უსრულდებოდათ ნატვრა. ცხადია, ზოგი კვლავ მარტო მიაბიჯებდა ქალაქის ქუჩებში, რადგან დაკარგა არსება, რომელსაც ელოდა. კიდევ ბედი მათი, ვინც ორგზის არ ყოფილა გაყრილი, მსგავსად იმ ზოგიერთებისა, ეპიდემიამდე ერთის დაკვრით რომ ვერ გამოჭედეს თავიანთი ბედნიერება და წლების განმავლობაში ხელის ცეცებით დაეძებდნენ ინელად მისალწევ თანხმობას, რომელიც, ბოლას და ბოლოს, აღუღაბებს მტრადქცეულ საყვარლებს. რიესი არ იყოს, მათაც ქარაფშუტულად დროისთვის მიენებებინათ ყოველივე და აკი სამუდამოდაც დარჩნენ გაყრილნი. სხვებმა, როგორც, მაგალითად, რამბერმა, რომელსაც ექიმი ამ დილით გამოეთხოვა სიტყვებით: სიმამაცე გვმართებს, ჩვენი სიმართლე უნდა დავამტკიცოთო, ერთბაშად იპოვეს ისევ ახლობელი ადამიანი, დაკარგული რომ ეგონათ. ესენი რამდენიმე ხნით მაინც იქნებიან ბედნიერები, რაკი იციან, რომ თუკი

ამქვეყნად არსებობს რალაც, რისკენაც მუდამ უნდა მიელტვოდეს კაცი და რასაც ზოგჯერ მოიხელთებენ კიდეც — ეს ადამიანური სინაზია.

ყველა იმათთვის კი, ვისაც, პირიქით, ადამიანთა თავებს ზემოთ მიეპყრო მზერა და ისეთ რასმე მიელტვოდა, რისი წარმოდგენა თავადაც არ ძალუძდა, პასუხი არ მოიძეუებოდა. ტარუმ იქნებ კიდეც ჰპოვა ის უკნეღაღე მისკალწევი მშვიდობა, რომელზედაც ლაპარაკობდა, მაგრამ მარტოოდენს ზღვდრულში, იმ დროს, როცა ეს მშვიდობა აღარაფერში წაადგებოდა. იმათ კი, ვისაც რიე ხედავდა სახლების ზღურბლზე გამოფენილთ, ბინდბუნდში მაგრად ჩახვეულებს და ერთმანეთისთვის მგზნებარედ მომზირალთ, მიიღეს ის, რაც ეწადათ. ეს იმიტომ, რომ ინატრეს ერთადერთი რამ, რაც თავად მათზე იყო დამოკიდებული. და რიემაც, როცა იმ ქუჩაზე შეუხვია, სადაც გრანი და კოტარი ცხოვრობდნენ, გაიფიქრა, სავსებით სამართლიანია, დროდადრო მაინც ერგოთ სიხარული იმათ, ვინც კმაყოფილდება კაცის ხვედრითა და თავისი საწყალი და საშინელი სიყვარულით.

ჩვენი ქრონიკა დასასრულს უახლოვდება. დროა, ექიმმა ბერნარ რიემ აღიაროს, რომ თვითონაა მისი ავტორი. მაგრამ სანამ უკანასკნელ ამბებს აგიწერდეთ, სურს გაამართლოს თავისი საქციელი და გაგაგებინოთ, რომ ამგვარი რამ ობიექტურ მოწმედ ყოფნის წადილმა უკარნახა. მთელი ქამიანობის მანძილზე თავისი ხელობის წყალობით ნახა თანამოქალაქეთა უმეტესობა და მათ გულისთქმასაც ჩასწვდა. ასე რომ, სწორედ მას უნდა მოეთხორო, რაც ენახა და გაეგონა; მაგრამ მან ისურვა მართებული თავშეკავებისთვის არ ელაღატა, შეეცადა, იმაზე მეტი არ მოეთხორო, რაც თავად ჰქონდა ნანახი, თავისი ამხანაგებისათვის ისეთი აზრები არ მიეწერა, რომლებიც თავში არ მოუვიდოდათ და გამოეყენებინა მხოლოდ ის ნაწერები, შემთხვევამ ან უბედურებამ რომ ჩაუგდეს ხელთ.

რაკი ერთგვარად დანაშაულის მოწმედ გამოდიოდა, ცოტა თავშეკავებულობას იჩენდა, როგორც შეჭფერის კეთილსინდისიერ მოწმეს. მაგრამ ამავე დროს მართალი გულის კარნახით ნებაყოფლობით დაიჭირა მსხვერპლთა მხარე და მოინდომა, ხალხს, თავის თანამოქალაქეებს არ მოსწყვეტოდა იმ ერთადერთ რამეში, რაც ყოველთვის უდავო იყო: სიყვარულში, ტანჯვასა და გადასახლებაში. ასე რომ, არ არსებობდა უბედურება, თავის თანამოძმეებთან რომ არ გაეზიარებინა, არავითარი განსაცდელი, თვითონაც რომ არ გამოეგლო.

კეთილსინდისიერი მოწმე რომ ყოფილიყო, პირველ რიგში მომხდარი ამბები, დოკუმენტური მასალა და მითქმა-მოთქმა უნდა გადმოეცა. ის კი, რაც პირადული ჰქონდა სათქმელი: დაუსრულებელი მოლოდინი, თავს გადახდენილი უბედურება, გულში უნდა დაემარხა. თუ ცოტ-ცოტაობით ესენიც გაურჩია, მხოლოდ იმიტომ, რომ გაეგო, ანდა გაეგებინებინა სხვებისათვის თავის თანამოქალაქეთა სულისკვეთება და რაც შეიძლება უკეთ გამოესახა ის, რასაც ისინი ამ ხნის მანძილზე იღუმალ გრძნობდნენ. სიმართლე თუ გნებავთ, გონების ასეთი ძალისხმევა არც გასჭირვებია. როცა სული წასძლევდა ათასობით ჭირიანის ხმისათვის თავისი ხმაც შეერთებინა, იმის ფიქრი აკავებდა, ერთი სატანჯველიც არ გამომივლია, სხვებსაც რომ არ გადაეტანოთ და ამ სამყაროში, სადაც მწუხარება ასე ხშირად ცალად დაიარება, ეს უპირატესობა არისო. მაშასადამე, ყველას მაგივრად უნდა ელაპარაკა.

მაგრამ ჩვენს ქალაქში იყო მკვიდრი, რომლის მაგივრადაც რიე ვერ ილა-

პარაკებდა. იმ კაცზე მოგახსენებთ, ვისზედაც ერთ დღეს ტარუმ უთხრა რიეს: მისი ერთადერთი დანაშაული ისაა, რომ გულში გაამართლა ის, რაც ბავშვებსა და მოზრდილებს სიცოცხლეს უსწრაფებსო. სხვაფრივ მესმის მისი, ეს კი, იძულებული ვარ, შევუნდოო. და სრულიად სამართლიანია, რომ ქრონიკა მთავრდება სწორედ ამ კაცის ამბით, ვისაც ბრმა, ანუ ეული გუფუჭუნდა.

როდესაც ფართე, მოზიმშიმე ქუჩებიდან გამოვიდა და გრანტსა და კორდონმა რის ქუჩაში უნდა შეეხვია, ექიმ რიეს გზა გადაუღობა პოლიციის კორდონმა. ამას არ მოელოდა. შორიდან მონადენი ზეიმის ხმები საცნაურს ხდიდა უბანში გამეფებულ მღუმარებას და ექიმს ეგონა, რაკი დამუნჯებულა, უკაცურიც იქნებაო. თავისი მოწმობა ამოიღო.

— ვერ გაგატარებთ, ექიმო, — უთხრა პოლიციელმა, — ვილაც გიჟია, ხალხს ესვრის. დარჩით აქ, იქნებ თქვენი შემწეობა დაგვჭირდეს.

იმავე წუთს რიემ დაინახა გრანი, რომელიც მისკენ მოემართებოდა. გრან-მაც არაფერი იცოდა. გავლას არ ანებებდნენ და მარტო ის გაეგო, რომ მისი სახლიდან ისროდნენ. შორიდან მართლაც მოჩანდა მზის უკანასკნელი სხივებით მოოქრული ფასადი, მზისა, რომელსაც ძალა გამოლევოდა. მის წინ მოცარელებული მიდამო იყო, სულიერი არ ჭაჭანებდა. შუა ქვაფენილზე გარკვევით მოჩანდა ქუდი და ქუჩყიანი ჩვარი. რიე და გრანი შორს, ქუჩის თავში, პოლიციელთა კორდონს ხედავდნენ, იმის პარალელურად ჩარიგებულს, მათ წინ წასვლის ნებას რომ არ აძლევდა. პოლიციელთა უკან ხალხი ჩოჩქოლებდა. კარგად რომ დააკვირდნენ, გრანის სახლის წინ სადარბაზოში ჩასაფრებული პოლიციელები შენიშნეს. სახლის ყველა დარაბა ჩარაზული იყო. თუმცა მესამე სართლზე ერთი დარაბა ოდნავ გამოლებული ჩანდა. ქუჩაში სამარისებური სიჩუმე იდგა. მხოლოდ ქალაქის ცენტრიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოისმოდა მუსიკის ხმები.

წამიც და, მოპირდაპირე სახლიდან ორჯერ ესროლეს გრანის სახლს და ტყვიებმა დაცხრილეს მოფამფალებული დარაბები. მერე კვლავ სიჩუმე გამეფდა ირგვლივ. დღევანდელი დღის გნიასის შემდეგ რიეს ეს ამბავი ცოტა ირეალური ეჩვენა.

— ეს კოტარის ფანჯარაა, — უთხრა უცებ აღელვებულმა გრანმა, — მაგრამ კოტარი ხომ სადღაც გაუჩინარდა.

— რატომ ისვრიან? — ჰკითხა რიემ პოლიციელს.

— რომ ყურადღება თავისკენ გადაატანინონ. საგანგებოდ აღჭურვილ მანქანას ველით. თორემ ყველას ესვრის, ვინც მაგ სახლში შესვლას დააპირებს. ერთი პოლიციელი დაგვიჭრა უკვე.

— რატომ ისვრის?

— რა ვიცი. ხალხი ერთობოდა ქუჩაში. რევოლვერის პირველ გასროლაზე ვერც ვერაფერს მიხვდნენ. მეორეზე ატყდა ყვირილი, ვილაც დაიჭრა და ყველა მიიშალა. გიჟია ვილაცა!

კვლავ ჩამომდგარ სიჩუმეში წუთები საოცარი ზღაზვნით მიიწევდნენ წინ. უეცრად თვალი მოჰკრეს ქუჩის კუთხიდან როგორ გამოვარდა ძაღლი, პირველი ძაღლი, რომელიც კი რიემ დალანდა ამდენი ხნის შემდეგ; ბინძური ესპანური მეძებარი იყო, ეტყობა, პატრონებს აქამდე გადამალული ჰყავდათ. ძაღლი კედელ-კედელ მოძუნძუნებდა. სადარბაზოს კართან რომ მივიდა, შეყოყმანდა. ჩაჯდა და რწყილების ჭერას შეუდგა. პოლიციელები სასტვენით

უხმობდნენ ძალს. ძალმა თავი აიღო, მერე გადაწყვიტა ნელა გადაეჭრა ქუჩა და ქუდისათვის დაეყნოსა. იმავ წუთს მესამე სართულის ფანჯრიდან იჭექა ტყვიამ და ძალლი ბლინივით ამოტრიალდა ჰაერში, თან გამაღებით იჭნევდა ფეხებს. ბოლოს გვერდზე დაეცა და კრუნჩხვას მოჰყვა. პასუხად ხუთმა თუ ექვსმა რევოლვერმა ერთბაშად დაიჭუბა და დაცხრილა მთელი სახლის დარაბა. მერე კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მზე ცოტა გადახრილიყო და ჩრდილი თანდათან უახლოვდებოდა კოტარის ფანჯარას. ექიმის უკან ნელა დაამუხრუჭეს მანქანა.

— აი, მოვიდნენ კიდევ, — თქვა პოლიციელმა.

პოლიციელები გადმოხტნენ მანქანიდან, თან თოკები, კიბე და ორი ბრენტში გახვეული მოგრძო ფუთა მოჰქონდათ. შემდეგ იმ ქუჩაში შერგეს თავი, კოტარის სახლს უკნიდან რომ უვლიდა. ცოტა ხნის მერე რიემ უფრო იგრძნო ვინემ დაინახა, ამ სახლის ქიშკარში რაღაც შერბენ-გამორბენა რომ შეიქნა. შემდეგ კვლავ ლოდინი იწყეს. ძალლი აღარ ინძრეოდა, მაგრამ მუქ გუბეში ცურავდა.

უეცრად იმ სახლის ფანჯრიდან, სადაც პოლიციელები იყვნენ ჩასაფრებულნი, ტყვიამფრქვევის კაკანი გაისმა. სროლისას დარაბა, რომელიც მიზანში ჰქონდათ ამოღებული, მთლად ჩამოშვავდა და ფანჯრის შავი ხახა გამოჩინა, მაგრამ რიემ და გრანმა თავიანთი ადგილიდან შიგ ვერაფერი გაარჩიეს. სროლა რომ შეწყდა, ახლა მეორე ტყვიამფრქვევმა ატეხა კაკანი მეზობელი სახლიდან. უთუოდ ფანჯრის სიოს უმიზნებდნენ, რადგან აგური ჩამოიმტვრა. იმავ წამს სამმა პოლიციელმა სირბილით გადაჭრა ქუჩა და სადარბაზოში შევარდა. მათ მაშინვე სამი სხვაც მიჰყვა უკან და ტყვიამფრქვევმაც სროლა შეწყვიტა. კვლავ მოლოდინი გამეფდა ირგვლივ. მერე ორი ყრუ სროლის ხმა გაისმა სახლში. შემდეგ ხმაური გაძლიერდა და ყველამ დაინახა, როგორ გამოიყვანეს, ან უკეთ, როგორ ძალისძალათი გამოათრიეს უპიჯაკო პატარა კაცი, რომელიც გაბმით ყვიროდა. თითქოს ჯადო-თილისმით ქუჩის ყველა დაგმანული დარაბა ერთბაშად გაიღო და ფანჯრებში ცნობისმოყვარეთა სახეები გამოეფინა. ბევრი სხვა ამასობაში გამოვიდა სახლებიდან და დაპატიმრებულს მიჰყვა. კაცი ყვიროდა. ერთი პოლიციელი მიუახლოვდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ორჯერ გამეტებით ჩასცხო მუშტი.

— ეს კოტარია, — წაიჩურჩულა გრანმა, — გაგიყებულა.

კოტარი დაეცა. ყველამ დაინახა, პოლიციელმა როგორ მოუქნია წიხლი მიწაზე გართბულს. შემდეგ სეირის მაყურებლები დაიძრნენ და ექიმისა და მისი მეგობრისაკენ გამოემართნენ.

— დაიშალეთ! — ბრძანა პოლიციელმა.

მოსეირნებმა გვერდით რომ ჩაუარეს, რიემ თვალი აარიდა.

გრანი და ექიმი ბინდს შეერივნენ. მომხდარმა ამბავმა თითქოს ძილისგან გამოათხიზლა უბანი. ქუჩები ისევ ივსებოდა მოზეიმე ხალხის გნიასით. გრანი სადარბაზოსთან დაემშვიდობა ექიმს. მუშაობას აპირებდა. ოღონდ სანამ კიბეს აუყვებოდა, რიეს გამოსძახა, ენას წერილი მივწერე და ახლა კმაყოფილი ვარო. ისიც დააყოლა, კვლავ მივუბრუნდი იმ წინადადებას, ყველა ზედსართავი ამოვაგდეო.

მერე ეშმაკური ღიმილით მოიშვლია ქუდი და დიდის ამბით გამოეთხოვა ექიმს. მაგრამ რიე კოტარზე ფიქრობდა და მუშტების ყრუ ხმა, სახეში რომ

ჩააზილეს პატიმარს, თან სდევდა, სანამ ასთმით სწეული მოხუცის სახლს შიდა-
წევდა. იქნებ უფრო სამძიმო იყო დამნაშავე კაცზე ფიქრი, ვინემ — გარდაც-
ვლილზე.

როცა რიე თავის ძველ ავადმყოფთან მივიდა, წყვილად უკვე ~~შთაქმული~~
მთელი ზეცა. ოთახში აღწევდა განთავისუფლების შორეული ყიყინა და მო-
ხუცი მშვიდად ყრიდა ერთი ჭურჭლიდან მეორეში ბარდის მარცვლებს.

— კარგს შვრებიან, რომ ერთობიან, — ამბობდა იგი, — ქვეყნად ყველა-
ფერი საჭიროა. იმ თქვენს კოლეგას რა დაემართა?

სროლის ხმა მათ ყურამდე აღწევდა, მაგრამ ეს სამშვიდობო ხმები იყო,
ბავშვები უშვებდნენ მაშხალებს.

— მოკვდა, — უთხრა ექიმმა, როცა ახრიალებულ მკერდზე სტეთოსკოპი
მიაბჯინა.

— აა! — აღმოხდა განცვიფრებულ ბერიკაცს.

— ჭირისაგან, — დასძინა რიემ.

— ეჰ, — თქვა დანანებით მოხუცმა, — მუდამ კარგები იხოცებიან. ასე-
თია ცხოვრება. ისეთი კაცი ჩანდა, იცოდა, რაც უნდოდა.

— მაგას რაზე ბრძანებთ? — ჩაეკითხა რიე, თან თავის სტეთოსკოპს
ინახავდა.

— რაზე და, თავის დღეში არ იტყოდა სიტყვას, თუ სათქმელი არაფერი
ქონდა. მე რომ მკითხოს კაცმა, ღმერთმანი, მომწონდა, მაგრამ რას იზამ.
სხვები გაიძახიან, ჭირიანობა იყო, ჭირიანობა გადავიტანეთო. ცოტაც და, ორ-
დენებსაც მოითხოვენ საამისოდ. კაცმა რომ თქვას, რა არის ჭირიანობა? ესეც
ცხოვრებაა. სიმართლე სწორედ ესაა, თუ გნებავთ.

— რეგულარულად იკეთეთ ხოლმე ინჰალაცია.

— ო! არხეინად ბრძანდებოდეთ. მე კიდევ დიდხანს გავატან, ბევრს კი-
დევ ჩავლავ სამარეს. მე ვიცი, როგორ უნდა ცხოვრება.

შორიდან სიხარულის ყიყინა გაისმა. ექიმი ოთახის შუაგულში შეჩერდა.

— ხომ არ მიწყენთ, ტერასაზე რომ გავიდე?

— ო, არა! გინდათ, ზემოდან გადახედოთ? ნება თქვენია. მაგრამ ხალხი
მუდამ ერთნაირია.

რიე კიბისაკენ გაემართა.

— მითხარით, ექიმო, მართლა აპირებენ ჭირისაგან დახოცილთათვის
ძეგლის აგებას?

— გაზეთში ეწერა. სტელას ან მემორიალურ დაფას გააკეთებენ.

— მასედაც ვფიქრობდი. უთუოდ სიტყვებსაც წარმოთქვამენ, — მოხუცმა
ყრუდ ჩაიცინა: — თითქოს მესმის კიდევ: „ჩვენი დახოცილები“... მერე კი
ლუკმის გასატეხად წავლენ.

რიე უკვე კიბეზე აღიოდა. უზარმაზარი ცივი ზეცა დაჰკაშკაშებდა სახლებს
და დაბლა, ზედ ბორცვების თავზე დაკიდული ვარსკვლავები კაყებს მოჰგვან-
დნენ. ეს ღამე არც ისე განსხვავებული იყო იმ ღამისაგან, როდესაც ისა და
ტარუ ამოვიდნენ ამ ტერასაზე, შავი ჭირი რომ დაევიწყებინათ. მხოლოდ
ზღვა იყო უფრო მშფოთვარე, უფრო ხმაურით ეხეთქებოდა კლდეების ძირს.
უძრავი, მსუბუქი ჰაერი განწმენდილიყო მარილიანი სუნთქვით, შემოდგომის
თბილ ქარს რომ მოჰქონდა. ქალაქის ხმაური ზვირთებდევით აწყდებოდა ტერა-
სება. მაგრამ ეს ღამე ხსნის ღამე გახლდათ და არა ჯანყისა. შორს მო-
ციმციმე შუქი ამცნობდა მნახველს, რომ აქ ბულვარები და გაჩახჩახებული

მოედნები იყო. და ამ უკვე განთავისუფლებულ დამეში სურვილი ყოველგვარ ჯებირს არღვევდა და სწორედ მისი ბრძლივინვა აღწევდა რიეს ყურამდე. ჩაბნელებული ნავსადგურიდან პირველმა საზეიმო მაშხალეებმა იელვეს. ქალაქი მათ გაბმული, ყრუ ყიფინით შეხვდა. კოტარი, ტარუ, თავისი ცოლი, ყველა ისინი, ვინც რიეს უყვარდა — მკვდრები თუ დამნაშავენი და ვიწყებას მიეცნენ. მოხუცი არ ტყუოდა: ხალხი არ შეცვლულა, მაგრამ მათი ძალა და უცოდველობაც სწორედ ეს იყო და რიე გრძნობდა, რომ განვლილი ტანჯვის მიუხედავად თვითონაც მათ უერთდებოდა. ვაშას გრიალში, თანდათან რომ ძლიერდებოდა და ტერასამდე აღწევდა, სანამ შუშხუნების ფერად-ფერადი კონები ერთიმეორის მიყოლებით იჭრებოდნენ ცაში, ექიმმა რიემ გადაწყვიტა დაეწერა მოთხრობა, რომელიც აქ სრულდება, გადაწყვიტა, აღეწერა ჭირით დახოცილთა ამბავი, რათა არ ყოფილიყო იმათთაგანი, ვინც დუმილს არჩევს; რათა ის მაინც გაეკეთებინა, რომ კაცთა ხსოვნაში არ წაშლილიყო რა უსამართლოდ მოექცნენ, როგორი ძალადობა იხმარეს ამ ხალხზე, დაბოლოს, რათა ეთქვა უბრალოდ, რას სწავლობს ხალხი ასეთი განსაცდელის უამს და რომ ადამიანებში აღტაცების მომგვრელი მეტია, ვიდრე საძრახისი.

მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ ეს ქრონიკა არ გამოდგებოდა საბოლოო გამარჯვების მაუწყებლად. ის მხოლოდ მატრიანე გახლდათ იმისა, რაც უნდა მოემოქმედებინათ ადამიანებს და კვლავაც უნდა მოიმოქმედონ, რათა შიშსა და მის მსახვრალ იარაღს წინ აღუდგნენ, როს პირადი სატანჯველიც აწუხებთ, არც წმინდანებად ქცევა ძალუძთ და მაინც ეურჩებიან თავს დამტყდარ უბედურებას, მაინც ცდილობენ მკურნალებად იქცნენ.

ყურში სიხარულის ყიფინა ჩაესმოდა, მაგრამ რიეს ახსოვდა, რომ ამ სიხარულს საფრთხე ელოდა. რადგან იცოდა ის, რაც ამ მოზეიმე ბრბომ არ უწყოდა და რაც შეიძლება წიგნებში ამოიკითხო კაცმა; იცოდა, რომ შავი ჭირის ბაცილა არასოდეს კვდება და არც არასოდეს ქრება, რომ მას შეუძლია ათეულ წლობით ეძინოს დგამ-ავეჯსა თუ თეთრეულში, მოთმინებით იცადოს ოთახებში, სარდაფებში. ჩემოდნებში, ცხვირსახოცებში, ქალაღებში და იქნებ ერთი დღეც დადგეს, როცა ადამიანთა საუბედუროდ თუ მათ ჭკუის სასწავლებლად შავი ჭირი კვლავ გამოაღვიძებს ვირთხებს და სასიკვდილოდ გამოაგზავნის ბედნიერ ქალაქში.

□

ფრანგულიდან

თარგმნა სიზილა ბაღაჩავი



მშვენიერება

მე ვარ ლამაზი, რ მოკვდავნი! ვით ქვის ზმანება,
და ჩემი მკერდი, მრავალი რომ შეუწირია,
არსებობს მისთვის, რომ შთაბეროს პოეტებს ვნება,
მარადიული და უთქმელი, ვით მატერია.

ვმეფობ ლაქვარდში, როგორც სფინქსი შეუცნობელი,
ჩემში შერწყმია თოვლის გული გედის სითეთრეს:
ვდგავარ უძრავად, მინდა ვიყო მარად უცვლელი,
ჩემთვის უცხოა სიცილის და ცრემლის სიკეთე.

მედიდურობის, ჩემეულის, უსიტყვოდ მჭკრეტი,
ვით ქანდაკებას, მონუსხული პოეტი მეტრფის
და უფრო მეტი თავდადებით ირჯება ჩემთვის.

ეს იმიტომ, რომ გამაჩნია მე ჯადო ერთი:
დიდი თვალები, მარადიულ შუქისმიერი,
სადაც ყველა და ყველაფერი ჩანს მშვენიერი.

მთვარის სევდა

მომეტებულად მოთენთილი ოცნებობს მთვარე,
ეოცნებება ვით დაწოლილ ლამაზ ქალბატონს,
რომელიც ზანტად ითათუნებს ხელს მოელვარე,
მოღედილ მკერდზე, სანამ სხეულს ღრმა ძილს მიანდობს.

ზმანებაშია ღრუბლის საწოლს მინებებული,
სიკვდილის პირას მიყვანილი მთვარე, დაღლილი,
თეთრი ხილვებით ეფარება მზერა ეული,
ხილვები ზეცას ამოსულა, როგორც ყვავილი.

და როცა ქვემოთ, ნება-ნება მიშვებულ მიწას,
სადაც ყოველი მეოცნებე სიფხიზლეს იცავს,
მოულოდნელად ეპკურება ცრემლები მთვარის,



მაშინ პოეტი, ღვთისმოსავი, მთეველი ღამის,
მუჭში მოიმწყვდევს წვეთს ბზინვარეს ოპალით მსგავსად
და გულში მალავს, რომ არ ნახოს მზის სხივმა არსად.

მტარი

ახალგაზრდობა მქონდა სავსე ქარიშხალებით,
რომელთაც ზოგჯერ მოელვარე მზეები ჰკვეთდა,
ძლივს მოვიწიე ცოტა ხილი ნაგვიანები,
ისე არბევდა ჩემს ბაღს ქარი და ისე ლეწდა.

და აი, უკვე მოეძალა ფიქრს შემოდგომა,
ახლა სჭირდება პატრონობა ხრიოკ ნიადაგს,
სჯობს მოვიმარჯვო აწ ნიჩაბი, შევუდგე შრომას,
რომ აღარ თხაროს ორმოები წვიმამ ნიადაგ.

ვინ იცის, იქნებ საოცნებო უცხო ყვავილმა,
მოულოდნელად მწირ მიწაზე ამოყვანილმა,
მიაგნოს ბაღში ძალისმომცემ საკვებს, იღუმაღს?

ოი, ტკივილო! დრო ვერაგი აქრობს ცხოვრებას,
უცნობი მტერი, გულს რომ გვიღრღნის, წელში სწორდება,
ჩანს, ჩვენი სისხლი ასაზრდოებს, მძლეს და მიუვაღს.

თქვენ უნდა დათვრეთ

უნდა ყოველთვის იყოთ მთვრალი: აი, მთავარი და ერთადერთი
საზრუნავი. რომ არ შეიგრძნოთ მძიმე ტვირთი წყვეული დროის,
რომელიც წელს გწყვეტთ და მიწისკენ გხრით, შეუსვენებლივ უნ-
და თვრებოდეთ.

რით უნდა დათვრეთ? — ღვინით, ან ლექსით, ან სათნოებით,
თქვენი ნებაა. ოღონდ, ნამდვილად უნდა დათვრეთ.

და თუ ხანდახან, კიბეებზე, მწვანე ბალახზე რაღაც უფსკრუ-
ლის, ანდა, ოთახის პირქუშ და მშრალ სიმარტოვეში, თქვენ გაიდ-
ვიძებთ უკვე ფხიზელი, ოღნავ, ან სულმთლად, ჰკითხეთ მაშინ
ქარს, ან ზღვის ტალღას, ვარსკვლავს, თუნდაც ჩიტს, გინდ კოშ-
კის საათს, იმას, რაც გარბის, იმას, ვინც ოხრავს, იმას, ვინც მი-
დის, ან, ვინც მღერის და ლაპარაკობს, ჰკითხეთ რა დროა და მა-
შინ ქარი, ტალღა, ვარსკვლავი, ჩიტი, საათი თქვენ გიპასუხებთ:

„დროა თრობისა! მოდით, დათვეროთ ღვინით, ან ლექსით, ან სათ-
ნოებით, რითაც გუნებოთ, რომ არ გაგთელოთ მონებივით დროის
დინებამ“.



ქართული
საქმიანობა

სიმკათიური საზინალება

ამ უცნაურ და ფერწასულ ციდან,
ნაწამებიდან შენი ბედივით,
რა ფიქრებია, ურჩო, ღრუბლიდან
სულში რომ გცვივა მანანებივით?

— დაუოკებლად დახარბებული
სიბნელესა და ბუნდოვანებას,
ოვიდამუსისგან განსხვავებული
არ დავიჩივლებ მე მწუხარებას.

ო, ქვიშასავით დაფშენილო ზეცავ,
სარკე ხარ ჩემი ქედმაღლობის,
ოცნებას ჩემსას სუდარად ექცა

შენი ღრუბლები, ძაძები გლოვის.
შენს სინათლეში ულამაზესი
ჩანს ჯოჯოხეთი, უსაყვარლესი.

□



თარგმნა ჯემალ იხაიაშ

ფიქრებისგან დამძიმებულს, შუალამით ჩაძინებულს
(რომ ვეძებდი ერთ უძველეს ფოლიანტზე ახალ საზრდოს)
გამელვინდა ხმაურისგან, თითქოს რაღაც ხმა ურიცხვად
კარს დაატყდა, გაურისხდა. სტუმარი თუ დაკალმასობს, —
ეს ვიფიქრე. უეჭველად სტუმარი თუ დაკალმასობს, —
ეს ვიფიქრე, კარგად მახსოვს.

ვგონებ, იდგა ადრიანი დეკემბერი, ავდრიანი,
ჩუმი, უხმო, ნატვრიანი, რომ ლინორი არ მლაღატობს —
შთამაგონონ იმ წიგნებმა, მიგალობონ მისი ქება,
უკვე ედემს ვინც იქნება, ო, ლინორი ამხანად, ო,
ანგელოზთან არის ედემს. ო, სადა ხარ ამხანად, ო,
მეგობარო, ამხანავო?!

აბრეშუმის შარიშურმა სუნთქვა ლამის ჩამიჩუმა,
გეგონება, საშინელი გრძნობა რომ სულს დაღარავსო.
ჩემი თავის სიმხნევისთვის ხმამაღლა ვთქვი: იქ მე მიცდის
სტუმარი და წიგნებს მიწვდის, გამოსული საკალმასოდ.
ჩანს, გვიანი სტუმარია, გამოსული საკალმასოდ. —
ხმამაღლა ვთქვი, კარგად მახსოვს.

ვძლიე შიში, ოღონდ მახსოვს — გავეგებე, როგორც ნაცნობს,
ბატონო თუ ქალბატონო, რაღა უნდა დავამატო,
მოწყენისგან დამძიმებულს, ერთ ეტრატზე ჩაძინებულს
არ მსმენია. კაცი მეფურ ძილში როცა დანავარდობს,
სუსტ კაკუნზე ვერ იღვიძებს. კარს ვხსნი. ქარი დანავარდობს —
აქ არავინ არა ვართო.

არვინ არის, წყვილიადს გარდა. შევრჩი იმის დიად ფარდას
იმ ოცნებით, რაც არავის სიზმრებია, რა განემართო?

რა ამოდ მოველოდი, გულს მომხსნოდა რომ მე ლოდი.
გავშრი მოულოდნელობით. ვთქვი „ლინორი“ და ვარ მარტო.
„ლინორი“ თქვა ხმის ექომაც, მას მახსენებს და ვარ მარტო
მახსენებს, რომ დამამადლოს.



მწუხარებით არეულმა მივატოვე არე უმაღლ,
გულისძგერით შემოვბრუნდი, კარი უნდა გადავრაზო.
უცებ ისევ კაკუნის ხმა შემომესმა და გულისთქმა
მკარნახობს, რომ გაგულისდა ქარი, ცდილობს გადავლასო,
შენი სახლის ეზო-კარზე ქარი ცდილობს გადავლასო.
მეც არ ვიცი, რადა ვბრაზობ.

გამოვალე დარაბები, არ მოჩანდა არაფერი.
შინ ყორანი შემოფრინდა, რაღა უნდა გადავრაზო?
მოსალმება რაღად უღირს, თაღნი ფრთების თლახათლუხით
შემოფრინდა ლაღად რუხი, მედიდურად, კარგად მახსოვს —
ზედ ათენას ქანდაკებას დააჯდა და კარგად მახსოვს —
თავი კარზე მალლა დასდო.

და ვფხიზლდები დარდისაგან, პირზე ღიმილს გარდვისახავ,
თან შევეცქერი ამაყ ფრინველს, თვალს რომ ასე ლაღად მასობს.
ვეუბნები ამ ყიამყრალს (ზრდილობაში არკი ამყვა) —
რომ მოაწყდი ამ ღია კარს, რა გქვია შენ, აღარ გახსოვს?
თქვი, პლუტონის შავ წყვილიაღში, რა გქვია შენ, აღარ გახსოვს?
დაიჩხავლა: „აღარასდროს“.

ტანში გამცრა ამ ჩხავილმა, საძაგელმა, ანჩხლმა. იმან
სულ უაზროდ მიპასუხა. როგორ უნდა გავამართლო?
აღბათ ყველა მეთანხმება, ამბავი, რაც ჩემთან ხდება,
სინამდვილეს ვერ თანხვდება, რომ ყორანი ამღამ არ სთმობს
კარზე მალლა ქანდაკებას. ეს ყორანი ამღამ არ სთმობს,
მეტსახელად „აღარასდროს“.

ათენაზე ყორანი ზის. სახლში ყორნის ყოლა მიმძიმს.
სურს, რომ სული დაადვაროს ღამის სივრცეს და გადასდოს.
და ზის ნისკარტმოკაკული, ვერც მის შრიალს მოგვარ ყური,
ჩუმაღ ვამბობ, რომ ხვალ კრული გამეცლება, აქ რა დასტოვს.
როგორც ერთ დროს მეგობრები გამეცალნენ. აქ რა დასტოვს.
მან დამჩხავლა: „აღარასდროს“.

ამნაირ ზუსტ პასუხზე მე უცხო სტუმარს რას ვუხსენებ?
ეს ყორანი, ცხადი არის, იმეორებს სათანადოდ
თავისივე პატრონისას, ბედისწერა მარტო ვისაც
ერგო კრულვის და ლტოლვისა და ვისაც სულს სატანა სთხოვს.
სასაფლაოს ზარი ესმის მას, ვისაც სულს სატანა სთხოვს,
ამ სიტყვაში: „აღარასდროს“.

როგორც წელან, გამოვეფხიზლდი (სმენად ვიქეც გალობისთვის),
მივიწიე ხავარძელი, სახლს ყორანი რახან არ სთმობს.

ვთქვი, რომ მკაცრად მივიხედავ, — კუშტი სახე მივიღე და
ნეტავ გონი მიმიხვედრა — რას მიქადის, რა ღალას/მთხოვს,
ავყია და ავბედითი ეს ყორანი რა ღალას მთხოვს.

რომ დამჩხავის: „ალარასდროს“

გამომიჩნდა სადარდელი — ყორანს ველარსადა ვდევნი.
ჩამაშტერა მზერა. საქმე გამიხადა არსამასხროდ.

მკრთალმა შუქმა მონისლულმა დამავიწყა, ო, ის ურვა
და ბალიში მოისურვა ჩემმა თავმა. დალლა მახსოვს.

ლინორის თავს ვერ ვიხილავ ამ ბალიშზე. დალლა მახსოვს
და ჩხავილი: „ალარასდროს“.

აღარ ვიცი, რად ვისუნთქავ ჩემს ოთახში ნატისუსალს.

სერაფიმთა მობრძანება შევიგრძენი აქ, ამ ახლოს.

თავს შევძახე — ლინორისგან განკურნებად კი მოგიძღვნა
ღმერთმა შხამი, — ღვინო გისვამს, რომ ტანჯვაზე აგამაღლოს!

სვი ეგ შხამი, რომ ლინორის დავიწყებამ აგამაღლოს.

ქუხს ყორანი: „ალარასდროს“.

კვლავ შევძახე: შე ავსულო, აქ რა უნდა შეასრულო?!

ჯოჯობეთმა გამოგგზავნა, თუ ეშმაკმა სადარბაზოდ,

რომ ჩემს ჭერქვეშ მოკალათდი, როგორც ლანდი მოლალატის?!

მიპასუხე, დროდა გადის — გალაათში რამ დამასწროს

იმ ბალზამის მოპოვება, მე რომ მიხსნის, რამ დამასწროს?

რეკს ყორანი: „ალარასდროს“.

მე შევძახე: ყორანი ხარ, თუ დემონი, რომ არ მიხვალ?!

თუკი ღმერთმა ცა დაგვხურა, უსატრფოოდ სადღა გავძლო?

თუ შეხვდება, მითხარ, სულღი, ვის ხსოვნასაც დიდხანს ვუვლი,

იქ, ედემში მზის ასულის, ანგელოზთა საპატარძლოს

სულს, ლინორს რომ ეძახიან, უსპეტაკეს საპატარძლოს.

მან დამჩხავლა: „ალარასდროს“.

ემაგ შენს ხმა-მაღალ სიტყვას თან გაჰყევი, რახანც ითქვა.

ჯანდაბამდის გზა გქონია ეშმაკის ფეხს და თნასწორს.

ერთ ბუმბულსაც ნუ დამიგდებ, როგორც ნიშანს — მურღალი დღე

რომ მახსოვდეს. უნდა ვიდგე ფეხზე, უნდა დაგამარცხო!

ქანდაკს ეხსენ, გულს ნისკარტი უშვი, უნდა დაგამარცხო!

ყორანი კი — „ალარასდროს“.

იგი ზის და არ ინძრევა. მისი ძნელი არის ძღვევა.

ათენას ტანს შეეზარდა, თითქოს ხელში აყვანას სთხოვა.

აქ წყვდიადის მოსატანად ჩამისახლდა, ო, სატანა.

ჭალს არ შვენის მოსართავად და ჩემს ბინას რახან არ სთმობს,

სულზე მაწევს მისი ჩრდილი და ჩემს სულსაც რახან არ სთმობს,

მომშორდება ალარასდროს.



თარგმნა დავით ივაჯრიკაძე

ბავშვობის დლიდან ჩემი სული ოცნებამ
ზარდა, — იგი უცნაურს დაეძებდა...

ლერმონოვი

„1831 წლის 11 ივნისი“.

პირველი ნაწილი

თავი 1

დამთავრდა სამამულო ომი. მოსკოვის კრემლში ფრანგებისათვის წართმეული ასობით ზარბაზანი შეზიდეს. კუზნეცი მოსტზე კვლავ გაისმა ფრანგული ლაპარაკი. მოსკოველი მანდილოსნებაც, რომლებიც ცდილობდნენ ყველაფერში პარიზელ ბანოვანებს დამგვანებოდნენ, ფრანგული ქუსლებით დააბაკუნებდნენ ქუჩებში, სადაც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ფრანგი ჯარისკაცების ჩექმებს გაუდიოდა ბრაგაბრუგი.

რუსეთის მიწაზე ზვაივით მოხეტქილი ნაპოლეონის არმია ისე გალღვა, როგორც თოვლი მზეზე. უკუქცეული და კარგა გვარიანად შეთხელებული მტრის ნაკადის კვალდაკვალ ევროპის გზებს გაუდგნენ რუსეთის პოლკები, ხოლო მრავალმა ტყვედ ჩავარდნილმა ფრანგმა თავადაზნაურთა და ვაჭართა ოჯახებში დაიდო ბინა: მათ დიდი სიყვარულით მიიღეს გუშინდელი მტრები, რომელნიც დიდგვაროვანთა მცირეწლოვანი შვილების აღმზრდელები და ფრანგული ენის მასწავლებლები გახდნენ.

სანკტ-პეტერბურგს ომი არ შეხებია, მაგრამ გადამწვარი და დანგრეული მოსკოვი ახლა ხარბად უბრუნდებოდა სიცოცხლეს და გამალებით შენდებოდა.

აქა-იქ, გადაბუგული შენობების ალაგას, ჯერ კიდევ მოჩანდა უშენი ადგილები. მაგრამ სვეტებითა და აივნებით დამშვენებული ქვიტკირის სახლები თუ დიდი ორსართულიანი შენობები ერთიმეორის მიყოლებით შენდებოდა მოსკოვის ვიწრო ქუჩებში და ივსებოდა მოსკოველთა ჯალაბობით, რომლებიც მშობლიურ კერას უბრუნდებოდნენ. დილიდან დაღამებამდე ყველაზე მყუდრო შესახვევებშიაც კი ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. სამაგიეროდ საღამო-

ობით თითო-ორთა, შორი-შორს ჩამოკონწიალებულ ფარნით მკრთალად განათებული შესახვევები, მოედნები და ქუჩები უკაცრიელდებოდა და მღუმარება ისადგურებდა.

ოქტომბრის ერთ გვიან საღამოს წითელ კარიბჭესთან მდებარე დიდი მოედანი საგულისგულოდ გაუკაცურებულიყო. საიდანღაც მოსკოვის იშვიათი სტუმარი ნისლი გამომტყვრალიყო და ყველაფერს ნეტელს სუფარა გადაჰფურებოდა.

ჭალარაქილვაშებიანი ბერიკაცი, რომელიც ერთი დიდი სახლის შვეიცარი გახლდათ, უკვე მეორედ გამოვიდა სადარბაზოდან, რათა ენახა, ხომ არ ჩამქრალიყო ფარანი სახლთან.

სახლის ფანჯრები, გარდა ორისა, ბაღს რომ გადაჰყურებდა და მჭიდროდ ჰქონდა ჩამოფარებული თალხი ფარდები, სანთლებით იყო გაჩირალდნებული. ოთახებში რაღაც ლანდები გაიელვებდნენ ხოლმე, შეწუხებულად რომ მიმორბოდნენ სახლის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში. ზოგჯერ ვილაც ფანჯრის მინას მიადებდა სახეს და სიბნელეში იცქირებოდა.

ქვაფენილზე ბორბლების რახრახმა შორიდანვე აუწყათ კარეტის მოახლოება. შვეიცარი შესამედ გამოვიდა სადარბაზოსთან, ლაქიამ და ორმა მოახლე გოგომ კარეტის კართან მიირბინეს.

მეტისმეტად ჩასუქებული და მეტისმეტად ქედმაღალი, მთელ მოსკოვში ცნობილი ექიმი დინჯად გადმოვიდა კარეტიდან და განიერ კიბეს აუყვა.

კიბის ბაქანზე იდგა ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილი კაცი, ხელით მოაჯირს დაყრდნობოდა, ლამაზ, ფერმკრთალ პირისახეს პატარა ქილვაშები უმშვენებდა და დაბნეული შეჰყურებდა ექიმს.

— მე გახლავართ ავადმყოფის მეუღლე, — აჩქარებით წარმოთქვა მან და გამწარებით სწვდა ექიმს ფაფუკ ხელში. — მე დიდად, დიდად მადლობელი ვარ თქვენი, იმის გამო, რომ დაგვეყაბულდით გადაარჩინოთ იგი.

— მაქვს პატივი საუბრისა ბატონ...

— ლერმონტოვთან, — სიტყვა გააწყვეტინა აღელვებულმა ყმაწვილმა კაცმა. — იური პეტროვიჩ ლერმონტოვთან... 1811 წლიდან გადამდგარ კაპიტანთან. გთხოვთ შემობრძანდეთ.

ექიმი დინჯად შევიდა კარებში.

— ძალიან სასიამოვნოა, — თქვა მან და თან ვზადაგზა თეთრ ხელებს ისრესდა. — მაგრამ ქალბატონის გვარი, რომლის სახლშიც მე ვარ მიწვეული, არსენიევაა...

— ჩემი მეუღლის დედის გვარი გახლავთ. ჩემი მეუღლე არსენიევას ქალია. დედამისი ელიზავეტა ალექსეევნა.. თუმცა აი, ისიც: ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ...

სასტუმრო ოთახის ღია კარში სწრაფად შემოვიდა მაღალ-მაღალი ხანში შესული ქალი. მას მტკიცე და თავისუფალი მიმოხვრა ჰქონდა, ტუჩები მკაცრად მომუწული. ქალმა თავდაჯერებით შეიპატიჟა ექიმი და ხმადაბლა უთხრა:

— მობრძანდით, ექიმო, ჩვენ უკვე დიდი ხანია გელოდებით.

— როგორ გრძნობს თავს ავადმყოფი?

— ცუდად, — მიუგო ქალმა. — ჩვენი მეუღლე ექიმი და მისი თანაშემწე ქალი შეშფოთებულნი არიან. მაგრამ თქვენი იმედი გვაქვს.

არსენიევას ქალმა წინ ექიმი გაატარა და კარი მაგრად მიხურა.

ყმაწვილი კაცი მარტო დარჩა. იგი კართან მივიდა და ყური მიუგდო.

აქიდან, ნახევრად ჩაბნელებული დიდი ოთახიდან, ჩუმი კენესა-გმინვა მოისმოდა.

მაშინ იგი დივანთან მივიდა და თავი ბალიშში ჩარგო.



იური პეტროვიჩი ვერ ხედავდა, როგორ მიმოდიოდნენ ალულებული ადაშიანები, მიმორბოდნენ მოახლე გოგოები: საიდანღაც წყალი, წამყვანდნენ ნიშადურის სპირტი მოჰქონდათ. იგი პირქვე იწვა დივანზე, ცდილობდა წაეფერი და ენა და არაფერი გაეგონა.

ზუსტად ვერ იტყოდა, რა ხანმა განვლო იმ წუთამდე, სანამ მხარზე ექიმის ფაფუკი ხელი შეეხებოდა და დამშვიდებული ხმა ეტყოდა:

— აბა, ბატონო ლერმონტოვო, ვეშურები მოგილოცოთ: ვაჟიშვილი გყავთ, ჩემო ბატონო.

ახალგაზრდა მამა მღელვარებისაგან ზეზე წამოხტა.

— ვაჟიშვილი! — გაიმეორა წყნარად. — ნუთუ მართლა ვაჟიშვილი მყავს?!

— მართლა ვაჟი გყავთ, — გაიღიმა ექიმმა.

— ისიც... კარგადაა? მადლობა 'ღმერთს! ოჰ, მადლობა ღმერთს! მასთან შესვლა შინდა! შეიძლება შევიდეთ მასთან?

— ჯერ არ შეიძლება, — გადაჭრით უთხრა სიდდერმა.

— ცოტა მოიცადეთ, სულ ცოტა, — დაამშვიდა იგი ექიმმა და ხელზე შეეხო. — თქვენი მეუღლე ეს-ეს არის მოეგო გონს ხანმოკლე გულის წასვლის შემდეგ და თქვენთან შეხვედრამ შესაძლოა ააღელვოს.

როდესაც იური პეტროვიჩს ბოლოს და ბოლოს გაუღეს ნახევრად ჩაბნელებული ოთახის კარი, იგი შეკრთა და უნებლიეთ თმაზე ხელი გადაისვა. მერე სწრაფად გადაისახა პირჯვარი, თითის წვერებზე გადააბიჯა ზღურბლს და გახერდა.

განიერი საწოლის სასთუმალთან ანთებულსანთლებიანი კანდელაბრი იდგა. ყმაწვილ ქალს მუჭი თმა ბალიშზე ფერმიხდილი პირისახის ირგვლივ ჩამოშლოდა; იური პეტროვიჩი შეაშინა სახის მოლურჯო სითეთრემ.

მის მეუღლეს თხელი ხელი ვაჟიშვილის პატარა მუჭ თავთან ედო, მკაფიოდ რომ მოჩანდა ბალიშის თეთრი მაქმანების ფონზე.

იური პეტროვიჩი დაიხარა და გულაჩუყებით ეამბორა მეუღლის თხელ ხელსაც და შვილის პაწაწკინტელა თათსაც.

— მარი, ძვირფასო, — უთხრა მან წყნარად, — თავს როგორ გრძნობთ?

მის ცხრამეტი წლის ყმაწვილ მეუღლეს ღრმად მონისლული თვალები ნელ-ნელა გაუბრწყინდა და ქმარს მიაპყრო.

— ნუ გააღვიძებთ! — უთხრა მან ჩურჩულით, — სძინავს. ზუსტად ჩემნაირი თვალები აქვს, — დასძინა და ნახად გაიღიმა.

— მარი, ბიჭს პეტრე დავარქვათ, — უთხრა მამამ. — ჩვენს გვარში მუდამ იური და პეტრე მონაცვლეობდა.

— მე კი ვფიქრობ, — მიუგო ქალიშვილის მაგივრად ელიზავეტა ალექსეევნამ, — უმჯობესია მას მიხეილი დავარქვათ.

— ვითომ რატომ?

— იმიტომ, რომ ეს უფრო ლამაზი სახელია, ვიდრე პეტრე და კიდევ იმიტომ, რომ ასე ერქვა მაშენკას მამას.

მაგრამ სწორედ ამ დროს ბავშვი შეტოკდა და წვრილი ხმით წამოიტირა. თითქოს პროტესტს აცხადებდნო ბებიასა და მამის ამ შელაპარაკების

წინააღმდეგ, რომელთა უთანხმოება მისი სიცოცხლის პირველსავე საათებში იწყებოდა.

როდესაც ექიმმა ავადმყოფის დატოვება დააპირა და მას ძლი და მოსვენება ურჩია, ახლად მოლოგინებულმა ფარდების გადაწევა და სარკმლის გაღება ითხოვა.

— მინდა ხეებსა და ცას შევხედო, — წყნარად ~~გაუბრა~~ ^{გაუბრა} და ცოტა სუფთა ჰაერი ვისუნთქო. მე მგონია, ღამე ჯერ კიდევ არ არის ძალიან ცივი?

საწოლის შორიახლოს მდგომი შინაექიმი და მისი თანაშემწე ქალი ახლად მოლოგინებულის სურვილის შესრულებას დაეშურნენ და ფანჯრის მძიმე ფარდები გადასწიეს. ქარი ყოველ დაქროლებაზე ნისლს სადღაც ღამის წყვდიადში მიაქანებდა, ღრუბლები ძილმიცემული ქალაქის თავზე დაბლა-დაბლა მიჰქროდნენ და, გეგონებოდა, გადაქროლისას ოდნავ გასაგონად შრიალებდნენ. მაგრამ ეს ძველისძველი ბაღი შრიალებდა. გადამავალი ღრუბლები წამით კრიალა ზეცას გამოაჩენდნენ ხოლმე დაფიონის მიღუულ მთვარესთან ერთად.

— აბა, ბატონო ჩემო, ახლა საკმარისია, — უთხრა დარბაისელმა ექიმმა, — თქვენ ძილი გესაჭიროებათ, მაღამ, ძილი და სრული სიმშვიდე. და საერთოდ რომ ვთქვათ, სოფლის ჰაერის და ბუნების წიალის მყუდროება ჯობდა როგორც დედის, ისე ჩვილისათვის, — მიუბრუნდა იგი იური პეტროვიჩს.

— ჩვენ სასწრაფოდ წავალთ ტულის გუბერნიაში, ჩემს ადგილ-მამულ კროპოტოვოში, — მტკიცედ თქვა იური პეტროვიჩმა.

— როგორც კი სამარხილე გზა გაიკვალება, ტულისა კი არა, პენზის გუბერნიაში წავალთ, თარხანში და არა კროპოტოვოში, — კიდევ უფრო მეტი სიმტკიცით შეუსწორა ბებია.

— ძალიან კარგი, ბატონო ჩემო, — დაასკვნა ექიმმა და ოთახიდან გავიდა.

მიყრუებულ ქუჩაზე ბორბლების ძლიერი რახრახი გაისმა და განთიადის-წინა მღუმარებაში მიწყდა. იწყებოდა ახალი დღე — 1814 წლის 3 ოქტომბერი*.

ხეები გრძელ ტოტებს არხევდნენ და მჭიდროდ მოფარდული ფანჯრის შორიახლოს შენარჩენ ფოთლებს აშრიალებდნენ, თითქოს ერთმანეთს რაღაც ყველასათვის გაუგებარ სიტყვებს ჩასჩურჩულებდნენ.

თავი 2

მთელი სოფელი მიეგება თარხანში ჩამოსულ ბატონის ალას.

მამასახლისი ცხენდაცხენ ელოდებოდა ქალბატონს ხევთან, მის მამულს მეზობლის მამულისაგან რომ ყოფდა. შინაყმები სისხამ დილიდან ოთახებს ალაგებდნენ, ღუმელებს ახურებდნენ, პურის ცომს ზელდნენ და სადილისათვის წიწილებს იჭერდნენ. ეზოში წიწილების დევნისას შინაყმებს გაჯავრებული მეკუჭნავე დარია გრიგორიევნა უცაცხანებდა და ერთ ამბავს აწევდა.

* თარიღები მოყვანილია ძველი სტილით.

როდესაც დიდი სამგზავრო ღორმეზიდან გადმოვიდა ძიძა, რომელსაც ხელში ციყვის ფაფუკ საბანში შეფუთული ჩვილი ეჭირა, მოხუცებულებმა და გოგოებმა მჭიდრო ალყაში მოაქციეს. გოგოები სარაფანის ამარა გამოვარდნილიყვნენ ყინვაში, ცნობისმოყვარეობას აეტანათ და არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ არც სიცივესა და არც დარია გრიგორიევენას. ყველას ეწადა სხვებზე ადრე დაენახა ახალი ბატონიშვილი, განგებში უვლინათ, და, რაც მთავარია, დაედგინათ, რომელ სანათესავოს დაემგვანებოდა იგი: მამისას თუ არსენიევისას.

ზემოთ ძლიერ დაეთბოთ დაბალჭერიანი ოთახები. ერთ-ერთ ოთახში დიდი ფანჯრის პირდაპირ იდგა უკვე კარგა ხნის წინათ მომზადებული ბავშვის საწოლი თეთრი მარმაშის მიჩიგდანიით.

ბებია, ელიზავეტა ალექსეევნამ ძიძას მიძინარე ბაღლი გამოართვა, საწოლში ჩააწვინა და მიჩიგდანი ჩამოაფარა.

ლერმონტოვის მეხსიერებას სიცოცხლის პირველი წლების რამდენიმე ძლიერ ბუნდოვანი და უთავბოლო მოგონება შემორჩა. ბურუსიდან სხვებზე უფრო საჩინოდ ორი სახე იკვეთებოდა: დედისა, რომელსაც ის ცალი ხელით კალთაში ჩასმული ეჭირა, მეორე ხელით კი ფორტეპიანოს უკრავდა და რომელიღაც სიმღერას ღიღინებდა; და კიდევ მრისხანე მეკუჭნავე დარია გრიგორიევენასი, გაბრაზებული სახით სასადილოდან საბუფეტეში რომ გადიოდა, რის შემდეგაც იქიდან რომელიმე მოახლე გოგო ლოყაზე ხელაფარებული გამობოდა ხოლმე.

იყო დღეები, როცა დედა ფორტეპიანოს მიუჯდებოდა, მაგრამ პატარა მიწენკა ხელში აღარ აჰყავდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი „ხმამალლა“ დაუკრავდა, ესე იგი, ორივე ხელით და რომ ამჯერად მიშა იმ სიმღერას მოისმენდა, რომელსაც დედა იშვიათად მღეროდა და რომელიც ბიჭს ყველაზე მეტად უყვარდა. სიმღერის სიტყვები ბაღლისთვის გაუგებარი იყო, მაგრამ ჰანგი მიწყვი აიძულებდა მის ყმაწვილურ სულს სიხარულით აღსავსე მღელვარებით ათრთოლებულიყო. ამ სიმღერის მელოდია რაღაც განსაკუთრებული სილამაზით გახლდათ აღვსილი. მერე წლებმა წარხოცა მეხსიერებიდან ეს მელოდიაც სიტყვებთან ერთად, მაგრამ გრძნობა აღმაფრენისა და ნათელი ბედნიერებისა ცხოვლად დააჩნდა სულს სამარადისოდ.

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ დედამისს საუცხოო ხმა ჰქონდა. როდესაც ის მღეროდა, ნაზი, მაგრამ ძლიერი ბგერებით ივსებოდა მთელი სახლი. მაგრამ ავადმყოფობის შემდეგ ხმა უწინდებური სიძლიერით აღარ ჟღერდა და დედამისიც მხოლოდ იშვიათადღა ღიღინებდა წყნარად — უკვე აღარ სჯეროდა ეჭიმებისა, ხმა დაგებრუნდებოდა, რომ აიძვებდნენ.

ხშირად ის საათობით გაუნძრევლად იჯდა ფანჯარასთან და მონისლული ხველებით გასცქეროდა გზას, რომლითაც იური პეტროვიჩი სადღაც მეზობლებთან მიდიოდა ხოლმე სტუმრად. და როდესაც ბოლოს და ბოლოს საღამო-ყამისათვის შორით გაიგონებდა მისი ოთხთვალას ბორბლების რახრახს, იგი საჩქაროდ წამოიჭრებოდა ზეზე და გაეცლებოდა ფანჯარას, თითქოს ეშინოდა, დანაშაულის ადგილზე წამასწრებენო.

ფერმკრთალი პირისახე წამით წამოუჭარხლდებოდა, მერე კი რაყამსაც მისი ნაღვლიანი გამოხედვა ქმრის მზერას წააწყდებოდა, კიდევ უფრო უფერმკრთალდებოდა.

არა, ის ასე არ უმზერდა მას ორი... ერთი წლის წინათ! და არც ამისთანა სიყვარულს ელოდა იგი, თავის ბედობას ამ კაცს რომ აბარებდა.

ერთხელ შუალამისას, განთიადის წინ, მიშას ოთახში ბებია შევიდა, ხმა მალლა დაუძახა: „მიშენკა! მიშენკა!“ და გააღვიძა. სახეზე დაბალუპით ჩამოსდიოდა ცრემლი და სულ ერთიანად კანკალებდა, გეგონებდა, ძალზე სცივით ბებია მიშასთან მივიდა, საბანში შეფუთნა და ხელში აიყვანა... მიშენკა ჯერ ისევ ძილ-ღვიძილში იყო. მხოლოდ ჰაერის ცივმა ნაკადმა გაუკრთო ძილ კიბეზე, სადაც მტირალი მოახლე გოგოები მოჯარებულნი იყვნენ.

რა ნახა, დედის ოთახში მიჰყავდათ, მიშენკას ძლიერ გაუხარდა. ეს მისი საყვარელი ოთახი იყო მთელ სახლში!

ალბათ აწ უკვე საღამოჟამია და დედა უმღერებს.

მაგრამ დედა ფორტეპიანოსთან არ იჯდა. იგი იწვა, თვალები გახელილი ჰქონდა და ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა. თხელი არშია, რომელიც გულმკერდს უფარავდა, აუდ-ჩაუდიოდა, აუდ-ჩაუდიოდა...

ბებია, რომელსაც ხელში მიშენკა ეჭირა, მასთან მივიდა; დედამ რაღაც თქვა ჩურჩულით — ბიჭუნას უთხრა თუ ბებიას, ვერ გაიგებდით, ისე ნელი და ჩუმი იყო მისი ხმა.

ბებია დაიხარა და მიშენკას თავი ფერმკრთალ პირისახეს მიუახლოვა.

და რაწამს დედა ტუჩებით შეეხო ბიჭის ტუჩებს, მან შიშნეულად იგონა, რომ დედის პირიდან ისეთივე სიცივე ამოდიოდა, როგორმაც ახლახან დაჰკრა კიბეზე.

თავი II

დედის სიკვდილმა თითქოს გაარღვია ნისლის ფარდა მიშენკას ცნობიერებაში და ცალკეულმა მოვლენებმა მიჯნებად დაყო მისი ბავშვობა.

ერთ-ერთი ასეთი მოვლენა გახლდათ შინაეჭიმის მუსიე ანსელმ ლევის პირველი გამოჩენა დილის ჩაიზე. მუსიე ლევი ბებიამ მოიწვია თარხანში საცხოვრებლად. მას ერთთავად თვალყური უნდა ედევნებინა მიშენკას ჯანმრთელობისათვის, ვინაიდან სამი წლის სუსტი ბიჭუნა ჯერ ისევ გაუბედავად დადიოდა და სირბილი უჭირდა. მუსიე ლევი ჩია ტანის კაცი იყო, დიდი ყურები და სათვალეს მალლა მეჭეჭი ჰქონდა. სათვალეს განუშორებლად ატარებდა, არასდროს არ იხსნიდა. მიშენკა დარწმუნებული იყო, რომ მას სათვალისაღვიძინა ხოლმე.

მუსიე ლევიმ ბიჭი გასინჯა ბებიის, მიშას გამდელად მიჩენილი ქრისტიანოსიპოვნა რემერის, მოახლე გოგო ნასტიას თანდასწრებით და წამლების გრძელი სია შეადგინა.

ამ დღიდან მალლიდან, საბავშვო ოთახიდან, წამდაუწუმ მოისმოდა ხმა მალალი: „არ მინდა!“ — და წამლიან კოვზს იატაკზე გაჰქონდა წკარუნი.

მაშინ მუსიე ლევი კიბეზე ავიდოდა, ხმამალლა მყვირალ მიშენკას სათვალისანი თვალით მიაჩერდებოდა და ძალისძალად ჩაასხამდა წამალს პირში და მალე ყოველგვარ ვითარებასა და ყოველგვარ პირობებში მუსიე ლევის გამოჩენა იწვევდა გარდაუვალ ყვირილს „არ მინდა!“

ბოლოს და ბოლოს მუსიე ლევიმ ბებიას გამოუცხადა, რომ ბევრ შემთხვევაში მკურნალობის ბუნებრივი მეთოდები ყველაზე უფრო მარგებელია და მთელი წამლები თავის პატარა კარადაში შეინახა.

ბუნებრივი მეთოდები მოიცავდა ყოველდღიურად და ყოველგვარ ამინდში სუფთა ჰაერზე ყოფნას, გამაჯანსაღებელ აბაზანებს და ბავშვებთან თამაშს, რისთვისაც ბებია საჩქაროდ თავისი სახლი ყმა ბიჭუნებით გაავსო.

და არავინ უწყის, აბაზანების წყალობა იყო, ჰაერისა თუ ყმა ბიჭუნებისა, მაგრამ მალე ელიზავეტა ალექსეევნას შვილიშვილი უკვე დაფრთხილდა და თავის თანატოლებთან ერთად და მთელი თარხანისეული პარკი გადმოიქცა ლილი ჰქონდა.

გამოხდა კიდევ რაღაცა ხანი და ბებია უკვე უჩიჩინებდა მიშენკას, ბევრი არ ერბინა და ძალიან ხმამაღლა არ ეყვირა. მაგრამ უკვე ველარაფერს გახდა. მისმა შვილიშვილმა მის მიერვე შეგროვებული სოფლის ბიჭებისაგან სასწრაფოდ შექმნა ორი ლაშქარი, თავისი ლაშქარი თავგანწირვით დიდი მგზნებარებით მიჰყავდა მტერთან საბრძოლველად და იერიშით იღებდა ორი წაქცეული ნაძვისგან გაკეთებულ ციხე-სიმაგრეს.

ბოლოს და ბოლოს ბებია შეეგუა შვილიშვილის ამ გატაცებას, დარწმუნებული იყო, რომ იგი მალე მოყირქდებოდა და ზამთარში ხურო მაკარს უბრძანა ორი შინაყმის დახმარებით მიშენკასათვის კორტოხზე ნამდვილი თოვლის ციხე-სიმაგრე აეგო. მერე, რაჟამს გაზაფხულის მზემ ციხე-სიმაგრე გააღლო, „ლაშქარი“ თავად შეუდგა ახლის აგებას — თიხისაგან. მთელი ზაფხული გვიან სალამოჟამამდე გაისმოდა პარკში „მებრძოლთა“ ყიყინა. მიშენკას წკრილა ხმა, ბრძანებებს რომ იძლეოდა, ყველას ხმას ახშობდა. ბებია ფრიად კმაყოფილი გახლდათ.

როდესაც გაზაფხულის წვიმებმა მეორე ციხესიმაგრეც წალეკა, მიშენკა არანაკლები თავგამეტებით მიეცა ახალ გატაცებას: ფერადი ცვილისაგან ფიგურების გამოძერწვას.

მოსიე ლევი, თავისი სათვალისაგან რომ უმზერდა მიშენკას და ამოდ ეხვეწებოდა დასაძინებლად წასულიყო, მხრების აჩეჩვით ეუბნებოდა ბებიაშისს:

— ქალბატონო, თქვენი შვილიშვილის აღმაფრენას საზღვარი არა აქვს. მეტისმეტი გატაცების კაცია!

თავი 4

მიშა გრგვინვა-გრიალმა გამოაღვიძა, რომელმაც კედლები შეაზანზარა. ის სასწრაფოდ წამოჯდა საწოლში და ყური მიუგდო: ჭექა-ქუხილი იყო! ფანჯრებს მიღმა შავად მოჩანდა სქელი წყვდიადი. აი, იელვა, კიდევ, და კიდევ!.. დამაბრმავებელმა ნათებამ გაკვეთა წკვარამი.

ირგვლივ მიმოიხედა, ალბათ უკვე კარგა ხნის დაღამებულია, ვინაიდან ქრისტიანა ოსიპოვნას გულის ძილით სძინავს და არ ესმის ჭექა-ქუხილი. ცხვირამდე წაფარებული საბნიდან მარტოოდენ შუბლს ზემოთ დახვეული ქაღალდის პაპილოტები მოუჩანს.

დაბლა კარებს აჯახუნებდნენ, მოისმის შიშველი ფეხების ტყაპატყუპი და ძლიერი ხმა ბებიაში, რომელიც რაღაც ბრძანებებს იძლევა.

მიშამ ერთხელ კიდევ გადახედა ქრისტიანა ოსიპოვნას, საბანი გადასწია, წამოხტა და ფანჯარასთან მიიბრინა. შიშველი ფეხები ღამის გრძელ პერანგში ებლანდებოდა.

რა უკუნეთია! უპ, რა ყრუდ, რა შეშფოთებით შრილებენ ქარიშხლისაგან რკალად მოხრილი ხეები! ელვის ხელახალ გაკვესებაზე თვალები მოჭუტა

და ჭეჭა-ჭუხილში ვერ გაიგონა ვერც შემოღებული კარის ჭრიალი, ვერც უკანდან მოახლოებული სწრაფი ნაბიჯების ჩქამი და ვერც ბებიას შეშინებული ხმა. მან მარტოოდენ ის იგრძნო, რომ ხელში აიტაცეს და უკანვე წაიყვანეს საწოლისაკენ.

საბანს რომ აფარებდა, ბებია გულისწყრომით უთხრა:

— მიშენკა, მიშენკა! გაგონილა შიშველი ფეხებით ცმუტის ხსარული და დგომა! ქრისტიანა ოსიპოვნა, ჩემო კარგო, როგორ მოხდა, რომ ვერ მიხედეთ ბავშვს!

საბნის ქვემოდან გამოჩნდა გაკვირვებული სახე და ქალაქის აბურდული პაპილოტები:

— O, gnädige Frau, ich habe nicht bemerkt!*

— ბავშვს ფეხები ძმრით უნდა დავუზილოთ... დაიძინე, მიშენკა, წვიმის ხმაურზე ხომ კარგად გძინავს ხოლმე.

ბებია ჰკოცნის მიშენკას, პირჯვარს სწერს და მიდის.

მიშენკა გარინდებული წევს, ყურს უგდებს ჭეჭა-ჭუხილის ხმას და სახლში ამტყდარ ჩოჩქოლს, თანდათანობით რომ ყუჩდება.

ერთბაშად ფანჯრები კვლავ შეინძრა ქარის წამოქროლვაზე და დელგმა-ავდარმა ბარაქიანად დაუშინა წვეთები მინას. სწორედ ამნაირ ღამეს ბებიას სასტიკი შელაპარაკება მოუვიდა მამასთან.

მაშინაც ასეთნაირად გრუხუნებდა და დგანდგარებდა არემარე ფანჯრებს მიღმა... ბებიას ოთახიდან კი მოისმოდა ორი ხმა: ხან ბებიასი, ხან მამისა.

„ქალბატონო, ეს გულქვაობაა!“ — იჭეჭა მამამ, ხმაურით გაალო ბებიას ოთახის კარი, შურდულივით გავარდა გარეთ და აკანკალებული ხელით ღამობდა ყაბოს შეხსნას.

მამამ დაინახა მიშა, მივარდა და მაგრად ჩაიკრა გულში. მერე კართან ნივიდა და დაიძახა: „ფოკა! მოიყვა ეტლი!“

ეტლმა სველ ქვიშაზე ბორბლების ჭრიალ-ჭრიალით მოიქროლა პარმალთან. წუთის მერე კი — ასე მოეჩვენა მიშენკას — ბორბლების რახრახი წვიმის ხმაურს შეერთო და შორს, პარკის მიღმა მიწყდა, იქითკენ, მძვინვარე ღამის წყვდიადისაკენ, წვიმის ნიაღვრებისაკენ წავიდა მამა... მარტოდ-მარტო!..

იმ ღამით მიშენკას ძალიან ცუდად ეძინა, ერთთავად მამაზე ფიქრობდა და ქარის ყოველ წამოქროლვაზე გული ეკუმშებოდა. მას უნდოდა დასწეოდა მამას, მაგრამ ის სულ პატარა ბიჭი იყო, მარტოკას არსად უშვებდნენ და არავინ არაფერს უგონებდა.

მისთვის რომ დაეჭერებინათ, მამიკო სულ მუდამ მასთან იქნებოდა, მეკუჭნავე დარია გრიგორიევნას კი ოთხთვალაზე დასვამდნენ და წაიყვანდნენ.

დარია გრიგორიევნასაგან არასდროს არავითარი საჩუქრის მიღება არ სურდა. ხოლო რაწამსაც დარია გრიგორიევნა მის ოთახში შევიდოდა, უყვიროდა ხოლმე: „წადი აქედან“, რითაც ქრისტიანა ოსიპოვნას უდიდეს უხერხულობაში აგდებდა. დარია გრიგორიევნას იგი ასე იმიტომ ექცეოდა, რომ მან ნასტიკის ხელი გაართვა.

სამოახლო ოთახში ნასტიკაზე მხიარული არავინ იყო. არავის ჰქონდა მასზე უფრო სასიამოვნო და ნარნარი ხმა და არავინ იცოდა ამდენი სიმღერა!

* ოი, ქალბატონო, ვერ დავინახე (გერმ.).

ერთხელ მიშა და ქრისტინა ოსიპოვნა სეირნობიდან ბრუნდებოდნენ და სამოახლო ოთახთან გაჩერდნენ. ნასტია მუშაობდა და თან მღეროდა. მიშენკა რომ დაინახა, გაუღიმა.

დარია გრიგორიევნამ კი, რომელიც ნასტიას ზურგს უკან იდგა, ამ დროს წინ გადაიხარა, მის ნამუშევარს დახედა და რაღაც გაჯავრებულად დაუცქერდა და ანაზღეულად მიშამ დაინახა, როგორ გაართუა დარია გრიგორიევნამ მუშაობა ბუნჩულა ხელი ნასტიას პირმცინარ სახეში!

მიშას ჯერ არასდროს ენახა, როგორ სცემდნენ ადამიანს, მან დაიყვირა და მუშტმოდებელი დარია გრიგორიევნას ეცა. ნასტიამ შიშით ხელები გაასავსავა, ქრისტინა ოსიპოვნამ კი დაიჭირა და საბავშვო ოთახში შეათრია. მიშა მწარედ ატირდა — შეურაცხყოფისა და უფროსების წინაშე თავისი უსუსურობის შეგნებისაგან.

ქექა-ქუხილი გრგვინავდა, გრუხუნებდა, ბობოქრობდა სახლის თავზე და ბარკში სულმთლად ისე, როგორც იმ დამით...

ქრისტინა ოსიპოვნა, ბოლოს და ბოლოს, ადგა და შიშით დაადო ხელი შუბლზე:

— მიშენკა, რა მოგივიდა?

ამ დროს ფეხშიშველი ნასტია მორიდებით შემოვიდა კანდელის სინათლის გასასწორებლად, რომლის ცქერაც უყვარდა ხოლმე მიშენკას დაძინებისას.

— ბატონიშვილს კიდევ არა სძინავს? ალბათ, ქექა-ქუხილი თუ არ აძინებს. აი მე ახლავე ნანინათი დავაძინებ! — ღიმილით თქვა ნასტიამ და ფეხაკრებით მივიდა საწოლთან. — ვუმღერებ და დაიძინებს.

— მიმღერე, მიმღერე! — სიხარულით მისკენ გადაიწია მიშენკამ და წინასწარ თვალები დახუჭა. უყვარდა სიმღერის მოსმენა თვალდახუჭულს. ამ დროს ისეთი არაჩვეულებრივი რამეები წარმოუდგებოდა ხოლმე...

ნასტია მის ფერხთით პატარა სკამზე ჩამოჯდა და ნელი ხმით სიმღერა წამოიწყო.

გრგვინვა-გრიალი და ხეთა ბორგნეული დრტვინვა ბალში თითქოს ერთბაშად მიწყდა: მიშენკას ყველაფერი დაავიწყდა, იგი ყურს უგდებდა ნასტიას სიმღერას — ხან სალალბოს, ხანაც ნალვლიანს, გულს რომ სიამით აღუვსებდა. ხოლო დახუჭულ ქუთუთოებს ძილს ჰგვრიდა.

— სძინავს! — ჩურჩულით თქვა ნასტიამ და წამოდგა.

— დაიძინა, — გაიმეორა ქრისტინა ოსიპოვნამ.

— ქრისტინა ოსიპოვნა, — ჩუმად უთხრა ნასტიამ, მისკენ რომ გადაიხარა. — ამას წინათ რაებს რომავდნენ სამოახლოში, თითქოსდა ღიზავეტა აღექსევენამ იური პეტროვიჩს ოცდახუთი ათასი გასამცლელი მისცა, მიშენკა თავისთან რომ არ წაეყვანათ?! —

ქრისტინა ოსიპოვნამ იდაყვებზე წამოიწია, ჩაფიქრდა და მერე ამოიოხრა:

— მე ზალიან მეცოდება იური პეტროვიში... მე ზალიან ვწუხდი საბრალო მიშენკას გამოისობით!

— აბა ამას ვინ წარმოიდგენდა! ერთი ამბობს, „ჩემიაო!“ მეორეც ამბობს, „ჩემიაო!“ იური პეტროვიჩი ცოტა მდიდარი რომ ყოფილიყო, არაფრის გულისთვის, არავითარი ათასებისთვის არ დატოვებდა მიშენკას ჩვენთან, თავისთან წაიყვანდა კროპოტოვოში. მაგრამ სიღედრთან აბა რას გახდებდა?! შვილიშვილის გულისათვის გაუჩინელს გააჩენს. ამიტომაც დაუთმო მას შვილი მამამ:

თავის გულისთვის კი არა, შვილის გულისთვის.

— ჩუმად, ნასტენკა! — ქრისტინა ოსიპოვნა თვალით ანიშნებს მიშენკაზე. — დაიძინა! — ამბობს ის დამშვიდებულად.

— სძინავს, — გაიმეორა ნასტიამ და თითის წვერებზე გავიდა ოთახიდან. ჩაძინებულ მიშას რომ ჩაუარა, დაიხარა და შავ ხელზე აკოცა, რომელიც საბნიდან ამოეყო და ზემოდან ედო.

შორს ცამ იჭუხა და მიყუჩდა.

თავი 5

ირგვლივ სამყარო ბიჭა მეტისმეტად რთული ეჩვენებოდა, ხოლო ადამიანები, რომელთაც ის იცნობდა, ძალიან სხვადასხვანაირი იყვნენ.

ქვეყნიერება, მისი წარმოდგენით, თარხანის ხევით მთავრდებოდა, მაკარის განაპირა ქოხის იქით. ეს აზრი ძია ათანასეს სიტყვებშიც დაადასტურა, ერთხელ ბებიასთან რომ შემოიარა.

— ქალბატონო, ერთი მაგას ცხრა მთას იქით უკარი თავი, სადაც მაკარს ხბორები არ გაურეკავს! — უთხრა მან მამასახლისზე.

და მამასახლისიც გაქრა. მიშას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მაკარი ის ხურო მაკარი იყო, მისი მეგობრის ივაშკას ბიძა, ხოლო ცხრა მთას იქითა ქვეყანა სწორედ ის „შორეულად“ წოდებული ხევი, რომლის პირასაც ნამდვილად დაბორილობდა მაკარის ხბო.

თარხანის პარკში, ეზოსა და წარაფშიც ყოველივე სულ სხვადასხვანაირი იყო. პარკში მას ყველაფერი მოსწონდა. ჩრდილოვანი ხეივნებიც, სადაც მზიანი დილით სინათლის ჩრდილები და ლაქები ციალებდა, და ხასხასა, ნაირფერი ყვავილნარიც, საღამოობით საამო სურნელებას რომ აფრქვევდა და თავად ბებია უვლიდა.

წარაფში მას ძალიან უყვარდა ხან ხშირი ბალახით, ხანაც გათიბული თივით დაფარული სოკოებით სავსე ტყის პირი.

აი, ჭაობისა კი ეშინოდა მიშენკას: ნასტიას თქმით, ჭაობი ადამიანებს ნთქავდა, მიშენკას არ ესმოდა, როგორ ხდებოდა ეს და ამიტომაც უფრო მეტად ეშინოდა.

მშვენიერი ადგილი იყო საჭინიბო! მიშას ცხენები ძალიან უყვარდა და სულაც არ ეშინოდა მათი.

სამაგიეროდ ეზოში დადიოდა შიშით: ჯერ ერთი, ბატები აფეთებდნენ— მათ ძალზე უსიამოვნო ჩვეულება სჭირდათ, უკანიდან კურტაკზე ნისკარტს სტაცებდნენ ხოლმე და სწიწკნიდნენ. მამალ ინდაურსაც ასეთივე ჭირვეული ხასიათი ჰქონდა.

მაგრამ მიშენკას ყველაზე მეტად ეშინოდა ფარდულისა, თუმცაღა გარეგნულად სულაც არ იყო საშინელი. ფარდულს კარი მუდამ ღია და იატაკი მიწისა ჰქონდა.

ერთ საღამოს ფარდულიდან ხმამაღალი ყვირილი, ხოლო შემდეგ კვნესაც მოისმა. ყვირილისა და კვნესის ხმა რომ გაიგონა, მიშა პარმალზე გამოვარდა და შიშისაგან თვითონაც დაიყვირა. იქვე, ახლო მიმავალმა მეკუჭნავე დარია გრიგორიევნამ საჩქაროდ წაიყვანა იგი პარმალიდან, ქრისტინა ოსიპოვნას ჩააბარა და წრიპინა ხმით დაუმატა, რომ „არა ჯერ არს ბალდის ეზოში გამოშვება, როდესაც შინაყმებს სჯიან“.

მიშამ შიშით იკითხა:

— ვის სჯიან?

— პროშკას როზგავენ ფარდულში, — გულცივად ჩაიწრიპინა ~~დაარია~~ გრიგორიევნამ. — ჰოდა, ამიტომაც ღრიალებს პროშკა. ქრისტიანა ~~ოსიპოვნა~~, არ გაუშვათ მიშენკა იმ ფარდულში.

იმ დროიდან მისთვის ფარდული ყველაზე საშინელი ადგილი ~~გახდა~~ ^{ქრისტიანული} ~~შეიქმნა~~ ^{გახდა} თარხანში.

სახლიც მრავალგვარ გრძნობებს აღუძრავდა მას.

დაბლა დიდი ოთახები, უბრალოდ, უინტერესო იყო.

ბებიას ოთახი, რომლის ფანჯრები ყვავილნარს გადაჰყურებდა, უყვარდა. იქ ბევრი ფრიად საინტერესო ნივთი ეგულებოდა: ზარდახშები, ღილები, კოლოფები და ქალაქური კანფეტები. მაგრამ ექიმ მუსიე ლევის ოთახთან მიშენკა ცდილობდა რაც შეიძლება ჩქარა გაერბინა — რამდენადაც ფეხები მისცემდა ამის საშუალებას.

იური პეტროვიჩის კაბინეტი ერქვა ცარიელ ოთახს, სადაც განიერი დივანი იდგა. აქ ცხოვრობდა მამამისი, რომელიც მათთან სულ მუდამ მოულოდნელად ჩამოდიოდა ხოლმე. ამ ოთახში შემორჩენილი იყო არომატული თამბაქოსა და მამის სუნამოების სურნელი.

მიშენკა და ქრისტიანა ოსიპოვნა ხემოთ ცხოვრობდნენ. მეზობელი ოთახი მომავალი გუვერნიორის მოლოდინში ცარიელი იყო.

იყო ერთი კარი სახლში, რომლის წინ მიშა მღელვარებით ჩერდებოდა. ამ ოთახს, მას რომ იზიდავდა და აკრთობდა, რაღაც ნალვლიანი ხიბლი ჰქონდა... მის დიდ ფანჯარას გარედან ბებერი ცაცხვის ტოტები სანახევროდ აჩრდილოებდა, რის გამო ზაფხულის ყველაზე ნათელ დღეებშიც კი იქ მომწვანო ბინდი იყო შერჩენილი.

ოთახის შუაში პატარა ფორტეპიანო იდგა. ფორტეპიანოს თავზე, შესასვლელის პირდაპირ, საღებავებით დახატული პორტრეტი ეკიდა. ოთახში შესულ მიშენკას ჩაციებით უმზერდნენ დიდრონი შავი თვალები.

ამ პორტრეტის წინ ბებია ყოველთვის ცოცხალყვავილებიან ლარნაკს დგამდა.

მიშენკა ფორტეპიანოს წინ ტაბურეტზე ჩამოჯდებოდა და ჯიუტად ცდილობდა იმ „ბუნდოვანი“ ამბების გახსენებას, რაც დაკავშირებული იყო დედის სახესთან, ცდილობდა ერთად შეეკრიბა თავისი მოგონებების ნაწყვეტები.

...აი ის, ჯერ ისევ სრულიად პატარა, ზის მაღალ სკამზე ცეცხლის წინ, მზიარულად რომ გიზგიზებს ბუხარში, რაღაც სათამაშოს აქნევს და უცქერის დედას, რომელსაც ხელები უკან შემოუწყვია და უზარმაზარ ოთახში წინ და უკან დაიარება.

დედას ნამტირალევი სახე აქვს, ერთ ხელში ცხვირსახოცი ჩაუბლუჯავს, რომლითაც მან ეს-ეს არის მოიწმინდა თვალები. ბებია კი, რომელიც მიშენკასკენ ზურგშექცევითა დგას და ფანჯარაში იცქირება, გაჯავრებული ლაპარაკობს რაღაცას.

მერე გონებაში ბუნდოვნად აღიდგინა უჩვეულოდ მოკლე დღე, როდესაც მან დედა უკანასკნელად ნახა. ეს დღე სულ არა ჰგავდა სხვა დღეებს. ზუსტად ვერც გეტყოდათ, დღე იყო ეს, ღამე, თუ საღამო. ოთახში სანთლები ენთო, ფანჯრები და სარკეები ფარდაჩამოფარებული იყო.

მამამ, მუდამ ლამაზმა, მაგრამ ახლა მიტკალივით გათეთრებულმა, იგი ხელში აიყვანა და ყრუდ უთხრა:

— გამოეთხოვე დედას, მიშელ!

იგი დაიხარა და ყვაველებით გარემოსილ ცივ სახეზე აკოცა დედას. მას ყელში რალაცა მოაწვა და ხმამაღლა დაიყვირა.

— წაიყვანეთ ბავშვი! — წყნარად თქვა ბებია.

ვილაცამ იგი ხელში აიტაცა და წაიყვანა.

შემდეგ კი დიდი სახლი, სადაც ყველანი ცხოვრობდნენ, დაანგრეს. სახლის თანდათანობით გაქრობას მიშა თვალს ადევნებდა რომელიღაც სხვა— თითქოს აი ამ სახლის ფანჯრიდან... მერე დაიწყო ბებია და მამის ხშირ-ხშირი ჩხუბი და ეს მწარე განშორებანი მამასთან, ნიდაგ რომ უკლავდა პაწაწკინტელა გულს, რომელიც ის-ის იყო იწყებდა სიცოცხლეს.

მას უყვარდა თავისი უთქმელი, ლამაზი მამა. უყვარდა ბებია, ქრისტიანა ოსიპოვნა, ნასტიაც და ივაშკაც.

მაგრამ სულ სხვა გრძნობებს განიცდიდა იგი მუსიე ლევის, მამასახლისისა (ახალი მამასახლისი, რომელმაც ბებიას მიერ გაპანჩურებული შეცვალა, ძველზე ფარსავი არ გამოდგა) და დარია გრიგორიევნას მიმართ.

მუსიე ლევისა მას ძალიან ეშინოდა. საკმარისი იყო ამ უღმობელ ექიმს მისთვის თავისი დიდი სათვალე მიეპყრო, რომლის მიღმაც თვალეები იმალებოდა, რომ მიშენკას შიშისაგან სული ეპარებოდა.

მამასახლისი იმ დროიდან იწვევდა მის გულისწყრომას, რაც მიშამ შეიტყო, რომ მისი ბრძანებით სჯიდნენ ფარდულში შინაყმებს. ერთხელ, როდესაც გაიგონა, როგორ დაუყვირა მან ვილაცას პარმალიდან: „წადი ფარდულში! მე ახლავე მოვალ!“ — მიშამ ხელები დამუშტა და ჭიჭურ ეცა უშველებელ, დანდრაზა მამასახლისს, რისთვისაც ქრისტიანა ოსიპოვნამ დასაჯა — ნახევარი საათით სკამზე დასვა. მაგრამ ყველაზე უფრო ბოროტი მაინც მეკუჭნავე დარია გრიგორიევნა იყო.

— შინაყმები დაშინებული უნდა გყავდეს, — ამბობდა იგი დამრიგებლურად, — და ჭკუას ასწავლიდე. განა შეიძლება შინაყმებს თავისუფლება მისცე. ისინი სულ ერთთავად უნდა როზგო და როზგო.

ეს რომ მიშამ გაიგონა, ისე ხმამაღლა მორთო ყვირილი — „წადი, წადი!“ დარია გრიგორიევნა იძულებული გახდა საბუფეტეში წასულიყო.

მოგვიანებით კი, როდესაც მიშენკა იძინებდა, ნასტია მიირბენდა ხოლმე და თვალცრემლიანი ჩუმად კოცნიდა.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ჩქარა გაზარდე ეს ბიჭი, ჩვენ თავს ეს არავის დააჩაგვრინებს.

მაშინ მიშას ძალიან ეცოდებოდა ნასტია.

ამხანაგებთან თამაშისას იგი უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა, გულფიცხი იყო და იოლად შეეძლო წყენინება.

ვინმეს განაწყენების შემდეგ კი ჩადენილი საქციელი ააფორიაქებდა ხოლმე, რალაც განსაკუთრებული სინანული აიტანდა და თავს უბედურად გრძნობდა.

ერთხელ მიშამ ხის ხმალი გამეტებით ჩაარტყა ივაშკას. ივაშკამ ჩუმად წამოიტირა და ნატკენ ადგილზე ხელი მოისვა.

მაშინ მიშამ სასწრაფოდ გაუწოდა ივაშკას თავისი ხმალი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— დამარტყი, — უთხრა მტკიცედ, — შენც ისე გამეტებით დამარტყი, როგორც მე დავარტყი.

ივაშკამ აქეთ-იქით მიმოიხედა და, როდესაც დარწმუნდა, რომ მათ არავინ უყურებდა, გამოართვა ხმალი და დარტყა. მიშამ კბილი კბილზე დააჭირა, თავის მხრივ ხელი მოისვა ნატკენ ადგილზე და უკვე მხიარულად უთხრა:

— აბა, მოდი ახლა ისევ ვიჩხუბოთ, ოღონდ უიარაღოდ — მარტო გუშინ ტებით.

ერთხელაც ქრისტინა ოსიპოვნა გაანაწყენა.

ქრისტინა ოსიპოვნა ძალზე მგრძნობიარე ქალი იყო. მშობლებისა და „aus Hannover“* სამი დის ჩაშავებული პორტრეტებით დამშვენებული კომოდის უჯრაში შენახული ჰქონდა დიდტანიანი წიგნი, რომლის სახელწოდება გახლდათ „ამბავი ქალწულ მათილდასი“.

მატილდას ამალეღვებულ ბედზე მოუთხრობდა ხოლმე ქრისტინა ოსიპოვნა ნასტიას სადამოობით; მოყოლისას გარკვეულ ადგილებში განიადაგებულად ოხრავდა, გარკვეულ ადგილებში კი ცხვირსახოცი მიჰქონდა თვალებთან.

— და მაშინ ფრეილინა მათილდა ჩემსავით სულ მარტოდმარტო დარჩამთელ ქვეყნიერებაზე! — ჩვეულებისამებრ დაამთავრებდა ხოლმე იგი თხრობას.

ერთხელ, აგვისტოს თბილ სადამოს ქრისტინა ოსიპოვნა ბალის მერხზე იჯდა და ჩვეულებისამებრ თავის წიგნს კითხულობდა. ეს იმ დროს, როცა მიშა დაჟინებით მოითხოვდა გუბურაზე წაჰყოლოდა, სადაც ისინი თაკარა დღეებში დადიოდნენ ხოლმე. ქრისტინა ოსიპოვნამ უარი უთხრა იქ წასვლაზე მაშინ მიშა გაბრაზდა, მის საყვარელ წიგნს ხელი გაჰკრა და მათილდას ცხოვრების ერთი ფურცელი შუაზე გახია.

საცოდავმა გერმანელმა ქალმა ხელი ხელს შემოჰკრა და ელდანაკრავი დააცქერდა დახეულ წიგნს.

— ოი, მიშენკა! — ნალვლიანად უთხრა მან: მერე ხმაში რაღაც თრთოლვა შეეპარა: — **Du bist ein böser Knabe!****

მან შეხედა ფურცლის ნახევს, ქრისტინა ოსიპოვნას დანალვლიანებულ სახეს, მის თვალებს, რომლებშიც სიმწრის ცრემლები ჩასდგომოდა... ყელში რაღაცა მოაწვა, შავგვრემანი სახე გაუფითრდა, ცხვირი ჩარგო ქრისტინა ოსიპოვნას ნაცრისფერი ქვედატანის მოწითალო დიდ უჯრედში და ატირდა.

ქრისტინა ოსიპოვნას შეეშინდა და უმალ მის დაწყნარებას შეუდგა, ცდილობდა თავი აეწევიინებინა.

— აბა, გეყოფა, მიშენკა, — იმეორებდა იგი. — შენ ქარგი ხარ, შენ მეტს აღარ იზამ.

შეხმატკბილებულნი, ხელიხელჩაკიდებულნი მოვიდნენ შინ მიშა და ქრისტინა ოსიპოვნა; სასადილო ოთახში უკვე სანთლებს ანთებდნენ, ხოლო ბებია სადამოს პასიანსს შლიდა.

* ჰანოვერელი (გერმ.).

** შენ ცუდი ბიჭი ხარ! (გერმ.)

მესამე დღე იყო, ივაშკა არ მოდიოდა. მიშას უნდოდა მისი ამხანაგი ღურგალ მაკარისათვის, ივაშკას ბიძისათვის ეკითხა, რომელიც ხშირად უკეთებდა ხოლმე საინტერესო საგნებს: ხან პატარა ნიჩბებიან ნავსს, ხან ტყვეს, ხანაც ხის თოფს. მაგრამ ძია მაკარიც კარგა ხანია რაღაც არ ჩანდა.

პაპანაქება სიცხეში, როდესაც სადილის შემდეგ ყველანი ისვენებდნენ, მიშა ფრთხილად გავიდა შინიდან, პარკს გასცდა და სოფლისაკენ მოკურცხლა.

ივაშკას ქოხის კარი ღია იყო. მიშამ ზღურბლს გადააბიჯა და გაშეშდა. ქოხში ისეთი აუტანელი სიცხე იდგა, თითქოს იქიდან მთელი ჰაერი გამოიდევნაო. მაგიდის თავზე ბუზების გუნდი დაფრინავდა და დაბალი ფანჯრების მინებს აწყდებოდა. ივაშკა მაგიდაზე დადგმული ხის ჯამიდან კოვზით ბურახს ხვრებდა, ხოლო ჭალარა პაპა გაუნძრევლად იჯდა, ხელში კოვზი ეჭირა და გათეთრებული თავი ჩაეჭინდრა.

— ივაშკა! — დაუძახა მიშამ ზღურბლიდან — რატომ აღარ მოდიხარ?

მისი თამაშის მონაწილე ამხანაგი სკამიდან წამოდგა და ნელა-ნელა მიუახლოვდა. მიშას მოეჩვენა, რომ ივაშკას სიარულიც შესცვლოდა და სახეც.

— ჩვენი ბიძია მაკარი მამასახლისმა გაყიდა, — წყნარად უთხრა მან. — აი, პაპა ტირის.

ივაშკა ჩუმად ასლუკუნდა და თვალები სახელოთი მოიწმინდა.

— როგორ გაყიდა? — შიშით იკითხა მიშამ.

— როგორც ყველას ჰყიდიან... მე და პაპა ახლა მარტონი დავრჩით. გადასახადის გადაუხდელობის გამო მამასახლისმა წინასწარ გაყიდა, — კუმტად აუხსნა ივაშკამ.

მიშამ დაბნეულად თვალი გადაავლო ივაშკას მთელ სამყოფელს. პატარა ფანჯრები, გაჭვარტლული კედლები, იატაკის კუთხეში ჯერ ისევ ეყარა ბურბუშელა — ძია მაკარის საქმიანობის ნაკვალევი. მერე მოხუც პაპას გადახედა და შინისაკენ გასწია. გრძნობდა, რომ იგი რაღაცაში დიდად და გამოუსწორებლად დამნაშავე იყო თავისი მეგობრის წინაშე.

იმ საღამოს დიდხანს იჯდა ჩუმად საყვარელ კუთხეში — სასადილო ოთახში ხალიჩაზე. მერე დიდრონი მუქი თვალები ბებიას მიაპყრო და წყნარად შეეკითხა:

— ბებია, მამასახლისს ჩემი გაყიდვაც შეუძლია?

ბებიას ხელიდან კარტი გაუვარდა. მუსიე ლევის ხველა აუვარდა და სათვალე გაისწორა, ხოლო ქრისტინა ოსიპოვნა ისე მსწრაფლივ დაეშვა სკამზე კარის სიახლოვეს, გეგონება, ორთავე ფეხი ერთბაშად წაერთვაო.

— რას ამბობ, მიშენკა, ვინ გასწავლა? — აღელვებული ბებია მუსიე ლევის მიაჩერდა.

მაგრამ მიშამ გაიმეორა:

— შეუძლია... გამყიდოს მამასახლისმა?

— ვინ? შენ?! — გაიმეორა კითხვა ბებიამ და ბავშვის მტკიცე და უცნაურ გამოხედვაზე გაეცინა. — შენი გაყიდვა, ჩემო მეგობარო, არავის შეუძლია, — და კარტი კვლავ თავ-თავის ადგილებზე დააწყო.

— მაშ ძია მაკარის გაყიდვა რატომ შეუძლიათ? — იკითხა მან წყნარად.

— ეს რომელი ძია მაკარი — ივაშკასი ხომ არა? — უმალ დაწყნარდა

ბებია და გადაეხვია. — ივაშკას ბიძია ყმაა, შენ კი, ჩემო მეგობარო, აზნაუ-
რი და მემამულე იქნები: მემამულეებს არასდროს არა ჰყიდიან. ჰყიდიან, მიშენ-
კა, მხოლოდ და მხოლოდ ყმებს.

— შინაყმებს? — დარია გრიგორიევნას ჩვეულებრივი გამოთქმა გააბ-
სუნდა და ბებიას სიტყვა გააწყვეტინა.



— ჰო, შინაყმებს, — უბასუხა ბებიამ.

— კი მაგრამ, რატომ? — ის სადღაც გვერდზე იყურებოდა.

— როგორ თუ რატომ? — ბებიამ ერთბაშად ვერ მოიფიქრა პასუხი. —
იმიტომ რომ ყმები არიან, ჰოდა, ნებას რთავენ ისინი გაყიდონ... და... იყიდონ.

— ვინ რთავს ნებას?

მაგრამ აქ ბებია გაბრაზდა და მოკლედ მოუჭრა.

— როდესაც გაიზრდები, ჩემო მეგობარო, ყველაფერს გაიგებ. ახლა კი
წადი, დაიძინე.

და თავადვე წაიყვანა მალლა დასაძინებლად.

მეორე დღეს დილა ადრიანად შეიჭვრიტა მიშას ოთახში ოქროსფერი
მზის თვალით. კედლებსა და იატაკზე ნელინელ მოძრაობდნენ ფანჯრის მილ-
მა მოქანავე მწვანე ტოტების ჩრდილები.

— მიშენკა! — ალერსიანად დაუძახა ქრისტინა ოსიპოვნამ, რომელიც
სარკის წინ თმის დავარცხნას ამთავრებდა — **Guten Morgen! Die Sonne
leuchtet, und der Himmel ist wunderblau!***

მართლაც დღეს მშვენიერი პირი უჩანდა. სულმთლად უღრუბლო ცაზე
მზე ჩახჩახებდა და ჰაერიც ცისფერი ჩანდა.

მაგრამ მიშენკა ამ დილას დინჯად გამოიყურებოდა. მან საქმიანად ჰკით-
ხა ქრისტინა ოსიპოვნას.

— ბებიაც ადგა?

— **Natürlich**** — მზიარულად მიუგო გერმანელმა ქალმა.

მაშინ მიშამ საჩქაროდ და გულდადებით დაიწყო ჩაცმა.

ბებიამ კი ამ დილით მესამედ მისწერა წერილი პეტერბურგში ნათესავეებს.
იგი მათ სთხოვდა გამოენახათ კარგი გუვერნიორი, თანაც სასწრაფოდ, ვინაი-
დან მისმა შვილიშვილმა თავისი ასაკისათვის შეუფერებელი საკითხებით იწ-
ყო დაინტერესება.

ბებიამ ეს წერილი მუსიე ლევის წაუკითხა და იმანაც საფსებით მოუწონა
განზრახვა.

— მით უმეტეს, — თქვა მან, — რომ მუსიე **le pere**-საც ეს სურდა.

მუსიე ლევი, მიუხედავად იური პეტროვიჩთან თავისი ხანმოკლე ნაცნო-
ბობისა, მისადმი დიდი პატივისცემით იყო გამსჭვალული და ყამიყამ წერი-
ლობით აუწყებდა ხოლმე მიშას ჯანმრთელობის ამბავს, რომელიც ჯერ კიდევ
უამრავ საზრუნავს უჩენდა მას. მუსიე ლევის ღრმა რწმენით, მიშას სისუს-
ტის მიზეზი მეტისმეტად ძლიერი წარმოსახვა იყო, რასაც მიშენკას იმ მიდ-
რეკილებაშიაც კი ამჩნევდა, რომელიც სიცოცხლის პირველსავე წლებში გა-
უჩნდა და რომელზედაც სიცილით უყვარდა ხოლმე მოყოლა ელიზავეტა ალექ-
სეევნას:

— დაინახავს ხოლმე ჩვენს კატა მოტკას და იმეორებს: «**Кошка-окошка**»,

* დილა მშვიდობისა! მზე ანათებს და ცა ხასხასა ლურჯია! (გერმ.)

** რასაკვირველია! (გერმ.)

«Оконшка-кошка»... პირდაპირ გულს გვიწყალებს! ანდა მისა ქრისტინა ოსიპოვნასთან და გერმანულად ეტყვის, როგორც რაიმე ახალ ამბავს: «Кнабе-рабе» «Тиш-фиш»... არც რომ ეცინება, თითქოს ეს მისი გატაცება იყოს, საკვირველია პირდაპირ!

კარი გაიღო და ოთახში მიშამ შემოირბინა. მან სწრაფად აკოცა ბებიას, მიესალმა მუსიე ლევის და თამამად ააცოცდა ბებიას შიშველს. მას კი იმ შემთხვევაში სჩადიოდა ხოლმე, როდესაც რაიმეს თხოვდა მისთვის.

— რაო? ონავარო? როგორ გეძინა წუხელ?

მაგრამ შვილიშვილმა არ უბასუხა კითხვაზე — გამომცდელად და დაფინებულად ჩააცქერდა თვალებში.

— ბებია, სად არის თქვენი ქურანა?

— ერთი ამას უყურე! — გაეცინა ბებიას. — როგორ თუ სად არის? საჯინიბოში! შენ არ იყავი, გუშინწინ რომ ხელით აქამდე შექარი.

— მანამდე სად იყო?

— როდის?

— წინათ! სულ წინათ!

— რას ამბობ, მიშენკა? როდის წინათ? მემამულე მოსლოვთან იყო, იმას მივყიდე.

— შემდეგ?

— შემდეგ დავიბრუნე. შევამჩნიე, რომ ახალი ცხენი უარესი იყო, წავედი მოსლოვთან და დავიბრუნე.

— იმან რატომ მოგცა?

— როგორ თუ რატომ? იმიტომ, რომ მე იმას ფული დავუბრუნე!

— ბებია! — მიმართა მიშამ და წამით სულის მოსათქმელად გაჩერდა. — დაიბრუნეთ ბიძია მაკარი... როგორც ქურანა დაიბრუნეთ!

ბებია გახევდა და თვალს არ აშორებდა შვილიშვილს.

— მამაო ზეციერო, — წარმოთქვა ბოლოს, — ერთი უყურე, როგორ გამაბრძოვა — ჰა! ამას დიდიც ვერ მოისაზრებს: ქურანათი დაიწყო და მაკარს მიადგა!

— მე ხომ გეუბნებოდით! — მედიდურად წარმოთქვა მუსიე ლევიმ. — ამ ბიჭს უკვე საკუთარი სურვილები გააჩნია.

— მე იმას როგორღა დავიბრუნებ? — კუშტად შეხედა ბებიამ მიშენკას. — ის ხომ ჩემი ნებით გავყიდე.

— როგორც ქურანა! — ჯიუტად გააქნია თავი მიშამ.

— რად გინდა ბიძია მაკარი?

— მე მინდა ბიძია მაკარი!

— რას ჰგავს ეს მართლა და მართლა? — სერიოზულად გაბრაზდა ბებია. — ასე თუ მოიქეცი, მალე ხომ შენთან ველარაფერს გავხდები?

— მე ხომ გეუბნებოდით, — კიდევ ერთხელ გაიმორა მუსიე ლევიმ და მედიდური ნაბიჯებით გავიდა ოთახიდან.

მიშენკა კი სულ უფრო ხმამაღლა ტიროდა და ბებიას რჩევა-დარიგება მასზე ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა. ის ქვითინებდა, ცრემლები ახრჩობდა და იმეორებდა:

— სად არის ბიძია მაკა-არი? დააბრუნეთ ბიძია მაკა-რი-ი-ი!

და მიშენკა მანამ ღრიალებდა, სანამ შეშინებულმა ბებიამ არ აღუთქვა.

დღესვე ნასადილევს ცხენებს ეტლში შევაბმევიანებ და წავალ მეზობელთან მაკარის გამოსასყიდადო.

სალამოს საბავშვო ოთახში ნასტიამ მოირბინა და თქვა, მიშენკას საბატონო სამზარეულოში ელოდებიანო. ქრისტიანა ოსიპოვნამ მას ხელი მოჰკიდა და სამზარეულოში ჩაიყვანა. როგორც კი გააღეს კარი, მთლად გაქაღებულნი იყვნენ ბული ივაშკას პაპა, თავად ივაშკა და მათ შუა მდგარი ახალგაზრდა გიანი ბიძია მაკარი ფეხებში ჩაუვარდნენ მას.

შეცბუნებული და დაბნეული მიშა ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს, ბოლოს ივაშკას მიაჩერდა და ჰკითხა:

— მოხვალ ხვალ ჩემთან? მოდი და ვიჩხუბოთ!

— მოპატიუებაც ამას ჰქვია! კარგი გასამასპინძლებელიც რომ გამოხახა! — იცინოდა შემდგომ ბებიაშისი.

თავი 7

თუკი სალამოს ჩაის სმის დროს შორს მიუყრებულ ჰაერში ანაზღეულად ეყვნების ელარუნი მსმის, მიშენკას სასიხარულო მოლოდინით გული გადაუქანდება ხოლმე და გაიტრუნება. ბებიას სახეზე წითელი ლაქები აყრის. ქრისტიანა ოსიპოვნას სიტყვა შუაზე უწყდება და გაოცებული შეპყურებს მას.

ეყვნების ელარუნი ახლოვდება, სულ უფრო ხმამაღალი ხდება, ბოლოს ბარმალთან შეიჭდრიანებს და წყდება: მოხუცი ფოკა აღებს კარს და ხმამაღლა მოახსენებს:

— მებატონე იური პეტროვიჩი მობრძანდა!

და აი, ის უკვე შემოდის, ჯერ ბებიას ემთხვევა ხელზე მოწიწებით და მერე ვაჟიშვილს იხუტებს. მიშა მაგრად, მაგრად ხვევს ხელებს კისერზე და მამის მკერდს თავით ეკონება.

უკვე შუალამე რომ გადავა, იური პეტროვიჩი ბებიას ოთახში შედის.

— მინდა ვიცოდე, — ამბობს იგი მტკიცედ, — როდის მომცემთ შვილს? ბებიას ფერი მისდის, სეკრეტერიდან ქალაღდის დიდ ფურცელს იღებს და სიძეს აწვდის.

— აი, ჩემი ანდერძი... იგი მე შევადგინე, ჩემი ძვირფასი. ჩემი დაუვიწყარი... — ბებია ჩერდება, ცრემლებს ებრძვის, მაგრამ ცრემლები მაინც ღაპაღუბით ჩამოსდის სახეზე. — ჩემი დაუვიწყარი ქალიშვილის სიკვდილის წელს, რომელმაც თქვენს სიყვარულს სიცოცხლე შესწირა, — ამთავრებს იგი მტკიცედ და თვალებში შესცქერის.

იური პეტროვიჩი თავს ხრის, ტუჩებს იკვნეტს და ძლივძლივობით წარმოთქვამს:

— ნუ ღაპარაკობთ ასე... გემუდარებით!

— ამ ანდერძში, — განაგრძობს ბებია შეუბრალებლად, — აღნიშნულია, რომ მთელი ჩემი ქონება — მოძრავიცა და უძრავიც — მიშენკას გადაეცემა, ოღონდ ერთი პირობით: თუკი მას, ვიდრემდის სრულწლოვანი გახდება, ჩემთან დატოვებთ აღსაზრდელად.

იური პეტროვიჩის ტუჩები უთრთის და კარგა ხანს ვერ ახერხებს პასუხს.

— ღმერთო ჩემო! რა საშინელებაა! — ჩურჩულებს ბოლოს.

— იქნებ საშინელებაა, მაგრამ ჩემი შვილიშვილისათვის არა... ამას იქით მას ეკუთვნის მთელი ჩემი სიცოცხლე. თქვენ კი... თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხართ, ბატონო ჩემო!..

— შენ ისევ წახვალ? — ეკითხება მამას მიშა, რომელიც მას მუხლებზე უზის და სამგზავრო კოსტოუმს უთვალთვლებს.

— ჰო, ჩემო მეგობარო, — ნაღვლიანად ამბობს იური პეტროვიჩი, რომელიც მიშენკას ხუჭუჭა თმაზე ხელს უსვამს და ცალი მუხლით ოდნავ აქანებს.

— რატომ?

— ასეა საჭირო, ასეა საჭირო, *mon pet;t...**

— ნუ წახვალ! — ემუდარება ბიჭი მამას და თავს მხარზე ადებს, — სად უნდა წახვიდე?

— ჩემს სახლში, მიშენკა. ის შენი სახლიცაა, ჩემო მეგობარო, იქ, კროპოტოვოში, ტულის გუბერნიაში, — ხელს გაურკვევლად იქნევს იური პეტროვიჩი.

— მეც მინდა... შენთან... გუბერნიაში! — უკვე აცრემლებული ეუბნება მიშენკა და მაგრად ეკვრის მამას.

— როცა გაიზრდები, ჩამოხვალ ჩემთან, — იური პეტროვიჩის ხმა მტკიცედ ჟღერს. — მე თვითონ მოვალ შენს წასაყვანად, ჩემო ბიჭუნა, და ჩვენ ერთად დავიწყებთ ცხოვრებას. ოღონდ თუ არ იტირებ!

მიშამ აღუთქვა, რომ არ იტირებდა. მაგრამ მაინც, როცა მოხუცმა ფოკამ უკვე ეტლში მჯდომ მამას მიუყვანა, როდესაც იური პეტროვიჩმა ერთხელ კიდევ ჩაიხუტა, პირჯვარი გადასწერა, უნებლიეთ ჩამოგორებული ცრემლი მოიშორა, ფრთხილად გადასცა შვილი ფოკას და შეეტლეს უბრძანა — „გასწი!“ — მიშამ შესძახა: „არა არა! ნუ წახვალ!...“ — და მანამდე ტიროდა ხმამაღლა, სანამ ბებია არ გამოვიდა პარმალზე და შინ არ შეიყვანა.

ახლა ბებია დამშვიდებული იყო — შვილიშვილი მასთან დარჩება...

მაგრამ მალე შვილიშვილმა ისევ დაურღვია მყუდროება — თუმცა ამჯერად თავისი ნებით არა. ბებიას საუბედუროდ, მიშა ავად გახდა. მუსიე ლევიმ რომ ნახა მისი წითელი გამონაყარით დაფარული სხეული, გამოაცხადა, წითელა სჭირსო.

ლუმელში შეშას ნელი ტაკატკუცი გააქვს. ქრისტიანა ოსიპოვნას ჩქარ-ჩქარა ამოაქვს თვლები ყაისნალით. ფანჯარას ცისფერი ბინდი ბურავს. ნახევრად დახუჭული ქუთუთოებიდან მიშა ამჩნევს, რომ კარდია ლუმლის აღისფერი ცეცხლის შუქზე მონაცრისფერო-ცისფერი ბინდი მთლად ლურჯი ჩანს. ოდნავ ცისფერდებიან პირველი, ჯერ კიდევ სველი თოვლის ფიფქებიც, განუწყვეტლივ რომ მოფარფატებენ ფანჯრის მიღმა.

მიშას მოეჩვენა, რომ სხეული უსაშველოდ დაუმძიმდა და ხელებიც თითქოს რკინით აქვს შებოჭილი. ჟამიყამ თავის საყვარელ სურათს შეხედავს ხოლმე, რომელიც ოდესღაც მამამ აჩუქა, და ფიქრობს, რომ მასზე დახატული რაინდსაც უმძიმდა პრიალა აბჯარასხმული ხელების აწევა. მაგრამ რა-

* — ჩემო პატარა (ფრანგ.).

ინდი მაინც სწევდა მათ, შუბსაც ტყორცნიდა და ცხენიც მალალ მთებს შუა მოქცეულ ვიწრო ბილიკზე მიჰყავდა.

როდესაც მორჩება, მამას ჰკითხავს, რა ჰქვია ამ მთებს. ან რაინდს რა ჰქვია?.. იქნებ ეს დონ-კიხოტია, რომლის შესახებაც ასე ლამაზად მოუთხრობდა ქრისტიანა ოსიპოვნა?

ეს რაღა ხმაა? ყურს უგდებს. სამოახლო ოთახში მღერიან! რა კარგი სიმღერაა! ჰგონია, რომ ამწამსვე გაიხსენებს იმ ერთადერთ ყველაზე ლამაზ სიმღერას, რომელზე მშვენიერი არაფერია ქვეყნიერებაზე. მაგრამ იმას არ მღერიან... არა: დედამისი სხვა სიმღერას მღეროდა. ამაზე-დაც მამას შეეკითხება. მამას იმასაც ჰკითხავს, რაინდები „შინაყმები“ თუ იყვნენ და თუ შეიძლებოდა მათი ყიდვა, ან თავად თუ ყიდულობდნენ „შინაყმებს“.

მას არ სურს, რომ „შინაყმებს“ ჰყიდდნენ! ეშინოდა, ვაითუ კიდევ გაყიდონ ბიძია მაკარი. უნდა სთხოვოს მამილოს... უნდა უთხრას მას... მიშენკას სულაც არ უკვირს, როცა ახლახან მის გვერდით მჯდომი ქრისტიანა ოსიპოვნას მაგივრად მამას ხედავს, რომელსაც ესოდენ ნატრობდა, და ესმის, როგორ ეუბნება მისკენ დახრილი:

— არაფერია, არაფერი, ჩემო ბიჭუნა, ცოტაც კიდევ მოითმინე, მაშ თქვენ ფიქრობთ, მუსიე ლევი, რომ ეს კრიზისია?

მიშენკას უნდოდა შეეხედა მუსიე ლევისათვის, უნდოდა შეეხედა „კრიზისისათვის“...

მაგრამ ვერ ხედავდა ვერც ერთსა და ვერც მეორეს. იგი კარგა ხნით ბურანში გაეხვია.

თავი 8

პირველმა ქარბუქმა გზები და ველ-მინდვრები სველი თოვლით დაფარა. შემდეგ კი აცივდა, ყინვები დაიჭირა და თოვლის საბურველი გაყინა. ისეთი ლიპი იყო, ორი დედაკაცი, რომელთაც ეზოში, პირდაპირ საბატონოს ფანჯრებთან მოადინეს ტყაპანი, დიდხანს ეხმარებოდნენ ერთმანეთს, გალიბულ, ბორცვებიან ყინულზე ფეხი რომ მოეკიდებინათ და წამომდგარიყვნენ...

აი ამისთანა ამინდში, ადრეული ზამთრის დაღვრემილ საღამოს უნდა ჩამოსულიყო თარხანში პეტერბურგიდან გუვერნიორი, რომელსაც ასე დიდხანს ელოდებოდნენ.

უკვე ღამდებოდა, როდესაც ძალღებმა შორიდან ცხენის თქარათქური გაეგონეს და ჭიშკრის გადაღმა შეწყობილი ყეფა ატეხეს.

ეკიპაჟი ნელა მოადგა ჭიშკარს. ეტლს ძარა დაჭეჭყილი ჰქონდა და ცალი თვალი სადაცაა მოძვრებოდა.

ეტლიდან, რომელსაც გზაში გატეხილი ფარნის აპარპარებული ალი ანათებდა, გამხდარი სახე და კეხიანი ცხვირი გამოჩნდა.

გზად ფათერაჟა გადაეყარნენ: კიდურბმულ ცხენს ფეხი დაუსხლტა, გზისპირა თბრილში ჩავარდა და ეტლი თავის მგზავრიანად თან ჩაითრია. ფხვიერმა თოვლმა, რომელიც ქარბუქმა მობუქა, შეანელა დაცემის ძალა და მგზავრი ზეზე მანამ წამოხტა, სანამ მიმშველბელი მიუსწრებდა. მაგრამ მაინც გვარინად დაშავდა და, რაც მთავარია — ღია ფერის შარვალის მუხლზე გაეხა, რამაც მეტისმეტად შეაცბუნა დაზარალებული.

სასტუმრო ოთახში რომ შევიდა, სადაც გადუღუნებულ ლუმელთან მას ბებია და იური პეტროვიჩი ელოდებოდნენ, მუსიე კაპე დიდხანს უხდიდა ბოდიშს ბებიას, ასე უწესიეროდ ჩაცმული რომ ეახლა და მხოლოდ ამის შემდეგღა თავაზიანად ემთხვია ხელზე, ვაკვრით ახსენა თავისი დაშავების ამბავი და მთელ ამ ფათერაკს მხიარული თავგადასატყუარის მისცა.

— მაგრამ ეს არაფერია, მადამ! *Soyez tranquille!* როცა მოხდა, მოხდა. ყველაფერი ჩავლილია და ჩვენ აქა ვართ, — დაასრულა მან თავისი ამბავი და და იური პეტროვიჩის მიერ შეთავაზებულ სავარძელში დაჯდომა დააპირა.

სწორედ მაშინ აღმოჩნდა, რომ ეს ამოცანა თითქმის განუხორციელებელი იყო: მუსიე კაპეს მუხლს არ სურდა მოხრა და ისიც იძულებული გახდა გამოტენილიყო, რომ სახსარში გვარიან ტკივილს გრძნობდა.

— მაგრამ ეს არაფერია! არხეინად ბრძანდებოდეთ, მადამ! — ამშვიდებდა იგი ბებიას.

მიუხედავად ჩამოსულის დიდი პროტესტისა, მაშინვე გააღვიძეს მუსიე ლევი. მან ნატკენი ადგილი გაუსინჯა, კომპრესი დაადო და სამი დღის განმავლობაში მშვიდად წოლა ურჩია.

მუსიე კაპე დაუყოვნებლივ ზემოთ, მისთვის მომზადებულ ოთახში წაიყვანეს, საბავშვო ოთახის გვერდით.

ბებიასა და იური პეტროვიჩის თანხლებით მალლა რომ აღიოდა და ძლივძლივობით ადგამდა ნატკენ ფეხს, გზად მან თავისი მომავალი აღსაზრდელის ნახვის ნებართვა ითხოვა.

ახალი გუვერნიორი საწოლთან მივიდა და ძალიან დაბლა დაიხარა, ლამის მიშელის აღმურმოდებულ სახეს მიადო თავისი კეხიანი ცხვირი.

— და-და-და!.. — თავი გადააქნია ფრანგმა — *Oh mon pauvre petit lapin!* — წაიჩურჩულა ალერსიანად: მერე ბებიას მიუბრუნდა და დაუმატა: — მაგრამ არხეინად ბრძანდებოდეთ, მადამ! — რის შემდეგ, მგონი, პირველად ცხოვრებაში, ბებია და იური პეტროვიჩი ერთნაირ დასკვნამდე მივიდნენ: ორივემ გაიფიქრა, რომ ახალმა გუვერნიორმა თავად წარმოადგინა თავი საუკეთესო მხრიდან, ვინაიდან ჯერ ერთი საათის მოსულიც არ იყო ამ სახლში და უკვე გამოამყდავანა აღმზრდელის ეგზომ დასაფასებელი თვისებები: ვაჟკაცური მოთმინება, ხასიათის და ქცევის დახვეწილობა და ბავშვების სიყვარული.

ამიტომაც იყო, რომ, როდესაც მეორე დღეს მუსიე კაპემ ბებიას გაუწოდა თავისი სარეკომენდაციო წერილი შემდეგი სიტყვებით: *Le suis recommande, madame, a votre maison par monsieur et madame...* ბებია სიტყვა გააწყვეტინა და გადაჭრით უთხრა:

— მე, გეთაყვა, არავითარი რეკომენდაცია არა მჭირდება, თავადაც ვხედავ!

ამ დღიდან ნაპოლეონის არმიის ყოფილი სერჟანტი, რუსების მიერ ტყვედ ჩაგდებული ფრანგი ჟან კაპე შინაური კაცი გახდა თარხანისეულ სახლში.

* არხეინად ბრძანდებოდეთ! (ფრანგ.).

** ოი, ჩემო საბრალო და პატარა ბიჭო! (ფრანგ.).

*** მაგრამ, მე თქვენს სახლში რეკომენდებული ვარ ბატონ და ქალბატონ... (ფრანგ.).

მიშამ ძლივძლივობით გადაიტანა ავადმყოფობა, მისით გამოწვეული გართულებანი და ახლა ნება-ნება ჩანიერდებოდა.

იური პეტროვიჩი, რომელიც საქმეთა გამო ისევ თავის კროპოტკინში გაიწვიეს, იქ მხოლოდ მას შემდეგლა წავიდა, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისი შვილი ჯანზე მოდიოდა და ბოლოს და ბოლოს აღმზრდელეც კვდა.

ბიჭი ჯერ კიდევ ძალზე დასუსტებული იყო და ამიტომ ხშირად ეტყუებოდა. მხოლოდ ძილ-ღვიძილში ამჩნევდა იმას, რაც მის გარშემო ხდებოდა.

ერთხელ დილით ამისთანა ბურანში ყოფნისას მან ვილაცის გამხდარი პირისასე და კეზიანი ცხვირი დაინახა.

მიშამ თავს ძალა დაატანა და თვალეზი გაახილა. მის წინ პატარა სკამზე უცნობი კაცი იჯდა. ცოცხალი შავი თვალეზი მზიარულად და ცოტა არ იყოს ეშმაკურად უმზერდნენ.

— ვინ არის ეს? — იკითხა მიშამ.

— ეს-ს-ს? — გაიმეორა უცნობმა და გაიღიმა, — ესს — მეგობარი! C'est ton ami!* — მსწრაფლ გადავიდა ის მშობლიურ ენაზე. — შენ ვინლა ხარ? Un pauvre petit lapin, n'est ce pas!** — მზიარულად ჰკითხა მან და ხელი მოუთათუნა პაწაწინა ხელზე, საბანზე რომ ედო.

მიშამ არაფერი უპასუხა. იგი განაგრძობდა უცნობის თვალეზებას, უცნობი კი მას ათვალეზებდა. ბოლოს უცნობმა მზერა რაინდის სურათზე გადაიტანა.

— ეს-სს რალა არის? — ჰკითხა მან და თვალეზი მოჭუტა.

მიშამ მის მზერას თვალეზი გააყოლა და ჩუმი სიამაყით მიუგო:

— ეგ დონ-კიხოტია... ჩემი... პაპის-პაპის-პაპის მამა. მამაჩემს.

აქ მან იგონო, რომ ჯერ კიდევ უჭირს ლაპარაკი და სიტყვებს ურევს. თუმცა ახალი ნაცნობი შესანიშნავად მიუხვდა:

— ო, მე გავიგე! — თქვა მან, — ეს-სს რაინდია! C'est un chevalier! პაპაჩემი mon grand pere-ც un chevalier იყო! როგორ იყო ეს-სს?.. ისიც იღებდა ხელში თავის დაშნას! (მუსიე კაპემ ვითომდა ხელი სტაცა დაშნა). ისიც შეჯდებოდა ხოლმე ერთ ცხენზე! (მუსიე კაპე ვითომ ცხენზე შეჯდა), ისიც იბრძოდა!

Comme ca! Comme ca! — იმეორებდა ის და ენერგიულად უტევედა უხილავ მტერს ხან ერთი და ხან მეორე მხრიდან.

უხილავმა მოწინააღმდეგემ ხალიჩას მიაშურა და დაეცა. მუსიე კაპემ წაქცეულს ფეხი დაადგა, ამაყად გადახედა მიშას და დააბოლოვა:

Et comme ca!***

აი, ასე მსწრაფლივ დაამარცხა მან მტერი და მოინადირა მიშას გული. ბიჭის სრული გამოჯანსაღება დაემთხვა ფრანგ სერჟანტთან მისი მეგობრობის დასაწყისს.

* ეს შენი მეგობარია! (ფრანგ.)

** საბრალო პატარა ბიჭი, პო? (ფრანგ.)

*** ესეც ასე! ესეც ასე! და ესეც ასე! (ფრანგ.)

ზამთრის ნათელ დღეებში, როდესაც პარკის ხეები, ნაზი ბეთრი მარმაშების დარად, თვალდათვალ მსუბუქად იკვეთებოდნენ ცის ცივ ღაყვარზე, მიშას თავისი ფანჯრიდან უყვარდა ხოლმე ცქერა.

განსაკუთრებით ხშირად იჯდა ფანჯარასთან გამოჯანსაღების მყუდრო დღეებში, როცა მისთვის ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა ჰაერზე გასვლა.

მიშას უყვირდა, რომ მუსიე კაპეც, რომელიც წითელათი არ იყო ავად, არ დადიოდა სასეირნოდ. მხოლოდ მოგვიანებითა შეიტყო, რომ მის გუვერნიორს, რომელსაც ვაჟკაცური გული ჰქონდა, ყინვა და თოვლი აშინებდა.

ქარიშხლიან დღეებში, როდესაც ქარბუქი პარკში დათარეშობდა, ბილიკებს ნამქვრით ფარავდა და ფანჯრებს მიღმა თოვლის კორიანტელს აყენებდა. მუსიე კაპეს ხმელ-ხმელი პირისაზე თითქოს კიდევ უფრო უგრძელდებოდა და უსევდიანდებოდა. იგი ფანჯარასთან იდგა და შეჭმუხვნილ წარბებს ქვეშიდან ჩამქრალი თვლებით გამზერდა თოვლს, ქარი ყოველ დაბერვზე რომ მოაფრიალებდა. მუსიე კაპე შეწუბებულად აქნევდა თავს აქეთ-იქით და ხმადაბლა ბუტბუტებდა.

— *Il neige! De nouveau il neige!**

მერე სახეზე ღრმა ფიქრი აღებეჭდებოდა და ჩუმად გაიმეორებდა.

— *ოი, რარიგ იტანჯებოდა! რარიგ იტანჯებოდა!..*

— ვინ?

— ჩვენი არმია! და შემდეგ... შემდეგ ჩვენი იმპერატორი!

— ნაპოლეონი?

— *Oui,*** იმპერატორი ნაპოლეონი, — ფიქრიანად უბრაუხებდა გუვერნიორი, რომელიც ყურს უგდებდა რუსული ქარბუქის ზუზუნს. — ისინი მიდიოდნენ და მიდიოდნენ.. აი, ასეთსავე ქარბუქში... და კვდებოდა — იქ, იმ-მ ბერეზინაზე. იმ ყინულოვან მდინარეზე?

მიშა ხვდებოდა ფრანგის მწუხარებას, რომელიც თავის მეგობრებს დასტიროდა, და ჩუმად უსმენდა მის ბუტბუტს:

— და ის კვდებოდა... *Si loin de sa patrie! Si loin de la France!****

თოვლსა და ყინულში!

მუსიე კაპე გაჩუმდებოდა და თვლებზე ხელს მიიფარებდა. მერე ერთბაშად გამოცოცხლდებოდა და აგზნებულად წამოიძახებდა:

— მაგრამ როგორი არმია იყო! *O, quelle armee!* ყური დამიგდე, მიშელ!..

ფრანგი პატარა სკამს ღუმელთან მისწევდა, ხოლო მიშელი მის გვერდით დათვის თბილ ტყავზე მოიკალათებდა. ცალ ხელზე თავით დაეყრდნობოდა და ისე უსმენდა მუსიე კაპეს; ცდილობდა არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვოდა — არც ფრანგული და არც რუსული, რომლებსაც საუბრისას მისი გუვერნიორი ერთმანეთში ურევდა ხოლმე.

ქარი რკინის სახურავს არახუნებს და ფანჯარას თოვლს აყრის. სამთახლო ოთახიდან ხმადაბალი სიმღერა მოისმის (დარია გრიგორიევნა გოგოებს უბრ-

* თოვლი! ისევ თოვლი!.. (ფრანგ.)

** დიახ. (ფრანგ.)

*** ასე შორს თავისი სამშობლოდან! ასე შორს საფრანგეთიდან! (ფრანგ.)

ძანებდა მუშაობისას ემღერათ, ტყუილუბრალოდ რომ არ ეყბედათ), საბუფეტეში ჭურჭელს აწკარუნებენ, ვინაიდან სადილობის დრო ახლოვდება... მუსიე კაპეს გამხდარი მხრების მიღმა კი მიშას თვალწინ აღიმართებიან ურცხვი პოლკები. ისინი საზეიმო მარშით და მისასალმებელი შეძახილებით ჩაივლიან დაბალ-დაბალი, რუხი ფერის უბრალო სამგზავროსერთუკიანი კაცის წინაშე.

პაერს აზანზარებს მათი შეძახილი: „Vive l'empereur!“^{ნარქუნული}
მაშინ რუხსერთუკიანი და სამკუთხაქუდიანი კაცი მალე^{სწევს} ^{ვატა-}
რა ხელს, მისალმებაზე მისალმებითვე უპასუხებს და დასჭექს:

„Vive la France!“^{**}

პოლკები საზეიმო მარშით მიდიან...

დოლებს დაგადუგი გააქვს.

მისმა არმიამ ქვეყანა ქვეყანაზე გადათელა. არმია მორჩილებდა ამ რუხსერთუკიანი კაცის უსაზღვრო პატივმოყვარეობასა და ძალაუფლების სიყვარულს. არმია მიდიოდა მწვანე ველებზე. მიდიოდა დაკლავნილი მდინარეების ვაკეებზე და არ შეუშინდა მცხუნვარე მზის ქვეყნის — ეგვიპტის — მოძრავ ქვიშრობებს.

პოლკებმა ჩაუარეს პირამიდებს, ათასწლეულობით რომ აჩრდილოებდნენ ცხელ ქვიშრობს. ნაპოლეონის ჯარისკაცები კვდებოდნენ უდრტვინველად, ისე რომ, არ უწყოდნენ, ვის ან რისთვის სჭირდებოდა იმპერატორის დიდება და მათი სიკვდილი.

იმპერატორი კი უფრო და უფრო შორს მიილტვოდა.

— და მან მოინდომა რუსეთის დაპყრობა. მან მოინდომა კრემლის ნახვა! და ეს იყო აღსასრული... დიახ...

მოდიოდა ცივი თოვლი.

და მზეზე ნათლად ელვარებდა საშინელი მდინარე ბერეზინა, სადაც ლამაზ-ლამაზი ფრანგი ვაჟკაცები, არმიის სიამაყენი, ყინულივით ცივ წყალში ცვიოდნენ და ყინულქვეშ უჩინარდებოდნენ.

— Oh, mon dieu!*** — მოგონებათა სიმწრისაგან ამოიკვნესებდა ფრანგი.

ერთხელ მიშამ უჩუმრად ჰკითხა მას:

— თქვენი... იმპერატორი რა იქნა?

— გაიქცა... — მიუგო მუსიე კაპემ და დადუმდა.

ქარი რკინის სახურავს არახუნებდა. ქვემოთ, საბუფეტეში ჭურჭელს აწკარუნებდნენ, სადილის მისართმევად ემზადებოდნენ. ფანჯრის მიღმა კი ქარბუქი დათარეშობდა, პარკის ბილიკებს ნამქერით ფარავდა და ნაპოლეონის სერჟანტის დაობლებულ გულს სევდით ავსებდა.

თავი 10

სულ მალე მიშას გამოჯანსაღების შემდეგ ბებიამ განიზრახა შვილი-შვილი მოსამაგრებლად კავკასიის სამკურნალო წყლებზე, გორიაჩიე ვოდიში წა-

* გაუმარჯოს იმპერატორს! (ფრანგ.)

** გაუმარჯოს საფრანგეთს! (ფრანგ.)

*** ო, ღმერთო ჩემო!.. (ფრანგ.)

ეყვანა; იქვე თავისი მამულიდან, ზედ ჩაჩნების საზღვართან რომ მდებარეობდა, უნდა ჩამოსულიყო ბებია და ეკატერინა ალექსევენი ხასტატოვა.

ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად და ყველა წვრილმანის გამოსარკვევად ბებია მასთან ჩასვლა სთხოვა თავის ძმა აფანასის, რომელსაც რჩევას ეკითხებოდა ხოლმე ყოველი სამძიმო შემთხვევის დროს.

ძია აფანასი, მიშელის საყვარელი პაპა, მხიარულად და მტყუარად ხასიათის კაცი იყო. თარხანში რომ ჩამოვიდა, სადაც ის დაუყოვნებლივ ბებიას წერილის მიღებისთანავე გაემგზავრა, ყურადღებით მოისმინა ბებია გეგმები და მოუწონა კიდევ.

ამის შემდეგ თარხანის ყველა მკვიდრი, ვინც შორ გზას უნდა დასდგომოდა, ძია აფანასის შემოეხვია და შეკითხვები დააყარეს.

ბებიას მგზავრთა დაცვის ახლანდელი მდგომარეობა აღელვებდა.

მუსიე ლევის კავკასიაში მედიცინის მდგომარეობა აინტერესებდა.

ქრისტინა ოსიპოვნას საშინლად ეშინოდა თურქების ზელში ტყვედ ჩავარდნისა.

მიშა კი მხოლოდ ერთს კითხულობდა: როდის წავალთო.

აფანასი ალექსევევიჩმა ქრისტინა ოსიპოვნას უმაღლესად გაუქარწყლა თურქთა ტყვეობის მტანჯველი შიში, მუსიე კაპეს დაჰპირდა, რომ უშოვიდა იმ ფურნალის ნომერს, სადაც კავკასიის წყლებზე საუბარი, ხოლო მიშას შესთავაზა მუშტდამუშტ ეჩხუბა მასთან, რათა ეჩვენებინა, საკმარისად ძლიერი იყო თუ არა ასეთი ხანგრძლივი მგზავრობისათვის და ძალუძდა თუ არა ბებიას დაცვა ჩერქეზებისაგან.

მიშელი ამ წინადადებას უდიდესი მზადყოფნით შეხვდა და უკვე დაიპირა კიდევ თავდაცვითი პოზის დაჭერა, მაგრამ ბებია შებრძოლების დაწყების უფლება არ მისცა.

როგორც კი ყველა საკითხი გადაწყვიტა, აფანასი ალექსევევიჩმა მარხილში ცხენების შებმა ბრძანა, რათა მეზობლებთან წასულიყო ბანქოს სათამაშოდ.

ვიდრემდის ცხენებს შეაბამდნენ, ბებია მოასწრო და მისი აზრი ჰკითხა მაშენკას, აგაშენკასა და ვარიუშას შესახებ.

მაშენკა, აგაშენკა და ვარიუშა ბებიასა და აფანასი ალექსევევიჩის დისწულები იყვნენ და ალბათ ცოდონი იქნებოდნენ, თან რომ არ წაეყვანათ კავკასიის სამკურნალო წყლებზე! მით უმეტეს, რომ ყველა ათორმეტ დღესასწაულზე ისინი აუცილებლად ჩამოდიოდნენ ბებიასთან მისალოცად.

აფანასი ალექსევევიჩმა უმაღლეს კვერი დაუკრა, რა თქმა უნდა, ცოდონი არიანო, რომ აუცილებელია კავკასია ვაჩვენოთ მაშენკასაც, აგაშენკასაც, ვარიუშასაცო, და პრეფერანსის სათამაშოდ წავიდა.

თავი 11

გასამგზავრებლად მზადება გაზაფხულზე დაიწყო, როგორც კი ნაღრუვალი წყლები ჩაიწრიტა. ხოლო რაყამსაც გზები გაშრა, ეკიპაჟთა გრძელი მწკრივი დაიძრა თარხანიდან. ალალს წინ მიუძლოდა ბებია დორმეზი, სადაც მასთან ერთად ისხდნენ მიშენკა და ქრისტინა ოსიპოვნა. სხვა ეკიპაჟებით მიდიოდნენ მაშენკა, აგაშენკა და ვარიუშა, მუსიე ლევი და მუსიე კაპე.

მათ უკან მიჰყვებოდნენ მსახურნი, მსახურთ კი მისდევდა ეკიპაჟი, რომელსაც გზაში საჭირო ნივთები და ხორაგი მიჰქონდა.

გამგზავრების წინაღლით მიშა არაფრით არ წვებოდა. მან მხოლოდ მუსიე კაპეს რჩევა-დარიგებას დაუჯერა, რომელმაც უამბო, ნაბოლეონი ცდილობდა ბრძოლის წინ კარგად გამოეძინაო.

მაგრამ ზუსტად იმ წუთიდან, როგორც კი სამგზავრო დაიძრნენ და ერთიმეორის მიყოლებით დაწალიკდნენ გზაზე, — აი, ამ დროიდან მგზავრობის დამთავრებამდე ფანჯარაში იცქირებოდა და თითქმის არ მოსცილებია მას.

გვიან საღამო უამსაც კი, უცაბედად რომ გაეღვიძებოდა, ბებიას ეხვეწებოდა წუთით ფანჯარა ჩაწიე და დამანახე, რა ადგილას მივდივართო.

გზის ორივე მხარეს პორიზონტისაკენ მიექანებოდნენ ყანების ხან შავი, ხან მომწვანო და ხანაც ხასხასა მწვანე კვადრატები და სწორკუთხედები. ამ კვადრატებსა და სწორკუთხედებზე ალიონიდან დაბინდებამდე შრომობდნენ ახლომახლო სოფლების კაცები და დედაკაცები, სწორედ ისინი, ვისაც მეკუჭნავე ღარია გრიგორიევნა დაცინვით „შინაყმებს“ უწოდებდა.

ბატონის ეკიპაჟებს თვალს მოჰკრავდნენ თუ არა, „შინაყმები“ ქულებს იხდიდნენ, დიდხანს იდგნენ თავშიშველნი და თვალებით მიაცილებდნენ ალაღს. მათ საღამოს არავინ აქცევდა ყურადღებას. მხოლოდ მუსიე კაპე ყოველ მისალმებაზე თავაზიანად სწევდა მალლა შლაპას, და მას რომ უყურებდა, მიშაც იხდიდა ხოლმე ქუღს.

დღეში ისინი დაახლოებით ორმოც ვერსს გადიოდნენ და უკან იტოვებდნენ აურაცხელ ფერად-ფერად კვადრატებსა და სწორკუთხედებს.

მეორე კვირის დამლევს გზა ძნელად სავალი გახდა. კორომები გაქრა, მზით გახურებული მტვრის კორიანტელი უკან მიჰყვებოდა ეკიპაჟებს. ხანდახან, მიშასდა სასიხარულოდ, საავდრო ღრუბელი ჩამოწვებოდა ერთს დაიჭექებდა, გზას თქეშით დალამავდა და ეკიპაჟებს თავს დაუვლიდა ანდა სადღაც უკან დარჩებოდა.

მერე სტეპები გადაიჭიმა, სადაც მოჩანდა ერთმანეთისაგან თანაბარ მანძილზე მიმოფანტული საგუშაგოები. უცნაურ, უჩვეულო ტანისამოსიან ხალხს ხვდებოდნენ. წამდაუწუმ მოისმოდა გაუგებარი ლაპარაკი ანდა უცნობი სიმღერა.

ამ ადგილების ერთფეროვნებამ მგზავრობის უანგარიშო დღეები თითქოს ერთ გრძელ დღედ გააერთიანა.

მაგრამ აი, ერთხელ საკმაოდ გრძელი შეღმართის შემდეგ მოატანა საღამომ, რომელიც სამუდამოდ შემორჩა მიშას მეხსიერებას.

ცხენები შენელებული ნაბიჯით მიდიოდნენ. მიშა გაფაციცებით გამზერდა ნიკლაკნილ-მოკლაკნილ გზას. ერთბაშად მოსახვევს იქით პორიზონტზე გამოჩნდნენ გარინდებული ღრუბლები. ჩამავალი მზით განათებულნი იდგნენ ისინი ცაზე, რომელიც სწრაფად მუქდებოდა. იდგნენ, არც მიცურავდნენ და არც ფორმას იცვლიდნენ. მიშა მიაშტერდა — და წვეტიანი მწვერვალების ქვემოთ დაინახა გაიისფრებული ჩრდილები, გაქვავებულ ლაქებივით რომ გაწოლილიყვნენ. ეს იყო კავკასიის მთავრეხილი და მუსიე კაპემ, რომელმაც უკვე წინდაწინ იგრძნო ხანგრძლივი მგზავრობის დასასრული, მხიარულად შესძახა:

Mais ce sont deja les montagnes!!* ო, როგორ ქარგი არის ის, cette**
 კოკასის მთა!

შუალამე იყო, მიშას რომ გაეღვიძა. ბალიშიდან თავი წამოსწია და ყური
 მიუგდო.

ქვევით ვილაც მღეროდა მისთვის გაუგებარ ენაზე. ზრრრრრრრრ

მიშა უცნობ ოთახში იყო. საიდანღაც მოცისფრო სინათლე შემოდოდა
 და თეთრ კედლებს, თეთრ ავეჯსა და იატაკზე გაფენილ ღია ფერის ხალიჩას
 ანათებდა.

კუთხეში მიდგმულ საწოლზე მძინარე მუსიე კაპეს მუქთმიანი თავი
 მოჩანდა. ოთახში დიდი ტალღასებრ შემოჭრილ ამ მოცისფრო სინათლეზე
 მისი გამზდარი პირისახე მკაცრი და ძალზე ფერმკრთალი ჩანდა.

მიშა ფიცხლავ წამოხტა, ოდნავ გააღო შემინული კარი და პატარა აი-
 ვანზე გავიდა.

მალლა-მალლა მუქ-ლურჯ უფსკრულში ვარსკვლავები ჟიჟიკებდნენ და
 მოცახცახე შუქად იღვრებოდნენ.

სადღაც ურემმა გაიჭრიალა. გუშაგმა ხორხისმიერი ხმით დაიძახა და მას
 შორიდან სხვა გუშაგი შეეხმინა.

ეს სუსტი ხმები მდუმარებაში დაინთქა, როგორც ჭაში პატარ-პატარა
 კენჭები.

მიშამ მკერდზე მიიკრა ხელი. მკერდქვეშ მღელვარედ უცემდა სამყაროს
 სილამაზით მოჩადობული პაწაწკინტელა გული.

თავი 12

მიშას ყველაფერი მოსწონდა ამ მხარეში: ცის მუქი სილაჟვარდეც, ალ-
 ის ხეებიც, ჭადრებიც, ვეება ჩრდილებს რომ ჰფენდნენ, და გადასაწევსახელო-
 რან ჩოხებსა და ნაირფერ ბეშმეთებში გამოწყობილ მცხოვრებთა ჩამოსხმული
 :ღნაგობაც.

შეეძლო საათობით ესმინა ზურნის სევდიანი ხმებისთვის, უსინათლო
 ჭართველი რომ უკრავდა, და გაუთავებლად ეცქირა, როგორ ტრიალებდნენ
 მის ჰანგზე შავგვრემანი და მარდი მოცეკვავენი.

მაგრამ ყველაზე ლამაზი მაინც მთები იყო. იგი მათ სიყვარულითა და
 შიშნარევი გრძნობით გამზერდა. განსაკუთრებით მოიწყენდა ხოლმე იმ დღე-
 ებში, როდესაც მთებს ღრუბლები დაბურავდა. ერთი სული ჰქონდა ახლოდან
 ენახა ის, რაც ბურუსში იმალებოდა. ბოლოს და ბოლოს, ერთ მშვენიერ
 დღეს, რომელიც სამუდამოდ დაამახსოვრდა მიშას, ბებიას დამ — ეკატერინა
 ალექსეევნამ — გამოაცხადა, რომ სალამო უამს, როგორც კი სიცხე იკლებს და
 ცოტა აგრილდება, მაშუკის ძირას, გერმანელთა კოლონია კარასის მხარეს, გო-
 რიაჩევილის მცხოვრებთა მუდმივი პიკნიკების ადგილას წავალთო.

კარასისაკენ მზიარული კომპანია გაემგზავრა. ამ კომპანიაში იყვნენ მიშა-
 სათვის სრულიად უცნობი ადამიანები, ახლახან რომ ჩამოვიდნენ გორიაჩე
 ვოდიში.

* ეს ხომ უკვე მთებია! (ფრანგ.).

** ეს (ფრანგ.)

მიშამ ერთხელ უკვე იმგზავრა ამ გზაზე, მაგრამ ეს იყო დილის ხანმოკლე მგზავრობა ეტლით ბებიასთან ერთად. ამჯერად კი — პირველად თავის სიცოცხლეში — პატარა ცხენით მიდიოდა შორ გზაზე, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან თვინიერი ცხენი იყო, ორივე ბებიაშ საგანგებოდ დაარბივდა მისთვის. გვერდიდან არ მოსცილებოდა მუსიე კაპეს. მართალია, გვერდით მუსიე კაპე ჰყავდა, მაგრამ მაინც სრულიად მარტო მიდიოდა, ყველაზე წინ მიდიოდა ცხენით და პირველად თავისი თავი ლამის დიდი ეგონა. ამიტომაც იყო მის ცხოვრებაში ეს დღე დაუვიწყარი.

მიშას სინანულის ოხვრა აღმოხდა და ისე ჩამოხტა თავის პატარა ცხენიდან, როცა მუსიე კაპემ უთხრა, ყველანი დასასვენებლად გაჩერდნენ და ბებია გიხმობსო.

გზიდან გადაუხვიეს და ყველანი გაშლილ მდელოზე მოკალათდნენ. მიშამ მუსიე კაპეს დახმარებით თავისი ცხენი ხეზე გამოაბა. მწვანე ვარჯებს იქით მან მალალი ყომრალი კლდე დაინახა და ეკატერინა ალექსეევნასთან მიიბრბინა, რათა გაეგო, რა ერქვა იმ კლდეს.

— იქ, მიშენკა, ქვის სამტეხლოებია, იმ კლდეებს აფეთქებენ, — უთხრა კატია ბებიაშ.

დიდ მდელოზე ვახშამი მზადდებოდა. მიშელს სათითაოდ თავისთან უხმობდნენ ბებია, მაშენკა, აგაშენკა, ვარიუშა და ხელში ღვეზელსა და ტკბილულს უტენიდნენ.

მან საჩქაროდ შეჭამა ყველაფერი, რაც მისცეს, მერე ცოტა შეიცადა და რაწამსაც ყველანი დასასვენებლად მოეწყვნენ და აბრიალებულ კოცონს მიიხერდნენ, გორაკზე აირბინა, რათა ქვის სამტეხლოები დაენახა.

მზე ბეშთაუს მწვერვალს გადაღმა ჩადიოდა. იყო ის გაურკვეველი დრო, როცა დღე იწურება, მაგრამ მწუხრისეული ნათელი ჯერაც არ დაშრეტილა და ირგვლივ ყველაფერი ნელინელ იცვლის შეფერილობას. კლდის შორეულ თხემებს, მუხების კენწეროებს და კუნელის ხშირ ბუჩქებს მოლივლივე ოქროსფერი ეფინებოდა და მერე ისიც ქრებოდა, სხვა ალაგას რომ ეფეთქა, გეგონება, ვილაც კლდიდან ხეებზე და მუხა-იფნებიდან ბუჩქებზე მსუბუქ ოქროსფერ ფარჩას ტყორცნისო.

მტრედისფერ ღრუბლებს კიდევები თანდათანობით უვარდისფერდებოდა და მოხაზულობას იცვლიდა.

მიშა მარტოდმარტო იდგა და გარეშემო იყურებოდა. ეს მწუხრისეული სილამაზე სიხარულსა და ლამის შიშსაც კი ჰგვრიდა — ესოდენ სრულქმნილი იყო იგი. მან თავი ასწია და დაინახა, ვეებერთელა არწივმა ჰაერში ნება-ნება როგორ დაარტყა კამარა და სადღაც მალლა გაუჩინარდა.

მერე მოეჩვენა, რომ ვილაცამ ჩუმად დაუძახა. მიტრიალდა და ქვევით ჩაიხედა. ვიწრო ბილიკზე მზის უკანასკნელი სხივი ეცემოდა და ამ სხივში იდგა გოგონა, რომელიც დიდრონი ცისფერი თვალებით პირდაპირ მას უყურებდა.

— მიშელი შენა ხარ? — ჰკითხა მან მხიარულად და სწრაფად გაიქცა მისკენ. თეთრტუფლიან ფეხებს მსუბუქად აბიჯებდა ქვებზე.

— წავიდეთ, — უთხრა მან და ხელი გაუწოდა.

მიშელი არ განძრეულა, უმზერდა გოგონას და გრძნობდა, რომ უფრო მშვენიერი ჯერ არაფერი ენახა თავის სიცოცხლეში. ამ წამის უსაზომო სილამაზით სუნთქვა შეეკრა და ტირილი მოუნდა.

მაგრამ არ უტირია, მხოლოდ უკან-უკან იხევდა სულ უფრო შორს და

შორს მისგან გეგონება, მისმა მშვენიერებამ დააფეთაო. — წავიდეთ, რაღას უყურებ! — გაიმეორა გოგონამ და ხელი მოჰკიდა.

— სად? — წყნარად იკითხა მიშამ და ხელი გაითავისუფლა.

— ქვემოთ, — გაკვირვებით მიუგო მან. — იქ, სადაც კოცონი დაანთეს მაგრამ იგი კვლავ და კვლავ ჩაცხებით შესცქეროდა ფერმკრთალი პირისახიდან გამომზირალი, მუქი, არაჩვეულებრივად დიდგონიერული.

— შენ ვინა ხარ? — ჰკითხა ბოლოს, რადგან არასოდეს არ ენახა ჩამოსულთა შორის.

მაშინ კი გოგონამ თავი ველარ შეიკავა და გულიანად გაიცინა მის დაფეთებაზეც, შეკითხვაზეც და მთლიანად მის უცნაურ შესახედაობაზეც.

აკისკისებული გოგონა მიშას კიდევ უფრო მშვენიერი მოეჩვენა. ახლა ის ჩამავალი მზით ერთიანად გასხივოსნებული იდგა.

და ყოველივე ეს ისე რიგად ლამაზი იყო, რომ მისი პატარა გული ვერ დაიტევდა ამნაირ სრულქმნილებას...

მიშა შეტრიალდა, თავი კლდეს მიაღო, სახეზე ხელები აიფარა და ატირდა. გოგონა ერთხანს საგონებელში ჩავარდნილი იდგა...

მერე საჩქაროდ უკან გაიქცა და მიშამ გაიგონა მისი წკრიალა ხმა, ვილაცას რომ ეძახდა:

— ტირის და არ მოდის! ბიჭია და ტირის!

უმაღლე გაისმა აღელვებული ხმები და გამოჩნდა აღელვებული სახეები. ვილაცის ღონიერმა ხელებმა მიშა აიტაცა და ქვევით კოცონისაკენ გააქანა.

— მე ყოველთვის ვამბობდი, ამ ბიჭს მეტისმეტად განვითარებული წარმოსახვა აქვს-მეთქი, — უთხრა ბებიას მუსიე ლევიმ, შინ რომ დაბრუნდნენ.

კარააში მოგზაურობის შემდეგ მიშა მთელი დღეები იმ გოგონაზე ფიქრობდა, იხსენებდა მათი შეხვედრის ყველა წვრილმანს. მზის მწუხრისეულ შარავანდსაც, დაისისწინა სხივით გაბრწყინებულ ოქროსფერ თმასაც, მის წკრიალა სიცილსაც და უფრო ხშირად მის თვალთა ლურჯ-ლურჯ მზიარულ ციმციმს. თუმცა მას ასე კარგად ახსოვდა ყოველივე, მაინც ეგონა, რომ გოგონა ნამდვილად სიზმარში ნახა და სინამდვილეში არც არსებობდა.

მაგრამ ერთხელ დილით, სეირნობის შემდეგ, მიშა გაცხარებული შეეარდა თავისი ბიძაშვილების ოთახში და სიცილიცა და სათქმელიც პირზე შეაშრა: იქ, პატარა დივანზე, მაშენკასა და აგაშენკას შუაში სწორედ ის გოგონა იჯდა. მიშა კარებში გაჩერდა, გეგონება გაცოცხლებული სიზმრის საოცრება დაინახაო. აღარც მასთან მისვლა შეეძლო და აღარც გაქცევა. იდგა ასე გაუნძრევლად და ჩუმად უყურებდა დიდრონი დაბინდული თვალებით.

— მიშენკა, მიშელ! — ერთხმად დაუძახეს სამივე ბიძაშვილმა. — მოდი აქ, გაიცანი!

ის კი ისევ გოგონას უმზერდა. მის თვალებში კვლავ იგივე, ოდნავ დამცინავი და მზიარული ლურჯი ციმციმი შეამჩნია და გაიქცა.

ოჰ, რარიგ დასცინოდნენ შემდეგში ყველანი, ვისაც კი ბიძაშვილებმა მისი დაფეთების ამბავი ამცნეს.

მაგრამ მას არ ეცინებოდა. მხოლოდ ფითრდებოდა და უფროსებისაგან სადმე მოშორებით გარბოდა. ხანდახან ძალიან ძნელია ხოლმე უფროსებისათვის ზოგიერთი რამის გაგებინება. განსაკუთრებით კი ისეთი რამეებისა, თავადაც რომ არ გესმის კარგად!

ერთ საღამოს ყველანი სახლის წინ ბაღში ისხდნენ და დღის პაპანაქების შემდეგ ისვენებდნენ.

თუთის ხეების იქით მოჩანდა უკაცრიელი ქუჩა უკვე მიუყრებელი ლაქისა.

ელიზავეტა ალექსეევნა ცდილობდა ყურადღებით მოესმინა საშუალონეო ვეგები თავისი მუდამ საქმიანი და დაუღალავი დის ეკატერინა ალექსეევნასი, რომელიც მამაკაცური ფხიანობით უძღვებოდა თავის მამულს და მეტისმეტად ვაჟკაცური და მტკიცე ხასიათი ჰქონდა, რის გამოისობითაც მიიღო მეტსახელი „ავანგარდული მემამულე ქალი“.

ქრისტინა ოსიპოვნას ახალი გერმანული რომანი გვერდზე გადაედო და ეკატერინა ალექსეევნას ქალიშვილს, მარია აკიმოვნას, პაველ პეტროვიჩ შანგირეის ცოლყოფილს, ქალწულ მათილდას ამაღელვებელ ამბავს მოუთხრობდა. მიშა წათვლემილ მუსიე კაპეს გვერდით იჯდა, ფრანგულად კითხულობდა კავკასიაში მოგზაურობის აღწერას და დროდადრო დაცარიელებულ ქუჩას გაჰყურებდა.

ანაზღად ცხენების შორეული, სწრაფი თქარათქური შემაშფოთებელი განგაშივით გაისმა ღამის მღუმარებაში. სულ მალე ორმა შიკრიკმა დაოთხილი ცხენებით გრივალისებრ გამოიქროლა განაპირა სახლის უკნიდან.

— უბედურება ხომ არაფერია? — თქვა ეკატერინა ალექსეევნამ, ტახტაზე გაწოლილ მხედრებს რომ გაადევნა თვალი.

მიშა იმწამსვე ყორეზე შეხტა, საიდანაც ყველაფერს ხედავდა; ისე რომ, ქალწულ მათილდას მძაფრი განცდების ამბავი, რომელიც მონასტრიდან გაიქცა, თავისი მიჯნურისათვის მალამოთი ჭრილობა რომ მოერჩინა, დაუმთავრებელი დარჩა.

— ღმერთო ჩემო!.. — უცაბედად ხმამალა წამოიძახა ეკატერინა ალექსეევნამ. — იმათ ხომ კომენდანტისაკენ გაქუსლეს, კომენდანტი კი აქ, პოლკოვნიკ კაცარევთან ვახშობს; შიკრიკებმა სწორედ მისი სახლისაკენ გააქროლეს ცხენები!

რამდენიმე წუთის შემდეგ შიკრიკები უკვე სახლთან დაქვეითდნენ, სწრაფად აირბინეს პარმალის საფეხურები და გაუჩინარდნენ.

კატია დეიდას მიერ ელვისებურად დაზვერვაზე გაგზავნილმა მსახურმა ბიჭმა ილიუშკამ აუწყათ, რომ რუსების საგუშაგოს თავს დასხმიან მთიელები და სამი კაცი თან წაუყვანიათ მთებში. რამდენიმე რუსს თავი დაუღწევია შეტაკებიდან და სასწრაფოდ მოსულან გორიაჩევოდსკამდე, რათა მომხდარი ამბავი კომენდანტს მოახსენონო.

— მიშელ, შინ შედი! — ხმამალა უბრძანა მუსიე ლევიმ.
ქრისტინა ოსიპოვნამ საჩქაროდ ჩანთაში ჩაალაგა მერხებზე მიშანშლულ-მოშანშლული ნივთები. ძილ-ღვიძილიდან გამოფხიზლებულმა მუსიე კაპემ კი შეიტყო თუ არა მომხდარი ამბავი, მრისხანედ წამოიძახა:

— O-o, ce sont des wepkecl!
მერე ეკატერინა ალექსეევნასთან მიირბინა და გადაწყვეტით უთხრა:
— მომეცით თოფი, მადამ, და ისინი გაიგებენ, თუ ვინ არის ვან კაპე!

* ო, ეს ჩერქეზები! (ფრანგ.).

მიშელი ალტაცებით შესცქეროდა თავის გუვერნიორს. მაგრამ მუსიე ლევიმ, რომელიც სიმშვიდის დამყარებას ლამობდა, შთამბეჭდავად უთხრა:

— არა მგონია, მუსიე კაპე, რომ ამ ჩაჩნებსა თუ ყაბარდოელებს ეყოს თავხედობა ასე ახლოს მოსასვლელად. მაგრამ მე მაინც დაყინებით მოვითხოვ, ყველანი დაუყოვნებლივ შინ შებრანდეთ.

ბებია აჩქარდა და მაგრად ჩასჭიდა ხელი მიშელს, რომელსაც სინანულით დატოვა თავისი სათვალთვალო ყორეზე. შინ შევიდა მუსიე კაპე, რომელიც აივანზე ვაჟარდა. აივანზე ავიდა მუსიე კაპეც, რომელიც ჯერაც ისევ ნანობდა, თოფს რომ არა ჰქონდა.

ათი წლის ბიჭის წარმოსახვა შესძრა ამ ამბავმა, რომელიც სრულიად არ იყო იშვიათი გორიაჩევოდსკის ისტორიაში. ახლა მიშა სულ იმ სამი ტყვის ბედ-იღბალზე ფიქრობდა, მთიელებმა თავისთან რომ წაიყვანეს აულში.

შორეული მთების თხემებმა, რომელთა ცქერაც ძალიან უყვარდა, ახალი ინტერესი გაუღვიძა.

თავს ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე ამნაირი ტყვის ადგილას და ვარაუდობდა, თუ რას იზამდა, ჩერქეზებს რომ ჩავარდნოდა ხელში.

— როგორ ფიქრობთ, დეიდა, — ჰკითხა მარია აკიმოვნა შან-გირეის, რომელიც ძალიან შეიყვარა, — შეიძლება თუ არა ჩერქეზების ტყვეობიდან გაქცევა?

— მე ვფიქრობ, რომ ეს ძალზე ძნელია, — უბასუხა მან, — თუმცაღა ამბობენ, რომ იყო ამგვარი შემთხვევები.

— იყო? — გაიმეორა ბიჭმა ანთებული თვალებით, — მე გავიქცეოდი დავიცდიდი, ვიდრემდის ყველანი დაიძინებდნენ, ავუშვებდი რომელიმე ყველაზე მალ ცხენს და გავაქროლებდი.

მან მარია აკიმოვნას გადახედა, მცირე ხნით ჩაფიქრდა და დაუმატა:

— ან იქნებ აჯობებდა ლამით მდინარე გადამეცურა, მაშინ მხედრებს ჩემს კვალს ვერ იპოვიდნენ. თქვენ რას იზამდით?

— არ ვიცი, მეგობარო, — გაიცინა მარია აკიმოვნამ. — მე არ გამანაწიანია შენნაირი წარმოსახვის უნარი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩერქეზზე გავთხოვდებოდი და აულში დავრჩებოდი საცხოვრებლად, — იხუმრა მან. — იქ იმისთანა სილამაზეა!

— ნუთუ მართლა ასე მოიქცეოდით! — იქვნეულად შეხედა თავის დეიდას. ისედაც დიდრონი თვალები ისე დაეჭყიტა, რომ მარია აკიმოვნამ ხელი ააფარა, აკოცა და თავის შვილებთან წავიდა.

თავი 14

— ბებიკო, თქვენ ისევ დაგავიწყდათ დანაპირები, — უთხრა მიშამ, როცა სუფრიდან ადგა, რომელსაც ჯერაც უსხდნენ უფროსები და დილის ჩაისს მას ამთავრებდნენ. ის აივნის მოაჯირთან მივიდა და შორეთს გახედა.

— რა დანაპირები, მეგობარო, რაღაც აღარ მახსოვს.

— აი, ხომ ხედავთ, ბებიკო, ვიცოდით, რომ ისევ დაგავიწყდებოდათ. თქვენ მითხარით, ბეშთაუსკენ წავალთ როდისმეო. ძალიან მინდა ვნახო იქაურობა, ვანა თქვენ კი არ გაინტერესებთ მის მახლობლად მდებარე აულის ნახვა?

— აულისა? — ბებიამ, რომელსაც ეშინოდა ჩერქეზებისა, შიშნეულად

დადახედა მიშას, იჭვნულად კი ეკატერინა ალექსეევნას, რომელიც ყურს უგდებდა მათ საუბარს და ჩუმჩუმად ეცინებოდა.

— რა აუღია იქ, მიშენკა, იქ აულს რა უნდა? ანდა იქ წასვლა განა შერტლება? იქ ხომ ჩერქეზები არიან!

— იქ, ბებია, აჯი-აუღია და იმ აულში მშვიდობიანი ჩერქეზები ცხოვრობენ, — მტკიცედ მიუგო შვილიშვილმა, — აქედან სულ ახლოსაა შერტლები, გუთაყვა, წავიდეთ!

როდესაც მიშენკა მას ასეთი მავედრებელი თვალებით უყურებს, ბებიას ძალზე უძნელდება უარის თქმა. მან მზერა ისევ დაზე გადაიტანა.

— კატია, პაველ ივანოვიჩს როდის ელოდები?

— დღე-დღეზე.

— აი, მიშენკა, — მტკიცედ გადაწყვიტა ბებიამ, — პავლე ივანოვიჩი რომ ჩამოვა, ჩვენ ყველანი წავალთ ბეშთაუსა და შენი აულის სანახავად. პაველ ივანოვიჩი სამხედრო კაცია, კაზაკთა მთელ პოლკს მეთაურობს — მასთან მეც არ შემეშინდება.

— მაშ კატია ბებიას რატომ არაფრისა არ ეშინია?

— არა, მიშენკა, ხანძრისა საშინლად მეშინია. მაგრამ ამ თავდასხმებისა კი არა — რა არის აქ საშიში? ღამით როგორც კი გავიგონებ, თავდასხმააო, ყურსაც არ შევიბერტყავ, მხოლოდ მეორე გვერდზე გადავბრუნდები და ვიძინებ.

დებმა გაიცინეს. ბებიამ, რომელიც თვალს არ აშორებდა თავის დას კატიას, თქვა:

— აბა, კატია, გააგებინე ერთი შენს შვილიშვილს, რატომ დაგარქვეს „კანგარდული მემამულე“ და რატომ გვყავხარ ამისთანა უშიშარი. ასეთი უშიშარი ხომ პატარაობიდანვე იყავი, ალბათ ამნაირი თუ დაიბადე.

— ოჰ, მიშენკა! — კატია ბებიამ თავი გადააქნია. — ვერ მოესწრო ამ დღეს აკიმ ვასილევიჩი — ის ხომ პაპაშენი იყო. ამისთანა ქმრის ხელში განა შეიძლებოდა ცოლი მშიშარა ყოფილიყო? მის შესახებ თვით სუვოროვი წერდა პატაკში, სიმაძაცით გამორჩეულიაო. აკიმ ვასილევიჩი მონაწილეობდა იზმაილის ციხე-სიმაგრის აღებაში. იქ გამორჩენილი მამაცობისათვის, პოტიომკინმა პოდპოლკოვნიკობა უბოძა. როდესაც გარდაიცვალა, უკვე გენერლის ჩინი ჰქონდა. ის გმირი იყო, ნამდვილი გმირი, შენს პაპებს, სტოლიპინებს ტოლს არ უდებდა. მან რიმნიკის ბრძოლაშიც გამოიჩინა თავი, მერე და როგორ გამოიჩინა!..

— კატია ბებია, მაინც როგორ გამოიჩინა?

— მეგობარო, სალამოთი, ძილის წინ, მოდი ჩემთან — ბევრ რამეს გიამბობ. ჩემი ანუშკა იმას დაემგვანა, ყაჩაღანა გოგოა, ტყუილად კი არ მივათხოვე პეტროვს. ამჟამად მისი ქმარი მოზდოკის პოლკს მეთაურობს. ის კი, ჩემი ქალიშვილი, უბელო ცხენს კაზაკზე ნაკლებ როდი დააჭენებს. შვილები სხვანაირები გამოუვიდნენ. ისინი ჩემი მაშენკას, შენი მეგობრის მსგავსნი არიან, სამხედროებად არ გამოდგებიან, — სიცილით დაასრულა ეკატერინა ალექსეევნამ, — მაშ ასე, სალამოთი მოდი ჩემთან.

მიშამ დაძაბული ყურადღებით მოისმინა კატია ბებიას ნაამბობი პაპის გმირობის შესახებ და მოუთმენლად ელოდა პაველ ივანოვიჩ პეტროვის ჩამოსვლას, რომლის ცოლი გახლდათ ბებიას ქალიშვილი ანა აკიმოვნა.

ბოლოს პეტროვი მთელ ჯალაბობასთან ერთად ჩამოვიდა და ეკატერინა

ალექსეევნა ხასტატოვას სახლი გაივსო ყველა ასაკის სტუმრებითა და ნათესავებით. ბებია ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა ასეთ მრავალრიცხოვან საზოგადოებასთან ერთად გაესეირნა ბეშთაუს მხარეს, აჯი-აულში შორიანლოს თუმცაღა აულთან მიახლოებაზე ამჯერადაც უარი განაცხადა.

მაგრამ მაშინ, გულდაწყვეტილ მიშას სასიხარულოდ, პაველ ივანოვიჩმა აუწყათ, აჯი-აულში ყველანი წავალთ, წავალთ აუცილებლად, რადგან 15 ივნისს საყოველთაოდ ცნობილი მუსულმანური დღესასწაული ბაირამობაა და ამ დღეს მთელი გორიანეოდსკის საზოგადოება მიემგზავრება ჩერქეზებთან აჯი-აულში.

თავი 15

მიშა ბაირამობამდე დარჩენილ დღეებს ითვლიდა. ბებია წინდაწინვე ხვეწნით დაიყოლია, რომ ეტლით კი არ წავიდოდა, არამედ ისევ საკუთარი საჯდომი ცხენით, რომელიც ეკატერინა ალექსეევნამ აჩუქა. როგორც იქნა, ეს დღეც დადგა. დილით რომ გაიღვიძა, ანაზღეულად გაიფიქრა, შესაძლებელია ამ დღესასწაულზე ის ცასავით ლურჯთვალეა გოგონაც იყოსო.

აჯი-აულისკენ მგზავრობისას ძია პაველ ივანოვიჩ პეტროვმა, რომელიც ამჯერად ასევე ცხენით მიდიოდა, მიშენკას დაჟინებულ შეკითხვებზე პასუხად უთხრა, რომ სიტყვა „ბაირამი“ თურქულია და „დღესასწაულს“ ნიშნავს. ამ დღესასწაულს კი მუსულმანები თავიანთი შოვალის თვის პირველ სამ დღეს იხდიანო.

— ვფიქრობ, ამ დღესასწაულზე ახლა შორაც იქნება. ის ხომ ამ აულში ცხოვრობდა, — თქვა პაველ ივანოვიჩმა, — ჰოდა, აუცილებლად გაჩვენებ.

— რომელი შორა? ვინ არის? — უმაღ შეეკითხა მიშა.

— შორა ნოგმოვი — შესანიშნავი ადამიანი და აქაური სახელგანთქმული პირია. თავდაპირველად მოლა იყო, მერე სამხედრო სამსახურში გადავიდა ჩვენს ჯარში. მაგრამ, რაც მთავარია, პოეტია, რამდენიმე ენა იცის.

პაველ ივანოვიჩმა ოდნავ მოსწია სადავე და მისი ფეხმალი ცხენი წინ გაიჭრა, ასე რომ მიშა და მუსიე კაპე გვარიანად ჩამორჩნენ მას.

არა, ამისთანა ლამაზი სანახაობა მიშას ჯერ არასოდეს ენახა! იგი აქეთიქით იცქირებოდა, დაბნეული, გაშტერებული, და აღარ იცოდა, რაზე შეეჩერებინა მხერა.

ამაყად ყელმოღერებულ ცხენებს, კოხტა ფეხები რომ ჰქონდათ, ანავარდუბდნენ მხედრები, რომელთაც ღია ფერის ბეშმეთები ეცვათ და წელზე მოელვარე ძვირფასი იარაღი ერტყათ.

ეროვნულ სამოსელში გამოწყობილი ჩერქეზი ქალების თეთრი საბურველები, პეტერბურგელი და მოსკოველი მაღალი წრის მანდილოსანთა პარიზული შლიაპები, სამხედრო მუნდირები, აქსელბანდები, აქა-იქ წითელი მენტრიკები გზად შემოვლილი ჰუსარებისა, ჩერქეზული ფაფახები — ეს ყველაფერი ერთად ათქვეფილიყო იმ ბრბოში, რომელიც დგანდგარებდა და ჯიგიტთა დოღის მოუთმენელ მოლოდინში სახელდახელოდ დადგმული კარვების გარეშემო ირეოდა.

ჯიგიტებს კი უკვე დაეკავებინათ თავიანთი ადგილები, თავმოქმედდნენ ხინენ ვერცხლით მოჭედილ, სახეებიან ასალებზე დადგმულ უნაგირებზე და

ხელის გადასმით აწყნარებდნენ თავიანთ ცხენებს, რომლებიც ლაგამს ხრავდნენ.

და აი, დღესასწაულის გამრიგებაც მისცა ნიშანი. წუთიც და მხედრებიც ცხენებს გააქროლებენ.

მიშამ სული განაბა... თითქოს გაშეშდა, მხოლოდ აღფრთოვანებით ანთებელი თვალები გაუბოდა ხან ერთი და ხან მეორე მხედრისაკენ მათგანს სათითაოდ უთვალთვალებდა. ღმერთო ჩემო, რაებს არ სჩადიან ისინი!

მხედრები გაჭენებული ცხენებიდან ხტებიან, მიწაზე დაგდებულ ფულს იღებენ და ისევ უნავირებზე ექცევიან; მერე ერთბაშად ძირს ჩაეკიდებიან და წუთის შემდეგ ისე მარდად მოახტებიან თავიანთ ცხენებს ზურგზე, გეგონება, მათმა სხეულებმა წონა დაკარგესო; გაჭიმულები დგანან ცხენთა ზურგებზე, შურდულივით მიჰქრიან და ამაყად თავაწეულნი ნელი ხორხისმიერი შეძახილებით ტაშის გრიალში ამთავრებენ გამალებულ ჯირითს.

მაგრამ აი, იწყება შეჯიბრება დიდ დოღში. შორს, სადღაც მლაშე ტბისაკენ მიჰქრის ოცდაორი მხედარი. ნეტა პირველი რომელი მოვა უკან? დოღის სასწორის სამეთვალყურეოდ რამდენიმე უზღენი გაგზავნეს. ამ დროს კი გაშლილ მღელღებზე მეორე მხრიდან ტაატით გამოდის ათი ჩერქეზი ქალი, რომელთაც შავ დალალებზე თეთრი გამჭვირვალე საბურველები ახვევიათ. იანი ნება-ნება შემოდინან წრეში და თანდათანობით ერთფეროვანი მუსიკის ტემპის ზრდის შესაბამისად, აჩქარებენ ნაბიჯს. დიდხანს გრძელდება ეს ცეკვა და საოცარი ის არის, რომ არც ერთი მოცეკვავე ერთხელაც არა სწევს მაღლა მიწას დაჩერებულ თვალებს.

მომდევნო ცეკვაში ხელიხელ ჩაჭიდებული ქალ-ვაჟები დიდ წრეს კრავენ და ასევე ნება-ნება მოძრაობენ ერთფეროვანი მუსიკის ხმაზე. ხან მიუახლოვდებიან წრის შუაგულს, ხანაც უკანვე მიიქცევიან. მაგრამ აი, ამ ნელინელ მოღივლივც წრის შუაგულში ცეცხლის გრიგალივით შემოიჭრება ჭაბუკი ჯიჯიტი. მისი ცეკვა მსუბუქი და მძაფრი მოძრაობების გრიგალია! იგი მოქნილი ფეხებით თითქოს დაფრინავს წრეში, მერე ერთბაშად ცერებზე დგება და ასევე ფრენით აგრძელებს ცეკვას. შავგვრემან პირისახეზე თვალები უელავს.

მიშა ალტაცებისაგან ყვიროდა და სხვებთან ერთად ტაშს უკრავდა. მღელღარებისაგან სულ მთლად გაწითლებული, სიცილითა და ტაშისკვრით ბებიასაცენ მიტრიალდა... ერთბაშად სიცილი პირზე შეაშრა და ხელები ძირს დაუშვა: იქ, ბრბოს უკან, ღია ეტლში იდგა მაღალ-მაღალი მანდილოსანი, რომელსაც სწორედ იმ გოგონასათვის მხარზე ჩაეჭიდა ხელი... მას ღია-ვარდისფერი მსუბუქი კაბა ეცვა და, თვალვდაჭყეტელი, ცნობისმოყვარედ იმზირებოდა ირგვლივ. მიშა დიდხანს თვალს არ აშორებდა გოგონას, იმედოვნებდა, რომ ეს ლურჯი თვალები წამით მაინც მიაჩერდებოდნენ მას. მაგრამ, სამწუხაროდ, დარწმუნდა, რომ ამ თვალისმომჭრელ ფერებით მოთინათინე მხიარულ ბრბოში გოგონამ ვერ შეამჩნია იგი. მიშამ უჩუმრად ამოიოხრა და მიტრიალდა. ამასობაში უკვე უკანვე მოჰქროდა ოცდაორი ჯიჯიტი: ყველაზე წინ შურდულივით მოფრინავდა ერთი ცხენი და ხალხი ალტაცების შეძახილებით ესალმებოდა მას.

შეძახილები რომ მიწყდა, მიშამ მაშინლა გაიგონა, ბიძია პაველ ივანოვიჩი რომ ეძახდა „მიშენკა! მიშელ!“

ბიძია პაველ ივანოვიჩის წინ იდგა მაღალ-მაღალი, ტანადი კაცი, შავ-

გვრემან პირისახეზე ცოცხალი თვალეზი რომ უელავდა. როცა მიშამ მათთან მიიღბინა, პაველ ივანოვიჩმა ხელი მხარზე დაადო და უთხრა:

— აი, შორა, ეს ჩემი დისწული მიშა ლერმონტოვიამ ხნის განმავლობაში მან ისე შეიყვარა ყოველივე კავკასიური, რომ ყაბუღსაა საერთოდ დარჩეს აქ. ხომ მართალია, მიშელ? — გაიცინა ბიძიამ.

მაგრამ მიშამ პასუხად მხოლოდ გაიღიმა, იგი ^{შორა ნოგმოვის ცქერი} იყო გართული: მან შენიშნა, რომ ყაბარდოელს ბევრი უჭვრეტდნენ და ერთიმეორეს თითოთ მიანიშნებდნენ მასზე.

— შორა, კარგა ხანია რატომღაც ჩვენთან აღარ ყოფილხართ, — უთხრა ბიძია პაველ ივანოვიჩმა. — მალე ჩამოდით და გვიამბეთ რაიმე თქვენი კავკასიის ისტორიიდან — ეს ბიჭი ბედნიერი იქნება მისი მოსმენით და ერთი სიტყვაც არ გამოეპარება თქვენი ნაუბრიდან.

— აუცილებლად ჩამოვალ, — ნოგმოვი ოდნავ კავკასიური აქცენტით ლაპარაკობდა. — ახლა კი მოუსმინეთ ჩვენს შესანიშნავ მომღერალს — ქერიმ გირეის, ყველაზე სახელგანთქმულ მომღერალს მთელ იმიერყუბანში. თავისი სიმღერების აკომპანემენტს თვითონვე ასრულებს. ამ სიმღერების უმრავლესობასაც თავადვე თხზავს.

მიშამ დაინახა, რომ წრის შუაგულში უკვე დაედგათ ხალიჩაგადაფარებული სავარძელი. საუცხოო აბრეშუმისსირმიან მოკლე ხიფთანში გამოწყობილი მაღალ-მაღალი კაცი ნება-ნება მიუახლოვდა მას. ხელში არფის მსგავსი საკრავი ეჭირა.

და აი, ჩამოვარდნილ სიჩუმეში გაისმა პირველი ჰანგები: ეს გახლდათ რაღაც უბრალო და უცხო მელოდია, აღვსილი გასაოცარი ხიბლითა და სევდით. მას ხან სიმღერის სიტყვები ახლდა, ხანაც უიმისოდ ჟღერდა. მაგრამ გაუგებარი სიტყვებიც, რომელთაც წკრიალა და ნაზი ხმა მღეროდა, ისერიგად იყო აღვსილი ხან მრისხანებით, ხან მწუხარებით და ხანაც სიყვარულით, კაცი იფიქრებდა, სადაცაა მათი აზრი სრულიად ნათელი გახდებოდა.

მიშა ყურს უგდებდა ხორხისმიერ ბგერებს, უმზერდა თითქოსდა თხელს საჭრისით გამოკვეთილ და მუქი, სხივმფენი ორი დიდრონი თვალით გაბრწყინებული პირისახის კეთილშობილურ ნაკვთებს და ყველაფერი დავიწყებოდა. ისეთი დიდი აღტაცება იხატებოდა ბავშვის თვალეზში, რომ სახელგანთქმულმა მომღერალმა გაუღიმა უცნაურ რუს ბიჭუნას.

მიშენკამ ვერ შეამჩნია როგორ დამთავრდა სიმღერა. ახლა მის გვერდით ახალი ნაცნობი შორა ნოგმოვი იდგა, რომელმაც ღონიერი ხელეებით მიშა მაღლა აიტაცა ჰაერში, მერე მიწაზე ჩამოსვა და უთხრა:

— მე მალე ჩამოვალ და ყველაფერს ვიამბობ, რაზე მღეროდა ეს მომღერალი. გინდა?

— ჰო, ძალიან! — წყნარად მიუგო მიშამ.

შორა ნოგმოვმა დანაპირები შეასრულა. ხასტატოვების სახლში რომ ჩამოვიდა, იმდენი კავკასიური ამბავი და ლეგენდა მოუყვა, რომ ეს დღე მიშასათვის ახალი დღესასწაული იყო.

შორამ ისიც უამბო, თუ რას მღეროდა მომღერალი ბაირამობაზე. იგი უმღეროდა ყაბარდოელთა საყვარელ გმირს, „შავგვრემან და რკინის თვალეზა სოსრუკოს“, რომელიც ქვაში დანთებული ცეცხლიდან გაჩნდა და შვიდჯერ

ადუღებულ წყალში გამოიბრძმედა. უმღეროდა კიდევ სიყვარულს, განშორების ვაებას და მშობლიური მთების სილამაზეს.

სალამოს კი შორა მიშასთან ერთად ავიდა გორიაჩაია გორაზე, რომლის ღერდობზეც იდგა ხასტატოვას სახლ-კარი. აქ ისინი პატარა მერხზე ჩამოსხდნენ. შორამ ბიჭუნას თავისი პოემის შესახებ უამბო, რომელიც თოვლიან მწვერვალებზე დაბინადრებულ მთათა დიად სულს, ყველა ქარის მბრძანებელს ეძღვნებოდა.

მეორე დღეს, სალამოს, მიშა მარტოდმარტო იდგა გორიაჩაია გორაზე. იდგა და იხსენებდა ყველაფერს, რაც შორამ უამბო, იხსენებდა სახელგანთქმული მომღერლის სიმღერების ნაღვლიანსა და უცხო მელოდიას და ფიქრობდა იმაზე, რა გასაოცარი მხარე იყო ეს კავკასია.

თავი 18

ნუთუ მართლა უკვე მოატანა უკანასკნელმა დილამ კავკასიაში ყოფნისა! მიშა აივანზე გავიდა და რა ნახა, მთებს ნისლი შემოხვეოდა, გულშეკლებული ჩაჯდა სამგზავრო კარეტაში — ალაღის თავში რომ იდგა. ეკიპაჟების რაოდენობა ამჯერად გაზრდილიყო: ბებიას საყვარელი დისწული მარია აკიმოვნა შან-გირეი თავის ვაჟიშვილ აკიმთან ერთად ტოვებდა კავკასიას, რათა ბენზის გუბერნიაში, სადმე თარხანის სიახლოვეს დასახლებულიყო.

აი, ისევ ის ნაცნობი სურათი — აწ უკვე მომკილი ყანების სწორკუთხედები — ხან რომ ხეებისაკენ ჩარბოდნენ, ხანაც სერების კალთებზე გადაიჭიმებოდნენ და ბორცვიდან ბორცვზე მიექანებოდნენ ჰორიზონტისაკენ, სადაც ლურჯად მოჩანდა ტყეები.

მრავალი დღის მგზავრობის შემდეგ შემოდგომის ერთ თბილ დილას მიშა სვეულებრივზე ადრე გამოადვიდა რაღაც მსუბუქმა ბიძგმა.

— მივედით? — თვალების ფშვნეტით შეეკითხა ბებიას.

— ცხენების დასარწყულებლად გავჩერდით, — უთხრა ბებია, — დაიძინე, მიშენკა.

მაგრამ მიშამ თვალები გაახილა და სმენად იქცა. მალლა, მის თავს ზემოთ, რაღაცა წყნარად ხმაურობდა. ხმაური ხან მიწყდებოდა, ხანაც ძლიერდებოდა, დორმეზის სახურავს რაღაც სუსტად უკაკუნებდა.

სასწრაფოდ სარკმელი ჩამოსწია და თავი გაყო.

ეს არყის ხეები შრიალებდნენ სოფლის ბოლოს, ჭასთან!..

რა ხანია არყის ხეები აღარ ენახა! ერთიან ოჯახად ხარობდნენ ისინი გზის პირას, გაყვითლებულ ტოტებს აშრიალებდნენ და ფოთოლი სცვიოდათ. მიშამ ბაცი ყვითელი ფოთოლი დაიჭირა, მერე ისევ ქარს გაატანა და ჰაერი შეისუნთქა. ჰაერს ცოტათი კვამლის სუნი დაჰკრავდა, კვამლს კი — ახალ-გამომცხვარი პურისა.

— ჭვავისას აცხობენ! — მთქნარებით თქვა ბებია, — ახალი ხორბლისას... ღმერთო, მოსავლიანი წელიწადი მიეცი სუყველას!

სარკმელი დაიხურა. ალაღმა გზა განაგრძო.

მიშა თვლემდა. ეტლის რიტმული სვლა, გზის პირებზე ჩარიგებულ არყის ხეთა დამატკობელი შრიალი და კიდევ მისთვის რაღაცა ახალი თბილი გრძნო-

ბა, მშობლიური სახლის, მამულისა და მშობელი მიწის, ტკბილ ძილსა
 ჰგვრიდა.

— რა არის ეს? — მიშა გაკვირვებით უყურებდა თარხანის სახლს: სახ-
 ლი დაბატარავებულიყო! მის საბავშვო ოთახში და მუსიე კაპეს ოთახშიც
 აუტანელი სივიწროვე იყო! ჭერიც ისე დადაბლებულიყო, შალე სკამზე შემ-
 დგარი ხელით მისწვდებოდა.

სარკეში კი, სასტუმრო ოთახის დიდ სარკეში, მიშას წინ იდგა ზაფხუ-
 ლის მერე შესამჩნევად გაზრდილი ბიჭი, და როდესაც ამ ბიჭმა იდაყვში მოხ-
 რილი ხელი გამოუწოდა, სახელოს ქვეშ სიამაყით მოისინჯა, მისი აზრით, საყ-
 მაოდ ძლიერი კუნთები.

ბიჭს შავგვრემანი პირისაზე ჰქონდა, ნაზად მოხაზული ტუჩები, უჩვეუ-
 ლოდ დიდი და შავი — სამხრეთული — თვალები, ოდნავ ფართო ღაწვები
 და ჭერაც ბალღურად აბზეკილი ცხვირი. მოხუჭუჭო შავ თმაში, ზუსტად შუბლს
 ზემოთ, ქერა კულუღი მოუჩანდა. ბიჭი ერთხანს იდგა, სარკეში იყურა, მერე
 ეს კულუღი ჩამოიწიწკნა და გაიქცა.

თავი 17

თბილი შემოდგომა იდგა, ქარიც ზაფხულისა გეგონებოდა. მაგრამ მუსიე
 კაპე კავკასიურ სიცხეებს ნატრულობდა და უკვე იფუთნებოდა ყელზე შე-
 მოხვეულ დიდ კუბოკრულ შარფში. ასე შეფუთული სეირნობდა მიშასთან
 ერთად გრძელ ხეივანში მზიანი შემოდგომის ნათელ დღეებში.

ერთი ასეთი სეირნობისას მუსიე კაპემ ნაძვის ხის ქვეშ ორი მჭადა სოკო
 იპოვა და მას მერე მოულოდნელად ძლიერ შეუყვარდა სოკოების კრეფა.
 კრეფდა უდიდესი გულმოდგინებით და მოხდენილადაც კი. პატარა დანით
 ფესვებს დაატრიადა და მერე სადილობაზე დიდი სიამოვნებით და სიამაყით
 შეექცეოდა საკუთარი ხელით მოკრეფილ სოკოს, თუმცა მისი ფრანგული კუჭი
 უფრო ქამა სოკოს იყო მიჩვეული, ვიდრე რუსულ მჭადა სოკოს. მუსიე კაპეს
 განსაკუთრებით წითელთავა ვერხვისძირა ახარებდა.

— *Le chapeau rouge!* — ეძახდა იგი მიშელს — *Et voila encore!* —
 მერე, როცა თავის აღსაზრდელს მაგართავიან წითელ ვერხვისძირას დაანახ-
 ვებდა, ღიმილით დაუმატებდა:

— ძალიან ქარგია, *n'est ce pas?** ასეთი მზიარული, წითული ქუდი
 არა? — და კალათაში აწყობდა „მზიარულ სოკოებს“.

შემოდგომის ფოთლებსაც ასევე დიდ აღტაცებაში მოჰყავდა მუსიე კაპე.
 მიშასთან ერთად სეირნობიდან შინ რომ ბრუნდებოდა, მთელი ერთი იღლია
 მოჰქონდა ხოლმე ჩალისფერი, ცეცხლისფერი და მეწამული ფოთლებისა.
 ცნობისმოყვარე სოფლელი ბიჭები ხეებს მოფარებულნი უთვალთვალდნენ
 სასაცილო მუსიეს, რომელიც როგორც კი სოკოს ან დიდ ფოთოლს იპოვიდა,
 მზიარულად დაუძახებდა მიშელს: „*Encore!*“ და მონაპოვარს დაანახებდა.

ივაშკაც, რომელიც ზაფხულის მერე ძალიან გაზრდილიყო, დიდგულად

* წითელი ქუდი! აი კიდეც! (ფრანგ.)

** ხომ მართალია? (ფრანგ.)

მიუახლოვდებოდა მუსიე კაპეს, მოწყალე სახით გაუწოდებდა მეწამულ ფო-
თოლს ან წითელ სოკოს და ეტყოდა:

— აი, კიდევ ერთი ანჭორი! — და აუწყებდა მუსიე კაპეს, რომ ტყეში
მდინარის გადაღმა „ეს ანჭორები უამრავია!“

მუსიე კაპე გამოართმევდა სოკოებსა და ფოთლებს და იმეორებდა: „ეს ანჭორები უამრავია!“

— O, merci! ზალიან მადლო-ბ-ბა!.. — და იღიმებოდა.

ივაშკა ხშირად ახლდა მათ სეირნობისას და მერე პაპას ეუბნებოდა ხოლ-
მე, ფრანგმა ჩვენებური ლაპარაკი არ იცის და სახელიც ჩვენებური არა აქვს,
თორემ ისეთივე იქნებოდა, როგორც ყველა ადამიანიო.

სოფლებშიც მალე მიეჩვივნენ ფრანგს. ახლა უკვე, როგორც კი თვალს
მოკრავდნენ ამ აწოწილ კაცს, ყელზე კუბოკრული შარფი რომ ჰქონდა შე-
მობვეული, ქუდებს წაიძრობდნენ, თუმცა მდუმარედ ესაღმებოდნენ, ვერ
ბედავდნენ მისთვის სახელით მიმართვას. მართლაც ძალიან საკვირველი სა-
ხელი ერქვა!

მაგრამ ერთხელ მუსიე კაპემ მიშელს უთხრა, რომ მამა ბაზილს მეძახ-
დაო. მიშელმაც დაუყოვნებლივ აუწყა ივაშკას, მუსიე კაპე უბრალოდ ივან
ვასილევიჩიაო.

ივაშკა სახტად დარჩა და ეს ახალი ამბავი უმალვე მთელ სოფელს მოს-
დაო. ამის შემდეგ შორეული კომლის გლეხმა, რომელმაც მუსიე კაპე კორომში
ნახა სოკოებით სავსე კალათით, თქვა:

— ეტყობა, ივან ვასილევიჩს ღმერთი წყალობს, სოკოები გამოუგზავნა,—
და ქუდი მოიხადა.

მუსიე კაპემაც ფრიად ზრდილობიანად მოიხადა ქუდი და მიშელს უთხ-
რა, თარხანელი გლეხები ძალიან თავაზიანი ხალხიაო.

— Tres, tres aimables!* — გაიმეორა მოწონების ნიშნად.

თარხანელი გლეხებიც დიდ ინტერესს იჩენდნენ ფრანგის მიმართ: მათ
ჭერაც არ დავიწყებოდათ ბონაპარტთან გარდახდილი ომი.

ახსოვდა იგი ივაშკას პაპასაც, რომელსაც ცხოვრებაში ბევრი რამ ჰქონ-
და გადახდენილი. ამიტომაც შეეხვეწა შვილიშვილს, რამენაირად მოიყვანე
ფრანგი ჩვენს ქოხში, მინდა შევხედო, როგორია ახლოდანი და რაღაც-რაღაცე-
ებიც გამოვეკითხოო. პაპის სურვილი ივაშკამ მიშას გაუმხილა. მიშამაც აღუთ-
ქვა, რომ ესტუმრებოდა ფრანგთან ერთად.

ამჯერად მიშა მუსიე კაპესთან ერთად, რომელსაც სიარული და მოძრა-
ობა უყვარდა, ყველა ახლომახლო გზაზე დადიოდა ხოლმე და არცთუ იშვია-
თად შინ სოფლის გავლით ბრუნდებოდნენ.

და ყოველთვის მუსიე კაპეს აოცებდა უბადრუკობა სოფლის ქოხმახე-
ნისა, წვიმისაგან ჩაშავებული ჩალით რომ იყო დახურული და შუაგულში
ათბობდნენ.

ერთი ასეთი სეირნობისას, ხშირი ბალახით დაფარულ სოფლის ორდო-
ბებში რომ მიდიოდნენ და შიგადაშიგ სოკოებით სავსე კალათას დახედავ-
დნენ, მიშელმა თავის გუვერნიორს შესთავაზა, ივაშკას პაპასთან შევიაროთ
და დავისვენოთო.

მუსიე კაპე სიამოვნებით დაეთანხმა.

* ძალიან, ძალიან თავაზიანი! (ფრანგ.)

ივაშკამ შორიდანვე დაინახა ისინი და როგორც კი მიხვდა, რომ მისი სახლისაკენ მიემართებოდნენ, მყის ისე მოუსვა ქოხისაკენ, ჰაერში მარტო შიშველი ქუსლები ელავდა და ისეთი ხმამაღალი ყვირილით შევარდა შიგ — პაპავ, ფრანგი მოდისო! შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, ნაპოლეონის/არმია მობრუნდაო.

პაპამ ჯოხს წამოავლო ხელი და მასზე დაყრდნობილი გამოვიდა ქოხიდან სტუმრების მისაგებებლად.

— პახომ პაპა, — უთხრა მიშამ მიახლოვებისას, — გზად შემოვიარეთ. სოკოები თუ გინდა, მოგცემთ, აგერ აიღე.

მუსიე კაპემაც ბეჭედი დაასვა ამ განცხადებას და პაპას თავაზიანად გაუწოდა კალათა. პაპა კარგა ხანს უხდიდა მადლობას. თავს უკრავდა და უარს ეუბნებოდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მიიღო ნაწყალობევი და სტუმრები ქოხში შეიპატიჟა. ივაშკას უბრძანა მოსულებს ბურახით ან ახალმოწველილი რძით გამასპინძლებოდა.

— ტყეში გივლიათ, ალბათ დაიღლებოდით, — ჩაიციინა ბერიკაცმა.

მაგრამ მუსიე კაპემ, რომელმაც უკვე კარგად უწყოდა, რა სუნი იდგა ხოლმე ქოხებში, მიწყაყრილზე ჩამოჯდომა არჩია. იგი ნება-ნება სვამდა რძეს და ვერ ამჩნევდა ღობეწუნულისა და ცირცელის ბუჩქებიდან რამდენი ცნობის-მოყვარე თვალი უმზერდა და ამ თვალთა რიცხვი რა სწრაფად იზრდებოდა. სამაგიეროდ მიშელი ხედავდა მშვენივრად ამას და ფრიად გულშეჭერებულნი გახლდათ იმით, რომ მუსიე კაპე საყოველთაო ყურადღების საგანი იყო.

პაპა პახომი ცნობისწადილით ათვალიერებდა ფრანგს თვალებზე ჩამოჭენჯილ ჭაღარა წარბებს ქვეშიდან.

— ას-ეე... — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ბოლოს, — ნება მომეცით შეგეკითხოთ თქვენ, ბატონო მუსიე, სად იქნება ამჟამად თავად ნაპოლივონი?

მუსიე კაპემ წუთიერად თვალი მიაპყრო მოხუცს, მერე მიხვდა, რასაც ეკითხებოდნენ, და ნაღვლიანად გადააქნია თავი.

— იმპერატორი მოკვდა... ჰო, მოკვდა.. მარტოდმარტო. იქა, რა ქვია იმ-მას?

მიშელმა, რომელსაც მუსიე კაპესაგან არაერთგზის მოესმინა ნაპოლეონის ამბავი, გაასრულა:

— წმინდა ელენეს კუნძულზე.

— ივან ვასილევიჩს ვახლავართ! — გაისმა ხმები და მიწყაყრილს კიდევ ორი გლები მოადგა. მათ ხელში ქუდები ეჭირათ.

პაპა პახომი განაგრძობდა ფრანგის შეთვალერებას.

— ას-ეე... — გაიმეორა მან. — მაშასადამე, სულ სხვა რამ ეწადა მას. მაგრამ სულ სხვა კი გამოუვიდა.

მუსიე კაპე დაბეჯითებით უქნევდა თავს, ცდილობდა დაედასტურებინა, მიგიხვდიო.

— მაინც რა ეგონა იმ შენ ნაპოლივონს? რომ მოსკოვს მივართმევდით! მაგრამ განა ეს შეიძლება მომხდარიყო? ჰოდა, იმასაც განესაჯა, რომ მოსკოვს ცოცხალი თავით არ დავთმობდით და ამიტომაც, მაშასადამე, არ შეიძლება მიგვეცა!..

— არ შეიძლება-ა! არამც და არამც არ შეიძლება! — ერთხმად შესძახეს თარხანელებმა.

მაგრამ მუსიე კაპემ ეშმაკურად მოჭუტა ცოცხალი თვალები და პაპას თითი დაუჭნია.

— არ შეიძლება, არ შეიძლება, — გაიძეორა მან სიტყვა, რომელსაც ხშირ-ხშირად ეუბნებოდა ხოლმე მიშელს. — მაგრამ ჩვენ... როგორ არის ეს-სს? ჩვენ შევედი მოსკოვში!

— დიდი ამბავი! — შეეპასუხა ვილაცის ხმა გლეხებიდან. — ხომ ჩვენი დარჩა!

— შევიდა და გამოვარდა კიდევ!

— ეგ, თქვენო კეთილშობილებავ, ჩვენი ტიხონია, — უთხრა პაპამ. — ბოროდინოს ბრძოლებში მონაწილეობდა. ჩვენი ქალბატონის ღვიძლმა ძმამაც, აფანასი ალექსეევიჩმა, იმ ბრძოლაში გამოიჩინა თავი და მამაცობისათვის წარჩინება მისცეს. ჩვენი მიშენკას პაპაა. ტიხონიც იმ ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟაკობისათვის დააჯილდოვეს! აბა!

მუსიე კაპეს თვალებში შუჭი ჩაუდგა, წამოდგა და ტიხონს გადახედა. მისკენ მიპყრობილ, ფართო და ხშირწვერიან პირისახეზე ბრაზის ნიშანწყალიც არ ჩანდა.

— მეც იქ ვიყავი მეზარბაზნედ, — ხქვა პაპამ, — ანდრეიც იყო, სემიონიც.

— ო, — თქვა მუსიე კაპემ, — ეს-სს საშინელება იყო! ბო-რო-დინო, — დამარცვლით გაიმერა მან. მერე ერთხელ კიდევ გადახედა ტიხონს და ნელი ხმით გაასრულა: — მეც ვიყავი, moi aussi!* ბოროდინოზე...

ჯამაათში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. დუმილით შესცქეროდნენ ერთმანეთს ადამიანები, რომლებიც ბრძოლის საზარელ ველზე ერთმანეთის მტრები იყვნენ.

მუსიე კაპე შეპყუბდა ტიხონს, ივაშკას პაპას, ანდრეის და შეძრწუნებული ფიქრობდა: „ნუთუ მე მინდოდა და ყოველ ღონეს ვხმარობდი, რომ დამეხოცა ეს ხალხი, ვისაც ჩემთვის არისდროს ცუდი არაფერი გაუკეთებია? რისი გულისთვის?“ ხოლო ტიხონი, ივაშკას პაპა და ანდრეი უმზერდნენ მუსიე კაპეს და თითოეული ცალ-ცალკე დაახლოებით ერთსა და იმავეს ფიქრობდა: ნუთუ ეს აწოწილი, სათნოთვალეებიანი ფრანგი იყო მათი მტერი?

პაპა პახომი მუსიე კაპეს ახლოს მიუჩოჩდა და ანაზღად მკაცრად წარმოთქვა:

— ნება მომეცით, თქვენო კეთილშობილებავ, შეგეკითხოთ. მთელი ძალებით რატომ უტევდით ჩვენს სანგარს? რამდენი ჯარისკაცი დაეცა იქ, მის გარშემო, ი-ი-ი! გახსენებაც კი შემზარავია! დახოცილები ერთიმეორეზე ეყარნენ, მთა იყო აღმართული. ყუმბარაც ვერ გააღწევდა მათ შუა!

— ორი დღე ტყვიებს გვიშენდნენ, მესამე დღეს კი ზარბაზნებიც დაეჭუბეს. ერთი შეეკითხე, პაპავ, რას გვერჩოდნენ, — ხმადაბლა დაუმატა ტიხონის მხარს ამოფარებულმა ანდრეიმ, რომელმაც გახედა და ფრანგს ახლოს მიუჩოჩდა: — ლამის ქვეყნიერება შეაზანზარა ბომბებმა, ცა ხომ სუმთლად გაშავდა, ის კი არადა... თუმცა ჩვენც არ დავრჩით ვალში!

— ნაპოლივონმა კი ყოველივე ამის შემდეგ უპატრონოდ მიატოვა ჯარისკაცები, — დამუნათებით უთხრა პაპა პახომმა, — ჩაჯდა მარხილში და შინისკენ მოუსვა. თქვენ კი ღვთის ანაბარად მიგაგდოთ. უღვთოდ მოიქცა!..

* მეც აგრეთვე (ფრანგ.).

ამაზე ფრანგმა არაფერი უპასუხა და ხმის ამოუღებლივ თავი დახარა: იმპერატორის გაქცევა საშინელ და გაუგებარ ამბად დარჩა მისთვის. მაგრამ გადაწყვიტა მაინც გამოსარჩლებოდა ნაპოლეონს.

— იმპერატორი, — თქვა მან გაცხარებით, — არ არის დამნაშავე. ეს-სამთარია დამნაშავე... თქვენი საშინელი რუსული სამთარია და გაჩუმდა.

იქ მყოფთ სახეზე რალაც ღიმილის მაგვარმა გადაუღებინა მისი პაპის საპასუხოდ, რომელმაც თვალი ჩაუკრა, ცალკედ ჩაიციხა და თქვა:

— რუსეთში მოდიოდნენ და სამთარისა ეშინოდათ. შერევილები!

— მერე და მერე, თქვენ, თქვენო კეთილშობილებავ, დიაცებიც კი უნარალოდ გიჭერდნენ — საცოდავი სანახავი იყო პირდაპირ, — თქვა ბერიკაცმა. — აბა, უყურე, ჭერ როგორ მოდიოდით, მერე კი როგორ წახვედით, — ფიქრიანად დასძინა მან.

სემიონს გაეცინა.

— უცნაური იყო! ხანდახან კბილს კბილზე აცემინებდნენ, სული ძლივ ედგათ პირში და ყველანი მაინც ფრანგულად ბუტბუტებდნენ...

მუსიე კაპემ გაიგო ნაუბარი და მყისვე თავი დაუქნია. მერე მძიმედ ამოიოხრა, სულმთლად მოიკუზა და თითქოს ერთბაშად დაჩიავდა.

— ყველანი თქვენმა საშინელმა ყინვამ დალუპა... თქვენმა მყინავმა თოვლმა, დიახ!

— ყინვამ კი არადა, — იმწამსვე მტკიცედ მიუგო ბერიკაცმა, — ხალხმა ჩვენთან, ბატონო მუსიე, მარტო ჭარი კი არ ომობდა, ჩვენთან მთელი ხალხი პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებდა, ესეც უნდა ვიცოდეთ! შენმა ნაპოლეონმა კი რა განიზრახა? მთელი ქვეყნიერება და ყველა ხალხები ხელთ ჩაეგდო, რომ, მაშასადამე, დედამიწის ზურგზე მარტო ფრანგებს ეცხოვრათ გალაღებულად. მაგრამ განა ამისთანა კაცი ფეხს მოიკიდებს! არასდროს! შენ კი იძახი — „ყინვამო“, ასე რომ...

პაპა პახომმა კიდევ ერთხელ ცნობისწადილით შეათვალიერა მუსიე კაპე თავით ფეხამდე და ანაზღად თანაგრძნობით და მეგობრულად შეეკითხა:

— რატომ ხარ ასეთი დაჯანდაკებული, თქვენო კეთილშობილებავ, ბოროდინოდან ხომ უვნებელი წამოხვედი? ტყვედ ჩაგიგდეთ თუ რა, პა?

— ჰო, ჰო... — გაიმეორა მუსიე კაპემ. — სწორედ მას-სეა: ტყვედ.

გლეხები აბუბუნდნენ, პაპა პახომმა კი დამრიგებლური კილოთი თქვა:

— ეგ არის სწორედ! ნუთუ მართლა არ დაუჭრიხართ ბოროდინოზე?

მუსიე კაპემ მარცხენა ხელი ასწია და მარჯვენა მხარზე მიიღო.

— აქ... აქ, — თქვა მან. — რა ჰქვია მაგ-გას?.. გამჭოლ!

— გამჭო-ო-ლ! — ისევ აბუბუნდა ხმები ირგვლივ და მსმენელები ფრანგს მიუახლოვდნენ.

— მე კი აი, რა მოვიმკე, — უთხრა ტიხონმა, — შეხედე, მარცხენა ხელზე ორი თითილა შემრჩა, თავშიც ბონბისაგან კონტუზია დამემართა. რამდენადღე უგონოდ ვიწექი, ოი, დედაჩემო!

— ტა-ტა-ტა! — თავი დაუქნია ფრანგმა. — მე კისერზე... რა ჰქვია იმ-მას? ნახარევი დარჩა!

მან გარშემო თანამგრძნობი სახეები დაინახა. სემიონმა კისერზე რომ დახედა, ჰკითხა:

— როგორ მოხდა, ივან ვასილევინ, რომ ვერ აიციდინე? რით დაგჭრეს, ხმლით ხომ არა?

— ასე... — აუხსნა მუსიე კაპემ, რომელმაც მკვეთრად მოიქნია ხელი. — ზალიან მაგრა! — მერე დაწკურული თვალები შეავლო ტიხონის დამახინჯებულ ხელს, ერთხელ კიდევ გაიმეორა თავისი „ტა-ტა-ტა!“ და თანაგრძნობით გადააქნია თავი.

პაპა პახომმა ცნობისწადილით შეათვალიერა მუსიე კაპეს შარფიდან ამოჩეული რილი კისერი.

— დახე, მართლა როგორ ჩაუცხიათ! — თქვა მან ფიქრიანად. — გარკვეულია, კისერში უდრუზიათ... ივან ვასილევიჩ, როდისმე კიდევ შემოგვიარე ბატონიშვილთან ერთად, ყველაფერს გიამბობთ, როგორც იყო, ბოროდინოზეც და პუგაჩოვზეც.

— გიამბობთ! — აბუბუნდნენ იქ მყოფნი.

— ზალიან მადლობა. მე მოვალ! — შეპირდა მუსიე კაპე.

— მოვალთ, — გაიმეორა მიშამ.

ეს დღე ამინდის გარდატეხის დღე იყო. მიშა და მუსიე კაპე სახლს რომ უახლოვდებოდნენ, მინდვრებს უკვე ბურავდა ნისლის რუხი სუდარა. დასავლეთიდან გრძელ მწკრივებად ნება-ნება მოცურავდნენ ღრუბლები და სახეში წყნარი ნოტიო ქარი სცემდათ.

მზე და სითბო სტოვებდა არემარეს.

მერე კი ქურდულად მოვიდა ზამთარი და თარხანი ჩუმად გახვია თოვლის სქელ სამოსელში.

თავი 18

მუსიე კაპე მიშელს მარტოოდენ ნაპოლეონის შესახებ როდი მოუთხოვდა. ხშირად აღსაზრდელის დაქინებულ შეკითხვებს აპყვებოდა, ივიწყებდა მის ასაკს და უზიარებდა მოგონებებს საფრანგეთის რევოლუციაზე. მისი აღსაზრდელი უსმენდა და ეშინოდა, სიტყვა არ გამოპარვოდა. ბასტილიის აღების ამბის მოყოლის შემდეგ ორი ღამე არ უძინია.

— და მათ ყველა ტუსადი გაანთავისუფლეს?! ყველა, უკლებლივ ყველა? — ეკითხებოდა ის და ანთებული თვალებით შესცქეროდა მუსიე კაპეს, რომელიც უკვე დასაძინებლად დაწოლას ეპირებოდა, მაგრამ პარიზის დიად დღეებზე საკუთარი ნაუბრით აღელვებული გულჯავრიანად ბოლთასა სცემდა ოთახში ხალათისა და თავზე დაკოსებული პატარა აბრეშუმის ქუდის ამარა.

— დიახ, დიახ! — იმეორებდა მუსიე კაპე ისეთი სიამაყით, თითქოს თვითონ მას დაეღწოს ბასტილიის საპყრობილე.

მუსიე კაპეს გრძელი ჩრდილი ოთახის დაბალ კედლებზე ეცემოდა. იგი შთაგონებით აღაპყრობდა ხელებს და მღელვარებისაგან აცახცახებულ მიშელს ეუბნებოდა:

— და მათ დაღწესა *cette Bastille, comml une maison de cartes!** და ისინი იძახდა: *Liberte, Egalite! Egalite! Fraternité!***

მიშელიც იმეორებდა: „თავისუფლება! თანასწორობა! ძმობა!“

— ჩვენთან არიან ტუსალები? — ანაზღეულად იკითხა მან.

* და მათ დაღწეს ეს ბასტილია, ვითარცა, მუყაოს სახლი! (ფრანგ.)

** „თავისუფლება! თანასწორობა! ძმობა!“ (ფრანგ.)

მუსიე კაპე ბიჭის სიახლოვეს შედგა და ნაღვლიანად გადააქნია თავი.

— დიახ, ჩემო პატარა მეგობარო! თქვენთან ზალიან ბევრი ტუსალია! ქვეყანა, სადაც ზალიან ბევრი ტუსალია, არ შეიძლება ბედნიერი იყოს!

— ისინიც უნდა გავათავისუფლოთ! — თქვა მიშამ და სკამზე შეხტა. — დიდი რომ გავიზრდები, ჯარს შევკრებ და სუყველას გავათავისუფლებთ!

მუსიე კაპემ ხელი გაიწოდა და თავის მოწაფეს სკამზე გადასწია.
შეზღვიანება

— ტა-ტა-ტა! — კეთილი ღიმილით უთხრა მან. — შენ გამჭრიახი გონება და ძალიან მხურვალე გული გაქვს! ყური დამიგდე, მიშელ, მე შენ „მარსელიოზას“ გიმღერებ!

მუსიე კაპე გაიჭიმა და ხელი გაიწოდა, უჩინარი გუნდის სადირიჟოროდ მოემზადა. მერე აბრეშუმის ქუდი მოიხადა, გააქნ-გამოაქნია და სიმღერა წამოიწყო:

— „Allons, enfants de la patrie!“*

მისი მოცახცახე, მაგრამ ჯერაც მეღერი ხმა მიშას მომხიბლავი ეჩვენა, თუმცაღა ამ ხმამ მეტისმეტად დააფეთა ქრისტინა ოსიპოვნა, რომელიც უკვე ლოგინში იწვა და უდანაშაულო ქალწულის ახალი თავგადასავლი ეჭირა ხელთ.

ზამთრის ერთ თბილ დღეს მიშა და მუსიე კაპე სასეირნოდ წავიდნენ.

ტანაშოლტილი ხეების გაშიშვლებულ ტოტებს შორის ნაცრისფერი ცა ჩანდა. ისინი გასცდნენ დიდ ხეივანს, რომელიც ზამთრობით მიწყვიტე გაწკრივებული იყო ხოლმე და პარკიდან გავიდნენ. სქელი ღრუბლები დაბლა დასწოლოდა დათოვლილ მინდვრებსა და სოფლის გადათეთრებულ სახურავებს. ყვავებმა ნება-ნება გადაუფრინეს მინდვრებს. ამასობაში კი სოფელში რაღაც მომხდარიყო.

უკანა ეზოებიდან ხალხი პირდაპირ გუბურაზე გადადიოდა და ტყისკენ გარბოდა. იქიდან მათ შესახვედრად სხვები მორბოდნენ. ყველანი ხელებს იქნევდნენ, რაღაცას უყვიროდნენ ერთიმეორეს და შორეული ტყისკენ მიანიშნებდნენ.

მიშა და მუსიე კაპეც იქითკენ გაეჩქარნენ.

გუბურასთან ჯამაათი შეგროვილიყო. ყველა ორ გლებს შემოხვეოდა, რომლებიც რაღაცას ყვებოდნენ და ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ.

მეზობელ მემამულე მოსოლოვს, რომელიც ცნობილი იყო თავისი სიმკაცრით, გამოქცეოდა ყმა მხატვარი. მებატონეს ებრძანებინა მისი საჯინიბოში გაწკეპვლა. ტყეს ალყა შემოარტყეს. მაგრამ გამოქცეული უკვე მკვდარი ნიხეს: სასჯელის შიშით თავი ჩამოეხრჩო. მისი გვამი ჯერაც ტყეში ეგდო. ბებერი არყის ხის ძირში, მებატონის მოსვლას ელოდნენ. თუმცა მკვდარი ყმა უკვე შეიძლებოდა აზატად შერაცხულიყო.

გლებების აბდაუბდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ნაამბობი მუსიე კაპემ ძლივ-ძლივობით გაიგო, მაგრამ შეამჩნია, რომ მის აღსაზრდელს ამ ამბავმა თავზარი დასცა. მუსიე კაპემ მხარზე ხელი დაადო მიშელს, როცა ნება-ნება პარკს მიუყვებოდნენ, და წყნარად უთხრა:

— მე ახლა ვფიქრობდი, მიშელ, რომ რუსეთში ზალიან ცუდი ცხოვრებაა! შენ გესმის ეს?

* სამშობლოს შეილებაო, გავწიოთ!... (ფრანგ.)

მიშამ მუქი თვალები შეანათა ფრანგს და თავი დაუქნია.

იგი ბუნდოვნად გრძნობდა, რომ მიზ გარშემო ბევრი რამ რიგზე ვერ იყო. რალაც ცუდი ამბები ხდებოდა ყველგან და ყველაფერში — დაწყებული მისი პატარა გულით, ბებიასა და მამას შუა რომ იწეწებოდა და დამთავრებული ამ შემზარავი გვამით, რომელზე ფიქრიც კი აფეთებდა.

ყოველივე ამის თაობაზე მიშას შეეძლო მარტოოდენ მუსიკა ეკლესიაში ელაპარაკა. შესაძლოა მამასაც გაეგო მისთვის... მაგრამ მამას ძალიან იშვიათად ხედავდა!..

ნუთუ მართლა ვერაფერს, ვერა კაცი ვერ ამჩნევს, თუ რა ცუდად ცხოვრობენ ადამიანები და რა ხშირად, რაც არის, არა ჰგავს იმას, რაიც გსურს?!

პაპა პახომისაგან და თავისი ძიძა ლუკერიას ღრმად მოხუცებული ნათესავისაგან — ძიძის ნახვის ნებას ხანდახან რთავდნენ ხოლმე მიშენკას — მოუსმენია „გლებთა მეფის“ ემელიანე პუგაჩოვის თავგადასავალი. ძიძა ლუკერიას მამამთილს ჰერაც ახსოვდა, როგორ უსწორებდა იგი ანგარიშს მემამულეებს, რომლებიც ტყვეებში იმალებოდნენ თავის გადასარჩენად. მიშამ შეიტყო, რომ ამ „გლებთა მეფეს“ პენზაც აეღო, ხოლო მისი ვოლნიცების რაზმები თარხანში შემოსულიყვნენ.

ბიჭს არც ბებიას მიერ გაყიდული მაკარი დავიწყებოდა. არც მოახლე გოგონები, რომლებიც უეცრად გამოჩნდებოდნენ სახლში და რამდენიმე ხნის შემდეგ გაქრებოდნენ და რომლებზედაც ნასტია ამბობდა, ქალბატონმა ტყუილად „იყიდა“. ისინი უხეირონი გამოდგნენო. კიდევ კარგი, მოსოლოვმა საფრინველესთვის „შეისყიდაო“!

მერე და მერე იგი ბევრს ფიქრობდა ამ გოგონებზე, ბებია ამ რომ „იყიდა“ და ვერ გაეგო, რად ჩაიდინა ეს? მასაც კი არაფერი უთხრა. მიშენკას! რომ ეთქვა, ამის ნებას არ მისცემდა — მორჩა და გათავდა!

თავი 19

ძალიან ხშირად, დათოვლილი და მზით გაბრწყინებული მშობლიური თარხანის მინდვრებსა და არყების წარაფს რომ გამზერდა, მიშა იგონებდა კავკასიონის შევერცხლილ მწვერვალებს, კავკასიის ცის ღრმა სილაქვარდეს და მის დიდებულ აისსა და დაისს. აჭაურობაზე მეტად მიყვარსო, ამას ვერ იტყოდა, მაგრამ კავკასია ენატრებოდა ძლიერად და გულანთებულად. ყველა მისი ნახატო, მთელი მისი მხატვრობა, რომლითაც დიდად იყო გატაცებული, აწ უკვე კავკასიას ეძღვნებოდა. მიშა მეხსიერებით ხატავდა ხან ცხენზე ამხედრებულ ღერქებს, ხან მთის ნაკადულს, ხანაც კლდეებს და მამისეულ წიგნებში მოწადინებულად ეძებდა კავკასიაში მოგზაურობათა აღწერილობებს. მაგრამ წიგნის კარდაში ვერაფერს პოულობდა, გარდა გეოგრაფიული რუკისა, და დიდხანს ჩაქვირკიტებდა ხოლმე მას: მდინარეთა ეს დაკლავილი ხაზები და ნაცნობი სახელწოდებების მქონე პატარა წრეები მის წარმოსახვაში აღადგენდნენ ფერებითა და სიცოცხლით მდიდარ მთლიან სურათებს.

ზამთრის ერთ საღამოს, კროპოტოვოდან ვაჟიშვილის სანახავად ჩამოსული იური პეტროვიჩის გამგზავრების წინ, მიშა შევიდა მამის კაბინეტში, კავკასიის დიდი რუკა რომ შეენახა, რომლის გადმოხატვაც, როგორც იქნა, გაასრულა.

მან რუკა საწერ მაგიდაზე დადო და უეცრად რვეული შენიშნა. თავფურცელზე დაწერილი სიტყვები „კავკასიის ტყვე“ წაიკითხა. მიშამ მამის ხელი იცნო, კითხვა დაიწყო და ყველაფერი დაავიწყდა: ძილის დროც, მუსიე კაპეც, მალლა რომ ელოდებოდა, და მუსიე ლევიც, რომელიც ისევ ეტყვის იური პეტროვიჩს იმის შესახებ, თუ რარიგ ძნელია მოსწყვიტო მიშა იმას, რაიც წარმოსახვას უღელვებს... მიში ვერ ამჩნევდა, რომ დროც იყო სანთლისათვის ნამწვი მოეცილებინა, რადგან ის ხრჩოლავდა, — თვალწინ კვლავ და კვლავ კავკასია ედგა!

სხედან ჩერქეზნი ქოხების წინა
და სავაუკაცო ამბებს ჰყვებიან:
თუ რა ბრძოლები გადახდათ წინათ,
ვის რა გმირობა უჩვენებია,
თუ რა მკვირცხლია მათი ცხენები,
მათი თავდასხმა რა საზარია
და რაოდენად უეცარია...
გაერთვნენ დინჯი ბაასის დენით,
მთვარეს გადაეკრა ღამის ბურუსი,
უცებ...*

მიშა ოთახის ბნელ კუთხეს მისჩერებოდა, ხედავდა ღამეულ აულს და მის ბრტყელ ბანებს, რომლის თავზედაც ნება-ნება მიცურავდა მთვარე. ეილაცამ მხარზე ხელი შეახო... მიტრიალდა. მამა იყო.

— ო, მამილო! — აღტაცებული ჩურჩულით წარმოთქვა ბიჭმა, — რა მშვენიერი ლექსებია!..

— მე მოხარული ვარ, მიშენკა, აგრერიგად რომ მოგწონებია ეს პოემა. ის ალექსანდრ სერგეევიჩ პუშკინმა დაწერა — ჩვენმა საუკეთესო მწერალმა. მიხლოდა, მთელი პოემა გადამეწერა და შენთვის მომეძღვნა. შენ ხომ ძალიან გიყვარს კავკასია. მაგრამ მხოლოდ ნახევარი პოემის გადაწერა მოვასწარი.

— შემძლია წავილო ეს? — ჰკითხა მიშამ და ფურცელი გულზე მიიკრა.

— ჰო, რა თქმა უნდა, ჩემო კარგო, — მიუგო მამამ. — ალბათ ამას მუსიე კაპესაც წაუკითხავ? ვფიქრობ, ის აქ ყველა სიტყვას გაიგებს.

მართლაც მუსიე კაპემ ყველაფერი გაიგო. მუსიე კაპეც აღაფრთოვანა პოემამ და სთხოვა ერთხელაც წაეკითხა თავიდან ბოლომდე.

ასე კითხულობდნენ მანამ, სანამ ბებია არ წამოადგათ თავს, რომელმაც განაცხადა, მიშენკა ამ წუთშივე დასაძინებლად დაწვესო.

მაგრამ ბებიასათვის ადვილი სათქმელი იყო, ძილის დროაო! იმის ტვინსა და გულში აჩემებულ მელოდიასავით არ ქდერდა პუშკინის პოემის ამდერებული სტრიქონები და არც ჩერქეზთა აული ედგა თვალწინ.

მიშამ მხოლოდ გარიყრაჟზე ჩაიძინა, როცა მტკიცედ გადაწყვიტა დღესვე ეცადა და თავადაც დაეწერა ლექსი კავკასიაზე.

ღილით სახელდახელოდ წაისაუზმა, კურტაკი წამოისხა და ბაღში გავარდა.

ზემოთ შემოდგომის გადაყვითლებული ხეები ირხეოდნენ და შრიალუბდნენ, ფეხქვეშ კი ხმელ ფოთლებს გაჰქონდა შარიშური. მაგრამ მას ეგონა,

* თარგმანი კ. ჭიჭინაძისა.

რომ ქვებზე მოხტუნავე მთის ნაკადულის რაკრაკი ესმოდა და თავს სამხრეთის გავარვარებული მზე დაჰნათოდა. მას სურდა ყოველივე ამაზე ისეთვე მედრი ლექსები შეეთხზა, „კავკასიის ტყვე“ რომ იყო დაწერილი.

მთელი დღე ეწამა, ფანქარი სულმთლად დაღრღნა, წერდა და შლიდა, მერე ისევ წერდა მოურჯულბელ სტრიქონებს.

მაგრამ როცა საღამოს დაწერილი წაიკითხა, თავისი ფურცლები წაგუწქქადა და აქცია და, ბრაზით და დარდით წამოჭარხლებულმა, გახურებულ ლუმელში შეუძახა.

უკვე ძალიან გვიანი იყო, როდესაც მუსიე კაბემ გადაწყვიტა ჩაექრო თავისი სანთელი და დაწოლილიყო. როგორც ყოველთვის, ძილის წინ, მან მიშენკას ოთახის კარი შეაღო, მაგრამ ვერ გაიგონა მისი მშვიდი სუნთქვა. სამაგიეროდ თითქოს რაღაც შეკავებული სლუკუნი მოესმა.

მაშინ მუსიე კაბემ ისევ აანთო სანთელი, თავისი აღსაზრდელის საწოლთან მივიდა და დაინახა, რომ მას თავი ბალიში ჩაერგო და უჩუმრად ტიროდა.

— რა მოგივიდა? — შიშით ჩაეკითხა მუსიე კაბე. — ავად ხარ, ჩემო პატარა მეგობარო? თუ ვინმემ გაწყენინა?

— არა, არც ავადა ვარ და არც არავის უწყენინებია!... — გაიმეორა მიშენკამ ისე, რომ თავი არ აუწყევია.

— მაშ რა მოხდა?

მუსიე კაბე მისკენ დაიხარა, ვერც შეამჩნია, რომ სანთლის ცვილი საბანზე ეწვეთებოდა.

— მოხდა ის, რომ მე ვერასდროს, ვერასდროს... — წარმოთქვა მიშამ, რომელიც ცდილობდა ცრემლი დაეოკებინა, — ვერ შევძლებ ცოტათი მაინც იმ პოემის მსგავსი რამის დაწერას!

— ო-ო, — თქვა მუსიე კაბემ და საყვედურით გადააქნია თავი, — ასეთი ჭკვიანი ბიჭი და დღეს ასეთი სულელი! შენ დაწერ, შენ ყველაფერს დაწერ! შემომხედავდე მე!

მიშამ ბალიშიდან ნამტირალევი სახე წამოსწია და მუქი თვალები შეანათა მუსიე კაბესა და სანთელს, მას რომ ხელში ეჭირა.

— შენ ჩემი გჯერა?

— მჯერა, მუსიე კაბე...

— შენ დაწერ ზალიან მშვენიერ პოემს, — დარწმუნებით წარმოთქვა ფრანგმა. — ზალიან მშვენიერს, ამ-მას ამბობს ჟან ბაზილ კაბე.

მიშას ნამტირალევი სახე, მუსიე კაბესთვის რომ მიეპყრო, ერთბაშად მხიარულმა ღიმილმა გაუნათა და მუსიე კაბემ მტკიცედ თქვა:

— აი, ეს-სს ის არის. ახლა კი დავიძინოთ. ღამე მშვიდობის!

— ღამე მშვიდობისა! — უპასუხა მას, უკვე მხიარულმა ხმამ.

როცა რამდენიმე წუთის შემდეგ მუსიე კაბემ გაიგონა მისი სმენისათვის ჩვეული მშვიდი სუნთქვა მიშელისა, ისევ ჩააქრო სანთელი და უკვე სრულ სიბნელეში რაღაცას გაუღიმა.

ხანმოკლე თოვლჭყაპის შემდეგ სასტიკი ყინვები დაიჭირა. მუსიე კაბე საშინლად ახველებდა და თავის შარფში იფუთნებოდა. იჯდ მოკუნტული გახურებულ ლუმელთან და კუშტად უმზერდა ყინვის ნახტებს ფანჯრებზე.

მოულოდნელად სადილობის წინ სახლთან დიდმა მარხილმა მოიქროლა იქიდან დათვის ქურქში გახვეული ძია აფანასი გადმოვიდა. მიშამ მარდად ჩაირბინა კიბეზე, წინკარში პირველი რომ მიჰგებებოდა, მაგრამ გაოცებისაგან ადგილზე გაშეშდა — ბიძამისს ისე შესცვლოდა პირისაზე, სიარული და მიხრა-მოხრა, ველარც იცნობდით. მიშას მოეჩვენა, რომ ეგეტყვიდა აფანასი კი არ იყო, არამედ ვილაც მისი მგვანი კაცი, ოღონდ ძლიერ მოხუცებული.

აფანასი ალექსევევიჩმა მიშას გაოცებული სახე რომ შეამჩნია, რალაცნობრივ უცხო, ჩამქრალი მხერა შეავლო და უცხო ხმით უთხრა:

— დიახ, ჩემო ძმაო... ასეა საქმე. — და ბებიასაკენ გასწია.

მიშა ჩუმად მიჰყვა უკან, გეგონება, ძია აფანასის უცნაურმა, თითქმის შემზარავმა შესახედაობამ მონუსხაო.

უკვე შემგლისფერებული იყო, მაგრამ ბებიასთან ჯერაც არ აენტოთ სანთლები. იგი ფანჯრის წინ პატარა მაგიდასთან იჯდა და ჩვეულებისამებრ პასიანსს შლიდა.

გაკვირვებული და გახარებული წამოხტა ბებია ძმის შესახვედრად.

— აფანასი ალექსევევიჩ, ღარიგ გამახარე, გეთაყვა! მაინც რანაირად მოხდა, რომ მოგაფიქრდა და გვეწვიე?.. — მხიარულად დაიწყო მან და ერთბაშად დადუმდა, გეგონება, ყელში წაუჭირესო. — რა იყო, რა დაგემართა? ავად იყავი?

აფანასი ალექსევევიჩმა უარის ნიშნად თავი გადააქნია და ბებიას გადაეხვიდა.

— დაჯექი, ჩემო მეგობარო, სახეზე ადამიანის ფერი არ გადევს... — და ფაცურდა ბებია და დასვა.

— შიამბე, ძამიკო, — უთხრა მან, გვერდით რომ მიუჯდა, — შიამბე, რამბავი მოხდა. სული ნუ ამომხადე, ასე უარესია...

კუნჭულში მდგომმა მიშამ დაინახა, როგორ გაიმართა წელში ბებია და თვალეში მრისხანება და შეშფოთება გამოესახა.

— ცოლ-შვილი ხომ კარგადაა? — ჰკითხა ბებიამ.

— დიახ.

— ძამია დიმიტრი როგორაა?

ბიძია აფანასის ხველა აუვარდა.

— ისიც... კარგადაა!.. თუმცა მთლად ვერა. მაგრამ ამაზე შემდეგ. — ძია აფანასი გაჩუმდა, მერე ხმადაბლა ჩაილაპარაკა: — თოთხმეტ დეკემბერს პეტერბურგში აჯანყება მოხდა — სენატის მოედანზე.

— აჯანყება, რას ამბობ? ვინ ვის აუჯანყდა, ჩემო კარგო? ვერა ვხვდები!.. — ჩამოჰკითხა ბებიამ.

— რამდენიმე პოლკი აჯანყდა, რომელთაც საიდუმლო საზოგადოების წევრები წინამძღოლობდნენ. ბევრნი, ძალიან ბევრნი აღმოჩნდნენ ამ ამბავში გარეულები.

— მაინც რანაირად აჯანყდნენ? სამსახურზე თქვეს უარი, თუ რა?

— ახალ ხელმწიფეს უთხრეს უარი ფიცის მიცემაზე. მაგრამ ესეც არ იქმარეს: შეიარაღებულნი გამოვიდნენ სენატის მოედანზე და კონსტიტუცია მოითხოვეს.

— ღმერთო დაგვიფარე! — თქვა ბებიამ და პირჯვარი გადაისახა. — მაინც რა მოესურვათ იმ დამთხვეულებს?

აქ მიშას მოეჩვენა, რომ ძია აფანასიმ რალაც ხალისიანად უპასუხა:

— მათ რუსეთში მონობის გადაგდება და ყველა მოქალაქისათვის თავი-

სუფალი უფლებები სურთ, მათ ძალზე ბევრი რამ უნდათ, მაგრამ უწინარეს ყოვლისა, ბატონყმობის გაუქმება სწადიათ.

— ამ დროს თვითონ არიან მებატონეები! — წამოიძახა ბებია

— ამისათვის არათუ თავიანთი მამულები არ ენანებათ, საკუთარ/სი-
ცოცხლესაც არა ზოგავენ.

ბებია ხელი ხელს შემოჰკრა.

— მერე რა მოხდა? რით დამთავრდა?

— აჯანყება ჩაახშეს, — ხმადაბლა თქვა აფანასი ალექსეევიჩმა, — მისი ხელმძღვანელები ციხეში ჩაყარეს და არის იმის საშიშროება, რომ მათ... რომ მათ არ შეიწყალებენ...

— არ შეიწყალებენ? არ შეიწყალებენ!.. — გაიმეორა ელიზავეტა ალექსეევამ, თითქოს ამ სიტყვების საშინელი აზრის ჩაწვდომას ლამობსო.

— კი მაგრამ, დიმიტრი სადღაა? რა მოუვიდა? მასთან მამულში ხომ დაიარებოდა სულ სხვადასხვა ხალხი... უკანასკნელ ხანს ის გამუდმებით ცხოვრობდა მოსკოვის ახლოს საკუთარ მამულში. იმ დროს პეტერბურგში ხომ არ აღმოჩნდა? ვინ იცის, იქნებ სენატის მოედანზეც იყო, ჰა? რას გაჩუმებულხარ, ხმა ამოიღე?

აფანასი ალექსეევიჩი დუმდა და გახევებული ოთახის კუნჭულს მიშტერებოდა.

— რას გაჩუმებულხარ? რამე რომ მოხდეს, ხომ იმასაც მოელის პატიმრობა. ციხე... დამცირება... შერცხვენა... ხმა ამოიღე, რა ღმერთი გიწყურება!

— ის ყველაფერს გადაურჩა.

— გადაურჩაო, ამბობ? არ მესმის...

— მოკვდა... — უბასუხა ოდნავ გასაგონად, — სამ იანვარს. გული გაუსკდა და მოკვდა.

ბებიას თავი მკერდზე ჩამოუვარდა. სახეზე ჩამოგორებული მსხვილი ცრემლები კაბაზე და ხელებზე ეწვეთებოდა, მაგრამ ვერ ამჩნევდა.

შიშისაგან გაოგნებულმა მიშამ გაიგონა რაღაცა ყრუ, თითქოს მკერდიდან აღმომხდარი ხმა ძია აფანასისა, რომელმაც თქვა:

— დიმიტრი და სხვანი და სხვანი.. ძალიან ბევრნი არიან ისინი! ამდენი მეგობარი!.. ამდენი შესანიშნავი ადამიანი.. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო საზოგადოება! ჰოდა, ახლა რამდენს მრავალი წლის პატიმრობა მოელის, შესაძლოა, სიცოცხლის ბოლომდეც!

— სულერთია, — გაისმა ბავშვის ხმა, — ციხეს დალეწავენ, როგორც დალეწეს ბასტილია!

მხოლოდ ახლად შეამჩნია ბებია შვილიშვილი, რომელიც მის მაღალ საწერ მაგიდას მიჰკვროდა და ფერმკრთალ პირისახეზე შავად უელავდა შეშინებული თვალები, თუმცა ხელები მაგრად დაემუშტა, ცრემლები რომ შეეკავებინა.

ბებია უნდოდა, გასჯავრებოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. მან მხოლოდ წყნარად უთხრა:

— მიშენკა, საყვარელო, რა თქვი ეს?.. — და ტირილი განაგრძო.

მიშა კუთხიდან გამოვიდა, ბებიასთან მიიღბინა, გადაეხვია და მკერდზე თავი მიადო.

— აი ამიტომ მიყვარს, — თქვა ბებია. — თავისნებაა, მაგრამ გული აქვს დამტევნელი და მხურვალე.

გვიან საღამოს მიშა მუსიე კაპეს საწოლთან იჯდა და მას ძია აფანასის ნაუბარს უყვებოდა, როგორც შეეძლო.

მოზღვავებული ფიქრებისაგან თავი უხურდა, თუმც რალაც უცნაურ შვებას გრძნობდა.

მან შეიტყო, თურმე არიან ადამიანები, რომელნიც ხედავენ, რომ ამქვეყნად ყველაფერი რიგზე ვერ არის და ამ უხამსობათა შესაცვლელად და გამოსასწორებლად საკუთარ სიცოცხლესაც არ იშურებენ!

ადამიანებმა ჯარი შეკრიბეს და გავიდნენ მოედანზე იმათ მსგავსად, ვინც ბასტილია აიღო!

რა ღირსეული, რა დიდი ადამიანები არიან ისინი! რარიგ უნდოდა, რომ ოდესმე ერთი მათგანი მაინც თავის თვალთ ენახა.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, მუსიე კაპე, მოვლენ იმათ გასათავისუფლებლად? შეუძლიათ აიღონ და დალეწონ, ბასტილიის მსგავსად, ციხე, რომელშიაც ისინი არიან გამომწყვდეულნი?

— ბასტილია დალეწეს, როდესაც მოვიდა რევოლიუსიონი, — მშვიდად მიუგო მუსიე კაპემ.

მიშა ფიქრობდა, როგორ ქრებოდა ბოლომდე დამწვარი სანთელი და ფანჯრებში ლურჯ სუსხიან ცას ბინდი ეკვროდა.

— მე მესმის, — თქვა მან ცოტა ხნის შემდეგ, — საჭიროა თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა. ძალიან კარგი ცხოვრებაა საჭირო. საჭიროა „შინაყმებისათვის“! — დაამთავრა მან მტკიცედ.

მაგრამ ეს წმინდა რუსული ნიუანსი ვერ გაიგო თავისუფალი საფრანგეთის მკვიდრმა. მან გაიცინა და თავის აღსაზრდელს ალერსიანად მიუკაქუნა შუბლზე შუათითი:

— აბა, შენ რა გეგონა. კატისათვის არისო საჭირო, ჰა?

— არა, მუსიე კაპე, — მიუგო აღსაზრდელმა. — „შინაყმები“ ის ხალხია, ვისი გაყიდვაც მამასახლისს შეუძლია.

მუსიე კაპე წელში გასწორდა, საწოლზე ჩამოჯდა და გაბრაზებით გაიქნია ხელი ჰაერში:

— Jamais!* არავითარი გაყიდვა! და ყიდვა! ახლა კი დავიძინოთ! და გახსოვდეს, მიშელ: აი, ამ „გაყიდვასა“ და „ყიდვას“ რევოლიუსიონი მოუღებს ბოლოს. ღამე მშვიდობისა, ჩემო პატარა მეგობარო!

— ღამე მშვიდობისა! — უპასუხა მიშენკამ.

მუსიე კაპემ სანთელი ჩააქრო. ზამთრის გამოყინული მთვარის მკრთალმა სხივმა გაანათა საბავშვო ოთახი, სურათები, პატარა სკამი... მიშამ ყველაფერი ამას დაბნეული მზერა მოავლო, მაგრამ ყურადღება არაფერზე შეუჩერებია. მოეჩვენა, თითქოს ყოველივე ეს მისთვის უკვე უინტერესო და ზედმეტი გამხდარიყო.

ღღეს გაიგო მიშამ თავისი სამშობლოს გამოჩენილი ადამიანების დიადი ვმრობის ამბავი და უნდოდა, ო, რა გულმხურვალედ უნდოდა, ოდესმე იმათ დამგვანებოდა. ოდესმე... როცა სულ დიდი გაიზრდება, რადგან ახლა, როგორც ბებია ამბობს, ჯერ ისევ „ბაღლია“. მაგრამ არა, არა! მართალია, ჯერ სრულად ვერ გარკვეულიყო, რა დაემართა, მაგრამ გრძნობდა, რომ ამ ღღემ თითქოს რალაცა ზღვარი გაავლო მის ცხოვრებაში. ამ ღღეს მიშამ პირველად განიცადა

* არასოდეს! (ფრანგ.).

სიხარულიცა და ტკივილიც არა თავისი თავისა და თავისი ახლობლების გულს-
თვის, არამედ ტანჯვა-წაშებით, ბრძოლითა და ბედნიერებით აღვსილი რაღაც
დიდზე დიდისთვის, რისი სახელიც მან ჯერ კიდევ არ იცოდა, მაგრამ რასაც კა-
ცობრიობა ერქვა.



თავი 21

ზუსტად გზების ატალახების წინ დაბრუნდა მიშა თარხანში კროპოტო-
ვოდან, სადაც ორი კვირა დაჰყო. ხანდახან ბებია ძალზე გულუწადინოდ უშ-
ვებდა ხოლმე მას სტუმრად იური პეტროვიჩთან. გამუდმებით ურთირეთობასა
და ხანგრძლივ საუბრებში გატარებული ეს დღეები ყოველთვის ისე აახლოებ-
და მამა-შვილს, რომ გარდაუვალი განშორება მათ უკვე შეუძლებლად მიაჩ-
ნდათ. მაგრამ ეს განშორებისა მაინც მუდამ დაჰკრავდა ხოლმე.

იური პეტროვიჩი ჩვეულებისამებრ მიაცილებდა ხოლმე ვაჟიშვილს და
კიდევ ერთი-ორი დღეც თარხანში რჩებოდა, პაემანი რომ გაეხანგრძლივებინა.

ამჯერად მიშა კროპოტოვოში ჩვეულებრივზე მეტხანს დარჩა იური პეტ-
როვიჩის ავადმყოფობის გამო. გამგზავრება მოუხდათ უკვე გალზობილ თოვლ-
ში, რომელშიაც მარხილის თავკავეები ეფლობოდა. მაგრამ ბებია აჩქარებდათ
დაბრუნებას და სასწრაფოდ წასვლა იყო საჭირო.

დილაადრიანად გაემგზავრნენ და მხოლოდ შუადღისასღა ჰკიდეს თვალი
სამრეკლოს, მთის ძირას მდებარე წისქვილს და რისაკოვასეული მამულის
პარკის გალავანს. იური პეტროვიჩის მეზობელი მემამულე ქალი რისაკოვა
მთელ გუბერნიისში ცნობილი იყო თავისი მკაცრი ხასიათით. მისი გაუბედუ-
რებული გლეხები უწყალოდ იყუჩებოდნენ ანდა გაქცევით შველიდნენ ხოლ-
მე თავს.

მთაზე რომ ავიდნენ, საიდანაც უკვე მოჩანდა დიდი ეზო და მეზონიანი
სახლი, მეეტლე ნიკანორი გაჩერდა, ხოლო იური პეტროვიჩმა გაკვირვებით
და შეშფოთებით დაუწყო ცქერა მის თვალწინ გადაშლილ უჩვეულო სურათს.

მთელი ეზო ხალხით იყო გაჭედილი — ჭიშკრიდან ზედ პარმალამდე. ეს
ბრბო, რომელიც ხან წინ მიაწყდებოდა და ხანაც უკუიქცეოდა, მრისხანედ და
რაღაცა ავის მომასწავებლად გუგუნებდა. ამ გუგუნში ვერ გამოარჩევდით
ვერც ცალკეულ სიტყვებს და ვერც ცალკეულ ხმებს. მთელი ბრბო აეტანა
რაღაც ერთიან გრძნობას, ერთიანი მუქარის გამომხატველ მღელვარებას,
რომელიც უფრო და უფრო მატულობდა, როგორც მატულობს ოკეანეში
წყალკვეთება, როდესაც მისი გუგუნი და გააფთრებული დგანდგარი თანდა-
თან ძლიერი და ძლიერი ხდება და ერთი წუთითაც არა წყნარდება.

— დაიძარ, დაიძარ! — სასწრაფოდ უბრძანა იური პეტროვიჩმა თავის
მოხუც მეეტლეს, თან ბრბოს თვალს არ აშორებდა.

მარხილი სახლს მიუახლოვდა და აი, ამ მოჯარებულ ბრბოში ახლა უკვე
შეიძლებოდა ცალკეული სახეების გარჩევა. უმრავლესობას მძიმე ხელკეტები,
ფიწლები და ცულებიც კი ეჭირათ. იური პეტროვიჩმა დაინახა შეშინებული
მოურავი, ფართო პარმალზე აქეთ-იქით რომ აწყდებოდა. პარმალისაკენ კი
სულ უფრო დაჟინებულად მიიწევდა ბრბო და საცაა ზედ მიადგებოდა. წინ
დედაკაცები მიძვრებოდნენ, ხან ერთი, ხან მეორე, რაღაცას დაიძახებდნენ და
პერე ისევ კაცებს ამოეფარებოდნენ.

ფანჯრებს ჭვები დაუშინეს. მიშამ ჯერ ჩამსხვრეული მინების ქლიალი

გაიგონა და მერე დაინახა, თუ როგორ გარშემოერტყა ბრბო მოურავს. სამმა ახოვანმა წვეროსანმა ახალგაზრდამ ხელები მსხვილი თოკით გაუკრა ზურგს-უკან და პარმალდან სადღაც წაათრიეს. მიშამ მოასწრო და კარგად დაინახა მოურავის გათეთრებული პირისახე და გაიგონა მისი მამალაღი / ყვირილი: „ძმებო!...“ და კიდევ: „ძმებო!...“

იური პეტროვიჩმა რაღაც დაუყვირა მეეტლეს, მერე ^{ეკრძინულნი} შეიქცა და გულში ჩაიკრა. ნიკანორმა დასჭყივლა, ცხენები ადგილს მოსწყდნენ და ფლოქ-ვეებით გალხობილი თოვლის კორიანტელი დააყენეს.

როდესაც შორს მიწყდა ბრბოს ყვირილი, ყრუ გუგუნის და ცხენები ფრთხილად დაეშვნენ გორიდან, ერთიანად აცანცახებულმა მიშამ ჩუმად იკითხა:

— რა იყო, მამილო?

— ბუნტი, ჩემო მეგობარო, გაწამებული გლეხების ბუნტი, — უპასუხა იური პეტროვიჩმა, რომელიც განცდილი მღელვარებისაგან კიდევ უფრო გაფითრებულიყო. — ჩქარა, ნიკანორ, ჩქარა! — იმეორებდა იგი მაშინაც, როდესაც უკვე კარგა ხნის გასულები იყვნენ შარავზაზე. ლონიერმა კროპოტო-ვულმა ცხენებმა განარიდეს ის და მიშა შემზარავ სანახაობას.

— შეგაშინა იმ ბრბომ? — ჰკითხა მან შვილს.

— არა, — მიუგო მიშამ, რომელსაც არ უნდოდა თავისი სუსტი მხარე გაემჟღავნებინა, — არ შემშინებია. მე ვფიქრობ, რომ ეგ მემამულე ქალი და მისი მოურავი მეტისმეტად ცუდი და მეტისმეტად ბოროტი ადამიანები არიან, უფრო უარესი, ვიდრე ჩვენი დარია გრიგორიევანა. ჰოდა, მაშასადამე, ეგ გლეხები მართალი არიან, რომ ბუნტდებიან. თქვენ როგორ გგონიათ?

მაგრამ იური პეტროვიჩმა ამჯობინა ამ კითხვაზე არ ეპასუხა.

რამდენიმე დღის მერე, სადილობის წინ, შეშინებულმა მამასახლისმა ბეზიას მოახსენა, რისაჩიხა თავისი სახლის სხვენზე უპოვიათ ჩამოხრჩობილიო. მამასახლისს წყნარად ლაპარაკი არ შეეძლო და მიშამ ყველაფერი გაიგონა. მამასახლისმა თქვა, რისაჩიხას მკვლელობის მოთავეობა დაიბრალა გლეხმა, რომელსაც გადასახადის ნარჩენის გადაუხდელობისათვის მისი ბრძანებით ბეწვ-ბეწვ დააგლიჯეს წვერიო. მიშა შურდულივით შეიჭრა სასადილო ოთახში, მამასახლისის წინ შედგა და ბრაზით ანთებული პირისახე მიაპყრო მას.

— ძია ერემეი, აი, შენ რომ დაგიწყონ ბეწვ-ბეწვ წვერის დაგლეჯა, მაშინ რას იზამდი?!

თავზარდაცემულმა ბებია მხელები აუქნია ჯერ მიშენკას, მერე მამასახლისს და მამასახლისიც საჩქაროდ გაეცალა იქაურობას.

ეს ამბავი მეხვიით გავარდა მთელ გუბერნიაში და მსწრაფლ ჩააღწია დედაქალაქამდე. ბევრნი ეწამნენ ამ საქმისათვის. მთელ სოფელს უწყალოდ გაუსწორდნენ, ქალებიც კი არ დაინდეს.

მრავალ გლეხს სალდათად უკრეს თავი, მრავალი ხელგაბაწრულნი ოთხ-თვალაში ჩასვეს, წაიყვანეს და მათ თითქოს მიწამ უყო პირი.

მაგრამ სულ მალე გლეხთა ახალი ბუნტების ამბავმა მოაღწია თარხანამდე.

მეამბოხეებს მხეცურად უსწორდებოდნენ. ყველა კუთხე-კუნჭულში იყო

ერთი ჩურჩული, ბევრი მათრახით უცემიათო, ბევრიც ბორკილდადებული ციმბირს გაუმწესებიათო.

— მაგრამ ეს მემამულეებიც ხომ ალაბთ ისეთივე ბოროტები რგვნენ, რანაირიც რისაჩიხა იყო! — ჯოუტად ამტკიცებდა მიშა. — მაშ რისთვისღა გაამწესეს ციმბირს გლეხები?

— როგორ თუ რისთვის?! — გულისწყრომა ვერ დაფარავს უბნისმკაცრ გლეხებმა იმისთანა რამეები ჩაიდინეს და შენ კი იმათ მხარს უჭერ? გონს მოდი, მიშენკა!

მაგრამ მიშა მტკიცედ იდგა თავის მოსაზრებაზე და ისე მხურვალედ იცავდა გლეხებს, რომ ბოლოს და ბოლოს ბებიას მოთმინების ფიალა აევსო და საერთოდ აუკრძალა ლაპარაკი ამის თაობაზე.

მიშენკამ შეწყვიტა ლაპარაკი ამ ამბებზე, მაგრამ სამაგიეროდ სხვები ლაპარაკობდნენ. კურსკის გუბერნიიდან ჩამოსულნი, რომელთაც ბებია ხორბალს ასყიდებდა ხოლმე, ყვებოდნენ ამბოხებებზე და იმაზე, თუ როგორ უსწორდებოდნენ შეამბოხებებს.

ამ ნაამბობების შემდეგ მიშას ყვირილი აღვიძებდა მუსიე კაპეს ლამლამობით. გუვერნიორი შიშით მივიდოდა ხოლმე მის საწოლთან და ეკითხებოდა.

— რა იყო, მიშელ? დაიძინე, ძილი ნებისა!

თავი 22

მიშა ივაშკას ქოხის მიწაყრილზე იჯდა ფიქრებში წასული. უკვე დიდი დრო გავიდა, რაც ასე იჯდა და კარგა ხანია წასვლაც უნდოდა, მაგრამ ვერ მიდიოდა. ის ყურს უგდებდა ხმას, ქოხის გაღებული სარკმლიდან რომ გამოდიოდა. ეს ხმაც არ იყო, არამედ ოდნავ გასაგონი კვნესა, დროდადრო რომ მიწყდებოდა, თითქოს კაცი სულმთლად დაუძლურდაო, მაგრამ მერე ისევ იწყებოდა უსიტყვო ნაწყვეტ-ნაწყვეტი ვიშვიში, ხვეწნა-მუდარა ხსნასა და შველაზე, ღმერთმა უწყის, ვისდამი მიმართული.

კვნესოდა ქოხში უზურგო მერხზე მწოლი ნიკიტა, მაკარის ძმა. ნიკიტა მემამულე მოსოლოვის ყმა იყო და მისგან გაქცევა მოიწადინა, მაგრამ შეიპყრეს და საჯინბოში როზგის ცემით ლამის სული ამოხადეს — ასე უამბო მიშენკას ძია მაკარმა: ნიკიტა პატარაობიდანვე სნეული იყო... ამჯერზე მოსოლოვმა შეისმინა მაკარის ვედრება: მოჯალაბეთ უბრძანა მიეცათ მისთვის სნეული ძმა — დაე, თარხანში მოკვდეს, სულერთია ამისგან მეურნეობაში ხეირი არ იქნებაო. და ნიკიტაც კვდებოდა. მაკარი კი მიწამდე თავს უკრავდა მოსოლოვს და მადლობას სწირავდა იმის გამო, რომ თავის ყმას ნება დართო მშობლიურ ქოხში გამოსალმებოდა სიცოცხლეს...

ხანდისხან ვინმე გლეხთაგანი მივიდოდა გაღებულ სარკმელთან, წამით შედგებოდა და თავის ქნევით გაბრუნდებოდა. მიშა ისევ მიწაყრილზე იჯდა, თითქოს ამ გულშემზარავმა კვნესამ ერთ ადგილზე მიაჯაჭვაო.

ივაშკა ჩამჩით გამოვარდა, კასრიდან წყალი ამოიღო და ქოხში შეარბენინა. მერე დაბრუნდა და მიშასთან გაჩერდა, სადღაც შორს იყურებოდა კუმტად.

— ივაშკა, — წყნარად შეეკითხა მიშა, — სტკივა?

— სტკივა, აბა არა სტკივა? რომ არ სტკიოდეს ხომ არ...
— რა სტკივა?

მთელი ძვლები სტკივა, უპირველეს ყოვლისა კი ღვიძლი, შოსპეს ის...
— ივაშკა, არ შეიძლება რომ გამორჩეს?

ივაშკა წუთიერად ჩაფიქრდა.
— არა, არ გამორჩება, — გადაწყვეტილად მიუგო მან. — ამას წინებზე ექიმი იყო და თქვა, საღამომდე ვერ გაატანსო.

— მე არ წავალ აქედან, ივაშკა, — მტკიცედ თქვა მიშამ.
იმავე წუთს რომელიღაც კუთხიდან ერთბაშად რამდენიმე ხმამ დაიძახა:

— მიშენკა, მიშელ! — მისკენ ქრისტინა ოსიპოვნა და მუსიე კაპე მოიჩქაროდნენ.
მაგრამ იმათზე უწინ ნასტია მოიბრინა.

— შენ რატომ არ ეუბნები ბატონიშვილს, რომ აქ მაგისი ადგილი არ არის, — დაუცაცხანა მან ივაშკას. — წავიდეთ, მიშენკა, ბებია გეძახით.

ასე დაბრუნდა შინ ერთბაშად ორი მხევლის მიერ მოტაცებული მიშენკა მუსიე კაპეს თანხლებით. იგი პირდაპირ ბაღში მიიყვანეს, სადაც ყვავილნარის ახლოს ბებია იჯდა შერბზე და გულისღევით ელოდა თავის თვალისჩინს.

ბიჭს რომ შეხედა, უარესად აფორიაქდა. მიუხედავად სიცხისა, მიშენკას მიტკლისფერი ედო. იგი მღუმარედ ჩამოჯდა ბებიას გვერდით შერბზე.

— დღეს რა დაგემართა, მიშენკა? — ჰკითხა ბოლოს და ბოლოს ელიზავეტა ალექსეევნამ, ალმაცერად რომ უცქერდა შვილიშვილს. — აღარც დარბიხარ და აღარც არავის ეომები. შენს სტუმარ აკიმუშკასაც აღარ ეკარები, განცალკევებით ზიხარ. იქნება თავი გტკივა?

მაგრამ მიშენკა მღუმარედ სადღაც იყურებოდა სწორედ იმგვარი ფიქრიანი და შიშჩამდგარი თვალებით, ასე რომ აფეთებდა ხოლმე ბებიას.

— ბებია, — ჰკითხა მან ბოლოს, — ნიკიტა ხომ გლეხია?
— ჰო, გლეხია, — ყურები დაცქვიტა ბებიამ.
— მისი ანისიაც გლეხია?

— რა თქმა უნდა, მიშენკა, ანისიაც გლეხია.
— მოსოლოვი მემამულეა?

— მემამულე და აზნაური, — უპასუხა ბებიამ, რომელიც უკვე გრძნობდა, რომ ეს შეკითხვები განზრახ იყო დაწყებული. ყოველთვის ასე იცის: დაგიწყებს შეკითხვებს და გაგაბრიყვებს. — ვერ გაიგებ, სად და რას უმიზნებს.

მიშენკა ისევ გაჩუმდა. წამიერი დუმულის შემდეგ კი იკითხა:
— და სულ თავიდანვე ასე იყო?

— ამას ვისზე მეკითხები, მიშენკა?
— მოსოლოვზე, — მკაცრად მიუგო მიშენკამ, — რომელმაც ნიკიტას როზგის ცემით სული ამოხადა. ამისათვის მას დასაწყისშიც ასეთივე შავი დღე დაადგებოდა.

— რომელ დასაწყისში, რას ამბობ? — შეეკითხა საბტად დარჩენილი ბებია.

— აი, მაშინ, — თქვა მიშენკამ, — როდესაც ადამიანები გაჩნდნენ. ასეთი პასუხის შემდეგ ელიზავეტა ალექსეევნამ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო — გაეცინა თუ გაბრაზებულიყო.

— რაები აღარ მოგდის თავში, მიშენკა! — დაბნეულად შეხედა მან შვილიშვილს. — აღამიანები რომ გაჩნდნენ, მაშინ მხოლოდ და მხოლოდ ტყეები იყო.

— მერე რა, — უპასუხა შვილიშვილმა, — სულერთია, მაშინ უკეთესი იყო!

მიშენკა წამოდგა, დიდი ნაბიჯებით გაუყვა ხეივანს და მერხზე დატოვა გაოცებისაგან ენაჩავარდნილი ბებია.

— დიდი კაცივით წავიდა! — უამბობდა შემდგომ ბებია მარია აკიმოვნას. — პირდაპირ გული ამომიჭდა. როგორი საოცარი ბავშვია!

იმავე საღამოს ელიზავეტა ალექსეევნამ წერილი მისწერა იური პეტროვიჩს იმის თაობაზე, რომ მის შვილს აღზრდა და გასართობები უნდა შეეცვალოს და რომ, მისი აზრით, მას უნდა აეკრძალოს სოფელში სიარული და გლეხებთან საუბარი.

ამის შემდეგ ბებიაშამც და იური პეტროვიჩშამც, თითოეულმა თავისებურად, დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ დრო იყო მიშას სერიოზული მეცადინეობა დაეწყო მასწავლებლებთან სხვადასხვა საგნებში.

ბებიას თავიდან არ უნდოდა ეს და ეწინააღმდეგებოდა იური პეტროვიჩს, ურჩევდა, ცოტა კიდევ დაიცადეო. ჯერ ერთი, შიშობდა, რომ საამისოდ ბიჭი ჯერაც არ იყო საკმარისად გაკაჟებული და მეორეც, მისი აზრით, მან თავისი ასაკის კვალობაზე უკვე ძალიან ბევრი რამ იცოდა.

— მან ხომ მარტო ფრანგული კი არა, გერმანულიც იცის, — არწმუნებდა ბებია იური პეტროვიჩს, — რუსულადაც ისე წერს, რომ ვერ აჯობებ.

მაგრამ ბებია შვილიშვილზე სულ უფრო და უფრო ღელავდა და ერთბედაც, ყიამეთი დარის მიუხედავად, ელიზავეტა ალექსეევნამ მეეტლე პროხორს უბრძანა ცხენები შეემა ეტლში და აპალიხაში მარია აკიმოვნას მიეახლა ზუსტად დილის ჩაის სმის დროს.

— დეიდა ლიზა, ხომ არაფერი შეგემთხვათ? — შეშფოთებით ჰკითხა მარია აკიმოვნამ.

— მადლობა ღმერთს, არაფერი, — მიუგო სტუმარმა და ჩამოჯდა. — შენთან რჩევის საკითხავად მოვედი. გადავწყვიტე მიშენკას აღზრდაში ცვლილებები მოვახდინო.

— რატომ? — გაოცება ვერ დაფარა მარია აკიმოვნამ. — განა მიშას აღზრდაში რაიმე აკლია?

— აკლია, მაშენკა. მასწავლებლებიც აკლია და ამხანაგებიც. ერთი შენი აკიმუშკა ჰყავს მეგობარი, მაგრამ მიშენკა ხომ მასზე უფროსია. მარტო აკიმუშკა არ კმარა, თუმც ისინი განუყრელი მეგობრები არიან. ჰო, მართლა! — გაიხსენა ბებიაშამ. — ის გადმოხვეწილი ბერძენი, მე რომ მიშენკას მასწავლებლად დავუქირავე, სწავლული კი არადა, მღებავი გამოდგა.

— რისი მღებავი?

— ძალღებისა, გეთაყვა, ამ ჯერზე გლეხებს ძალღის ბეწვის ენოტის ბეწვად გადაღებვას ასწავლის. აი, რა ცოდვას ჩადიან! არასასიამოვნო ამბავია! ჰოდა, გადავწყვიტე დღესვე წავიდე მეზობლებთან და ვთხოვო მასწავლებლები და შვილები.

მარია აკიმოვნამ გაკვირვებით გადახედა დეიდას.

— რომელი შვილები, დეიდა ლიზა? რაღაც არ მესმის თქვენი.

— თავისი შვილების კარგ მასწავლებლებს ხომ არავინ დამითმობს! ჰო-

და, ეგება შვილებთან ერთად გამოუშვან ჩემს სახლში. ჩემთან ისინი მიშენკასთან ერთად ისწავლიდნენ და იმხიარულებდნენ.

— თქვენი ნებაა, დეიდა ლიზა, — უთხრა ცოტა ხნის დღემდის შემდეგ მარია აკიმოვნამ, — ეს ძალიან კარგი იქნებოდა. ოღონდ მასწავლებლები თუ დაყაბულდებიან?

ეროვნული

— დავიყოლიებ. ჩემთან ყველა კარგად იქნება; ხოლო მასწავლებლებს ზრდა-განვითარება მარტოდმარტო დღეის იქით აღარ შეიძლება: ისევ ფიქრი და იწყო...

ელიზავეტა ალექსეევნამ გეგმას ისე შეასხა ხორცი, უკეთესად რომ არ შეიძლებოდა. სულ მალე თარხანის წყნარი სახლი ხმაურიან საშოშიეს დაემგვანა, სადაც ათამდე ბიჭი დაფრთიანებული შოშიეებით ჰაერს განუწყვეტელი ჟრიაშულით ავსებდა, ისინი დაწყებით მეცნიერებებს ეუფლებოდნენ, ჩხუბობდნენ, ერთობოდნენ და პარკში დაქროდნენ. მათ შორის ყველაზე მყვირალა და ყველაზე ანცი მიშენკა გახლდათ.

მხოლოდ ხმაურიანი დღის ბოლოსდა ისვენებდნენ ბებია და აპალიხადან ჩამოსული მარია აკიმოვნა; შუალამის გადასვლამდე ისხდნენ დაცარიელებულ და გაყუჩებულ სასადილო ოთახში და ყურს უგდებდნენ ლამის დარაჯის სარაკუნას ჟღარუნსა და მუსიე კაპეს ხველას, მალლიდან რომ ჩამოდისოდა.

მაგრამ სამი თვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათემატიკის მასწავლებელმა, ეტყობა, ამოწურა თავისი ცოდნა და ერთ ადგილს ტკეპნიდა. მართალია, რუსეთის ისტორიის მასწავლებელი მეტისმეტად მოხიბლული გახლდათ თავისი საგნით, ხოლო გეოგრაფიაში ბიჭუნებმა უკვე იცოდნენ თავიანთი სამშობლოს ყველა მთავარი ქალაქი და მდინარე, მაგრამ ბებია და მარია აკიმოვნა თვალნათლივ ხედავდნენ, რომ მალე მიშა ველარაფერს ისწავლიდა ამ მოძღვართაგან. ყველა ამ პირველდაწყებით საგანს ისე ადვილად ითვისებდა და ცოდნით ისე გაუსწრო თავის ამხანაგებს, ბებიამ გადაწყვიტა იური პეტროვიჩისათვის ეუწყებინა: შემდგომი განათლების მისაღებად შენს შვილს მოსკოველი მასწავლებლები ესაჭიროებაო.

ჯერხნობით კი ყოველი დღის ადვილად შესასრულებელი სასწავლო პროგრამების დამთავრების შემდეგ, ხმაურიანი თამაშობების შუალედებში, მიშა დაემალეობოდა ხოლმე თავის დაუდევარ ტოლბიჭებს პარკის ყველაზე მოშორებულ კუთხეში და იქ, ჩამოცვივნილი წიწვების სქელ ფენაზე ან ბალახზე წამოწოლილი, — რასაც სასტიკად უკრძალავდნენ ბებიაცა და ქრისტინა ოსიპოვნაც — მღელვარებისაგან აღმურმოდებული კითხულობდა წიგნებს, ერთ დროს დედამისს რომ ეკუთვნოდა.

იური პეტროვიჩი ათასში ერთხელ ჩამოდისოდა თარხანში და ვერ ხელმძღვანელობდა შვილის კითხვის საქმეს. თავად ის თავის პატარა ბიბლიოთეკასა და იმ ჟურნალებს სჯერდებოდა, შემთხვევით რომ უვარდებოდა ხელთ ვინმე უახლოესი მეზობლისაგან. ბებიას კი საერთოდ არ აინტერესებდა ლიტერატურა და რა გასაკვირია, რომ არც იმან და არც იური პეტროვიჩმა არ უწყოდნენ, რა მონდომებულად კითხულობდა მათი შვილი და შვილიშვილი ყველა წიგნს, რომლებიც კი თარხანში მოიძევებოდა. ის ერთნაირი გატაცებით კითხულობდა დაფურცლულ „ილიადასაც“ (კოსტროვის უმძიმეს თარგმანში), გოეთეს „ფაუსტსაც“ გერმანულ ენაზე, „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანსაც“, უცნობი ავტორის ყდამოგლეჯილ წიგნსაც ასტრონომიაზე და ფენიმორ კუ-

პერის ტომსაც, — ყველაფერს, ყველაფერს კითხულობდა, რასაც კი ძველის-ძველი წიგნის კარადა ინახავდა.

თავი 28



ქართული
ლიტერატურის
საქართველოს
საზოგადოებრივი
მემორიალი

იმ ზაფხულს — მიშასათვის საბოლოო ზაფხულს თარხანში ვვალეები დაიჭირა. სამხრეთიდან ხორშაკი ქარი უბერავდა, აღმოსავლეთიდან მსუბუქი ღრუბლები მოცურავდნენ, რომლებიც თანდათანობით იფანტებოდნენ და გავარვარებულ სილურჯეში ინთქმებოდნენ. გლებები შიშით შეჰყურებდნენ გადამხმარ ყანებს. ბებია მორჯერ უბრძანა მღვდელს საავდრო პარაკლისი გადაეხადა. მაგრამ ქარი მაინც არ იცვლებოდა და გაცრიატებული, თითქოსდა გახუნებული ციდან ულმობელი მზე აცხუნებდა.

ხვატიანი დღე იწურებოდა. ბებია ქრისტიანა ოსიპოვნასთან ერთად ბაღში გავიდა და თავის საყვარელ მერხზე ჩამოჯდა, ყვავილნართან რომ იდგა. ამ ზაფხულს ყვავილნარში ყვავილების თითქმის ნახევარი გახმა. მაგრამ ბაღშიც არ იყო სიგრილე.

ბებია მზის ჩასვლას აკვირდებოდა და კინალამ გული გადაუტრიალდა, მიშას ხმამაღალი ყვირილი რომ შემოესმა. ის ხეივანში მორბოდა.

— ბებია, გაავდარდება!

ბებია უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

— რას ამბობ, მიშენკა, ავდარი საიდან მოვა, აბა!

— აი, ნახავთ, თუ არ მოვა! აუცილებლად მოვა! — მხიარულად გაიმეორა აქოშინებულმა მიშამ. — დღეს ბალახი სულმთლად გამხმარია.

— ეჰ, ბალახი მთელი ზაფხული გამხმარია, — ამოიოხრა ქრისტიანა ოსიპოვნამ.

— არა, ქრისტიანა ოსიპოვნა, ამნაირი არ ყოფილა! — სოფლის მცხოვრების გულდაჯერებულობით და მღელვარებით ლაპარაკობდა ბიჭი. — დღეს ის მთლად, მიწის პირამდე, ხმელია. თქვენ და ბებია დიდ ცაცხვზე რომ ასულიყავით, მაშინ დაინახავდით იმას, რაც მე ვნახე!..

— ჰო, რასაკვირველია, — თქვა ბებია, — მე და ქრისტიანა ოსიპოვნას ცაცხვზე ძროშიალილა გვაკლია. მაინც რა ნახე ამისთანა?

— ღრუბელი ვნახე, ბებია, პატარა, ლეგა, სულ პატარა, მაგრამ ის დასავლეთით გამოჩნდა, ეს კი პირველად მოხდა მთელი ამ ხნის მანძილზე.

ქრისტიანა ოსიპოვნამ და ბებია იჭვნეულად გადააქნიეს თავი, მაგრამ ნახევარ საათსაც არ გაევილო, რომ დარწმუნდნენ, მიშა მართალი იყო.

დასავლეთიდან ჯერაც შორს მყოფი ღრუბლები წამოიშალნენ. სწრაფად ჩამოხველდა. ცოტა ხნის შემდეგ კი ავდრის მაუწყებელმა ყველა ნიშანმა სიამითა და იმედით აღუვისო გული მებატონეებსაც და გლებებსაც და, როგორც ყოველთვის, მიშას გულიც დაუდევარი სიხალისით ააძგერა. სინარულით ცას ნაწევმა ბიჭმა მთელი პარკი შემოირბინა, წვრილი ხელჯოხით გამხმარ ყვავილებს თავები დააყრევინა და კიდევ ერთხელ აძვრა ყველაზე დიდ და ბებერ ცაცხვზე, ჰორიზონტი რომ მოეთვალერებინა. ამჯერზე უკვე ჰორიზონტი ძლად ღრუბლებით იყო აყორილი. მოუსვენარი ელვა დასავლეთისაკენ მიილტვოდა, გეგონება, ღრუბლები შუქნიშნებს გადასცემენო ერთურთს. მერე ჯერაც შორს მყოფმა ქარმა დაჰბერა და გზებზე ქარბორბალები დაატრიალა.

მიშა გასცქეროდა გზას, რომელსაც გლებები შარავზას ეძახდნენ. მან კარ-

დად გაარჩია, რომ მტერის კორიანტელს მარტოოდენ ქარი როდი აყენებდა ძოახლოებულ ბაცი ფერის მტერის ბუქში შავად მოჩანდა ფოსტის სამცხენშებ-
 შული სამგზავრო ოთხთვალა. მეეტლე თუ მგზავრი, ეტყობა, ძალიან ეშურებოდა თავშესაფრამდე მისვლას და ცხენები სწრაფად ახლოვდებოდნენ.

— ეს მამიკოა! — წაიჩურჩულა მიშამ, მღელვარებით და იმედით რომ მიშტერებოდა ოთხთვალასა და ცხენებს.

მაგრამ არა, იური პეტროვიჩი ფოსტის ცხენებით არ მგზავრობს, და კრო-
 პოტოვოს გზაც შარაგზიდან სხვა მხარეს უხვევს.

ამას ამბობდა იგი თავისთვის, მარდად რომ ჩამოდიოდა ხიდან, იმ დროს, როდესაც დიდი ხნის ნანატრმა პირველმა ჭექა-ქუხილმა უკვე გადაუარა მთელ ცის კაბადონს და ცეცხლის კლაკნილიანმა ელვამ თარხანის თავზე გა-
 იელვა.

გოგოები უკვე მოქუჩებულებიყვნენ ჭიშკართან. ისინი შიშით შეპყურებ-
 დნენ ზეცას და დაძაბული ცნობისწადილით გამზერდნენ გზას: ფოსტის სამ-
 ცხენა, მთელი ძალით რომ მოჰქრის სახლისაკენ, დიდი მოვლენაა სოფელში. პარმალზე გამოსული ბებიაც მიჩერებოდა სამცხენას. კოკისპირულმა წვიმამაც წამოუშინა პირველი წვეთები და წვეროსანმა მეეტლემაც მკვეთრად შეაჩერა ცხენები. დამტვერილ ოთხთვალადან მსუბუქად ჩამობტა სრულიად ახალ-
 გაზრდა სტუდენტი. ნორჩ პირისახეზე ოდნავ ეტყობოდა ულვაში, ცოცხალი თაფლისფერი თვალები უელავდა.

— ელიზავეტა ალექსეევნა! ბებია! — წარმოთქვა მან, პარმალზე აირბი-
 ნა და ბებიას ხელზე აკოცა. — მიიღებთ ნათლულს? შეიფარეთ ორიოდ კვი-
 რით! პირდაპირ მოსკოვიდან მოვდივარ!

— სლავუშკა! — ბებია ყმაწვილს გადაეხვია. — გთხოვთ, მობრძანდეთ, როგორ გამახარე, ჩემო მეგობარო. მიშენკასაც გაუხარდება. შენთან მხიარულ-
 ად იქნება. აი, მიშა, შენ ალბათ აღარ გახსოვს, პატარა იყავი, ის რომ თარ-
 ხანში ჩამოდიოდა, — ჩემი ნათლულია, სვიატოსლავ აფანასიევიჩ რაევსკი. მე და ბებიათმისი მეგობრები ვიყავით, ბებიათმისი სტოლიპინებთან ცხოვრობდა.

რამდენიმე წამს ისინი ერთმანეთს ათვალეირებდნენ: მუქთმიანი და მწვა-
 ნე ხავერდის კურტაკიანი ბიჭი, ძალზე სერიოზულ და ძალზე ცოცხალ თვალ-
 თაგან ყურადღებიანი მზერა რომ გამოუკრთოდა და მოსკოვის უნივერსიტე-
 ტის ახალგაზრდა სტუდენტი, ჭექა-ქუხილთან ერთად რომ შემოიჭრა და ამ ბიჭს რაღაც შორეული, მისთვის ჭერ კიდევ შეუცნობელი სიხარულითა და მღელვარებით აღვსილი ბობოქარი, ჭეშმარიტი ცხოვრების მახარობელი ეგონა.

სალამოს პირზე ფანჯრებს მიღმა დელგმა ბობოქრობდა. წვიმის ღვარები გამხმარ მიწაზე დიოდა. შვებით აშრილებული ძველი პარკი კი გამძვინვარ-
 ებულ ნიაღვრებს თავის ხშირ ფოთლებს უშვერდა, ალაგ-ალაგ უკვე ნაად-
 რევად გაყვითლება რომ დაეწყო.

წყლის ღვარები ბილიკებზე მითქრიალებდა და ყვავილთა მწკრივებს ფა-
 რავდა. ფანჯრის მინებზეც ნაკადები მოედინებოდა. მაგრამ თარხანის სასადი-
 ლო ოთახში მყუდროებას დაესადგურებინა .იქ, მუსიე კაპეს, მუსიე ლევის, ქრისტინა ოსიპოვნას წასვლის შემდეგ, ნაგვიანევ ვახშამს შემორჩენოდა ბებია და მოსკოვიდან ჩამოსული ნათლულის ნაუბარს უგდებდა ყურს.

— იცი რა, სლავუშკა, — თქვა ბებიამ, როდესაც რაევსკი გაჩუმდა, — შენ მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდი. ამ უნივერსიტეტთან კეთილშო-

ბილთა პანსიონი არსებობს იქ მინდა მიშენკა გავამწესო. ამ შემოდგომაზე მოსკოვს გადმოვალთ, მომავალ წელს კი იქნებ, თუკი ღმერთმა ინება, ბიჭი იქ მოეწყოს. შენ რაღას იტყვი ამ პანსიონის თაობაზე?

— ეს საუკეთესო პანსიონია მთელ მოსკოვში.

— ღმერთმა ქნას. კარგი ხალხი თუა მაინც იქა? — შეეკითხა

— არიან.

— კარგი ოჯახებიდან?

— საუკეთესო ოჯახიშვილები. აი, ერთ მაგალითს გეტყვით: მე მოსკოვის უნივერსიტეტში ჩავირიცხე სტრუისკის შვილთან ერთად. ერთ ოთახში ვცხოვრობდით: შესანიშნავი ადამიანია!

— სტრუისკის შვილი? ეგ რომელი სტრუისკისა? იმ ჩვენი მდიდრისა ხომ არა, პენზელი მემამულე ლეონტისა... მამის სახელი დამავიწყდა!

— სწორედ იმისი.

— ვიცნობდი, ვიცნობდი. მისმა საქმემ დიდი აურზაური გამოიწვია. დათვრა და თავისი შინაყმა ცემით მოკლა. შეიძლება შერჩენოდა კიდევ ეს ამბავი, მაგრამ იმხანად ჩვენი პენზის გუბერნატორი მიხაილ მიხაილიჩ სპერანსკი იყო და სტრუისკის ციმბირში უკრა თავი ის იქ, ციმბირშივე მოკვდა. შვილი ხომ იგონებს ხოლმე მამას? რა ჰქვია შვილს?

— ალექსანდრი.

— მაშასადამე, ალექსანდრ ლეონტიევიჩი.

— ის ლეონტიევიჩი არ არის.

— კი მაგრამ, რატომ?

— ივანოვიჩია.

— არ მესმის...

— უკანონო შვილია სტრუისკისა. ყმაა, მას მამის სახელი არ მისცეს.

— ასე, ასე... მაშ რანაირილა სტრუისკია ეგ ალექსანდრ ივანოვიჩი?

— ის არც არის სტრუისკი.

— შენ რა ქარაგმებით მელაპარაკები? რაღაც სახელი ხომ ჰქვია?

— იმისი გვარი პოლუეჩაევია.

— ჰოდა, სლავუშკა, აწი უკვე აღარაფერი გამაკვირვებს. პოლუეჩაევია და პოლუეჩაევი იყოს. შენ ხომ არ გეწვევა აქა?

— აქა? რას ამბობთ, ბებია! ის ხომ სალდათად წაიყვანეს!

მართალია, ელიზავეტა ალექსეევნამ კი თქვა, აწი აღარაფერი გამაკვირვებსო, მაგრამ ნათლულის ამნაირი პასუხით ღრმად გაოცებულმა ანაზღუღლად შეხედა მას.

— რისთვის წაიყვანეს? ალბათ მამასავით ყაჩაღობა ჩაიდინა „ჰოდა, ამისათვის დაისაჯა კიდევ.“

— არა, ლექსების გულისათვის. იგი ერთ-ერთი ჩვენი საუკეთესო პოეტთაგანია.

— ლექსების გულისათვის! აი, ეს უკვე ძნელი დასაჯერებელია, რომ ლექსების გამო კაცი სალდათად წაიყვანონ. შენ რომ არ გეთქვა, არავითარ შემთხვევაში არ დავიჯერებდი! განა რა ვნება მოაქვს ლექსებს? კაცმა არ იცის, ვინმე წაიკითხავს თუ არა და თუკი წაიკითხავს, უმაღვე დაივიწყებს: მაშ ვიღამ გადაწყვიტა, ლექსების გულისათვის სტუდენტი სალდათად წაეყვანა?

— იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა, ბებია...

ელიზავეტა ალექსეევნამ შიშით მიმოიხედა, მერე წამოდგა, კარი შეაღო და მეზობელ ოთახში შეიჭყიტა. არავინ ჭაჭანებდა!

იგი მძიმედ ჩაეშვა სავარძელში.

— სხვა მეგობრები თუ გყავდა უნივერსიტეტში?

— ჩემი დიდი მეგობრები იყვნენ ძმები კრიტსკები.

— ახლა სად არიან ისინი?

— ორივენი ციხეში სხედან. ამა წლის თხუთმეტი აგვისტოს ღამით დაპატიმრეს.

— ღმერთო, შენ დამიფარე, ფუი, ეშმაკს!

ელიზავეტა ალექსეევნამ შიშით პირჯვარი გადაიწერა.

— ჰო-ოო... — დაღონებით წარმოთქვა მან. — ესეც შენი სწავლა!

მისთვის გამოყოფილი ოთახისაკენ რომ მიდიოდა, რაევსკი ჩაბნელებულ დერეფანში მიშას შეეჩეხა.

— ასე გვიან რატომ არ გძინავს? — ჰკითხა მან ბიჭს.

— თქვენ გელოდებით.

— მე? — გაუკვირდა რაევსკის, — აბა, მაშინ ჩემთან წავიდეთ.

რაევსკი პატარა დივანზე დაჯდა და მიშას შესთავაზა, გვერდით მომიჯექით.

მიშამ სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება, დივნის კუთხეში ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე შემოიღო, ორივე ხელი მუხლზე შემოიჭლო და გაფაციცებით დაუწყო თვალღერება მოსკოვიდან ჩამოსულ სტუმარს.

ცოტა ხანს ასე იჯდა, მერე, ეტყობა, კმაყოფილი დარჩა შეთვალღერებით და ძალზე ზრდილობიანად შეეკითხა:

— მითხარით, გეთაყვა, პეტერბურგში მეტი აჯანყება აღარა ყოფილა?

— როგორ? — წამოიძახა რაევსკიმ და გაოცებისაგან დივანზე შეხტა.

— რა გაქვს მხედველობაში?

— მხედველობაში მაქვს, — ძალზე საფუძვლიანად დაიწყო ახსნა მიშამ, — რაიმე აჯანყება, აი, იმდაგვარი, ძია აფანასი რომ მოჰყვა, იგი მოხდა თოთხმეტ დეკემბერს სე... სენატის მოედანზე.

— ყველაფერი ზუსტია, დროცა და ადგილიც, — გაეღიმა რაევსკის. — ოღონდ ახალი აჯანყება არ ყოფილა.

რაევსკის გვერდით მჯდომმა, მწვანე ხავერდის კურტაკიანმა ახირებულმა ბიჭუნამ, სრულიად ბალღურ პირისახეზე არაბალღური თვალეები რომ ესხდა, ჩაციებით შეხედა თანამოსაუბრეს და, ცოტა ხნის შემდეგ, თქვა:

— იცით, უწინ ვფიქრობდი, მალე შეიძლება იმ ტუსალების განთავისუფლება-მეთქი, როგორც ფრანგებმა გაანთავისუფლეს ტუსალები ბასტილიიდან. მაგრამ ამჯერად ეს ასე იოლი საქმე უკვე აღარა მგონია. მეპატიება ეს? — შეტად სერიოზულად იკითხა მან და სახე აელეწა. — იმხანად ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. თერთმეტი წლისა.

— ახლა რამდენისა ხარ? — ჰკითხა რაევსკიმ, ძლივძლივობით რომ იკავებდა ღიმილს.

— ახლა ცამეტისა მალე გავხდები, — საჩქაროდ დასძინა ბიჭმა.

რაევსკიმ ნდობით დაადო ხელზე თავისი ხელი.

— აი, რას გეტყვი, მიშა, რაკი უკვე მალე ცამეტი წლისა გავხდები, შენ ჩემს სიტყვებს გაიგებ. ნურავისთან ნუ ილაპარაკებ იმას, რაც ძია აფანასისაგან მოისმინე. და აწ ნურავის ნუღარ ჰკითხავ აჯანყების ამბავს, გასაგებია?

— არც არავისთან ვლაპარაკობ ამაზე. მხოლოდ ერთხელ აკიმთან დამცდა.

— აკიმი ვინ არის?

— აკიმი ჩემი ბიძაშვილია. იგი ხშირად ჩვენთან სტუმრად მოვიდოდა მეგობრობა გვაქვს. პო, მართლა, აი, კიდევ რა მინდოდა მეკითხა? — რა ლექსები დაწერა იმ თქვენმა მეგობარმა. პოლექსებმა? ის ლექსები მაქვს მხედველობაში, რომელთა გულისთვისაც სალდათად წაიყვანეს. რაზე ლაპარაკობდა იმ ლექსებში?

— პოლექსები? — სახტად დარჩა რაევსკი. — შენ საიდან იცი, რომ ის ჩემი მეგობარია?

— მესმოდა, ბებიას რომ ეუბნებოდით.

— პოლექსები ადამიანის თავისუფლებაზე წერდა, ჩემო მეგობარო, — აღერსიანად უთხრა რაევსკიმ, რომელმაც იგრძნო, რომ ამ ბიჭთან ნამდვილად შეეძლო მეგობრულად ყოფილიყო.

— კი მაგრამ, განა ამაზე წერა არ შეიძლება? — გაკვირვებით იკითხა მიშამ.

— ერთხელაც იქნება, როდესაც დიდი გაიზრდები, ჩვენ აუცილებლად ვისაუბრებთ იმაზე, რაზე შეიძლება წერა და რაზე არა, ახლა კი, მგონი, ძილის დროა. თანახმა ხარ? — ღიმილთ ჰკითხა რაევსკიმ.

— თანახმა ვარ, — ფიქრიანად მიუგო მიშამ, რაევსკის მშვიდობის ღამე უსურვა და თავის ოთახისკენ გასწია.

თავი 24

მთელი კვირა გაბმით წვიმდა — ძალი არ გაიგდებოდა გარეთ. თუმცა შვიდი დღის იძულებითმა შინ ჯდომამ, სჯა-ბაასმა და სხვადასხვა საქმიანობამ მიშა დააახლოვა ბებიას ნათლულთან, რომელიც თავის თავს უნდა გამოტყდომოდა, რომ სულ უფრო ხშირად ივიწყებდა ასაკის სხვაობას და ისე გაუბამდა ხოლმე ლაპარაკს, როგორც თანატოლს.

იმავედროულად რაევსკი ამჩნევდა, რომ ამ ყოველნაირი მზრუნველობითა და ყურადღებით გარემოსილ ბიჭს არ ჰყავდა ადამიანი, ვისთვისაც შეეძლო გაეზიარებინა ასე ნაადრევად განცდილი სულიერი ტკივილები და ფიქრები. ის უკვე მიჩვეულიყო და გულში იკლავდა მათ. როგორც კი ქვეთი წვიმები დასრულდა და მოწმენდილმა ცამ გამოანათა, მიშამ და რაევსკიმ ერთად იწყეს ხეტიალი პარკში და მიწყვიტ მეგობრული საუბრით იყვნენ ხოლმე გართულნი.

რაევსკი ბიჭს მოუთხოვდა თავის სიყვარულზე ლიტერატურისადმი, ხალხური სიმღერებისა და ზღაპრებისადმი, იმაზე, რომ ზოგიერთ ლიტერატურულ წრეში ხანდახან ისიც კითხულობდა თავისი კალმის ჭაშნიკს.

ის მხოლოდ ერთ რამეში არ გამოუტყდა ბიჭს: მოსკოვიდან სარატოვის გუბერნიაში მამასთან მარტოოდენ იმიტომ კი არ ჩამოვიდა, რომ მშობლიური ადგილები მოენახულებინა, არამედ კიდევ იმიტომაც, რომ ვილაცა ფრიად საეჭვო გარეგნობის კაცი ძალიან ხშირად იდგა ხოლმე მის სადარბაზოსთან და მასა და მის სტუმრებს ქუჩის მეორე მხრიდან მიაცილებდა. ეს ამბავი კაციშვილს არ უნდა სცოდნოდა.

ერთხელ მინდორში სეირნობისას რაევსკიმ უთხრა მიშას:

— გულისყური მიაღვენე ხალხურ სიმღერებსა და კილოკავს. პუშკინმა იცის და დიდად აფასებს მათ.

— თქვენ თუ ვიყვართ პუშკინი? — შეეკითხა მიშა და შუა გზაზე შეჩერდა, რომლის ორსავე მხარეს ყვითლად მოჩანდა შემოსული ქვავის ყანები.

— რომელ რუსს არ უყვარს პუშკინი? — მსწრაფლ უპასუხა რაევსკიმ.

— მეც მიყვარს, — წყნარად თქვა მიშამ. — მისი ლექსები ყველაზე უფრო მშვენიერია, რაც კი ოდესმე წამიკითხავს.

— შენ თვითონ არ ვიცდია წერა?

ბიჭს შავგვრემანი სახე აელეწა.

— ვცადე, რამდენიმე სტრიქონი დავწერე და ლუმელში შევუძახე. ძალიან ცუდად დავწერე, ისე ვერ გამომივიდა, როგორც მსურდა! — ამოიოხრა მან.

— აი, რაკილა ასე ნათლად გრძნობ, რა არის კარგი და რა ცუდი, ეს უკვე კარგი ნიშანია.

— ჰო, არ მეგონა, ეს თუ კარგი ნიშანი იყო! — თქვა მიშამ, — აი, ნახატში მე თითქმის ყოველთვის ვახერხებ იმის გადმოცემას, რაცა მსურს. ცვილის ფიგურებსაც ვძერწავ ჩემი თეატრისათვის. ლექსების წერა კი ძნელია!.. ლექსები ისეთი უნდა იყოს, როგორც... როგორც სიმღერა, — თქვა მან პაუზის შემდეგ. — ანდა როგორც მუსიკა. მე კი მთლად ასე ვერ გამომიდის. ამიტომაც ყველა ლექსს ვწვავ და კიდევაც დავწვავ...

რაევსკის წასვლის შემდეგ მიშა კითხვამ გაიტაცა. ახლად შეძენილმა მეგობარმა მას რამდენიმე წიგნი აჩუქა და მოსკოვში ჩასვლამდე ათხოვა თითქმის დაფლეთილი რვეული, თან დასძინა, უმჯობესია ეს რვეული არავის აჩვენო.

მიშამ რვეულში ნახა დაუმთავრებელი პოემის გულმოდგინედ გადაწერილი სტროფები და გულის ფანქვალით ორჯერ წაიკითხა:

ასე სუსტი და ასე უგვანი
 მონაა მხოლოდ... მე კი უნარი
 არ მაქვს — მამულის მტერს შევარჩინო
 გავაგლახება ერის ყისმათის
 და ჩვენი არად ჩაგდებისათვის
 არ შევრისხო და არ შევაჩვენო*.

ამ პოემის სათაურის თავზე ეწერა ავტორის გვარი: რილეევი.

თავი 25

თარხანისეული სახლის უზარმაზარ სადარბაზო ოთახში უკვე რამდენჯერმე განიხილეს მიშელის შემდგომი სწავლა-განათლების საკითხი. ამ თათბირებზე ყოველთვის ჩამოდიოდა ბებიას მიერ დაბარებული იური პეტროვიჩი.

იური პეტროვიჩი არ ეწინააღმდეგებოდა ბებიას, რომელიც ამტკიცებდა, მიშას დედაქალაქის მასწავლებლები ესაჭიროებაო. ნიჭიერებისა და ბრწყინვალე მეხსიერების გარდა, იგი თავის შვილში ხელოვნებისადმი მკვეთრად გამოხატულ მიდრეკილებასაც ამჩნევდა. მიშა ცვილისაგან სწრაფად და გამო-

* თარგმ. ვ. ყუბუსიძისა.

სახველად ძერწავდა რამდენიმეფიგურიან მთლიან სცენას, ძველისძველ დედისეულ ფორტეპიანოზე ზედმიწევნით ზუსტად უკრავდა ყველა ნასმენ-გაგონილ სიმღერასა თუ მელოდიას და გაგიყებით უყვარდა ხატვა.

დადგა უამი ბიჭის თარხანთან განშორებისა და მოსკოვში და დაშორებდა შვილს.

ცნოვრებისა.
და დაშორებდა
შვილს.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს თარხანში ჩამოსული იური პეტროვიჩი პარკში სეირნობისას დიდხანს ესაუბრა შვილს, და ორთავემ გადაწყვიტეს ელიზავეტა ალექსეევნასათვის ეთხოვათ, მოსკოვში გამგზავრების წინ მიშა ცოტა ხნით მაინც გაეშვა მამასთან.

მიშელი და იური პეტროვიჩი რომ წავიდნენ, ბებია მ ჯავრიანად ამოიოხრა და მარია აკიმოვნას უთხრა, იური პეტროვიჩის ამ თხოვნას გულდამძიმებული ვასრულებო.

მარია აკიმოვნამ საყვედურით მიაპყრო მას კეთილი შავი თვალები.
— Ma tante, სულმთლად ხომ არ წაართმევ მამას შვილს! მე მგონია, იური პეტროვიჩთან განშორებისას მიშა ყოველთვის ძალიან იტანჯება.

— ჰო, მაშენკა, მაგრამ ამ საქმეს აღარაფერი ეშველება. — მოუჭრა ელიზავეტა ალექსეევნამ.

დასევდიანებული და აფორიაქებული დაბრუნდა მიშა მამისაგან. რამდენიმე დღეს რალაცაზე ფიქრობდა ხმის ამოუღებლივ. დიდი კაცივით შემოეწყობებოდა ზურგს უკან და ნება-ნება დადიოდა თავის საყვარელ ხეივანში, ცაცხვების ქვეშ, რომელთაც უკვე სცვიოდათ გაყვითლებული ფოთლები.

— ფიქრობს, დღენიადაგ ფიქრობს, — უთხრა ელიზავეტა ალექსეევნამ მარია აკიმოვნას, ფანჯრიდან რომ უცქეროდა შვილიშვილს. — იმედს არ ვკარგავ, მაშენკა, ეგება, მოსკოვში მაინც გამხიარულდეს-მეთქი.

— ღმერთმა ქნას! — წარმოთქვა მარია აკიმოვნამ. — მე იმას ვნანობ, ჩემი აკიმი რომ მთელი სამი წლითაა პატარა მიშელზე, თორემ გაგაყოლებდით მოსკოვში. მაგრამ რა გაეწყობა, ჯერხნობით აქ ვიქნებით მოწყენილები.

ერთ დარიან დილით სახლის წინ რალაცა ჩოჩქოლი ატყდა. ქრისტინა ოსიპოვნამ ფანჯრიდან გაიხედა. თარხანელი გლეხები მიჯრით აწყდებოდნენ კიშკარს. მეეტლე მატყვი ცდილობდა შეეჩერებინა ისინი.

— სად მოდიხართ? რა დაგრჩენიათ აქ?

გლეხები მოდიოდნენ და მოდიოდნენ, ბოლოს მთელი ბრბო მოქუჩდა ზედ პარმალთან და მხოლოდ მაშინ, როდესაც თვით ელიზავეტა ალექსეევნამ გამოხედა და ჰკითხა, რა გინდათო, გლეხებმა ქუდები მოიხადეს და ერთპირად მიუგეს:

— ახალგაზრდა ბატონთან, მიხეილ იურიჩთან გეახელით მისალოცად. რაკილა ის თავისი სახელწოდების დღეს აქ აღარ იქნება, ჩვენ, მაშ, წინდაწინვე...

ამასობაში მიშელმაც მოიბრინა ბალიდან და გაჩერდა. ის, ცოტა არ იყოს, შემცბარი შესცქეროდა მომლოცავთა ამოდენა ჯამაათს.

მაგრამ ანაზღუდად გაიციებისაგან თვალები დააჭყიტა: ორ ბერიკაცს აღვირჩაყრილი ნისლა ცხენი მოჰყავდათ. პატარა, მაგრამ ტანიანი ცხენი იყო, მსუბუქად მოაბიჯებდა, პირდაპირ პარმალს მოადგა, სადაც მიშა იდგა, გაჩერდა, ყურები დაცქვიტა და მოკლე ყომრალი ფაფარი შეიბერტყა.

— რა არის ეს? — თვალი არ მოუშორებია მისთვის, ისე იკითხა მიშამ. — ვისია ეს ცხენი?

ძია მაკარი ხალხს გამოეყო, ჩაახველა და ხმამაღლა თქვა:

— თქვენს მოწყალებას მთელი ჯამათისაგან, მაშასადამე, ძღვნად და კეთილად მოსაგონებლად

და ირგვლივ აგუგუნებულმა ხმებმა გაიმეორეს:

— მთელი ჯამათისაგან ძღვნად და კეთილად მოსაგონებლად!..

— ბებია! — წაიჩურჩულა მიშამ. — რას ნიშნავს ეს? მე მაძღვევენ ამ ცხენს? თავისი ნებით?

მერე მოაჯდა თავის ახალ ცხენს, რითაც დიდად ასიამოვნა თარხანელ გლეხებს. ვრცელი ეზო შემოატარა, გზაზეც გააჭენ-გამოაჭენა და სიხარულით სახეგაბრწყინებული დაბრუნდა პარმალთან.

მთელმა სახლელულმა იცოდა, რომ საღამოობით ბებია ჩვეულებისამებრ თავის ოთახში იჯდა და ანგარიშებს ამოწმებდა. ამიტომაც სახტად დარჩა, როდესაც საღამო უამს მისი შვილიშვილი ფეხაკრეფით შევიდა მის ოთახში და უჩუმრად წინ დაუჯდა.

— რა იყო, მიშენკა? — ჰკითხა ბებიამ, რომელსაც თვალი არ მოუშორებია ანგარიშებისთვის. — მოხდა რამე?

— ბები, გეთაყვა, უთხარით, რომ ხვალ გრძელი წარაფი ცოტათი გაკაფონ.

— რა თქვი? — კითხვა გაიმეორა ბებიამ, რომელმაც საკუთარ ყურებს არ დაუჯერა.

— უთხარით, რომ წარაფი გაკაფონ, — გადაჭრით გაიმეორა ბიჭმა, — იმიტომ, რომ სოფელში ახალი ქოხების აგებაა საჭირო. მთელი წარაფი ხომ არ უნდა გაკაფონ, ბები, მარტო იმდენი, ყველას რომ ეყოს.

— ავად ხომ არა ხარ, მიშენკა? სიცხე ხომ არა გაქვს? — ბებიამ ხელი მიადო შუბლზე.

მაგრამ ბიჭმა თავი გასწია, შუბლიდან ხელი მოაშორებინა და მტკიცედ განუმარტა:

— მე გლეხებმა ცხენი მაჩუქეს. თქვენ ნახეთ, როგორი ცხენია? ის თავისი ფულით იყიდეს. ივაშკამ კი მითხრა, მათ ძალზე ცოტა ფული აქვთ, ძალზე ცოტა! თქვენ არ იცით, ბები, როგორ შეაგროვეს მათ ეს ფული?

— არ ვიცი, მიშენკა. რაკი შეაგროვეს, მაშასადამე, ჰქონიათ. ყოველგვარ ხმას ნუ აჰყვები, ისინი ბევრ რასმე გეტყვიან. გლეხებს ფული აქვთ.


— არა აქვთ არა! ქოხებიც ძალიან ცუდი აქვთ, ძალიან ცუდი.

— მიშენკა! — კუშტად შეხედა მას ბებიამ. — რას ამბობ? ვინ გეუბნება ამ ჭორებს? ივაშკა?

— ივაშკა არა, ბები, მე თვითონ ვნახე. ჩვენ გრძელ წარაფს მთლად არ გავკაფავთ. დამიჯერეთ, მთლად არ გავკაფავთ. შეიძლება ცოტაოდენი დავტოვოთ კიდევ, თუკი თქვენ გენანებათ. ოღონდ ყველას რომ ეყოს. მე და თქვენ ყველას სათითაოდ ახალ ქოხს ვაჩუქებთ. და რომ ყველა ქოხს ამშვენებდეს მის პატარა ცხენი — ეს მათთვის ჩემი ტრედანა ცხენის სანაცვლო იყოს. კარგი, ბები? ვუბობებთ?

— აი რა, ჩემო მეგობარო, — განრისხებით მიუგო ბებიამ, — შენ ამ საქმეში ნუ ეჩრები და თავგზას ნუ მირევ, მე გლეხებისათვის ახალი ქოხების ჩუქებას არ ვაპირებ.

და მაინც რამდენიმე დღის შემდეგ თარხანელი გლეხები გახარებულნი და თან გაკვირვებულნი იყვნენ: ადრიან დილით მეზობელი სოფლიდან ხურობა და საზიდრები ჩამოვიდნენ. საზიდრებით ხუროებმა ხე-ტყე მოიტანეს. თარხანში კაკაკუკი დაიწყო ცულებმა, აზმუვლდა ხერხები და საზამთრო გლეხთა ოჯახები თავიანთ უბრალო ბარგი-ბარხანიანად ახალქონეში ხეში გადავიდნენ.



ყველა ქოხს ამშვენებდა ხის პატარა ცხენი და მისი შემყურე თარხანელი გლეხები ამბობდნენ: გაიზრდება ჩვენი მიხეილ იურევიჩი და ყველას გააკვირვებსო. მაშინ ის, ღმერთის შეწევნით, მოსოლოვსაც მოერევა, რომელიც თავის გლეხებს სისხლსა სწოვს. ყველას დაანახვებს, როგორ უნდა სამართლიანად, ღვთისნიერად ცხოვრებაო!

თავი 28

1827 წლის შემოდგომაზე დაიწყო სამზადისი გასამგზავრებლად. გამგზავრების წინა ღამით შემოდგომის პირველი გრიგალი ამოვარდა და ტყე მიღწე-მოღწეა. თარხანელი გლეხები სისხამ დილითვე გაგზავნეს ბატონის პარკში — ქარიშხლისაგან მოგლეჯილი ტოტების მოსაგროვებლად.

გზის პირებზე დილის მზეს ჯერაც არ ჩამოედნო თხელი ყინული. ისე გამჭვირვალე იყო შემოდგომისეული ცივი ფერები, ისე გარინდებულად აზიდულებდნენ ვერხვების, ცაცხვებისა და არყის ხეების გაშიშვლებული ტოტები, რომ მიშამ თავი ვერ შეიკავა და კიდევ ერთხელ მოეხალისა — უკანასკნელად, სულ უკანასკნელად! — შემოერბინა ყველა საყვარელი და, წარმოიდგინეთ, ათვალწუნებული ბილიკებიც კი.

მან თითქმის მთელი პარკი შემოირბინა და ძეხორციელი არსად შეხვედრია. მარტოოდენ ძია მაკარი ირჯებოდა დაუზარებლად და ქარიშხლისაგან დაზარალებულ ხეებს ხერხით სხლავდა. მიშა რომ შენიშნა, ქუდი მოიხადა და აღურსიანად შეხედა ბიჭუნას შავი წარბების ქვემოდან.

იმ დღიდან, რაც იგი, ქალბატონის მიერ გაყიდული, ბატონიშვილის დაქვებული მოთხოვნით შინ დააბრუნეს, მაკარს გაუჩნდა ღრმა, მხურვალე სიყვარული მიშენკას მიმართ.

— ძია მაკარ, ივაშკა სადღაა? — ჰკითხა მიშამ, რომელიც ერთი პირობა უცხროდა, რა მარჯვედ ასრულებდა მაკარის მარჯვე ხელი ამ სამუშაოს.

ძია მაკარი ცოტა ხანს გაჩუმებული იყო.

— იქ, თქვენს კალოზეა, საბატონოზე, ფარდულში, დილიდან ღრიალებს.

— კალოზეა? — გაიმეორა კითხვა ბიჭმა და პარკ-პარკ ყანისაკენ გასა.

მიშამ მაშინვე ვერ მოიძია ამხანაგი. ბოლოსდა დაინახა ივაშკას ქერათმირი თავი. იგი ზედ ფარდულის კუთხეში აპკვროდა კედელს, იქ, სადაც სქელი პირები ერთდებოდა.

— ივაშკა! — დაუძახა მას მიშამ, — შენ აქა ხარ?

— ჰო, აქა ვარ... — ივაშკა წამოდგა და საჩქაროდ სახელოთი მოიწმინდა პრისახე, მიშასათვის რომ არ დაენახვებინა ცრემლების ნაკვალევი.

რამდენიმე წუთს ბიჭები ჩუმად იდგნენ.

— ივაშკა, იცი რა? — თქვა ბოლოს მიშამ.

— რა?

— სულ მალე ჩემთან წაგიყვან. მოსკოვში. გესმის? ეგ არაფერია, რომ მივდივარ. მე ვთხოვ ბებიას და ჩვენთან, მოსკოვში დავიბარებს.

— მართლა?! — თქვა ივაშკამ.

— მართლა, — გაიმეორა მიშამ.

— ჰოდა, კარგი! — ივაშკა მეტს აღარაფერს შეჰპოვებდა, მეორე სახელოთი მთლიანად მოიწმინდა ნამტირალევი პირისაზე, მზიარულად შეხედა მის და ერთად მოკურცხლეს შინისაკენ. სახლთან გაისმოდა აჩუს ძახილი და ყვირილი. მეეტლეები ცხენებს მოერეკებოდნენ. მათ ხმას უერთდებოდა მუსიკაპეც, რომელიც თავის მოწაფეს უხმობდა და უკვე საკმაოდ იყო შეწუხებული ამდენ ხანს რომ არა ჩანდა.

ფრანგი პარმალთან იდგა; იმდენი თბილი შარფი შემოეფუტნა, გრძელ კეხიანი ცხვირიდა მოუჩანდა. მუსიე კაპე ახველებდა და სიცივისაგან მობუზულ ელოდა იმ წუთს, როდესაც madame la grand' mere* პირველი ჩაჯდებოდა თავის ძველ დორმეზში. მისთვის ჩვეული ფრანგული გალანტურობით უხერხულად მიიჩნევდა ქალბატონზე აღრე დაეკავებინა ადგილი.

მაგრამ მიშამ, როგორც იქნა, დაიყოლია მუსიე კაპე არ დალოდებოდა ბებიას და დორმეზში ჩამჯდარიყო.

ნელ-ნელა სახლის წინა დიდი ეზო გაივსო შინაყმებითა და თარხანულ გლეხებით, დიაცებითა და ბაღლებით, მიშას ყურთასმენის წამლები თამაშობების ამხანაგებით.

რარიგ არ ჰგავდა ეს გამგზავრება მათ მზიარულ მოგზაურობას შორეულ კავკასიის მთებში! ამჯერად მიშა ტოვებდა თავის გამზრდელ თარხანსა და სახლს, ტოვებდა საყვარელ პარკს, გამოთხოვების ჟამს ასერიგად დაცარიელებულსა და ნაღვლიანს, და არ უწყოდა, კიდევ როდისღა დაბრუნდებოდა აქ.

როცა დაინახა ნასტიას ნამტირალევი თვალები და თავჩაქინდრული გლეხები, რომლებსაც მიშენკა ხშირად თავიანთ მფარველად ეგულებოდა, თვალი რომ მოავლო მისკენ მიპყრობილ ყველა ამ სახეს—მისკენ და არა ბებიასაკენ, — მან ერთბაშად იგრძნო, თავისი სულისა და სიცოცხლის რა დიდ ნაწილს ტოვებდა აქ და გულაჩუყებულმა ჩამოუარა გლეხებს, გამოემშვიდობა და ხელი ჩამოართვა ბერიკაცებს.

ამასწინებზე მან სხვა განშორების — მამასთან განშორების სიმწარე გამოიარა. ამ განშორებით გამოწვეულმა ტკივილმა აიძულა იგი გულჩათხრობილი გამხდარიყო, ვინაიდან ამის თაობაზე ვერავის ვერაფერს ეუბნებოდა, თვით მუსიე კაპესაც კი.

აი, ახლაც, უკვე სამგზავრო კარეტაში ბებიასა და მუსიე კაპეს შუა მჯდომმა მიშამ უკანასკნელად მოავლო თვალი ყველაფერს, რასაც ტოვებდა და მწარედ იკბინა ტუჩზე, რათა ივაშკასავით არ ატირებულიყო. დიდი სირცხვილი იქნებოდა, რომ ეტირა. ის ხომ სულ მალე ცამეტი წლისა ხდებოდა. ჰოდა, მაშასადამე, უკვე დიდი ბიჭი იყო.

* ქალბატონი ბებია (ფრანგ.).

ჩვენ-ინგუზეთის პოეზია

ლექსები



მარტა ხათისო შიკლაურა

ჯგაღინ იანღიავი

• •

ყოველ საღამოს მოჰყვები ქაქანს:
უწინდელ დონეს მდინარე კარგავს;
არც უწინდელი წვიმის წყარუნი
ისმის
და თითქმის
დაშრენ წყარონი...

უბირ მსჯელობით გული ბრაზდება,
თუმც ბეცის ბოდვა
მოსმენად არ ღირს;
ვერ ხედავ, —
დღე-დღე ვით ლამაზდება
მდინარე, წყარო, მიწა და ხალხი.

ენა კაცისა

როცა მოგვიტან ღვარძლსა და
ტყუილს,
გულიდან ლხინს და სიტბოს გაიტან...
ჩაღვანაც ბოროტს ვერ იტანს გული,
ხარ საძაგელი დასაბამიდან...
წყვეული იყავ, ენავ კაცისა!

როცა მოდიხარ სიკეთის მაცნედ,
სიკეთეს შენსას ჩვენი მადლობა.
გულის სიტბოს და სინათლეს გასცემ
და ყინულეთის ძაღვიძს დადნობა...
კურთხეულ იყავ, ენავ კაცისა.


გიჟვარდეთ სიცოცხლე

ჩვენ მოვკვდებოდით,
ალბათ, ადვილად
სიცოცხლე ცუდი და ცარიელი
რომ ყოფილიყო,
ეს გი ცხადია: ...
სიკვდილი ყველას მოგვსრავს ცბიერი.
მეგრამ მას,
ენაც სიცოცხლად გაცივდა
და ცხოვრებასთან დამარცხდა ომში,

არც თავისთვის
და არც სხვა კაცისთვის
არა აქვს ფასიც უბრალო გროშის.
იცოცხლე!
შუქით დათრგუნე ბინდი,
ვით მზის ღიმბილმა, ყოვლის შემძლება,
იცოცხლე!...
ყოფნა მცირეც და დიდიც
მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ
გვეძლევა.

ერთურთს წყაროსთან
 ვხვდებოდით ორნი,
 ოდნავ მერხევი ნიავი ტალღებს
 დასთამაშებდა
 და ნაზი თრთოლვით
 ჩამჩურჩულებდა შენს ძვირფას სახელს.

• •

წლები ზოზინით,
 როგორც ხარები,
 წავიდნენ, 
 წყარომ დენა შეწყვიტა...
 როცა კვლავ ვხვდებით, ის ნეტარება
 გამოანათებს დღეთა ფერფლიდან.

რაისა ახმატოვა

გული ასეთი ფართო და დიდი,
 მერე ამგვარი
 მზერა და სიტბო —
 არვისგან მახსოვს....
 მიყვარდი მიტომ —
 შენ თვითონ ციურ არსებად მთვლიდი...

• •

მწადს მარად შენთან, —
 ბედით და გზებით
 ერთმანეთს არსად არ ავცდებოდეთ.
 დღედღე მიყვარდე უფრორე გზნებით
 და შენ — დღედადღე ლამაზდებოდე.

მაგამედ სულაევი

ერთხელ ერთი ამხანაგი მყავდა,
 მალე კიდევ დავმეგობრდით ნაღდად;
 აღარ გვსურდა
 რომ ერთმანეთს გავცლოდით,
 მაგრამ თვითონ გაიყარნენ გზები:

• •

მე — პირდაპირ,
 ის — წავიდა ზევით...
 გამოირკვა:
 მყავდა მხოლოდ ნაცნობი.





ქართული
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

არგონა ირაკლი არაბულა

გიჟვარდეს, როგორც...

ვიდრე ჩამოჰკრავს სიმწუხრის წამი
ერთ არსად მქცევი ყველაფრის,
ყოვლის,
გიჟვარდეს, როგორც სიმწვანე ბრძამის,
როგორც სითეთრე ყვავილთა თოვლის,

გიჟვარდეს, როგორც დაჭრილი შველი,
რომელსაც სხვათა ალერსი ათბობს,
მაგრამ იცოდე ღირსებაც შენი, —
ამაღლებული ეჩვენო სატრფოს...

მწვერვალი

სიმაღლედ მარტო ის მთა შევრაცხე,
რომლის მწვერვალსაც ადვილ ვერა
ვძლევი;
მთაბლოება რამდენჯერ ვცადე,

ის კი ამაღლდა თითქოს და ცამდე;
იგი ჰგავს თავის შუქით და ჩრდილით
სატრფოს სულისკენ მიმავალ ბილიკს...

განუორების წინ

რაც დავშორდით,
ნუ დავკარგავთ ერთმანეთს მაინც,
სანამ ცოცხალ ვართ,
ერთმანეთი გვახსოვდეს მანამ...
მე, ძმად შემრაცხე,
შენ იქნები, ვითარცა დაი,
სულ ასე ვიყოთ
სიბერემდის, ძვირფასო ნანავ!
გწამდეს, ამქვეყნად
უგზოუკვლოდ არარა ქრება, —
ფიქრი, ოცნება,
მით უმეტეს — სიტყვა არც ერთი

და გულს კაცისას,
ამაღლებულ გრძნობით რომ
თვრება,
ტოვებს ხალასს და
უფაქიზეს სულით განწმენდილს;
შენ საუკუნოდ სანთელივით
აენთე გულში, —
ამას რაიმე შეედრება
ამქვეყნად განა?..
თუ განუორებას მოისურვებს
განგება ურჩი,
ხსოვნა ამ წუთის
გულს შერჩება, ძვირფასო ნანავ!

ნუ აღუკვეთავ

შენის ფიქრით და შენის აზრითა
 თუ მოხელთება შესძელ არწივთა,
 და, თუ გახადე იმის მსურველი,
 სრულად შეიცნოს ყვავილთ
 სურნელი, —

კაცი იყავ და ისე ნუ იზამ —
 არ მიაწოდო საზრდო სულისა!..
 ერთი გახსოვდეს, მხოლოდ ერთი რამ

(სხვა გაბარია ქვეყნად მეტი რა?!), —
 შენს გვერდით ყოფნას კი მიაჩვე,
 მაგრამ ბუნების უბირ ნაშიერს
 ნუ გადააჩვევს საკუთარ ენას,
 ნურც — თავისუფლად სივრცეში
 ფრენას!

თუ არ დავიწყებთ ოცნებით ნავარდს
 აბა უმისოდ, მითხარი, რა ვართ?..

თვით უნდა იყო...

არც იოლია ისე,
 ადგე და ვარსკვლავს მისწვდე;
 თუ ძალა შეგწევს მისი,

რომ მოიხელთო იგი, —
 მაშინ ყოფილხარ ღირსი,
 მზეი გადგამდეს გვირგვინს...

თუ სიყვარული წვაა მარტოდენ,
 მაშინ სიცოცხლე ცეცხლი ყოფილა:
 წვით შეუძლია მხოლოდ ნათობდეს,
 მისით იცოცხლებს, მისით შობილა.

ის ვერ გასწვდება ვრცელ გზაშარას,
 თუ არ გიზგიზებს,
 თუ არ ინთება, —
 ისევ დაშრება,
 როგორც დამშრალა,

თუ გული ტრფობით არ იტვირთება
 თუ ტრფობა მართავს,
 შენში რაც არი,
 გაგყვება,
 როგორც დედის საგზალი.
 სიმკვირცხლეს, მისას
 და მის სიმჭისეს
 ვერ მოერევა მახვილი ბასრი, —
 როს სიყვარული შენში გიზგიზებს,
 მაშინ ეძლევა ცხოვრებას აზრი.

იხავი კაცი...

მთიელმა ბიჭმა
 მთელ სამყაროს მოხვია ხელი
 და ამაყურად მიმოავლო
 თვალი პლანეტებს.
 და გაახსენდა აზრი ერთი
 მას ძველზე ძველი,
 ძირამდის ჩაჰყვა
 ამა სიბრძნის სიგრძე-განედებს:
 — კაცი სამყაროს ვერ გასწვდება
 და კიდევ მეტი —

ვერავინ შესძლებს, დევიც იყოს,
 ჩაყლაპვას მისას...
 ვერ გადიქცევა მთელ სამყაროდ, —
 ის არის ერთი, —
 ერთი ნაწილი უსასრულო
 მიწის და ცისა...
 ფუჭ ოცნებას სჯობს
 ქვეყანაზე კაცად დარჩენა,
 რომ მოყვასს შენსას
 გაუწოდო ხშირად მარჯვენა.

თუ შობილთ...
 სხვა გზით არის?

კი, ბატონო, ასე თუ გინდა,
 რწმენის გულისთვის წყალსაც
 დაღევ მღვრიე გუბიდან...
 ოღონდ შენ თავად
 ნუ იქცევი იმავ ჭაობად,
 შემოუნახე სუფთა ხელი
 შემდგომ თაობას,
 რადგან ამქვეყნად
 სტუმრად მოსულთ მიმქრალ
 ბინდებად,
 სულის სიწმინდე
 იქ წასვლისას უფრო გვჭირდება...



წარსულის ფასი

აღამიანი რომ მიელტვის
 ვარდასულს თვისას,
 იმად, რომ მასში
 მომავალის ცეცხლი კვარჩხალებს...
 ცხადზე ცხადია,
 არ ჰქონია წარსული ვისაც,
 მისთვის არ არის,
 არც იქნება არასდროს „ხვალე“...

□



ინგლისურიდან

თარგმნა თამარ შხაპაძე

ქალ-ვაჟი

ვაჟი ნერვიულად დასცქეროდა ტახტზე ჩამომჯდარ ფურჩალს. ბიან კაბაში გამოწყობილ გოგოს. გოგო თითებში ცხვირსა ხოცს აწვალებდა და ისეთი ღრმა გულისყურით ათვალეერებდა მას, გეგონებოდათ, მსგავსი ფორმის, მასალისა და დანიშნულების საგანს პირველად ხედავსო.

ვაჟმა უხერხულად ჩაახველა, სუსტი, სინკოპირებული ხმით.

— სიგარეტი გინდა? — თქვა მან.

— არა. გმადლობთ, — თქვა გოგომ. — ძალიან დიდი მადლობა.

— მაპატიე, მარტო ასეთი მაქვს, — თქვა ვაჟმა. — შენ არ გაქვს სხვანაირი?

— ნამდვილად არ ვიცი, — თქვა გოგომ. — მგონი, უნდა მქონდეს.

— მე იმის თქმა მინდა, რომ თუ არ გაქვს, მოსახვევში ვიყიდი და ამოგატან, — თქვა ვაჟმა, — ორიოდე წუთის საქმეა.

— ო, გმადლობ, სულაც არ მინდა შენი ასე შეწუხება. — თქვა გოგომ. — შენის მხრით ამის გაფიქრებაც კი უდიდესი სიტბოა. გმადლობ.

— ღვთის გულისათვის, არ დაანებებ თავს ჩემთვის ყოველ წუთს მადლობის გადახდას? — თქვა ვაჟმა.

— ნამდვილად არ მეგონა, — თქვა გოგომ — რომ რაღაც ისეთს ვამბობდი... ძალიან ვწუხვარ ნერვები თუ აგიშალე. ვიცი რას ნიშნავს ნერვების აშლა, ჩანს, ვერ მოვისაზრე, რომ მადლობის გადახდით შეიძლება კაცს შეურაცხყოფა მიაყენო. სწორედ რომ არ მახსოვს, ვინმე წამჩხუბებოდეს, მადლობს რატომ მითხარიო.

— მე არ წამჩხუბებდითარ, — თქვა ვაჟმა.

— აჰ, არა? — თქვა გოგომ. — გასაგებია.

— ღმერთო ჩემო, — თქვა ვაჟმა, — უბრალოდ გკითხე, სიგარეტი ხომ არ მოგიტანო-მეთქი, ეს იყო და ეს.... არის აქ რამე ისეთი, რის გამოც ჩემს ცაში აყვანა ღირდეს?

— ცა ვინ ახსენა? — თქვა გოგომ. — ეტყობა, არ მცოდნია, რომ დანაშაუ

ული და შეურაცხყოფაა კაცს უთხრა არ მინდა ასე შეგაწუხოთ-თქო. უტვინო ცოფილვარ და მეტი არაფერი...

— ბოლო-ბოლო, მოგიტანო თუ არა სიგარეტი? — თქვა ვაჟმა.

— ღმერთო ჩემო, — თქვა გოგომ, — ასე ძალიან თუ გინდა წასვლა გეხვეწები, ნუ იფიქრებ, რომ იძულებული ხარ აქ დამიჯდე. არაფერი გეუბნები თვის არ მინდა ასე რომ ფიქრობდე...



გულსაგან

— ო, ნუ იქცევი ვერე, კარგი? — თქვა ვაჟმა.

— როგორ ნუ ვიქცევი? — ჰკითხა გოგომ, — არანაირადაც არ ვიქცევი.

— რა დაგეშართა, — თქვა ვაჟმა.

— რა; არაფერი. — თქვა გოგომ. — რატომ მეკითხები?

— მთელი საღამო ისეთი უცნაური იყავი, — თქვა ვაჟმა. — რაც აქ შემოვედი, ორიოდე სიტყვა ძლივს მაღირსე.

— ვწუხვარ, რომ კარგ დროს ვერ გატარებინებ — თქვა გოგომ. — ღვთის გულისათვის, ნუ იფიქრებ, რომ აქ უნდა იჯდე და მოწყენილობისაგან შეღონდე. დარწმუნებული ვარ, მილიონი ადგილი იცი, სადაც გაცილებით უკეთეს დროს გაატარებ. ეს კია, ცოტა ნაწყენი ვარ უფრო ადრე რომ ვერ მიგიხვდი. ესაა და ეს. როცა შემატყობინე, რომ ამალამ მოხვიდოდი, მე რამოდენიმე საღამოს თეატრშიც კი აღარ წავედი და საერთოდ... თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. ჯობდა გამეშვი და დრო გეტარებია... რა სასიამოვნოა, იჯდე და გრძნობდე, რომ ადამიანს მოწყენილობისაგან კლავ.

— მოწყენილი არ ვარ! — თქვა ვაჟმა. — არსადაც არ მინდა წასვლა. ოპ, ძვირფასო, მაინც, აღარ მეტყვი რა მოხდა? გევედრები.

— აზრზე არ ვარ, რას მეუბნები, — თქვა გოგომ. — არაფერიც არ მომხდარა. ვერ გამიგია, რას გულისხმობ?

— არა, შენ იცი. — თქვა ვაჟმა. — ჩავიდინე რამე? თუ რა?

— ღმერთო! — თქვა გოგომ. — ჩემი რა საქმეა, შენ რა ჩაიდინე. ვფიქრობ, არავითარი უფლება არ მაქვს გაკრიტიკო.

— მოათავებ ეგეთ ლაპარაკს? — თქვა ვაჟმა — თუ არა?

— როგორ ლაპარაკს? — თქვა გოგომ.

— თვითონაც იცი. — თქვა ვაჟმა. — ტელეფონითაც სწორედ ვერე მე-ლაპარაკე დღეს. ისე ამრეზილი იყავი, რომ დაგირეკე, ლაპარაკის მეშინოდა.

— მაპატიე, — თქვა გოგომ, — როგორ თქვი, როგორი იყავიო?

— ჰო, კარგი; ბოდიში, — თქვა ვაჟმა, — ასე თქმა არ მინდოდა. მეც ავდუღდი, რა! გამიჩმახე.

— იცი, — თქვა გოგომ, — ასეთი მეტყველება ნამდვილად არ მსმენია. ჩემს სიცოცხლეში ჩემთან ასე არ ულაპარაკიათ.

— ბოდიში ხომ მოგიხადე, — თქვა ვაჟმა, — საყვარელო, ცუდი არაფერი მიგულისხმებია. რამ მათქმევინა არ ვიცი... მაპატიებ? გევედრები...

— ო, რა თქმა უნდა, — თქვა გოგომ. — ღმერთო, ისე კი ნუ ჩათვლი, რომ უნდა მებოდიშო. ამას რა მნიშვნელობა აქვს. უბრალოდ, ცოტა არ იყოს, ნაწყენია, რომ კაცი, რომელიც ჟენტლმენი გეგონა, მოდის შენთან სახლში და ასე გელაპარაკება... ესაა და ეს. მაგრამ ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

— გასაგებია. ჩემს ნათქვამს შენთვის არაფერს არა აქვს მნიშვნელობა, — თქვა ვაჟმა. — ეტყობა, გამებუტე.

— გაგებუტე? — თქვა გოგომ. — ვერ გამიგია, რას აიკვირებ ეგ აზრი. რატომ უნდა გაგებუტვოდნი?

— მეც მაგას გეკითხები, — თქვა ვაჟმა, — აღარ მტყუნი რა დავაშავე? რითმე ნერვები აგიშალე, ძვირფასო? ტელეფონით ისე შელაპარაკე, რომ მთელი დღე ვწუხდი. ველარც ვიმუშავე.

— ჩემთვის ძალზე არასასიამოვნოა ვიფიქრო, რომ მუშაობაში ხელს გიშლი, — თქვა გოგომ. — ვიცი, უამრავი გოგოა, რომელიც ამას არაფრად ჩააგდებდა, მაგრამ ჩემის აზრით, — ეს საშინელებაა. რა თქმა უნდა, არც ისე საამოა იჯდე აქ და უსმინო როგორ გასაყვედურობენ მუშაობაში ხელს მიშლიო...

— მე ეგ არ მითქვამს, — თქვა ვაჟმა. — მე ეგ არ მითქვამს.

— აჰ, არა? — თქვა გოგომ. — კარგი. ესე იგი, მომესმა. ეს ისევ ჩემი სიმტერის ბრალია.

— ვხვდები, რომ ჯობია წავიდე, — თქვა ვაჟმა, — სწორედ ვერ ვიქცევი. რაც არ უნდა ვთქვა, სულ უფრო გაღიზიანებ. რას იტყვი, წავიდე?

— გეთაყვა, ისე მოიქეცი, როგორც გინდა. — თქვა გოგომ. — ეგლა მაქლია აქ დაგაკავო, როცა სხვაგან გირჩევნია. რატომ არ წახვედი იქ, სადაც არ მოიწყენდი? წასულიყავი ფლორენს ლიმინგთან... ვიცი, ესიამოვნებოდი.

— რა მინდა ფლორენს ლიმინგთან! — თქვა ვაჟმა. — რისთვის უნდა ავიდე ფლორენს ლიმინგთან?! გულს მიწუხებს!..

— ო, მართლა? — თქვა გოგომ. — წუხელი, ელიზას დღეობაზე, რამდენადაც შევნიშნე, იგი არც თუ ისე გიწუხებდა გულს. გეტყობოდა, სხვასთან აღარავისთან გასურდა, ლაპარაკი... აი, როგორ გიწუხებს იგი გულს!

— ო! მერედა იცი, რაზე ველაპარაკებოდი?! — თქვა ვაჟმა.

— მე მგონი, შენი აზრით იგი მიმზიდველი ქალია. — თქვა გოგომ. — ზოგი ზოგიერთებიც ასე ფიქრობენ. ეს ბუნებრივიცაა. ზოგი თვლის, რომ იგი საკმაოდ კოხტაა.

— არ ვიცი კოხტაა თუ არა. — თქვა ვაჟმა. — რომ შემხვდეს, ველარც ვიცნობ. წუხელი იმიტომ ველაპარაკებოდი, რომ შენ ახლოს არ გამიკარე. მე მოგიახლოვდი და ვცადე გაგსაუბრებოდი. შენ კი: „ოჰ, გამარჯობა! „თუ რაღაც ეგეთი! „ოჰ, გამარჯობა!“ და ზურგი მომაქციე, აღარც კი შემომხედე!

— არ შემოგხედე? — თქვა გოგომ. — ეს უკვე საოცარია. ო, ეს უკვე არაჩვეულებრივია. ხომ არ გეწყინება, რომ გავიცინო? ჰა?

— ადექი და იცინე, — თქვა ვაჟმა, — მაგრამ სულ არ გეცინება.

— კარგი. ოთახში შემოხვედი თუ არა, — თქვა გოგომ, — მაშინვე ფლორენს ლიმინგის ახლოს აფუსფუსდი. მეგონა, აღარასოდეს არ ისურვებდი ვინმე სხვის დანახვას. ორივეს გემჩნეოდით, — დროს მშვენიერად ატარებდით. ღმერთმა იცის, მე არაფრის გულისთვის არ ჩაგერეოდით.

— ღმერთო ჩემო! — თქვა ვაჟმა. — ის... რა ჰქვია იმ გოგოს... ამოვიდა და სანამ ვინმე სხვას მოვკრავდი თვალს, ლაპარაკი გამიბა. რა შექნა? ცხვირში ხომ არ მივაკერებდი? ჰა?

— მართალი გითხრა, არ დამინახავს რომ ეგ გეცადოს, — თქვა გოგომ.

— შენთან გამოლაპარაკება რომ ვცადე, აღარც ის გინახავს? — თქვა ვაჟმა. — მერე?! შენ როგორ მოიქეცი?! „ოჰ, გამარჯობა“... მერე... რა ჰქვია იმ გოგოს, ისევ ამოვიდა, ჰოდა მეც იქ, დავუხვდი ასვეტილი! ფლორენს ლიმინგი! ჩემი აზრით, აუტანელი ვინმეა. გაინტერესებს, რა აზრის ვარ მასზე? მას ცოტა აკლია. აი, რას ვფიქრობ.

— ჰო, აბა რა! — თქვა გოგომ. — ჩემზე ყოველთვის ეგეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა და რა ვიცი... ზოგი ამბობს, კობტააო, გაძიგია.

— არა. იგი არაა კობტა შენს გვერდით, — თქვა ვაჟმა.

— ძალიან უცნაური ცხვირი აქვს, — თქვა გოგომ. — ეგეთ ცხვირიათი გოგო მართლა შეცოდება.



— საშინელი ცხვირი აქვს, — თქვა ვაჟმა. — აი, შენი ცხვირიც მშვენიერია. ეე... შენ კობტა ცხვირი გაქვს...

— ო, არა. — თქვა გოგომ. — სულელი!

— და ლამაზი თვალები... — თქვა ვაჟმა. — და მშვენიერი თმა... და მშვენიერი ბაგე და ლამაზი ხელები... მომეცი შენი პატარა ხელი. ო! ერთი შეხედვით ამ პაწია ხელს! მთელ სამყაროში ვის ექნება ამაზე უფრო მშვენიერი ხელი? ვინაა მსოფლიოში ყველაზე ტკბილი გოგო?

— არ ვიცი, — თქვა გოგომ. — ვინ?

— არ იცის! — თქვა ვაჟმა. — არა, შენ იცი.

— არ ვიცი, — თქვა გოგომ. — ვინ?

— ოჰ! ფლორენს ლიმინგიო! მიშველეთ! — თქვა ვაჟმა. — ფლორენს ლიმინგის გამო მებუტებოდა. მე კი წუხელი ვავათენე, დღეს ვერ ვიმუშავე, რადგან შენ ასე მელაპარაკებოდი. შენნაირი გოგო ფლორენს ლიმინგზე ბრაზობს!

— მგონი, მართლა სულელი ხარ, — თქვა გოგომ, — მე არ ვბრაზობდი. რამ გაფიქრებინა? სულელი ხარ და მეტი არაფერი. ო!.. ჩემი ახალი მარგალიტის მძივი... ერთი წუთი მოიცა, მოვიხსნა... აი ასე...

ნუგეზისმცაფელი

რაო, მონა? რაო, ჩემო საბრალო, პაწია ავადმყოფო? ო, რა პაწია, ქათქათა და პაწია მოჩანხარ ამ ვეება საწოლში მწოლარე! ასე არ იცის? — დაწვება თავისთვის, ბავშვივით, ისე საცოდავი, — საყვედურისთვის ენა არ მოგიბრუნდება კაცს! არადა, ხომ უნდა გისაყვედურო, მონა? აბა რა, უბრალოდ, ვალდებულებიცი კი ვარ, რომ გისაყვედურო. არც კი მაცნობე, რომ ავად ხარ. მე, — ძველისძველ მეგობარს! საყვარელო, ხომ უნდა იცოდე, რომ მე ყველაფერს გავიგებ? რისი თქმა მინდა? რა მაქვს მხედველობაში? ერთი მითხარი, შენ რა გაქვს მხედველობაში, როცა მეკითხები, რას გულისხმობო? აბა რა, აბა რა... მონა, რაკი არ გინდა, ნუ ვილაპარაკებთ ამაზე.. შენს საუკეთესო მეგობართანაც კი... მე მარტო იმის თქმა მინდოდა, რომ უნდა გესმოდეს, — რა გულით ვარ შენს მიმართ, რომ რაც არ უნდა გადაგხდეს, მაინც... ისე, უნდა გამოგიტყდე და, ცოტა კი გამიკვირდება, ასე რომ ჩაგიფლავდა ეს... ჰო, კარგი. ღმერთმა იცის, აზრადაც არ მაქვს ასე მძიმე ავადმყოფს ჰქუა გარიგო.

ჰო, კარგი, მონა, არა ხარ ავად... რაკი ჩემი დარწმუნებაც კი გინდა, ნუ იქნები ავად, კეთილი, ეგრე იყოს, შემოგველე. კარგი განა არ ვიცი, ჯანმრთელ ადამიანსაც კი ესაჭიროება ხანდახან ჩაწოლა, და ისიც ორი კვირით, არა ნაკლები... განა არ მესმის, — მხოლოდ ჯანსაღ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ეგეთი იერი, შენ რომ გაქვს ახლა... ა, ნერვების ამბავია, არა? უბრალოდ გადაიღალე. რა თქმა უნდა. ეჰ, მონა, მონა... რატომ არ გინდა გამენდო?..

რას იზამ... რაკი ასე მექცევი, ესე იგი ასე გსურს. ამაზე კრინტს აღარ დავძრავ. მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ შეგეძლო შეგეტყობინებინა ჩემთვის რაც გადაიტა... ჰო, კარგი, მინდოდა მეთქვა, — ასე რომ გადაილაღე-მეთქი... — შენ ასე გერჩია, რომ მეთქვა არა? ღმერთო ჩემო, ელის პატერსონი რომ არ შემხვედროდა, ვერც ვერაფერს გავიგებდი. შენთვის დაულოებია და მოახლეს უთქვამს, ათი დღეა ლოგინიდან არ ამდგარაო. რა თქმის შენსად? მეუცნაურა, — მე რომ არ შემატყობინე, მაგრამ, შენც ხომ იცი, რომ ხანა-ხანა — უბრალოდ, მიივიწყებ ხალხს და კვირა კვირას მისდევს, როგორც... როგორც... ჰო, რა, — როგორც უსასრულო კვირა... და შენგან კი ბაიბური არ ისმის. ღმერთო, ბარე ოცჯერ აღმომხდებოდა სული ამდენ ხანში, — და შენ ვერც კი გაიგებდი! რის ოცჯერ, — ორმოცჯერაც კარგად გავაცხებდი სულს! არა, ახლა, ასეთ მძიმე ავადმყოფს საყვედურებით როგორ შეგაწუხებ, მაგრამ, გეფიცები, მონა. ამჯერად ასე ვუთხარი საკუთარ თავს: „კარგი, ბატონო, გვარიანი ლოდინი მოუწევს, ვიდრე მე დავურეკავდე. ღმერთმა იცის, ბევრჯერ დამითმია მისთვის. ახლა კი მან დარეკოს პირველმა!“ გეფიცები, მონა, ზუსტად ასე ვამბობდი.

მერე ელისი შემხვდა და უსინდისოდ ჩავთვალე თავი, მართლა... და ეხლა, ასე მწოლარეს რომ გიყურებ... არა, იცი, ნამდვილ ღორად ვთვლი თავს. აი, როგორ ექცევი ხალხს, აი, როგორ ტანჯავ მათ მაშინაც კი, როცა ყველაფერში თავად ხარ დამნაშავე, დიახ, როგორც ყოველთვის თავად ხარ დამნაშავე, შე საძაგელო, შენა! ოჰ, ჩემო საყვარელო, შე — საცოდაო... რაო, — ასე ცუდად ხარ? ასე ძალიან ცუდად?

კარგი, გენაცვალე, ნუ ყოჩაღობ. ჩემთან რაში გჭირდება ეგეთები. ნუ იკავებ თავს, იტირე, — გულს მოგეშვება. მიამბე, რაც მოხდა. ხომ იცი, — სამარე ვარ. ყოველ შემთხვევაში უნდა იცოდე, ეს რომ ასეა. როცა ელისმა მოთხრა, მოახლემ თქვა, ძალიან გადაღლილია, ნერვები ლალატობსო, ბუნებრივია, კრინტიც არ დამიძრავს, მაგრამ გულში გავიფიქრე: „კაცმა რომ თქვას, სხვა რა უნდა მოემიზეზებინა მონას? ეს ალბათ, საუკეთესო მონაფიქრია —“... თავისთავად ცხადია, ნამდვილ მიზეზზე სიტყვასაც არ დავძრავ არავისთან. ისე კი, აჯობებდა გრიბი ან მოწამვლა მოგემიზეზებინა. აბა, ნერვების გამო ორორი კვირით ვინ ჩაწოლილა! კარგი, კარგი, მონა! ჩაწოლილან, ჩაწოლილან, აბა რა! ძალიან ბევრიც ჩაწოლილა, აბა რა, გენაცვალე.

ღმერთო! წარმოდგენაც კი ძნელია იმის, რომ შენ ეს ყველაფერი უნდა გაგეგვლო! ისიც მარტოს. მარტოდმარტო ეწამებოდი აქ, დაჭრილი ცხოველივით, ან... ან, აღარც კი ვიცი, ვინ ვთქვა — კაციშვილი არ გყავდა მხარში ამომდგომი, ამ შენი ზანგი მოახლის, ელის გარდა... საყვარელო, ხომ არ აჯობებდა, ვინმე გამოცდილი მომვლელი ქალი გვექირავებინა შენთვის? სერიოზულად გეკითხები. ხომ არ აჯობებდა, ვინმე გამოცდილი მომვლელი ქალი გვექირავებინა-მეთქი შენთვის? ახლა ხომ განსაკუთრებული, თავისებური მოვლა გჭირდება? მონა, მონა, შენი ჭირიმე, დამშვიდდი. დამშვიდდი, გენაცვალე... შენი აღელვება არ შეიძლება, ჩემო კარგო! ძალიანაც კარგი, საყვარელო, — როგორც მეტყვი, ისე იქნება: არავითარი მოვლა არ გესაჭიროება! არავითარი შევეცდი, — მორჩა და გათავდა. უბრალოდ ვიფიქრე, მთელი ამდენი... ო, მონა! მაგას როგორ მეუბნები! მე როგორ უნდა დამემდურო! მესმის. მაგაზე თუ მიდგა საქმე, გამეხარდა კიდევ, — რომ გაბრაზდი. ავადმყოფი თუ გაბრაზდა,

— კარგი ნიშანია. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი გამომჭობინებისკენაა წასული. ო, მესმის. კარგი, კარგი, მლანძღე, რამდენიც გენებოს.

ერთი მითხარი, სად უკეთ მოვიკალათებ? მინდა ისე დავჯდე, რომ თბვის მობრუნება არ მოგიხდეს და გემრიელად ვილაქლაქოთ.. შენ ეგრე იწევი, რომ გორც წევხარ... მე კი ... რატომ და, ვიცი, შენი განძრევა რომ არ შეიძლება... დარწმუნებული ვარ ამაში. ალბათ ძალიან გავნებს მოძრაობა. კარგი, კარგი, მგონი, საყვარელო, რამდენიც გაგეხარდება, იმდენი იმოძრავე. კარგი, კარგი, მგონი, სულ გამოვსულელდი... სულ მთლად გამოვსულელდი, აბა რა! ეგრე იყოს, თლონდ, გემუდარები, ნუ შფოთავ მასე, გევედრები!

აი, ამ სკამს ავიღებ და დავდგამ აი, აქ... ო, მაპატიე, საწოლს გამოვდე!.. აი, აქ დავდგამ, რომ კარგად მიყურებდე... აი ასე. მაგრამ ჯერ ბალიშები მინდა გავისწორო. არაფერიც, მონა, სულაც არაა წესრიგში! წესრიგში როგორ უნდა იყოს, როცა მთელი ათი წუთი იშფოთე და იბორგე ზედი აბა, ჩემო პატარავ! მე მოგეხმარები წამოჯდომაში... აი ასე. ნ-ე-ე-ე-ლა, ნ-ე-ე-ე-ლა.. თ! რაღა თქმა უნდა, შენითაც შეგიძლია წამოჯდე! შეგიძლია, აბა რა. აზრადაც არვის გაუვლია, — არ შეუძლიაო. აი, ასე. ახლა შენი ბალიშები წესრიგშია, ყველაფერიც წესრიგშია და შენი ჭირიმე, იწევი წყნარად და ნურაფერს მოიწევ ცუდს! ერთი მითხარი, ასე უკეთ არ წევხარ? აბა რა! დარწმუნებული ვარ!

ერთი წუთით, — ჩემს ხელსაქმეს ამოვიღებ. ო, დიახ, წამოვიღე, რომ უფრო მყუდროდ გვეგრძნო თავი. ლამაზია? გაფიცებ, — გულახდილად მითხარი, მოგწონს? ო, რა გამახარე! არაფერს ისეთს არ წამოადგენს, — პაწია ხელსახოცია... მაგრამ, ხომ იცი, — ასეთი რამეც მუდამ საჭიროა. თანაც, ძალიან სასიამოვნო საქარგავია, — მალე კეთდება. ო, მონა, რომ იცოდე რა ხშირად ვფიქრობ იმაზე, რომ შენც გქონდეს საკუთარი სახლი, ოჯახი, შენც ფუსფუსებდე და ათას ამგვარ თავშესაქცევ რამეს აკეთებდე, აი, ეს რომაა... ნისწრება იქნებოდა შენთვის. ისე ვნაღვლობ შენს გამო! როგორ შეგიძლია აქ ცხოვრება, ამ ავეჯით გამოტენილ ბინაში, სადაც შენი საკუთარი არაფერია, სადაც ყველაფერი უცხოა შენთვის, სადაც არც ერთი საგვარეულო ნივთი არ გიდგას... ასე ცხოვრება ქალს არ შეშვენის. მით უმეტეს, შენნაირი ქალისათვის ეს ნამდვილი საშინელებაა! ო, როგორ მინდა, რომ შეძლო ამ ჰარი მაკვიკერის დავიწყება!

ნეტა შეგახვედრა ვინმე წესიერი, სათნო, ზრდილი ადამიანი, რომელსაც ცოლად გაყვებოდი! ჰოდა, მაშინ შენც გექნებოდა შენი საკუთარი, კობტა სახლი... — ისიც გემოვნებით არჩეული, მონა! ორი-სამი ბავშვიც წარმოიდგინე! ბავშვებთან როცა ხარ, შეუდარებელი ჩანხარ ხოლმე!.. მონა!.. რა მოგდის, მონა მორისონ, რა გატირებს! ა, სურდო გაქვს? სურდოც დაგემატა? მე კი მომეჩვენა, ტიროდი... ცხვირსახოცი ხომ არ მოგცე, ჩემო პაწიავ! ა, შენიც გაქვს ხომ? რაღა მაგ ვარდისფერი შიფონით იხოცავ ცხვირს, ჩურჩუტო! ერთი ამიხსენი, ტუალეტის ქალაღს ვერ იხმარ, როცა მაინც ასე წევხარ და არვინ გხედავს? უჭკუო ხარ, და ესაა. პატარა, სულელი მფლანგველი გოგო!

არა, მართლა გეუბნები, რამდენჯერ მითქვამს ფრედისთვის: „ეჰ, ნეტა მონას გათხოვება შეგვეძლოს!“ გეფიცები, ნეტა იცოდე რა გრძნობაა, რამხელა ბედნიერებაა გყავდეს ქმარი. ადამიანი, — რომელიც შენთვის მტკიცეზე მტკიცე საყრდენია, ან შენი საკუთარი სახლი, შესანიშნავი ბავშვები, წესიერი მეუღლე, სახლში წუთითაც რომ არ დაიგვიანებს. აი, როგორ უნდა ცხოვრო-

ზღეს ქალი! შენ კი როგორ ცხოვრობ, მონა? პირდაპირ საშინელებაა. მდინარეებს მიყვები. რით შეიძლება ყოველივე ეს დაბოლოვდეს? რა გეშველება მაშინ? არა, ბატონო, ამაზე როდი გიფიქრია! შეიყვარე ეს ჰარმ და მორჩა! იცი, ჩემო კარგო, მე დამაფასე. ხომ გახსოვს, ჯერ კიდევ როდის ვთქვი: ეგ კაცი მაგის შემრთველი არაა-მეთქი? ხომ გახსოვს, რომ სულ ამას ვამბობდი? რაო? არც გიფიქრია ჰარიზე გაყოლა? იცი რას გეტყვი, მონა, ვერცხვობს ქალი, რომელიც ქორწინებას არ გაივლებს გულში, რომელიც ქორწინებაზე არ დაიწყებს ოცნებას იმ წუთიდანვე, როგორც კი ვინმეს შეიყვარებს! ნებისმიერი ქალი ასეა, ვინც გინდა იყოს!

ოჰ, ნეტა გათხოვილი იყო! მაშინ ყველაფერი ამქვეყნად გადაგისხვანაირდებოდა. ჩემი აზრით, ბავშვი ყველაფერს გადაგავიწყებდა, მონა. ღმერთია მოწმე, წესიერად ველარც დავლაპარაკებოვარ იმ ჰარის, იმის შემდეგ, რაც ისე მოგექცა... კარგი, კარგი, ხომ იცი, მარტო მე კი არა, სხვა შენი ამხანაგებიც ველარ პატიობენ მას... მაგრამ შემიძლია გულახდილად გითხრა, ცოლად რომ შეერთე, რაც ყოფილა, — ყოფილა, — დაივიწყებდი და რა ბედნიერი ვიქნებოდი, რა ბედნიერი ვიქნებოდი რომ იცოდე შენი გაბედნიერების გამო! თუკი ის, ის კაცი იქნებოდა, შენ ვინც გსურდა. და იცი, ამასაც გეტყვი, შენ ისეთი სასიამოვნო გარეგნობისა ხარ და ის კი ისე ლამაზია, რომ ალბათ, პირდაპირ ჩასაყლაპი ბავშვები გეყოლებოდათ. მონა, გოგონი, შენ მართლაც რაღაც საშინელი სურდო გქონია! მოგცე სხვა ცხვირსახოცი? არ გინდა? ნამდვილად არ გინდა?

პირდაპირ მწყინს, რომ ყვავილები არ მოგიტანე. მაგრამ მეგონა, აქაურობა გავსებული იქნებოდა ყვავილებით. არა უშავს, წასვლისას საყვავილეში შევირბენ და გამოგიგზავნი. ისეთი ჩაყამებულია აქაურობა უყვავილებოდ. ნუთუ ჰარიმ ერთხელაც კი არ გამოგიგზავნა ყვავილები? აჰა, აი თურმე რა! — არ იცის, რომ ავად ხარ? კარგი, ბატონო, ისე, უბრალოდ არ გიგზავნის ხოლმე ყვავილებს? კი მაგრამ, რატომ არ იცის ავად ხარ თუ კარგად? მთელი ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ დაურეკია? მთელი 10 დღის მანძილზე არც ერთხელ? კარგი, შენ რაღატომ არ დაურეკე და არ გააგებინე? კარგი ერთი, მონა, უკვე ზედმეტია ამდენ გმირობაზე თავის დადება! ცოტა გენერვიულებინა ისიც! ძალიანაც მოუხდებოდა. შესაძლოა, სწორედ ეგ არის მთელი უბედურება, რომ შენ მუდამ შენს თავზე იღებ ყველანაირ გასაჭირს. ერთი ყვავილიც კი არ გამოგიგზავნა! არც კი დაგირეკა! სიამოვნებით მოვახსენებდი მაგ ყმაწვილს ერთ-ორ სიტყვას. ბოლოს და ბოლოს, მისი საქმეა სწორედ!

გაემგზავრა? რაო? წავიდა? თოჰ... ორი კვირის წინ ჩიკაგოში გაემგზავრა? იცი რა, მე რაღაც ასე მახსოვს, — გამიგია, რომ ჩიკაგოსთან სატელეფონო კავშირი გაქვს. კი, როგორ არა... და კიდევ, ჩემი აზრით, ჩამოსვლის მერე მაინც უნდა გაეხსენებინე.. ჩამოსვლის მერე მაინც ხომ უნდა... ჯერ არ ჩამოსულა? მონა, რაში გინდა დამარწმუნო? მე ხომ გუშინწინ საღამოს... გითხრა, ჩამოსვლისთანავე დაგირეკავო?... იცი რას გეტყვი, — ასეთი სიმდაბლე და ვერაგობა, ჩემს სიცოცხლეში არ მსმენია! მართლა და მართლა ეს უკვე... მონა, საყვარელო, დაწეი, გემუდარები, გეხვეწები. არა, არაფერიც არ მქონია მხედველობაში. მეც არ ვიცი, რისი თქმა მინდოდა, გეფიცები, არ ვიცი. არც ვიცი, რა უნდა ყოფილიყო.. ღვთის გულისათვის, რამე სხვაზე ვილაპარაკოთ.

რა ვთქვათ. ო, უსათუოდ უნდა ნახო ჯულია პოსტის სასტუმრო ოთახი, სულ ახლებურად მოაწყო. კედლები ყავისფერია, — იცი, არც ჩალისფერია, არც

პორდო, არამედ ყავისფერი, ნამდვილი ყავისფერი, — და კრემისფერი თავთის ფარდები... და... მონა, ხომ გითხარი, სრულებით აღარ მახსოვს, რისი თქმა მინდოდა. სრულიად გამომიფრინდა აზრი თავიდან. ესე იგი, რაღაც სისულელე იყო, ხომ ხვდები. იწექი შენთვის მშვიდად, გენაცვალე, და ეცადე აღარაფერი ზე აღარ იფიქრო. გემუდარები ერთი წუთით მაინც გადაივიწყე გვერდებზე, არც ერთი კაცი არ ღირს ამდენ გულისხმეთქვად. ასე როგორ მოვიწყვეთ სხვა გესმის, ასე თუ ინერვიულე, დიდხანს ვერ გამოჯანსაღდები.

რა გამოგიწერა ექიმმა, შემოგვევლე? იქნებ არ გინდა რომ მითხრა? როგორ, შენი ექიმი? შენი კერძო ექიმი ბრიტანი? შეუძლებელია! პირდაპირ ვერასდროს ვერ წარმოვიდგენდი, რომ მას შეეძლო ასეთ... ჰო, გენაცვალე, ნეოპათოლოგია. კი, კი, გენაცვალე! კი, ჩემო საყვარელო! კი, რა თქმა უნდა, ჩემო კარგო, სავსებით ენდობი. მე მხოლოდ ის მინდა, რომ ცოტათი მეც შენდობოდე. რაც გინდა თქვი და, ერთი სკოლა დაგვიმთავრებია, და საერთოდ... უნდა იცოდე, რომ სულით და გულით თანაგიგრძნობ. მე ხომ მესმის სხვაგვარად მოქცევა არ შეგეძლო. გახსოვს, შენ ყოველთვის ამბობდი, რომ ბავშვი გინდოდა; მაგრამ ეს ხომ დიდი უბედურება იქნებოდა პაწიასთვის, — მოვლენოდა ქვეყანას, შენი დაქორწინების გარეშე. სადმე საზღვარგარეთ გამგზავრება მოგიწევდა, სადაც არვის ეცნობებოდი... და მაინც, ადრე თუ გვიან, ხმა გავარდებოდა.. ყოველთვის ასეა. მე მიმაჩნია, რომ შენ სწორედ იმ ერთადერთ გამოსავალს მიმართე, რაც შენს მდგომარეობაში მოიძებნებოდა, მონა! ღვთის გულისათვის! ასე რა გაყვირებს, ყრუ ხომ არა ვარ. კარგი, გენაცვალე. კარგი, კარგი, კარგი, კარგი, რა თქმა უნდა მჯერა შენი. როგორ თუ არაფრად ვაგდებ შენს სიტყვებს? ვაგდებ, ვაგდებ. ოღონდ, გეხვეწები, დამშვიდდი. იწექი და დაისვენე, და თან ტკბილად ვიჭუჭუკოთ. ოჰ, რას მიაცივდი წელანდელს? ასჯერ გითხარი, რომ არაფრის თქმა არ მინდოდა. ხომ გელაპარაკები, არც მახსოვს, რა უნდა მეთქვა. „გუშინწინ სალამოს?“ განა ვთქვი „გუშინწინ სალამოს?“... არაფერი მაგის მსგავსი არ მიხსენებია... კარგი, შეიძლება ასე აჯობოს კიდევ, მონა. რაც უფრო ჩავუფიქრდი, მით უფრო ნათელი ხდება ჩემთვის, რომ სწორედ ჩემგან გიჯობს ამის გაგება... ბოლოს და ბოლოს ვილაყამ ხომ უნდა გითხრას. ასეთი ამბები საბოლოოდ მაინც აშკარავდება. ვიცი, რომ გირჩევნია ძველი მეგობრისგან გაიგო ყოველივე, ხომ მართალია? და ღმერთია მოწმე, მე ყველაფერი უნდა ვილონო, რაც კი ჩემს ძალებშია, რომ როგორმე თვალი აგიხილო მაგ ადამიანზე. ოღონდ, მშვიდად იწექი, გენაცვალე. ჩემი გულისთვის მაინც. ჰოდა, აი რა, ჩემო კარგო, — ჰარი ჩიკაგოში არ არის. გუშინწინ სალამოს მე და ფრედმა იგი კლუბ, „კომეტაში“ ვნახეთ. ელისმაც ნახა სამშაბათ სალამოს „ელ რუმბაში“. და საერთოდ ვილაყ არ ნახა იგი ხან სად და ხან სად, თეატრებშიც, ლამის კლუბებშიც და სადღა არა! ჩიკაგოში ორ დღესაც არ დარჩენილა, თუკი საერთოდ იყო იქ.

ჰოდა, როცა ვნახეთ, იმ ქალთან ერთად იყო, საყვარელო. როგორც ჩანს, მთელ დროს იმასთან ატარებს. სხვა არავისთან არ დაუნახავს იგი. ბოლოს და ბოლოს უნდა შეიგნო ეს, ჩემო კარგო. მეტი რა დაგრჩენია. ველასაგან ის მესმის, რომ თურმე პირდაპირ ევედრება იმ ქალს, ცოლად წამომყვევიო, რამდენად მართალია ეს, — არ ვიცი. გულახდილად რომ გითხრა, ვერ გამიგია, რამე გააგიჟა. ასე. თუმცა, მაგ ყაიდის კაცისგან, ეგ რომაა, სხვას რას უნდა ელოდე. აი, მე მითქვამს — თუ შეირთავს, — ახიც იქნება მისთვის. მაინც კი ნახავს თა-

ვის სეირს. ის ქალი არაფერს არ მოუთმენს, კარგად მოთოკავს, მაგარი ქალია. მაგრამ, ვაიმე, რა ბანალური ვილაცაა! როგორც კი შევნიშნეთ ისინი, მაშინვე გავიფიქრე: „სრულიად შეუმჩნეველი გარეგნობა აქვს, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი“. ჩემი აზრით, მაგისი გემოვნების შესაფერისია. ასე, რაღა დაგიმალო, თვითონ შესანიშნავად გამოიყურებოდა. ასეთი მომხიბვლელი არც არასდროს ყოფილა. რა შეხედულებისაც ვარ მასზე, შენც კარგად შეფიქსენება, მაგრამ რას იზამ, ეს კი უნდა ვალიარო, რომ იგი ერთ-ერთი ულამაზესი მამაკაცია ამქვეყნად. მესმის, რომ ნებისმიერ ქალს აურევს თავგზას, მაგრამ ცოტა ხნით... სანამ გაარკვევ, — რას წარმოადგენს სინამდვილეში. ოჰ, ნეტა დაგანახა იგი იმ საშინლად უგემოვნო ქალთან, ნეტა დაგანახა, როგორ არ აცოლებს თვალს და როგორ უსმენს მის უაზრო ლაქლაქს: გეგონება, სიტყვა კი არა, მარგალიტი სცვიოდეს პირიდან! მე კინაღამ...

მონა, ჩემო ანგელოზო, ტირი? აბა, ეგ ხომ სისულელეა, საყვარელო? ეგ კაცი ერთი წუთით სასოწარკვეთასაც კი არ იმსახურებს. შენ ისედაც ბევრს ნალვლობ მასზე, აი, ესაა უბედურება. სამი წელი! შენი სიცოცხლის სამი საუკეთესო წელი მას შესწირე; ის კი სულ ამ ქალთან გლალატობდა. გაიხსენე. ერთი გაიხსენე, რა აღარ აგიტანია ამ სამი წლის მანძილზე. გაიხსენე, როგორ გპირდებოდა და გპირდებოდა, რომ დაშორდებოდა მას. შენ კი, საცოდავ, პაწია ჩურჩუტს, გჯეროდა მისი მაშინ, როცა პირდაპირ შენგან იგი იმ ქალთან მიდიოდა ხოლმე.. და ეს ყველა იცოდა. დაუფიქრდი ყველაფერს და ერთი სცადე მერე დამაჯერო, რომ ის კაცი ცრემლების ღვრად ღირს? ეჰ, მონა! უფრო ამაყი მეგონე!

იცო, მე კიდევ მიხარია, რომ ეს მოხდა. მიხარია, რომ გონს მოეგე. ამჟამად მან უკვე ძალიან გადააქარბა. ჩიკაგოშიო! გაგიგიათ ეგეთი! დაბრუნდება თუ არა, დარეკავს! არა, ერთადერთი კეთილი საქმე, რითაც კაცს შეეძლო შენი დახმარება, — ეს იყო ყველაფრის თქმა და შენი გონს მოგება ბოლოს და ბოლოს! ერთი წუთითაც კი არ ვნანობ, რომ გითხარი. რომ დავუფიქრებდი, რომ იგი იქ ერთობა, შენ კი აქ, მისი კარგი კაცობის გამო, სიკვდილის პირს მისული წევხარ, მზად ვარ... დიახ, დიახ, მისი კარგი კაცობის წყალობით; და თუ შენ მართლა არ... კარგი, კარგი. შეიძლება ვცდები და მართლა არ გქონდა რაფერი ისეთი... თუმცა, მე თავისუფლად შემეძლო ამისი გაფიქრება, — ისეთ საიდუმლოებად აქციე შენი ავადმყოფობა... სულერთია, იყო რამე ისეთი თუ არა... ამგვარ ნერვიულ კრიზისამდე მაინც მან მიგიყვანა! შენ კი მას ყველაფერი შესწირე! არამზადაა! ახლავე გამოიბერტყე თავიდან!

მე კი გეუბნები, რომ შეგიძლია, მონა! საჭიროა მხოლოდ საკუთარ თავს მოერიო, პატარავ, ადექი და უბრალოდ უთხარი საკუთარ თავს „რას იზამ. სიცოცხლის სამი წელი გავფლანგე, ესაა და ეს“ და ნულარასოდეს იფიქრებ მასზე ამიერიდან. ღმერთო, იგი ხომ არასდროს არ ფიქრობს შენზე, საყვარელო.

ახლა უბრალოდ ავად ხარ და ძალიან დასუსტდი, — ამიტომ განიცდი ასე, ჩემო პაწიავ. ვიცი. მაგრამ შენ მომჯობინდები. შენ ჯერ კიდევ შეგიძლია გარდაქმნა შენი ცხოვრება. უბრალოდ, ვალდებული ხარ ასე მოიქცე, მონა. შენც ხომ იცი, რომ ამიერიდან, არა, რა თქმა უნდა, ახლაც მშვენივრად გამოიყურები, მაგის თქმა კი არ მინდოდა... მაგრამ მაინც. მოკლედ, ხომ აღარ გაახალგაზრდავდები... შენ კი ღროს ფლანგავდი, ამბანაგებიც მიატოვე, აღარც არსად დადიოდი, ახალს აღარავის ეცნობოდი, იჯექი აქ და ელოდი პარის

ზარს, ან ჰარის მოსვლას, — ისიც მოვიდოდა, რამე უკეთესს თუ ვერაფერს ეწეოდა... მთელი სამი წელი მაგ კაცის გარდა აღარავინ და აღარაფერი აღარ გახსოვდა! დროა დაივიწყო იგი.

ო, ბავშვო, ასე ტირილი არ მოგიხდება. გეთაყვა, შეწყვიტე. ეს კაცი ლაპარაკად არ ღირს. დაუკვირდი ქალს, რომელიც მან შეიყვარა და დაეპატიჟა მისთვის, რა ტიპია. შენ მეტისმეტად კარგი იყავი მისთვის. ზედმეტად სათხო იყავი მასთან. იოლად უთმობდი. და, რა წამსაც დაუთმე, — ზედმეტი გახდი მისთვის. აი, რა კაცია იგი. არასდროს არ ყვარებიხარ. ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტად არა, ვიდრე...

მონა, გაჩერდი! მონა, შეწყვიტე! გეხვეწები, მონა! არ უნდა ამბობდე ასე, ნუ ლაპარაკობ ეგრე! სულ დასუსტდები, თუ ახლავე არ შეწყვეტ ტირილს; ო, გაჩერდი, გაჩერდი... ო... გევედრები, გაჩერდი! ღმერთო, რაღა ვქნა! მონა! ღმერთო. ეს რეგვენი მოსამსახურე სადღა გადაიკარგა?!

ედი. ო. ედი! მე მგონი, აჯობებს ექიმ ბრიტონს დაურეკოთ, სთხოვოთ, მოვიდეს მისს მორისონთან და რამე დასაწყენარებელი მისცეს. მგონი, ძალიან ცუდ დღეში ჩაიგდო თავი...

□

ფრანს ბრილპარსერი

ოქროს საწმინდი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიესა

გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა

მედეა

(ტრაგედია ხუთ მოქმედებად)
მოქმედი პირნი

- პრომნი — კორინთოს მეფე
- პროუზა — მეფის ასული
- იაზონი
- მედეა
- გორა — მედეას ძიძა
- ამფიტრიონიელთა ჰეროლდი
- გლახაკი
- მხევლები და მსახურები
- მედეას უვილები

პირველი მოქმედება

გალავანშემოვლებულ ქალაქ კორინთოს მისადგომთან მარცხნივ კარავია გაშლილი. სცენის სიღრმეში მოჩანს ზღვა. ზღვაში შეჭრილ კონცხზე ქალაქის ნაწილია გაშენებული. კარგად არ გათენებულა და ჯერ ისევ ბნელა. მარჯვენა მხარეს მონა ორზოდან ნიჩბით მიწას ყრის. შორიახლოს მედეა დგას. იგი იშვიათი ოსტატობით ნაკვედ მოოქროვილ შავ ზანდუკში რაღაცებს აწყობს.

მედეა: ორმოს თხრას მორჩი?

მონა: ვამთავრებ, ჩემო მბრძანებელო!

(კარვიდან გორა გამოდის და შორიახლოს ჩერდება).

მედეა: პირველად უნდა პირბადე და ყვერთხი ჩავგმანო,
მაშ დღეის იქით აბა რაში გამოვიყენო?
ჭადოქრობამ და ბნელმა ღამემ მომქამა ჭირი,
ამიერიდან რაც მომეღის — ავი თუ კარგი,
სუყველაფერი დღისით-შუისით მოხდება მხოლოდ.
ფარულ ვნებათა გამომწვევი თასიც აქვია,
პირწმინდა ხამიც კი მიხვდება ამ საიდუმლოს,
მეორე თასში სიკვდილია ჩაბუდებული,
ნეტარ ცხოვრებას გარიყული, განრიდებული!
შენგან ბოძებულ მრავალნაირ უძვირფასეს ქვას
და ბალახბულახს, დედამიწავ, უკან გიბრუნებ.

მონათმშობლის მშობელი

(ფეხზე წამოდგება)

მაშ შევეგუეთ სამუდამოდ აქაურობას,
თუმცა უველაზე უმთავრესი არსად არა ჩანს!

(ამასობაში მონა ორმოდიან ამოდის, მედეას უკან დგება და დავალების შესახებ
ბლად ემზადება. თვალს მოჰკრავს თუ არა შუბზე შემოხვეულ საფარველს, იქვე
მდგარ ხეს მიაყუდება. მიყუდებისას საფარი გადაიშლება და ბაიროლზე წამოდგუ-
ლი საწმისი თვალის მომპკრელად გაბრწყინდება).

გიგლიძე

მონა (საწმისს ხელს წაატანს):

ამას ეძებდით?

მედეა: ხელი უშვი, ნუ შეეხები,

ერთხელაც ვნახო დამლუპველი ეგ საჩუქარი!
ჩემი ცხოვრების ამწეწვო და დამაქცევლო,
მამაჩემის და ძმის სისხლი რომ ლაქად გაცხია,
შენ ხარ მედეას გამწბილებელ-შეშარცხვენილი,
რადგან ამდენი ცოდვა-ბრალი ჩამადენინე!

(მედეა ღროშის ტარზე ფეხით შედგება. ტარი შუაზე გადატყდება).

ნაკუნ-ნაკუნად მოგაქცევ და ჩავფლავ მიწაში,
ღამის წყვედიალში შემწარავად ჩაეხვენები.

(ორად გადატეხილ ტარს მედეა ზანდუქში დებს და სახურავს აფარებს).

მორა (წინ წამოიწევს):

აქ რას აკეთებ?

მედეა (ირგელივ მიმოიხედავს):

დაინახე სუველაფერი?

მორა: რადგან მსახურმა მოგიჩინა თავშესაფარი,

გინდა ეგ განძი გადაშალო ისეთნაირად,
ვერვინ იხილოს?

მედეა: მოშიჩინა თავშესაფარი?

რაც მომცა, მორჩა, თავშესაფარს აღარ მოველი,
იმაღ ვმარხავ და განძს მიწისთვის მიტომ ვიშეტებ,
რომ გამაჩნია გვარიანი დასაყუდარი.

მორა: ქმრის სიყვარულის იმედით ხარ?

მედეა (მონას მიმართავს):

უკვე მზად არის?

მონა: კი, მბრძანებლო!

მედეა: ნულარ აყოვნებ!

(ზანდუქის ერთ ყურს მედეა ჩააფლებს ხელს,
მეორეს მონა და ორმომდე მიიტანენ).

მორა (მათგან მოშორებით დგას):

ამას რას ვხედავ, დიდებული შეფის ასული
ასეთ მძიმე ტვირთს რად ეწევა საკუთარ ხელით!

მედეა: გეტყობა, რომ არ მენხმარები, შემომწყურალი ხარ!

მორა: მე იაზონის მხევალი ვარ, შენი ხომ არა,

ერთის მსახური, როდის იყო, სხვას მსახურებდა?

მედეა (მონას მიმართავს):

ახლავ ჩაფლავ და მიაყარე მიწა ზემოდან!
(მონა ზანდუქს ორმოში ჩაუშვებს და ნიჩბით მიწას მიყარის. მედეა
დაიჩოქება).

მორა (სცენის სიღრმეში დგას):

ნეტავი მიწამ პირი, მიყოს და ჩამიტანოს,
რომ რასაც ვხედავ, ვერასოდეს ვეღარ ვიხილო!
ჭერ იმ განდგომილთ მოუსწრაფე სიცოცხლის დღენი,
იმათ მიაგე შურისგება, ბოლო მოუღე,
ვინც ამ ყოფაში ჩაგვაგდო და მერე ჭანდაბას,
მეც თანახმა ვარ, წუთისოფელს გამოვესალმო!

მედეა (ველავ მონას მიმართავს):

ქარგად დატყებნე, მოახწორე მიწა და წადი!
ჩემს საიდუმლოს, მტკიცედ მჭერა, არვის გაანდობ,
რადგანაც ვიცნობ, რომ კოლხი ხარ პირწავარდნილი.
(მონა მიდის).

ბორობ (მეტყარიტა და დამცინავი ხმით წამოიძახებს):

გირჩევ, ღალატი და მუხთლობა გულს არ გაივლო,
თორემ ორივეს დაგატყდებათ საშინელება!
საქმე ბოლომდე მიიყვანე?



მედეა (მისკენ გაემართება):

ჰო, მივიყვანე.
ჩავფაღ თუ არა, თავისუფლად ამოვისუნთქე.

ბორობ: ოქროს საწმისიც ჩააყოფი?

მედეა: დიახ, საწმისიც.

ბორობ: განძის წაღებას იოლკოსში რომ არ აპირებ,
მითხარ, ქმრის ბიძას რას ემართლები?

მედეა: ხომ იხილე.

ბორობ: რაკი ჩაფაღი, შენ გგონია, მორჩა, გათავდა,
წარსულის სიომ გაიქროლა, გაინავარდა,
თითქოს ამქვეყნად აღარც აწმყო, აღარც მყობადი,
არცრა კოლხეთი და ღმერთები არ ყოფილიყოს,
თითქოს მამაშენს არც ეცხოვროს ამ ქვეყანაზე,
თითქოს შენი ძმა სულ ახლახან არ მომკვდარიყოს,
რადგან არ ფიქრობ, ეს ამბები შენ უნებურად,
თითქოს რწმუნდები, არასოდეს არ მომხდარიყოს.
მაშ დაუკვირდი, მიმოავლე ფხიზელი თვალი,
მოღალატი ქმარს აქამომდე ხომ შენ უყვარდი;
სინამდვილეში ასეც იყო!

მედეა (განრისხებული):

გორა!

ბორობ: რა გნებავს?

ნუთუ გგონია, უმაღ პირზე კლიტეს დავიდებ?
დამნაშავენი უნდა დუმდნენ, განა მე ვდუმდე!
მშობლიურ მხარეს მომწუვიტე და გამომიტყუე,
ასეთნაირად ჩავუვარდი ტყვედ შენს კერბ მიჯნურს,
ხელფეხშეკრული მწარედ მოვთქვამ გრძელ ღამეებში
ჩემს უბედობას, უიღბლობას; ვკენესი, ვვიშვიშებ,
და ყოველ დღით, ხულ ერთთავად, მზის ამოსვლისას
ჩემს გარდასულ დღეთ და ჭაღარას ქოქოლას ვაყრი,
ვიტან დაცინვას და აბუჩად აგდებას სხვისგან,
ვითმენ ყოველგვარ გაპირვებას, ტანჯვა-წამებას
და რასაც გეტყვი, მომისმინე და ყურად იღე.

მედეა: გისმენ, განაგრძე!

ბორობ: რაც ვითხარი, წარსულს ჩაბარდა!

ჩვენი სამყარო ამნაირად არის შექმნილი:
ვიღრემდე მთვარეს ზღვის ტალღები არ შეასკდება,
არ დაიღვევა ქვეყანაზე შური და მტრობა.
საშინელებად მოევლინე კოლხეთის მკვიდრი,
ამ ქვეყნის მცხოვრებთ დაეუფლათ შიში და ძრწოლა;
ბნელი ძაღების ხისახტიკე და წყევლა-კრულვა,
იმასდა ვფიქრობ, შენ თვითონვე თავს არ დაგატყდეს!
ზიზღს ვერ მალავენ აქაურნი, სძაგხართ ცოლ-ქმარი,
აღალმა ბიძამ ჩაუკეტა სასახლის კარი
და მშობლიური ქალაქიდან ურცხვად განდევნა.
როს ბიძამისი ყველასათვის მოულოდნელად

სალ-სალამათი უცაბედად გარდაიცვალა,
თავშესაფარიც ვერსად ჰპოვა, უჭეროდ დარჩა.
რა გზას გინდა დაადგე ახლა?

მედეა: ვით ცოლს შებფერის!

გორბ: მაინც რას ფიქრობ, საბოლოოდ რა გადაწყვიტე?

მედეა: ჭირსა და ვაგლახს მასთან ერთად გავინაწილებ.

გორბ: რაღა თქმა უნდა, ქალიშვილი აიეტისა

ჭირსა და ვაგლახს მასთან ერთად გაინაწილებ!

მედეა: უფალს რომ ჩვენთვის გაემეტა ალალი გული,

მაშინ იოლად იცხოვრებდა ადამიანი!

გორბ (გესლიანად გადაიხარხარებს):

ქმარზე რას იტყვი?

მედეა: ჭობს წავიდეთ, უკვე თენდება!

გორბ: რად გამირბიხარ? მაინც ვერსად წამიხვალ, რადგან

გაჭირვებაში ჩავარდნილი ნათელსაც ვხედავ;

რაკი ცხოვრების წარმმართველი ღმერთია მხოლოდ,

სამაგიეროს მიწღვაც არის ამ ქვეყანაზე.

შენს უიღბლობას და მძიმე ხვედრს დასტირე, მე კი

ვიქნები შენი მოიმედე, ნუგეშისმცემი,

რადგან ცოდო-ბრალს ვერ ჩასწვდები მართო გონებით,

სიმართლის გზასაც შორს დაიჭერ, ოღონდაც კაცი

ტანჯვას და სასჯელს გადაურჩე რამენაირად.

ეგებ კეთილად დაბოლოვდეს ეს განსაცდელი!

ქმარზე მითხარი, კვლავაც გიწევს მეუღლეობას?

მედეა: აბა, სხვაგვარად ქალაბობა ვის გაუგია?

გორბ: სიტყვით ვაიმე, კერძმარტად, გულში სხვაიმე!

მაშ იგივეა, ვინც იჩქითად გვირგვინი იფსკვნა?

სანამ მეუღლე ამ მიწაზე ჩამოგიყვანდა,

ათას ფათერაკს და ჭირ-ვარამს გადაეყარა,

მარჯვედ, უშიშრად გადალაბა ზღვები და მთები,

ვისაც წააწყდა, გაუმკლავდა და უკუაგდო,

სიკვდილს ნატრობდა, შეეგუა შიშშილს და წყურვილს,

ასეთნაირად არ დაძლია ბრძოლის ქარცეცხლი?

მაშ იგივეა? რად ცახცახებ? მო, იცახცახე!

სძაგხარ, გაგირბის, უკვე უელში ამოუხვედი;

როგორც მზაკვრულად არ დაინდო შენიანები,

ისე გიმუხთლა, გიღალატა, სხვაზე გაგცვალა!

რაც შეგიძლია, ღრმა ორმოში ჩაფალ ნივთები,

ნამოქმედარს ხომ ვერსად ჩაფლავ?!
მედეა: ხმა ჩაიკმინდე!

გორბ: არ გავჩუმდები!

მედეა (მკლავში მძლავრად წაავლებს ხელს):

გეუბნები, გაჩუმდი-მეთქი!

რატომ ბობოქრობ, რისთვის ცხარობ, ან ცოფებს რად ყრი?

დაე ველოდოთ, ბედისწერას ვერსად წავუვალთ.

ერთხელ რაც იყო, მაინც იგივე განმეორდება,

მაშ უველაფერი აწმყო და თანადროული?

თუკი ეს წამი აკვანია მომავალისა,

მაშინ რად არ ვთვლით მას წარსულის დამსამარებლად?

ისეთი რამე მოხდა უკვე ჩემ სიცოცხლეში,

იგი არ უნდა მომხდარიყო ქვეყნად არასდროს,

მაგრამ გგონია, მივტირი და წყალობას ვითხოვ,

ან კიდევ ვფიქრობ, ჩემივ თავი გავანადგურო?

ხალასი უნდა იყოს კაცი, შეურეველი,

ქვეყნის ავ-კარგთან შერწყმული და შიგუებულნი!



უცხო ქვეყნებში გარდახვეწილთ, უცხოელთ შორის,
თავისი რისხვა მოგვივლინა უზენაესმა;
რაც ქვეშაობრივად ითვლებოდა ჩვენს ქვეყანაში,
აქ უმართლოდ და უკანონოდ მონათლულია,
თუკი რაიმეს გაატიებენ, იმასაც ზიზღით;
წეს-ჩვეულება და ენა სურთ დაგვაკარგინონ,
გრძნობა დაგვიხშონ, შეგვზღუდონ და ფრთები შეგვკვეცონ,
თავისუფლება მოგვისპონ და დაგვასამარონ.
მამაპაპური, მშობლიური ცის ქვეშ რაც ვიყავ,
იგივ დავრჩები ამ მიწაზეც სამარადელად.
იღუმალ ძალთა საიდუმლოს ცოდნა და უადრი,
რაც დედაჩემმა მიანდერძა მემკვიდრეობით,
გაჩენის დღიდან რომ მომდევდა მოაქვამამდე,
ამიერიდან არხეინად ვუბრუნებ უკან,
და უილაჯო, უნიათო, უძღლური ქალი
თანამეცხედარეს უნებურად ხელთ ვუვარდები;
თავდაპირველად გამირბოდა კოლხეთის ასულს,
მაგრამ შემდგომში მომეპურა ვით საქმროს შეჭფერის.
ამ გარიჟრაჟსაც ხომ ახალი ცხოვრება მოხდევს!
რაც უკვე მოხდა, არასოდეს განმეორდება,
და რაც მოხდება, გარდაუვლად მოსახდენია!
შენ კი მიწაო, მშობლიურო და მადლცხებულო,
შემწედ მექმენ და მომანიჭე მხოლოდ სიკეთე.
(კარავში შედიან; კარვიდან იაზონი და კორინთოელი
გლეხკაცი გამოდიან, რომლებსაც უკან მონა მოჰყვებათ).



საქართველოს პარლამენტი
საზოგადოებრივი განათლების მინისტრის განცხადება

იაზონი: მეფეს პირადად ესაუბრე?

გლეხკაცი: დიახ, ბატონო!

იაზონი: მერე რა უთხარ?

გლეხკაცი: მომლოდინე სხვაც ბევრი მყავდა,
სტუმართმოყვარე მგობრებიც, წარჩინებულნიც,
მაგრამ ორგულნიც იქვე იყვნენ, მოლაღატენიც,
და ხანამ ყველას მშვიდობა და უშიშროება
არ უსურვა, მანამდე არვის გაესაუბრა.

იაზონი: შეკითხვაზე რა გიპასუხა?

გლეხკაცი: უთუოდ მოვა!
პოსეიდონის დღესასწაულს ესწრება მეფე,
მთელი ამაღა, ქალიშვილიც აქ იყოლება,
ზღვას შესწირავენ შესაწირავს, როგორც წესია,
და შეხვედრისას ჩამოგიგდებს თავად ლაპარაკს.

იაზონი: ძალიან კარგი! გარჯისათვის მადლობას გიხდის!

მედეა (იაზონს მიუახლოვდება):

მოგესალმები!

იაზონი: მეც აგრეთვე.

(მონას მიმართავს):

ახლა აქედან
წადით სუყველა და ხეების მწვანე რტოები
აჩებეთ, როგორც წესადა აქვთ ამ ქვეყანაში.
როცა მორჩებით, გეუპურება? მშვიდად მელოდეთ.
აბა, თქვენ იცით
(გლეხკაცი და მონა გადიან).

მედეა: ჩაბმული ხარ რაღაც საქმეში?

იაზონი: დიახ, ეგრეა.

მედეა: ხულ არ ცდილობ, რომ მშვიდად იყო!

იაზონი: უარბიი კაცი გეგულებს, მშვიდად რომ იყო?

მოხეტიალეს ვინ დააცლის აბა სიმშვიდეს.

მედეა: ამ ღამით შენ ძილს არ აპირებ, როგორც გეტყობა,
და მარტოხელამ ბნელში უნდა იბორიალო.

იანონი: მე ღამე მიყვარს, დღის სინათლე კი თვალებსა მჭრის.

მედეა: მეფეს რომ კაცი გაუგზავნე, რა გიპასუხა,
სტუმართმოყვრულად ჩვენც მიგვიღებს?

იანონი: დაველოდები.

მედეა: მეფე შენი მეგობარია?

იანონი: ოდესღაც იყო.

მედეა: რახან ეგრეა, შეგისრულებს ყოველგვარ სურვილს.

იანონი: ჩვენი ბედნავსი შეუღლება დაირღვეს უნდა,
შენ კარგად იცი, ქვეყანაზე უველა გავვირბის,
თვით ბიძაჩემის — პელასგის უცბად სიკვდილი,
ვინაც ღმერთიც კი განარისხა თავის შჯავრობით,
ბრალად შედება, არვინ მინდობს, არვინ მპატიებს,
ხალხი მაყვედრის, ცოდვად მითვლის, ჩემს სამშობლოში
ჯადოქარ ქვეყნის შვილი რატომ ჩამოგიყვანე.
ნუთუ არ იცი?

მედეა: კარგად ვიცი.

იანონი: საქმარისია,

ამ ღამეს მინდა ვიფხიზლო და ვიხეტილო!
შუისკენ რად ილტვი, კაცმა რომ თქვას, რა დაგრჩენია?
ან ბნელ ღამეში რას დაეძებ? გახაგებია!
კოლხ მეგობარს ხომ არ მოუხმობ?

მედეა: არვის არ ვუხმობ.

იანონი: ნამდვილად არა?

მედეა: არა-მეთქი, კვლავ გიმეორებ!

იანონი: მე რასაც ვფიქრობ, პირში გეტყვი, დაიმახსოვრე,
შენ უმაგიხოდ სიცოცხლე ხომ არ შეგიძლია!
ნუღარ მოხარშავ ბალახბულახს, ნუ დაამზადებ
ისეთ საწამლავს, ძილისმომგვრელს რომ ეძახიან,
დაეხსენ მთვარეს, ღამით ნუღარ ესაუბრები,
მიცვალებულებს საფლავებში აკმარე წოლა,
აქ უველას სძაგბარ, ეწიზღები, მეც ვეღარ გიტანი!
კოლხეთში კი არ ვიმყოფებით, საბერძნეთში ვართ,
ველურებში კი არა ვცხოვრობთ, ხალხში ვტრიალებთ.
ამიერიდან ერთადერთმა მე ვიცი მხოლოდ,
რაკი აღმითქვი, იმ სიტყვას რომ არ გახტებ, მჭერა.
თუნდ ეგ პირბადე, საბეზე რომ ჩამოგიბურავს,
უკან მახედებს და წარსულის სურათს მაგონებს.
რატომ არ გინდა შეეჩვიო ამ ქვეყნის ადათს
და ტანსაცმელიც აქაური წესით ატარო?
როცა დამჭირდა, ხომ კოლხელად ვიქეცი მაშინ,
შენც საბერძნეთში ბერძენ ქალად გადაიქეცი.
რატომღა ცდილობ გახსენებას გარდასულისას?
საკუთარ თავის გახსენებაც საქმარისია?
(მედეა უჩუმრად მოიხსნის პირბადეს და გორას გაუწოდებს).

გორა (ძლივგასაგონად):

შის ხაამებლად გულს აიყრი შენს ქვეყანაზე?

იანონი (თვალს მოკრავს გორას):

შენც აქ ყოფილხარ? მეწიზღები დასანახავად!
მაგ თვალებსა და შუბლს რომ ვხედავ, ასე მგონია,
თვალწინ მიდგება კოლხური ზღვის ნარიყრაყევი.
მეუღლის ახლოს რად წრიალებ? აქედან წადი!

გორა (ბუზლუნით):

ვიძომ რაღაო?



იაზონი: წადი-მეტქი, რომ გეუბნები!

მედეა: გეხვეწები, გაადგი ფეხი!

ბოტა (მოამიტად):

შენი ნაყიდი ხომ არა ვარ, რომ შემუქრები?

იაზონი: აქედან გასწი, სანამ დროა,

თორემ ხელი ხმლისკენ გამირბის;

ბევრჯერ მინდოდა მომესინჯა ეს შენი შუბლი,

თუ მართლა ისე მაგარია, როგორიც მოჩანს.

(მედეა გორას უყვავებს და სცენიდან გაჰყავს).

იაზონი (მდელოზე წამოგორდება და გულანქროლებული წარმოთქვამს):

წამოიქროლე, ქარიშხალო, დასცხე, გრიგალო!

კორინთოს ცაო, ზღვის ნაპირო დაუვიწყარო,

ამაყად მდგარნო დიდებულო ციხე-კოშკებო,

ჩემი ბავშვობის ოქროს წლებო გაუხუნარნო,

მზე ძველებურად სხივებს გაფენს, თავზე დაგნათის,

მხოლოდ მე ვიქცე თქვენთვის უცხოდ, გადავსხვაფერდი,

ღმერთო მაღალო, რატომ იყო დილა ნათელი,

თუკი საღამო ამნაირად ჩამწარდებოდა.

ნეტავი ბარემ ღამე იყოს!

(მედეას კარუიდან ბავშვები გამოჰყავს და იაზონს მიჰგვრის).

მედეა: აი, ბავშვებიც.

გაუწოდეთ მამათქვენს ხელი.

(ერთ-ერთ ბიჭს მიმართავს):

ჩამოართვი მამაშენს ხელი!

არ გეუბრება? ხელი-მეტქი!

(ბავშვები ამრეზით დგანან).

იაზონი (ხელს ძალაუნებურად გაუწვდის):

ეს არის ბოლო ნაშიერი, ჭიუტი მამის?

მედეა (ბავშვებს მიმართავს):

ახლა კი წადით!

ბიჭი: ხომ ბერძენი ხარ, მამაჩემო?

იაზონი: რად შეკითხები?

ბიჭი: ბერძენი რომ ხარ, აღბათ გორა მითომ გაძაგებს!

იაზონი: რაო, მაძაგებს?

ბიჭი: რა შშიშარა და მატყუარა ხალხი უოფილა.

იაზონი (მედეას მიუბრუნდება):

გაიგონეს შენმა უბრებმა?

მედეა: გორას სიბრიყვით მოუვიდა და აბატე!

(მედეა ჭერ ერთ ბავშვთან მივა, მერე მეორესთან,

ჩაიმუხლებს და უბრში რაღაცას ჩასჩურჩულებს).

იაზონი: კეთილი და პატიოსანი!

(ფეხზე წამოდგება).

ვერა ხედავ, მუხლსაც რომ იყრის,

ნავსი, ბედშავი, შშიმე ტვირთად გვაწვება უველას.

(ბოლთასა სცემს).

ბავშვებს დაეხსენ და ამწუთას ჩემთან მობრძანდი!

მედეა: ახლა წადით და... გეუბრებათ? ჭკუით იყავით!

(ბავშვები გადიან).

იაზონი: ნუ წარმომიდგენ ავ და გულქვა ადამიანად,

შენი შემუქრე, შენი ტანჯვით მეც ვიტანჯები.

აწოწილ მწვერვალს სადაც უნდა მიაკრა ლოდი,

არ გაჩერდება, გორაობით წამოვა თავქვე,

წინ ვერაფერი დაუდგება, ვერ დააკავებს,

რაც ჩავიდიხნეთ, რა ხანია წარსულს ჩაბარდა.

(ერთ ხელს მკლავში წაავლებს, ხოლო მეორეს





შუბლზე უფათურებს).
 შენ რომ გიყვარვარ, ვერ უარვყოფ, ჩემო მედეავ;
 სიყვარულის აღს განა მარტო სახეზე გატყობ,
 საქმით ამტკიცებ, შენი წნით და თავის დაქერით.
 (მედეა იაზონს შუბლით მხარზე მიეყრდნობა).
 მწამს, რომ გონება მწუხარებით დაგბინდებია:
 და თანაგრძნობაც შემოგჭრია ხულის სიღრმეში,
 ამიტომ კარგად მოვაგვაროთ ჩვენი საქმენი
 და ვინაიდან ერთად ყოფნა ხელს აღარ გვაძლევს,
 ავწონ-დავწონოთ და გავცილდეთ ერთიმეორეს.
 დიდი ხნის წინათ, როცა ისევ ჭაბუკი ვიყავ,
 გაგულიებულ ბიძის წყრომას და მრისხანებას
 რამენაირად ცოცხალი რომ გადავრჩენოდი,
 ქალაქ კორინთოს მოვაშურე თავშესაფარად.
 ამ ქვეყნის მეფემ შემიკედლა სტუმართმოყვრულად,
 მამობრივ ზრუნვას არ მაკლებდა, მიფრთხილდებოდა,
 საკუთარ ვაჟს რომ მოექცევა კაცი, იმგვარად.
 მის სასახლეში გავატარე მრავალი წელი.
 აი, ახლაც კი...

მედეა: გააგრძელე, რატომ შეწყვიტე?

იაზონი: როცა სუყველამ გამიმეტა, ზურგი მაქცია,
 როცა ჩავვარდი ამა ქვეყნის ორომტრიალში,
 ახლაც კი მეფე თავშესაფარს არ დაიშურებს,
 ოღონდ ერთი რამ მაფიქრებს და მაეჭვიანებს.

მედეა: რატომ არ ამბობ?

იაზონი: მე კი ნამდვილად შემიკედლებს,
 წინასწარ ვიცი, დარწმუნება არა მჭირდება,
 არც ჩემს ბავშვებზე იტყვის უარს, იგულისხმება,
 მაგრამ შენ კი...

მედეა: რადგანაც შენი შქვია მეუღლე,

ბავშვებთან ერთად, იმედია, მეც შემიხიზნავს.

იაზონი: გადაგავიწყდა, სულ პირველად ჩემს სამშობლოში
 კოლხთა მიწიდან ბიძაჩემთან რომ მიგიყვანე,
 თავს რა დაგვატყდა და რა ამბებს გადავეყარეთ?
 გადაგავიწყდა, ბარბაროსი რომ დაგინახეს,
 ბერძნები ღიმილს ვერ მალავდნენ, გაქიაქებდნენ?
 ყველამ არ იცის შენი წესი და ჩვეულება,
 ყველა კი არ გთვლის ჩემს ცოლად და შვილების დედად,
 ყველა ჩემსავით კი არ იყო შენს ქვეყანაში.

მედეა: მაგ ნართაულთა დედააზრი მაინც რა არის?

იაზონი: აღამიანთა უდიდესი უბედურება
 თუნდაც ის არის: რაც ცხოვრების განმავლობაში
 თითოეულს უნდა შეემთხვეს, სანამ მოხდება,
 მშვიდადაა, აუღელვებლად, როცა მოხდება,
 მაშინ ყველა ფორიაქდება. იქნებ თავიდან
 ავიცილოთ გარდაუვალი და მოსახდენი.
 ჩემი უფლებით ვისარგებლებ, მეფეს ვეწვევი
 და გულახდილად ყველაფერში გამოვუტყდები,
 შენ კი ქალაქში არვინ გნახოს, ნუ გამოჩნდები,
 ბავშვებიც შენთან დაიტოვე, სანამ...

მედეა: როდემდე?

იაზონი: სანამ... მითხარ, რად იფუთნები?

მედეა: კარგად მიგიხვდი.

იაზონი: რაც ახლა გითხარ, სიცრუედ ნუ მოგეჩვენება!

მედეა: მაშ დამიმტკიცე, რომ სიყალბედ მომჩვენებია.

მეფე გამოჩნდა და თანდათან გვიახლოვდება,
ელაბარაკე, რასაც შენი გული გჯარნახობს.

იაზონი: ხანამ დაგვლენდეს, შედგრად დავხვდეთ ძლიერ ქარიშხალს.

(გორას კარვიდან ბავშვები გამოჰყავს. მედეა შეილვებს შუა ჩადგება და სადაც
შორს დაიწყებს ცქერას. შემოდინ მუფე და მისი ქალიშვილი თანხლებ კაბუკბ-
სა და გოგონებს-შესაწირავი მოაქვთ).

ეროვნული
ბიზნიროსია

მეფე: გადმოხვეწილი უცხოელი სად იმყოფება?

გამოძვევებულს ალბათ რამე ბრალი მიუძღვის.
გული რალაცას მიწინათგრძნობს, სად არის იგი?

იაზონი: აქ გახლავარ და თავდაბრილი მოგეგებები;

გაუცხოებულს უფრო ვგავარ, ვიდრე უცხოელს.
ხელის შეწყობას და შეწევნას მოვითხოვ მხოლოდ.
სასახლიდან და მამულიდან გამომაძევებს
და კეთილ სტუმარს თავშესაფრად ბინა მჭირია.

პრეშუა: იაზონია, ადრე ჩვენთან რომ იყო, მამავ!

(რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს მისკენ).

იაზონი (მკლავში ხელს წაავლებს):

ისა ვარ, დიახ, ვით ნამდვილად შენ კრეუზა ხარ.
სულ არ შეცვლილხარ, ძველებურად გიბრწყინავს სახე,
ნაზო არსებავ, შემაწიე სიტყვა მამასთან,
რომელიც აქვე დამდგარა და თვალს არ მაცილებს;
ალბათ ბრახდება, გულკეთილად რომ მომესალმე,
ანდა ჩემზეა გულმოსული, განრისხებული.

პრეშუა (იაზონს ხელს წაავლებს და მამისკენ გაუძღვება):

მამავ, შეხედე, შენ წინაშე იაზონი დგას!

მეფე: მოგესალმები!

იაზონი: როცა ვუყურებ შენ ხიდინჯეს, სიდარბაისლეს,

შემეფერება დავიჩოქო, მუხლზე გემთხვიო
და სათხოვნელად ეს მარჯვენა გამოგიწოდო;
ჩემი მუდარა უურად იღე, შეისმინე და
ქერი მიბოძე, მომეც ერთი თავშესაფარი!

მეფე: წამოდექ ფეხზე!

იაზონი: არა, ხანამ...

მეფე: ფეხზე ადექ, რომ გეუბნები!

(იაზონი წამოდგება).

მეფე: ვით დაასრულე არგონავტთა მოგზაურობა?

ალბათ წანწალი მოგწყინდა და უკან დაბრუნდი.

იაზონი: არ შეგულება ქვეყანაზე ისეთი მხარე,

სადაც შე ბინას დავიდებდი, დავსახლდებოდი.

მეფე: მოპოვებული განძეული თან წამოიღე?

იაზონი: საქმის წამომწყებ ბიძას უნდა რგებოდა იგი.

მეფე: მშობლიურ ქალაქს რა მიზეზით გამოექეცი?

იაზონი: გამომაძევებს უსახლკარო, მიუსაფარი.

მეფე: საბაზად მაინც რა მოგიდეს, რა დააშავე?

იაზონი: უხამსი რალაც დამაბრალეს, არჩადენილი!

მეფე: ახლავ გამოტუდი, მართებულად თუ უსამართლოდ?

იაზონი: ღვთის მადლსა ვფიცავ, უსამართლოდ, უმართებულოდ!

მეფე (გაფაციცებით მკლავში ხელს წაავლებს და რამდენიმე ნაბიჯს წადგამს წინ):

ბიძაშენი გარდაცვლილია?

იაზონი: დიახ, მკვდარია.

მეფე: რა დაემართა?

იაზონი: არაფერში მიმიძღვის ბრალი!

ისე ვიხარო, არაფერში მიმიძღვის ბრალი!

მეფე: ერთხელ ითქვა და ხმა დაირხა მთელ ქვეყანაში.



ნაზონი: ზუსტად იმავ ჭორს იმეორებს მთელი ქვეყანა.

მეფე: ერთს შეუძლია ყველას აზრი არად ჩააგდოს?

ნაზონი: თუ მოინდომებს, შეუძლია არად ჩააგდოს.

მეფე: რით მიიყვალა ბიძაშენი, მაშ რა ეწია?

ნაზონი: თვითონ შვილებმა მოუსწრაფეს სიცოცხლის დღენი.

მეფე: შემწარავია, რაც მითხარი, სიმართლეს ამბობ?

ნაზონი: მაღალმა ღმერთმა უკეთ იცის, სიმართლეს ვამბობ!

მეფე: მოდი, კრეუზა, ჭერჭერობით ნურაფერს ეტყვი,
სჯობს ჭირ-ვარამი შემდგომისთვის გადავინახოთ.

(ხმაბალლა):

საკმარისია, რაც გავიგე, შერე სხვა იუოხ,
ვიდრემდის ძალშიძს, შენი სიტყვის უნდა მჭეროდეს.

კრეუზა (წინ წამოდგება):

მამავ, რაც გსურდა, გამოჰკითხე სუყველაფერი?

არ ჩანს ჩამდენი ცუდი საქმის, ხომ მართალია?

მეფე: მაგასთან იქავ და უშიშრად გეჭიროს თავი.

კრეუზა: შენ ყოყმანობდი, მე აროდეს მიორჰოფნია,
გული მიგრძნობდა და გონება მიკარნახებდა,
რასაც ამბობდნენ, ეგ არ იუო იმის ჩამდენი.
ამგვარი კაცი ხელს გარევადა სისაძაგლეში?
რა საარაყო, სამარცხვინო ამბებს ყვებოდნენ,
რალას არ თხზავდნენ, არ როშავდნენ, თუ დაშიჭერებ,
ბევრჭერ ავტირდი ადამიანთ გულცივობაზე,
რომლებიც არად დაგიდევენ ცილისწამებას.
შენ არყოფნაში მითქმა-მოთქმა არ თავდებოდა,
საწარელ ამბებს არ უჩანდა თავი და ბოლო,
კოლხეთიდან კი როცა ცოლად ჩამოიყვანა
ათასნაირი საწამლაფის დამშვადებელი
ველური ქალი, მამის მკვლელი, შხამების მცოდნე,
არ მაგონდება, უცნაური სახელი ერქვა...

მედეა (ბავშვებიანად სკენაზე შემოვა):

მე გახლავარ, მედეა მქვია!

მეფე: მართლა ის არის?

ნაზონი (ყრუდ):

დიახ, ის არის.

კრეუზა (მამას აეკვრება):

შემწარავი ყოფილა მართლა!

მედეა (კრეუზას მიმართავს):

ძალიან ცდები, მამაჩემი მე არ მომიკლავს;
ძმის სიკვდილშიაც, ჰკითხე, ხელი თუ მირევია.
(იბზონზე მიათითებს).
რაც შეხება საწამლაფებს, ბევრი რამ ვიცი,
ვიცი, სიცოცხლე სულდგმულს როგორ გავუხანგრძლივო,
ბალახბულახით შეხერხება შხამის კეთებაც,
მაგრამ არა ვარ შემწარავი და კაცის მკვლელი.

კრეუზა: შიშის წარსა მცემს, რომ ვუყურებ, შიშის წარს, დიახ!

მეფე: ეგ არსება შენი ცოლია?

ნაზონი: ჩემი ცოლია!

მეფე: ის პატარები?

ნაზონი: საკუთარი შვილები გახლავთ.

მეფე: უბედური კაცი ყოფილხარ!

ნაზონი: უბედური ვარ... მოდით ბავშვებო, გაუწოდეთ
მეფეს რტოები და მოსთხოვეთ თავშესაფარი!
(ბავშვები მეფისკენ გადააბიჭებენ).
დიდო მეფეო, იმედეა, მათ არ გაწირავ!



ბიზი (შეფეს რტოს გაუწოდებს):

შომირთმევაა!

მეფე (ორივეს მოფერებით თავზე ხელებს დაადებს):

ბუდედანგრეულ ბარტყებივით საცოდავებო!

პრეუზა (ბავშვებთან მივა და ჩაცუცქდება):

ჩემკენ გამოსწით, უსამშობლოდ დაობლებულნო,
ძველმა ცოდვებმა თქვენც გიწიათ სიუმაწვილეში,
უბედურებო, ბეჩავებო, ალაღ-მართალნო.
პაწაწკინტელავ, ზულ მამა ხარ ზედგამოქრილი.
(პატარას ავოცებს).

ჩემთან იყავით, არსაით არ გაადგათ ფეხი,
დობას გაგიწევთ, დედობასაც არ დაგზარდებით.

მედეა: დაობლებულლებს რად ეძახი, რატომ წუწუნებ?

აქ არის მათი ღვიძლი მამა, დედინაცვალი,
ხანამ მედეა ცოცხალია, არა სჭირდებათ!
(ბავშვებს მიმართავს):

აქეთ ბავშვებო, ჩემკენ მოდით!

პრეუზა (მამას შეაკქერდება):

როგორ მოვიქცე?

მეფე: დედა აქვია.

პრეუზა (ბავშვებს მიმართავს):

მიდით დედასთან!

მედეა: რატომ აყოვნებთ?

პრეუზა (კისერზე ხელბეჭდვით ბავშვებს ერთხელ კიდევ გაუმეორებს):

დედა გიძახით, მიდით მასთან!
(ბავშვები მიდიან).

იაზონი (შეფეს ეკითხება):

რა გადაწყვიტე?

მეფე: მე უკვე ვბრძანე.

იაზონი: მომეცემა თავშესაფარი?

მეფე: როგორც გითხარი.

იაზონი: ჩემიანებასაც მიეცემათ,

თუ მართო მე მქონდეს იმედი?

მეფე: მე ხომ გითხარი, შენა-მეთქი, შენიანებზე

თვით განსაზღვრე. შევასრულოთ წეს-ჩვეულება
და უკვე დროა, სახანისკენ რომ გავეშუროთ.

იაზონი (წასვლას რომ დააპირებს, კრეუზას მიუბრუნდება):

ხელის თხოვნაზე, როგორც ერთ დროს, ხომ თანახმა ხარ?

პრეუზა: მჯერა, ხელიდან არ გაუშვებ მაშინდელივით.

მედეა: სუყველა მიდის, როგორც ვატყობ, მართო მტოვებენ,
მოდით, ბავშვებო, ჩამეკონეთ, მომხვეით ხელი!

პრეუზა (ირგვლივ მიმოიხედავს და თავიღრუთის ჩაილაპარაკებს):

ერთი გვაკლია, იმან რად არ აგვიბა მხარი?
(უკან შემობრუნდება და მედეასგან შორიანლო გაჩერდება).
არც შეწირვაზე მოდიხარ და არც სახანლეში?

მედეა: მიუწვევდები სულ ყოველთვის გარეთ რჩებიან.

პრეუზა: მამაჩემმა ხომ მოგიჩინათ თავშესაფარი

და დახმარების ხელი ყველას გამოგიწოდათ?

მედეა: სხვაგვარად უღერდა, წელან შენგან რაც მოვისმინე.

პრეუზა (რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს მისკენ):

ვიცი, ნამდვილად გაწყენინე და ბოდიშს ვიხდი!

მედეა (გაფაციცებული შეტრილდება):

დიდებულად უღერს! ვინ თქვა ასეთი სააღერსო,
გულთბილი სიტყვა? ბევრის თქმული საწყენად დამრჩა,
მაგრამ აროდეს, არავის არ მოსვლია აწრად.



ქართული
საზოგადოებრივი

გვითხა, მისმა ნაუბარმა შატკინა გული?
 მადლობას ვიხდი ამიტომაც! თუ შენც ჩემსავით
 შავ დღეში ხარ, ნება მიბოძე, კეთილის მსურველს
 მეც სიკეთით გადაგიხადო. და იმას ვფიქრობ,
 ნათელი მწერა, ტკბილი სიტყვა შემოგაგებო.
 (სურს მკლავში ბელი წაავლოს, მაგრამ კრეულა შიშით უკან დაიწევს)
 უკან რად იწევ, ხელით კი არ მოიწამლები.
 მინდა იცოდე, მეც შენსავით მეფის შვილი ვარ,
 ერთ დროს შენსავით მეც იოლად მიმაჩნდა ვინმეს
 წაგვიდებოდი, შევბმოდნი და შევტაკებოდი.
 მინდა გახსოვდეს, მეც შენსავით მეფის შვილი ვარ
 და თვალწინ მიდგას ნათელი და ამო დღეები,
 დიდი ხნის წინათ ასე გვერდში ვუდები მამას,
 ჩემი ქვეყნის და ხალხის მიერ ღმერთად შერაცხილს.
 ოი, კოლხეთო, ოი, ჩემო ტკბილო სამშობლოვ,
 ბნელს გეძახიან, მაგრამ ჩემთვის სულ ნათელი ხარ!

კრეულა (მკლავში ხელს გამოსდებს):
 ოი, საბრალოვ!

მეფე: რომ გიყურებ, რა ლამაზი ხარ,
 ჭან-ღონით სავსე, მშვენიერი, სანდომიანი;
 სანამ ადრეა, გაუფრთხილდი მაგ სილამაზეს!
 თუ ერთხელ მაინც სწორ გზას აცდი, მოჩჩა, გათავდა.
 მსუბუქი ნავით მდინარებას რახან გაჰყევი,
 ყვავილთა კონა შეგაჩერებს სანაპიროზე
 და ვერცხლისფერი ტალღები რომ გაქანავებდა,
 ერთხელ ხომ უნდა დამყუდროვდეს, ჩემო შენავე?
 მაგრამ ზღვა ისევე აღელდება, აბობოქრდება,
 იმ ნაპირიდან ტალღები კვლავ გაგიტაცებენ
 და ის ნაკადი გადაგქარგავს დასაქარგავში.
 გაოცებული რად მიყურებ, რატომ ცახცახებ?
 ერთ დროს მეც ეგრი ვკანკალებდი გაოცებული,
 ნეტავ მცოდნოდა, რა მინდოდა, რისთვის ვიღვწოდი!
 (კრეულას ყელზე გადაექდება).

კრეულა: შეხედე, მამავ, ველურს ცრემლი როდის ჩამოხდის?

მეფე: რაკი შორეულ ქვეყნიდან ვარ ჩამოყვანილი
 და თქვენი მხარის ადათ-წესებს არ ვარ ჩვეული,
 ნადველს შიმატებს სიძულვილი, ამოჩემება,
 თითქოს ვიღაცა გაუთლელი, ველური ვიყო,
 სხვა ხალხთა შორის უმდაბლესი და ნარჩიელა,
 ვინც პირველ ქალად ვითვლებოდი ჩემს სამშობლოში.
 როგორც გენებოთ, ყაბულსა ვარ, რასაც კი მეტყვით,
 ოღონდ ვიცოდე, რა ვიღონო, როგორ მოვიქცე-
 აღზრდაზე გატყობ, კარგი წნის და ხასიათის ხარ,
 მაგრამ საკუთარ თავზე ზრუნავ, თავს დასტრიალებ;
 ღმერთმა სიკეთე დამამაძღლა, არ მიწყალობა,
 ბევრი რამ მინდა შევისწავლო და შევითვისო.
 შენ უკეთ იცი, მას რაც ხიბლავს და რაც ახარებს,
 ნუ დაიწარებ, შემასწავლე, რათა იაზონს
 მარად მოვწონდე, მადლიერი ვიქნები შენი.

კრეულა: მამავ, გვისმენდი, გაიგონე მისი ნათქვამი?

მეფე: წამოიყვანე ეგეც ჩვენთან!

კრეულა: ხომ თანახმა ხარ?

მეფე: შენ საითკენაც გამოძღვება, ყველგან მზადა ვარ,
 ოღონდ როგორმე შეგვიკედლებოთ მიტოვებულნი
 და მამაშენის თვალთა მწერას გადამარჩინე!



(მეფეს მიმართავს):

მასეთნაირად რატომ მიმწერ, ვერ შემაშინებ, თუმცა მაგ გულში ცუდი რამ გაქვს ჩაბუღებული. იმ ქალიშვილი, რომ იცოდე, ბევრად გჯობია!

პრემუზა: რაღას დამდგარხარ, ნება დაგროთო! თქვენც, პატარებო, გადმოადგიო ნაბიჭი ჩემკენ!

(მეფეს და ბავშვებს წინ გაუძღვება).

მეფე: მოისმინე მისი ნათქვამი?

იანონი: საკუთარ უპირით მოვიხმინე სუყველაფერი.

მეფე: მერე ეს ქალი ნუთუ ცოლად შეგეფერება?

ადრეც ვიცოდე, ხალხში იყო ხმა გავარდნილი, მაგრამ არავის ვუჭერებდი, ახლა კი, როცა საკუთარი თვალით დავრწმუნდი, ეს ჯერ ცოტაა!

იანონი: მწვერვალს კი ხედავ, საფეხურებს კლდოსას ვერ ამჩნევ და ისე გინდა რომ განსაზღვრო სუყველაფერი.

იქითკენ როცა გავემგზავრე, ძალა მერჩოდა, რამდენი უცხო ზღვა გავცურე, საგმირო საქმეს გაბედულად მოვკიდე ხელი, რაც ჩავიდინე, ადამიანებს ვუმაღლი და ჭკუა-გონებას.

იმ ქვეყანაში სხვა ცხოვრება ვიხილე სულ მთლად, თვალში საცემი არაა იყო საწმისის გარდა, რომელიც ღამით, ვით ვარსკვლავი, ისე კაშკაშებს.

უკან წამოსვლას აღარავინ ფიქრობდა მაშინ, მაგრამ როდესაც საგანძური ჩავიგდეთ ხელში, ჩვენ ცხოვრებაში მეტი სწრაფვა არცა გვქონია.

ასე ავუბით მეგობრებმა ერთმანეთს მხარი, ვმხიარულობდით, ვილხენდით და შვებასა ვგრძნობდით, სად არ ვიყავით, მოვიარეთ ზღვა და ხმელეთი,

უკუნი ღამის ქარიშხალში მოყოლილები ვაი-ვაგლახით დავუძვერით სიკვდილის კლანჭებს.

მიუხედავად ამნაირი გაჭირვებისა, მაინც იოლად და სანუკვრად გვერვებოდნენ, თუმცა ბუნება მძვინვარებდა დაუზოგველად; მასთან ცილობამ და ველურთა გზების ძიებამ გამოგვაცალა ძალ-ღონე და ჩავვიკლა გრძნობა;

ერთიანობა დაირღვა და თითოეული რასაც ფიქრობდა თავის ჭკუით, იმას იქმოდა; შეუძლებელი შესაძლებლად გადაიქცა უცებ და დავინახეთ საოცარი კოლხთა ქვეყანა.

ნეტავ გენახა, ნისლში როგორ გახვეულიყო! იქ დღე — ღამეა და ღამე კი თავზარდამცემი, იქაურებიც ღამესავით ბნელნი არიან.

ქვეყნარე, შესაზარად რომ გერვინება; გარწმუნებ მეფევ, დამიჭერე, მზის იმ სხივს ჰგავდა, სატუსაღოში რომ შვევა და გააქვს ციალი.

იმ გარემოში სხივებს ჰფენდა, აქ ჩანს უგვანი.

მეფე: როგორც სიცრუე არ იქცევა ქეშმარიტებად,

ისე მახინჯი ღამაზმანად ვერ გარდიქმნება.

იანონი: გვაროვან ქალმა მე მომანდო თავისი გული

და იმ დღის შემდეგ გვერდიდან არ მომცილებია; იმწამს შევატყვე თანაგრძნობა, დაუდგრომლობა, თავისნათქვამაც იყო, მაგრამ, რადგანაც მისი სიტყვა და ქცევა არაფერში ხელს არ მიშლიდა, მეტომ უთქმელად ავიტანე სუყველაფერი.

მალე სულ თავგზა ამებნა და უგუნურებამ



ხელი დამრია, მეც აღმაგზნო, ამიყოლია,
 ყველა ბრძოლაში გვერდით მედგა და სიყვარულ
 უამს მგზავრობისას, მისი მიტომ გავინაწილე.
 ბედმა ის ქალი უნებლიედ წილად მარგუნა,
 მამამისი კი სულ ერთთავად წყევლას უთვლიდა.
 თუმც ჩემი ერქვა, არასოდეს არ მდომებია.
 მან გამიკვლია გზა საოცარ საწმისისაკენ,
 იგი შემიძღვა სახიფათო გამოკვებაბულში,
 სადაც ურჩხული დავამარცხე, ხელთ ვიგდე განძი.
 მას შემდეგ, თვალს რომ გავუსწორებ, ასე მგონია,
 თითქოს გველესაპს შევცქეროდე და ტანში მბურძგლავს,
 როცა ვიძახი, იგი ჩემი ცოლია-მეთქი.
 გამოვემგზავრეთ, როგორც იქნა. მედეას ძმა იქ
 დაიღუპა.

მეფე (ნახჩარევად):

მითხარი, მაგის ხელით ხომ არა?

იასონი: ღვთის ნებით მოხდა. მოხუცმა მამამ წყევლა-კრულვა
 თან დაგვადევნა, როგორც ამბობენ, სისხლიანი
 ფრჩხილებით მერე საფლავი თვით გაითხარაო
 და ისე ჩაწვა გაციცხლებულ-ტვინამღვრეული.

მეფე: ძალიან ძვირად დაგჯდომია ეგ შეუღლება.

იასონი: მაგაზე უფრო უარესი შემდეგში მოხდა.

მეფე: ბიძაშენს რაღა დაემართა? გამაგებინე.

იასონი: უზენაესმა, სამშობლოში დაბრუნებამდე,
 გზაბნეულნი ზღვას და ხმელეთს შემოგვატარა.
 სულ მოველოდით ვიწრო ნავის დაწიანებას,
 ყოველ რყევაზე გული შიშით გვიქანდებოდა.
 ამგვარად, მოხდა მოხახდენი: ეგ ქალიშვილი
 ცოლად შევირთე.

მეფე: შინ რომ დაბრუნდი იოლკოსში
 და ბიძა ნახე, კიდევ რამეს გადაეყარე?

იასონი: გავიდა ხანი, დრომ წაშალა მოგონებანი,
 ნახევრად ველურს გვერდით მახლდა სულ მთლად ველური
 და სიამაყით დავაბიჯე ჩემ მიწას ფეხი.
 ხსოვნას შემორჩა მოგუგუნე ხალხის ზეიმი
 და დღენიადაგ ვოცნებობდი, ვიმედოვნებდი,
 გაცილებას რომ ამნაირად მხიარულობდნენ,
 რა იქნებოდა, გამარჯვებულს რომ მიხილავდნენ.
 როცა ჩავედი, ჩამიჩუმე არსად ისმოდა,
 და ვინც მხვდებოდა, გამირბოდა, თვალს მარიდებდა.
 კოლხთა მიწაზე რაც ვიხილეთ და რაც გარდაგვხვდა,
 გულშემწარავი ქორითა თუ გამონაგონით
 გამოუჭედეს ადამის შვილთ ოხრად ყურები;
 მე გამირბოდნენ, ჩემი ცოლი ეზიზღებოდათ,
 და ვინაიდან ცოლი ერქვა, არად მაგდებდნენ.
 რაღა თქმა უნდა, ბიძაჩემიც ოინბაზობდა
 და როს მოვთხოვე მამაჩემის ნამემკვიდრები,
 სუყველაფერი ვერაგულად მიისაკუთრა,
 მაშინ მიმიხმო ბიძაჩემმა და განმიცხადა:
 ცოლს გაეყარე, რადგანაც ეგ ბნელი ზრახვები
 აზრად მაგას მოუვიდოდა და ჩემს ქვეყნიდან
 სადაც გინდა გადაკარგეო.

მეფე: მერე რა მქენი?

იასონი: რას ვიზამდი? ბოლოს და ბოლოს მეუღლე იყო;
 მზრუნველობა და მფარველობა არ მოვაკელი.

ბიძაჩემი კი სამუდამო მტრად გადამექცა.
 სამართლიანი რამ რომ ეთქვა, დავთანხმდებოდი,
 მაგრამ, რადგანაც ამგვარი რამ მოიწადინა,
 მე მაშინვე უარი ვუთხარ.

მეფე: როგორ მოგექცა?

იანონი: მოკვეთილად გამოცახდა და თან მიბრძანა,
 იოლქოსიდან იმავე დღეს დავძრულიყავი.
 მე არ ვისურვე გამგზავრება და იქვე დავრჩი.
 უეცრად მეფე ავად გახდა. ელვის სისწრაფით
 ქოედო ქალაქს და ჩურჩული ხალხშიც გავარდა.
 საკურთხევლის წინ, მეფის საჯდომ ოთახში, სადაც
 გასაოცარი ოქროს ვერძის ტყავი ეკიდა,
 ყველა მნახველი დაუინებით აკვირდებოდა.
 თურმე მალ-მალე წარმოთქვამდა, ნეტავ ჩემი ძმაც
 მოსწრებოდაო, საწმისისთვის თვალი მოეკრა,
 მამაჩემი კი ვერაგულად მოაკვლევინა,
 როგორც ამბობენ, არგონავტთა გამგზავრებისას
 ატენილი პაექრობისთვის, რადგან მიაჩნდა,
 ოქროს საწმისის მოპოვებით გართული კაცი
 იმ შორეული ქვეყნიდან ვერ დაბრუნდებოდა.
 როდესაც მეფე განსაცდელში იმყოფებოდა,
 ქალიშვილებმა მომაკითხეს დასახმარებლად,
 ეგებ მედეას მკურნალობამ მოარჩინოსო.
 უარი ვტკიცე, იგი უნდა გადამერჩინა,
 ვინც ჩემიანთა ამოწყდომა მოიწადინა?
 ატირებული გამეცალნენ ბიძაშვილები,
 მე ვამჯობინე, უურადღება არ მიმექცია.
 ხელმეორედ რომ კარს მომადგნენ ხვეწნა-მუდარით,
 ისევ უარი მოვახსენე და გავისტუმრე!
 ლოგინში ჩავწექი, და ის იყო, ჩამძინებოდა,
 რომ ეზოს კართან შემომესმა კაცის ძახილი:
 ავწნე ბიძიას ვაჟი გახლდათ, აკასტო ერქვა,
 ლანძღვა-გინებით ბინის კარი შემომიმტვრია,
 მკვლელი ხარ, მკვლელი, მამაჩემი შენ მოტკალიო,
 მამამისი კი თურმე ღამით გარდაცვლილიყო.
 უცებ წამოვდექი და ვეცადე სიტყვა დამეძრა,
 ხალხის ღრიალში კი ჩაინთქა ჩემი ნათქვამი.
 გაჩაღდა ბრძოლა, წამოვიდა წვიმასებრ ღორღი,
 ვიშიშვლე ხმალი, ძლივძლივობით გამოვასწარი.
 მას შემდეგ ასე ვეხეტები ელადის გზებზე,
 მშობელ ხალხისგან შერისხული, უარყოფილი,
 მრავალტანჯული, დევნილი და გაწამებული.
 მთლად ნუ გამრიყავ წყალწალღებულს, ნუ მიმატოვებ!

მეფე: რასაც შეგპირდი, შეგისრულე კიდევ ბოლომდის,
 მაგრამ იმას რა მოვუხერხო?

იანონი: დიდო მეფეო!

სანამ სიტყვას დაასრულებდე, მომაპყარ უური
 ან ორივენი შეგვიკედლე, ანდა არცერთი;
 წინასწარ ვიცი, განახლდება ჩემი ცხოვრება,
 იქნებ რაიმე მოვუხერხო დაკარგულ ნდობას.

მეფე: მაგის უნარი მაშინებს და მაფიქრიანებს,

ქალაუფლების საზიანოდ სურვილიც კმარა,
 დანაშაული, რაშიაც მას ბრალი მიუძღვის,
 არც უცხოა და არც ბოროტი რამ საქციელი.

იანონი: თუ არ დამშვიდება, გააძევე, გზას გაუყენე,





ეგვიპტე მკვლელობა და უველანი თან მიგვაყოლე,
 ოღონდ მანამდე ნუ მოუსპობ საშუალებას,
 აცალე, ხალხში იტრიალოს და ისულდგმულოს.
 ზევსს ვევედრები, ერთ რამეს ვთხოვ უცხოთა მფარველს,
 სტუმარ-მასპინძლის წესიც ალბათ ამას მოითხოვს,
 ჩვენმა მამებმა და პაპებმა დიდი ხნის წინათ
 იოლკოსსა და კორინთოში განჭვრიტეს ჩვენი
 მომავლის ბედი. დამაიმედე, რაც არ უნდა
 შეგემთხვას, მაინც უკეთურად არ მოგვექცევი.
 ღმერთებს მივანდობ, ჩემს გონებას არ დავჭერდები.
 დარჩეს, ოღონდაც შეიცვალოს, გადასხვაფერდეს,
 უჭობს, თავიდან ამოიგდოს ძველი აზრები,
 არა და ჩემი ქალაქიდან უხმოდ განვდეგნი.
 ამ ადგილს, სადაც სულ პირველად მე შენ გიბილე,
 აღმართავ წმინდა საკურთხეველს სამარადუამოდ.
 შემომიწირავს შენთვის ზევსო, უცხოთ მფარველო,
 სიხსლის მოყვარულ პელიასსაც მიაგოს ღმერთმა.
 მის ჭერქვეშ ღმერთებს ერთობლივად შევთხოვოთ უველამ,
 რომ შესასვლელი დამილოცონ ჩემი ბინისა.
 ვინც ცუდს გვიქადის, მოწყალებით მოვიხსენიოთ.
 მაშ, მოემზადეთ სახაბლესი გასამგზავრებლად!
 (ამაღის წევრებს მიმართავს, რომლებიც თანდათან უახლოვდებიან):
 თქვენ კი მხლებლებო, რაც გიბრძანეთ, ის შეასრულეთ!
 (წასასვლელად რომ ემზადებიან, ამასობაში ფარდაც ეშვება).

□



თარგმნა არჩილ დავითიანმა

კარპის სურენიანი დაიბადა 1925 წ. ათენში. პირველი დაწყებითი და საშუალო განათლება მიიღო ათენისა და ნიქოზის სომხურ სკოლებში. 1946 წელს დაბრუნდა სომხეთში, დაამთავრა მოსკოვის მ. გორკის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტი. იგი მოთხოვნების რამდენიმე კრებულის ავტორია. თარგმნა კ. საროიანის, თ. დოსტოევსკის, ჯ. გოლზუორთისა და სხვა მწერალთა ნაწარმოებები.

ა

ყოველ კვირა დილას, ოდნავ ინათებდა თუ არა, ძია ჰეთუმი მონასტრის ხევიდან ამოდის და, ჩვენი კარების გვერდით გაივლიდა ხოლმე და მეც უნებურად მალვიძებდა მისი ჯორის ფლოქვების ჯიუტი თქარუნი. ჯორმა თითქოს იცოდნო ძია ჰეთუმის ხასიათი, როგორც კი აღვირს მოსწევდა და პირს გააწკლაპუნებდა, ჯორი ერთს მოხედავდა და მერე ცხენივით გარბოდა. მსიამოვნებდა ჯორზე ამხედრებულ ძია ჰეთუმის დანახვა, მოხუცი სწრაფად გაუჩინარდებოდა ხოლმე ნახევრად ბნელ ტყეში, მაგრამ გარინდებული მთების სიჩუმეში მაინც დიდხანს ისმოდა ჯორის ფლოქვების თქარუნი.

რამდენიმე საათის შემდეგ უკან ბრუნდებოდა და მზისკენ ზურგშებრუნებული ჩადის ხევში, მონასტერში. კარვებთან ჯორს ნელა გაატარებდა ხოლმე, ბიჭბუჭობა ესალმებოდა ძია ჰეთუმს და ისიც ყოველთვის სალმითვე აღევდა პასუხს: — ღმერთმა მშვიდობა მოგცეთო.

ამ დროს საზეიმო იერი დაჰკრავდა ხოლმე და მე მეჩვენებოდა, რომ ამ მოხუცს თავისი იდუმალი ღმერთი ჰყავდა და მისი წარმართი თაყვანისმცემელი იყო.

ბ

ძია ჰეთუმი მონასტრის მეზალე იყო.

დიდი ხოცვა-ყლეტის¹ უკანასკნელმა ტალღამ მე-20 საუკუნის ოციან წლებში იგი კილიკიიდან² კიპროსის ჩრდილოეთ ნაპირზე გადმოისროლა. მა-

¹. თურქეთის მმართველთა თაოსნობით 1915 წელს დასავლეთ სომხეთში მომხდარი ხოცვა-ყლეტა, რომელმაც ორ მილიონამდე სომეხი იმსხვერპლა (მთარგმნელის შენიშვნა).

². კილიკია — ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ქვეყანა, სადაც 1375 წლამდე არსებობდა უკანასკნელი სომხური ფეოდალური სახელმწიფო.

შინ ძია ჰეთუმი ორმოცდაათი წლისა იყო, მეუღლე სირანა კი — დაახლოებით ორმოცისა. ორი დაკარგული შვილის, ორი „ფაშა ბიჭის“ მშობლები ბიჭების დაღუპვას ღრმად დაუმწუხრებია: ამ ბიჭებს თურმე „მშვიდად შინ ქდომა“ არ უნდომებიათ, თავისი ნებით წასულან მტერთან საბრძოლველად და ფიცხელ ბრძოლაში დახოცილან. ამბობენ, ძია ჰეთუმს ერთი ცრემლიც არ წვეს მოვარდნია თვალთაგანო. არც ცოლი უნუგეშებია თურმე „ცარიელი სიტყვებით“ და იმასაც მღუმარედ გადაუტანია დიდი მწუხარება; ცოლს უჩვეულო სინაზით უსვამდა თავზე ხელს და ამოდენა მწუხარებაში ერთი ფიქრილა ამხნევებდა, სირანა ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო... ძია ჰეთუმმა ბოლო დღემდე არ მიატოვა თავისი სოფელი, ბოლო წუთამდე ზედ დაჰკანკალებდა მამაბაბურ ბალ-ბოსტანს, — რა იცოდა, რომ მაინც მოუწევდა სამშობლოს მიტოვნა. მაგრამ, ბოლოა და ბოლოს, იასულეებული გამხდარა იქაურობაზე ხელი აეღო და გაქცევით დაეღწია თავი სიკვდილისათვის. ეს კია, სახლი მაინც დაუტოვებს, გასაღები ჯიბეში ჩაუდევს იმის იმედით, იქნებ ამ ქარიშხალმაც გადაიდაროსო... მაგრამ როცა გზები ისევ ავსებულა თავზარდაცემული ლტოლვილებით, ძია ჰეთუმს იმედი გადაუწურავს, სასოწარკვეთილს მიმოუხედავს ირგვლივ და ცოლისთვის უთქვამს:

— აირ-დაირია ქვეყანა, დედაკაცო! ამის ბოლო ცუდია.

— საით წავიდეთ?

— ზღვისკენ.

— უფალო, შეგვეწიე!

და მისდგომიან ზღვას. უცხო სამხედრო გემები — „საქრისტიანოს“ სამხედრო გემები — შორს მდგარან და აინუნშიც არ აგდებდნენ, რაც ნაპირზე ხდებოდა. ნაპირს კი სულ უფრო და უფრო მომატებია ლტოლვილები, შობოიური მიწა-წყლიდან აყრილი სომხები და ბერძნები. ამათ უკან კი მტრები მოდარან — თურქები.

უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილიაო, წინ მშველელი არა ჩანსო, ზღვა დღითიდღე ივსება გვამებითო, ხოლო სამხედრო გემებამდე ვინც აღწევს, იმათ გემებიდან ცხელ წყალს ასხავენ თავზეო, — შეუცნალებია ძია ჰეთუმს და საბოლოოდ დაუკარგავს იმედი. აქედან წავიდეთო, — უთქვამს ცოლისთვის.

და საბედისწერო გადაწყვეტილებით ზღვას ნაპირ-ნაპირ გაჰყოლია. ცოლიც ფეხდაფეხ ასდევნებია. გზაზე ნავისათვის მოუკრავს თვალი. წელზე შემოკრული ოქროები მოუხსნია და ნავის პატრონისათვის მიუცია. დაღამებამდე მოუცდიათ. დაღამებულა თუ არა, ნიჩბები მოუმარჯვებია, ნავი ღია ზღვაში შეუტურებია, უფლისათვის მიუხდია თავისი ბედი და კიპროსისაკენ აუღია გეზი.

ბ

სულ მალე ღვთის ანაბარად მიტოვებულმა სომხური მონასტრის გაჩანაგებულმა ბაღმა ძია ჰეთუმის ხელში ახალი სიცოცხლე დაიწყო.

ბაღის ქვემოთ, კარგა მოშორებით, აღმოსავლეთ-დასავლეთით ხმელთაშუა ზღვაა, ხოლო ჩრდილოეთით, ბაღის პირდაპირ, ისე მოჩანს კილიკიის ლურჯი მთები, გეგონება, ბაღიდან ზღვამდე ჩასასვლელ ხევსა და გორაკებზე უფრო ახლოაო. ბაღში მუშაობის დროს ძია ჰეთუმი ხშირად მიახებებდა ხოლმე საქ-

მეს თავს და ბარის ტარზე დაყრდნობილი გარინდებული გასცქეროდა იმ მთებს.

თითქოს სასწაული მოხდაო, სირანას ორი შვილი შეეძინა. ორივეს დალუპული ბიჭების სახელები შეარქვეს: უფროსს — აკუნი, უმცროსს — ზავენი. საოცარი გრძნობა დაეუფლა ძია ჰეთუმს, თითქოს ცხოვრებას თავიდან იწყებდა. მაგრამ მეტწილად მაინც მოწყენილი იყო, — წარსულში სიცარიელეს ხედავდა და თანაც სიბერე უახლოვდებოდა. პირველ ხანებში გაკვირვებული უყურებდა თავის შვილებს, აკუნის ჭრიალი აშფოთებდა, ეჩვენებოდა, ძალიან ნელა იზრდებიანო, ამიტომ დიდი ხან რომ გავიდოდა ბაღში, გვიანობამდე შინ არ ბრუნდებოდა. მუშაობას მორჩებოდა თუ არა, იჯდა ბაღის ლობესთან, გასცქეროდა კალიკის მთებს, იგონებდა დაკარგულ შვილებს და საშინელ მარტობას გრძნობდა. მაგრამ როცა პატარა აკუნმა და ზავენმა ფეხი აიდგეს, ეზოში სირბილი დაიწყეს, როცა ხანდახან ერთმანეთს წაეკიდებოდნენ ან ბაღში შეიპარებოდნენ და კიტრებს ხელს წაატანდნენ ხოლმე, ძია ჰეთუმს ღიმილი უნათებდა სახეს, ხოლო რომ წარმოიზარდნენ და ბაღში მუშაობა, ტყიდან შეშის მოტანა და კლდეებზე ხვლიკებით ცოცვა დაიწყეს — ძია ჰეთუმს იმედიც ჩაესახა, მისი ცხოვრება კვლავ შეივსო, თითქოს გაახალგაზრდავდა კიდევ კაცი.

ახლა უკვე ლობის ძირას თავის ბიჭებს მოისვამდა ხოლმე გვერდით და მათთან ერთად გასცქეროდა კალიკის ლურჯ მთებს.


— ხომ ხედავთ იმ მთებს? — ეუბნებოდა, — ჩვენი სახლ-კარი იქ არის.

აქაც მთების უბეში იჯდა მონასტერი, აქაც ხევი და გორაკები სამივე მხრიდან ნაძვნარით იყო დაფარული. მზე რომ გვიან ამოდებოდა და ადრე ჩადებოდა, ჯერ ისევ დღის ნათელი რომ იდგა და მონასტერი კი უკვე სქელ ჩრდილში იძირებოდა, ძია ჰეთუმს გულს ულონებდა ნაადრევი მწუხრი. ასეთ წუთებში ზღვის გადაღმა კალიკის მთებს გასცქეროდა ისევ და იმ მთებზე კვლავ რომ კაშკაშებდა მზე, როგორც შუადღისას, კიდევ უფრო ეძალებოდა თავის ქვეყანაზე ფიქრი...

როდესაც ხევში თანდათან ბნელდებოდა, ძია ჰეთუმის ყურადღებას უნებურად იქცევდა აღმოსავლეთ მხარეს დაყუდებული უზარმაზარი კლდე, რომლის მწვერვალს — ტყეების თავზე ცაში აზიდულს — ჩამავალი მზის სხივებისაგან ვარდისფერი დაჰკრავდა. ეს ვარდისფერი რატომღაც არ ასვენებდა ძია ჰეთუმს, შორეულ მოგონებებს და რაღაც უცნაურ წინათგრძნობას უღვიძებდა. ასეთ მდგომარეობაში იყო იგი, სანამ მწვერვალზე ვარდისფერს ნაცრისფერი მოენაცვლებოდა. ნაცრისფერს მოჰყვებოდა ზღვიდან წამოსული სქელი ბურუსი. იგი თანდათან მალლა-მალლა იწვევდა, ერთი მეორის მიყოლებით ყლაპავდა ღუმელში ჩაძირულ გორაკებს, ქარაფებს, იმ მუხასაც, რომლის ძირიდანაც წყარო მოხუხიუხებდა და ზეთისხილის ხეების გრძელ ხეივანში ჩაფლულ ფერმასაც... ბოლოს, როდესაც ბურუსის ერთი უზარმაზარი ნაფლეთი მონასტერს მიუახლოვდებოდა და უცბად (ყოველთვის „უცბად“ ეჩვენებოდა მას) განუჭვრეტელ სითეთრეში ჩაინთქმებოდა არემარე, რაღაც უცნაური მოუსვენრობა იპყრობდა ბაღის ბოლოში მჯდარ, განმარტოებულ მოხუცს და სევდიანად ეღიმებოდა. ასე იჯდა, სანამ ბურუსი გაიფანტებოდა და ცაზე სავსე მთვარე გამოჩნდებოდა. იჯდა და უყურებდა ზღვის მიღმა კალიკის მთებს, რომლებიც მთვარის მიმქრალ შუქზე მკრთალად მოჩანდნენ, შორეული სიზმრის მსგავსად.

ერთ საღამოს, როდესაც ეზოში სადილობდნენ და როგორც ყოველთვის, თავიანთ სოფელს იგონებდნენ, სირანამ შეხედა ვარდისფერ მწვერვალს და ჩეულღეს ჰკითხა:

— ჰეთუმ, ეს მთა, ჩვენი სოფლიდან რო ჩანდა, ის არ არის?

— ვაპ! — უეცრად წამოიძახა ჰეთუმმა და გაოცებით შეხედა ჯერ მეულღეს, მერე მწვერვალს, — მართალი ხარ, დედაკაცო, აი, იქიდან ჩვენი სოფელი უნდა ჩანდეს. აქამდის როგორ ვერ მივხვდი. — შემდეგ დაუმატა:  კვირაა. დილაადრიან წაეასხამ ბალოებს და იმ ქარაფზე ავალ.

მთელი ღამე თითქმის არ დაუძინია ძია ჰეთუმს, მოგონებებმა და სიზმრებმა არ მოასვენეს. საგულდაგულოდ „მოიარა“ თავისი სოფელი, შუკა-შუკა დადიოდა, სახლიდან — სახლში, სათითაოდ „მოინახულა“ თანასოფლელები, თავისი ბაღი, თითოეული ხე, ბუჩქი.

მეორე დილას, როდესაც ვარსკვლავები ჯერ ისევ ციმციმებდნენ ცაზე, ხოლო მწვერვალი ის იყო ნათლებოდა აღმოსავლეთიდან, მოხუცმა გააღვიძა ბიჭები, ჯორზე შესხა და გზას გაუდგა სიხარულით გულსავესე კაცის ნაბიჯებით. „დილის ნათელიც“ კი ჩაილიღინა, როგორც ყოველდღე ღიღინებდა ხოლმე თავის სოფელში ბაღისაკენ მიმავალი. ხოლო როცა აკუნმა ჰკითხა, მამი, იმ მწვერვალზე რა არისო, მოხუცმა მიუგო:

— დიდი ქვეყანა, შვილო ჩემო.

დ

იმ დღიდან მოყოლებული, — ამბობდა აკუნი, — აგერ უკვე რამდენი წელია, მამაჩემი ყოველ კვირა დღეს ადის იმ მწვერვალზე თავისი სოფლის დასაჩაბავად, „ჩემს წირვას იქ ვიყენებო“, — იტყვის ხოლმე.

აკუნი ჩემი თანაკლასელი იყო, ჩემი ყველაზე ახლობელი მეგობარი. ერთი ხნისანი ვიყავით. ისიც მელქონიანის სასწავლებელში ირიცხებოდა — გვარტომით სომეხი ბავშვების სკოლაში, რომელიც მდებარეობდა ნიქოზიის განაპირა უბანში, ბაღჩა-ბაღებით გარშემორტყმულ ადგილს. ისიც ჩემსავით აქვე ცხოვრობდა. ერთმანეთთან გვაკავშირებდა ახალგაზრდული რომანტიკა და სულიერი ძმობა.

საზაფხულო არდადეგებს აკუნი სახლში ატარებდა. მონასტრის ხევის მალა სურნელოვან ნაძვნარში ერთ ღია ადგილზე ჩვენი სასწავლებლის საზაფხულო „მოძრავი ქალაქი“ იყო, სადაც ისვენებდნენ ხმელთაშუა ზღვის სხვადასხვა ქვეყნებში მიმოფანტულ სომეხ ლტოლვილთა შვილები — მოსწავლეები. აკუნი ხშირად ამოდიოდა ჩვენთან, მაგრამ უფრო ხშირად მე ჩავდიოდი მასთან, რადგან მეც კილიკიელი ვიყავი და ძია ჰეთუმის ოჯახში მეტ სიტბოს ვგრძნობდი. ზოგჯერ მთელ დღესაც ვრჩებოდი და მათთან ვსადილობდი; დეიდა სირანას ძალიან სწყინდა თუ უარს ვეტყვოდი კილიკიურ „ჩი-ქუფთაზე“. ამ კერძს იგი დღეგამოშვებით ამზადებდა, რადგან ძია ჰეთუმს ძალიან უყვარდა. შემოვუსხდებოდით ხოლმე ეზოში გრძელი ტალავერის ქვეშ გაშლილ სუფრას ნოხზე ფეხმორთხმულნი და მადიანად შევექცეოდით „ჩი-ქუფთას“.

ღიასახლიანი დედასავით მექცეოდა და მეც მის გვერდით არასოდეს მოგრძენია თავი შებოჭილად. სადაც გადავარცხნილი და კეფაზე დახვეული თეთრი თმითა და კეთილი თვალებით დედაჩემს, მაგონებდა, რომელიც აგერ უკვე რამდენი წელი იყო, არ მენახა. ჩვენმა ოჯახმა ხომ დიდის გაჭირვებით დააღ-

წია თავი ხოცვა-ელეტას და ახლა საბერძნეთში ცხოვრობდა. ძია ჰეთუმი კი გულგრილად შექცეოდა, არ მახსოვს, ერთხელ მაინც შეეხედა ჩემთვის სახეში. მხოლოდ ეს კია, სადილობის დროს მეტყოდა ხოლმე:

— ნუ გრცხვენია, შენი სახლია, ჭამე. — მერე ცოლს ჩაუღალაპარაკებდა: ბიჭს კიდევ დაუსხიო.

როცა პატარა ვიყავი, მოხუცის დამოკიდებულებას ვხსოვლობ, მაგრამ მერე შევამჩნიე, თავის შვილებსაც ასევე ექცეოდა. მანერხთავეში ჩაკეტილი, თავშეკავებული კაცი იყო და ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა.

არავინ იტყოდა, სამოცდაათ წელს არის მიტანებულიო, — ბოძივით მალალი, მხრებგაშლილი და ჩასკვნილი კაცი იყო. სიარული დინჯი იცოდა, რის გამო კუდივით ქანაობდა შავ შარვალზე განიერი სარტყელის ბოლო. მიხვრა-მოხვრა მტკიცე და ამაყი ჰქონდა. მელოტი იყო, ქუდი მუდამ ეხურა და თავიც ისე სწორად ეჭირა, იტყოდით, ზემოდან დაჰყურებს ყველას და ყველაფერსო. შეჭალარავებულ და გაბანჯგვლულ წარბებქვეშ ბასრი თვალები მოუჩანდა, რომლებიც დაბნეული იმზირებოდნენ. ერთსა და იმავე დროს იმ თვალეში სიმკაცრეც იყო და დაცინვაც. მაგრამ ყველაზე მეტად თვალში გეცემოდათ მისი ხელები, დიდრონი და სახის ფერზე უფრო მოშავო ხელები.

იმ ხელებზე მუდამ ვხედავდი მიწის ნაკვალებს, სადილობის წინ, ბალიდან რომ მოვიდოდა, ხელებს არ იბანდა, ბარს ხეზე მიაყუდებდა. ხელის გულებს ერთმანეთზე გაუსვ-გამოუსვამდა და სუფრას მიუჭდებოდა.

— ჰეთემ, — ეტყოდა ხოლმე მეუღლე, — ადექი, წამო, ხელებზე წყალს გადაგავლებ.

და ისიც ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს აძლევდა:

— მიწას ქუჭყი არ აქვს, წმინდაა. სიტყვა „წმინდას“ განსაკუთრებული გაგება ახლდა. მისთვის წმინდა იყო პური, ხე, მთა, ჯაფა, სუფრა, წარმოიდგინეთ, ხევში ნაკადულის ჩუხჩუხიც, ენახიც, მცენარეც, ბალიც...

ვილას ახსოვდა, ბალი მონასტრისა იყო თუ საკუთარი? ყველანი ამბობდნენ: ძია ჰეთუმის ბალიო.

მართალიც იყო, ერთ რამედ ღირდა ამ კაცის ნახვა ბალში. მონასტერში რომ ჩავიდოდი ხოლმე, ყოველთვის წუთით ვჩერდებოდი და ზემოდან დავყურებდი ხევის სიგრძე-სიგანეზე გაშლილ ბარაქიან მწვანე „მორევს“, რომელიც ლურჯი ტალღებივით ესალმუნებოდა უზარმაზარ კლდეს, ამ კლდეს „ზრავდა“ მოხუცი, ფშენიდა, ნაწილ-ნაწილ სტაცებდა მიწას და ხევის კალთებს, ზეთისხილის მწვანე-მოვერცხლისფერო ხეივანს უერთებდა. ამ „მორევს“ ძია ჰეთუმის დიდრონი ხელების ძალა ამოძრავებდა. ხოლო როცა შევიდოდი ბალში, იქ უკვე ნატიფ და ჰარმონიულ სილამაზეს ვხედავდი: საგულდაგულოდ იყო მოვლილი იქაურობა, ყოველ კუთხე-კუნჭულს ემჩნეოდა ბუნებით ხელოვანი გლებკაცის დახვეწილი გემოვნება და ოსტატობის მადლი.

აკუნი მთელ ზაფხულს ძმასთან ერთად მუშაობდა ბალში. ჩავიდოდი თუ არა, მე მათთან ვიყავი დილიდან საღამომდე და ვეხუმრებოდი, მერე კი სულის მოსათქმელად შუა ბალში, დიდი კაკლის ძირში ვსხდებოდი და ვეხუმრობდით ხოლმე. ხანდახან ბუჩქებიდან გამოვიდოდა ძია ჰეთუმი და მოგვიტანდა მსხალს, ვაშლს, ლედვს, ყურძენს. მერე შორიახლო დაჯდებოდა ხის ძირში, ამოიღებდა ქისას, იდაყვებს მუხლის თავებზე დააყრდნობდა, საჩვენებელ თითს ენაზე დაისველებდა და დაიწყებდა სქელი თუთუნის დახვევას, გაბოლებიას კი

ჩვენც არ იხედებოდა, მაგრამ მოწკაურულ თვალებზე გამჩნევი, ყურს გვიგ-
 ღებდა. თუ ჩვენი საუბარი არ მოეწონებოდა, ისინვე წამოდგებოდა და თ-
 ვის საქმეს მიაშურებდა. მოხუცის ამგვარი ქცევა რატომღაც მბოჭავდა. მე
 გონა, უკმაყოფილოდ ვისტუმრებდი ადამიანს, რომელიც რაღაც კარგს მოელო-
 და ჩემგან. ფიქრებში ხშირად ისეთ რაღაცას ვეძებდი, ძია ჰეთუმათან
 რაკოდ რომ გამომადგებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ერთხანს
 ვეს ვამბობდი ხოლმე, ქება-დიდებას ვასხამდი ბალს. მოხუცი ერთხანს მისმენ-
 და, მერე ცალკებად გაილიმებდა, თითქოს რაღაც შეცდომა აღმოაჩინათ ჩემს
 ნათქვამში და მებაღეობაზე იწყებდა ლაპარაკს. იგონებდა თავისი „ქვეყნის“
 ბალს, იქ გატარებულ დღეებს... აკუნთ თვალს ჩამიკრავდა და ეკითხებოდა.

— მამი, გეხვეწები, გვითხარი რა, შენი ქვეყნის ბალი სხვა იყო?

ძია ჰეთუმს არა გაეგებოდა აკუნთის თბილი იუმორისა და ყოველთვის სე-
 რიოზულად პასუხობდა:

— ძალიან სხვა.

— უფრო კარგი იყო?

— კარგი და ცუდი რა შუაშია, ბიჭო! — უცებად გაცეცხლდებოდა, — ეს
 ბალი ჩემი მოვლილია, მაგრამ იმას სხვა სიწმინდე ჰქონდა, გესმის? იქ ხე იდ-
 ვა. პაპაჩემის დარგული ძველისძველი ხე. ის სხვა ქვეყანა იყო, გესმის? იმის
 სიწმინდე ღრმაა...

2

ერთ დღეს ძია ჰეთუმათან ერთად ჩვენც ავედით მწვერვალზე იმ სანუკ-
 ვარი ქვეყნის, იმ უღრმესი სიწმინდის დასანახავად, რომელიც ჩვენი სამშობლო
 ი იყო, მაგრამ დაბადების ადგილი — არა. ეპ, წუთისოფლის გაუტანლობას
 ჩა ვუთხრა!.. ბედისწერის ამაზე უარესი დაცინვა კაცის თავზე...

ამ დღეს ძია ჰეთუმი ჯორზე არ შემჯდარა, ჩვენთან ერთად მიაბიჭებდა.
 დილაადრე დაგადეჭით გზას, ჯერ კიდევ მოციმციმე ვარსკვლავებით იყო მო-
 ჭედელი ცა, თითქოს ორღანის შორეული ყრუ ბუბუნი მოიმოდა უკიდევანო
 ციდან, ჩვენი ყმაწვილური გულებიც შიშჩამდგარი ეხმიანებოდა უსაზღვროე-
 ბას... ბნელი და უძრავი ტყის ღუმელში მე და აკუნმა „დილის ნათელი“ წა-
 მოვილიდინეთ. ჯერ ძალიან ხმადაბლა, მერე და მერე უფრო ვუმატეთ ხმას.
 მოხუცი წინ მიდიოდა, თითქმის აღარ ჩანდა. ვმღეროდით თითო სტროფს
 მბანის მიხედვით. გზადაგზა ვისვენებდით, მერე იმავე სტროფიდან განვაგრ-
 ლობდით და ასე მივყვებოდით ერთადერთ ვიწრო ბილიკს, სანამ უეცრად არ
 შევამჩნიეთ, რომ უკვე ინათა და სურნელოვან ტყეში ფრინველებიც აფიქვივ-
 ღნენ. ძია ჰეთუმი შეუშლელი ნაბიჯით მიუყვებოდა ბილიკს და უკან არ იხე-
 ღებოდა.

ტყიდან რომ გამოვედით, ცას უკვე მეწამული ფერი ედო. მწვერვალს კი
 მწვერვალი აღარ ეთქმოდა, ჩვენს პირდაპირ ბოლო ქარაფი იდგა. მოხუცმა ვი-
 წრო ბილიკი მონახა, ჩვენზე ადრე ავიდა, მზის სხივებისაგან განათებულ ოქ-
 როსფერ ქანდაკებასავით აღიმართა ქარაფის თავზე და კილიკის მთებს მია-
 სრო მზერა.

ჩვენ რომ ქაქანით ავედით და გვერდით ამოვუდევით, ძია ჰეთუმმა თქვა:

— ბედი გქონიათ, დღეს ჰაერი ძალიან სუფთაა.

რაც იმ დღით ვნახე, საოცრად ღრმა სიჩუმეში ახალ ამოსული მზის

მჩქეფარე შექზე, უბრალოდ, ბუნების პეიზაჟი არ შეიძლება ეწოდოს. ცოტა იმისი თქმა, რა დიდებული სილამაზეაო. ეს იყო უდიდესი სასწაული იმის შეგრძნებისა, რომ სილამაზის დასანახავად გაქვს თვალები და გულიც, რომ შეგიძლია პირთამდე აივსო არა მარტო უჩვეულო სიხარულით, არამედ იმ სილამაზის წინაშე რაღაც იდუმალი მოკრძალებითაც, მეტყველებს დაძრვით კიდევ და თქვა: „ბედნიერი ვარ, მადლობელი ვარ!..“

ამ გრძნობით დამტკბარს ვერ აგიხსნია წუთისოფლის დიდი გამოცანა; ვერ გაგიგია, რატომ უნდა იყვნენ ადამიანები ცბიერნი და ბოროტნი; ვერ გაგიგია, რატომ ამოწყვეტეს შენი ოჯახი? რატომ არ გაძლევენ უფლებას დაიბადო და იცხოვრო შენს სოფელში ან ქალაქში? შენს პირდაპირ აღმართულ ვარდისფერად შეფერილ იმ ლამაზ მთებში? რატომ არ შეგიძლია შენც ისე ლამაზად და ბუნებრივად გაატარო ეს წუთისოფელი, როგორც ამ ცოტა ხნის წინ ვარდისფერი ღრუბლის ნაფლეთმა გადასერა ცის თალი, ჩრდილივით აირეკლა ზღვის ლურჯ სარკეში და უსასრულო ლაქვარდში გაუჩინარდა?.. რატომ?!

— აგერ ჩვენი სოფელი. ხედავთ? — თქვა ძია ჰეთუმმა.

თვალი გავაყოლე მის თითს. აკუნიც სერიოზულად იყურებოდა იქით. აკუნს ხშირად უთქვამს ბავშვობაში, მამაჩემმა დამანახა ეგ სოფელი ამ მთის მწვერვალიდან, მაგრამ სიზმარივით მახსოვსო. დღეს საგანგებოდ წამოვლო ჭოგრიტი და დიდხანს უყურა. მერე თავი გაიქნია და მე გადმომცა. მეც გავხედე. დიდხანს ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდი შორეთს, ვხედავდი ტყით დაფარულ ორწოხებს, ხრამებს, ხეობებს, მაგრამ სოფელს კი ვერა.

— დაბრმავდით თუ რა მოგივიდათ?! — გაბრაზდა ძია ჰეთუმი, — ეგერ ეგერ! ჩემს თითს გაადევნეთ თვალი. ხევს ხომ ხედავთ, იმ ხევის პირასაა.

აკუნმა ისევ მიიღო თვალებზე ჭოგრიტი, მერე კვლავ მე გადმომცა.

— დაინახე? — შეეკითხა ჰეთუმი.

— დავინახე, — მიუგო აკუნმა.

მყისვე მოვიმარჯვე ჭოგრიტი. თვალი გავაყოლე, ნელა-ნელა მოვიარე ხეობის კალთები ზემოდან ქვემოთ, ქვემოდან ზემოთ. „რაო? დავინახეო? მერე სად არის?“ თუმცა არა, აკუნის ხმაში ხუმრობა ერია.

— არარატი, — დაუმატა მან.

„ის რაღაა, ხევის კალთაზე ციცაბო ქარაფი რომ ჩანს ნაცრისფერ წერტილივით. იქნებ ციხესიმაგრეა? ან მონასტერი? ანდა ნანგრევები? იქ არარატი რა უნდა? რა ლამაზად ხუმრობ, აკუნ!“ — გამეცინა გუნებაში.

— არარატი აქედან როგორ გამოჩნდება, ბიჭო! — მიამიტად უპასუხა მოხუცმა.

მე ნაცრისფერ წერტილს მივჩერებოდი.

— არა, არა, მამი! — თქვა აკუნმა, — შენი სოფელი დავინახე.

— აჰა, მეც დავინახე! — დასტური მივეცი ისე, რომ ჭოგრიტი თვალიდან არ მომიშორებია.

„ალბათ ციხესიმაგრეა ის ნაცრისფერი წერტილი. ამ სიშორიდან ძნელა გამოიცნო. იქნებ იმ ციხესიმაგრეში შექმნა ნერსეს 'შნორჰალმა' თავისი „ღმრთის ნათელი“?..“

— ნახეთ, რა ლამაზია ჩვენი სოფელი! — თქვა ძია ჰეთუმმა.

1. ნერსეს შნორჰალი (1102-1172) — მრავალმხრივი მოღვაწე: გამოჩენილი სწავლული სასულიერო პირი და პოეტი.

მისი ხმა საოცრად ნაზი იყო. ხანდაზმული კაცის სინაზე არაჩვეულებრივად ამღელვებელია. სიცოცხლე ივსება სევდითა და ბრძნული სიკეთით, გახსენდება იავშვობა, საკუთარი ყრობა. ჭოგრიტი ჩამოვიღე და ძია ჰეთუმს შევხედე. არასოდეს მენახა მის თვალებში ამდენი სინათლე და სიკეთე.

მერე მან მარცხნივ გაიხედა, დაბლობისაკენ. მთის ჩრდილშიც მოქცეული იყო შირ ტყეს თეთრ ლაქასავით აჩნდა ჩვენი „მოდრავი ქალაქი“. ცოტა ჭვეწოთქანა მზე უკვე მონასტერს დასცქეროდა. ძია ჰეთუმის ბალი სამკუთხედივით იყო ჩახატული მწვანე წალკოტში.

— აქედან რო დასცქერი, კაცის საქმენი პატარა მოჩანს, — თქვა მოხუცმა, — მაგრამ ამბობენ, კაცი დიდ საქმეებს აკეთებსო. რა დიდ საქმეებს? — თვალებში ისევ გამოუკრთა დამცინავი ღიმილი და სამღურავი. — ერთის აშენებულს მეორე ანგრევს, ერთის გაჩენილს მეორე ჰკლავს. ეს არის უწმინდურობა და დიდი შეცდომა კაცისა.

გაჩუმდა. ქვაზე ჩამოჯდა, წარბები შეკუმუნა, თუთუნის ქისა ამოიღო, დინჯად გაახვია თუთუნი, მოუკიდა, გააბოლა, თან მიწას დაჰყურებდა. ჩვენც დავსხედით, ჩუმად ვიყავით. თვალწინ მთელი სიგრძე-სიგანით მოჩანდა მთაგრეხილზე გაშლილი კიპროსი, რომელიც რუკაზე ზღვაში გაშვერილ საჩვენებელ თითსა ჰგავს. ახლა ეს მთაგრეხილი ოქროსფრად მოვარაყებულ მწვერვალებით ეგებებოდა ჰორიზონტიდან ამოცურებულ მზეს.

ძია ჰეთუმმა ისევ თავის კილიკიის მთებს გახედა.

— ეჰ, — ამოიოხრა, — ნეტა რა დღეშია ჩვენი სახლ-კარი, ჩვენი...

უეცრად აკუნმა თვალები მოჭუტა და ზღვას დააქერდა.

— გემი! — წამოიძახა მან, — შეხედეთ! შეხედეთ! თეთრი წერტილივითა ჩანს. მომეცი ჭოგრიტი... ჰო, გემია, სამგზავრო გემი. ევროპისკენ აუღია გეზი, ნეტავი რომელ ქვეყანაში მიდის?

— ბოლოს და ბოლოს, დაინახეთ თუ არა ჩემი სოფელი?! — უეცრად დაიყვირა ძია ჰეთუმმა, — ნამდვილად დაინახეთ თუ არა?

გაოცრებულგმა შევხედეთ მოხუცს, აკუნის სახეს რაღაც უცნაური შიში დააჩნდა, რამდენიმე წუთს გაოგნებული ვიყავით და არ ვიცოდით, რა პასუხი გავცვა ამ კითხვაზე.

— არა! — თქვა ძია ჰეთუმმა და კილოზე შევატყვე, ამ კითხვით ჩვენ კი ახა, თავის თავს მიმართავდა. თუმცა არა, ყველას და ყველაფერს მიმართავდა: ჰთებს, ზღვას, ქარაფებს, მზეს, მთელ სამყაროს.

— არა! სანამ სული მიდგას, უნდა წავიდე, ერთხელ მაინც უნდა მოვინახულო ჩემი სოფელი; სანამ სული მიდგას, სანამ ცოცხალი ვარ...

3

და მოხდა ისე, რომ კიპროსიდან სწორედ ჩემი წამოსვლის წელს, ერთ კვირა დილას ძია ჰეთუმმა ჩვენი კარვების ახლოს აღარ ჩაიარა. თვალი რომ გავახილე, უკვე გათენებული იყო და მწვერვალი გაციკროვნებულ ლაყვარდში მოჩანდა. გამიკვირდა, ნუთუ ჩამეძინა და ვერ გავიგე ჯორის ფლოქვების თქარუნი-მეთქი. ცუდი წინათგრძნობა ამეკვიატა: ან ავად არის, ანდა... მაგრამ, ვინ იცის, იქნებ დღეს რაიმე სხვა გადაუდებელი საქმე გამოუჩნდა!..

ყოველ შემთხვევისათვის ათ საათამდე ვუცადე. თუმცა ძალიან მოუსვენრად კი ვიყავი რატომღაც. მაგრამ იქნებ მე ვერ გავიღვიძე დროზე?.. არა, ძია

ჰეთუმი არ დაბრუნებულა მწვერვალიდან.

მონასტერში ჩავედი. ჯერ მისული არ ვიყავი, რომ დავინახე, ჯორი თავის ადგილას, ხეზე იყო მიბმული. პირუტყვი თავჩაქინდრული იდგა გაუნძრევლად. კიდევ უფრო შევწუხდი და ნაბიჯი ავაჩქარე. მაგრამ ყველაზე უფრო იმან გამაკვირვა, რომ შინ არც ძია ჰეთუმი იყო და არც ბიჭები. დედა სირანაც არსად ჩანდა, თუმცა კარი ჩაკეტილი არ იყო. ბაღში შევედი, ჩამსწვთვარზე ხმა-მალლა დავიძახე. არავინ არ შემხმობიანებია. მერე დეიდა სირანას მოვკარი თვალი, ხევის პირას იჯდა ხის ძირას და ზღვისაკენ იყურებოდა. მივედი.

ჩემი ფეხის ხმა გაიგონა თუ არა, მოიხედა, შავი ლეჩაქი მხრებზე გადაიწია და ჭალარა თავი გააქნ-გამოაქნია.

— ვაი ჩვენს თავს, ეს რა უბედურება დაგვატყდა!..

— რა მოხდა, დედი?

— რაღა რა, შვილო, ჩვენ კაცს ჭკუა გამოგლევიან, კილიკიაში წასულა.

— კილიკიაში?

ეს კი, მართალი გითხრათ, აზრადაც არ მომსვლიან.

ერთი პირობა გამეღიმა კიდევ. თეთრი ნისლით დაბურულ ზღვას გავხედე, მერმე უეცრად ჩავწვდი იმის აზრს, რაც გავიგონე.

— არაფერი უთქვამს, ამდგარა და წასულა, — განაგრძო დეიდა სირანამ, — მე კი მეგონა, ბაღში ზის, ვუცდი, მოვა და დაწვება-მეთქი. ერთიც ვნახოთ, აკუნმა რაღაც ქალაღი იპოვა, — დედი, ნახე რა დაუწერიანო.

სირანამ უბიდან დაჭმუჭნილი ქალაღი ამოიღო და გამომიწოდა. თესლის შესანახი გვერდებშემოფლეთილი პატარა პარკის ნაგლეჯი იყო. ზედ უწიგნური კაცის უსწორმასწორო ასოებით ბატიფეხურად ეწერა: „მამაჩემი მეძახის. მივდივარ ჩვენს სოფელში, არ აირ-დაირიოთ“.

— ხედავ, რა დაუწერია? — თქვა დეიდა სირანამ და ცრემლი მოიწმინდა, — ჩემი ბრალია, ჩემი! განა არა, აგერ უკვე რა ხანია, სულ ჩვენს სოფელს იხსენებდა, ლამეები არ ეძინა. სირან, მეტყობა ხოლმე, სიკვდილის წინ ნეტა ერთხელ წამიყვანა და ჩვენი სოფელი მაჩვენანო. ყურადღებას არ ვაქცევდი მის სიტყვებს, ბერიკაცო, ჭკუა გამოგლევიან-მეთქი. მიბრაზდებოდა. ვხედავდი, კაცი იცვლებოდა, რაღაც ხდებოდა მის სულში, თავის ბავშვობას იგონებდა, ძილში დედ-მამასთან ლაპარაკობდა, მე კი აინუნშიც არ ვაგდებდი. სიბერის ბრალია-მეთქი, გულში ვამბობდი. ვაი, ჩემს თავს!.. ამას როგორ ვიფიქრებდი...

ჭკუადამჯდარი კაცი იყო, აზრიანი განსჯა იცოდა, ყოველთვის, აწონილი სიტყვა-პასუხი ჰქონდა, ზედმეტს არაფერს იტყოდა. ნახე, რა გვიყო? ბიჭები ლამე წავიდნენ საძებნელად, ჯერაც არ ჩანან...

სანუგეშო სიტყვა ვერ მომენახა, ვდუმდი, ზღვას გავყურებდი და ფიქრებში ვხედავდი ტალღებზე პატარა ნავს და ძია ჰეთუმის ზურგს.

— რად ჩაიძინა ეს, რად? — იმეორებდა დეიდა სირანა.

— მოენატრა, დედი, — მივუგე მე.

— მოენატრა, მოენატრა, — თავი გააქნია სირანამ, — ბიჭები თავზე გადგიან, სახლ-კარი გაქვს, იმ სოფელში რას დაეძებ? იქ რა დაგრჩენია? მე რო მკითხოთ, ჩემი ნატვრა სხვაა. ჩემი და ამერიკაშია, ოცდაათი წელიწადია არ მინახავს, მე იმის ნახვა მენატრება...

დიდხანს ვიცადეთ. ბოლოს დავარწმუნე დეიდა სირანა, ცოტა მოისვენეთ-მეთქი და შინ წავიყვანე.

— კერძი მაინც მოვამზადო, — თქვა, — სადაცაა ბიჭები მოვლენ.

მე კი ისევ ზემოთ ავედი და იქ ვუცდიდი ბიჭების დაბრუნებას.

გავცქეროდი სანაპიროდან მომავალ ბილიკს, რომელიც აქა-იქ მოჩანდა ვორაკების მწვანე კალთებზე, მაგრამ ფიქრით ისევ სალოცავად წასულ მოხუცთან ვიყავი, მის სევდიან და მწუხარე სულთან და ცხადლივ ვხედავდი, ბავშვობიდან ნაცნობი ვარსკვლავების ქვეშ, ღამის წყვილიაღში როგორ ებრძოდა ტალღებს... აი, ღამითვე მიაღწია მან მშობლიური ქვეყნის ნაპირს, სულს მშობლიურს, ღამად ამოისუნთქა, მერე გაუჩინარდა წყვილიაღში, მიდია და მიაბიჯებს, მიუყვება მთების კალთებს, თებდება, მაინც გზას ადგია, ღამდება, ისევ მიაბიჯებს, მაგრამ მაინც ვერ პოულობს თავის სოფელს, თავის სახლ-კარს, თავის ბაღს. ჩემი წარმოსახვით, მოხუცმა რატომღაც ვერ აისრულა საწადელი, თუმცა კარგა ხანს იხეტილა და ეძია უკაცრიელ მთებსა და ნანგრევებში...

უეცრად აკუნია და ზავენი დავინახე და მყისვე გონს მოვედი. ბაღის კედელს რომ მოაღწიეს, წამოვხტი და მათკენ გავეშურე. აკუნმა დამინახა თუ არა, გაჩერდა. სიცხისაგან სახე ოფლიანი ჰქონდა და აწითლებული, თვალებს ილივს აბელდა. დოინჯი შემოიყარა და ბაღს გადახედა.

— ვიპოვეთ, — თქვა, — პოლიციაში ზის.

— პოლიციაში?..

აკუნმა თავი დააქნია.

— რაო, დაუპატიმრებიან?

აკუნმა ერთი ისე შემომხედა, თითქოს ჩემი შეკითხვა ვერ გაიგო.

— არა, — თქვა მერე, — რატომ უნდა დაეპატიმრებიან? უბრალოდ, ზის და ვერ გაიგებ, რას ელოდება, დუმს. არც მე გამცა ხმა. სხვები უყურებენ და ელიმებათ... რამდენჯერმე ვუთხარი, შინ წავიდეთ-მეთქი, უაზროდ შემომხედა. შემდეგ ფეხსაცმელი გაიძრო, ქვა მომიტანეო, მითხრა, ამ ოხერმა ლურსმანმა ეს დღეებია სული ამომართვაო.. — და გაბრაზებით დასცხო და დასცხო იმ ლურსმანს..

აკუნმა გაჩუმდა, ისევ ბაღს გადახედა.

— დედა როგორ არის, საბრალო ქალი...

— იცადა, იცადა, მერე წავიდა, ბიჭებს საქმელი მოვეუმზადო.

აკუნმა თავი გააქნია, ცალყბად გაიღიმა, როგორც გაეღიმებათ ხოლმე რაიმე უცნაური ან სამწუხარო ამბის მოგონებაზე.

— დილის პირზე უპოვიათ ზღვაში, — თქვა აკუნმა, — ღამე ბურუსიანი ყოფილა და გზააბნეული მეთევზე ჰგონებიან. ნიჩბებზე ჰქონია ხელები ჩავლებული, მაგრამ ნავი ადგილიდან არ იძვროდაო. ახლოს მისულან, უცვნიათ. „რა ამბავია ზორბა ჰეთუმ?“ ჩემს სოფელში მივდივარო, უთქვამს. „სად არის შენი სოფელი?“ ირგვლივ მიმოუხედაია, ყოველ მხარეს ზღვაა... მეტი აღარაფერი უთქვამს, სხვებიც ვერაფერს მიმხვდარან...

შუადღის შემდეგ აკუნს ქალაქში გავყევი პოლიციაში.

— რაღას უცდი, მამი? — უთხრა აკუნმა.

ძია ჰეთუმმა ჯერ მას შეხედა, მერე მე.

— არაფერს! — გაბრაზებულმა წამოიყვირა უცებ და ფეხზე წამოდგა.

პოლიციის უბნიდან რომ გამოვდიოდით, მოხუცი ისეთი ფერმკრთალი იყო, თითქოს რამდენიმე დღე მჯდარიყოს ციხეში. თვალები დარდიანი და მოუსვენარი ჰქონდა. ჩვენ არ გვიყურებდა, კრინტს არ სძრავდა.

აბარგო მანქანაში ჩავსხედით. მთელ გზაზე, სანამ ზღვის პირას მივდიოდით, ჩუმად იჯდა, თავი ჩაექინდრა და ხმას არ იღებდა. მანქანა რომ გაჩერდა,

თავი ასწია, უსიამოდ შემოგვხედა და ისე წამოდგა, თითქოს ძალით ააყენესო. ახლაც ხმა არ ამოუღია, ხელით გვანიშნა. თქვენი დახმარება არ მინდაო და ძარიდან თავისით გადმოხტა შარავზაზე. მანქანა გაგვშორდა, მაგრამ ძია პეტუმი ადგილიდან არ იძვროდა, სულ მონასტრისკენ იყურებოდა. რომელსაც ანლა დაისის ჩრდილი ადგა. სახლამდე კიდევ ერთი საათის სავალი იყო.

— წავიდეთ, მამი, — უთხრა აკუნმა.

ძია პეტუმმა ხმა არ გასცა, შებრუნდა და ზღვას გახედა. შერე ნაპირთან მივიდა, შავი კლდის სწორ ქიმზე ავიდა და გაჩერდა. ჩვენც მივყევით. ზღვა ლელავდა, სისხლის ფერი მზე ბურუსში გახვეულ პორიზონტზე ისე ეშვებოდა, თითქოს ამ ცვლილებისაგან თავის დახსნას ცდილობსო. ზღვაც წითელი იყო და მოუსვენარი.

— წავიდეთ, მამი, — უთხრა აკუნმა, — სადაცაა ნისლი წამოვა.

საღამოს ნისლი მართლაც სქელი იცის იმ დღეებში, როცა ზღვაზე ასე ჩადის ხოლმე მზე.

მაგრამ მოხუცი არ უსმენდა. მზეს უყურებდა. შუბლი დანაოქებული ჰქონდა, თვალები რაღაც უცნაური სიწითლით უბრწყინავდა. დიდხანს იდგა გაუნძრევლად. ჩვენც ჩუმად ვიყავით. მხოლოდ ზღვა ხმაურობდა ისევ, მოუსვენრად, ერთფეროვნად. დროდადრო კლდის ძირში ყრუ გრიალი ისმოდა და იქიდან ამოვარდნილი შხეფები ჰაერში იფრქვეოდა.

ძია პეტუმმა თვალები მოწკურა, თითქოს იღიმებოდა და შორს გააფურთხა:

— ცრუ და ტყუილი ყოფილა ეს წუთისოფელი!





პიესა

თარგმნა გურამ გოგიავაძემ

რამდენიმე სიტყვა პიესის ქართული თარგმანისათვის

ეს პიესა დაიდგა მოსკოვსა და ნიუ-იორკში, ტორონტოსა და კოპენჰაგენში, სტოკჰოლმსა და პრაღაში...

ეს საკმაოდ ვრცელი გეოგრაფია სულაც არ მახარებს, ვინაიდან იმას იდასტურებს, რომ მკვლელი ნერონისა და მორალისტი სენეკას ძველთუძველესი ამბავი, თუ როგორ ხელიხელჩაკიდებულნი მიუყვებოდნენ ისინი ცხოვრებას, სამწუხაროდ, ჩვენს საუკუნეშიც ისევ და ისევ თანადროულად რჩება.

ამრიგად, კონფორმიზმი და დესპოტობა; ინტელიგენციის პასუხისმგებლობა; რარიგ ახერხებდა უდიდესი მორალისტი უდიდეს მკვლელთან თანაარსებობას და ამასთანავე უდიდეს მორალისტად დარჩენას — აი პიესაში აღძრულ საკითხთა წრე...

მაგრამ ეს ფილოსოფიური დისკუტი არ არის. ეს პიესა უწინარესად თეატრალური ისტორიაა, თეატრის ისტორია... რადგან ნერონის დესპოტიზმმა თვით რომის სინამდვილე აქცია სისხლიან ფარსად, ჯალათურ თეატრად...

ედვარდ რაძინსკი.

ქ. მოსკოვი.

მოქმედნი პირნი

- სენეკა.
- ნერონი.
- „აგური“.
- „ვენერა“.
- სენატორი — ცხენი.
- გარიბაცი პასრუი.

ლაშქა. რომი. ცირკის ამფითეატრის გაუთავებელი კიბეები წყვილადს უერთდება. მამხალეების მოციმციმე შუქში კიბეების ფონზე მალალი ჯვარი და მას გვერდით უზარმაზარი კასრი მოჩანს.

კასრში ბერიკაცი ზის, და მოუსვენრად ჩნდება და უჩინარდება გრძელი ქალარა თმა, მალალი შუბლი და თვალები.

კასრს მიყრდნობილი პირდაპირ მიწაზე წამოგორებული სრულიად ნორჩი მშვენიერი არსება: ბიჭის გაჩეჩილი ფაფარივით თმა, დიდი თვალები და სუსტი სხეული. მართლა უცნაური „ამური“.

იქავ შორიახლო დგას კიდევ ერთი ჭაბუკი — ცოტა უფროსი — ტანთ თეთ-

რი ქათქათა ტოგა ასხია, მოხდენილ თავზე ოქროს გვირგვინი ადვას. ხელი შოლტი უჭირავს. პირწავარდნილი აპოლონია. ოღონდ „შოლტიანი აპოლონი“. ღრჭიალით აიხლება გისოსი — და ქვესკნელიდან ამოვა მხრთუბახაეი ქალიშვილი. დატრეცილ მსუბუქ ქსოვილქვეშ ვენერას სხეულია. ქალიშვილი ოდნე რწვევა-რწვევით გადმოვა, როგორც წყლის ქათვიდან წარმომდგარი ის ქალღმერთი, და თან მოიყოლებს ქვესკნელიდან დაღადებას, ~~ქვესკნელიდან~~ რომ ჩაესმის, ქალურ წივილ-კივილს, უხილავი ბრბოს ხარხარმა ~~და~~

ეს ქვესკნელით მოვლენილი „ვენერა“, თითქოსდა თავისი დაბადებით ძალაგამოცლილი, ამურისკენ თავმიქცეული გაწვება მიწაზე და — ორივენი მღუმარედ გრაციოზულ ჭგუფს ქმნიან.

სიწყნარეა. ჩქამი არ იძვრის. ბოლოს „აპოლონმა“ ამფითეატრის წყვილიაღში ვიღაცას თვალი პკიდა. ვაატყლაშუნა შოლტი და ამ ტყლაშუნის ხმაზე გამოჩნდება ბერიკაცი, რომელსაც რომელი სენატორის ტოგა მოსავს. „აპოლონი“ კვლავ აღმართავს შოლტს, და ბერიკაცი — სენატორი იმწუთას რაღაც უცნაურად ახშიანდება, თითქოს ხეიხვინებსო.

კვლავ სიწყნარე ჩამოვარდება. მხოლოდ ბრბოს დაღადება აღწევს ქვესკნელიდან.

სიწყნარეში უეცრად „ამურის“ ნაზი სიცილი გაიხმის. ამ სიცილს როგორღაც ძალიან მელოდურად აიტაცებს „აპოლონი“, მერე — წამოწოლილი „ვენერა“. ისინი ისეთი წყნარი მოჯადოებელი სიცილით კუჭკუჭებენ, გეგონება. სპინორჩი მშვენიერი ღვთაება შეხმატკბილებულაო. მაგრამ ეს სიცილი თითქოს წალეკავს — როცა ახლა მაშხალიანი ბერიკაცი გამოჩნდება, წელგამართული, წარმოსადეგი, ამაყი, რომელსაც თან მონა ახლავს. როგორც კი შემოსულ ბერიკაცს თვალს მოჰკრავს, „აპოლონი“ ეგრევე მივარდება, გულში ჩაიკრავს, ჩაიხუტებს. რაღაც ნამეტანი მძვინვარე ჩახუტება გამოსდის. თითქოს დახრჩობა უნდა ბერიკაცისა — და ალტაცებული ლაპარაკობს, თითქმის ყვირის.

— სენეკა! მოძღვარო! სენეკა!

სენეკა. (ცდილობს, რომ დაუსხლტეს). ნერონი დიდო კეისარო!

ნერონი (კიდევ უფრო გააფთრებით იკრავს გულში). როგორ გეკადრება, მოძღვარო! ეს მე სხვებისთვისა ვარ კეისარი, შენთვის კი მოწაფე ვარ. მუდამ და ყოველთვის მხოლოდ დამჭერი მოწაფე ნერონი ვარ. (თითქოს ხელი ჰკრაო, ისე შეეშვება სენეკას). ახეთი თბილი ღამეა, შენ კი ჩაგითბუნებია, მოძღვარო... შეუძლოდ ხომ არა ხარ?

სენეკა. სიბერე მჭირს, კეისარო. სისხლი გამიცივდა, ხალამობით აღარც ორი ტუნია მშველის, აღარც სქელი ტოგა და შალის სამკერდული, წელიც შეხვეული მაქვს და წვივებიც, მაგრამ მაინც ვიფინები. (ამ დროს სენეკა საბოლოოდ შეამჩნევს ბერიკაც-სენატორს. სენეკას სახეზე გაოცება აღიბეჭდება, მაგრამ დროებით — ვინაიდან მისი სახის ერთადერთი გამომეტყველება გულგრილობაა). დიდად გამახარა თქვენმა ხილვამ, სენატორო ანტონიუს ფლავიუს.

სენატორი დუმს — თითქოს არც ესმის. მძიმე, შემაწუხებელი დუმილი ჩამოვარდება — და სენეკა ავსებს ამ უხერხულ პაუზას.

(სენატორს.) ნება მიბოძეთ, ჩემო მეგობარო ანტონიუს ფლავიუს, ძველებურად მოგემშვიდობო და მოგიკითხო, აი ისე, როგორც ჩვენი მამა-პაპანი იწყებდნენ ხოლმე თავიანთ შიამიტურ კეთილ წერილებს: „თუ შენ კარგად ხარ — კარგია, მე კარგად ვარ“...

და კვლავ დუმილი. მაშინ ნერონი აღმართავს თავის შოლტს — და ბერიკაცი-სენატორი აშკარად... ხეიხვინებს, სენეკას სახეზე თითქმის საშინელება აღებეჭდება — და კვლავ გულგრილი უხდება სახე.

ნერონი (ღარბაისლურად). რა მშვენიერი მოკითხვაა, მოძღვარო. რა ბუნებრივი და უბრალო ეგებ, ჩვენი ძველთაძველი რომი როგორ ხელად დაიჭერდნენ ხოლმე ჩვე-

ნი ძვლები მთავარს: „თუ შენ კარგად ხარ — კარგიაო“. კარგადმყოფი თუ ხარო (ჩაეცინა), ესე იგი ცოცხალი თუ ხარო. ოღონდ ერთი რამ ვერ გამოვიდა, მოძღვარო, რატომ მიმართავ სულ მუდამ სენატორ ანტონიუს ფლავიუსს? დანახე აქ ბრძენი სენატორი ფლავიუსი? (სენეკა დუმს. დანარჩენებს.) კიდევ ვინმე ხედავს დარბაისელ სენატორს? (დუმილი.) არა, შეგეშალა, მოძღვარო, სენატორი ანტონიუს ფლავიუსი ბუზი არ არის, იმისი დაუნახაობა ნებოდა... ანდა აქ რა უნდა შენს ძველ მეგობარსა და სიბრძნის სენატორ ანტონიუს ფლავიუსს... ეხლა ლამეა, და ის უსათუოდ არხეინად ხვრინავს თავის ლოგინში... აქ კი მარტო მე ვარ — შენი მოწაფე ნერონი... (მიუთითებს ვენერასა და ამურზე). ეს მშვენიერი გოგონებია... და (ბერიკაც-სენატორზე ეუბნება.) ამ ბებერ მერანს რომ უყურებ... (შოლტი გატყლაშუნდება — სენატორი ხეიხინებს.) შეხე, აგე გავაზედ კრაზანა დააქდა... და კუდიო უნდა მოგერიება. (შოლტი გატყლაშუნდება — და სენატორი ყოველივე ამას მორჩილად, ტლანქად გამოსახავს.) მოიგერია, ოღონდ წვალებით, ძლივძლივობით, რას იზამ, ცხენებმა ადამიანებივით მძიმე სიბერე იციან. (ცვლავ გაისმის შოლტის ტყლაშუნი — სენატორი ხეიხინებს. სენეკა გულგრილად ადევნებს თვალყურს ყველაფერს, რაც გარშემო ხდება.) როგორ გამახარე, სენეკა... ახლა ესენი როგორღა გაახარე (თავით ამურსა და ვენერაზე ანიშნა, და იმწუთას სენეკას თვალწინ პატარა ეშმაკუნასავით გაჩნდა ამური.) იცანი, ეს მშვენიერი არხება, მოძღვარო?

სენატორი. რა თქმა უნდა, ვიცანი, კეისარო, შენი მონა ბიჭია სპორუსი, ჩემ აქ არყოფნაში ცოტა წამოზრდილა და ყველა უკეთურება უფრო ცხადად დასტუობია სახეზედ.

ნარონი. აბა, რასა ჩმახავ, სენეკა! მონა ბიჭს აქ სადა ხედავი (ამურს.) აქეთ მოდი, კუდრატავ. (ამური მანქვა-გრეხით მიდის.) აბა, შეხედე, მოძღვარო, ნუთუ თვალთ ეგრე დაგაკლდა? ზა, რას იტყვი, ტურფა გოგონაა თუ არა? (ამური თეძოებს ათამაშებს.) აი რა პაწაწა გულ-მკერდი აქვს... რა ნორჩი მკვრივი თეძოები... ზა? (სენეკა დუმს.) ხედავ ამ გოგონას? (დამუქრებით) შენ გეკითხები... ხედავ-მეთქი, ამ გოგონას, მოძღვარო? (გაისმა შოლტის ტყლაშუნი — და სენატორმა ცხენმა დაიხეიხინა.) იცოდე, უკანასკნელად გეუბნები, სენეკა... შენ წინ ბებერი ცხენი და ნორჩი გოგონაა. უფრო უურადლებით შეხედე. (ჩააცივდება). ხედავ ორივეს? (სენეკა დუმს, ხანგრძლივი პაუზა. უცებ ნერონმა გულითადად გადაიხარხარა და გულში ჩაიკრა სენეკა.) ყველაფერი იმის ბრალია, რომ დიდი ხანია დედაქალაქში არა ყოფილხარ. ჩაკეტილი ზიხარ იმ შენს ადვილ-მამულში. და სულმთლად გაგაგრიავდი! აი, შე ჭუჭღუნა გაგრიავ! ამიტომ არის, რომ არცარა იცი, ბოლო დროს რომში რაც ამბები მოხდა. მაგრამ ყველაფერს შეგინდობ ჩემს მოძღვარს... ესე იგი ავიხსნი, გახსოვს, მიამბობდი ხოლმე... გაჩაღებულ ბუხართან... ათასგვარ სახეცვალებათა შესახებ... იმ მეტამორფოზათა შესახებ, რომელთა მოხდენაც აგრე რიგად უყვარდათ ჩვენს დიდ ღმერთებს... აი, მაგალითად, დიდი იუპიტერისათვის რომელიმე ნიმიფის გადაქცევა თხად... ანდა კვიპაროსად... ანდა ნაკადულად — იგივეა, რაც ჩემთვის ერთი გადაფურთხება! ამ ამბავმა ახლახან ძალიან დამაფიქრა. რაც უნდა იყოს, დიდი კეისარი ვარ, ამქვეყნიური ღმერთი... ვითომ რატომ მეც არ უნდა შეცადა — და მეც არ უნდა მომეკიდა ხელი მეტამორფოზებისათვის ციურ მეუფეთა ჩვეულების მიბადვით? მაგალითად, როგორც იცი, ცოლი, ოქტავია დამედუბა... ემ, საწუალი ოქტავია... უცოლობა კი ძნელი საქმეა. მერედა, სად ნახავ კარგ ცოლს? ქალში სულ ადვილად შეიძლება მოტყუება. მეც ავდექი და ერთი მეტამორფოზა ჩავიფიქრე. შენთვის კარგად ცნობილი ბიჭის სპორუსის გოგოდ გადაქცევა გადავწყვიტე. გრანდიოზულია, არა? როგორ გადავაქციე? როგორ და შეეკრიბე ჩვენი ყიდი საკანონმდებლო ორგანო — ჩვენი დიდება და სიამაყე — რომის სენატი. რა სენატმა ერთხმად დაადგინა: ამიერიდან ბიჭად კი არა, ქალიშვილად ჩაითვალოსო (ამური იცინის.) ხვალ-ზეგ ამ ბიჭს... ანუ უკვე ქალიშვილს, ცოლად შევირთავ. არ არის გენიალური?! გაუმარჯოს სენატს! სიტყვა! სიტყვა! (გაისმის შოლტის ტყლაშუნი.)

სენატორი-ცხენი (აჩქარებით). შეიძლება — რომი დაწვა! შეიძლება — დაანგრიო! მაგრამ რომი მაინც რომად დარჩება! ვინაიდან ჩვენი ქალაქი მუდამ მუდამაა ქვითა და

კრამიტით კი არ არის სახელოვანი. არამედ თავისუფლებით, კანონებითა და სამართლით, რაც ჩვენს უძველეს სენატშია განსახიერებელი რომაელი ხალხი ცოცხალია — სანამ სენატია ცოცხალი (სენატორი ხეივინებს.)

ნერონი. როგორი უღაჟია! ჰო, მართლა! ესეც შეტად მარჯვე მეტამორფოზაა. წარმოვიდგენია, მზე სიბრძნისა — სენატორი ანტონიუს ფლავიუსი ვაქციე! ებლა თავლაში ერთბაშად უღაჟიყა მყავს და დიდი სენატორი ვაქციე ვაქციე ვაქციე ვაქციე. ეს შენი ახლო მეგობარი იყო, სენეკა, მოძღვრის მეგობარი, და ამიტომ დავარქვი ამ ვაქციულ მერანს „ციცერონი“ — შენი მეორე საყვარელი ადამიანის ხსოვნის აღსანიშნავად. ხოა გენიალური? (გაისმის შოლტის ტყლაშენი — სენატორი ხეივინებს.) მაგრამ ამაზედ არ ვაჩერებულვარ. მეტამორფოზები განვაგრძე... დაიხსომე, იმათგან უკვე ორი ვერ გამოიცანის... მე კი, ხომ იცი, სულ ვითვლი. მაშ, აბა შეეცადე, რომ ჩემი შესამე მეტამორფოზა გამოიცნო. (ნერონი ხელს აიჭნევს — და ვენერა ძლივს წამოდგება მიწიდან.) შეხე, რა კარგი რამ არის! (რწევა-რწევით, თითქმის ბარბაციით, მიდის ვენერა ნერონთან.) მომიტევე, რომ ასე დუნედ ირჩება. ძნელ ბრძოლაში მოუხდა, მერწმუნე, უოფნა. (ვენერა იცინის, ნელ-ნელა მატულობს ქვესკნელიდან წამოსული წივილ-კივილი და ლაღადება, ვენერას.) ვინდა უკან მიბრუნება?... იქ? ქვევით? (ვენერა იცინის.) მომიტევე, მოძღვარო, შენ ხომ არც იცი, რა ვაქცე იქ, ქვევით! (ნერონი ჩაიხუტებს სენეკას და თითქმის წაათრევს ქვესკნელის გოსოსისკენ.) ჰა, ჩაიხედე, წმინდანო... ხედავ: სულ დასაკლავი ხალხია... ჰო, მართლა, რომი რომ გამოიარე ალბათ უურადდებას მიაქცევდი ხალხის ბრბოსა და ანთებულ მამხალებს... იმის გაგება თუ მაინც მოინდომე, რატომ არ სძინავს დღეს დიდ რომს?

სენეკა. არა, კეისარო.

ნერონი. თუმცა შენ ხომ ამოვებაზედ მალდა დგაბარ. არცრა ამქვეყნიური არ გიზიდავს, მაგრამ მაინც მინდა, რომ საქმის ვითარება გაგაცნო. ხვალ რომში აი ამ ცირკსა ვხსნი. ტრაბახს არ დავიწყებ... შენ თვითონაც ხედავ — უდიდესი ცირკი იქნება რომში. ბუნებრივია, სენატმა დაადგინა, და ჩემდა პატივსაცემად ხვალინდელ თამაშებს „ნერონიები“ ეწოდა. მგონი, რომ დროული დადგინილებაა, არა? „ნერონიები“ — ხომ ტყბილხმონად უღერს?... ახლა ძირს ჩაიხედე, მოძღვარო: აი ეს ქვესკნელის ტალიკტალიკი ბიჭები გახსნიან ჩემს ნერონიებს. ხვალ დილით გამოვლენ აქ — სარბიელზედ — და ნადირთ შეებმიან. ვინც იმ ნადირთ ცოცხალი და შეუქმელი გადაურჩება, ისინი მერე ერთმანეთს დახოცავენ ბრძოლაში... მაგრამ შეხე, დღეს რარიგ მხიარულობენ (ქვესკნელიდან ლაღადება ისმის.) ჩემი ბრძანებით საჭმელიც უღამდე აქვთ და სასმელიც, აყვავებულ ტაბლას უსხედან. (მოისმის ქალის წივილი.) შეხე, რა დღეში ბყავთ კაბების! არ დაგავიწყდეს, ეგენი ყველაზე ძვირადღირებული რომაელი გოგოები არიან უყურე ერთი, როგორ ცქრიალებენ... მაგ გლადიატორების ამბავიც ჩემი ერთ-ერთი მეტამორფოზაა. ხვალინდელი დასაკლავი ადამიანები მეფეებად ვაქციე ერთი ღამით. აი ხომ ხედავ — იცინიან... ბედნიერნი არიან... ხვალინდელი დღე არც ახსოვთ. ჩვენ კი ზემოდან დავცქერით...

სენეკა. თავს კი ვირთობთ, მაგრამ ამ დროს ჩვენც... დაგვცქერიან ზემოდან...

ნერონი. სწორია, სწორი, და... თანაც იცინიან...

სენეკა. რაღა „ეგენი“ და რაღა ჩვენ... ერთ ბედქვეშა ვართ... „მაგათ“ ხვალ დილით მოვლით... ჩვენ... ცოტა უფრო გვიან.

ნერონი. რა ბრძნული ნათქვამია! (იცინის.) „ცოტა, უფრო გვიან“ აუბ, რა მოსწრებულად ბრძანე! დაიხსომე ეგ შენი სიტყვები, სენეკა. ესე იგი „ცოტა უფრო გვიან“, არა? (ვენერას ეხვევა.) აი, საიდან მოვიდა ეს... რა კვლავია! პირველად პოეტმა პეტრონიუსმა გაასახმარისა... საწყალი პეტრონიუსი... (ვენერას.) გვიჩვენე ერთი, როგორ ღირსეულად იბრძოდი იქ — ქვევით! (სენეკას.) მომიტევე, ცოტა მეტყველება არ უფარვა... ისეთი მშვენიერია, სალაპარაკოდ ვინ აცლის, პირდაპირ მოქმედებაზედ გადაყავთ, და ესეც უბრალოდ გადაერვილაპარაკეს! (ვენერა თქმების თამაშით გამოხატავს თავის ბრძოლას.) უოჩა! (ვენერა გაიბრინდება.) მაგრამ მე, ამქვეყნიური ღმერთი, ვბრძანებ! და შეხე,

იმწამსვე სახეს იცვლის! საკვირველი ამბავია! უკვე იცვალა, გარდაქმნა! მეტამორფოზა! (ვენერა არ ინძრევია). ვინა დგას ახლა შენ წინ, მოძღვარო? მა? იცანი?



სენეკა. ჩემ წინ კახპაა, კეისარო.

ნერონი (ცვიად.) შენ რაღაც თვალების საქმე ვერ გაქვს კარგად, სენეკა. მაშ ~~საქმე~~ გულიხმაში ჩაგაგდებ: ვინ არიან უველაზე უფრო უბიწო ქალები? ნებრივია, მომიგებ, ქალღმერთ ვესტას მსახურნი ქალნიო, ვინაიდან იმათ მარადიული უბიწობის აღთქმა აქვთ დადებული. მერედა, ვინ არის ამ უბიწოთაგან უველაზედ უფრო უბიწო? ბუნებრივია, იტყვი ქალღმერთ ვესტას უმაღლესი ქურუმი — უებრო ქალწული რუბირიაო: ის ოცდახუთი წლისაა, მშვენიერია და კაცი არ იცის რა არის. (ვენერაზე უჩვენებს). ესე იგი შენ წინ ვინ დგას, სენეკა? მა?

სენეკა. მე დაბადებიდან ვიცნობ საბინელთა მოდგმის უმწიკვლო ასულს რუბირიას... ჩემს წინ კი ისევ ის კახპაა.

ნერონი (ამურს.) ემ, ჭიუტი ვინმეა, რას იზამ, არ უნდა მეტამორფოზობანას თამაში! და თანაც სრულებით არა გაეგება რა ამ ჩვენი რომაული ცხოვრებისა! (სენეკას.) ხედავ თუ ვერა, ამ უმწიკვლო ასულს რუბირიას... რომელსაც ოცდახუთი წლის განმავლობაში ერთი კაცი რა არის, ერთიც არ უნახავს... და რომელსაც შენ დაბადებიდან იცნობდი... მე, უბრალოდ რომ ვითხრა, გავაუპატიურე, მომიტევი, გულახდილობა... ნამუსი ავხადე — მორჩა და გათავდა! მაგრამ მე ხომ კეისარი ვარ! შენ კი მასწავლე: კეისარი მუდამ წამლად უნდა ედებოდეს თავისი ხალხის გახაჭირსაო. რა მექნა? აბა, ამ რეგვენ რომაელებს უმწიკვლო უმაღლესი ქურუმი რომ არ მყოლოდათ, სიმბოლო უბიწობებისა, ისე რა გაძლებინებდათ?! ხმა კი დაირხა, მთელი ქალაქი ტუტუნებდა. რა მეღონა? მეც ავდექი და შევკრიბე სენატი. (შოლტს გაატყლაშუნებს — სენატორი ხეიხვი-ნებს.) ჩვენი დიდი ბრძენი სენატი. და სენატმაც გამოსცა დადგენილება — ჩაითვალოს გაუპატიურებელი რუბირია... ქალწულად! უველანი უმაღ დაშოშმინდნენ! მა, გენიალურია? (ქვესკნულიდან მოისმის ლალაღება — ნერონი გიგისოსისკენ გარბის, შიგ იცქირება, იცინის.) გრანდიოზულია! (ბრუნდება სენეკასთან). მომიტევი... მოკლედ, სუყველა კმაყოფილი დარჩა? უველაფერი მოგვარდა?... სრულებითაც არა! რომაელთა უბედურება ის არის, რომ სრულიად მოკლებულნი არიან იუმორის გრძნობას. მეორე დღეს ამ შენმა რუბირიამ... რომელსაც უკვე ისევ უბიწოდ თვლიდნენ, — თავი ჩამოიხრჩო! მერე მე რა ხერხს მივმართავ? ნუთუ ვერ გამოიცანი? (ჩურჩულებს.) რა ხერხს და, მეტამორფოზას!.. იმწუთას ვიხსენებ შენს მოძღვრებას ბუნებაში წინა აღმდეგობათა ერთიანობის შესახებ და ვიწყებ ფიქრს, ვინ შეიძლება, რომ უველაზედ უბიწო ქალი გახდეს-მეთქი რომში... ხსენებული მეცნიერული კანონიდან გამომდინარე? ბუნებრივია — უკანასკნელი კახპა! და აი, ამ დღეებში შეიკრიბება სენატი — და მიიღებს კანონს: ჩაითვალოს ამიერიდან ეს ქმნილება (ვენერაზე ანიშნებს.) ქალღმერთ ვესტას უმაღლეს ქურუმად! უბიწობების სიმბოლოდ! ფანტასტიკაა, არა?

სენეკა. რისთვის მიხმე რომში, დიდო კეისარო?

ნერონი. მაინც ვერ მოითმინე — მკითხე. ემ, ბერდები, მოძღვარო. (ჩაიციუნებს.) წარმოდგენილი მაქვს: როგორ გთვლემდა უკვე ბუნების წარმტაც წიაღში, ოდეს ჩემი ცენტურიონი მოგვევლინა. და წამოგათრია რომში. აღიარე, სიცოცხეს მყავდი ატანილი, მოძღვარო. ტანთ ორი ტუნიკა, სამკერდული და სამუხლები შეიმოსე — და მაინც გამცივნებდა, არა?... მაშ, რისთვის დაგიძახე ხომ რომში? (დამარცვლით) მერედა შენ თვითონ ვერ მიმხვდარხარ? (დუმილი. უცებ კითილგანწყობილად.) რისთვის და, მომენატრე! ჩვენ უველას გვენატრები, შენ კი არ გიყვარვართ! ჩვენთან მეტამორფოზობანას თამაშიც კი არ გინდა... (გაჩერდა, ხელები აღაყრო, პათეტიკურად.) მერე, რა მეტამორფოზებს ვახდენთ, რა მეტამორფოზებს?! როგორ დამავიწყდა?! (ამურს.) ო, ღმერთებო, მასპინძელი ვარ... და აქამდე ძვირფასი სტუმრის დახაპურებლად არ მიწრუნია!.. რა არის სასმელ-საკმელი ფილოსოფოსისათვის? რა არის და, გონივრული საუბარი, ჩვენ კი რაღაც სულელური მეტამორფოზებით ვჭყიპავთ! (ღრიალებს.)

ეხლავ აქ გაჩინეთ სენეკას ოთხივე ყველაზე ბრძენი თანამოსაუბრე... უწინარესად სენატორი ანტონიუს ფლავიუსი... თუმცა, პატიებას ვითხოვ, ფლავიუსს ვერ გააჩინეთ — ცხენად არის გადაქცეული... დიახ... დიახ... მაგრამ სამაგიეროდ სამნი კიდევ არიან! ეხლავ მოაყვანიეთ უბრძნესი სენეკას სამივე განუყრელი მეგობარი — სენატორი პიზონი.. ტკბილმოუბარი კონსული ლატერანუსი... და ბუნებრივია, ლუკანუსი... ჩვენი უდიდესი რომაელი პოეტის ლუკანუსი... ებ, რომის სულს და გულს, ლუკანუს. (ამურს.) ცენტურეონებო! გავსვენოთ იმათ მოსაყვანად. (ამურს ეფერება.)

სენეპა (ყრუდ). იმათი შეწუხება საჭირო არ არის, კეისარო. იმ დარბაისელ და ხნიან ხალხს კარგა ხანია სძინავს.

ნერონი (იცილის.) რაო, როგორ თქვი — „კარგა ხანია სძინავს?“ ისევ მოსწრებულ ნათქვამია. (სიცილით ჩაბყირდება.) რა მოგივიდა, სენეკა, დღეს რა დროს ძილია? შენი თვალით არ ნახე — ყველგან ხალხი ზიზზიმებს... საწიდრების გრიალია... აბა, რა დააძინებს ადამიანს? საყვარელი თანამოქალაქენი მთელი საღამოა სულ ჩემი ცირკის წინ ტრიალებენ. რათა დილიდან პირველებმა დაიკავონ საუკეთესო უფასო ადგილები. იშისთანად ღრიალებდნენ — სამგზის გავაგზავნე კომორტა, რომ გაეფანტა მამაძაღლები... მომიტევე — დიდო რომაელო ხალხო... დამიჯერე, სამივე შენი მეგობარი აღტაცებული დარჩება, თუ ამ უძილო მტანჯველ ღამეს რომაელთაგან ერთ-ერთ უბრძნეს ადამიანთან საუბარზედ გასცვლიან. (ამურს.) უხმე, და რაც შეიძლება მალე, ცუგრუმელავ. (ამური გარბის.) ესე იგი, რისთვის დაგიძახე ხომ? (ეთილგანწყობილად.) რისთვის და დაბრუნება უნდა მეთხოვნა. (სხაპასხუპით.) დაუბრუნდი რომს, სენეკა. უშენოდ თავს მარტოდმარტო ვგრძნობ. დამალა ტიგელინუსმა. იმ დაწყევლილმა სისხლისმწოველმა ტიგელინუსმა. მაინც რატომ არ გინდა ჩვენთან ერთად რომში ცხოვრება? მაინც რატომ?

სენეპა. მომიტევე, დიდო კეისარო, მაგრამ მე აქ სიმშვიდე არ მიწერია. გათენებისას აუცილებლად ვინმე ზარაფის, ანუ თეთრის დამხურდავებლის უსიამოვნო ძახილი მალვობებს. როგორც კი თვალს მოვხუჭავ — მჭედელი კვერის ცემას იწყებს: ვინ მოთვლის აქ რამდენი მჭედლის ხელი კვერავს და რამდენი კაცის უანურატო ღრიალებს! ახლა მაერს არ იკითხავ? რას ვსუნთქავთ, თუ იცი? რას ვსუნთქავთ და, სამზარეულოების ბოლს. ტიბრს ხომ ნულა იტყვი. მიდი ერთი, შევალე თვალის რა ვიცი, შიგ რაღა არა ცურავს. და აი როცა შენი წყალობით ანკარა ნაკადულების პირას ვცხოვრობ ბუნების წიაღში...

ნერონი. გიპასუხები ეხლავ გიპასუხები! (ქვესკნელიდან სიცილი მოისმის. წივილ-კივილი. ნერონი გისოსთან მიიბრუნს, შიგ იტყობა.) გადაირევა ადამიანი! (უკანე ბრუნდება. სენეკას.) მომიტევე... კი, ვაჭუჭუიანებო მდინარეებს, კი ვაბინძურებო ბუნებას, ვნიახი გავვაქვსი მაგრამ სამაგიეროდ, მოძღვარო, მე და შენ არნახულ საუკუნეში ვცხოვრობთ. ჩვენს ცხოვრებულ პაპებს რომ დაანახვა, მაგალითად, ჩვენი სახლების მინები, შიგ შუქი რომ ატანს... ჩვენი პაპები კი, მოგეხსენება, ბნელში ისხდნენ და იყინებოდნენ... ანდა ეს ჩვენი ბოლო გამოგონება რად ღირს — მიღები, რომლებიც კედლებშია დატანებული და რომლებითაც თავისით მოძრაობს სიტბო — ზამთარშიაც ისევე თბილა ჩვენს სახლებში, როგორც ზაფხულში. აბა, რამდენი ჩვენი წინაპარი დაღუპულა გაუჩინულ ჭერქვეშ სიცივით? სტენოგრაფიის გამოგონება როგორილა? თუკი ჩასაწერი ნიშნები იცი — ყველანაირ სიტყვას ჩაიწერ, ხელის სისწრაფე ენის სიმკვირცხლეს არ ჩამოუვარდება... არა, სენეკა, შენ მართალი არა ხარ. კი, ვაკაკუნებო, კი ვაჭუჭუიანებო მდინარეებს — მაგრამ სამაგიეროდ ერთ-ერთ უგანათლებულეს საუკუნეში ვცხოვრობთ. რახან სიტყვამ მოიტანა, როგორ უპურებ ყველა ჩვენს ტექნიკურ მინაღწევარს?

შემოდის ამური.

ამური. სენატორი პიზონი... (დადუმდა.)

ნერონი (მხიარულად). მესმის ნაბიჯის ხმა მესმის პიზონი უკვე მოიჩქარის, რომ თავშემაწყენელი სიტყვა შემაწყენების. (დუმილი. ამურს.) რად გაჩუმებულხარ,

ჩემო სიცოცხლე?

ამური. სენატორი პიზონი...

ნერონმა შეხედა ცენ-სენატორს — და მან ხვიხინი დაიწყო.



ნერონი. ცხენის ხვიხინი ცუდის ნიშანია და თუმცა სენეკა სულ იმას მასწავლიდა, არ დაუჭერო არაფერ ცუდის მომასწავებელ ნიშანსო, მაინც მაურთოლებს...

ამური. სენატორ პიზონის მოხაუვანად ცენტურიონი გავგზავნეთ ლიგიონერებში...

ნერონი. მერე! მერე!

ამური. ცენტურიონი მიხულა. დაუკაკუნებია... მაგრამ სენატორ პიზონს კაკუნის ხმა გაუგონია თუ არა, იმწუთს თავისი ქირურგიხათვის უხშია — და ვენები გადაუჭრია...

ნერონი. როგორ?! რატომ?!

ამური. არავინ იცის, კეისარო. ისე, რომ იცოდე, მთელი თავისი ქონება ანდერძით შენთვის დაუტოვებია, დიდო კეისარო.

ნერონი. რა მოულოდნელი სიკვდილია! სენატორი პიზონი! დიდად შეძლებული! დიდი ბრძენი!.. დაგვაობლა, სენეკა. (სენეკა გულგრილად უვლავს ყურს ნერონის ვახუცის.) არა, მე მესმის შენი მწუხარება, მოძღვარო. ერთი მეგობარი ცხენად გაქცა, მეორემ თავი დაიკლა. არა უშავს რა — კიდევ ორი დაგჩა... თქვენი ბრძენთა კავშირი ცოცხალია. (ამურს.) რაღა თქმა უნდა, შენ უკვე გავგზავნიდი. ჩემო სიცოცხლე! — კონსულ ლატერანუსისა და დიდი ლუკანუსის მოსაყვანად?

ამური. გავგზავნილია, კეისარო.

ნერონი. ეხლავ გააღვიძეთ, ტიგელინუსი. სად არის ეს ტიგელინუსი?! სად არის ჩემი საიდუმლო პოლიციის უფროსი? ქალაქში სენატორები დანებზედ ეგებიან, იმას კი...

ამური. ტიგელინუსის მოსაყვანად გავგზავნილია, კეისარო.

ნერონი. ტიგელინუსი გამოიძიებს. (დუღუნებს.) აი მოვიდეს ტიგელინუსი... (ვითომც არაფერი მომხდარა.) შო, იმას გეკითხებოდი, სენეკა — როგორ უყურებ-მეთქი ჩვენს ტექნიკურ მინაღწევარს?

სენეკა. მე თვითონ გასწავლიდი ოდესღაც ამას, და მიხარის, რომ გავიმეორებ: ყველა იმ მინაღწევარს მე ისე ვუყურებ, როგორც გარდაუვალ ბოროტებას. რას იზამ, ადამიანები მუდამ თავიანთი სხეულის უნის დაკმაყოფილებას ესწრაფვიან. და ამისათვის ტვინს იფიტავენ... ასე უოფილა და ასე იქნება. ვინაიდან სხეულის უნის მსახურება — ადამიანების მოთხოვნაა და არა ღროისა.

ნერონი. არა, არ მოგწონს შენ ჩვენი ქალაქი. და არც საუკუნე მოგწონს ჩვენი. არც მინაღწევარი ჩვენი. არც მეტამორფოზები. უბრალოდ ვერ გამოგია, რაზედ უნდა გელაპარაკო, სანამ ის ორი ღირსეული თანამოსაუბრე მოგივიდოდეს. (ჩაიციანა): შო, მართლა, რომში რისთვის დაგიძახე, არა? ბუნებრივია, იმისათვის, რომ გამეგო — ხომ არაფერი გიჭირს ჩემს ძველ მოძღვარს?

სენეკა. შენ ისეთი წყალობის კალთა გადამაფარე, რომ ჩემს ბედნიერებას მხოლოდ ერთი რამ აკლია — ზომიერება. მას მერე, რაც შენ დავაუკაცდი, საქმეებს თავი მივანებე... შენგან ნაწყალობევე ადგილ-მამულში ვცხოვრობ. და, თუმცა სული მცირეოდენითაც მუდამ კმაყოფილი მქონდა — მაგრამ მამულები ჩემი — შენის წყალობით უნაპიროა...

ნერონი. და, ამბობენ, დიდი შემოსავალიცა გაქვს, არა?

სენეკა. აი სწორედაც ეგ მანადვლებს. როგორც იცი, მე თავშეკავებასა და ზომიერებას ვქადაგებ, თავად კი ფუფუნებასა და განცხრომაში ვარ. ეს მე უოველთვის მიმძიმდა. ახლა კი სრულიად აუტანელია. და როგორც რომ ლაშქრობაში დაქანცული და ილაჭგაწვეტილი მოვიდოდი და შეგთხოვდი, დამეხმარე-მეთქი, ისე ვარ ახლაც — დავბერდი, სიმდიდრის ტვირთს ვეღარ ვერევი — და ერთსა გთხოვთ მხოლოდ: რაც რამ გიბოძებია, უკანვე წაიღე.

ქვესკნელიდან წივილ-კვილი მოისმის. ნერონი მიიბრუნს გისოსთან, შიგ იტკირება.

ნერონი. გენიალურია! (უკან ბრუნდება. სენეკას.) მომიტევე... რა სიტყვის თქმა იცი! მაგრამ თუ შევიძელ და ენის წაუბოროძიკებლად შეგეპახუხე, მხოლოდ და მხოლოდ შენი დამსახურებაა. სწორედ შენ მასწავლე უოველივე — თვით ორატო-

რული ხელოვნებაც. მაშ, ნუთუ კეისრის აღზრდისათვის ბევრია რაღაც ათობდე უბადრუკი ვილა? რომელიც გინდა სპექულანტს ჩვენში გაცილებით უფრო მეტი აქვს არა, სენეკა, შენ რომ გეკუთვნის, ჭერ მე ისე არ გავსწორებივარ. (ეხვევა სენეკას, ჩახვეულები მიმოდიან.) გეხსოვება, პატარაობაში — ბუნართან — მიაბზე, როგორ აიყვანა ერთმა ფილოსოფოსმა მავანი მოწაფე აღსაზრდელად. ანგარიშის გასწორების ფაში როს დადგა უკუწაფე ცარიელზედ დასვა ფილოსოფოსი, არცარა გადაუხადა. ფილოსოფოსმა მოსამართლესთან მიიყვანა. და მოწაფემ ასე აუხსნა: ეს ფილოსოფოსი სათნოების სწავლებას დაჰპირდაო. მე კი საფასური არ გადავუხადეო. მაშასადამე, ურცხვად მოვატყუეო. მაშასადამე, უსინდისო და უპატიოსნო ვარო. მაშასადამე... ჩემთვის არაფერი უსწავლელიაო. არაფრისათვის კი რა უნდა გადამეხადაო? გრანდიოზულია, არა? უნარი შრომის სწორად შეფასებისა — ღმერთებისა და ბრძენ ბრძანებელთა თვისებააო. ასე მასწავლიდი შენ. (ხეიმოვნად.) რომში, სენეკა, იმისათვის გიხმე, რომ ხამართლიანად მოგაგო.

წყვილიდან გადმოხტება ამური.

ამური. კონსული ლატერანუსი...

ნერონი. ეშველა! კონსული ლატერანუსი ფეხის ხმა მესმის! მოვა და დაატკბობს სენეკას დანატრებულ სმენას! (ამური.) რას გაჩუმებულხარ? (ამური დუმს. ნერონმა სენატორ-ცხენს შეხედა — იმწამავე ხვიხვინი გაისმა). უსაშინლესი ნიშანია! (პათეტიკურად.) არა! არა! არა!

ამური. ცენტურიონი მისულა, მაგრამ ლატერანუსს უკვე დაძახებული ჰყოლია ქირურგი. და ცენტურიონს რომ დაუჟაკუნებია — იმას ვენები გადაუჭრია.

ნერონი. რა მოუვიდათ, გაგიყდნენ თუ რა არის?! საშინელებაა, სენეკა! კიდევ ერთი ბრძენი გამოგვაკლდა.

ამური. მთელი თავისი ქონება ლატერანუსმა შენ გიანდერძა, დიდო კეისარო.

ნერონი (ამური). წადი და დაუდარაჯდი, როდის მოვა პოეტი ლუკანუსი, ბრძენთაგან უკანასკნელი. ის ამჯერად განსაკუთრებით სასურველი გახდა ჩვენთვის. და ცხენსაც დაუმატე შერია ბაგაში — იმისათვის, რომ ასე ზუსტად გვიწინასწარმეტყველებს რომაელ ცხედართ. (სენეკას ეხვევა). ეპ. მოძღვარო, შენთან ერთად ვგლოვობ... და ვერაფერი გამიგია! სად არის ტიგელინუსი?! მალე, მალე ფეხი აჩქარებინეთ. ერთმანეთზედ უკეთესნი რომაელები თავებს იხოცავენ... გამაგრდი, სენეკა. ცოტაც და, მოვა ტიგელინუსი... არა, მესმის, შენ ფეხებზედ გიღია ტიგელინუსი. შენ მხოლოდ შენს ბრძენ თანამოსაუბრეებზედ ფიქრობ. ტიგელინუსს კი აბა, რა უნდა ესაუბრო? პოლიციის უფროსი კაცია — იმის ხელობა ანწუხზედ. ანუ წვეტიან სარზედ ჩამოცმავა! ეპ, სენეკა, რა უდროოდ გამოგვეცალა ორი უბრძენი მოქალაქე... მაგრამ ვიცი, რომ შენ მშვიდად ხარ. შენ არასოდეს გშინებია სიკვდილისა, ასეა, არა?

სენაბა. ეგრეა, კეისარო.

ნერონი. დიახ, დიახ, რამდენჯერ გისაუბრია ჩემთან წუთისოფლის წარმავლობაზედ... ეპ, რა კარგი იყო ის ბავშვობის შორეული, კეთილი წლები. როგორ მომეწონებოდა ხოლმე ხან შენი ქადაგებანი. რა საშინელია სიკვდილი! მერე, რა ლამაზია ეს ქვეყანა... და რამდენი რამ არის ამქვეყნად ძვირფასი.

ვენერა იცინის.

სენაბა. ზო, ლამაზია ეს ქვეყანა. მაგრამ ის სილამაზე ჩვენი არ არის. ამქვეყნადაც ბევრი რამ არის, მაგრამ სუყველაფერი სხვისია.

ნერონი. ეპ, რა კარგია... თითქოს ბავშვობა ისევ დამიბრუნდა... თითქოს ისევ იმ ჩვენს ბუხარს ვუსხედვართ ორნი... (ეხვევა სენეკას). განაგრძე, განაგრძე!

სენაბა. „ბუნება ყველასა გვჩხრეკს შესვლისასაც და გამოსვლისასაც. ტიტვლები მოვედით, ტიტვლები მივდივართ. და აქედან იმაზედ მეტს ვერ წაიღებ, რაც მოგიტანია“.


ნერონი. რა სამწუხაროა... რა საშინელია სიკვდილი!

სენაბა. ვინა თქვა, კეისარო, რომ სიკვდილი საშინელია? განა ვინმე დაბრუნებულა იქიდან? რატომ გეშინია იმისა, რაც არ იცი? უმჩობესია ქარაგმა გაიგო ცისა. დაიხსოვებ: ამ წუთისოფელში ყველანი მუდამ რაღაცითა ვართ ავად. ხან კუჭი გვაწუხებს, ხან ფეხი გვტკივა. ამქვეყნად ყოველი მხრიდან ათასგვარი სნეულების სუნთქვა. ნადირისა და ადამიანის მძვინვარება გვიმწარებს სიცოცხლეს. ყოველი

მხრიდან თითქოს მოგვდევინ და აქედან სადღაც შორს მიგვერეკებინ. ასე ემართებათ მხოლოდ იმათ, ვინც შინ არა ცხოვრობს. მაშ, რატომ გაშინებს წუთისოფლის სტუმარს შინ მიბრუნება?

შემოდის ამური.

ნარონი. ედირსა! (ამურს). შენ რომის პოეზიის მზე მოგყავს ჩვენთან! მესმის! ეს მისი მსუბუქი ნაბიჯის ხმაა! გულში ჩავიკრათ პოეტი ლუკანუსი, სენეკა! (აქედან) გაჩუმებულბარ?



სენატორი-ცხენი ახვიხვინდა.

როგორ, იხიც? (და ნერონს ხარხარი აუტყდა. ცდილობს, რომ თავი შეიკავოს, მაგრამ არ გამოსდის, ხარხარებს.) მომიტევე, სენეკა... ყველაფერი მესმის... მაგრამ ძალიან სასაცილოა... ლუკანუსმაც... უხმო...

ამური (სიცილისაგან ლამის წაიქცეს). ქირურგს უხმო.

ნარონი (სიცილით იგუდება). და, ვენები გადამიჭერიო, უბრძანა... მერე ქონება...

ამური (ჩაბეირებული მიწაზე გორაობს). შენ... შენ... დიდო კეისარო?

სიცილი თანდათან ცხრება.

ნარონი (სენეკას გულში ჩაეკერის). მომიტევე, მოძღვარო! ხომ იცი, ბავშვობიდან უკურეფლექსი მჭირს: ყველა ცრემლსა ღვრის, მე კი მეცინება... მერწმუნე, ვწუხვარ!.. ემ, დავვობლდით! (ყვირის). დავვობლდით!.. აი, ხედავ, რამდენი სიფრთხილეა ლაპარაკში საქირო. კარგა ხანია სძინავთო, წელან რომ თქვი, ღმერთებმა გისმინეს... ძილი და სიკვდილი ძმები არიან, რა სამწუხაროა... რა იქნა ის ოხერი ტიგელინუსი.

ამური. ტიგელინუსი გვიახლოვდება, კეისარო.

ნარონი. აი მოვიდეს ტიგელინუსი... (ამურს.) აბა, რა უნდა ქნას? ვის ესაუბროს ბრძენ სენეკა? სამი უგონიერესი მეგობარი მარადისობაში გადაუსახლდა. ცოცხლად დარჩენილ რომაელთაგან ვის ძალუძს სენეკასთან ღირსეული საუბარი? დარწმუნებული ვარ — მხოლოდ ერთს! თვითონ სენეკას! (ამურს.) ეხლავ გავზავნეთ კაცი ფილოსოფოს სენეკას მოსაყვანად!

სენეკა არაფერს იმჩნევს.

ამური. ბატონი ბრძანდებო, კეისარო, გავგზავნი. (გარბის).

ნარონი. რა საშინელი ღამეა! რამდენი სისხლი... კი, მაგრამ წელან სხვას ვლაპარაკობდით. რა ლამაზად აბიჯრუებდი სიკვდილს. განვაგრძოთ, მოძღვარო?

სენეკა. სიამოვნებით... გაიხსენე, როგორ დაიბადე, როგორ აყვინებდი, აგვიანებდი, მაგრამ დედის უდიდესმა მონღომებამ გამოგტყორცნა საშოდან ამ სამყაროში.

ნარონი. დედაჩემი... საწყალი დედაჩემი...

სენეკა. მიატოვე დედის თბილი წიაღი, და დედამიწის მაცოცხლებელმა ჰაერმა დაგბერა. ნაჭაფი ხელები რომ შეგებო, შეუცნობლის წინაშე შიში იგრძენი და აჩხავლდი. მაშ, რატომ არის, რომ მერე, ოდეს სხვა შეუცნობლის წინაშე წარსადგომად ვემზადებით და ქვეყნიერების თბილ წიაღს ვტოვებთ — აგრე რიგად გვეშინია? ერთხელ ხომ უკვე გამოვცადეთ ეს შიში? მაშ, კიდევ რიდასი უნდა გვეშინოდეს? ცხრა თვე გვაშაადებდა დედის საშო ამქვეყნიური სიცოცხლისათვის, მაშ, რატომ არ გვესმის, რომ მთელი ჩვენი სიცოცხლე ყრმობიდან მოკიდებული ვიდრე სიბერემდე — მხოლოდ რაღაც ახალი დაბადებისთვის ვიმზადებთ თავს?

შემორბის ამური.

ნარონი. სენეკა მოიჩქარის ჩვენკენ? იმის ნაბიჯის ხმაა?

ამური. სენეკა... (გაჩუმდა).

ნერონმა სენატორს შეხვდა, სენატორი-ცხენი ახვიხვინდა.

ნარონი. როგორ... სენეკაც?!

ამური ნაღვლიანად ღუმს.

ემე...ეს სასაცილო აღარ არის!

ამური. ცენტურიონი ლეგიონერებთან ერთად გავგზავნე სენეკასთან. რაზმისთვის თვალი რომ მოუკრავს, სენეკას თავისი მოწაფეები შეუყრია. მერე აბაჯანაში ჩაწოლილა და ვენები გადაუჭრია, თან სისხლისგან იცლებოდა თურმე, თან

მოწაფეებს ებაახებოდა და აღმოხდენია კიდევ სული. სენეკას ცოლს ქმრის კვალდაკვალ უცდია მარადისობაში გადასვლა. მაგრამ გადაურჩენიათ.

ნერონი. დიდებული აღსასრულია, როგორც შეეფარებოდა სენეკას, რომელსაც არასოდეს ჰქონია სიკვდილის შიში.

ანური. წელან ცირკის წინ თავმოყრილ ხალხში ვთქვი ეს ამბავი. მთელი რამი/სენეკას სიკვდილზედ ლაპარაკობს.

ნერონი. ჩვენი წუთისოფელი ერთი მოღანდებია, მოძღვარო. ცხრფრებნ მტუთავებელი სახეცვალებადობაა, მეტამორფოზა — არც მეტი, არც ნაკლები მუდმივი არაფერია. სად ბიჭი სპორუსი და სად ნორჩი ქალწული? სად სენატორი და სად ცხენი? სად კახა და სად უბიწო ქურუმი ქალი? ვინ უწყის, ვინ განასხვავებს? აი შენ აქ ცოცხალი დგახარ, შენს სიკვდილზედ კი უკვე მთელი ქალაქი ლაპარაკობს. (უჩურჩულებს.) იმიტომ რომ ჩემი ბოლო მეტამორფოზა აღსრულდა. სანამ შენ აქ ცოცხალი მებაახებოდი — მე მკვდრად გაქციე, გარდაცვალებ.

სენეკა (აუღელვებლად). მერედა, ეგ იყო შენი საზღაური? მაგისტვის მიხმე რომში დიდმა კეისარმა?

ნერონი. მოკლედ, როგორ მოკვდი ისტორიისთვის, უკვე გამოვარკვეით თანაც წველიდა. ახლა იმის გადაწყვეტა დაგვრჩენია — როგორ მოკვდები სინამდვილეში... სდექ! მომიტევე! მომიტევე! არის კიდევ ერთი საკითხი. რისთვის, რა დანაშაულისთვის მოკვდები? (სენეკას მღუმარების პასუხად). მართალი ხარ, მართალი. შენ ასეთი წვრილმანი რამ არ გაინტერესებს. (მხიარულად.) და ხერხოდ, რა ხუღ სიკვდილი აგვიტყდა. მოდი რამე მხიარულ ამბავზედ ვილაპარაკოთ. აი თუნდაც ხვალინდელ დღეზედ. წარმოიდგინე, დილით მთელ რომს ლატერანუსის, პიზონის, ლუკანუსის... და, რასაკვირველია, შენი სიკვდილი გერჩება პირზედ. შეგიბრალებენ, შეგიცოდებენ. მაგრამ არც ძალიან. უველას თავისი თავის დარდი აქვს. კიდევ უფრო გაიხარებენ. რახან თვითონ ცოცხლები არიან. ასე მოსდგამთ სიკვდილის შვილთ. შუადღისით კი უკვე აღარავის ეხსომებიოთ. იმიტომ რომ დიდი ნერონიები დაიწყება. და ჩვენი რომელი ხალხი... უველაფერს დაივიწყებს — ბარბაროსთა თარეშსაც, სახელმწიფოს საქმეებსაც. ხვალ შუადღისას რომაელნი მხოლოდ ეტლების რბოლით იქნებიან გატაცებულნი! წარმოიდგინე — მთელი ქალაქი ამ ცირკს მოაწყობდა. ამიტომაც ქალაქში უველგან დარაჯთა ჩაუენება ვბრძანე, რომ ძარცვა-გლეჯა არ ატყდეს... რომი ხომ... მთლად დაცარიელდება... ხოლო ეტლების რბოლის შემდგომ მხეცთა დიდი ბრძოლა მაქვს ჩაფიქრებული: სპილო მარტორქას შეებმის, ლომი — ვეფხვს... მერე კი ამ სარბიელზედ ისინი გამოვლენ (ქვესკნელზე მიანიშნებს) — ის ჩვენი ვაჟაცები — საკლავები, გლადიატორები. ვაება და უვირილი მოისმის ქვესკნელიდან.

(სენატორ-ცხენს.) ციცერონ! მიდი ერთი, გვითხარი რამე ციცერონული, შეკარგო მერანო!

სენატორი-ცხენი. არაფერი ისე არა მგავს ჩვენს დიად რომს, როგორც გლადიატორთა ბრძოლა!.. მერე, რა სანახავია ვაჟაცურად სიკვდილი და ვაჟაცურად კვლა — აი რომაელი მოქალაქის ორი ღირსება. შეხეთ — აგერ ის, დამარცხებული გლადიატორი, თვითონ უშვერს ყელს გამარჯვებულ მეტოქეს. და რადგან გამარჯვებული შედრკა, აგერ ხელიდან სტაცებს მახვილს, რომ უშიშრად განიგმიროს თავი. ზიზღი სიკვდილისა და წუწურვილი სიცოცხლისა — აი რა არის გლადიატორთა ბრძოლა! (ხეიხინებს).

ნერონი. მართლა, რა ჩინებულად მჭევრმეტყველებდნენ ეს ჩვენი რომაელი სენატორები.. კიდევ რა მოხდება იმ ჩემს ნერონიებზე? ბუნებრივია, ყურადღების ცენტრში იქნება ღმერთებისა და გმირების ცხოვრებიდან აღებული ცოცხალი სურათები. პირველად პოსეიდონისაგან გამოგზავნილ ხართან კრეტის მეფის თანამეცხედრის პასიფაეს მრუშობის ამბავს წარმოვადგენთ. ეს ნომერი განსაკუთრებით უუვართ ჩვენს რომაელ მაუურებლებს. პასიფაეს როლისთვის კი აბა, რალა თქმა უნდა, ეს კახა ავარჩიე. (ვენერა ხარხარებს). ბარემ აქვე ვიტყვი: ნერონიის დამთავრებისთანავე სენატს შევკრებ — და ეს ქალბატონი უბიწო ასულის რუბირიას ადგილს დაიჭერს... მერე კი, სიუვარულის ცოცხალი სურათის შემდგომ, გმირობას ცოცხალ სურათს — „პრომეთეს ტანჯვას“ წარმოვადგენთ. ეს იქნება მთელი სანახაობის სული და გული... ჭერ, რასაკვირვე.

ლია, მე თვითონ წავიკითხე ეს ქილის უკვდავ ტრაგედიას — „მიჩაქვულ პრომეთეს“, ამ დროს განმავლობაში კი პრომეთეს, რომელმაც ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა ადამიანების გულისთვის და ჩვენ უველანაირი ხელოვნება გვასწავლა, — კლდეზედ მიჩაქვავენ. თავდაპირველად მე მინდოდა, რომ უველანაირი გადმოცემათა თანახმად მომემოქმედა: არენაზედ გიგანტური კლდე დაეშვა მართა, ზედ პრომეთე მიმეჩაქვა და ტრადიციისდა მიხედვით დამეტანჯა... მაგრამ კლდეში ამჟამად რაღაც ბუტაფორიულია, ძველმოდურია. პატარა კლდე დაეშვა-წამება ცხოვრებისეული უნდა იყოს. ამიტომ ასე მოვიფიქრე: „არა, არა, არა“ თანადროულად დავსჯით — ჯვარზედ გავაკრავთ! გრანდიოზულია? ჯვარზედ რომ ვაცვათ და მე წავიხვას მოვრჩები — ახი ათასი აღფრთოვანებული მაყურებელი თავის თვალთ დაინახავს, რა ტანჯვა-წამებას იტანს პრომეთე. უწინარესად ღმერთი ჰეფესტოსი აძგერებს სადგისს რკინისას. მერე გაწვრთნილი უორანი დაუწყებს ღვიძლის კორტნას... და აი სწორედ აქ წავაწყდი მთავარ სინელეს... შენთან მოთათბირებაც კი მინდა, მოძღვარო. პასიფაეს შემსრულებელი, მოგეხსენება, ადვილი საპოვნელია — რომში ისინი ათასობით არიან. აი პრომეთეს როლისთვის ვისა ნახავ? პირველად ვიფიქრე, ვინმე საკლავ კაცთაგან დამენიშნა. მაგრამ მაშინვე უარი ვთქვი. ის ეფექტი არ ექნება. ისე, ოდესღაც მე თვითონაც ვცადე პრომეთეს როლის შესრულება. მართალია, მხოლოდ და მხოლოდ სცენაზედ. მახსოვს, უწარმაზარი მალაქუსლიანი კოთურნები ჩავიცვი, რომ უველაზედ მალალი ცყოფილიყავი. სად იყო, სად არა, საიდანღაც გაჩნდა მსახიობი მნესტრი... ოოო, უდიდესი მსახიობი იყო... ემ. მნესტრი. საწყალი... მოვიდა და მიუბნება: „შენ გინდა, რომ მალალი პრომეთე ითამაშო, ის კი უდიდესი იყო“. სიდიადე — აი გასაღები. მოგეხსენება, საკროს იქნება — არა მარტო ტკივილი აიტანო ათასობით ადამიანის თვალწინ, არამედ ამასთანავე ღვთაებად უნდა დარჩე — ესე იგი ის ტკივილი ვაჟაკურად, მედიდურად უნდა აიტანო... მერედა ვინ შეიძლებს ამას? (გამოთქმით.) შენ როგორ ფიქრობ, სენეკა? (პასუხის თქმას აღარ აცლის, თითქოს წამოგონდაო). ბარემ ღმერთებზეც ვიტყვი... სულ დამავიწყდა ნერონის მთავარი ცოცხალი სურათი — როცა ცირკში გამოჩნდება მიწიერი ღმერთი — მე... აბა, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ოქროში ვიქნები ჩამჭდარი, ძოწეულმოსხმული. შემდეგ კი უველაფერი ისე მოხდება, როგორც ყოველთვის — რომაელთა ტრიბუნები გულითადად მიესალმებიან თავიანთ კეისარს თანახმად სენატის მიერ დადგენილი რეგლამენტისა.

(შოლტის ტყლაშენი).

სენი-სენატორი. კეისარი რომ შემობრძანდება ცირკში, პირველი ტრიბუნიდან სამოცჯერ დაიუვირებენ — „კეისარო, ღმერთებმა გვიცოცხლონ შენი თავი“. (იწყებს გაუჩერებლივ გამეორებას).

ნერონი. გეყოფა... მერე, მერე რას იზამენ, ციცერონ.

სენი-სენატორი. მერე ახლა სხვა ტრიბუნიდან დაიუვირებენ: „ჩვენ მუდამ ვნატრობდით შენისთანა კეისარს“ — ორმოცჯერ. ხოლო შემდეგ უველა ტრიბუნიდან ერთად ასტეხენ ყვირილს: „შენ ჩვენი კეისარი ხარ, ჩვენი მამა, მეგობარი და ძმა. შენ კარგი სენატორი და ჭეშმარიტი კეისარი ხარ“, — ოთხმოცჯერ. (იწყებს განმეორებას).

ნერონი. საკმარისია... აი ამ დროს დაიწყება ტაშისკვრა. ოჰ, როგორ მიყვარს ტაში! შენ მსახიობი არა ხარ, სენეკა, შენ ვერ გაიგებ ტაშის გემოს. ო, რა სიამოვნებას ჰგვრის კაცის გულს ათასთაგან ხელის ნების ნებზედ შემოყვრა. (შემოჰკრავს). მეტადრე კი — თუ მოწონების ტაში-ტაშს სცემენ და თანაც შეძახილს აუოლებენ ტაშისმკვრელნი... (ტაშისმკვრელს გამოსახავს)... ბოლოს არენიდან გავდივარ, ჩემს ადგილას ვჯდები, — და ამ ნაირნაირი გაბმული ტაშისკვრის სმენად გადავიქცევი. და აი მაშინ ზურგიდან მომიახლოვდებიან... უფრო სწორად, უნდა მომიახლოვდნენ... ოთხნი. ოთხივე შენი სწორუპოვარი ბრძენი მეგობარია — სენატორი ანტონიუს ფლავიუსი, კონსული ლატერანუსი, სენატორი პიზონი და პოეტი ლუკანუსი. მე კი ვდნები, ისე მსიამოვნებს გაუთავებელი ტაში. სწორედ ამ დროს სენატორი პიზონი მუხლებში ჩამივარდება... უფრო სწორად, უნდა ჩამივარდეს... დიდი ლუკანუსი კი იმ ოთხთა მიერ ხელმოწერილ

წერილს მაწვდის, მე, გულუბრყვილო ჭაბუკი, ვშლი გრაგნილს და ვკითხულობ. ანაზღად კონსული ლატერანუსი ზურგიდან მომვარდება და ხელებს მიჭერს. ხოლო სენატორი ფლავიუსი, შენი მეოთხე მეგობარი—დანას მირტუამს გულში. (შოლტის ტულაშენი — სენატორი-ცხენი ხვიზინებს).

ნერონი (ღრიალებს). არა!! შენ ცოცერონი აღარ ხარ!! შენ ისევე ნაზიკვარი სენატორი ანტონიუს ფლავიუსი ხარ, რომელმაც შენი კეისრის მოკვლა გადაწყვიტა აბა, მიდი, გვაჩვენე, როგორ აპირებდი ამას! (გაცოფებულე ქალღმერთ აჩვენებს სენატორს ხელში დანას.) ჰა, დამარტყი! (ღრიალებს.) დამარტყი! შენ მოიხივებ ტანზე. ჰა, მიდი! არავინ გიუურებს სენეკას მეტი შენი მეგობარი სენეკას მეტი რომელსაც რომის მთავრად უპირებდით დასმას! შემთხვევა თუ მიეცემა, არც ეს დაინდობს თავის მოწაფეს! (კბილებს აღრქიალებს). „მუცელში დამცხე“, — როგორც დედაჩემი ყვიროდა, როცა მოსაკლავად გაიმეტეს. ჰა, გაბედულად, ოხერო! (სენატორი ძირს აგდებს დანას, რბენით განშორდება, ხვიზინებს.) ნებვი ეს არის თანამედროვე ბრუტუსი? ვაი, საცოდავო საუკუნე! (სრულად მშვიდად, თითქოს საუბარს განაგრძობს). და აი გუშინ გათენების უამს შემატუბინეს შეთქმულების ამბავი. როგორ ფიქრობ, რა მოვიმოქმედო, მოძღვარო?

სენეკა. მე ეგეთ საქმეებში ვერ ვერკვევი, და ვერც გამოვიცნობ, რა მოიმოქმედა დიდმა კეისარმა!

ნერონი. ყველაზედ ბუნებრივი ის იქნებოდა, რომ სუყველანი გალიაში გამომეწყვიდეთ. „ასეც მოიქცეოდა ყველა უწინდელი კეისარი... მაგრამ არა მე. მე ვიცნობ ჩემს საუკუნეს. ჩვენს დროში არავითარი ძალის მიტანა არ არის საჭირო: ძალას თუ მიიტან, შეთქმულნი უმალ მიხვდებიან, რომ შეთქმულება გამომეღაცნებულა, მორჩა და გათავდა! ძველად ისინი, რასაკვირველია, ხელად რაღაცას მოიღონისძიებდნენ: ან დასწრებას შეეცდებოდნენ და გამოვიდოდნენ, ან არადა თავს გაქცევით უშველიდნენ!.. ეხლა არა.. ეხლა შინ ჩაიკეტნენ და მოახლოებული ნაჯახისკენ კისერგაშვერილები იცდიან. აი ხომ ნახე, რაც ქნეს — თავიანთ საუცხო აბაზანებში ჩაწვენ და ქირურგებს უხმეს. შენ მოწმე ხარ, სენეკა: მე მხოლოდ ცენტურიონებს ვუგზავნიდი, და კაკუნის ხმა გაისმოდა თუ არა, ისინი უმალ თავს სასიკვდილოდ იგმირავდნენ, თანაც არ ავიწყდებოდათ, რომ მთელი ქონება მლიქვნელურად დაეტოვებინათ ჩემთვის — თავიანთი მკვლელისათვის, — რა არი არ შემევიწროვებინა იმათი საცოდავი შთამომავლობა!.. იმიტომ რომ ამ ქალაქს, სენეკა, კარგა ხანია მე კი არ ვმართავ და არც ღმერთები... არამედ შეშის ერთი მხოლოდ შეში, მოძღვარო. ამ შეშის ქალაქში უკვე დიდი ხანია გადაშენდნენ ადამიანები. დარჩა მხოლოდ „ძვალი და ხორცი“ იმ ადამიანთა. და წუხელ არც ლატერანუსს განუგმირავს სასიკვდილოდ თავი. არც პიზონს, არც ლუკანუსს. წუხელ მხოლოდ ლატერანუსის, პიზონის, ლუკანუსის „ძვალმა და ხორცმა“ მოისწრაფა სიცოცხლე. აგერ იმ თავლაში დარბაისელი რომაელი სენატორის ანტონიუს ფლავიუსის „ძვალი და ხორცი“ ხვიზინებს. როცა ეგ შეიპყრეს... ჩემი ერთგული ტიგელინუსის მოლოდინში ქალათმა ამოიღო და თავისი ხელსაწყოები წინ დაუწყო... შენ რასა ფიქრობ, რა დაუწყო? რა და, რასაკვირველია, ანწუხი, ანუ წვეტიანი სარი, ზედ წამოსაგებად... რასაკვირველია, გაწი და მარწუხი... და სენატორ ფლავიუსის „ძვალი და ხორცი“ მუხლებში ჩამივარდა, რაც გინდა, ის მიყავი, ოღონდ ტიგელინუსს ნუ ჩაუგდებ ჩემს თავს ხელშიო! ხომ ხედავ, შევიბრაღე. მართალია, ულყად ვაქციე, მაგრამ სამაგიეროდ ცოცხალი დავტოვე. იყოს და იხვიზინოს. განასულ ერთი არ არის „ძვალსა და ხორცს“ რა ერქმევა! აი ვისთან ერთად იყავი შეთქმულების თანამონაწილე, მოძღვარი. რას განუშებულხარ? (ისტერიულად). რას განუშებულხარ?!

ამერი მივარდება სენეკას და გრაგნილებს სახეში უფათურებს.

ნერონი. ეს შენი წერილებია? ყველა შეთქმულს შენი წერილები ვუნახეთ! (სული ეხუთება). დგახარ და თავლაფს ასხამ შენს კეისარს! ვითომ ვიდაც ლუცილიუსს სწერდი! ამ გზით აპირებდი კვალის დაფარვას, ძველო კონსპირატორო? (ყელში სწვდება სენეკას). მხარში უდევს თუ არა შეთქმულებს? ხმა ამოიღე ხმა ამოიღე!

პირზედ დაადგეს ანტონიუს ფლავიუსის ძვალი და ხორცი

ამური ხელის კვრით წინ წამოაგდებს სენატორ-ცხენს.

ნორმ. ესეც ერია თუ არა შეთქმულებაში? ჰა, ციცერონ? (მათრახს გადაჰკრავს სენატორს) ამ სენეკას... ამ ბებერ ქოფაკს... რომელსაც წყალობის კალთა გადავაფარე... ჩემი მოკვლა უნდოდა თუ არა? რას გაჩუმებულხარ, ციცერონ? (ღრიალებს) უხმეთ ტიგელინუსს!

სენატორი ახეიხინდება. ცრემლად იღვრება.

ნორმ. მორჩა! ყველაფერი ცხადია, სენეკა: შენმა მეგობარმა — სენატორ „ძვალმა და ხორცმა“ გაამხილა! (ამური ხარხარებს. ამურს.) თავი კი ისე ეჭირა... ვითომ არ იცოდა მეტამორფოზობანას თამაში, თვითონ კი ხომ თამაშობდა? მერე, როგორ ლამაზად თამაშობდა! მოძღვარს უჩუმრად თავისი მოწაფის მკვლელად უცვლიდა სახეს... მაგრამ დაგავიწყდა, ფლიდო, რომ მიწიერი ღმერთი ვარ! და ყოველგვარი სახეცვალობა ჩემი ხვედრია. აი, რატომ არის, რომ შენი მეტამორფოზა ხულ ადვილად ჩემი ხდება და გრაციოზულად ვაგვირგვინებ: ჭერ კიდევ მკვლელად არ გამხდარ სენეკას მკვდარ სენეკად ვაჭყავ... ეხლა ხომ ჩახვდი ჩემი საზღაურის აზრს. თუმცა ეს ჭერ პირველი შესატანია, მთელ საზღაურს მერე გამოვარკვევთ. დღეს დიდი ღამე დაგიღამდება, სენეკა. შენი ცხოვრების ყველაზედ დიდი ღამე.

სენატ. მადლსა გწირავ საზღაურისთვის, კეისარო.

ნორმ. და კიდევ იმისთვისაც უნდა იყო მადლობელი, რომ არ დამვიწყებია შენი სულელური საზრუნავი — რას იტყვის ჩემზედ შთამომავლობაო. სწორედ ამიტომ გარგუნე ეს უაზრო დიდებული სიკვდილი მოწაფეებით გარშემოხვეულ აბაზანაში! დანარჩენს ლეგენდა შეავსებს.

სენატ. მაგისტრისაც მადლსა გწირავ, დიდო კეისარო.

ნორმ. (ამურს). როგორ გვარგვენებს თავს, ვითომც სიკვდილისა არ ეშინოდეს! (სენეკას). ეჰ, სენეკა; მე ხშირად დავკვირვებოვარ სიკვდილს და ასე გიტყვი: ერთი საქმეა სიკვდილის წარმოდგენა და სულ სხვაა, როცა კვდები. განსაკუთრებით ისე როცა კვდები, როგორც კვდებიან ჩვენს უგანათლებულეს საუკუნეში. ისევ საუვედურით მიმზერ, მოძღვარო. კი, კი, ვხედავ, შენს თვალეში არ ჩანს სიკვდილის შიში, ყველაფერს ვხედავი (ეხვევა სენეკას). ხელისუფლების სათავეში რომ ჩავდები — რომში ბევრსა ჰქონდა ეგეთი თვალეები. ეხლა ნურას უკაცრავად, უკვე ანაქრონიზშია... მე, ცოტა არ იყოს.. ავბორცობის უინი... მიპყრობს ხოლმე, როცა მაგისტანა თვალეებს ვხედავი (ჩურჩულებს). იმიტომ რომ ვიცი.. როგორ ჩაქრება შუქი ამ თვალეში... როგორ შეცვლის შედიდურობას პირმოთნეობა... და ამაყი ხული კაბა ქალივით შეუშვებს თავის წიაღში ჩემს ხელისუფლებას (ღუღუნებს). აი მოვიდეს ტიგელინუსი... ტიგელინუსი დიდად სწავლული კაცი... მან აღმოაჩინა კანონი. (მოულოდნელად სახეში გასცხებს სენეკას. ის შეჰყვირებს, მაგრამ იმწამსვე გონს მოდის). მომიტევე, მოძღვარო, მაგრამ უცებ გაგიელვა, არა? ოღონდ ეგ მხოლოდ დახაწყისია შიშისა... აბა, ტანსაცმელი შემოგახიონ... აბა, თავი დარჯაკში ჩაგიდონ და მოგიჭირონ... თანაც ეგ გამხმარი საქდომი გამოგიჩინონ! მერე ვნახავ ერთი, რა გმირობის ხასიათზეც იქნები ამგვარ პოზაში... მარტო ტკივილსა და სიკვდილსა იგრძნობ. თუგინდ ციცერონს ჰკითხე (ცხენი-სენატორი ხეიხინებს) აი ისევ, სენეკა, ისევ გაგიელვა... ხომ? არა, შენ ბრალი არ მიგიძღვის ამ შენს სისუსტეში, უბრალოდ გიმეორებ: არსებობს „ტანჯვა-წამების კანონი“, ის ჩვენმა ერთგულმა ტიგელინუსმა აღმოაჩინა. და ასე უღერს: „რომელიც გინდა შეძლებული და პატივდებული ადამიანი აუცილებლად ვერ გაუძღვებს დამცირებას და ხორცის ტკივილს. და რაც უფრო მეტი შეძლება და უფლებები ჰქონდა — მით უმეტეს“. შენ კი ჩვენში ფრიად მდიდარი კაცი ხარ, ერთ-ერთი ყველაზედ პატივცემული ადამიანი... არა, სენეკა, საკითხავი სიკვდილი კი არ არის, საკითხავი ის არის, როგორ გეწვევა შენი სიკვდილი... „მაგრამ ჩვენ ყველაფერს გამოვიკვლევთ“, — ასე უყვარდა თქმა ბრძენ სოკრატეს, რომელი სოკრატითაც შედმეტად მკვებე ჩემს ბავშვობაში. და მხოლოდ მაშინ გაგისწორდები... მაგრამ აჩქარებაა საჭირო: რათა ყველაფერი მოვასწროთ ტიგელინუსის მოსვლამდე — ჩვენ ვსაზღვრავთ, ის კი აღასრულებს საზღაურს... ჩვენ სულ მუდამ

ვოლატას ველით, დაიხსომე, სენეკა, თავდაპირველად სამ ბრძენს ველოდით — შენი შეგობრებს... ეხლა ტიგელინუსს ველოთ... ბავშვობაში სიუმაწვილეს ველოდებით, სიბერეში კი... რასაც ველოთ, კარგად მოგეხსენება — ასეთია სიკვდილის შეილთა ზვედრი... თან საქმე!

ამური მივა სენეკასთან და მდუმარედ გაუწვიდა გრაგნილებს



სენეკა. რა არის ეს, კეისარო?

ნერონი. შენი წერილებია, ლუცილიუსთან გაგზავნილი. უფრო სწორედ უფრო წერილებიდან ამოკრეფილი ადგილებია... როგორც ოდესღაც მასწავლიდი, მოკლედ შევაქამე ყველა შენი უსტარო... ჩახედე, აბა... შენი სიტყვებია?

სენეკა (თვალს გადაკრავს. მშვიდად). ჩემი სიტყვებია, კეისარო.

ნერონი. ეხლავ ხმამაღლა წაიკითხავ... აი ეს ბიჭები კი... (გაჩერდა, ამურს უცქერის). და ამური უცნაური მიხრა-მოხრით ზედ წაადგება სენეკას.

ნერონი (თითქოს გაკვირვებული). რა მოუვიდა?! შეხე, სენეკა!.. ნუთუ მართლა?! (ამური მღერის). ეს ნამდვილად მეტამორფოზაა!.. აღსრულდა! მა, იცანი? ეს უკვე სპორუსი აღარ არის! ეს ჩემი საწყალი ძამიკოა — ბრიტანიკუსი, რომელიც მე... უყურე ერთი, რა გაკნაჭულია, რა დასუსტებულია... ყმაწვილი ღვთის სახე აქვს... გახსოვს, რა მშვენივრად მღეროდა ეს ჩემი მამინაცვლის შვილი, ჩემი ბრიტანიკუსი. (ამური მღერის). ამბობენ, ვითომც მე შევარებოდეს და ცოდოც კი ჩამედენინებინოს, მაგრამ სულ ჭორებია... (ამური მღერის). ისევ ჩვენთან ერთად არის: ბრიტანიკუსი ცოცხალია. (ეძახის). ბრიტანიკუს! ბრიტანიკუს!

ამური (ხმას შეუწვობს). ნერონონ! ნერონი

ნერონი იცინის, იცინის ამური. ვენერაც სიცილ-სიცილით წამოდგება და წინ წამოვა, თითქოს მთლად გამოცვლილია, სულ ახალი ვენერაა — მედიდურია, მიუდგომელი.

ნერონი. ო, ღმერთებო! შეხე — ამასაც მეტამორფოზა დამართვია! იცანი, სენეკა? აბა, გამოიცანი ვინ გვიდგას წინ? ვისია ეს მშვენიერი უმანკო სხეული? მა, გამოიცანი? ეჰ, რა სპეტაკი ადამიანი იყო. თანაც იმიტომ კი არა, რომ გამოცვდილება არა ჰქონდა — არამედ იმიტომ, რომ ნებისყოფასა და ძალას დაათრგუნვინა თავისი ცოდვილიანი ქალური უინი. მა, გეცნო, რასაც გეუბნები? მა? ვერ იცანი ჩემი ცოლი? ჩემი საწყალი ოქტავია? შენ არ ამბობდი ხოლმე, ზედგაოჭრილია ქალღმერთი ვესტაოს საწყალი ოქტავია, ისიც... ჩემი ხელით... (ეძახის). ოქტავია! ოქტავია! ისევ ჩვენთან ერთად არის. (შოლტს გაატყლაშუნებს).

სენატორი-ცხენი ხეივანებს). აგე, პირუტყვმაც დამიდასტურა.

ვენერა მომზიზღელად და ამაყად მოძრაობს, თითქოს აღტყინებულია, და უცებ ერთბაშად მიხრა-მოხრა ეცვლება — თქმები აუთამაშდება.

ო ღმერთებო! სენეკა! მეტამორფოზები გრძელდება! არა, ეს უკვე ვესტა აღარ არის! აბა, დაუკვირდი, რა კობტა, სრული ტანი აქვს. ზედ სხეულზედ სიგრძივ რამე ზოლს თუ ჩამოვავლებთ... ეჰ როგორ აფასებდა ამგვარ უერ-ზორცს ჩემი შეგობარი პოეტი პეტრონიუსი... საწყალს პეტრონიუსი, ისიც ხომ... ჩემი ხელით... პოდა, იმას გეუბნებოდი, სიგრძივ რამე ზოლს თუ ჩამოვავლებთ ზედ ათქვირებულ ძუძუ-მკერდზედ... ოღნავ მომრგვალო მუსცელზედ... და სწორ მოსქო ფეხებზედ... — ხედავ: რა ტალღა გამოვიდა! სწორედ ის ავზორცეული ტალღა, რომლისგანაც თავად იშვა! დიახ ვენერაა, ვნებით სავსე ვენერაა ანუ... დედაჩემი! შენ თვითონ არ აღარებდი ხოლმე დედაჩემს ვენერას? ერთბაშად ეს მომაგონდა ოდეს დედაჩემი ტიტველი და მუსცელგამოფატრული დავინახე... სენეკა, დედაჩემი გვეწვია!... ჩემი დედიკუნა, რომელიც აგრეთვე ჩემი ხელით... (ეძახის). დედა! დედა! (ისტერიულად). დედა! (ვენერა იცინის). დიახ, დიახ, ისინი სუყველანი ჩვენთან ერთად არიან, სენეკა... როგორც წინათ. (ქვესკნელიდან ღაღადება მოისმის). ეჰე, ეგენი სულ დაგვაფრწუნდნენ... „ეგენი“ იქ კახბებს ასხედან, რამდენიც უნდათ, იმდენს ხეთქავენ და ლღვევენ და უაზროდ ღრიალებენ... „ეგენი“ არიან სწორედ ბრბო... უფრო სწორად, დიდი რომელი ხალხი, რომელი ხალხიც გვეხვია გარს მე და შენ მთელი ეს წლები... მგონი, ყველანი შევიკრიბებით. დაწუება შეიძლება. აბა, რაღა თქმა უნდა, ნერონის როლს მე შევასრულებ... რას მომჩერებიხარ?

სენაპ. არ შეხმის, კეისარო.

ნარონი. სულ გამოჩერჩეტებულხარ, მოძღვარო, იმ შენს ურუ სამყოფელში... კარგი, აგის-
ნი, გახსოვს ალბათ, ბავშვობაში, ჩვენს ბუხართან, მიაშობდი, როგორ კვდე-
ბოდა დიდი კეისარი ავგუსტუსი. შეკრიბა მაშინ მან თავისი ახლო მეგობრები,
გადაივარცხნა ქოჩორი, მოგებხსენება, კოპწია კაცი იყო, და ჰკითხა: „როგორ
ვითამაშე ცხოვრების კომედიას? თუ კარგად ვითამაშე, ნუ დამამადლოთ და
იმ ქვეყანაში სულ ტაშისკვრით გამაცილეთო“... ჩვენი საქმეც ~~ესაა~~ ~~ტენი~~ ~~ესაა~~ ~~ტენი~~
ლინუსის მოლოდინში... ჩვენც ჩვენი ცხოვრების კომედიას გავაჩვენებთ...
ეს შენ იმისათვის გჭირდება, რომ წახვიდე, შე კი იმისათვის, რომ მთლიანად
გაგისწორდე. და იქნებ ტაშითაც გაგაცილო. გაუმარჯოს თეატრს, სენეკას.. აბა,
რალა თქმა უნდა, სენეკას როლს შენ შეასრულებ. სწორედ ამიტომაც გადმო-
გეცი შენი წერილები...

სენაპ. (ოდნავ ჩაცინებული). მერედა, ვინ გაბედავს, ვინ გვეტყვის — კარგად ვითამაშეთ
თუ ვერა ცხოვრების კომედია?

ნარონი. შენ იმის კითხვა გინდა, მსაჯულობას ვინ გაგვიწევს, არა? მე უველაფერი გავი-
თვალისწინე, მოძღვარო. (მივა უზარმაზარ კასრთან, საიდანაც ხან ჩნდება, ხან
უჩინარდება ქალბა თაეი). აი აქ — კასრში ზის მსაჯული... ეს კასრი წერილ-
თან ერთად აქაიის პრეფექტმა გამომიგზავნა, სვალინდელი... მომიტევე, უკვე
დღევანდელი წარმოდგენისათვის. რა ვიცი, მწერს, ოთხასი წლის კასრიაო, და
ყოველთვის კორინთოს სავაჭრო მოედანზედ იდგაო. ირწმუნება, ოდესღაც შიგ
დიოგენე ცხოვრობდაო... და მას მერე — უკვე ოთხი საუკუნეა — თურმე
არახდროს ცარიელი არა ყოფილა. შიგ მუდამ რომელიღაც ბრძენს უცხოვრია.
ასე ვთქვათ, შენს კოლეგას. აი ამ ბერიკაცის სიბრძნეზედ (კასრში მჭდარ ბერო-
კაცზე ანიშნებს). ლეგენდები დადის. (მივა კასრთან. ბერიკაცს). რა გქვია სა-
ხელი?

კასრში მჯდომი ბერიკაცი. ჩამომეტყალე, თუ კაცი ხარ, მზეს ნუ მიჩრდილავ.

ნარონი. მაგრამ ეს შენი ნათქვამი რომ არ არის. მაგის მთქმელს დიოგენე ერქვა.

ბერიკაცი. მართალი ხარ, ძმაო.

ნარონი (შოლტს გადაუქერს). კეთილი ინებე და დიდი კეისარი დამიძახე. თქვი, რა გქვია?

ბერიკაცი. დიოგენე.

ნარონი (შოლტს გადაუქერს). თქვი რა გქვია?

ბერიკაცი. დიოგენე.

ნარონი (სცემს). გეყოფა — გამბაზობა! (ღრიალებს). თქვი, რა გქვია?

სენაპ (აუღელვებლად). შეშინია, არ შემოგაკვდეს, კეისარო. და სუუველაფერი იმის ბრა-
ლია, რომ ცუდად შეგითვისებია ჩემი გაკვეთილები (ჩაეცინა.) ბუხართან
მჭდარს. დაგვიწყებია, რომ დიოგენეები ბევრი იყვნენ. ვინც პირველი ჩასაბ-
ლებული ჩანს ამ კასრში, ის დიოგენე სინოპელად იყო სახელდებული. ყოველ
შემთხვევაში, კასრზედ მის წანაწერს ვხედავ. (კითხულობს). „უშთავრესია —
არცრა და არცვინ არა გვჭირდებოდეს“, როგორც ოდესღაც მიაშბნია — დიო-
გენე სინოპელს არაფერი არა ჰქონდა, გარდა ლაბადისა, არგნისა, ანუ საბრ-
ჭენელი ჯოხისა და პურის აბგისა...

ბერიკაცი კეთილი და პატიოსანი! ოღონდ თავდაპირველად კათხაცა ჰქონდა, ძმაო. სანამ
დიოგენე ერთ პატარა ბიჭს არ გადაეყარა, რომელიც წყალს პეშვითა სვამდა
წყაროდან. და დიოგენემ თქვა: „რამდენი წელიწადია თურმე სულ ტყუილად
მითრევია ეს ზედმეტი სიმძიმეო“. აი სწორედ მაშინ გადააგდო მან ის თავისი
კათხა.

სენაპ. მართალს ამბობს, კეისარო... მერე კი იყო დიოგენე აპოლონიელი, კრეტადან მოსუ-
ლი. იყო დიოგენე ბაბილონელი და დიოგენე როდოსელი. დიოგენეები ბევრ-
ნი იყვნენ, ნურც ამისი დიოგენობა გაგიკვირდება.

ნარონი. სათვალავით მერამდენე დიოგენე ხარ, ბერიკაციო? მიხანიშნებლად მეტსახელს რას
გეძახიან?

ბერიკაცი. დიდის სიხარულით გიპასუხებ, ძმაო.

ნარონი (შოლტს ვაატყულაშუნებს). დიდო კეისარო-თქო.

ბერიკაცი. უველა დიოგენე აახლებდა ამ კასრის წარწერას. შე ვარ — „დიოგენე პირველი“
წარწერის განახლებაზედ უარის მთქმელი“...

ნარონი. მერედა, რატომ თქვი უარი?

ბერიკაცი. რატომ და, მე უველას თავი მეჭირვება, და კიდევ ჩემზედ ამბობენ, რომ მე ვარ: „დიოგენე, რომელსაც თავისი კასრი არასოდეს დაუგდია“.

ნერონი. რა არი, რა ნახე მაინც ასეთი ამ მუდროს ბუდეში?

ბერიკაცი. ვერ ვმოდრობ, ძმაო. (შოლტი გატყლაშუნდება: ბერიკაცი ასწორებს,) დიდი კეისარო... სახსრები მაქვს დაღეწილი, მართო ხოხვადა შემოიქცია.

ნერონი. ეგრე ჭიუტად ძმას რატომ შეძახი?

ბერიკაცი. რატომ და, ადამიანები უველანი ძმები ვართ. ამიტომ არის, რომ უველას ერთ-მანეთის თავი გვჭირდება.

ნერონი. მაშ, დაიხსომე, მე, შენი ძმა — დიდი კეისარი, გავიმხელ, რა სახელიც ამიერიდან გერქმევა, შენ იქნები: „დიოგენე-უკანასკნელი“. იმიტომ რომ ამ კასრში აღარავინ და აღარასოდეს აღარ იქნება.

ბერიკაცი (გაიღიმებს). ეგრე არ გამოვა....

ნერონი. გამთენიის უამს ცეცხლს წაუკიდებენ და დაგიწვავენ. ეხლა კი, დიოგენე-უკანასკნელი... სანამ ისევ კასრში ხარ... — კარგად გაახილე თვალები! შენ გახდები დიადი კომედიის მხილველი... ამ კომედიაში მონაწილეობს შენი ძმა კეისარი და აგრეთვე შენი ძმა სენეკა... უნდა დამეთანხმო, რომ ჩვენისთანა მხახიობებს უოველდღე ვერ იხილავ. (სენეკას.) მა, რას იტყვი, მოძღვარო, თანახმა ხარ ამ კაცის მსაჯულობაზედ?

სენეკა. როგორც კეისარი ბრძანებს.

ნერონი. მაშ, დაიწყე. წაიკითხე შენი წერილები... მომიტყევე, თუ გავბედე და ზოგიერთი გრძელ-გრძელი ადგილი შევკვეციე. წერით ლამაზად წერ, ოლონდ — უწინდებურად. ჩვენ კი არქარებულ საუკუნეში ვცხოვრობთ... მაგრამ ნება შენია... რის აღდგენაც გინდა... კითხვაში აღადგინე. სენეკას ხომ შენა თამაშობი შიდი, აბა! დაიწყე!

სენეკა (დაფიქრდება, მერე ნელ-ნელა, გულგრილად იწყებს კითხვას). „უკანასკნელ ხანს, ჩემო ლუცილიუს, სულ უფრო ხშირად ვიღებ ხელში კალამს, რათა უველაფერი ქალღმრულად დავტოვო, რისი მოწმეც კი ვუოფილვარ. შენ მეკითხები, როგორ გავხდი კეისრის აღმზრდელი. არა? რიგზედ მოვეყვები. კეისარი ნერონი აქციუშში დაიბადა მეთვრამეტე დღეს იანვრის კალენდების წინ“.

ნერონი. ჩემი როლია! მე ვიბადები... ცხრა თვე დედის მუცელში ვიცხოვრე მისი ავბორცული ბილწი აზრებით. და აი, — თავისუფალი ვარ! შენ ხწორს ბრძანებდი, მოძღვარო: შეუცნობელ ქალის ხელებს ვგრძნობ, და შიშისაგან ხული მეხუთება... შიში თეთრია... ზეწრის ფერი.

ვენერა ხელებს უწვდის, და ნერონი ზედ ეცემა

მე ვარხებობ!

სენეკა. „სენეკას მამამ, დომიციუსთა შთამომავალმა, თავისი ნიკოცხლის უოველ უამს ჩადენილი უბილწესი ბოროტმოქმედებით გაითქვა სახელი“.

ნერონი. შენ ძალზედ წვრილად აღწერდი მამაჩემის ავკაცობის ამბავს. და მე შევკვეციე სულ ერთია, მამა მაინც არ მახსოვს.

სენეკა. „ნერონი რომ დაიბადა — მამამისმა შექყვირა — მე და აგრიპინას სხვა რა უნდა გავვიჩნდეს, გარდა უბედურებისაო“.

ნერონი. დაიხსომე, მაგ ადგილისთვის ხელი არ მიხლია.

სენეკა (მშვიდად განაგრძობს კითხვას). „ნერონის მამა წუალმანკისგან რომ გარდაიცვალა, დარჩა მცირეწლოვანი ვაჟიშვილი და ცოლი აგრიპინა, კეისართა შთამომავალი. აგრიპინა, რომელიც იმხანად უმაწვილი ქალი იყო, — ნებასა რთავდა მოხუც კეისარ კლავდიუსს, რომ მისი აღერსით ესარგებლა, ხოლო სჭულიერი ბეულღე გაუხდა თუ არა, აიძულა მოხუცი კლავდიუსი, რომ ნერონი ეშვილებინა, და თავის მემკვიდრედ გამოეცხადებინა. ნერონი მეთერთმეტე წელიწადში იყო გადამდგარი, როცა მე მისი აღმზრდელია შემომთავაზეს, და მეც თანახმა გავუხდი“.

ნერონი. შენ ბევრი რამ ვიწერია ჩვენს გვარსა და მოდგმაზედ. მაგის ერთი მეთოდის გულისთვის ტიგელინუსი აწუხებზედ აგებს უველას. აბა, რატომ გახდი ჩემი აღმზრდელი — თუკი ჩემს დედ-მამას სხვა რა უნდა გასჩენოდა, გარდა უბედურებისა?

სენეკა. ვიმედოვნებდი, კეისარო.

ნერონი (კასრიკენ). იმედოვნებდა! ხეს თუ სხვაფრად შევლებავთ, ის რა, მწვანე აღარ იქნება? ხოლო მგლის ნაშიერი შინაურ ნაგაზად იქცევა?

სენატ. მართალი ხარ, მაგას დაზუსტება უნდა, კეისარო. (გულგრილად). მე მაშინ რომზედ ვფიქრობდი, სახელმწიფოს მომავალზედ, საკუთარი ხულისთვის ზრუნვა არაღ მიმაჩნდა. ოცნებად მქონდა გადაქცეული ისეთი ჭაბუკის აღზრდა, ვინც პატივსა სცემდა სენატს და ჩვენს უძველეს კანონებს! ვისაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაეგმო გარდასულ კეისართა, ანუ ტიბერიუს-კალიგულა-კლავდიუსის უსაშინლესი დრონი. და თუმცა სული განმარტოებას მთხოვდა — წუთით არ მოვასვენე, რომის მომავალი მედგა თვალწინ.

ნერონი. რა კეთილშობილური საქციელია... მაგრამ მაგას უველაფერს შევამოწმებთ, ხომ ასეა?.. განაგრძე, მოძღვარო.

სენატ. „ერთხელ ნერონის დედამ, აგრიპინამ, მთხოვა, ქალდეველი მისნები მომიყვანო. მეც მივუყვანე. შვილის ბედის ამბავი რომ ჰკითხა, ერთ-ერთმა მისანმა მიუგო: „გამეფლება — მაგრამ დედას მოჰკლავსო“. და მალე ძალაუფლების ხელში ჩაგდებას წუურვილით გაშმაგებულმა აგრიპინამ საწამლავი ჩაუყარა მოხუც კეისარ კლავდიუსს — რათა ტახტზედ თავისი შვილი აეყვანა“.

უცერად — ნერონი აღაღადდება. ძირს ეცემა, იკრუნჩხება და მიწაზე გორავს. სენეკა შეძრწუნებული უტკბერის. და როგორც ძაღლები აპყვებიან ხოლმე ერთ-მანთს ყუფაში — ისე აპყვებიან ნერონის დაღადებას ქვესკნელში ჩაყრილი აღამიანები. გაშმაგებული ყვირილი ისმის.

ნერონი. გესმის! როგორ ღრიალებენ! ეგენი უკვე მიხვდნენ, რომ დედაჩემმა კლავდიუსი მოკლა. ეგენი დედაჩემს მოკლავენ! მეც მომკლავენ! (ღრიალებს) შეშინია! შეშინია! (მშვიდად წამოდგება, იცინის). რას მომჩერებიხარ? ვითომ დაგავიწყდა? დაგავიწყდა, როგორ ვღრიალებდი მაშინ შეშინებული? მერე შენ რა მიპასუხე? ეს შენს ბრძნულ წერილებში არ ჩაგიწერია, მაგრამ მე და შენ უველაფერი უნდა ვიცოდეთ — შენი ზრომისა და ღვაწლის ზუსტი ანაზღაურებისათვის. (უყვირის.) რა მითხარი მაშინ?

სენატ. ჩვიდმეტი არ შეგსრულებოდა. ჭერ ისევ უმაწვილი იყავი.

ნერონი. ჭაბუკი ვიყავი, სენეკა. უკვე ჩვიდმეტის ვხდებოდი... რა მითხარი მაშინ? ჰა?

სენატ. რა გითხარი და — „ნუ შეშინია კეისარო, ეგენი იმას ყვირიან, რასაც უოველთვის ყვირის რომაელთა ბრბო, როცა კეისრები ეხოცებათ: „კეისარი კლავდიუსი მოკვდა! გაუმარჯოს კეისარ ნერონს-მეტქი!“

ნერონი. მაგრამ მაგის გარდა კიდევ რაღაც-რაღაცები მიამატე... გელოდები!

სენატ (უდილობს, რომ მშვიდად ილაპარაკოს). „და დაიხსომე, კეისარი კლავდიუსი არავის მოუკლავს, ეგ ავი ხმებია, მბრძანებელთა სიკვდილის შემდეგ მითქმა-მოთქმა ყოველთვის ჩნდება, შენი მამინაცვალი სოკოთი მოიწამლა — მორჩა და გათავდა-მეტქი“... ასე იმიტომ გითხარი, რომ ჭერ კიდევ პატარა ბიჭი იყავი და ვერ გაიგებდი მაშინ... რა რთული და დახლართულია ცხოვრება. შენი დამშვიდება იყო საჭირო. და შენც დამშვიდდი, გვარდიელებთან გახვედი და სიტყვა წარმოთქვი.

ნერონი. აბა-აბა! მე ისევ ძველებურად ვღრიალებდი. (კვლავ დაეცემა მიწაზე, ღრიალებს) „დედაჩემმა ჩემი მამინაცვალი მოკლა! მე ვიცი, სუყველამ იცის! შეშინია! ვერა, სიტყვის თქმას ვერ შევძლებ!“ (წამოდგება.) ცუდად არ გამომივიდა, ხომ მართალია? დიდი მსახიობი დიდი მსახიობია... და შენ რა მითხარი, სენეკა? (სენეკა ღუშს.) დიახ, შენ ხმა არ ამოვიღია. და მდუმარედ გამომიწოდე დაწერილი სიტყვა და მაშინ მივხვდი: შენ უველაფერი იცოდდი და ის სიტყვა აღრევე გქონდა დაწერილი. ისე, ჩინებული სიტყვა იყო... კარგი რაშე იყო! (მათრახს გაატყლაშუნებს.) ციცერონ... აბა მიდი, ჩემო... ესე იგი — ამის სიტყვა.

სენატორი-ცხენი. „გვარდიელნო!.. მე — თქვენი კეისარი ვარ“...

ნერონი. არ გინდა! უველა სიტყვა ერთნაირია — ჭაერში იყარება! პირდაპირ მიდი: რა ღრიალებს იმათ ჩემო... ესე იგი ამის სიტყვის შემდეგ? (მოლტს გაატყლაშუნებს).

სენატორი-ცხენი. „კეისარი კლავდიუსი მოკვდა! გაუმარჯოს კეისარ ნერონს!“ — ოცქერ. „ჩვენ მუდამ ვნატრობდით შენისთანა კეისარს!“ — ოცქერ. „შენ ჩვენი კეისარი ხარ, მამა და ძმა. შენ დიდი სენატორი და ჭეშმარიტი კეისარი ხარ! — ორმოცქერ! (ხეიხეინებს. ქვესკნელიდან ყვირილი მოისმია).“

ნერონი (ყვირილს აყურადებს). დიახ, დიახ... აი ამ ყოფინით მიყვავდით იმათ პრეტორიულ გვარდიელთა ბანაკში. მახსოვს: თეთრი შიში... და ცხენების ქიხვინი... მერე კი ხელში ატაცებული მიმიყვანეს სენატში. და სენატიდან გამოვედი — კეისარი, ყველანაირად პატივდებული, მხოლოდ წოდება — „მაშულის მამა“ უარყვავი. რათა სენატი მიმხვდარიყო, რომ ახალ კეისარს თავმდაბლობა არ აკლდა. ასე მირჩია მოძღვარმა სენეკამ... ცხრა თოკში გამოვდილქა. სენეკა, განაგრძე!

სენეკა (კვლავ გულგრილად კითხულობს). „შენ მცოთხები, ლუცილიუს, მარტალს ამბობენ თუ არა, რომ ვითომც მე შევთხზე კეისარისათვის ნიტყვა? ნერონი ძალზედ ნიჭიერი ჭაბუკია, ელინურ ფილოსოფიას ძირისძირობამდე ჩასწვდა, მახსოვრობას ხომ ნულა იტყვი, ბრწყინვალე აქვს — აბა, ჩემი შეთხზული რაში სჭირდებოდა?“ (ნერონი ხარხარებს.) მე მინდოდა, რომ ახალი კეისარი ჰყვარებოდათ რომში.

ნერონი. და კიდევ — არ გინდოდა, რომ რომში შენ არა ჰყვარებოდი... განაგრძე!

სენეკა. „ვიმედოვნებ, კეისარი სათნო ჭაბუკი გაიზრდება, და ბოლოს და ბოლოს დაუბრუნებელ წარსულს ჩაჰბარდება ტიბერიუს-კალიგულა-კლავდიუსის საშინელი დროებანი. და, რა ვუყოთ, ახალგაზრდა კეისარის საეჭვო უსაქციელობაზედ დარხეული ხმები თუ საფუძველს არ არის მოკლებული — უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ ეს ყველაფერი ასაკთან ერთად გაუვლის. თუმცა გულისტკივილით უნდა ვთქვა, რომ ახალგაზრდა კეისარი სულ ადვილად განიცდის ცუდ გავლენებს. განსაკუთრებით მოსვენებას გვიკარგავს ყველას ამახ წინათ სასახლის კარზედ ვინმე სოფონიუს ტიგელინუსის გამოჩენა...“

ნერონი (ღუღუნებს). აი მოვიდა ტიგელინუსი. (გაჩუმდა).

სენეკა. „ეს სოფონიუს ტიგელინუსი ახლახან დაბრუნდა გადასახლებიდან... იქ ჭერ კიდევ კეისარ კლავდიუსის მმართველობის დროს გადაასახლეს — იმისათვის, რომ მაშინ ნორჩი აგრიპინა შეაცდინა, ნერონის დედა. ყველა ჩვენგანის სამწუხაროდ კეისარმა სოფონიუს ტიგელინუსი, ეს ათასგვარი ბიჭიერებით თავშერცხვენილი კაცი, — საიდუმლო პოლიციის უფროსად დანიშნა. და ამჟამად ტიგელინუსის სახელი სულ პირზედ აკერია ახალგაზრდა კეისარს. ნერონის უოველგვარ უღირს საქციელს, რაზედაც შენ გწერ, ლუცილიუს, თან სდევს ამ სახელის ხსენება, ერთ საყურადღებო ამბავსაც გიტყვი: ტიგელინუსი არასოდეს არ ჩნდება ხალხში. ის არასოდეს არავის არ უნახავს. განდეგილივით ცხოვრობს საკუთარ სასახლეში — ვინაიდან ყველა ბოროტისმყოფელისათვის საერთო მანით არის დაავადებული — სულ იმის შიშშია, თავს არავინ არ დამესხასო. თავის ოხერ სიცოცხლეს უფრთხილდება.“

ნერონი. ეგ შენი წერილი კონსულ ლატერანუსს უბოვეს. მაგრამ კონსული იმხანად ხომ რომში ცხოვრობდა, მან ტიგელინუსზედ იმდენივე იცოდა, რამდენიც შენ იცოდი. მაშ, აბა რიდასთვის უნდა იმის შეტყობინება, რაც იმან ისედაც ჩინებულად იცის? (სენეკა ღუმს.) ეგ უბრალოდ წერილები არ არის. სენეკა, მაგ წერილებს შენ შთამომავლობისთვის წერდი.. შენი თავის გამართლება გინდა, პატივმოყვარე მოძღვარო! (ჩურჩულებს.) ჩემსავით... არავინ გიცნობს... განაგრძე!

სენეკა (ისევ ისე გულგრილად კითხულობს). „და მაინც რწმენით გავცქერი მომავალს. ვიმედოვნებ, აღზრდა, რომელიც კეისარმა მიიღო, თავისას იზამს... ეგ, რამდენი გვილაპარაკია სათნოებაზედ, ღმერთებისა და გამირების სახელოვან საქმეებზედ, დიადი ათენის ტრადიციებზედ... აი, რატომ არის მიუხედავად ღრუბლიანი დილისა, რომ მჭერა: კარგი დღე უნდა გამოვიდეს. ნერონი მოიტეხინებს, ტკუაში ჩავარდება — რომს დიდი კეისარი ეყოლება, ვინაიდან მთავარი უკვე მიღწეულია: ნერონს პირველ კეისრად უნდა გახდომა, რომელი პირველი კეისარიც რომის სენატს უფლებებსა და ძალაუფლებას დაუბრუნებს, წართმეულს ტიბერიუსის, კალიგულას და კლავდიუსის მიერ.“

ნერონი. მაგრამ ტიგელინუსმა თქვა... (იცინის.) ხსენებაზედ, ვინ წარმოგვიდგენს ტიგელინუსს ჩვენს კომედიაში?.. შენ არც კი შეჰხვედრიხარ, არა, სენეკა?

სენეკა. არა, კეისარო.

ნერონი. არც ერთხელ.. ეპეე, რამდენი წელიწადია რომში ცხოვრობთ — გვერდიგვერდ და ერთმანეთის ნახვა ვერ მოგიხერხებიათ. (ამერს.) ტიგელინუსის როლის შესრულება ყველას შეუძლია — სენეკა სახეზედ არ იცნობს... (სახეს იმრისხა-

ნებს.) მე — ტიგელინუსი ვარ! (ვენერა და ამური იცინიან.) თუმცა... მალე თვითონ ტიგელინუსი მოვა... და ნახავ, როგორ შეასრულებს თავის როლს... ასე რომ — წაკითხვა იჩქარე, სენეკა.

სენეკა. „შთავარია — მოთმინებით და განუწყვეტლივ ჩავჩიჩინებდე ნერონს, რაში არ არის მართალი. ამწინებებზედ დიდი ბრძოლა გვქონდა მე და კეისარს იმის გამო, რომ გვიან ბრუნდება და ღამლამობით ათას უწესობას სჩადის“.

ნერონი. ჰო, კარგი, გვიან დავბრუნდები... ჰო, კარგი, წუხელ ცოტა ურიგოდაც ხიდგაღმა... ვინც კი დაგვიანებული მოქალაქე შემხვდა, სუყველანა დაუფრთხე. ორ-სამთან ჩხუბიც მომივიდა და შემომაკვდინა. მერე რა მოხდა? განა უკეთესი იქნებოდა, რომ იმათ მოვეკალი? (ჩაეცინა.) დიახ, დიახ... აი ეგეთივე საყვედურის თვალით მიცქეროდი მაშინ, მოძღვარო... დედაჩემიც ეგრე მიცქეროდა... ტიგელინუსი კი — არასოდეს. ეგ, სენეკა, შენ იმ ძალაუფლებებისათვის გიყვარდი, რომელიც შენთვისაც უნდა მომეცა და რომის სენატისთვისაც. დედაჩემს იმ ძალაუფლებებისათვის, რომელიც უკვე მივეცი... და მხოლოდ ტიგელინუსს ვუყვარდი არაფრის გულისთვის. ჰო, მართლა ტიგელინუსმა თქვა... დედაჩემი თურმე ყველგან საჯაროდ აცხადებდა: ისევ ძველებურად უწესურად თუ მოვიქცეოდი... და სახელმწიფო საქმეებში ისევ ძველებურად შენს რჩევას უურს დავუგდებდი, კეისრობაზედ ხელი უნდა ამელო ჩემ მაგივრად ჩემს ძმას ბრიტანიკუსს ვახდიდა კეისრად... ასე თქვა ტიგელინუსმა. (ჩაეცინა.) ასე და ასე-მეთქი, ეს ყველაფერი წარმოვთქვი... და შენ შემოგხედე... (განუმდება.) და შენ ყველაფერს მიმიხვდი... იმიტომ რომ ძნელია — მგლის გამოხედვას არ მიუხვდე... მერედა, რა მიპასუხე მაშინ? (სენეკა ღუმს.) დიახ, შენ ხმა არ ამოგიღია, მოკვდავთაგან უსათნოესო... შემდეგ კი ჩვენ ბრიტანიკუსის დაბადების დღეზედ შევხვდით... რას მღეროდა იმ დღეს... ო, ნორჩი ბრიტანიკუსის მშვენიერო ხმავ! (ამური მღერის.)... დიახ, დიახ... მერე ბრიტანიკუსს მოსწყურდა, და ჩემგან წინასწარ მოსყიდულმა მეწამლემ ცხელი სასმელი მიართვა. ბრიტანიკუსმა თასი მოსვა და გაციება ითხოვა. აი მაშინ ჩაასხა მეწამლემ ამ თასში ცივ წყალთან ერთად საწამლავი. (ნერონი თასს ამურს გადასცემს. ამური სუამს.) მე და შენ კი ისევ ჩვენს საუბარს განვაგრძობდით მოძღვარო. რაზედ ვსაუბრობდით მაშინ, თუ ვახსოვს, სენეკა? (სენეკა ღუმს) რაღა თქმა უნდა, სათნოებაზედ, როგორც ყოველთვის—სათნოებაზედ... შენ მაშინ წიგნი დაამთავრე, საგანგებოდ ჩემთვის დაწერილი: „შესახებ კეისრის მოვალეობისა“... ამ წიგნს ჩემთვის უნდა ესწავლებინა — როგორ გავმხდარიყავი უგანათლებულესი და უჭაბუკურესი კეისარი... იმ საღამოს მეორე თავის დასაწყისს მიკითხავდი... აბა, გაიხსენე შენი სიტყვები! და, მაშინ ჩემი უმაწვილკაცობა დამიბრუნდება! ეგ, ეს მხოლოდ თეატრშია შესაძლებელი! როგორ მიყვარს თეატრის დაეშურეთ ნახვას: უდიდესი მსახიობი ნერონი და მსახიობი სენეკა დღეს ცხოვრების კომედიას თამაშობენ. (შკაცრად). გელოდები! გაიხსენე, სენეკა!

სენეკა (ცდილობს, რომ არ აღელდეს). „კეისრის ძალა იმით იზომება, როგორ ემსახურება იგი თავის ხალხს. კეისარი მოვალეა: რიხით იბრძოდეს სიმდიდრის წინააღმდეგ და ძალას იყენებდეს ბიწიერების წინააღმდეგ. კეისარი ვალდებულია: არასოდეს ივიწყებდეს კანონის პატივისცემას და სძულდეს წარსული წლების ძალმომრეობა. და, რათა ტიბერიუს-კალიგულა-კლავდიუსის უსაშინლესი გარდასული დროებანი აღარასოდეს განმეორდეს — კეისარი მოვალეა — ისწავლოს ადამიანის პატივისცემა. აწ და მარადის: ადამიანი ადამიანისთვის სალოცავად უნდა იქცეს!“

(ამური ღაღადებს, იტანჯება, მიწაზე გორავს.)

ნერონი. დიახ! დიახ! მაგ ჩინებულ სიტყვებს რომ წარმოთქვამდი, ყველაფერა მამ და... ვახსოვს?

ამური მიყურდება.

სენეკა (პირველად არის, რომ შეძრწუნდა). მკვდარია?... (უკან იხევს).
ნერონი. ბრიტანიკუსიც აკი მკვდარი იყო... სულაც არ შემცოდებია ჩემი სამეფო ძმა —

ანდა რატომ უნდა შემცოდებოდა ის უკეთური მონა? (ჩაეცინა.) შენ ჯერ კიდევ ვერა და ვერ გაგიგია, მოძღვარო: ჩვენ სერიოზულად ვთამაშობთ ცხოვრების კომედიას.

პანეირა (ყვირის). მე არ მინდა სიკვდილი.. მე არ მინდა..

ნორმანი. დიახ, დიახ — აი ვგრე ყვიროდა დედაჩემიც, უსულო ბრიტანიკუსს რომ დაჰყურებდა.

პანეირა (ნერონს მუხლებზე ეხვევა.) არ მინდა! მეშინია! არ მინდა!

ნორმანი. ზუსტად ის არის! პირწავარდნილი დედაჩემია! როგორი შეშინებული იყო, საწყალი, იმ დღეს. (ვენერას მოიშორებს.) განაგრძე, სენეკა. ჩვენ გვამებს ავკრეფთ (შეითრევს ამურის მსუბუქ გვამს.)

სენეკა (კვლავ ჩეულებრივ, გულგრილად). „ლუცილიუს! რაც უფრო დიდფასიანი ტვირთის მფლობელია მგზავრი, მით უფრო მეტსა ფიქრობს ტაღდების სიმშვიდეზე და ნებტუნს მადლსა სწირავს ამ სიმშვიდისათვის. ასეა ფილოსოფოსიც. მას მშვიდობა სჭირდება სახელმწიფოში — რათა მშვიდად იფიქროს და მადლსა სწირავს იმას, ვინც ამ მშვიდობას გვანიჭებს... აი რატომ არის, რომ აგრე რიგად ვზრუნავ კეისრის ძლიერებაზე და ქებას ვასხამ მის ხელისუფლებას!“

პანეირა (ყვირის.) არ მინდა! არ მინდა!

ნორმანი. განაგრძე, განაგრძე, სენეკა!

სენეკა. „შენ იწერები, ახალგაზრდა კეისარი მართლა გარყვნილი და ლოთიაო? მერე რა, სამაგიეროდ წმინდად იცავს სენატის პატივისცემას. სამაგიეროდ ჩვენს ქვეყანაში მშვიდობაა. სამაგიეროდ პირველად რომში სენატორები თვითონ გამოხატემენ კანონებს. შენ იწერები, მან თავისი ოჯახი ამოულიტაო... სამაგიეროდ მისი მმართველობის დროს კერძო მოქალაქეთა სიცოცხლისა და თავისუფლების ხელყოფა აღარ ხდება. სამაგიეროდ სრულებით გაქრა პოლიტიკური პროცესები... აბა, გაიხსენე ტიბერიუს-კალიგულა-კლავდიუსის საშინელი დროებანი!“

ნორმანი. როგორ მიყვარს ეს შენი სიტყვის მასალა. რა კარგად იცი ჩაანდაზება.

სენეკა. „შენ კითხულობ, ლუცილიუს, მართალია თუ არა ხმები, რომ კეისარმა ბრიტანიკუსი მოკლაო? ვიმედოვნებ, არა. მაგრამ თუკი მართალიც არის — გამოსავალი სად ვეძებოთ? რა ვქნათ, მხარი დავუჭიროთ დედამისს, რომელიც იმის ოცნებაში იყო, რომ კეისარი შეეცვალა სუსტი ნებისყოფის მოსულელ ბრიტანიკუსით და თავად ებრძანებლა? მაგრამ ეს იგივე იქნებოდა — რომში დაგვებრუნებინა ტიბერიუს-კალიგულა-კლავდიუსის საშინელი დროებანი“.

ნორმანი. მაგრამ ტიგელინუსმა თქვა... (ვენერაზე მიუთითებს.) სულ ამისი ბრალია ყველაფერი! დედაჩემის ბრალია დედაჩემმა გადაშვიდა ბრიტანიკუსს! იმან იმსხვერპლა! სულ იმისი ოინებია (აგზნებულად.) მერე იცი, რატომ ქნა ყოველივე? რათა რომს გაეგო და შევეძულებინე!.. მაგრამ ტიგელინუსმა თქვა: დედაჩემი შეთქმულების ქხელს აბამდა. ტიგელინუსმა ისიც თქვა, რომ დედაჩემი მკვლელს მომიგზავნიდა (გაჩუმდება) და შენ რა მითხარი მაშინ ამის პასუხად, სენეკა?

პანეირა. არ გინდა! შეშინია!

სენეკა მღუმარებს.

ნორმანი. დიახ, შენ ხმა არ ამოგიღია, ისევ კრინტი არ დაგიძრავს — ყველაფერი ამოიკითხე მგლის თვალეში... საწყალი დედაჩემი.. გახსოვს, როგორ იყო?

პანეირა (წივის.) არ გინდა! მე არ მინდა! შეშინია!

ნორმანი. დაწყნარდი, კახპავი! მე არ მინახავს, როგორ კლავდენ დედაჩემს. (ყვირის.) დედა როგორ მიყვარდა! მეზინებოდა, მეშინოდა — და თან მიყვარდა და როდესაც შენ ხმის ამოუღებლად დამეთანხმე — მოკალიო, აი მაშინ უკვე თვალის დასანახავად შემძულდი! ეჰ, რა ქალი იყო! გეხსოვება, თერთმეტქერ და ვუპირე მოკვლა, და თერთმეტქერვე ხელიდან გამიხსდტა! ინტუიციის ამბავია.. სიკვდილი არ ეკარებოდა! პირდაპირ კატა იყო! იმ დღეს ქალაქგარეთ მეწვია, ვილაში — და მე ხომალდზედ დავსვი. ხომალდი შუა ზღვაში უნდა დაშლილიყო და დაიშალა კიდევ. მაგრამ დედაჩემმა ცურვით უშველა თავს... აი მაშინ მივუგზავნე მკვლელნი... გეხსოვება: შემოდგომა იყო, მე და შენ ჩვენს ბუხარს

ვუსხედით.. როგორც უოველთვის, შენ სათნოებაზედ შესაუბრებოდი, მე კი დედაჩემის ამბავს ველოდი... იცი, რა არის, როცა კაცი დედის მკვლელობის ამბავს ელოდები? (სენეკას მიეკვრის.) არ მიმატოვო! მელაპარაკე.. მელაპარაკე, როგორ უნდა სრულყოფ ადამიანმა თავისი თავი პა მოძღვარო! მაშინ დელივით მელაპარაკე!



სენეკა (ცდილობს, რომ წყნარად ილაპარაკოს.) იმიხატვის, რომ კაცმა თავისი თავი სრულყოფს, ხამი გზა არსებობს. ფიქრის გზა — ყველაზედ კეთილშობილური...

ნარკინი. აჰ, რა ბრძნულია!

სენეკა. მიბადვის გზა — ყველაზედ იოლია... და გამოცდილების გზა — ყველაზედ ძნელი.
ნარკინი. უკვე წარმოვიდგინე კიდეც, როგორ შეუდეს კარი და როგორ ეპარებოდნენ. (კვლავ აეკვრის სენეკას.) რა კარგად ლაპარაკობდი მაშინ... მიდი ეხლაც — როგორც მაშინ — მითხარა რამე ეგრეთ წოდებულ „ვითომდა ბედნიერებზედ“! როგორც იმ დღეს — როცა დედაჩემს კლავდნენ. აბა, პა! პა!

სენეკა. უბედურნი არიან ყველანი, — ეგრეთ წოდებული „ბედნიერი“, ვისიც ბრბოსა შურს. აბა, დააკვირდი იმათ ცხოვრებას: ან ისე იბერებიან და იფხოვებიან, რომ არავის იმათი დანახვა აღარ უნდა. ან ისე კნინდებიან, რომ მიწის ზემოთ აღარც კი ჩანან. სულ მიწაში არიან. იქ ვინცა წევს, იმაზედ კიდეც დაბლა. ან იხვეჭენ და აგროვებენ, ანდა ათასებს ფანტავენ და ქარს ატანენ! ამ „ვითომდა ბედნიერთა“ სული არც ერთი დღე თავის თავს არა ჰგავს. დიდი საქმეა, თუ კაცი ცხოვრებაში ერთსა და იმავე როლს თამაშობ: ისე იცხოვრე, სხვა არა იყოს რა, გცნობდნენ მაინც.

ნარკინი. და აი ამ დროს დედაჩემმა ხამოსელი გაიღელა და მკვლელს შეჰპყვია: მუცელში დამცხე, მუცელში... რომლითაც იმას ვატარებდიო!

სენეკა (ღრიალებს.) არ გინდა! შეშინია!

ნარკინი (მის ფეხებთან ხოხავს.) დედა! დედა! შე ხაწყალო, დედაჩემის წიაღო! დედა მოვკალი, ხალხო! (ვენერას ძირს დაანარცხებს, დაჰკოცნის.) დედა! შენ უკვე აღარა ხარ! შეხე, რა მკერდი აქვს, სენეკა! დედაჩემი ვენერა იყო! ზღვის ქაფიდან წარმომდგარა ტალღა იყო ო, როგორ უნდოდა მეფობა! (გაშმაგებული.) იმას ჩემი ქალებისა ეშინოდა, სენეკა. იმას ისე უნდოდა მეფობა, რომ ტახტრევანში ჩამიწვებოდა ხოლმე! (ხარხარებს.) ჩემი ცდუნება უნდოდა!

სენეკა. გაჩუმდი, კეისარო!

ნარკინი (გაიცინავს.) კიდეც ვერ მოითმინე, არა? (ხუდ მიეკრო, უჩურჩულებს.) დედაჩემი მკვდარი იწვა, მე თავზედ ვადექი... დედას ვადექი... თან ვიცინოდი, თან ვტიროდი... ისე დავცქეროდი იმის მშვენიერებას... მაგრამ ღმერთები დუმდნენ. რატომ არის, რომ ღმერთები უოველთვის სდუმან? ვინ იცის, იქნებ... ისინიც... შენსავით... მიწონებდნენ საქციელს? (სენეკა დუმს. კასრში რომ ბერიკაცი ზის, იმას.) პა, რას იტყვი, მსაჯულო — ძმავ, დიოგენე უკანასკნელო, — აბა, რატომ მეხმა არ ჩაიტანა ის ბიწიერი?

ბერიკაცი. კეთილი და პატიოსანი.. (გაჩუმდა).

ნარკინი. ვერ მივხვდი. (შოლტს გადაუჭერს.)

მაგრამ ბერიკაცი ხმას არ იღებს.

სენეკა. ნუ სცემ კეისარო. მაგან ყველაფერი ახსნა. კეთილი იმითომ არის კეთილი, რომ თავისი კეთილობისა არ ეშინია, როცა გვერდით ბოროტია. ბოროტი კეთილის გულისთვის არის საჭირო. მაგას მიაჩნია, რომ ხილული ქვეყანა ჩვენდა გამოსაცდელად არის შექმნილი.

ნარკინი (ბერიკაცს.) კეისარს გადაკრულად და ნართაულად არ ელაპარაკებოდა — დაიხსოვებო, ძმავ დიოგენე (ჩაიცინებს, სენეკას.) შე არ ვიცი, მაგან რა თქვა. მაგრამ შენ, სენეკა, როგორც უოველთვის — ამჯერადაც დუმილი ამჯობინე... და ამას გავითვალისწინებთ შენი საზღაურის განსაზღვრისას.

ქვესკნულიდან ყვირილი მოისმის.

(შეძრწუნებული.) გისმის სენეკა? ყვირიან, ჩემს წასაყვანად მოვიდნენ, მთელ-

მა ქალაქმა იცის: მე დედა მოვკალი მთელი რომი ფეხზეა ქვესკნელიდან უვირილი მატულობს. კომორტები გარს ერტყვიან სახლს! დედისმკვლელს, ვიცო, სიკვდილით დამსჯიან: ტყავის ტომარაში ჩამსვამენ — ძაღლთან, გველთან და მაიმუნთან ერთად! და ტიბრში გადამიძახებენ! მეშინია!.. უველაფერი კი ტიგელინუსის ბრალია. იმან გადამიკიდა დედაჩემს, და შენც ეს გინდოდა! თქვენი მუხუბებით დედაჩემთანს მეშინია!“ (ჩაიციანებს. წყნარად.) ასე ვლავლავებდიქმეშინი (უაბლოდება ქვესკნელის გისოსს. გაიციანებს.) დავიწყნიათ, რომ ამათთვის ცოტა სახეთქი რამ და ღვინო დაემატებინათ... როგორ ბრაზობენი (უვირის.) ეხლავ. ძვირფასებო! ეხლავ, თქვე საცოდავებო! (ტაშს შემოპკრავს, ბრძანებს სასმელსაქმლის მოტანას, სენეკას.) მომიტევე... აბა, თქვი, რა მიპასუხე მაშინ? მა, რა მიპასუხე?

სენეკა (ცდილობს, რომ გულგრილად ილაპარაკოს.) „უველაფერი მოგვარდება, კეისარო. ხიტუვა უკვე დაგიწერე. ეხლა სენატორები შემოვლენ და შენ წაიკითხავ. იმათ სძულდათ დედაშენი. ისინი გვერდში დაგიდგებიან, კეისარო“.

ნერონი (შოლტს გაატყლაშუნებს.) ჩემი სიტყვა! ციცერონ!

სენატორი-ცხენი. „შეთქმულება გამოაშკარავდა. გადაწყვეტილი იყო თქვენი კეისრის მოკლა და სენატის ამოღებო... შეიძლება რომის დაწვა, მაგრამ შეიძლება მისი ხელახალი აშენება. ვინაიდან რომის სულს შენობათა ქვები და კრამიტი როდი შეადგენს. რომაელი ხალხი ცოცხალია და რომი მედიდურად დგას — სანამ მთელი და უვნებელია სენატი. აი რატომ არის, რომ კეისრისა და სენატის ხელმყოფი — რომის ხელმყოფია. გულისტკივილითა და მწუხარებით უნდა გაუწყოთ, სენატორებო, რომ შეთქმულებას სათავეში ედგა დედაჩვენი აგრიპინა ზიზლით შევწირე მე ეს უღირსი ქალი რომის თავისუფლების საკურთხეველს“.

ნერონი. გრანდიოზულია! ოპ, რა კარგად, რა გრძნობით წავეკითხე მე მაშინ შენი სიტყვა (შოლტი გაატყლაშუნდება.).

სენატორი-ცხენი. „ღმერთებმა გვიცოცხლონ შენი თავი, დიდო კეისარო!“ — ათქურ.

ქვესკნელიდან ლაღადი მოისმის: „გაუმარჯოს კეისარს, დიდ კეისარს!“ „ჩვენ მუდამ ვნატრობდით შენისთანა კეისარს!“ — ათქურ. „შენ ჩვენი კეისარი ხარ, მამა, მეგობარი და ძმა. შენ კარგი სენატორი და ქრეშმარტი კეისარი ხარ!“ — ოცქურ. (შოლტი გაატყლაშუნდება.) სენატორებო! ჩემი წინადადებაა — ტაძრებს შესაწირავი მიართვათ კეისრისა და მამულის გადარჩენისათვის სენატორებო! ჩემი წინადადებაა — კეისარი ტრიუმფატორის გვირგვინით შეამკოთ რომის მტრებზედ გამარჯვებისათვის!

ქვესკნელიდან ალტაცების შეძახილები მოისმის.

ნერონი. შენ მართალი იყავი, სენეკა! წინააღმდეგ მხოლოდ სამმა სენატორმა მომცა ხმა. დილით სამივენი უელეზდაკრილები ნახეს. ამბობენ, იმათ სახლებს უჩაღებო დაეცნენო, ასე თქვა ტიგელინუსმა. (ეხვევა სენეკას.) იცი, რა უნდა გითხრა — საერთოდ მიხარია კიდეც, დედაჩემი ცოცხალი რომ აღარ არის. (ვენერასთან მიდის, ეალერსება.) ეხლა ბოლოს და ბოლოს ჩემს გემოზედ დავწვებო პოპეა საბინასთან... დედაჩემს არ უყვარდა!.. მე ვიცო, არც შენ გიყვარს — ჩემი პოპეა. ო, რა ალერსი იცის პოპეა საბინაში ო, რა ტანი აქვს! დამეთანხმე, სენეკა, პოპეა ძალიან ჰგავს დედაჩემს — პირწავარდნილი ვენერაა. (ეხვევა ვენერას.) ჩემო მშვენიერო პოპეა. (ვენერა იცინის.) იცი, სენეკა, ამას უნდა, რომ ცოლი მომაკვლევინოს, ჩემი სათნო ოქტავია... საწყალი ოქტავია... პო. მართლა, ტიგელინუსმა თქვა... (გაჩუმდა).

სენეკა. ოქტავია მშვენიერი ქალი იყო! უბიწო იყო... ის იყო.

ნერონი. დიახ, დიახ, შენ უოველთვის გიყვარდა ოქტავია... მაგრამ ვითომ იცი, შე ბებრო, — რას ნიშნავს პოპეა საბინას ღამე? (ვენერა იცინის.) ჩემი გული გაბზარულია! ო, მსახიობის გული! ცარიელი მუხიკა! ისევ კითარის დაკვრას უნდა დავუბრუნდე! ისევ ცირკში უნდა გამოვიდე! ასე გადავწყვიტე და ასე მიწდა! ბოლოს და ბოლოს ეხლა ხომ მაინც გაიგებენ — ვინ არის რომში უდიდო-

სი მეყოთარე... წარმოგიდგენია, სანამ არ მეცალა, სანამ დედაჩემს ვკლავდი — რამდენი ღაფნის გვირგვინი მიიტაცეს ჩემმა მეტოქეებმა! შენ ისევ უკმაყოფილო სახე გაქვს, სენეკა. მუდამ უველაფრით უკმაყოფილო ხარ. კობეა შენ არ მოგწონს და კითარა შენ არ მოგწონს. დედაჩემი, იცი, სენეკა, უფრო იმითკომ მოვკალი, რომ ამიერიდან ჩემს ირგვლივ უკმაყოფილო სახეებს აღარ უხედავდე... და კიდევ იმითკომ, რომ მაგ შენი ჩამომტირალი თავ-პირით თავს აღარ მახეზრებდე — ავღგები და ბაიეში აგარაკზედ გაგაგზავნი დასასვენებლად. ხეენე და იმკურნალე ბაიეში, სენეკა! (ეალერსება ვენერას, ვენერა უხედავდა მისი მხრისაკენ) მიდი, განაგრძე, მოძღვარო... ჩვენო მწერალო, ჩვენო კლასიკოსო სენეკა. მო- შიტევე, კლასიკოსობას ჭერ ცოტა გიკლია. იმისათვის, რომ ბოლომდე კლასი- კოსი გახდე — სიკვდილია საჭირო, უნდა მოკვდე... განაგრძე კითხვა!



ნერონი (ისევ აუღელვებლად) „ვირფასო ლუცილიუს! თვალწარმტაცი ბაიედან გწერ. შენ იტყობინებ: რომში ლაპარაკობენ, ვითომც კეისრის სიტყვა დედის მკვლელო- ბის შემდეგ შე შემეტოხას... ლაპარაკობენ და ილაპარაკონ. ბრბოს პირზედ კლი- ტეს ვერ დაადებ. აგრიბინა საშინელი ქალი იყო და თუმცა მისი სიკვდილიც საშინელია, როგორც უოველი მკვლელობა, მაგრამ, როცა ორი საშინელებიდან ერთ-ერთს ვარჩევთ, ჩვენ, მოქალაქეებს, უფლება არა გვაქვს — მამულის კე- თილდღობაზედ არ ვიფიქროთ. აგრიბინას გამარჯვება და ტიბერიუს-კალიგუ- ლა-კლავდიუსის უსაშინლეს დროებათა დაბრუნება ერთი იქნებოდა. ამითკომ ვადიდოთ ბედი და იღბალი კეისრის გამარჯვებისათვის. შენ იწერები: ხმები და- დის, როგორ დახოცეს სენატორები, რომლებმაც ნერონის წინააღმდეგ მისცეს ხმა. ჩვენ იმაზედ კი არ უნდა ვფიქრობდეთ, რა ხმები დადის, ჩვენი საფიქრალი ის უნდა იყოს, რა სარგებლობის მოტანა შეგვიძლია მამულისათვის. ეს ხან არც თუ ადვილი საქმეა, შერწმუნე. შენ იწერები, რომ კეისარი სულ უფრო მძვინვარებს და მისი ბოროტმოქმედებანი სულ უფრო უსაშინლესი ხდება. მართალი ბრძანებაა. კეისარმა არც ლხინში და არც ჭირში საზღვარი არ იცის, შმაგია და გადარეული, ქეიფის გიჟია, მაგრამ რას იზამ, როცა ბუნებას ასეთი გაუჩენია. შე კარგად მყავს შესწავლილი და ვიცი: თუ გინდა, რომ გააჩერო და დაამოშშინო, უნდა მოუთმინო. მხოლოდ შემწყნარებლობა და ზნეობრივი საუბარი თუ მოულობს გულს. უნდა გვახსოვდეს: გვერდით ტიგელინუსის სა- შინელი აჩრდილი უდგას, რომელიც ხელს უწყობს მის უოველგვარ მანკიე- რებას. და თუმცა ეს მანიაკი ტიგელინუსი როგორც წინათ, არც ეხლა ჩნდება ხალხში — მაგრამ, ვიცი, კეისარს უოველდღე ხვდება. ვინ მოთვლის, რაოდენი ძალის დაზარჯვა და მჭევრმეტყველებაა საჭირო კეისრის სულისათვის ბრძო- ლაში. ო, თუ არა მამულის ბედიღბალი — შე დიდი ხნის წინათ მივატოვებდი უელში ამოსულ რომს... რა ბედნიერი ვარ ეხლა ბაიეში — თუმცა მრავალ უხერ- ხულობას ვიტან, რაც ასე დამახასიათებელია ჩვენი მოდური კურორტებისათ- ვის. ჩემი სასტუმრო პირდაპირ სამკურნალო წყლებს გადაჰყურებს. ადრე და- ლიდანვე ჩემს ფანჯარასთან ჩანმრთელნი — ხმაურით ვარშიჯობენ, ავადმყოფ- ნი — კვნესიან, მსახურნი — პირსახოცების ქნევაქნევით და უიჟინით მიმორ- ბიან, და ვილაცას წიხლქვეშ წაუგდია ქურდი, რომელსაც სხვისი სამოსელი მოუ- პარავს. ღამით ტბიდან მოსული ხმაური მადვიძებს — იქ მთელი ღამე ქალე- ბის წივილ-კივილი და კაცების უშვერი უვირილი ისმის. ჩვენს გათხოვილ მე- ნელოპებს — ბაიეს კურორტზედ დიდხანს არ უშვართ თავიანთი ერთგულების ქაშარ-სარტყლების ტარება. მაგრამ უველაფერს დაისი ანაზღაურებს, როცა ფე- რები მუქია, მაგრამ მშვენიერი. ჩამავალი მზისა და მომაკვდავი დღის ბილვისას სულს სიმშვიდე და პარმონია ეუფლება. და კვლავ გესმის: არა, არა, ჩვენ არ ვიხოცებით — ჩვენ მხოლოდ ბუნებაში ვიმალებით. რამეთუ სული ჩვენი მარადიულია... ოპ, მალე მაინც გამოჩნდებოდეს ნავსაუდელი დახანა- ნი ვითომ რა გვაქვს? ანდა რას უნდა მისტიროდეს კაცი ამქვეყნად? დეო- ნის, თაფლისა თუ ხამანწყის გემოს? შე შენ გეტყვი, ერთხელ გვიგეშია და არა ათასჯერ. ან იქნებ ის უნდა გვენანებოდეს, რომ ბედის ნაწყალობებს მშვიერი ძაღლებივით სულ ლუკმა-ლუკმა ვკამთ და გემოს მაინც ვერა ვგრძნობთ? უველა- ფერი ტყუილია... ამოცებაა.. დროა! დრო! გვეუო წუთისოფლის სტუმრობა! ისევ შეგვაგვიანდა! ნავსაუდელში! ნავსაუდელში!“

ნერონი. მაგრამ ტიგელინუსმა თქვა... შე კობეა საბინას ვერ ვითხოვ. სანამ ცოცხალია ჩემი

ცოლი ოქტავია. ოქტავიასთან გაურა არ შეიძლება — ის ხომ კეისართა მოღვაწისაა...

სენატორი (წყნარად.) ო, ღმერთებო...

ნერონი. ო, პოპეა საბინას სხეული... ის აბაზანაში წევს, უცხო რამ ცოლი უსვია, ვირის რძით მოწელილი. კანმა რომ იბზინოს, იმისათვის... პირში დანაშაულის ხის ნაფოტები სჩრია. სუნთქვა კეთილსურნელოვანი რომ უნდა იქონიებოდა (ყვირის.) ის ქალი სარეცელში არ მიწვევს, ხენჯაი (ვენერა იციანს.) რა წამებია? (ვენერას უჩურჩულებს.) მაგრამ ტიგელინუსმა თქვა... (ვენერა იციანს.) აბა, შეხედე, მოძღვარო, ერთბაშად ბედნიერი გახდა, ჩემი პოპეა საბინა. (ვენერა ისე იციანს, თითქოს ღულუნებსო.) ჰა, წაიკითხე ის შენი წერილი ოქტავიაზე! ჩემს პოპეას ერთი სული აქვს...

სენატორი (ედილობს, რომ გულგრილად წაიკითხოს.) „ღუცილიუს! საშინელი რამ ამბავი მელოდა ბაიედან ჩამოსულს. კეისრის ბრძანებით მოუკლავთ უსათნოესი ოქტავია“. (ვენერა იციანს.)

ნერონი (ვენერას ეალერსება), ო, რა ბედნიერებაა! ო, რა სიხარულია! პოპეამ ალერსის ნება დაშრო. (ვენერა ღულუნებს.) ო, პოპეა საბინას ალერსი... ჰა, იკითხე, იკითხე ამას მოსწონს ეგ შენი წერილი!

სენატორი: „უბედურ ოქტავიას მაჭებიც გადაუჭრეს და ფეხების ძარღვებიც. მაგრამ ისე ყოფილა შეშინებული, სისხლი გაბუინვია და წვეთი რა არის, თურმე წვეთიც არ მოხდიოდა კრილობებიდან. მაშინ ამდგარან და, სიკვდილი რომ მოესწრაფებინათ, ოქტავია ცხელ აბანოში შეუყვანიათ. ბევრი უხვეწია, მაცოცხლეთო. მაგრამ ამოიღო იმისი დანაშაული ის იყო, რომ კეისარს პოპეა საბინას ცოლად მოყვანა სურდა“.


ნერონი შოლტს გადაუჭერს — სენატორი ხეიხინებს.

სენატორი-ცხენი. სენატორებო! დიდმა კეისარმა თავის ცოლს ოქტავიას ერთ ვიღაც საცოდავ მონასთან წაახწრო, თანაც კიდევ სენატისა და რომის თავისუფლების საწინააღმდეგო შეთქმულებაში აშხილა. (ეღვატე გატყლაშუნდება შოლტი.) „გაუმარჯოს კეისარსი ღმერთებმა გვიცოცხლონ შენი თავი!“ — ოცქერ. „ჩვენ მუდამ ვნატრობდით შენისთანა კეისარს!“ — ოცდაათქერ. „შენ ჩვენი მამა ხარ, მეგობარი და ძმა. შენ კარგი სენატორი და ქვეშაირი კეისარი ხარ!“ — სამოცქერ. (ხეიხინებს, ღუმლება)

სენატორი (იუღელვებლად განაგრძობს კითხვას.). „და სენატმა... დიდმა სენატმა მოიწონა ეს მკვლელობა და კეისარი ტრიუმფატორად გამოაცხადა უბედური ოქტავიასაგან მამულის გადარჩენისათვის. უველა სენატორთაგან ერთმა — მხოლოდ ერთმა ანისტიუს ვეტერუსმა მისცა ხმა წინააღმდეგ. მაშინ დანარჩენმა სენატორებმა ერთბაშად მოითხოვეს მისი დასჯა თანახმად კანონისა „უდიდებულესობის შეურაცხუფისათვის“. იგი ძველი ჩვეულებისამებრ, თავზედ დარჯაკის მოჭერით უნდა ეწამებინათ და ისე მოეკლათ. მაგრამ კეთილმა კეისარმა გულმოწყალებად დართონება, რომ თვითონვე გადაეჭრა ვენები. ანისტიუს ვეტერუსის სიკვდილის შემდეგ კეისარს სენატისაგან ტრიუმფატორის მეორე გვირგვინი ებოძა — და იხვე მამულის გადარჩენისათვის, ტაძრებში საუფლო ძღვენი გამოჰფინეს... რას წარმოადგენს ამჟამად რომის სენატი? ყოველთვის, როცა კი კეისარი ვინმეს კლავს — სენატი მადლსა სწირავს და ღმერთს ავედრებს კეისარს, რომელი წეს-ჩვეულებაც წინათ მხედართუფროსთა ძღვეთმოსილებას ახლდა თან, ამჯერად ბოროტმოქმედებათა თანამდევნი გახდა“.

ნერონი. ო, რა რიგ იღიმება პოპეა საბინა! ეს სველი ტუჩები მთელ ამქვეყნად ღირს (ვენერა იციანს). როგორ შეგვირბ... ნუთუ ამ ღულუნით სიცილს... ამ თემოებს... შეედრება ღონემიზდილი ოქტავიას ცივი სისხლი? (ვენერა იციანს.) სენეკა, რა ბედნიერი იყო პოპეა, ოქტავიას მოჭრილ თავს რომ უყურებდა! რა მოხერხებულად ცხოვრობს კაცი ჩვენს განათლებულ საუკუნეში: რაოდენ სწრაფად მოძრაობენ ეტლები! აი ეს-ეს არის მოკლეს — და უკვე მოაქვთ ოქროს სინზედ დადებული მოჭრილი თავი. (ვენერა ბედნიერად, იციანს.) ო, ჩემი სხეული! ჩემი მბრძანებელი... აი, ვინ გაიმარჯვა. (ვენერა იციანს). როგორ მიყვარს, როცა ადამიანის

სახეზედ სიხარულია აღბეჭდილი... ადამიანი იცინის — იმას ჰგონია — თვითონ განაგებს თავის ბედს. (ნერონი ეალერსება ვენერას და თან ეითომ ხუმრობით დანით უღიტიანებს. ვენერა კისკისებს, კეისრის ხუმრობა სიამოვნებს. მაშინ ნერონი დაუნდობლად ჩასტყუშს დანას. ვენერა დაუკვნესებლად ეცემა ძირს. ვენერა უკანასკნელად იცისკისა. (სენეკა შეძრწუნებული უმზერს გაქვავებულ ვენერას).
შენ ყოველთვის ისეთი სასაცილო შიში გიპყრობს — თითქოს პირველად ჩემთვის დე კაცის კვლას... ტიგელინუსმა თქვა... რომელი ხალხს სძულს პოპეა. იმას მასწავლიდი, კეისარმა უწინარეს ყოვლისა ხალხის კეთილდღეობაზედ უნდა იფიქროს... ბარემ იცოდე, ეს მკვლელობა ერთხმად მოიწონა, ჩვენმა სენატმა. (შოლტი გატყლიშუნდება.)



სენატორი ცხენი (უპაუზოდ ხეივანებს ერთ უგრძელეს გაბმულ სიტყვას.) გაუმარჯოსკეისარსოცდაათჯერ ჩვენმუდამცნატრობდითშენისთანაკეისარსოცდაათჯერშენჩვენმაშაბარშეგობარიდაძმა—შენკარგისენატორიდაჭემშარიტიკეისარისხარობისმოცტერა

ნერონი (ჩერჩულებს). აღსრულდა ეს სიტყვა არ არის (აღტაცებულია). ხეივანებს! (ყვირის). აღსრულდა სენატორი ცხენად იქცა (გვივიით.) მე სენატორის ახალი გიში გამოვიყვანე... ავდგები და სენატში მარმარილოს თავლას დავდგამი გრანდიოზულია (ჩასტყერის წერილებს, რომლებიც სენეკას უჭირავს). საცაა გათენდება.. ვარსკვლავები ქრება. შენ კი ჯერ კიდევ რამდენი წერილი გაქვს წახკითხი (ბელიდან სტაცებს სენეკას გრაგნილებს.) შორს, ყველაფერი შედმეტია (სწრაფად ათვალეირებს წერილებს, დუღუნებს.) „გუშინ მოკლეს სენატორი ცენზონიუს რუფუსი... „შო, ეს გასაგებია (ხეცს. ათვალეირებს შემდეგ წერილს.) „გუშინ მოახრჩვეს კონსული კორნელიუს საბინუსი“. (მოისერის.) „გუშინ მოკლეს დეციმუს პომპეუსი“... რა მოსაწყენია (ხეცს.) „გუშინ მოკვდა მდიდარი პატიუსი. თავისი სიკვდილით მოკვდა — რაც ფრიალ საკვირველი ამბავია ამჟამინდელ დროებაში“. (ხეცს.) „გუშინ მოკვდა პოპეა საბინა“... ემ, როგორ შეყვარდა ჩემი პოპეა საბინა... როგორ ვეწამე... წაიკითხე ეს წერილი, სენეკა... და მე მის ალერსს მოვიგონებ... წაიკითხე.. ეს შენი უკანასკნელი წერილი იქნება. დროა — განვსაზღვროთ საზღაური. საცაა ტიგელინუსი მოვა.

სენატორი (აუღელვებლად). „ამბობენ, რომ პოპეა საბინამ კითარაზედ დაკვრა დაუწუნა ნერონს — და გაშმაგებულმა კეისარმა უელი გამოსტრაო. საშინელი ამბავია. მაგრამ კიდევ უფრო უარესი იქნებოდა, ძველებურად რომ გაგრძელებულიყო პოპეას შეგავლენა კეისარზედ... ისეთ სახტიკ დროებაში მოგვიხდა ცხოვრება, დუცილიუს, რომ არჩევანში შევდივართ, რომელ სისახტიკეს რომელი ვამჯობინოთ!.. შენ იწერები, სამარცხვინოდ შიმაჩნია ცირკში ხელკითარიანი კეისრის დანახვაო. ასე გიპასუხებ: დაე აქროლოს, რამდენიც უნდა, ეტლი, დაე, ააუღეროს, რამდენიც უნდა, კითარა, დაე ბადროც სტუორცნოს რამდენიც უნდა, — ოღონდ კაცის კვლას შეეშვას! მაგრამ ალბათ როგორ იცინიან ღმერთები, ოდეს ქვეყნიერების მბრძანებელს... მიწიერ ღმერთს-ფებოსს შეჯიბრებაზედ ხაზის ფერს უკარგავს საცოდავი მსაჯის უკმაყოფილო მწერა!“

ნერონი. შენ მართალი არ ხარ, სენეკა. გარდა იმისა, რომ ეს ყოველივე მე მომწონს, მოსწონთ და კკუაში უჯდებათ აგრეთვე რომაელთ. უბრალო ხალხს ყოველთვის სიამოვნებას ჰგვრის, როცა მათი მბრძანებელი იმითვე ერთობა, რაც აგრე რიგად იტაცებს ქვეშევრდომთ. ეს დემოკრატიულია. და ხელს უწყობს პოპულარობას. განაგრძე იჩქარე!

სენატორი: „შენ იწერები! ხმები დადის, რომ უდიდესი პოეტი ლუკანუსი თავის ლექსებში კეისრის ამ უღირს თავშექცევას ქებას ასხამსო. მთხოვ, ლუკანუსის ეს ლექსები გადაგიწერო, და იმედოვნებ, რომ სირცხვილისაგან ქაღალდი დაიწვის“...

ნერონი. ლექსები ლუკანუსს ჩინებული გამოუვიდა! მე ძალიან მიყვარს ამ ლექსებით გამოსვლა. (კითხულობს.) ლექსი სახელწოდებით: „დიდი მეკითარე“... სიტყვა „მეკითარეში“ გამოვყოფ და ამალღებულად წარმოვთქვამ წინსართ „მე“-ს, რაც სიტყვას ქეროვან სიდიადეს ანიჭებს. (კითხულობს.) „ოდეს მიწიერს აღსრულებ შენ ყოველივეს“... სიტყვა „მიწიერს“ ნელა, გაბმულად წარმოვთქვამ... რათა ნადველი იგრძნობოდეს. (კითხულობს.) „და სამუდამოდ ცად ამალღები, ყველა დვთაება სიხარულით დაგიტმობს ადგილს. მზედ გადიქცივი, თვით ღმერთ ფებოსს შეენაცვლები და სხივს დააფრქვევ დაობლებულ ქვეყნიერებას“. სიტყვა „ქვეყნიერებას“

ისეთნაირად წარმოვთქვამ, თითქოს სამარა... ვახუშტივით ბარი დაპყრესო... ვრანდიონულისა კარგ დაწერილს კარგი წაკითხვაც უნდა! ებ, ლუკანუს... სამწუხაროა, რომ მე ის... განაგრძე!

სენეკა. არა, ლუკანუსზედ ძვირს ვერ ვიტყვი. შენთვის ძნელია იმის გულსაპახუსის გაგება, ლუცილიუს: შენ შორს დგახარ ხელისუფლებისაგან, ლუკანუსი — პირიქით, — საუბედუროდ, ხელისუფლებასთან ახლოს არის. ამჟამად ყველგან იხეთი ვითარებაა, ვინც უოველ წუთს არ აქებს კეისარს, უმალე ჩვენი ხელისუფლება ხდება — და დაუყოვნებლივ იღუპება! და მაშინ ცაც უფრო ჩამობნელებულია და ტიგელინუსის თვალბედათი ანრდილიც უფრო შემზარავია. ასე რომ დამიჯერე: დაე რაც უნდა, ის წეროს ლუკანუსმა — ოდესღაც კეისარის გვერდით იყოს! სადღა ის მშვენიერი ხალხი, ოდესღაც გარს რომ ეხვია ნერონს!.. ვინდა დარჩა? კეისარმა უკვე შეც მომიშორა... დღეს თუ ხვალ დავაგდებ ამ ველში ამოსულ რომს. და იქ, ბუნებასთან განმარტობით ვპოვებ ალბათ ბოლოს და ბოლოს სიმშვიდეს, რაც აგრე რიგად ახარებს ფილოსოფოსის გულს... შენ შეკითხები, ლუცილიუს, კიდევ დიდხანს გაგრძელდება თუ არა ეს საშინელი დრო? ჩემის ფიქრით — ხანამ კეისარი ცოცხალია. კეისარი კი ახალგაზრდა კაცია, ამიტომ ჩვენთვის „ეს დრო“ — სამუდამოა. რა მოსწრებულად თქვა ამას წინათ მავანმა და მავანმა კეისარზედ და ჩვენს დროზედ: „კომედიაიტი მეკითარეო...“

ნერონი. (აწყვეტილებს.) ვინ არის ეგ „მავანი და მავანი?“ (სენეკა დუმს.) შენ რა, უფრთხილდები მაგ სიტყვების ავტორს, მოძღვარო? ის ზომ აქ არის... აგერ ჩვენ გვერდით, (უცქერის სენატორ-ცხენს.) ვინ დაიჯერებს, რომ ოდესღაც ეს მამაცი და... მრისხხანე იყო... (მოლტი გატყლაშუნდება, ისმის ხეხვინი.) ეხლა კი თავლაში ქერს შეექცევა. აბა, გაიმეორე ციცერონ, რა თქვი ჩემზედ, როცა შენ ანტონიუს ფლავიუსი გერქვა! (სენატორი ხეხვინებს, ნერონი იცინის.) ლაპარაკს გადაეჩვია!

სენეკა. (აუღელვებლად.) მე მივეშველები და გავიმეორებ, რაც ამან შენზედ თქვა, კეისარო! „კომედიაიტი მეკითარეა, რომელმაც შეურაცხყო თავისი ხალხის უოველგვარი სიწმინდე, რომელმაც ათასგვარი მკვლელობებით შეირცხვინა თავი, მშვიდად დასერირობს უმცველებოდ რომში და აი უკვე მეორე ათეული წელია სახელმწიფოს სათავეში უდგას. ხალხი თავს არაფრისთვის არ იტკივებს, გართობას უნდება, და რაც მთავარია — მადდარია. რა დემართა რომაელ ხალხს, რომელიც სიმადლის გულისთვის თანახმაა — იცხოვროს სისხლსა და უპატიურობაში! საწილარი დროება!“ მე კი ჩემის მხრივ ასე დავძენდი, ლუცილიუს: ო, საცოდავო ბრბოვ, მომავალზედ არავინ ფიქრობს... და ოდეს დიდი რომი დაეცემა... რომი კი აუცილებლად დაეცემა... ესენი შეაჩვენებენ არა იმ კეისარებს, რომლებმაც დაასამარეს უველაზედ ბრწყინვალე გვარები, რომლებმაც მეომრები საჩუქრებით გარყვნეს, ხალხი კი — უუფუნებით და რომი ჩირქოვან სიმსივნედ გადააქციეს, — არამედ იმას, უკანასკნელ მბრძანებელს, საწყალსა და უდანაშაულოს, რომლის დროსაც კატასტროფა მოხდება!“ (დაღუშდება.)

ნერონი. აი ცხოვრების კომედიაც დამთავრდა. შენ უველაფერი წაკითხე, მოძღვარო.

სენეკა. მაგრამ აქი მიმტკიცებდო, კეისარო, მოკლედ შევაჯამე შენი წერილები, რომლებიც მიცვალებულთ ავართვით. ნამდვილად კი ვერაფერ შეჯამებულს ვერა ვხედავ. შენ უბრალოდ ადეკი და ზოგ-ზოგი წერილი შეკვეცე, ზოგ-ზოგიც შეაერთე. და გამოვიდა — ჩვენი ცხოვრების თანამიმდევრული მდინარება, არც მეტი, არც ნაკლები. რაღაც შეჯამებული აზრი კი საჭიროა. მართალი ბრძანდები: მე შენი მოძღვარი ვარ და კიდევაც უნდა მოგეშველო... მე წავიკითხავ შეჯამებულ აზრს. (ერთხანს გაჩუმდება.) ეს აზრი ლუცილიუსთან მიწერილ ბოლო წერილში ჩავდე. გაგზავნათ კი ვეღარ გავუგზავნე, ვერ მოვასწარი. მაგრამ თავიდან ბოლომდის მახსოვს, კეისარო. (ჩვეულებისამებრ გულგრილად კითხულობს.) „ლუცილიუს, გუშინ შენთან გამოგზავნილ წერილებს ვისხენებდი — და მიკვირდა. რა სამარცხვინოა ნუთუ სულ ცოტა ხნის წინათ ასეთი ვიყავი? როგორ აბნელებს გონებასა და სულს ამოცების გამოდევნება! როგორ დაიმცირა ოდესღაც დიდმა კატონმა თავი, რომის პარტიების ბრძოლაში რომ ჩაერია! ჩემი არ იყო, ალბათ იმასაც სწამდა, რომ ხალხის კეთილდღეობისათვის იბრძოდა. რა უნდა ქნას ფილოსოფოსმა მთელ ამ ბინძურ არეულ-დარეულობაში? მერწმუნე, რომის პარტიათაგან ფილოსოფოსის სიმშვიდედ არც ერთი არ ღირს. ვინაიდან მხოლოდ სიმშვი-

დე — ერთი მხოლოდ სიმშვიდე — გვაძლევს იმის საშუალებას, რომ კეშმარიტე-
ბაზედ ვიფიქროთ... კეისარი ასე იქცევა თუ ისე, კიდევ ვის მოუღებენ ბოლოს
ის და ტიგელინუსი, რა მომავალი გველის მე და შენ — სულ ერთია, ჩვენ ამას
არავინ გვეკითხება! აწმყოზედ იფიქრე, შენს მომავალს შენ არ განაგებ. ძღვნად
მოგართმევ ჰორაციუსის ერთ ძვირფას აზრს: „მოკვდავთაგან ვინ იცის ნეტავ:
გუშინდელი ცხოვრების სათვალავს ხვალ კიდევ ერთი დღე მიემატება თუ არა?“
შენ იწერები, გუშინ ანტონიუს პომპეუსი მოკლესო... ძალიან მეცოდება... მაგრამ
განა სულ ერთი არ არის? რომ არ მოეკლათ — ვითომ მისი ცხოვრება სწვანაი-
რად შეჭამდებოდა? არა, ლუცილიუს, სიკვდილი ყველას გველის: პომპეუსსაც და
ჩვენც... და ჩვენს ჯალათებსაც. ყველას მოგვიწევს ამ დროებითი ხორციელი გარ-
სის გაძრობა, რათა შინ მივბრუნდეთ. პომპეუსი უფრო ადრე მიბრუნდა. მხოლოდ
და მხოლოდ ადრე. აი რატომ მიხარია, თანდათან რომ ვძაბუნდები. აი რატომ
ვგრძნობ ალტაცებული და აღფრთოვანებული, როგორ აღწევს ყოველდღიურად
ჩემი სხეულის ჯავშანში სიკვდილადვენებული სიბერე. შინ მივდივარ... შენ იწე-
რები, გუშინ ლუციუს სულა აწამესო. ეგეც მეცოდება. მაგრამ მწუხარებას არ
დავამახინჭებინებ აქ ნაპოვნ მარმონიას. ბუნების ამ თვალწარმტაც წიაღში ვხვდე-
ბი, რომ ქვეყანა სამართლიანია უმაღლესი სამართლიანობით.

ქვესკნელიდან ლაღადება მოისმის.

ვიცო, მკითხავ, მამ რატომ ძარცვავენ და ხოცავენ ადამიანები ერთმანეთსო?
მკითხავ და სიკვდილის შვილთ გადმოგვკრავ: ნუ დასდევთ ამოებახსო! აბა, რა
თავში ვიხლით ქონებას? მეწამულ ტოგას? ღმერთი ხომ — შიშველია. დაიხსომე:
ადამიანს არცრა უბედურება არ ატყდება თავს, გარდა იმისა, რასაც თვითონ მი-
იჩნევს უბედურებად. ავადა ვარ? რა ვქნა, ასეთია სიკვდილის შვილთა ხვედრი.
მეგობარი სიკვდილმა მოგტაცა? რას იწამ, ადამიანი თავის ბედს ვერხად გაექცე-
ვა! დაიხსომე: რაც უნდა შეემთხვეს ფილოსოფოსს — სულიერი სიმშვიდე მისი
— არ შეიცვლება. მარმონიის მიღწევა დიდაც ძნელი საქმეა, მაგრამ იმისა-
თვის, რომ მარმონიას მივალწიოთ კვენესა-ვაებისა და სისხლის პირობებში — ასე-
ზის კიდევ უფრო ძნელია... მამ, მოდი ვიფიქროთ არა ხრწნად სხეულზედ, რო-
მელსაც სულ ადვილად ათახსირებენ მბრძანებელნი ამა სოფლისანი, — არამედ
სულსა და მარადიულობაზედ, რაც იმათ არ ემორჩილება. მაშინ შენ უკვე ბოლო-
მდე ჩახვდები ძველების მიერ ნათქვამ სიტყვებს: „ვინც ამა თუ იმ ვითარებას ებ-
რძვის, თავისდა უნებურად იმავე ვითარების მონა ხდება“. განშორებისას ძღვნად
მიიღე ჩემგან ფილოსოფოსის სიტყვები: „ადამიანს სულ იმას ვახწავლით, ფრთხი-
ლად, რამე არ დაკარგო. ნამდვილად კი უნდა ვახწავლოთ: „ბედნიერი იყავ, და-
კარგე ყველაფერი“. და კიდევ: „ყველა იმის ზრუნვაშია, დიდხანს ვიცხოვროს, მა-
გრამ არავინ არ ზრუნავს იმისათვის, რომ სწორად იცხოვროს“.

ნერონი ხარხარებს.

ნერონი (ლამის სიცილით გაიგულოს.) მომიტევე... მაგრამ ძალიან... სასაცილოა...
შენ ისე ამაყად ლაპარაკობდი მარმონიაზედ... აი ამ გვამებს შორის... შეხე... რა
ზედახორაა... საითაც გაიხედავ... ოღონდ ფეხი არ დაადგა. აგე დედაჩემი... პო-
პეა... ის ოქტავია... იქით ბრიტანიკუსია... იქვე პეტრონიუსი... ეს კი ლუკანუსია...
მერე პიზონი... ცოტა მოშორებით მსახიობი მნესტრია... რომელი ერთი ვითხრა!
შენ კი დამდგარხარ და ამ ათასობით გვამის წინაშე საკუთარ შემაჯამებელ სიტყ-
ვას კითხულობ — როგორც მაღალფარდოვანი ტრაგედიის ფინალს. გონს მოდი,
მოძღვარო! (ხარხარებს.) და დაუფიქრდი: უდიდესმა მორალისტმა უდიდესი
მკვლელი აღზარდე... აი, შედრეგი, აი ყველაფრის ჯამი!.. დიახ, ეს კომედიია, ხე-
ნეცა!.. სასაცილოზედ სასაცილო! (ხარხარებს.)

სენეკა (უეცრად თითქმის ყვირის.) არა, მე სიყვარულს ვახწავლიდი... მხოლოდ სიყვარულს!..
ბავშვობიდანვე!..

ნერონი. შენ სიცრუეს მახწავლიდი... შენც და ყველანი გარშემო! და სიძულვილი მახწავლე...
თავაზიანი სიტყვა-პასუხისა და თქვენი უბადრუკი მორალისა!.. მაგრამ საიდუმ-
ლოს გაგიმხელ: მე დიდი ხანია უარვყავი ეს ქვეყანა! კეთილშობილურნე მაძლარი
ქვეყანა! (გაცოფებული.) იცი თუ არა, ბებერო, ადამიანი როგორ ხდება ღმერთი!..

ეხლავ მოვახსენებ ჩამსაც და შედეგსაც.. მე უველა მოკვდავივით ვიწრდებოდი: უპატრონოდ მიტოვებული, მარტოდ მარტო, სიყვარულს დასტრებული. როგორ მინდოდა მაშინ, რომ გყვარებოდი, ჩემო მოძღვარო, და შენც მეუბნებოდი, ხშირად მეუბნებოდი — მიუვარხარო. მაგრამ უკვე მაშინვე ვცდი: ცრუობდი, ვგრძნობდი, რომ სიყვარული იგივე მზეა. შენ კი ვინუღაც ხერყაკი ხარ არა, მე კი არა, შენი იარაღი გიყვარდა... შენი მომავალი ძალადუფლებას... როგორ შენატრებოდა ღედის სიყვარული... და აი ერთხელაც უდროოდ დროს შევედი მის საძინებელში, შევედი და მისი ურცხვი ფეხები დავინახე. მასთან ტიგელინუსი იყო... ვუუერე, კარგა ხანს ვუუერე სახეში და თვალი ვერ მოვაშორე! მან მაშინვე ვერ დამინახა... ბოლოს — შემნიშნა ერთი შეპკივლა! ზიზღიანად შეპკივლა! იმ დღეს მივხვდი, რომ დედაჩემს არ ვუყვარდი. მაგრამ მე უკვე აღარ შემიძლო დავიწყება — უკან თავგადაგდებული ქალის სახეზედ აღბეჭდილი სასტიკი მზისა ასე და ამგვარად გავიგე, როგორი სახე აქვს ხან ქალურ სიყვარულს... გავიგე და ეს სიყვარული მომინდა. მერე შენ ჩამოგიგდე სიტყვა, მოძღვარო, ამ სიყვარულზედ, და შენ მითხარი: ქალის სიყვარული მდარეაო, ფილოსოფოსი სულ სხვაგვარ სიყვარულს, სულიერ სიყვარულს უნდა ესწრაფოდესო. მაგრამ მე უკვე მაშინაც აღარ მჭეროდა შენი... მონა ქალების ოთახებისკენ დავიწყე ცქერა. აი მაშინ მითხარი, ქალის სიყვარულის ყიდვა შეიძლებაო. თან ისიც დააყოლე, ოდონდ ზედ არ უნდა გადაბყვე — რათა სული ნამდვილი სიყვარულისათვის განიწმინდოო... მერე კი, თითქოსდა „უცაბედად“... „შეუმჩნევლად“ ფული შემომაპარე. თვალის დასანახავად მძულდა ის შენი ფულიც და ის შენი ვითომ „შეუმჩნეველი“ თამაშიც, მაგრამ მაინც სულმოუთქმელად მოვკურცხლე მუჭაში ფულჩაბლუჭულმა იმასთან, ვისაც ჩემთვის მზე უნდა ერგუნებინა! იმან ნაჩქარევი ერთხანტელი და სირცხვილი მარგუნა! მაგრამ უსიყვარულოდ სიცოცხლე აღარ შემეძლო! ვხედავდი, როგორ აღაფრთოვანებდა ბრბოს მსახიობთა სიმღერა და კითარაზედ დაკვრა! რა აღტაცებას ბადებდა ეტლებზედ ამხედრებულთა სიმკვირცხლე. და დაკვრაც ვისწავლე, სიმღერაც და ჭენებაც. მაგრამ გული მაინც მეთანადრებოდა... არც დაკვრა, არც სიმღერა საკმარისად არ მიმაჩნია იმისათვის, რომ ვინმეს შევეყვარებინე... და თანდათან სასოწარკვეთილება მიპყრობდა... ნუთუ მზის ნახვას ვერ უნდა ველირსომეთქი!.. და აი ერთხელაც, მარტოობისაგან განადგურებული, სასახლეში დავსერირობდი. და ერთ-ერთ უკაცრიელ დერეფანში წავაწყდი იმ ქალს — დედაჩემის დობილს, ქალღმერთივით ამაყი სახე მქონდა, იმასავით დიდებული... და უცებ ერთი აზრი მომივიდა... მეორე დღეს ავიღე დანა და დავიმალე — სვეტის უკან ველოდებოდი, როდის გამოვიდოდა დედაჩემის ოთახიდან... და აი გამოჩნდა — ისევ იმ უკაცრიელ დერეფანში. გამოჩნდა და მეც წინ გადავუდექი — ხან დანით დავემუჭრე, ხან შერცხვენით და ვაიძულე... ის დედაჩემის დობილი ქალღმერთი... რომ დამნებებოდა! და... აი იქ... მის წუველა-კრულვაში... მის შებრძოლებასა და ცრემლებში... მის სიძულვილში... ვიგრძენი, რომ... ის იყო მზე... მაგრამ სრულებით სხვა მზე... და ძლივს ვიკავებდი თავს... ისე მომინდა მისი განგმირვა... აღტაცებისაგან! და აი სწორედ მაშინ უდიდესი რამ აღმოვაჩინე. მივხვდი: ოდეს არ წივი თავის მსხვერპლს კორტნის... კლანჭებით რომ ხორცი უჭირავს, აიმ ათახთახებული ხორცის წამებაშიც... სიყვარული... დიახ, დიახ, სიყვარული... იბადება და ქვეყანაზედ არაფერი არ შეედრება ამ სიკვდილის ფასად შობილ სიყვარულს! მსხვერპლის სიყვარულს ქალათის მიმართ! შენ კი ეს სიყვარული დამიძალე, კეთილმოსურნე ლაჩარო ბერიკაცო. მაგრამ მე მაინც აღმოვაჩინე!.. აღმოვაჩინე და მოვედე საროსკიპოებს, რათა კვლავ და კვლავ განმეცადა ეს სიყვარული... მერე გავიწარდე და კეისარი გავხდი. ერთხელ შენ და დედაჩემმა გადაწყვიტეთ: უკვე დროაო, და ლოგინში შემომიწვინეთ შენი მონა ქალი — მზეთუნახავი აქტა. ორივეს გინდოდათ — თქვენს ჭკუაზედ გეთამაშებინეთ... მაგრამ იმ ტუტუც გოგოს შევეყვარდი. სისხამ დილით — კეთილსურნელოვან სარეცელზედ — ისეთი ბედნიერება ვიგებე, რომელიც ოდესღაც მხოლოდ სიზმარში თუ მომლანდებია. მართალი გითხრა, მომეწონა მაშინ ის ბედნიერება... გარყვნილება... წარსული... უველაფერი გადამავიწყდა... თითქოს ჭუჭყიანი ტანსაცმელი გამომეცვალოს, ისე ვიგრძენი თავი... ვიწექი აქტას გვერდით და ვტკებოდი მისი სუნთქვით... სანამ ერთხელ თვალი არ გავახილე — და... ჩემ გვერდით ჩვეულებრივი... ტუტუცი ქა-

ლი... არ აღმოვაჩინე... რომლის ვნებათა ღელვაც უელში მქონდა ამოსული. მეშ-
ჩანური მზე ჩაქრა... მაგრამ ისევ ხაროსკიპობში თრევა აღარ შემეძლო. უცვ-
რალაც... შეუფერებლად შეჩვენებოდა... ვიცოდი, ვგრძნობდი: ახალი ნაბიჯი უნდა
გადამედგა... და წამომაგონდა სისხლმორწყურებული დანა... ის ქალი, ჩემს მკლავ-
ბში მოქცეული რომ ცაბცახებდა და ტიროდა... და ცა გამეხსნა გამომეცხადა...
მოსაცხადებელი... და ოდეს ბრიტანიუსი უგრძნობლად დაეცა... კვლავ აღიფან-
ქალდა გული... ისევ ვიგრძენი ტკბილი ურუოლა! სუყველას გიუურებდით: ამაჟი
დედაჩემიც, ცრუ მოძღვარიც და მთელი ზღვად მომსკდარი ბრბოც — უცვებ გაერ-
თიანდით... მერე ნელ-ნელა რალაცა ფითრის ფერი გამოგეუოთ და მუხლებზედ
შემომებვია... ხანაც ჩემი ფეხების წინ ხობავდა... ეს თქვენი შიში იყო, ფითრის
ფრად დაძრული... ჩემდა საამებლად. ჩემი ნება უკვე ზღვარდაუდებლად იყო გან-
ფენილი... და უველა თქვენგანის ნება პირქვე ემხო! ვინც ერთხელ იგემა თავისი
ნების ეს უსაზღვროება... იმას მხოლოდ აღმასვლა ძალუძს! ზევით! ზევით და
კიდევ უფრო მაღლა!.. და ჩემთვის აუცილებელი ვახდა, რომ თქვენი სახეებისათ-
ვის არცროდის მომეშორებინა ის ფითრის ფერი... რათა ისევ და ისევ მეგრძნო
ის ტკბილი ურუოლა... მწვერვალზედ ვიდექ... მთის ჰაერს ვსუნთქავდი. იქ სიკვ-
დილის შვილთ ხელი არ მიუწვდებათ. იქ ღმერთები არიან! ვინც ერთხელ გემო
გაუგო, რა არის ღმერთად ყოფნა, — ის ვეღარ შეჩერდება. სისხლი! სისხლი!
გულს უველაფერი ეცოტავება!.. და მთელი რომაელი ხალხი... ჩემთვის სხვა არა
არის რა, თუ არა ის ქალი, რომელსაც დანის შიშით ავხადე ნამუსი!.. ერთხელაც
ავდგები და სულ გადავბუგავ ამ დიად ქალაქს... და სუყველას შეგაჩვენებთ!

სანებას (საზარლად) გეუოფა...

ნარკინი. შენ ისევ ატრაგედიავებ! ჩვენ კი კომედიის თამაში მოვილაპარაკეთი კომედიას ვთამა-
შობთ. (ტაშს შემოპკრავს.)

იმ წუთას წივილითა და კისკისით წამოიჭრებიან მიწიდან უმოძრაოდ მწოლიარე
ამური და ვენერა. სენეკას თითქმის შიში აქვს სახეზე აღბეჭდილი. ამური და
ვენერა ხტუნავენ, იცინიან და ეშმაკებივით ფერხულს უვლიან სენეკას გარშემო.
(ყვირის) კომედიას! კომედიას! უველაფერი უირამალა ხდება: ვინც მკვდარია,
თურმე ცოცხალია, შენ კი — ცოცხალი — მკვდარი ხარ! (ღრიალებს) ვთა-
მაშობთ კომედიას!

სანებას. მე აღარ მინდა სიცოცხლე!.. უხმე ტიგელინუსს, კეისარო! დაე მოვიდეს ტიგელინუსი!

ნარკინი. შენ მართალი ხარ! დრო დადგა: დაე მოვიდეს ტიგელინუსი!

ამური. მესმის, ტიგელინუსის ნაბიჯის ხმა მესმის! (წყვილიად შეერევა და იმწამსვე უკან ბრუნ-
დება). ტიგელინუსი ტიგელინუსი მოდის! გზა ტიგელინუსს!

უველანი გაშეშლებიან. ხანგრძლივი დუმილი.

ნარკინი. (ძალიან წყნარად). ის აქ არის?

ამური. აქ არის!

ნარკინი (ჩურჩულებს). რა საშინელი ვინმეა. მე მეშინია იმისი. დაშიცავით ტიგელინუსის ზე-
რისაგან. (ყვირის.) ქუთუთოები ჩამოუწიეთ ტიგელინუსს! (ჩურჩულებს.) რად გა-
ჩუმებულხარ, სენეკა? რატომ არ უცქერი ტიგელინუსს? (სენეკას უელში სწვდება.)
ხედავ ტიგელინუსს?... ხედავ თუ არა ტიგელინუსს, ბებერო ნაბიჯვარო?

სანებას (ძლივს გასაგონად) ვერა ვხედავ, კეისარო.

ნარკინი. რა უცნაურია. (ამურს.) სანაძლეოს დაგიდებ, ჩემო გოგონი, ჩვენი სენეკა ტიგელი-
ნუსს ვერა ხედავს. (სენეკას.) აბა, მაშ რაღა უნდა ქნა... თუკი ტიგელინუსს ვერ
დაინახავ? უიმისოდ როგორ უნდა იცოცხლო? უფრო სწორედ — როგორ უნდა
მოყვდე?

სანებას (ჩაბრინწული ხმით.) ტიგელინუსი რა, არ არის?!

ნარკინი. კომედიას, მოძღვარო: ტიგელინუსი რომში გამოჩნდა კლავდიუსის სიკვდილისთანავე,
მაგრამ რომში სულ ერთი ღამე დარჩა: ტიგელინუსი განთიადისას მოვახრჩობინე
— დედაჩემი არ ვაპატიე. (ჩურჩულებს.) შენ ხომ იცოდი, სენეკა... რომ ის არ
არის... მეც ვიცოდი, რომ შენ იცოდი. მე ხომ ის ჩვენთვის მოვიგონე... გრანდი-
ოზული გამოგონებაა, დამეთანხმე. ტიგელინუსთან ერთად მოხერხებული იყო...
ჩვენთვის, ორივესთვის: ჩემთვის — მკვლელობა, შენთვის — მკვლელობის გამა-
რთლება. ტიგელინუსი ერთადერთი შესაძლებლობა იყო, რომ ხელიხელჩაკიდებუ-

ლთ გვეცხოვრა მე და შენ — მკვლელსა და წმინდანს... მაგრამ ხვალ შენ ცოცხალი აღარ იქნები, სენეკა. უშენოდ კი აბა რალად მინდა ტიგელინუსის დღეს რომს ბედნიერს გავხდი: ამ ურჩხულის სიკვდილით დასჯის ამბავს გამოვაცხადებ. ხომ წარმოგიდგენია, რას გაიხარებენ: ტიგელინუსის საშინელი დრონი წარსულს ჩაბარდომ! ახე რომ, სენეკა, ტიგელინუსის სიკვდილი — ჩემი საზღაურის ერთი ნაწილია: უმაღლეს ბედნიერებას გიძღვნი — შენი მტრები სიკვდილებს მოგასწრებ. ეხლა კი შენი როლია, კასრში მჭდარო მსაჯულო: მტრები შენგან და სენეკამ როლები უკვე შეასრულეს. ერთი სული აქვთ სანამ განაჩენს მოისმენდნენ: კარგად ითამაშეს თუ არა ცხოვრების კომედია?

დუმბილი. მხოლოდ კასრში მჭდარი ბერიკაცი ჩურჩულებს გაუგებარ სიტყვებს.

რას ბუტბუტებ, ჩემო ძმაო დიოგენე? (შოლტის ტყლაშუნი.)

ბერიკაცი. ვლოცულობ... ზენაარსხა ვთხოვ, — არ ჩაკლას ჩემში სიუვარული.

ნერონი. ვის სიუვარულს ებირები, ბერიკაცი?

ბერიკაცი. ვისას და, სუყველას სიუვარულს... სუყველა ერთად მთელი კაცობრიობის მოდგმავართ. ჩვენ გვიპირავს მხრებით საერთო ცამრგვალი... ის ჩემშია, მე კი — იმაში ვარ, მე შენში ვარ... შენ — ჩემში ხარ... და თუ შევიძულე, შენი შეძლებსა ჩემი საკუთარი თავის შეძლებსა. და თუ ის შევიძულე — მე ისევ ჩემს საკუთარ თავს შევიძულე. და თუ შენ მე მომკლავ — ამით შენ საკუთარ თავს მოკლავ.

ნერონი. მაშ, შენ გინდა, რომ ჩვენ ყველანი გიყვარდეთ? აბა, მაგალითად, ეს რისთვის უნდა შეიყვარო? (სენეკაზე უჩვენებს.)

ბერიკაცი. რისთვის და, კარგი სიტყვისათვის, ძმაო. ეგ კაცი ბევრს ფიქრობდა... და ბევრიც სწორი რამ თქვა.

ნერონი. ეს ლაპარაკობდა, სხვები უსმენდნენ და კაცთ მაინც მკლავდნენ. (ბერიკაცი დუმს.) აი ამ შენს... ძმას (ცხენ-სენატორზე უჩვენებს.) რილასთვის შეიყვარებ?

ბერიკაცი. დამცირებისათვის... იმ ტანჯვისათვის, რაც მაგან გამოიარა.

ნერონი. იქნებ შენ გინდა, რომ მეც შემიყვარო?

ბერიკაცი. მინდა, დიახ!

ნერონი. მერტდა, რისთვის, რატომ უნდა შეიყვარო შენი ძმა კეისარი?

ბერიკაცი. რატომ და, ყველაზედ უბედურია და იმიტომ. (ჩურჩულებს.) სიკვდილი სანატრელი გაუხდება... უკანასკნელ მონას მუხლებში ჩაუვარდება.

ნერონი (მრისხანედ გადაუქერს შოლტს ბერიკაცს. შეჩერდება, სუნთქვა ეკერის.) იქნებ მითხრა, ისინიც უნდა შევიყვარო. (უჩვენებს ქვესკნელზე, საიდანაც მოვრალი ხალხის ღრიანცელი აღწევს.)

ბერიკაცი. ისინიც, აბა... ისინი თუ გიყვარს — ძალიან მნიშვნელოვანია.

ნერონი. ეს უკეთური მონაც? ეს კახპაც?

ბერიკაცი. ეგენიც... ეგენიც...

ნერონი (ვენერას.) ამ ბერიკაცს უნდა, რომ შენ უყვარდე... უპასუხე! მიდი, უჩვენე, რა შეგიძლია არ შემარცხინო, შე ოხერო! (ვენერა აცეკვდება კასრის გარშემო.) მიდი, მიდი, გოგონი (ვენერა ცეკვავს თავის საშინელ ავბორცულ ცეკვას. ნერონი ღრიანცეკვებს.) მა! მა! რას იბნევი, ძმაო დიოგენე, — ამბობენ, შენს წინამორბედ დიოგენე პირველს ზურგით დამყავდა თურმე აი ამისთანა კახპა!

პინორა (უცებ შეჩერდება.) შეშინია...

სენეკა (ისევ ვერ მოიხშინა.) გაანებე თავი მაგ ბერიკაცს, კეისარო!

ნერონი (სენეკასკენ შემობრუნდება.) რომ იცოდე, ამან ბეჭებზედ დაგდო, რაც ამან ილაპარაკა, ყველაფერში სიგიჟეა. მაგრამ ამის სიგიჟე რატომღაც სიბრძნედ მოჩანს... შენი სიბრძნე კი უოველთვის სისულელედ შეჩვენებოდა... (ბერიკაცს.) გიხაროდეს, კასრის კაცო: შენ დაამარცხე უდიდესი ფილოსოფოსი სენეკა. აი ესეც კომედიის ღირსეული დასასრული. (ზეიმოვნად.) და ამისათვის კეისარი მეფურად გაჯილდოებს: ღვთაებად გნიშნავ, ჩემო ძმაო დიოგენე, ჩემს ნერონიებზედ! (შოლტი გატყლაშუნდება.)

სენატორი-ცხენი. გაუმარჯოსკეისარსჩვენმუდამვნატრობდითშენისთანაკეისარს ორმოცჯერშენ დიდმაშამხენატორი ხარ კეისარიოთხმოცჯერ. (ზეიხვიანებს.)

ნერონი (განაგრძობს.) მე გნიშნავ პრომეთედ! სახარბიელო ხვედრია: დილაზედ მთელი რომს...

თვალეზდახუჭული სენატორი-ცხენი გააფთრებული ურტყამს ზუბს ჭვარზედ გაკრულ ბერიკაცს.

პრინკაპსი (ტკივილისაგან სული ეხუთება). მიუტევებ... (კვდება.)

ნერონი (განაგრძობს კითხვას, ჭვარს მიმართავს).

მიდი და ეხლა

იამბობე.

და უფლებანი ღმერთების წილი

მიანიჭე მწერთ ერთდღიანებს.

სენატორი ცხენი (შეძრწუნებულია.) მოკვდა... მე... მოკვალის..

ნერონს ჩაეციხება, ჭვართან მიდის.

ნერონი. მართალი ბრძანდები, ჩემი ძმა დიოგენე აღესრულა. (ყვირის, კასრს მიმართავს)

მოკვდა!.. ეხლა რაღას იზამ, ცარიელო ნებვო? იმის სურვილით, რომ გადააყი-
რავოს, ნერონი კასრს უფხს მისცნებს, და ტკივილისაგან აღრიადდება. კასრს ძვრა
არა აქვს.)

მა პასრიდან. მომეცალე, კეისარო.

ნერონი (უკან იხევს შეძრწუნებული.) სენეკა!..

მა პასრიდან. შეგეშალა, კეისარო, მე დიოგენე მქვია. და შენ მზეს მიჩრდილავ..

ნერონი ნელ-ნელა შორდება კასრს.

მერე მაშხალას ანთებს.

ხელმაშხალიანი ნერონი ისევ კასრისკენ მიდის.

წუთით მაშხალის შუქი სახეს გაუწათებს ნერონს.

კაშკაშა შუქში გამოჩნდება დაღლილი, დაჯირჯეებული სახე, ჯივრისფრად დაფორაჯებუ-
ლი მაგრამ აი ნერონმა მაშხალა გასწია და ბინდბუნდში კვლავ იგი — წინანდელი „აპოლო-
ნია“.

„აპოლონი“ კასრთან მიდის და ცეცხლს უკიდებს. მერე სამივენი — „აპოლონი“, „ვენე-
რა“ და „ამური“ — ცეცხლწაიკიდებულ კასრს შემოუსხდებიან.

ცეცხლწაიკიდებული კასრიდან კაცის ყვირილი ისმის. მიწყნარდება. მერე თანდათან მიწყ-
ნარდება ის გნოასი და კვნესა-გმინეაც, ქვესკნელიდან რომ ისმის.

სიჩუმე. მღუპარება.

სიჩუმეში გაისმის „ამურის“ ნაზი სიცილი. ამ სიცილს — როგორც მელოდიას — აიტა-
ებს „აპოლონი“, მერე „ვენერა“. ასე სხედან ისინი უკვე ჩამწვარ კასრის ირგვლივ, როგორც
სამი ნორჩი ღვთაება.

და წყნარად ჰუკუკუებენ — თითქოს მარტო თვითონ საიდუმლო რამ იციან და იმაზე
ჭურჭულებიან ერთმანეთს.

ფ ა რ დ ა





თარგმნა ვაჟა ფუბუსიძემ

შესავლის ნაცვლად

სახლში ყველაფერს ეძინა, კედლის საათი წიკწიკებდა მხოლოდ. რატომღაც ძილი გამიკრთა, ვიწექი, ღამისეულ ხმებს ვაყურადებდი და როდის გათენდება-მეთქი, ვფიქრობდი.

— წიკ-წიკ, წიკ-წიკ, — წიკწიკებდა საათი.

ხმა უხალისო, მიღეული ჰქონდა და კარგად რომ მივაყურადე, წიკწიკის ნაცვლად ოხვრა შემომესმა: ვაი-ვაი, ვაი-ვაიო, — წუხდა.

ცოტაც და ალაპარაკდა კიდევ: ცხოვრება კი არა, ტანჯვააო, — აწუწუნდა, — ვერც დღით ჩაიმუხლები, ვერც ღამით; დარბიხარ, დაფუსფუსებ... ეს საწონიც რომ დამკიდეს! ტვირთი მაკლდა თუ გაჭირვება?!

მეგონა, საათი თავისთვის ლაპარაკობდა, მაგრამ პასუხად მის ქვეშ მღვარმა თაროედმა გაიჭრიალა:

— ნუ ლელავთ, მე გისაშველებთ, ახლავე გაგანთავისუფლებთ...

როგორ გაანთავისუფლებს? — ის იყო გავიფიქრე, რომ გამახსენდა: საღამოს საწონის აწევა დამავიწყდა, ახლა იგი თაროედზე დაეშვება და საათიც განთავისუფლდება მისი სიმძიმისაგან.

აღბათ ასეც მოხდა. მალე საათს ხმა დაუსუსტდა და გარკვევით მომესმა:

— ვაი, ვკვდები, გული მიჩერდება, მომეშველეთ!

წამოვხტი, საწონი ავწიე და... — წიკ-წიკ, წიკ-იკ! — ძველებურად ამღერდა საათი.

მერე ვიწექი და ვფიქრობდი საათის ახირებაზე, საწონისაგან განთავისუფლება რომ ინდომა. და კიდევ ხალხზე ვფიქრობდი, ამ საათის მსგავსად „ზედმეტი ბარგისაგან“ თავის დახსნას რომ ცდილობს.

მას მოღმა, ღამღამობით საგნების ცხოვრებას ვაყურადებ.

შევიტყვე, რომ ცხვირაწეული ძველი ფეხსაცნელი სწორედ ცხვირის გამო არ უყვართ, რომ ბალიშს თავისი ღბილი ხასიათი ადარდებს და რომ ზორბა ლურსმანი „პირდაპირი ბიჭია...“

ძალიან მომიხდა აღმეწერა — რაც შევიტყვე, ვფიქრობ, ადამიანებსაც წაადგება საგანთა ქვეყნის ამბები.

წინათქმა

სახაზავმა უთხრა კალამს: თუ რამის თქმა გინდა, ძმაო, ნუ დამალოვ, პირდაპირ თქვი საამოც და სავალალოც. არაფერი საჭიროა ძრომიალი ხაზებს შორის, გვირისტებით გაოცება კოლეგის და თანამშრომლის. წიგნიერებას გზაზე არ აგებნეს, თუ გსურს, გზები — გაატარე სწორი ხაზი, უფრო გასაგები.

ნალის ბედი

რკინის ზოდი სამუშაოდ სამჭედლოში მოვიდა.
 — გაგვაცანით თქვენი ავტობიოგრაფია, — უთხრა ცეცხლმა, მიმღები კომისიის თავმჯდომარემ.
 — დავიბადე ურალში. დავამთავრე მარტენის სკოლა... — ზოდს სათქმელი შემოეღია და გაჩუმდა.
 — გიმუშავიათ სადმე?
 — ჯერ არა, ახლა ვაპირებ.
 — მაშასადამე, წრთობა გაკლიათ, — თქვა ცეცხლმა. — რას იზამ, დაგებმარებით.

ზოდს აღმური ავარდა. მარტენში ნაწრთობად მიიჩნდათ, აქ კი...
 წყენა რომ შენიშნა, გრდემლმა, მიმღები კომისიის მუდმივმა წევრმა, უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა: — გაგულისდით?! ცუდია, ძალიან ცუდი! კრიტიკას უნდა გაუძლოთ!

— ყმაწვილია და ცოტა მოხვედრია, — ვარაუდი გამოთქვა ურომ, კომისიის კიდევ ერთმა წევრმა.
 ჰაიპარად არაფერი გამოდის!.. ნალის წოდების მიღებამდე დიდხანს აცოდვილეს სამჭედლოში, შემდეგ დანიშნულებისამებრ გაამწესეს და, სამუშაო ვადამდე რომ არ მიეტოვებინა, ცხენის ფლოქვს მიაღურსმნეს.

მეშველა, დამოუკიდებელი მდგომარეობა მაქვს და რაღა მიჭირსო, — გაიფიქრა ნალმა, მაგრამ — თქვენც არ მომიკვდეთ! ცეცხლიც, გრდემლიც და უროც ფლოქვმა შეცვალა: თითქოს სხვა საქმე არ ჰქონოდა, დილიდან საღამომდე ქვაფენილზე აკაკუნებდა.

დანიშნული ვადა რომ გავიდა, ნალი სიხარულით მოწყდა ფლოქვს და ქანცგაწყვეტილი შუა გზაზე მიეგდო.

ჯერ მოეწყინა, უმოქმედობამ გული გაუღია, მაგრამ მალე ახალი ძმაბიჭები გაიჩინა — წვიმის წვრილი, კამკამა წვეთები. თ, როგორ განსხვავდებოდნენ ისინი ძველი ნაცნობების — ცეცხლის, გრდემლის, უროსა და ფლოქვისაგან! ნაზნი და მოალერსენი ნალს მხოლოდ საამოზე ემასღათებოდნენ.

— რა ძლიერი და ბრწყინვალე ხართ, — აქებდნენ ნალმა. — უთუოდ დიდი მომავალი მოგელით.

უფრო მჭიდროდ შემოეხვივნენ, მთლად დაუტკბნენ და ენად გაიკრიფენ. ჩემს ბედს ძალღი არ დაყეფსო, — ფიქრობდა ნალი, მაგრამ შეუმჩნევლად შემოპარულმა ჟანგმა, მას აქეთ რომ გულს უფულრავს, ხალისი დაუკარგა.

რა არ ხდება ამ დალოცვილ ქვეყანაზე!

უდანაშაულო ბოთლი

ბოთლს ლოთობისათვის ასამართლებდნენ, ის კი უდანაშაულო აღმოჩნდა.

ცნობილია, რომ ლოთობისათვის პასუხისგებაში არ აძლევენ და სასამართლოც, ცხადია, ამხანაგური იყო და არა ნამდვილი, მაგრამ ლოთობისთვის ესეც კმაროდა.

სხვებზე მეტად კათხა და სირჩა ღელავდნენ. კათხა ითხოვდა „ფხიზლად შეეფასებინათ ვითარება“, ალკოჰოლის სუნს შემომწყრალი სირჩა კი საქმის დროულად დასრულებას იხვეწებოდა.

მაგრამ გაირკვა, რომ ბოთლი ღვინისა არ იყო. მოწმე საწოვარამ, მსჯავრდებულთან რომ მსახურობდა, იოლად დაამტკიცა მისი უდანაშაულობა.

ყველამ უხერხულობა იგრძნო. აღარ იცოდნენ, რა ეთქვათ და ელონათ, მაგრამ გასაჭირიდან დაძრომის ოსტატმა კორპსადრობმა მხიარულად შესძახა: — ძმებო, უნდა აღინიშნოს ეს ამბავი! წამოდით, მე გმასპინძლობთ! — და ყველა ძველ მეგობარ საგომელასთან მიიპატიჟა.

გამხიარულდა სტუმარიც და მასპინძელიც. კათხა და სირჩა ბოთლთან გადადიოდნენ ალავერდს და მალე ისიც ყელთამდე აივსო.

ზეიმობდნენ, რომ ლოთობაში ეჭვმიტანილი ბოთლი სავსებით უდანაშაულო აღმოჩნდა...

თუმცაღა რამდენადმე ნაგვიანევი იყო ეს ზეიმი.

ნაჯახი

ნაჯახი შალაშინის ნამუშევარს აფასებს:

— ცუდი არ ითქმის, მაგრამ ზოგი რამ უნდა შესწორდეს. მე აი, რას ვიზამდი... — ჩვეული, ძლიერი დარტყმით ნაკოდალს შუაზე აბობს და კმაყოფილი შენიშნავს: — აი, ასე, ახლა უკეთესია, თუმცა...

ნაჯახი გატაცებით მუშაობს და მალე ნაკოდალისაგან ნაფოტებიღა რჩება.

— ამგვარად განაგრძეთ, — ურჩევს შალაშინს. — მჯერა, ამ ნაკოდალს თავს გაართმევთ.

— რომელ ნაკოდალს? — გაოცდა შალაშინი. — მიხვან ხომ აღარაფერი დარჩა!


— აღარაფერი?... რა მოხდა მერე! ადექით და სხვა აიღეთ. მთავარია, პრინციპი გაიგოთ. თუ გავიჭირდათ, ნუ მომერიდებოთ, პირდაპირ მომმართეთ. აბა თქვენ იცით, იმოქმედეთ!

ნამწვი

რაღა აქ დამავდო ბებერმა აბუეტმაო, — გაიფიქრა ნამწვმა, ტროტუარზე რომ საჩინო ვერაფერი შენიშნა. შემდეგ გამვლელები მიმოათვალიერა და გუნებაც გამოუკეთდა.

— ოჰო, წარმტაციც მრავლად ყოფილა! — შესძახა და პირველსავე ლანჩას აეკრა.

— დამეხსენ, თავხედო! მიცნობ თუ?! — აღშფოთდა ფეხსაცმელი.
 — ხი-ხი-ხი... მერედა ვინ გიშლის, გამიცან! — ჩაიხიბითა ნამწვმა...
 შემდეგ ფეხსაცმელს დაეხსნა და ძველ წალას აეწება:
 — კრაქუნობ ,ძველო... უტილნედლეულს ხომ არ ჩავბარდეთ?!
 ასე ეხეტებოდა და ღიჯინებდა, ვიდრე ცოცხმა ურნაში არ უკრა თავი.



რწმუნების კალა

— კარი უნდა გაიხსნას, — ღრმავარდნად შენიშნავს სახელური, კარს რომ აღებენ.
 — კარი უნდა დაიხუროს, — ფილოსოფიურად ასკვნის იგი, კარს რომ ხურავენ.
 სახელურის რწმენას ზემოქმედის ვინაობა განსაზღვრავს.

სამსახურიდან გადახდგარი ფილთაქვა

სამზარეულოს შეეკედლა ძველი ფილთაქვა, გატეხილი და უვარგისი როდინისათვის: ლურსმნებს აჭედებს, ნაწარმს წონის და მუყაითი არც წიკი-ბიწო საქმეებზე არ ამბობს უარს.
 გაგულკეთილდა, კუთლეულსაც დაუმეგობრდა, გაჩენის დღიდან უწყალო და დაუნდობელი.
 ცხოვრებამ ბევრი მასწავლაო, ასლა კი ვიცო, რარიგ გიჭირდათ... რანაირად იტანჯებოდით.
 მაგრამ ცხოვრებამ კვლავ როდინში რომ დააბრუნოს?!
 თუმცა ამაზე კუთლეულმა იწუხოს უნდა.

თავკიდური ქვა

ქვანახშირიო თავკიდური ქვაა ზამთარში, — ეუბნებოდა ამხანაგებს მურა ნახშირი. — ქვეყანას ვათბობთ, უმჯობესი რა არის ნეტავ? დე, დავიფერფლოთ, ფუჭად ხომ არ დავიფერფლებით?!
 ღვთის გარეგანი იდგა ზამთარი და დავიფერფლა ყველა, მურა ნახშირის გარდა.
 შემდეგ კი, როცა კვლავ იმძლავრა სუსხმა და ქარმა, გადარჩენილი ახალ მოყვასს ეუბნებოდა:
 — ..ქვეყანას ვათბობთ, უმჯობესი რა არის ნეტავ? დე, დავიფერფლოთ...
 ჩვეულებრივი ქვა აღმოჩნდა ქვა თავკიდური.

ბოკო

წაიბორძიკებენ ხოლმე გზის პირას მდგარ ბოკოზე და...
 — გთხოვთ სათითაოდ, ბატონებო, გთხოვთ სათითაოდ! წელში გავწყდები და მიგიღებთ ყველას უკლებლივ. ო, რა ხალხია, რა ხალხია, — კრიალებს ბოკო, — ნაბიჯი რაა, ვერ გადუდგამთ ისიც უჩემოდ!

კლოზი

ანგარიშს უწევს ყველა, თუმცა უსაჩინო და მოცუცქნულია რკინის პლომბი მიუკარები. ხშირად ფოლადის ძალოვანი ბოქლომებიც კი მისგან ელიან მეოხებას და მფარველობას.

ნუ გაოცდებით! პატარა პლომბს თუმცა თოკით, მაგრამ მაინც უწყვეტი კავშირი აქვს მაღალ წრეებთან.



მნათობი

დიდს თუ პატარას — ყველას მოსწონდა ჭალი ელექტრომაღალიაში: ოღონდ საკუთარ ჭერს მიაღწიოს, გაიზრდებო ქვეყნად ნათელი.

მაგიდის ლამპებს შემდეგშიაც დიდხანს ახსოვდათ შნო, ლაზათი და სიამაყე საკუთარ მოდგმის, რომელიც, მათი მტკიცე რწმენით, მნათობად იქცა.

ჭალი კი, ჭალი რესტორანში ჭერს დაეკიდა და, თავისივე ბრწყინვალეობით თვალდავსებული, იმდენ ელექტროენერგიას ფლანგავდა დღეში, რაც სიკვდილამდე ეყოფოდა მაგიდის ლამპებს.

ჭერს მისწვდა, მაგრამ არ გაიზრდილა ქვეყნად ნათელი.

გახვრეტილი გროშის პროლეტა

1 არავინ იცის, ვინ თქვა პირველად — ოთახში გახვრეტილი გროშიაო, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ერთხმად გადაწყდა მოენახათ იგი.

ყოველგვარ საქმეთა მთავარმა მრჩეველმა ჩაქუჩმა დამკვრელური წესით სცადა გახვრეტილი გროშის მამიებელი ექსპედიციის შედგენა. კედლიდან საგანგებოდ ლურსმანი გამოიხმო, ადრე საკიდურს რომ ამაგრებდა. საკიდური ჩამოვარდა, მაგრამ არ გაუქცელეთია გახვრეტილი გროშის ძიების ბრწყინვალე იდეა.

შემდეგ ექსპედიციის წევრთა შერჩევას შეუდგნენ. ვილაცამ ცოცხის კანდიდატურა წამოაყენა, „რომელიც მშვენივრად იცნობს ადგილს და სპეციალური განათლებაც აქვს“. მაგრამ იგი სავსებით გასაგები მიზეზით უარყვეს: წინკარში ცოცხს ნათესავი ჰყავს — იატაკის ტილო, იატაკის ტილოს კი, როგორც მოგეხსენებათ, წყალი აქვს შემდგარი.

დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ ექსპედიციაში სამნი დატოვეს: კრისტალურად წმინდა ჭიქა, გაკრიალებული კარადა (ყველაფერი რომ გლუვი ჰქონდა) და საფურთხი. ეს უკანასკნელი მთლად სუფთა ვერ იყო, მაგრამ კრისტალურად წმინდა ჭიქა თავდებობდა.

დიდხანს იმუშავა ექსპედიციამ, დიდხანს, მაგრამ უშედეგოდ; კრისტალურად წმინდა ჭიქა ძიების დასაწყისშივე დაიმსხვრა და საწოლის ქვეშ მიმოიბნა, ექსპედიციაში ფორმალურად მონაწილე კარადა მხოლოდ რჩევას იძლეოდა, რადგან დაუხმარებლად გადაადგილება არ შეეძლო, საფურთხი კი „მიმიფურთხებია გახვრეტილი გროშისათვის“, ფიქრობდა და ადგილიდან არ იძვროდა.

ექსპედიციისათვის სხვა კრისტალურად წმინდა წევრების ძიებას შეუდგნენ. ახლები ახალი ძალით ამოქმედდნენ და გახვრეტილი გროშის მონახვის სასახელო საქმეს შეეწირა ყველა ჭიქა, ფინჯანი, თეფში და ლამბაქი.

მეცნიერების მსხვერპლთა ნამსხვრევების შეგროვებით ქანცგაწყვეტილმა ცოცხმა გადაწყვიტა ბოლო მოელო ამ უმსგავსობისათვის და ისე მოინახა გროში, რომ ექსპედიციას არც გაჰკარებია.

— ვაშააა! გახვრეტილი გროში მოინახა!

მოინახა და გაჩნდა ახალი პრობლემა: რა უქნან, რაში გამოიყენონ? — ქვეყნის ალიაქოთში ამაზე როგორღაც არ უფიქრიათ.



კატეზონის ნემსი

დალაბრა ნემსი ჩიოდა:

— დრო იყო ვმღეროდი და ნეტარებდნენ, ახლა კი ყურებში ბამბას იცობენ. ვერც გაამტყუნებ: რა ფირფიტებია? რა რეპერტუარი?!

პირადობის მოწმობა

— ტაბურეტო! ტაბურეტო! — დაიძახა ოთახიდან ვილაცამ.

ახლახან ნაყიდი ელექტროლამპა შეკრთა: იგი სამზარეულოში ტაბურეტზე იდო და ეს უკანასკნელი რომ განძრეულიყო, დაიმსხვრეოდა, ამიტომ თვითონ გაეპასუხა:

— ვინ ეშმაკს დასჭირდა ტაბურეტი? რაშია საქმე?

ეს რა უცნაური ტაბურეტიაო, — გაიფიქრა ყველაფერში ცხვირის ჩაყოფის მოყვარე ჩაიდანმა და გაოცებულს ნათურისაგან თვალი აღარ მოუშორებია.

შებინდებისას საკუთარი მოვალეობის შესრულება გადაწყვიტა ნათურამ და... თქვენთან მინდომ მუშაობა, — მიმართა ცარიელ პატრონას.

პატრონა ის იყო ჩაფიქრდა, რომ ჩაიდანმა კვლავ ჩაყო ცხვირი სხვის საქმეში:

— თქვენ?! პატრონასთან?! ხა-ხა-ხა! თქვენ ხომ ტაბურეტი ხართ!

— რა სისულელეა! -- აღშფოთდა ნათურა. — საქმით დაგიმტკიცებთ, რომ ორასსანთლიანი ვარ.

— ოჰო, დაგიმტკიცებს! — ჩაიციხა ჩაიდანმა. — თუ ბიჭი ხარ, ცნობა მოიტანე, ცნობა და პირადობის მოწმობა, მრგვალი ბეჭდით.

— დიახაც! — ჩაერთო ელექტროუთო. იგი დაინტერესებული პირი იყო, რადგან იშვილბაზის წყალობით ამ ქსელში მუშაობდა.

ცარიელმა პატრონამ, გაწყვეტილი ფიქრის ძაფის განასკვას რომ ცდილობდა, დაბნეულად თქვა:

— დიახ, დიახ.. თუ შეიძლება, მრგვალი ბეჭდით!

სურათი

ერთხელ სურათი აფასებდა ცოცხალ ბუნებას:

— არა უშავს რა არც ფონსა და არც პერსპექტივას, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს... ჩარჩო სად არის?!

ორატორი

დიდ ორატორად მიაჩნდა თავი და დღენიადაც იმდენ წყალს ტვირთავდა, რომ მოშლილ ონკანს, საგანგებოდ საწყლედ შექმნილი, გაუნაწყენდა თასი, ვედრო და ქვაბქოთანი, ჩვენგან კმარაო, — განაცხადა სამთავრო ერთხმად.

მაგრამ ბაკანი, მეგობარი უერთგულესი, ხარბად შეტანდა ორატორის ენამჭევრობის უიშვიათეს ყველა მარგალიტს და ალტაცების ცრემლი ახრჩობდა. თუმცა წვეთიც არ შერჩენია ბაკანს იმ წყლისგან, წესრიგში ყოფის მაჩვენებელი სიცარიელე არც მას და არც სხვას არ აღარდებდა.

მადლი უფალს, რომ მოშლილ ონკანს ეძმო ბაკანი, თორემ ქვეყანა ახალ წარღვნას ვერ აცდებოდა.

საკვამლე

ზომაზე მეტად უაზროა, საკვამლეს აზრით, სამზარეულოს შინაყმათა ზრუნვის საგანი. დილიდან ვიდრე საღამომდე ერთსა და იმავე ვედროებს ავსებს კამკამა წყლით გამრჯე ონკანი; დილიდან ვიდრე საღამომდე ერთსა და იმავე კარდალებს, ქეთლებს და მათარებს ათბობს აკუთა; დილიდან ვიდრე საღამომდე ერთსა და იმავე ტყის აჭრასა და აკაფვაზე ფიქრობს ნაჯახი..

საქვეყნო საქმეს საკვამური აკეთებს მხოლოდ: კვამლით ალავსებს კვამლისაგან დაცლილ სამყაროს.

მოდის მსხვერპლი

სარჭი პირველად მოხვდა ბინაში და ოთახები ზღაპრულ სამეფოდ ეჩვენა. საითაც არ გაიხედა — ნოხებმა, ავეჯმა, ხელსახოცებმა და ფარდებმა მოსტრათვალი. მზერა ქერს მიაპყრო და მათი ბრწყინვალეა „უმალლესი საზოგადოების წარმომადგენლები“ იხილა, რომლებიც ქვემოთ არასდროს იცქირებოდნენ და თავიანთ სფეროებში იყვნენ ჩაფლულნი.

— უფალი გფარავს, შუქფარო, — გაიჭრიალა გადამდგარმა ოფიცერმა ლავგარდანმა. ეს მისი საყვარელი ფრაზა გახლდათ, რადგან სხვა არაფერი იცოდა.

შუქფარი უტყვი ღიმილით გაეპასუხა; სიტყვასთან იგი უფრო მწყურალად იყო.

სარქს არაფერი გაეგებოდა ამ ბატონკაცური გონებამახვილობის. მდაბიოთაგან გამოსული, იგი მხოლოდ სამზარეულოს დიალექტზე მეტყველებდა და უპირატესად ღუმილს არჩევდა, რადგან პირის განსნა და თოკიდან სარეცხის ჩამოცვენა ერთი იყო.

ოთახში რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, სარქმა ძველი ნაცნობი — ნეილონის ხალათი დაინახა, თოკზე რომ შეხვედროდა დროდადრო.

— გამარჯობათ, თქვენ აქ საიდან გაჩნდით? — დაეკითხა გულუბრყვილო სარქი და, პროფესიული ჩვევით, საკინძეში წაავლო ხელი.

ხალათი აიღეწა — მეგობრად ან ნათესაედ არ ჩამითვალონ ნაცნობებმაო, და ის იყო უკმეხად უნდა ეპასუხა, რომ საუბარში ჰალსტუხი ჩაერია.

— მისმინე, ძვირფასო, ვხედავ ახალი და ორიგინალური გულსაბნევი შეგიძენია, — თქვა მან. — ხომ არ გამიცვლიდით ბრილიანტის ქინძისთავში?

— ო, არა, რას ამბობთ, მე თვითონ მჭირდება! — უპასუხა ხალათმა, სულ ახლახან სარჭისაგან თავის დახსნას რომ ლამობდა.

„ხალათის ორიგინალური გულსაბნევის“ ქებამ ოთახები შემოიარა და უმაღლეს სფეროებს მიაღწია. სარჭის შემყურე ლავგარდანი — ოფიცერი გადამდგარი ალტაცებით ჩურჩულებდა: „უფალი გფარავს, შუქფარე და შუქი ფარიც უტყვი ღიმილით პასუხობდა.“

სარჭს კი ვერაფერი გაეგო. ალტაცებით რომ მიაჩერდებოდნენ, კრთებოდა, რცხვენოდა, არ იცოდა სად დამალულიყო. საბრალო, მოდის მსხვერპლად იქცა, რომელზეც წარმოდგენაც არ ჰქონდა.

მამალი-ორგანიზატორი

საქათმეში საშტატო თანამდებობაზე მამალი-ორგანიზატორი. დანიშნეს. საქმიანი, ნაცადი მამალი იყო. ჯერ პოპულარულ გაზეთში „გავსკვანჩოთ გაუსკვანჩავი“ პოეტის საშტატო ერთეული ეკავა, შემდეგ რომელიღაც სპორტულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, ახლა კი წიწილების ჩეკის ზრდის მიზნით გამართულმა კამპანიამ საქათმეში გადმოისროლა.

მამალმა გარშემო კრუხები შემოიკრიბა და მათთან ერთად ახალი სიმღერის შესწავლას შეუდგა.

ქათმებს ფრთა ფრთისთვის ჩაეკიდათ, ფერხულს უვლიდნენ და მღეროდნენ:

შევასრულებთ!.. გეგმით კუთენილს გამოვჩეკავთ ჩვენც,
კვერცხი ქათმის სიცოცხლეა — ვიცით,
უსულგულო დედა-კრუხი თუ გაექცა კვერცხს,
ვერა და ვერ გაექცევა სირცხვილს!

ღუღდა კულტმასობრივი მუშაობა.

კრუხებს, მართალია, კვოცხზე ჯდომის დრო აღარ რჩებოდათ და წიწილებიც ნაკლები იჩეკებოდნენ, მაგრამ ეს ჩეკის ზრდისათვის გამართული ბრძოლის ერთადერთი ნაკლია გახლდათ.

ნათურის ბოძი

მშენებლობაზე წასვლის ნაცვლად მუხამ, ტყეში რომ წითელ დიბლომზე დაამთავრა სასწავლებელი, სცადა ქალაქში გაედგა ფესვი და, რამდენადაც სხვა ადგილი ვერ მოიძია, ნათურის ბოძად აღიმართა ქალაქის პარკის ყველაზე უფრო ჩაბნელებულ და წყნარ კუთხეში, შეყვარებულთა სავანედ რომ იყო ცნობილი.

აღიმართა და ისე აენთო, ისე დღესავით გაანათა ირგვლივ ყოველი, რომ ჩვეულ ადგილს ერთი წყვილიც აღარ შემორჩა.

— ესეც თაობა, ესეც ჩვენი ახალგაზრდობა, სინათლისაკენ სწრაფვისათვის მოწოდებული! რით ვუსაშველოთ მათ სიბრძოლეს და უმეცრებას?! — დარდობდა მარტო დარჩენილი ნათურის ბოძი.

სხვის ღუღუკა

დაწინაურდა შოშია: იგი ბუღბუღად დანიშნეს.

ზის კაბინეტში და ბუღბუღის საქმეებს ჩაპკირკიტებს: დღეს დო-რე-მი-ფას სექტორთა გამგეებისა და დისონანსთა შეთანხმების საქმეზე უფროს პასუხისმგებელი მუშაკების გაფართოებული სხდომა უნდა მოეწვიოს და სიტყვის ტექსტის მოხაზვა სჭირდება.

ლილაკს თითი დააჭირა და ოთახში ფეხაკრეფით შემოვიდა ბუღბუღეთის კაბინეტის უფროსი.

— ბელურა, გეთაყვა, კანარის ჩიტის საკითხზე ორიოდ ნოტი მოხაზე, მხოლოდ რომ იცი — ისე... მაჟორულად!

ბუღბუღეთის კაბინეტის უფროსმა ყვავი იხმო, პირველი მოადგილე და მარჯვენა ხელი მდებრთა შორის მუშაობის საკითხში.

— ამხანაგო ყვავო, რაღაც უნდა მოვიფიქროთ კანარის ჩიტებზე. ახლავე მომგვარე ნოტების ენციკლოპედია და საქმეს შევუდგეთ...

შოშია სალამოს გაფართოებულ სხდომაზე გამოვიდა, მაგიდაზე ახოხლავებული ქალღმერთის დასტის ჩაუნისკარტა და დაიწყო:

— ჭიკ-ჭიკ-ჭიკ! ყვააა! ჭიკ-ჭიკ-ჭიკ!

სექტორთა გამგეები და სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკები უსმენდნენ, ამთქნარებდნენ, მაგრამ, ამგვარ გამოსვლებს შეჩვეულებს, გაკვირვებით არაფერი უკვირდათ.

ყოფილი ბუღბუღების — შაშვის, სკვინჩისა და ჭივჭავის დროსაც მომხსენებლისაგან მხოლოდ „ყვააა“ და „ჭიკ-ჭიკ-ჭიკ“ ისმოდა.

ბუნებრივია: მათ ხომ ბუღბუღეთის კაბინეტის ნაცადი მუშაკები ყვა-ვი და ბელურა ამხადებდნენ.

ადმინისტრაციული თავგამოდება

ბუჭიერობდა სავარცხელი, ხშირ თმათა მიმართ უწყალობით და ურჯულობით გამორჩეული. და დაუნდობელს, დარდისაგან ეცვალა სახე, ერთ მშვენიერ დღეს სამუშაოდ რომ გამოცხადდა:

— რაღა ვაკეთო, სამად სამი თმაღა შემომრჩა?!

პასუხი არვის გაუცია, შეჭირვებულმა მელოტმა თავმა შეაგება მხოლოდ ღიმილი... და იმ ღიმილში აისახა, როგორც სარკეში, თმაზე სავარცხლის მრავალი წლის შრომის შედეგი.

საცოგზე ნაცოდვილარი

ბიჭი გაჩნდა და ზეიმია ბურღის ოჯახში.

მშობლები ცქერით ვერ ძლებიან ნაშიერის და „ზედგამოჭრილი მამააო“, — მეზობლის ნათქვამს სიამითა და სიამაყით ისმენს ორთავე.

ძეს კორპსადრობი უწოდეს და დიდხანს ილხინეს.

გამოხდა ჟამი, კორპსადრობი დაკაცდა კიდევ.

დროა დიდ საქმეს მოეკიდოს, მეტალს შეეებას (შთამომავლობით მეტალის-

ტად იცნობენ ბურღებს), მაგრამ მშობლები არ ჩქარობენ: ჩვილია ისევ, რბილ-ზე რამეზე ივარჯიშოს, გაიწაფოსო.

მამა საცობებს ეზიდება სახლში ნიადაგ და მათზე სწავლობს კორპუსაშ-რობი მბურღავის საქმეს.



ბოლოს სცადეს და უფრო მკვირივი მასალა მისცეს, მაგრამ კორპუსაშ-რობისკენ გაექცა თვალი და არცა ცდილა იმ საგანზე ძალა ეცადებინათ.

— როგორ მოხდა, რომ წაგვივიდა ბიჭი ხელიდან? — დარდობს დედ-მამა, გაცვეთილი მუდმივი შრომით.

ვაცუნას ზღაპარი

ბებოს ჰყავდა ვაცუნა, ნაცრისფერი ვაცუნა.

ნაცრისფერმა ვაცუნამ, ციცქნამა და პაწიამ, თავის გამოსაჩენად, ერთხელ ტყისკენ გასწია; ვიდრე მხეცებს ნახავდა, იკუნტრუშა ვაცუნამ, გადამხმარი ბალახი ფეხქვეშ აატკაცუნა.

იარა, იარა და წინ მგლები შემოხვდნენ. სალამი, ძველო! საით მიბაკუნობო, — უთხრეს.

ვაცუნა ერთი კი დაფრთხა, მაგრამ ეამა, მოწიფულმა მგლებმა რომ ტოლად მიიღეს, და შეთამამდა.

— ბიჭებს გაუმარჯოს! — თქვა და მგლებივით კბილები გააღრჭიალა. — ესეირნობ რალა...

— გავიშლივინოთ? — ეკითხებიან მგლები.

ვაცუნამ ნათქვამის აზრი ვერ გაიგო, მაგრამ მიხვდა, ამფსონად იწვევდნენ, და რატომაც არაო, — თანხმობის ნიშნად ამოწვერილი წვერი ააცმაცუნა. თუ ასეა, დაგველოდე, ახლავე დავბრუნდებითო, — წაიყმუვლეს მგლებმა, განზე გადგნენ და როდის შევსანსლოთო, ბჭობას შეუდგნენ.

— იცით რა, ბიჭებო, — თქვა ერთმა, — მაგ ჭკუის კოლოფი ლუკმადაც არ გვეყოფა, გამოყენებით კი გამოვიყენებთ და განტევების საკუთარი ვაციც გვეყოლება.

მოითათბირეს და ვაცუნასთან დაბრუნდნენ. აბა, ძველო, დახმარება გვჭირდება, გავარდი და სოფლიდან ძმაკაცი ვინმე ამოიყვანეო.

წავიდა ვაცუნა და სოფლიდან ორი ცხვარი ამოიყვანა.

— გაიცანიოთ, — თქვა, — ჩემი ახლობლები არიან.

ეცნენ გასაცნობად და ბდღვირი აღინეს. ერთი კი იფიქრა შეეჩერებინა მგლები, მაგრამ შეშინდა, „ბებოს ვაცუნა“ არ მიწოდონო, და ბრაზით რქა უჭკრა ცხვრების ნარჩენებს.

ოჰო! დახეთ, ეს რა სისხლის მოყვარული ყოფილაო, — პატივისცემით შენიშნეს მგლებმა და საბოლოოდ მოინადირეს ნამცეცას გული.

ორი რაა, თუ საჭიროა, მეტსაც მოვიყვანო, — წაიტრაბახა შეგულიანებულმა.

ყოჩაღ, ძველო! — შეაქეს მგლებმა. — აბა მოდი და გვიჩვენე შენი მარიფათიო.

კისრისტეხით გავარდა ვაცუნა, მაგრამ სოფლებში შესვლისთანავე შეიპყრეს და ფარდულში შეაგდეს: ვილაცას ეთქვა, ცხვრები მაგან გაიტყუაო ტყისაკენ.

ჩემი ვაცუნა ჩაუსვამთო, — შეიცხადა ბებოამ და კოლმეურნეობის მმარ-

თველებს ეახლა. გაუშვითო, — იხვეწება, — ჯერ პატარაო, არასრულწლო-
ვანი.

წლოვანება წლოვანებად, მაგრამ ორი ცხვარი რამ გვახარაობს.
ტირის. იხვეწება. სამმართველოს კარს არ შორდება.
რა უნდა ექნათ? გაატანეს.



სახლამდე არც მიელწიათ, რომ ვაცუნამ ტყისაკენ მგლები
კარგა ხანია ელოდნენ.

— ცხვრები სადღაა, თავად ხომ არ შემოგეჭამა გზაში, — ეკითხებიან.
შერცხვა გაემზილა — როგორ დაიხსნა ბებია და.. ახლავეო, — თქვა, —
ოღონდ დამელოდეთ, ახლავე მოვიყვანო.

ისევ მოიყვანა და ისევ გაქაჩეს.

გაქაჩეს და ისევ ბებია იხსნა.

დაბოლოს ცხვრებიც დაჰკვიანდნენ: აღარც მეგობრობენ და აღარც ენ-
დობიან ტყისკენ მაცქერაღს.

იცოფებიან მგლები: — ჩვენც გმირი ვნახეთ რაღა! ვაცი რაა და რა იქ-
ნება ბებოს ვაციო, — ხითხითებენ.

სწყინს ვაცუნას, სწყინს და არ იცის, რა იღონოს.

თუ უღალატო ხარ, ადექი და ბებოსთან მიგვიყვანე, კომბოსტოთი მაინც
გაგვიმასპინძლდებაო, — ეუბნებიან მგლები — საკვირველია, ან აქამდე რა-
ტომ არ გაგვაცანიო.

მართლაცო, — გაიხარა ვაცუნამ. — ღმერთივით ბებო მყავს, მოგეწო-
ნებათო.

მოგვეწონება და მერე როგორო.

კომბოსტოც მოგვეწონებათო.

შენი გემოვნების იმედი გვაქვსო.

მიიყვანა სახლში.

თქვენ ბებია გაიცანით, მე კი ბაღიდან კომბოსტოს ამოვზიდავო.

მიდი, მიდი!.. აქ გზას თავადაც გავიგნებთო.

გაიქცა და დიდხანს არ დაბრუნებულა ვაცუნა.

კომბოსტო რომ მოიტანა, აღარც მგლები დახვდა და აღარც ბებია. ბევრი
იბაკუნა, იკიკინა, იძახა, მაგრამ ხმა არავინ გასცა.

როგორც ლხინის შემდეგ — დაცლილი ჭიქები, დარჩა ბებიასგან რქები
და ჩლიქები.

წინათყმა

რაკი დამუნჯდა და კედლის საათს წიკწიკი აღარა ნებაღს — საკითხს საწო-
ლისას განიხილავს დეტალთა საერთო კრება.

სულ თერთმეტს რა მიზნით აჩვენებსო, დალოცვიღს ეს მაინც ეთქვა. სა-
წონს აკლიაო შემართება, — კრებამ დაადგინა ერთხმად.

ყველას დამსწრეთაგან, გამოსვლა და საწონის გაღანძღვა სურდა. დრო
კი შეუმჩნევლად გადიოდა, თერთმეტი ხდებოდა ზუსტად.

შუკუმი

ცნობისმოყვარე შუკუმმა ეზოს გახედა (ნეტავ ვის გამო ჩამოხმალ ვაზის ფოთოლი) და აი, რა იხილა.



ეზოში ფეხბურთის დიდი ბურთი დაფრინავდა... ხან ხეებს ამტვრევდა, ხან ტუბებს და ხანაც კედლებს აცლიდა ბათქაშს. ფორმაში იყო ბურთი და ხეებს ეჭმებოდა. ვერ მოწყვიტა შუკუმმა: — რა ძლიერია, რა მშვენიერიაო, — ფიქრობდა.

შუკუმს ძალიან უნდოდა ახლო გაეცნო ბურთი, მაგრამ იგი ფრინავდა, ფრინავდა და, როგორც ჩანს, არავითარი ნაცნობობა არ აინტერესებდა.

რომ გასაგებდა, ცოტა შეისვენა (შეისვენა, ვიდრე მსაჯი ორ წაკინკლავებულ ნახევარმცველს გააზავებდა), შემდეგ კი მიწას მოწყდა და კარის მაგივრად მდგარი წამოქცეული კასრის დაბჩენილ ხახაში შეფრინდა.

ეს ისე ოსტატურად გააკეთა, რომ შუკუმში ალტაცებისაგან აჯახუნდა და მანამ იჯახუნა, ვიდრე ბურთმა არ შენიშნა.

იოლ გამარჯვებებს მიჩვეული ბურთი უბოდიშოდ მიფრინდა შუკუმთან და მათი შეხვედრა შეჯიბრების მთავარი მსაჯის — მეეზოვის მოსვლამდე შედგა...

შემდეგ ყველა ლანძლავდა ბურთს და თანაუგრძნობდა შუკუმს, რომელსაც ასე უაზროდ დაემსხვრა ოცნებები.

მეორე დღეს კი ბურთი კვლავ დაფრინავდა ეზოში და ახლა სხვა შუკუმში ნატრობდა მასთან შეხვედრას.

მწიგნობარი

დღე ერთია და ათასგზის გვესმის:

- სანიშნეს ჰკითხეთ!
- სანიშნემ იცის!
- მწიგნობარია!
- ყველა წიგნში არის ნამყოფი!

მაგრამ სცადეთ და ჰკითხეთ რაიმე... თუმცა ცხოვრება წიგნებში აქვს გატარებული, ახალშობილის უმეტესი არა იცის რა.

ესეც თქვენი მწიგნობარი!

რეზინის ბურთი

ზომაზე მეტად გაბერილი რეზინის ბურთი მოწყდა თოკსა და აფრინდა ცაში.

ბოლოს და ბოლოს დედამიწაც ბურთი არის და რა მაიძულებს მას ვეკიდო? — თქვა ჰაერბურთმა.

ძირს დარჩენილი, ცნობილია, პატარავდება — რაც უფრო მალლა ადიხარ და შორით დასცქერი. ჰოდა, სულ მალე, ბუნების ამ კანონის გამო, რეზინის ბურთმაც თავი დიდად წარმოიდგინა.

— თანამგზავრევით დედამიწის ირგვლივ ვბრუნავარ, მაგრამ მეტი ვარ თანამგზავრზე, რადგან თუ მინდა — მზის ორბიტაზეც გავალ და... სხვა გალაქტიკაშიც; თავისუფალი პლანეტა ხომ ერთადერთი ვარ!

ეს აზრი ისე მოეწონა — გაბრწყინდა, მაგრამ თავს შეუძახა: — არ გაბ-

რიყვლე, არ აპყვე გრძნობას, არ დაივიწყო, რომ ციური სხეული ხარ და შემოგცქერიან უმძლავრესი ტელესკოპებით!

უცბად ჰაერი შემოაკლდა, შექმუხნა შუბლი... მომზადებული არ აღმოჩნდა ამგვარ ფრენისთვის.

— ნეტავი იქ მქმნა, ჩემს მიწაზე, ჩემს ძვირფას თოქვას, ვერაწიერი ძალა მისგან ველარ მომწყვეტდა..

და რეზინის ბურთს ამ ნატვრაში აღმოხდა სული, ისე რომ მაინც ვერ გავიდა მზის ორბიტაზე.

საათი

ვალდებულებისა და სასიცოცხლო მისიის სრული შეგნებით, იდგა საათი: იდგა იგი დროის დარაჯად.

დაღუპული ტალანტი

ფეხსაცმელები კრიჭინებდნენ ისე, რომ ფლოსტებს, სმენამახვილ და უხმო ფლოსტებს ბევრჯერ უთქვამთ: თუ დააცალეს — შორს წავლენო ფეხსაცმელები.

მაგრამ ისინი შეჩვეულნი იყვნენ სამყოფელს და, სადაც უნდა წასულიყვნენ, შინ ბრუნდებოდნენ.

რა თქვაო ხალხმა თქვენს კრიჭინზე?.. როგორ მიგიღეს?

— ჩვეულებრივად, ძვირფასებო, ჩვეულებრივად. მხოლოდ ესაა, რომ რაღაცის გვირჩიეს წასმა.

— კოლოფონისა, რა თქმა უნდა... სხვას რას იტყოდნენ?! მაგ კოლოფონის მოყვარულთა კრიჭინსაც ვიცნობთ! კვენესიან თითქოს... თქვენ კი... — და ფეხსაცმელებს, სიამისგან ცხვირაწეულებს, ფლოსტებს გარდა რომ სხვა არ ჰყავდათ შემფასებელი — ესეც ღირსებად მიაჩნდათ და იბლინძებოდნენ.

— თქვენი დროც მოვა, — თავისაზე იდგნენ ფლოსტები.

ისე აგიხდათ ყველა კარგი, როგორც ეს ახდა. დრო რომ მოვიდა — ფეხსაცმელებს წაუსვეს ქონი.

როგორც ჩანს, ქონი მოეწონათ, კრიჭინს შეეშვნენ და ოთახებში კვლავ სიჩუმემ დაისადგურა.

მხოლოდ ფლოსტების მწუხარე ხმა ისმის ხანდახან: — ეჰ, რა ტალანტი დაღუპესო უღმერთოებმა.

ფანქარი და საშლელი

იქორწინეს და მშვიდად ცხოვრობენ: ხასიათს უწყობს მახვილ ფანქარს ლბილი საშლელი.

ნაცნობ-უცნობი თვალს ვერა წყვეტს წყვილს ახალგაზრდას და... ეს როგორ, რანაირად, — იოცებს ყველა.

კალმები ფანქარს თავს აბეზრებენ: არ გამოდექი მეოჯახედ, წახდიო კაცი. იტყვა ვერ გითქვამს, გატრიალებს ქალი ნებაზე. სადღაა შენი ღირსებაო მაშაკაცური.

საშლელს კი საშველს არ აძლევენ სამართებლები: თავის ჭკუაზე დაატა-
რებ, ღობილო, ფანქარს. იცოდე, ცრემლად დაგიჯდება ეგ სილბილეო.

შეგონებებმა თავისი ქნეს ბოლოს და ბოლოს: ფანქარმა, კაცის ღირსება
რომ არ შეელახა, ათასნაირი სისულელე ჩმახა და როშა, ხოლო საშლოელმა,
რა თქმა უნდა, თავდაცვის მიზნით, შალა და შალა ახირებულ ფანქრის ნა-
წერი.

ნა-
წერი
გინგაღიქიქაა

თვეც არ ეცხოვრათ, წაიკიდნენ და განქორწინდნენ.

თუმცა ძალიან განიცდიდნენ ოჯახის დაშლას, თავს იმშვიდებდნენ კალ-
მები და სამართებლები: აკი ვგრძნობდითო — ყველაფერი ვერ ჰქონდათ
რიგზე.

ისტორიის გაკვეთილი

— მოქარაფშუტო იერი გაქვს, დაო ყვავილო, — შპალერზე ყვავილს
უჩურობებს მსუქანი ლაქა. — ულამაზოა, ყველაფერს რომ თავი ვანებოთ,
სტუმრებს მოველით... გთხოვ, მოუხმო ღირსების გრძნობას.

მორალის სადარაჯოზე

ლომი კარებთან შეჩერდა და სეიფს წარუდგა.

— მე ლომი მქვია. თქვენ რა გქვიათ? ნუ დამიმალავთ!

არ უპასუხეს, მაგრამ ლომი ნაცადი იყო, იცოდა ფასი ამდაგვარი კარ-
დახშულობის და უბოდიშოდ სტაცა ხელი კარის სახელურს...

დამეხსენიო, ხულიგანო, გეშლება რაღაც!! — გაიჭრიალა სეიფის კარმა.

— კარგი ერთი, უკარებლობა სხვას ეთამაშე!

— უნდა დავრეკო, სადაც ჯერ არს! — ჩაიჩურჩულა ოთახში მდგარი ტე-
ლეფონის შავმა ყურმილმა, მაგრამ სულ მალე გაახსენდა — „საშაროაო ცხვი-
რის ჩაყოფა სხვის საქმეში“ და გადიფიქრა; თან ინტერესმაც სძლია — ნეტავ
რა მოხდებაო.

და ყველაფერი რომ დამთავრდა, ატეხა რეკვა:

— ჩვენს უკარებას თავი ისე უჭირავს, თითქოს თავის გასაღებს ერთგუ-
ლობის, მაგრამ ნამდვილად...

წინაობის წიგნი

პატარა ბიჭუნას უყიდეს წიგნი. „დამჯერე იყავი“, — ეწერა ყდაზე, რო-
გორც ჩანს, ფიქრობდნენ, რომ წიგნი ამგვარი კარგ კაცად გაზრდიდა პატარა
ბიჭუნას.

როცა საქმეებზე წავიდ-წამოვიდნენ და სახლში ორფეხი არავინ დარჩა,
ახალი სამყოფის გაცნობის მიზნით წიგნმა გადაწყვიტა თაროდან ჩამოსვლა.

პირველად შემოხვდა კედლის კალენდარი, რომელიც, ცხადია, კედელზე
ეკიდა. იდგა დეკემბერი და კედლის კალენდარს სულ შემორჩენოდა ათიოდ
ფურცელი.

— სულელი ბავშვები! — აღელდა წიგნი. — ვინ მისცათ უფლება წიგნს
ესე მოექცნენ?!

— მე კალენდარი ვარ, კედლის კალენდარი და იმ დღეს, როდესაც ფურ-

ცელს არ მომხევენ, ვაი რომ გახვრეტულ გროშადაც არ ვღირვარ.

მაგრამ ვერ გაუგო კალენდარს წიგნმა: მასში კალენდარზე სიტყვაც არ ეწერა. ჩაილაპარაკა რაღაც ზნეობაზე და ახლა მეორე ღთახში გავიდა.

— როგორ მოთხუპნულხარ მეღნით, შე საბრალო — უთხრა პრეს-პაპიეს, სავსემ სიბრაღულით.

— რა ვქნა, მეგობარო, მე მეღანს ვაშრობ და, ^{უკრქნენულო} ~~თუ არა, მოვიტუნე~~ ვის რაში ვჭირდები?

საშრობსაც უსმინა, მაგრამ ვერ გაუგო.

შემდეგ შუკუმს უთხრა, ეზოში მაცქერალს, თავი შემოყავი, გაგვიცივდებიო. ქანქარას აუხსნა — უგუნურებაა მუდმივი სირბილი აღმა და დაღმაო. სურა გააფრთხილა — თუ რამე დაგლუპავს, იცოდე, დაგლუპავს წყალთან თამაშიო...

ღმერთს მადლი — მის ნათქვამს არაფრად აგდებდნენ, თორემ, მტრისას, რაც იქ მოხდებოდა.

ზოდის მიხდევრები

ზოდას მისდევენ ბუზები.

მონახავენ და თვალს ვერ სწყვეტენ მბზინავს, ნაყშიანს, ვერც ერთ მილიმეტრს გულკეთილი ობობას ქსელის.

— რას ინებებდით მილიმეტრში? — ეკითხებიან და, როგორც წესი, შესაძლოზე ძვირი უჭდებათ.

ფარგალი

ნახატი იყო დიდებული და აღტაცება აღარ შეეძლო დაეფარა წუნია ფარგალს:

— ძმაო ფანქარო, მომილოცავს, კარგია, კარგი! როგორც ჩანს, ნიჭი არ გაკლია, მაგრამ ეს კია თეორიაში მოიკოჭლებ, გამოთვლა გიჭირს. ზოდი და ახლა ერთად ვცადოთ, ნუ დაიზარებ.

სცადეს და ფარგლის ხელმძღვანელობით, თუმცა ათასჯერ მოიბრინა თეთრი ფურცელი, ფანქარმა მხოლოდ წრე შემოხაზა.

— უკეთესია, — ხარობს ფარგალი, — ხომ ხედავ, ახლა უკეთესია. შენი ხელწერაც გამოიკვეთა და ჩანაფიქრიც გახდა ნათელი... მაგრამ რაღაცა მაინც აკლია, სულ უმნიშვნელო რაღაც დეტალი.

ფანქარი ისევ შეუდგა საქმეს: ათიათასჯერ მოიბრინა თეთრი ფურცელი, მაგრამ წრე მაინც ერთი მოხაზა, წინაზე დიდი და მაინც ერთი.

— აკლია რაღაც, — კვლავ წუხს ფარგალი. — თეორიულად ზუსტიცაა და მასშტაბურიც, მაგრამ დეტალი მაინც აკლია. ნუ დაიზარებ, კიდევ ერთხელ სცადე, ძვირფასო...

შემოკვედავითი ინდივიდუალობა

ფურცელზე დამსხდარ ერთგვაროვან ასოთა შორის მხოლოდ ნაღვენთი ინარჩუნებს საკუთარ სახეს — არავის ბაძავს, არც იოლად წაიკითხება.

სკამი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ძველი სკამი. დააჯდებოდნენ თუ არა, სკამი ულად ამღერდებოდა:

რა მეშველება, რა ვქნა, როგორ გავუძლო ამდენსო, ყველაფერს ვაკეთებ, სხვები უსაქმოდ არიან, თუ არა გჯერათ — დარწმუნდით, ბავშვებო, დიღობით თაროდს...

არავინ ზედ არ ჯდებოდა, სხვა საქმე ჰქონდა თაროდს და სკამი როცა მეზობელს სქელი წიგნების სიმძიმით გაღუნულს დაინახავდა, მოუმატებდა ქრიალს და... მუშამწარეა ნამდვილი, როგორ დგას, როგორ უჭირავს, ნახეთო ერთი, — ამბობდა

დიდხანს უთმინეს, უხატრეს, ბოლოს მიიტეზრდათ კრიჭინი და, მთლად რომ ვერ გაიმეტეს, დადგეს სამზარეულოში.

ახლა იქ დგას და კრიჭინებს, კრიჭინებს გაუთავებლად და ყურებს თითოთ იცობენ საბრალო ტაბურეტები.

მეზობლები

გზის იქით სისულელე ცხოვრობს, გზის აქეთ — ქედმაღლობა. ხასიათობს კი განსხვავდებიან, მაგდამ კეთილი მეზობლები არიან: ქედმაღლობა პირქუშია და სიტყვათვირი, სისულელე — მხიარული და ყბედი. მაინც ეგუებიან ერთმანეთს.

მიირბინა ერთხელ სისულელემ ქედმაღლობასთან და უთხრა:

— თი, რომ იცოდე, რა სიხარული მეწვია! რაც თავი მახსოვს, ბოსელში წყალი ჩამომდიოდა და პირუტყვი მიცივდებოდა, გუშინ კი ჭერი ჩამოიქცა, საქონელი გამისრისა და ორი უბედურებისაგან ერთად გავთავისუფლდი.

— ხდება, — დაეთანხმა ქედმაღლობა. — ზოგჯერ ასედაც ხდება...

— მინდა სტუმრებს მოვუხმო და ეს ამბავი აღვნიშნო, — განაგრძო სისულელემ, — მირჩიე, ვინ მოვიწვიო.

— რა რჩევა უნდა, — ეუბნება ქედმაღლობა, — ყველას მოუხმე, თორემ ღარიბად ჩაგთვლიან.

— ყველას? — დაეჭვდა სისულელე. — მათ დასაპურებლად ხომ მთელი ქონება უნდა გავყიდო?!

— ჰოდა, გაყიდე, — დაარიგა ქედმაღლობამ. — დაე, იცოდნენ, ვისთან აქვთ საქმე.

გაყიდა სისულელემ — რაც კი ებადა, და სტუმრებს მოუხმო. იქეიფეს, იმხიარულეს და დაიშალნეს. დარჩა სისულელე გამოცარიელებულ ქობში და, ატივებული თავი რომ მიედო, ყურთბალიშიც ვერ მოიძია. დარდი თავისიც ჰყოფნის და ქედმაღლობაც აღარ ასვენებს:

— რა ჭირად გირჩიე, რა დამემართა! — წუწუნებს. — ქვეყანა შენზე აღაპარაკდა, მე კი ველარავინ მამჩნევს. იქნებ მოიფიქრო რამე და მისაშველო.

— უსაშველო რა გჭირს! — ეუბნება სისულელე — ქობი დაწვი და ხანძარზე ყველა მოირბენს.

ასეც მოიქცა: ალი ცას მიწვდა.

მოჯარდა ხალხი ყველა ქედმაღლობას მისჩერებია.

კმაყოფილია ქედმაღლობა. ცხვირი ისე აუბზეკია, ცეცხლის საეგბურო-
თიც ვერ მიწვდება.

მაგრამ მალე დასრულდა მისი სიხარული. ქობი დაიფერფლა. ხალხი წა-
ვიდ-წამოვიდა და ქედმაღლობა ქუჩაში დარჩა. რაღა ელონა, ადგა და სისუ-
ლელეს ეწვია:

— უნდა შემოიკედლო, ძვირფასო, უსახლკაროდ დაუტოვეს!

— მობრძანდი, — ეპატიყება სისულელე. — მობრძანდი და იცხოვრე.
ეწუხვარ, ვერაფერი გიმასპინძლებ: თხილი რაა და მისი გულიც აღარ შემომ-
რჩა.

— რაც არის, არის, — ამბობს ქედმაღლობა. — მთავარია, არავინ შეიტ-
ყოს.

მას მოღმა ერთად ცხოვრობენ, ბიჯს არ წადგამენ უერთმანეთოდ: სადაც
სისულელეა, იქვეა ქედმაღლობა, და სადაც ქედმაღლობაა, იქვეა სისულელე.

ნამორი

ვერა და ვერა გაიგო რა ვიოლინოსი.

— ათას ხემშიაც არ გავცვლიდი. — ფიქრობს ნამორი, — ასეთი ლბილი.
თვალწარმტაცი ბუდე რომ მქონდეს. ანდა რა ნახა ნეტავ ხემში, რით მოიხიბ-
ლა? ხერხავს და ხერხავს, ის კი ხარობს, ის კი ხალისობს! ასე რომ მხერხონ...

და არც ცდება: რომ ხერხონ, მაშინ ნამორს უთუოდ გაუჩნდება სხვა სა-
ფიქრალი.

მარმარილო

საწერ ნივთების მალაზიის მაღალ თაროზე ზის მედიდურად მარმარილოს
დიდი სამეღნე. ხშირ-ხშირად ცვლიან მის კოლეგა-კანცელარისტებს. საქმის
მიღებას ვერ მოასწრებს ახალმოსული, რომ გააქრობენ, მოხსნიან უცბად. მოხ-
სნილის ნაცვლად მის მემკვიდრეს დანიშნავენ და იმ მემკვიდრესაც იგივე
ელის.

მხოლოდ სამეღნეს, დიდ სამეღნეს ვერ ეხებიან. ღვთის მადლით, წლო-
ბით შერჩენია მაღალ ადგილს და, მერწმუნეთ, კიდევ დიდხანს შერჩება. თავი-
სი ფასი მარმარილოს დიდმა სამეღნემ კარგად იცის და ვერ იყიდი ასე ად-
ვილად.

სალამოს ჩაი

ღულს და გადმოდულს საქმე მის ხელში... სამზარეულოს რომ მიატოვებს
და შეხსნის ქეთლი სასტუმროს კარებს, გაშლილ ტაბლაზე ყველაფერი ამოდრავ-
დება: აწკრილდება თასი და კოვზი, ქუდს მოიხდის და სალამს ისე აძლევს
საშაქრე. და მხოლოდ პლუმის სუფრა ჩქარობს თავს უსაშველოს, რომ კვლა-
ვაც შერჩეს წმინდა სულის რეპუტაცია.

გამოცდილება

პროფესიიდან თითქმის ყველა სცადა ბუმტუკმა. იყო მკურნალიც — და-
ითხოვეს, რადგან იმედად ქვეყნად არავის უნატრია გულცარიელი. საამწყო-

ბოშიც იჩალიჩა, მაგრამ ამაოდ: ვერ აწყობდა და ამწყობებთან რას გააწყობდა?! დაბოლოს მელნით მომარაგდა, მწერლობა სცადა. ღმერთის შეწვევით იქნებ კარგი წიგნი დაწეროს...

უნდა დაწეროს, რა თქმა უნდა, უნდა დაწეროს: ყოფისეული კარგად უნდა გამოცდილება!



თაფლობის თვე

მოხუცი, ნაჯაფი ობობა, ნიადაგ ფეხების სისუსტეს რომ უჩიოდა, კედელს მოწყდა და პირდაპირ თაფლის კასრში ჩავარდა.

ვიდრე ფართხალებდა და ამოსვლას ლამობდა, კასრთან ყმაწვილი ბუზი მოფრინდა. იფიქრა — ყველა ამ სიმდიდრის პატრონი ობობააო, და ცდუნების უხილავი ბადის ხლართვას შეუდგა. თაფლითა და სიბერით ღონემიხდილმა და გონარეულმა ობობამ, ცხადია, წინააღმდეგობა ვეღარ შეიძლო და ყმაწვილი ბუზის ნებას დაჰყვა.

ასე დაიწყო თაფლობის თვე.

ვინ მოთვლის, რამდენი ბუზი გამოეწოვა მოხუც ობობას, ახლა კი მისდგომოდნენ და მას სწოვდნენ სისხლს. ჩამოხმა, მოიხარა და, თაფლის კასრში რომ ჩაიხედავდნენ, გაოცებული ტარაკნები თავებს აკანტურებდნენ: — აი, რად უთქვამთ, „სიბერემდე სიქაჩლეო“.

კვინტალი

დაბალი კაცის დაბალ შუბლზე მჯდარი კვინტალი შურით უმზერდა მაღალ შუბლებს კაცთა მაღალთა და ჩურჩულებდა: — სამყოფელი ასე საჩინო ჩემს დღემდე ფარულ ყველა ყადარს წარმოაჩენდა.

საუბარი ხელოვნებაზე

უსაქმურობას შეჩვეული პატარა ფუნჯი მოღური ქუდის ზედ კორტოხზე კონწიალობდა. ერთხელ აღმოჩნდა სურათების გალერეაში და სხვა ქუდების მოწყენილი მზერა მიიპყრო.

— საოცრებაა! — ჩურჩულებდნენ. — ჩინებულია!

— ცნობილი ფუნჯის ნათესავი ყოფილა თურმე.

— რას ბრძანებთ?! ახლო ნათესავი?! საკვირველია...

— აკი ვამბობდი, იმ ქებულ ფუნჯს, გადიდგულეებულს, არც რა ჰქონდა და არც რა აქვს-თქო, გამორჩეული. რომ არა ჩვენი გემოვნება გაცუდებული, საღებავებში ამოგანგლულს არც მივხედავდით.

— ეს კი... ეს მესმის! დააკვირდით, რა ლამაზია! ქოჩორიც რარიც კობტადა აქვს გადავარცხნილი...

შენიშვნაც ბევრი გამოითქვა და აღტაცებაც.

ქუდებს ძალიან ახარებდა, რომ, როგორც იქნა აქაც — რჩეულთა სურათების გამოფენაშიც — გაჩნდა საგანი მათი განსჯის და ქების ღირსი.

ყულაბა

კარის მეზობლებს არიგებდა თიხის ყულაბა: — თუ გსურთ იცხოვროთ ნებიერად, მიდექ-მოდექით! მე, როგორც ხედავთ, ჩემი საქმე ისე მოვაწყვე, ხელს არ ვანძრევ და მაინც ფულის ზღვაში დავცურავ.

მართლაც ბევრს ყრიდნენ ყულაბაში, მაგრამ უძლეველი ვიყავი და სამერმისოს დღესვე ითხოვდა.

ბოლოს აივსო... აწუწუნდა — სხვას ერგებაო ფული, რომელიც ვერ იქნა და ვერ გადაყლაპა.

მაგრამ პატრონი, სხვა წუხილით მწუხარი ალბათ, ჩაქუჩს დაწვდა და...

დაკარგა უცბად ფულიცა და მდგომარეობაც ხარბმა ყულაბამ, ნამსხვრევებად მიმობნეულმა.

ხველი ტოტი

— ჩემო ძვირფასო მეზობლებო, ნედლო ტოტებო, ნეტავ რას ფიქრობთ, ნაყოფისთვის წელში რომ წყდებით და მაცოცხლებელ წყლის ყოველ წვეთს მათთვის იმეტებთ. ისე წაგივლენ, მადლობასაც არ გაღირსებენ; გირჩევთ მომბაძოთ და იგემოთ სიამე ყოფის...

ბოლო სიტყვები, როგორც სხვებზე მნიშვნელოვანი, ხმამაღლა ბრძანა, მოვარდნილ ქარს შეჭიდებულმა. მაგრამ სათქმელის დასრულება აღარ დასცალდა: ჩამოტეხილმა მყრალ ქაობში ამოყო თავი, სადაც მის განსჯას ყურს არავინ არ ათხოვებდა.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ამ ახალ სამკვიდრებელში სხვა მნიშვნელობა შეიძინა „ყოფის სიამე“...

ტყის მისამლერი

კოლეგებისთვის არ ინდომა დოღურას ჯოხმა ტაშის, პატივის და დიდების ტოლად გაყოფა. მე თვითონ შევექმნი ჩემს ორკესტრსო, — გაიფიქრა და ორკესტრანტების შესაკრებად ტყეს მიაშურა.

საძებარია მუსიკოსი, ჯოხმაც ეძია, მაგრამ ვერა და სასურველი ვერ მოიძია. უნიჭო ჩანდა ბულბულიც და სხვა მისთანანიც. საკუთარ ხალხურ საკრავზე კი ტყის მისამლერებს მხოლოდ კოდალა ასრულებდა დიდოსტატურად.

საპარძელი

თუმცე დამთმობი და მორჩილია, შიგ რომ სხდებიან, მაინც ქედმაღლობს საპარძელი დარბაისელი. თუ არავინ ზის, გასწორდება, გაიმართება, ამპარტავნულად გადახედავს ნაცნობ-უცნობს და თავისუფლებით ცდილობს თავის გამოჩინებას.

ვაშლი

იმალეობდა ფოთლებს შორის, სხვებს ვიდრე არეფდნენ.

ვაშლს არ უნდოდა კაცის ხელში ჩავარდნილიყო, რომ სხვათა მსგავსად არ ექციათ ისიც ნარაჯად.

მაგრამ არც ხეზე მარტო ყოფნა სიამოვნებდა: სხვებთან ერთად ხომ ყველა ჭირი ასატანია!

რა ქნას? გამოჩნდეს?! გამოჩნდეს თუ იყოს უჩინრად?

გულს უფულრავდა ეჭვის ჭია, გულს უფულრავდა, ვიდრე იმ ქვეყანაში ული მთლად არ გამოხრა.



შემოქმედებითი მეთოდი

ერთ მშვენიერ დღეს რაობაზე მშვენიერების თურმე კამათი გაუმართავთ ბაღში ყვავილებს.

— შემოქმედებით მეთოდს ვარდის, თუ დავფიქრდებით, არ შეიძლება დავეთანხმით, — უთქვია ეკალს. — მესმის სიმძაფრეც, მომხიბვლელობაც.. მაგრამ ყველაფრის წარმოჩენა მხოლოდ ვარდისფრად?!

თავი III

წინათქმა

ოთახში მდგარს და მორთულს, მოკაზმულს ნაძვის ხეს ნაძვი უცქერდა შურით, ვარეთ რომ იდგა ქარში, თოვლაში და სიცივისგან უწუხდა გული.

ოთახის ნაძვს კი ეკიდა ცეცხლი, ყოფნას ნატრობდა ქარსა და ბუქში, სიმდიდრეზე და ბრწყინვაზე ვერცხლის სიხარულით რომ გაცვალა გუშინ.

ფარდა

ყოველთვის, როცა ბოლო აქტი უნდა დასრულდეს, თავის გამოსვლის მოლოდინი აღელვებს ფარდას. „როგორ შემხვდება მაყურებელი?“ — ფიქრობს, ცახცახებს და სცენაზე ისე გამოდის.

მაყურებელი ფეხზე დგება, იძახის ვაშას, მჭუხარე ტაშმა დაანგრიოს ლამის დარბაზი. ისე ხვდებიან, იმნაირი აღფრთოვანებით, რომ თვით ფარდაც კი, სცენის ძველისძველი მუშაკი, ბრუდახვეული კულისებში მიმალვას ჩქარობს.

ტაშის ხმა უფრო ძლიერდება. „ისევ მიხმობენ! რა გაეწყობა, უნდა დაეყვი, უნდა გავიდე“, ფიქრობს ფარდა და რამდენიმე გამოსვლის შემდეგ, მაყურებელთა საამებლად, რჩება სცენაზე.

მაგრამ დახედეთ უმადლობა-უმადურობას! — დაიშალა და დარბაზიდან გავიდა ხალხი.

ქლიერი საბუთი

ცარცი თავგამეტებით შრომობდა: წერდა, ხაზავდა, ანგარიშობდა. მთელი დაფა რომ ააჭრელა, განზე გადგა და მსმენელებს მიმართა:

— ალბათ გაიგეთ... ხომ არ გინდათ მკითხოთ რაიმე?

ჩვარი ვერაფერს მიხვდა და კამათის ხასიათზე დადგა, მაგრამ რაკი სხვა საბუთი ვერ მოიძია, ადგა და ცარცის ნაცოდვილარი ჩვეული სიმარდით გააჭრო დაფიდან: უსინდისოდ გამოიყენა თავისი სამსახურეობრივი მდგომარე-

ობა და გაძნელდა ამგვარ საბუთთან ჭიდილი. მაგრამ ცარცს დანებება არც უფიქრია და უფრო გამოწვლილვით შეუდგა დამტკიცებულის მტკიცებას.

ცარცის აზრი ნათელი და სარწმუნო იყო, მაგრამ ჩვარმა ახლაც ვერაფერი გაიგო და ისევ ზოზინითა და უბოდიშოდ გადაშალდა წველები, რასაც ცარცმა მთელი თავისი სული და გული შეაღია.

ზორი

სათვალემ თავისი თვალით ნახა ყველაფერი...

სულ ახალმა, ბრჭყვიალა ღილმა თავისი ცხოვრება ძველ, ნათრევ პიჯაკს დაუკავშირა. მაინც რა პიჯაკი იყო, — მკითხავთ. თუ ხმებს დავუჭერებთ, ახლაც ათამდე ასეთი ღილი აქვს. ადრე კი, ვინ მოთვლის, რამდენი ჰქონდა! ღილმა კი, მის გარდა, არავინ იცოდა.

ნათრევი პიჯაკი თავისი მაუდის ენით ღილს რას დაიყოლიებდა?! ყველაფერი ძველი მაჭანკლის — ნემსის ბრალი გახლდათ: ხან აქეთ ეცა, ხან — იქით, ხან ღილს მიაწყდა, ხან — პიჯაკს — საქმე ასე მოაკვარაბჭინა.

მალე გახმაურდა საბრალო ღილის ამბავი. სათვალემ სუფრას უამბო, სუფრამ, ჩვეულებრივ ყველას რომ ხელს აფარებს, თავი ვერ შეიკავა და ჩაის კოვზს ამცნო, კოვზმა ჭიქასთან წამოროშა, ჭიქამ კი იმდენი იწკრიალა, რომ მთელ ოთახს შეატყობინა.

შემდეგ კი, ღილი ღილკილოს მარყუჟში რომ მოექცა, საყოველთაო აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა: ძველი პიჯაკიან ღილის უბედურების მიზეზი. კარგი ცხოვრება მარყუჟში თავს არ გაგაყოფინებსო, — ამბობდნენ.

ძველი აფიშა

შრიანებს ქარში ძველი აფიშა და ყველა გამვლელს თავისკენ უხმობს: — მომიახლოვდით, ძვირფასებო, მომიახლოვდით! ახალთახალი გაკრული ვარ, შემავლეთ თვალი...

მაგრამ ზედაც არ უყურებენ, ისე მიდიან. ვერავინ ამჩნევს მის პრანჭვას და კოკობზიკობას.

კარგი კონცერტი იქნებაო, — განაგრძობს იგი. — მსახიობები საგანგებოდ გვყავს შერჩეული...

შრიანებს ქარში. შრიანებს და გამვლელებს უხმობს. საბრალოს არ სურს ირწმუნოს, რომ მისი კონცერტი კარგა ხანია ჩატარდა და აღარ შედგება.

ფორმალობა

— სიამოვნებით, მხოლოდ კიას დავეკითხები! ფორმალობაა, მაგრამ მაინც... — პასუხობს ლუზას ხავერდაგადაკრულ ბილიარდის მბზინავი ბურთი.

— აკი ვთქვი, კია არ დადგება-მეთქი უარზე, — ამბობს, ლუზაში ტყვიასავით როცა ეშვება.

ერთი ფურცელი

საინტერესო იყო წიგნი. დაბივიწყესო, გაცრეცილ ფურცლებს და მკითხველისადმი. თუმცა ერთს მაინც დღენიდაგ სტკიოდა გული.

— არ მკითხულობენ, — შრიალეზბდა უკმაყოფილოდ. — დაინც მკითხულობს, არც მას მოეწონვარ. სპეციფიკურის კი ვარ, მაგრამ საჭიროა ამ ჟანრის გემოც იგემოსო წიგნის ტრფიალმა.

შემჩნეული შეცდომების გასწორებას ეთმობოდა ის ფურცელი.

ჯაჭვი

ქის ოწინარი აჭრიალდებდა თუ არა, ბადია თავს ვერ იკავებს და წყალში გადაეშვება:

„დახრჩობა სჯობია ასეთ ცხოვრებას!“ — ფიქრობს იგი.

„ჰოდა, დაიხრჩე! სულს მაინც მოვიტყვამ უშენოდ“, — პასუხობს მეწყვილის ჭირვეულ ხასიათს შეჩვეული ოწინარი.

გადის წუთი. მკვდარივითაა ბადია, წყალსაც არ ატოკებს. „არა, ერთიც ვნახოთ, და მართლა დაიხრჩოს! — წუხს ოწინარი. — ჩემი ბრალიცაა, ზედმეტად ავიშვი თავი“.

და ოწინარი ჭაჭვითა და ოხვრით ეზიდება წყალნაყლაპ ბადიას. აწი ხელს აღარ შევუშვებო, — იფიცავს, მაგრამ სულ მალე ყველაფერი თავიდან იწყება.

„რალა ამ ბადიას გადავეყარე! — ჭრიალებს ოწინარი. — ბრუ დამასხა ამდენი ტრიალით. ეს წყეული ჯაჭვიც რომ არ მასვენებს!.. სწორი თუ გინდათ, მეც დამნაშავე ვარ, მთლად ავიშვი თავი. ამოვიყვან, თორემ ჩავვარდი ცოდვაში და ესაა!“

უოფნა-არუოფნის საკითხი

გულნაკლულია საწვიმარი ხვედრით და ბედით.

მზიან ამინდში, სეირნობის ჟამი რომ დგება, ჩაკეტილი ჰყავთ სიკვდილმსჯილ პატიმარივით; კარს გაუღებენ, გარეთ გასვლის ნებას დართავენ და ამ წამშივე უცილობლად წამოვა წვიმა.

შემთხვევითობას მიაწეროს თუ სიაჯკაცეს?

დღემდე პასუხი ვერ უნახავს, თუმცა საწვიმრის თავსა და ბოლოს, ყველამ ვიცით, სინათლე გასდის.

კლაგიატი

— ვინ იფიქრებდა, — ღელავს პალიტრა, — რომ ფუნჯი სურათს მის შექმნილად გაასაღებდა. უკლებლივ ყველა საღებავი ჩემგან წაიღო, მხოლოდ სხვაგვარად განალაგა იგი ტილოზე.

ხიწვი

— მგონი, ერთი გზა უნდა გვქონდეს, — თქვა მხიარულმა ხიწვმა და მაწვილს შეერჭო ფეხში.

— აკი ვითხარი, არაფერი სჯობია-მეთქი წყვილად სიარულს, — კმაყოფილმა შენიშნა, როცა ტკივილისაგან ასკინკილით გაიქცა ბავშვი.

ღირსება



მაინც ჩიტია, თუმცა ოდნავ აღმატება ფუტკარს ეკუთვნის, — კმაყოფილმა შენიშნა, როცა ტკივილისაგან ასკინკილით გაიქცა ბავშვი.

— არა უშავს რა ჩვენს არწივსაც, მარჯვე მიჭია, — ამბობს ხანდახან, როცა სათქმელს სიტყვა მოიტანს.

მეცნიერული დავა

— ყველაზე უფრო ჰკვიანი და განათლებული ვინ გვყავს წინკარში? — იატაკის ტილოს თუ დაეკითხეთ, ფლოსტებს, კალოშებს და მაშიებს დაგისახელებთ.

მრავლისმნახველი კალოშები და მაშიები, როგორც კი ერთად მოხვდებიან, კამათს იწყებენ:

— მშრალი წერტილიც არ ჰქონია თურმე ქვეყანას, ყველგან გუბე და სისველეა, — ამბობს კალოში.

— რას ამბობთ, გუბე სად გინახავთ? ისე მშრალია, ლამის გადახმეს ყველაფერი, — ამბობს მაშია.

— სველია-მეთქი.

— არა, მშრალია!

და ვიდრე ფლოსტი არ ჩაერევა, არა მთავრდება მათი დავა მეცნიერული.

— დამშვიდდით, ჩემო კოლეგებო, ორთავ სწორი ხართ. ხან მშრალია და ხანაც სველი ჩვენი ქვეყანა. მშრალია, როცა არ რეცხავენ დასვრილ იატაკს, როცა რეცხავენ, რა თქმა უნდა, მაშინ სველია.

საკერებელი

ახალთახალი საკერებელი ტვინს იჭყლეტს, მაგრამ ვერ გაუგია, რატომ მალავენ, როცა მხოლოდ ის განიჩევა ამ ძველთაძველი, დათხუპნული და გაცრეცილი ტანსაცმლის ყველა ნაწილისაგან.

ზარდახშა

— ეი, ზარდახშა, — ეუბნება მაგიდის ლამპა, — დახედე ერთი, რა წერია იმ ქალაქებში, ასე გულდაგულ რომ ინახავ.

მაგრამ ზარდახშა ვერაფერს არჩევს, თუმცა ძალიან ცდილობს თავის თავში ჩახედვას.

— მითხარი მაინც, რა წერია? — მიმართავს ლამპას.

— რა და ბევრი რამ, ერთმანეთის გამომრიცხავი. ერთზე წერია, მიყვარხარო, სხვაზე — არაო. შენ კი ამდგარხარ და ორთავეს ერთად ინახავ. რა დაგეშართა, რად დაკარგე პრინციპულობა?

— იქნება მართლაც, — ფიქრობს ზარდახშა, — მე ხომ არც ერთი მათთაგანის არა ვიცი რა! უნდა ვცადო და ამ საქმეში კარგად გავერკვე.

შემდეგ ოთახში შემოვიდა დიასახლისი, გახსნა სარდახში და აქვითინდა დიასახლისის მღუღარე ცრემლმა მთლად აურია საწყალს გზა-კვალი:

— რაღა თქმა უნდა, ყველაფერი ჩემი ბრალია, ჩემი და... ჩემი უპრინციპობის.



შემოდგომის ზღაპარი

მოდო, ფანჯრიდან გადაიხედე. ხედავ ფოთოლს, ქარი რომ აფრიალებს? უკანასკნელი ფოთოლია...

ყვითელი ახლავ, თორემ იყო დრო — მწვანედ ხასხასებდა და ყმაწვილ, წითელ ალუბალზე უზომოდ შეყვარებული უძრავად იჯდა პატარა ტოტზე.

ძველი მოქეიფე და კარიკარ მავალი ქარი ხშირად ეუბნებოდა:

— წამო, მოვიაროთ ქვეყანა! იცი, რამდენი მშვენიერი ალუბალია?!

მაგრამ არა და არ დაჰყვა ფოთოლი. რად უნდა სხვები, როცა ერთადერთი და ყველას უმჯობესი გვერდით ჰყავს!

გამოხდა ჟამი და ბედმა უმტყუნა: უცბად ისე გაქრა ალუბალი, კვალის მნახველიც არავინ დატოვა.

შემოდგომის ცივი დღეები იდგა და ერთიანად გაშიშვლებულიყვნენ ხეები. მხოლოდ ერთი ჩამომტყნარი და დარდით გაყვითლებული ფოთოლი არ შორდებოდა ტოტს: იჯდა და ელოდა თავისი ალუბლის დაბრუნებას.

— რაღას უზიხარ? წამო, მოვიძიოთ, იქნებ მოვნახოთ კიდევც, — უთხრა ქარმა, ღონივრად დაჰბერა და თან გაიყოლია.

...მოდო, ფანჯრიდან გაიხედე.. ხედავ, ჩაშავებული ხეები როგორ მობღუნებულან სიცივისაგან? აბა რა მოუვათ: ყველა ითბუნება საზამთროდ, ისინი კი შიმვლდებიან. ხომ ხედავ, უკანასკნელი ყვითელი ფოთოლი ქარში რომ ფრიალებს? ჩვენი ფოთოლია, სიკვდილამდე პირველი სიყვარულის ერთგული ფოთოლი.

იგი ახლაც თავის ალუბალს დაეძებს.

სიხარული

გაიღვიძა და ციციქნა ცინდალმა თავისი კუდი აღმოაჩინა.

ასეთი დიდი აღმოჩენისთვის მზად არ იყო და შეფიქრიანდა, შეშინდა კიდევც, მაგრამ დაბოლოს გათამამდა და დაჭერა სცადა.

ვუცქერდი ცინდლის ფაცაფუცს და არ კი მჯეროდა, რომ შესაძლოა ეს დასვრილი და ციციქნა კუდი ასე უსაზღვრო სიხარულის მიზეზად იქცეს.

ჩხარუნა


ჩხარუნა ჭკუას არიგებდა ძველ ვიოლინოს: — უფრო მარტივი უნდა იყო და გასაგები. მე, მაგალითად, ყველა მისმენს სიამოვნებით. ბავშვი რაა და ბავშვისთვისაც გასაგები ვარ.

ფარდა

ზედ ჩამოაცვა ფარდამ რგოლი და უჩურჩულა: — ჩემო ლურსმანო, აწი აღარ დავცალდებითო.

ნიშნობის ბეჭედს რგოლი თუმცა არაღრმით ჰგავდა, მიხვდა ლურსმანი — უმძიმესი აჰკიდეს ტვირთი და, ხსნის იმედით, ღრმად შეძრომა სცადა კედელში.

გაგიკვირდებათ, მაგრამ მენდეთ — ეს ყველაფერი შორიდან მტად ღამაზი ჩანდა.



საჭირბეული

— გაიყინება ადამიანი. — წუხს დღენიადაგ საჭირბეული. — მოეყინება ხელი და ფეხი, მხარი და მკერდი გაეყინება. წელზე არ ვდარდობ, აქ მე ვარ თვითონ, მაგრამ დანარჩენს რა ეშველება?!

ხსოვნა

გამოცდილება არა ჰქონდათ ქერა კულულებს, წლებს რომ ჭადარით არ დაეფარათ, და ვერ გაეგოთ, სად წავიდა მათი პატრონის მოყვარული და მოალერსე ყმაწვილი კაცი, უკანასკნელი კინკლაობის შემდეგ რომ გაქრა. თუმცა ალერსით ახლა სხვანი უალერსებდნენ, მაგრამ ის სიტბო და სიკეთე ვერ შეეცვალათ.

გამოხდა უამი... და კულულებს ბარათისაგან გაკეთებულმა პაპილოტმა ამცნოთ ამბავი მათი პატრონის მოყვარული კაცის დაღუპვის.

საფრთხობელა

გახარებული, რომ დანიშნეს ბოსტნის დარაჯად, ხელებს იქნევს და მუმბარაქზე ეპატიყება ფრთოსნებს, რომლებიც უფრთხიან და შორს მიფრინავენ. საფრთხობელა კი დგას და უხმობს: — მოდით, ვილხინოთ!.. — მთელი ღმით უხმობს და დარდობს, რომ არავის უნდა მიეახლოს და მისი ლხინი გაიზიაროს.

აპრძალული ხილი

საპარიკმახეროს ფანჯარასთან მიმდგარა ცხვარი და შურით უცქერს გაკრეჭილებს და გასაკრეჭებს.

ფერმაში, სადაც უსასყიდლო ჰქონდა ჭამა-სმა და ისე კრეჭდნენ, რომ არაფერს სთხოვდნენ სანაცვლოდ, ეზარებოდა კრეჭა-ღრეჭა, აქ კი სხვა არის. ფული რომ ჰქონდეს, ჩადგებოდა უთუოდ რიგში.

გიჟურავით გაგონილი გაღნიერება

ღამეა. სამზარეულოში თვალთან თითს ვერ მიიტან, ისე ბნელა. დუნდ-რუხა, ამპარტავანი, ჩვეულებრივ დაღვრემილი და სიტყვაძუნწი ღოჭი ვერ ამჩნევს კოვზს, ფინჯანი მარტო ჰგონია და ეუბნება:

— რაც დაგინახე, მოსვენება დავკარგე. ისე მიყვარხარ, ჩემო ფინჯანო, გულში ვერ ვიტევ ამ სიყვარულს...

(ღოჭი ბევრს მართლაც ვერ იტევს — სულ სამბოთლიანია, მაგრამ სიყ-

და მაინც არ ემდურის აღსაზრდელებს. უხარია, რომ გამოსწორების გზას აღგანან და, თუ ასე მოსწონთ, რა გაეწყობა, არც ხუთიანია ურთვით ნიშანი.

თანაბრანობა



შორეულ ვარსკვლავს ეუბნება ქუჩის ფარანი: — რა უფროსი ხარ, საბრალოსო, მომიახლოვდი აცეხლს გიწილადებ, გაგინათებ ბედშავს სამყოფელს.

კოსმოსის ხანა

ძირს დაცემამდე ყოველ ჯაგნარს ეკითხებოდა: — დედამიწაა თვალწარმტაცი თქვენი პლანეტა?

— დედამიწაა, — მისძახოდნენ ციციქნა ფანტელას, თუმც უცილობლად არ მიაჩნდათ პასუხად თქმული.

ლურსმანი

რომ დაენახა, როგორ ცხოვრობს მისი პატრონი, ფეხსაცმელიდან წამახული ამოყო თავი და გაიგონა:

— ვაი!

უბედურება შეემთხვაო პატრონს, ცხადია, — გაიფიქრა და უფრო მალლა ამოიწვერა.

ვაის სხვა ვაიც მიაყოლა მისმა პატრონმა, დაწვდა ჩაქუჩს და კვლავ ჩაქვდა უკან ლურსმანი.

„რალაცას მიმაღავს!“ — დაეჭვდა და ისევ ამოძვრა, რომ უფრო კარგად დაენახა, რას უმაღავდნენ.

გაჯავრდა კაცი, მოიძია სადღაც გაზი, და გაცვეთილ ლანჩას მოაშორა ცნობისმოყვარე.

საკუჭნაოში, უსარგებლო საგნების გვერდით ვდია და ფიქრობს: „ამაყია ადამიანი!! არ სურს, ცხოვრება რარიგ უჭირს, სხვამაც შეიტყოს“.

სიუვარული

— რაო, რად მოგიწყენია? — ჰკითხა ქათამმა ბალახს.

— წვიმა მჭირდება, ჩამოვჭკნი და ესაა უმისოდ.

— შენ რალად ჩაგიღუნია თავი? გაკლია რამე? — ახლა გვირილას მიუბრუნდა.

— წვიმა, წვიმა მჭირდება, — მიუგო შეწუხებულმა გვირილამ.

ვინააო ნეტავ ეს წვიმა? — ფიქრობდა შელამებისას ქანდარაზე შემომჯდარი ქათამი. ალბათ მშვენიერია და აქაურ მამლებს არც შეეღრება. ასეც იქნება, რაკი ყველა თავს იკლავს მისთვის.

იფიქრა, იფიქრა და თავადაც მოიწყინა. და როცა აშიკი ყვინჩილა მიუახლოვდა, ზედაც არ შეხედა. იჯდა, ფიქრობდა და ოხრავდა: საუკეთესო საქათმეშიაც უაზრობააო არსებობა უსიყვარულოდ.

— რას კრუხუნებ და კრუხუნებ? — ველარ მოითმინა კრუხმა. — გერჩია დაგეძინა...

— ეჰ, შენ რა გესმის! — ისევ ამოიოხრა ქათამმა. — წვიმა თუ არ მგწვ

ვია, ერთთავად ჩამოვხმები. კრუხმა გაოცებისაგან ფრთები გაშალა და ისევ მითვლიდა. დილით კი გაწვიმდა.

— ეი, ქოჩორა, მოგივიდა შენი შხაპუნა! — გადასძახა კრუხმა. — მიეგებე, ვიდრე აქაა.

ქათამი საქათმიდან გავარდა, მაგრამ უმაღლვე უკან შეფრინდა.

— რა სველია, ხეპრე და უხეში, — თქვა კრიახით და ფრთები დაიბერტდა. — ნეტავ ბალახსა და გვირილას რით მოეწონათ?!

და, თანაგრძნობის გამოსათქმელად აშიკი ყვინჩილა რომ მიუახლოვდა, ქოჩორას იგი უფრო საინტერესოდ მოეჩვენა. „რა ვუყოთ, აჯა-ბაჯა რომ დიდის, უხდება კიდეც,“ — გადაწყვიტა თავისთვის.

რამდენიმე დღეში დაწყვილდნენ და საქორწინო მოგზაურობასაც შეუდგნენ — საქათმიდან შეშის ფარდულამდე და უკან, ეზოს გამოვლით.

იცით, რა საინტერესო იყო?! ყვინჩილა გალანტური კავალერი აღმოჩნდა და, ყიყლიყო — ისე სასაცილოდ ყიოდა, რომ ქოჩორას წამითაც არ მოუწყენია.

და აი, გზად ნაცნობ ბალახსა და გვირილას გადაეყარნენ. ქოჩორას გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, წამომართული, ფერზე მოსული, გამშვენიერებული მეგობრები რომ ნახა. ძველი ნალველის კვალიც არ ემჩნეოდათ.

— რაო, აღარ დარდობთ წვიმაზე? — გესლნარევი იუმორით იკითხა ქათამმა.

— რაღა გვადარდებს, — მიუგო გვირილამ, — ახლახან იყო. თუ შეიგვიანა, ისევ მოვიწყენთ; გვეძნელება უმისოდ.

„რა პირფერობაა! — გაიფიქრა ქათამმა. — მოსვლა კი არა, წასვლა ახარებთ მისი. მე ხომ ვიცი, რა შვილიცაა!“ და თავის ფეხებკაუჭა მამალთან ისე განაგრძო გზა, რომ სიტყვაც არ უთქვამს წვიმის შესახებ. ჯერ ერთი, სულაც არ სურდა საყვარელი მეუღლისათვის ძარღვები მოეშალა და მეორეც, ისე, ცნობისმოყვარეობის გამო, კვლავაც ფიქრობდა წვიმაში გახტომას.

თავი IV

წინათქმა

ვიდრე არ გვადებთ ონკანს — წყალსადენი ცივი წყლის ერთ წვეთსაც არა და არ მოგვეცემს, შეუდარებია სიუხვე შადრევნის. იგი ჩვენ სიუხვეით გვხიბლავს და გვაოცებს:“

შადრევანს იმდენი ნაკადი ამშვენებს, — ონკანს სიზმარშიაც არ მოელანდება, მაგრამ მოგვეწყურდება თუ არა, მაშინვე ონკანს მივაკითხავთ და არა შადრევანს.

ქვიშანა — შვილი უდაბნოლასი

იყო და არა იყო რა, იყო ქვიშანა — შვილი უდაბნოლასი.

მის ქვეყანას გულქვა, სასტიკი და დაუნდობელი მბრძანებელი — გვალვანა განაგებდა.

იტანჯებოდნენ საბრალო ქვიშანები; ცალ-ცალკე ყველას თავისი ფორმაც ჰქონდა და სიმტკიცეც, ერთად კი ლბილი და უფორმო იყვნენ და გვალვანა შავ დღეს აყენებდათ: ვინაც რაიმე შეებდა, უკვალოდ გააქრო.

ველარ მოითმინა ქვიშანამ, მივიდა გვალვანასთან და უთხრა: გეყო პარბაში! ჩვენ თავისუფალი ხალხი ვართ და საკუთარ ბედს თავად უნდა განვაგებდეთო.

აენტო გვალვანა. ცის დასალიერს მოგანატრებო, — აღმუვლდა; მოუხმო ქარანას, დააბერინა და ქვიშანა ცხრა მთას იქით გადაისროლა.

უცხო ქვეყანაში აღმოჩნდა ქვიშანა: ირგვლივ, თვალსაწიერზე სიმწვანეა და ქვიშის სახსენებელიც არა ჩანს. ნიავი ანანავებს მწვანე ბალახს და სავსე თავთავებს.

— გამარჯობა, მგზავრო! საით გაგიწევია? — ეკითხება თავთავი.

მდაბლად დაუკრა თავი ქვიშანამ და თავისი გასაჭირი უამბო.

— ვიცი, ვინც გისაშველებთ, — უთხრა თავთავმა. — გვყავს ჩვენ გოლიათი, მისი ძალისა არც აქ მოინახება და არც სხვა პლანეტებზე. გაგიკვირდება, მაგრამ ოდესღაც სულ უბრალო, ნამცეცა მარცვალი ვიყავი, ვერც ვერავინ მამჩნევდა და არც არავის ვჭირდებოდი. ვწუხდი — უაზროდ გავღეგმეთქი დღეებს. მაგრამ მოვიდა ის გოლიათი, ლბილ მიწაში ჩამფლო, მარწყულა, დამათბუნა და ხედავ, რად ვიქეცი? ძველი ნაცნობებიც ველარა მცნობენ.

— რა ჰქვია და სად მოვიძიოთ ის გოლიათი? — იკითხა ქვიშანამ.

— მინდია ჰქვია. ცხოვრებით კი, იმ მხარეს რომ ხედავ, აი, იქ ცხოვრობს. იკითხე, ყველა მიგასწავლის.

მადლი მოახსენა კეთილ მრჩეველს და პატარა ქვიშანა მინდიას საძებნელად გაეშურა. გზად ზურგის ქარმა აიტაცა და სავალი გაუიოლა.

მესამე თუ მეოთხე დღეს ღელეზე გადებული ხის ხიდი შემოხვდა. დგას ხიდი ოთხზე, ადგილიდან არ იძვრის, — როგორც ჩანს, ფეხების დასველებისა ეშინია.

მიუახლოვდა ქვიშანა და ეკითხება:

— ხომ არ დაგეხმარო? ვხედავ, ღელეზე გადასვლა გიჭირს.

ახედ-დახედა ხიდმა ნამცეცა ქვიშანასა და ხარხარი აუტყდა:

— შენ დამეხმარები??.. შენა??.. — ხა-ხა-ხა-ხა! — იმდენი იხარხარა, კინალამ დაიშალა.

— რა გაციინებს? — იწყინა ქვიშანამ. — სიკეთე მსურდა, მეგონა — თავად არ შეგეძლო.

ხიდმა ხარხარი შეწყვიტა.

— თუ კაცი ხარ ნუ მიწყენ, — ეუბნება, — ბოროტად არც მე ვიციინოდი. ისე კი არც იქით მჭირდება გადასვლა და არც აქეთ. მგზავრები რომ შეუფერხებლად მიდი-მოდიოდნენ, ასე უნდა ვიდგე... სამსახური მაქვს ამგვარი.

— მაშ, სულ აქა ხარ? — ეკითხება ქვიშანა.



— სულ.

— თუ ასეა, იქნებ მინდიას გზა მასწავლო.

— რომელი მინდიასი?

— ამბობენ, გოლიათიო ერთი, ყველაფერი შეუძლიაო.

— აი, თურმე ვინ ვინდა! ვიცნობ მე იმ გოლიათს, ვიცნობ და ყველაფერი შეუძლია. ჩვეულებრივი ხე როცა გახლდით, ტყეში ქვეშევსიანსა ცია. აღარ ვიცოდი, რა მექნა: აღარც ვყვალდი და აღარც ვიზრდებოდი, აღარც ცოცხლებში ვეწერე და აღარც მკვდრებში. ჩავიფერფლები და ჩავლპები-მეთქი, ვფიქრობდი. მოვიდა ერთხელ იგი, მთალა, მრანდა და ხილად მაქცია. მას შემდეგ დაუბრკოლებლად გადადიან ღელეზე. თუ ვინდა, შენც გადადი.

— როგორ, მინდია იქით მხარესაა?

— რომელი მინდია? ყველაფრის შემძლე გოლიათს თუ ეძებ, მას მუხრანს ეძახიან. ჰკითხე, ვისაც ვინდა, და გეტყვის.

— კი, მაგრამ... როგორ? — დაიბნა ქვიშანა. — მინდია ჰქვიაო, მითხრეს...

— არა, ძმაო, არა! იმ გოლიათს ნაღდად მუხრანი ჰქვია. კარგა ხანს იცოდვილა, ხილად რომ ვექციე და მის სახელს ვერავე მასწავლის

აუხსნა, როგორ მოენახა გოლიათი, და კეთილი გზა უსურვა.

არავინ იცის — რომელ ღღეს, ქვიშანა რკინიგზაზე გავიდა. ხედავს, რელსი ლაპლაპებს მზეზე. მიეახლა და ეუბნება:

— იქნებ მუხრანი მომანახვინო, ყველაფრის შემძლე გოლიათი.

— ოოო, — გამოეპასუხა რელსი, — მე მაგ გოლიათს მშვენივრად ვიცნობ. უმისოდ, ვინ იცის, სად ვიქნებოდი! ოღესღაც მიწის ქვეშ ვცხოვრობდი ძალიან ღრმად, უსინათლოდ და უსახელოდ. მაგან მომნახა და ხედავ, სად ამოიყვანა! ახლა აქ ერთი მატარებელიც ვერ გაივლის უჩემოდ. ისე კი რაღაც გეშლება, ძამიკო. იმ გოლიათს მუხრანი კი არა, ჯემალი ჰქვია.

ქვიშანა მთლად დაიბნა: — როგორღა მოვიქცე? თავთავმა — მინდიაო, ხილმა — მუხრანო, რელსმა — ჯემალიო... რომელი ვეძიო?!

რკინიგზას გაშორდა, ბუჩქის ქვეშ მიჯდა და ჩაფიქრდა.

— რა იყო, რად მოგიწყენია? — ჰკითხა ბუჩქიდან მისკენ გადმოხრილმა ფოთოლმა.

— მოდი და ნუ მოიწყენ. — თქვა დადარდიანებულმა ქვიშანამ. — რა ხანია ყველაფრის შემძლე გოლიათს ვეძებ და ვერ მომინახავს. ზოგმა — მინდიაო, ზოგმა — მუხრანო, ზოგმაც --- ჯემალიო. სცადე და გაიგე რამე!

— ვიცნობ მე მაგას, — გაიშრიალა ფოთოლმა. — იგი მინდიაცაა, მუხრანიც, ჯემალიცა და ვამეხიც... ათასი სახელი აქვს, მაგრამ ძირითადად ადამიანს ეძახიან. იკითხე და არ გაგიჭირდება მისი მონახვა.

გასწია ქვიშანამ ადამიანის საძიებლად და სულ მალე მიაგნო. დედამიწაზე ადამიანს ყველა იცნობდა.

მონახა, წარუდგა და ეუბნება:

— გამარჯობა, ადამიანო! უნდა გვისაშველო რამე.

— გამარჯვება არ მოგშლოდეს, — პასუხობს ადამიანი. — ვინა ხარ, საიდან მოსულხარ?

— ქვიშანა გახლავარ, ძე უდაბნოლასი. აღარ გვეცხოვრება, გაგვტანჯა და გაგვაუბედურა გვალვანამ.

— რატომ არ გააძევებთ მერე? — ეკითხება დამიანი, — ის ერთია, თქვენ კი ბევრი ხართ ალბათ, ნუთუ ასე ძნელია გაუმკლავდეთ?

— ბევრი კი ვართ, — დაეთანხმა ქვიშანა, — მაგრამ როგორღაც კალცალკე ვცხოვრობთ. ვცადეთ კიდევ, მაგრამ ვერ გავერთიანდით, მოუხმობს გვალვანა თავის ერთადერთ მეგობარ ქარანას, შემოაბერინებს და დაგვიწყლოს.

— მართლა ცუდად გქონიათ საქმე, — ამბობს ადამიანი, — მაინც რას აკეთებთ, რას საქმიანობთ უდაბნოში? გიცდიათ ბალების გაშენება?

— არა, არ გვიცდია.

— სახლების აგება?

— არც ეგ გვიცდია.

— ლითონიც არ ჩამოგვისხიათ?

— არა, არ ჩამოგვისხია.

— მაშინ გასაგებია, რატომაც ვერ ერთიანდებით. საერთო საქმემ იცის გაერთიანება, თქვენ კი იგი არა გქონიათ.

დაბრუნდა ქვიშანა — ძე უდაბნოლასი — მშობლიურ კუთხეში და თან ადამიანიც მოიყვანა. შეუდგნენ საქმეს და სულ მალე უდაბნოში ყველაფერი შეიცვალა: ზოგმა ბალები გააშენა, ზოგმა სახლები ააგო, ზოგმაც ლითონი ჩამოასხა, ერთი სიტყვით, ყველამ თავისი საქმე მოიძია.

გაერთიანებული და განმტკიცებული ქვიშანები მბრძანებლობის უფლებას აღარ მომცემენო, — გაიფიქრა გვალვანამ და სხვა უდაბნოსკენ მოკურცხლა.

ცხადია, არც იქ მოუთმენენ დიდხანს. ყველა უდაბნოსა ჰყავს ყოვლისშემძლე კეთილი გოლიათის — ადამიანის მაძიებელი თავისი ქვიშანა.





თარგმანი ჯუშუბარ თითხარიაშ

მე თოთხმეტი წლისა ვარ

პროზის რითმები

პასტერნაკი გირეკავს! მშობლები გაოგნებული მომაჩერდნენ. შექვსკლასელმა ბიჭმა, ისე, რომ არავისთვის მოთქვამს, გავუგზავნე მას ლექსები და წერილი. ეს იყო პირველი გაბედული ნაბიჯი, რომელმაც ჩემი ცხოვრება განსაზღვრა. და აი, იგი შეზღოვება და თავისთან მიწვევს კვირას, ორ საათზე.

დღევანდელი იდეა. ლავრუშინის ქუჩაზე, რუხ სახლთან, უთქმელადაც გასაგებია, მთელი საათით ადრე მივედი. ვიცადე, ვიცადე და მერე ავედი მერვე სართულის ჩაბნელებულ მოედანზე. ორ საათს ჯერ წუთი უკლდა. შიგნით, ეტუბა ლიფტის მიჯახუნების ხმა გაიგონეს. კარი გაიღო.

ის წაღურბლზე იდგა. თვალები ამიჭრელდა, ყველაფერი აცურდა, ნისლში დაიბინდა. სახის გაკვირვებული წაგრძელებულ-შავგვრემანი ალი მომჩერებოდა. ძლიერ ტანზე რაღაც ჩამოღვენილი სტეარინის კოფთა მქონდა შემოჭიმული. შუბლზე შეჭრილ თმას ნიავი ურბევდა. შემდეგ თავისი ავტოპორტრეტისთვის ის შემთხვევით როდი ამოირჩევს ანთებულ სანთელს. ორპირ ნიავში იდგა.

პიანისტის ხმელი, ძლიერი მტევანი. განმაცვიფრა მისი ცივი კაბინეტის ასკეზამ, ღარიბულმა სივრცემ. მაიაკოვსკის კვადრატული ფოტო და ხანჯალი კედელზე. მაგიდაზე — მიუღერის ინგლისურ-რუსული ლექსიკონი. ის მაშინ თავგადადებით თარგმნიდა. იქვე ჩემი მოწაფური რვეული, ალბათ, საგანგებოდ მომარჯვებული. შეძრწუნებისა და თავვანისცემის

ტალღამ დამიარა თხემით ტერფამდე. მაგრამ გაქცევა გვიან იყო.

ლაპარაკი ფრთხილად დაიწყო. ღაწვები ასაფრენად მომზადებული მჭიდროდ აკრული ფრთების სამკუთხედ ჩონჩხებივით უძიგძიგებდა. მე მას ვალმერთებდი. მასში იყო მიწოდულობა, ძალა და წეციური შეუგუებლობა. როცა ლაპარაკობდა, თრთოდა, ნიკაპს ზევით ისე იწვედა, თითქოს საუელოდან და სხეულიდან ამოსხლტომა უნდაო.

მალე მივეჩვიე. მალულად, ჩუმად ვათვალიერებ.

მოკლე ცხვირი, ფუძესთან ჩაღრმავებული მაშინვე კეხიანდებოდა, შემდეგ ხწორად გრძელდებოდა, მინიატურულ შავი თოფის კონდახს მოგაგონებდათ. სფინქსის ტურები. მოკლედ შეკრებილი ქაღარა. მაგრამ მთავარი მის ირგვლივ მოლივლივე მაგნეტიზმის ნისლოვანი ტალღა იყო. «Он, сам себя сравнивший с конским глазом».

ორი საათის შემდეგ მოვდივარ და მომაქვს მთელი ილღია ხელნაწერები და უძვირფასესი — მისი ახალი ლექსების მეწამული აბრეშუმის ზონრით აკინძული ზურმუხტისფერი რვეული. სულმა წამძლია, გადავშალე და გზაშივე დავიწყე სტრიქონების ჩანთქმა:

«Все елки на свете, все сны детвары.
Весь трепет затепленных свечек,
все цепи...».

ლექსებში იყო შეგრძნებები რევოლუციამდე-ლი მოსკოველი მოწაფისა, გაჯადოებდათ ბავშვობა — პასტერნაკის გამოცანათაგან უსერიოზულესი გამოცანა.

...Весь трепет затепленных свечек,
все цепи...

ლექსებმა შემოინახეს მისი სულის გვიანდელი მჭვირვალეობა, მე მის შემოდგომას შევეხვარო. შემოდგომა წინასწარჭვრეტასავით ნათელია. და ბავშვობის ქვეყანა მოახლოვდა:

...Все яблоки, все золотые шпалы...

ამ დღიდან ჩემი ცხოვრების გზა დაისახა, მომაჯადოებელი აზრი და დანიშნულება შეიძინა: ახალი ლექსები, ტელეფონზე დარეკვა, საკვირაო საუბრები — ორიდან ოთხამდე, სეირნობა, ბედნიერებისა და ბავშვური ტრფიალების წლები.

რატომ შემეხშიანა ის?

იმ წლებში იგი სულ მარტო იყო, დაექანცა გაჭირვებას და წრფელი, ფაქიზი ურთიერთობები სჭირდებოდა. სურდა გამოეღწია წრიდან — და მაინც, მხოლოდ ეს არ იყო უველათერი. შესაძლოა, მოზარდთან, მოსწავლესთან ეს უცნაური ურთიერთობა, ეს თითქმის მეგობრობა რაღაცას გვიხსნის, რაღაცას გვეუბნება მასზე? ეს ფინიასთან ლომის მეგობრობაც კი არ იყო, ეს — და უფრო ზუსტად — ლომის მეგობრობა გახლდათ ლექსთან.

შესაძლოა, მას ჩემში უყვარდა თავისი თავი, ის, მოწაფე, სკრიპინთან რომ მიიღობინა?

გული ბავშვობისკენ მიუწევდა. ბავშვობის ძაბილი არ უწყდებოდა.

არ უყვარდა, რომ ურეკავდნენ, — თვითონ რეკავდა, ზოგჯერ კვირაში რამდენჯერმე. ამას მტანჯველი შუალედები მოსდევდა. გაოცებულ ჩემიანებს უოველთვის ასე ეუბნებოდა — პასტერნაკი რეკავსო, სახელსა და მამის სახელს არასოდეს ახსენებდა.

სხაპა-სხუპით, დაუფიქრებლად ლაპარაკობდა. შემდეგ, ეშხში შესული, უცაბედად ჩუმდებოდა. არასოდეს დაიწუნუნებდა, როგორი ღრუბლებიც არ უნდა დატრიალებულიყო მის თავზე.

„მხატვარი, — ამბობდა ის, — შინაგანად ოპტიმისტია. ოპტიმისტურია არსი შემოქმედებისა. როცა ტრაგიკულ ნაწარმოებს წერ, მაშინაც მძლავრად უნდა წერო, გულგატეხილობა და დონდლოობა ძლიერ ნაწარმოებს ვერ მოზენ“. უწყვეტ, სულმოუთქმელ მონოლოგად იღვრებოდა მისი საუბარი. მასში გრამატიკაზე მეტი მუსიკა იყო. ნაუბარი ფრაზად, ფრაზა სიტყვებად არ ნაწევრდებოდა — უველათერი იღვრებოდა ცნობიერების არაცნობიერ ნაკადად, აზრი ბუტბუტით უკუიქცევოდა, აჯადოებდა. ასეთივე ნაკადი იყო მისი პოეზიაც.

როცა ის მთლად გადასახლდა პერდელკინოში, უფრო იშვიათად რეკავდა, აგარაკზე ტელეფონი არ მქონდა და დასარეკად კანტორაში დადიოდა. ღამეულ სანახებს ახშიანებდა

ფანჯრიდან გამოსული მისი ხმის ექო — იგი ვარსკვლავებს ემუსაიფებოდა. მე დარეკვის მოლოდინით ვცოცხლობდი, ხშირად იგი მაშინ მეძახდა, როცა აგარაკზე თავის ახალ ნაწარმოებებს კითხულობდა.

აგარაკი შოტლანდიური კოშკების მსგავსი ხის ნაგებობა გახლდათ. ძველი ქადრაკის ეტლსავით იდგა სხვა აგარაკების მწკრივში პერდელკინოს უშველებელი, ხნულებით მიმოხაზული კვადრატული მინდვრის ბოლოში. ამ მინდვრის მეორე კიდეზე, სასაფლაოდან, სხვა ჯურის ფიგურებად ბზინავდნენ ნაჩუქურთმევი შეფეებისა და დედოფლების მსგავსი, სათამაშოებისავით გაფერადებული, ნეტარი ვასილის ჯუჯა სახლიკაცები—XVI საუკუნის ეკლესია და სამრეკლოები. აგარაკების რიგი პირდაპირ სასიკვდილო მიწანში მყავდა ამოღებული სასაფლაოების გუმბათებს. ახლა ამ აგარაკების იმდროინდელ პატრონთაგან ცოტა ვინმეა ცოცხალი.

ის თავის ახალ ნაწარმოებს გვიკითხავდა ნახევრად წრიულ ფარნიან კაბინეტში, მეორე სართულზე.

ვიკრიბებოდი. ქვემოდან ამოგვქონდა სკამები. ჩვეულებრივ, ოცამდე სტუმარი იყრიდა თავს. ველოდებოდი დაგვიანებულ ლივანოვებს.

ერთმანეთს მიყოლებული ფანჯრებიდან მოჩანს სექტემბრის სანახები. ტუე გიზგიზებს. მანქანა მიიჩქარის სასაფლაოსკენ. აბლაბუდის სუნი იჭრება ფანჯარაში. მინდვრის იმ ბოლოდან, სასაფლაოდან, გვერდულად იტკირება მამლის კუდივით ჭრელი ეკლესია — ვის გამოზერს? მინდვრის თავზე ჰაერი თრთის და ასეთივე მღელვარე თრთოლვაა კაბინეტის ჰაერშიც, მასში მოლოდინის ნერვი თრთის.

პაუზის შესამოკლებლად დ. ნ. უურავლიოვი, ჩიხოვის დიდებულად მკითხველი და ძველი არბატის ელიტის კამერტონი, გვიჩვენებს, როგორ ისხდნენ მაღალი წრის საზოგადოებაში დარბაზობებზე — წელში იხრებოდნენ და ბექებით ოდნავ თუ გრძნობდნენ სკამის საზურგეს. ის ახლა ტაქტიანი ფორმით მე მაძლევს შენიშვნას! ვგრძნობ, როგორ ვწითლდები, მაგრამ შეცბუნებისა და სიჩიუტისგან კიდეც უფრო მეტად ვიხრები წელში და ვიკუზები.

დაგვიანებულნი ბოლოს და ბოლოს მოდიან. ქალი — შემკრთალი, ნერვიულ-გრაციოზული — თავს იმართლებს, რომ უვაილებს მოვნა გაუჭირდა. კაცი — ვეებერთელა კაცი, მხრებს იჩეჩავს და მასხრული შეძრწუნებით კარკლავს თვალებს: პრემიერი, მხატვის სცენათა მეუფე, ნოზდრევისა და პოტიომკინის მომეროსული შემსრულებელი, გამოცხადებული გულღია ბატონკაცი.

ჩუმდებოდნენ. პასტერნაკი მაგიდასთან ჯდებოდა. მას ფრენჩის ტიპის მსუბუქი, ვერცხლისფერი კურტაკი ეცვა, ახლა რომაა მოდაში, ამგვარი. იმჭერად ის კითხულობდა „თეთრ ღამეს“, „ბუღბუღებს“, „ზღაპარს“, ერთი სიტყვით, იმ პერიოდის მთელ რეპერტუარს. „მამლეტი“ ჭერი ბოლოს დგებოდა. კითხვისას იგი აცქერდებოდა ჩვენს თავს ზემოთ რაღაცას, რასაც მხოლოდ თვითონ ხედავდა. სახე უგრძელდებოდა, უფრო ხმელი უხდებოდა. და თეთრი ღამის ანარეკლისფერი იყო მისი კურტაკი.

Мне далекое время мерещится,
Дом на стороне Петербургской
Дочь степной небогатой помещицы,
Ты — на курсах, ты родом из Курска.

კითხვა, ჩვეულებრივ, დაახლოებით ორ საათს გრძელდებოდა. ზოგჯერ, როცა მას მხმენელებისთვის რაიმეს ახსნა უნდოდა, ჩემკენ მოტრიალდებოდა, თითქოს მე მიხსნისო: „ანდრიუშა, აჰ, „სიზმარში“ მე მიხსნოდა, როგორც მედალზე, ისე აღმებეჭდა გრძნობის ემბლემა: მემომარი-მხსნელი და ქალწული მის უნაგირზე.“ ეს ჩვენი თამაში გახლდათ. მე ეს ლექსები ზეპირად ვიცოდი, მათში მან მოქმედების, საგნის, მდგომარეობის სახელებების თავისი ხერხი უმაღლეს წერტილამდე აიყვანა. ლექსებში ჩლიქები თქარათქურობდნენ.

Сомкнутые веки
Выси. Облака.
Воды. Броды. Рекн.
Годы и века.

ის უფრო ხილდებოდა აუდიტორიის თავმოყვარეობას. შემდეგ მიყოლებით ეკითხებოდა იქ მყოფთ: ყველაზე მეტად რომელი ლექსები მოგხვდათ გულზეო. უმეტესობა პასუხობდა: „ყველაო“. მას ხწყინდა არაპირდაპირი პასუხი. მაშინ „თეთრ ღამეს“ გამოჰყოფდნენ. ლივანოვმა „მამლეტი“ დაასახელა. ვერნათამაშები მამლეტი მისი ტრაგედია იყო, იმ ტკივილს იგი ბუფონის მასხარაობითა და სითამამით ახშობდა.

Гул затих. Я вышел из на подмостки,
прислонясь к дверному косяку...

ლივანოვი ცხვირს იხოცავდა. მისი დასიებული თვალის უპეები კიდევ უფრო ჩნდებოდნენ. მაგრამ სულ ცოტა ხნის შემდეგ იგი უკვე ხარხარისაგან ბუიარდებოდა, რადგან ყველას ქვევით, სუფრასთან გვიწვივდნენ.

ჩადიოდნენ. ექცეოდნენ მამამისის, ღამის ერთადერთი რუსი მხატვარ-იმპრესიონისტის, ფუნჯის ჰაეროვან ნენატურე ქალთა ალყაში, მათს ცისფერ ფეიერვერკში.

ო, ის პერედელკინოს სერობები! სკამები არ

ყოფნიდათ. ტაბურეტებს მოათრევდნენ. სუფრას პასტერნაკი ქართული რიტუალის ექსტაზით უძღვებოდა. იგი გულთხადი მასპინძელი იყო. მიმავალ სტუმრებს იმითაც აცხვებდა, რომ პალტოს ყველას თვითონ აცხვებდა.

ეროვნული
ზიგნიფიკაცია

ვინ არიან ისინი, პოეტის სტუმრები? გონების მშრალი ციალით ქუთავდა თვალებს ჩია, უწყნარესი პენრიონ გუსტავის ძე ნეიმაუზი, გარკი — მისი აშლილი გრანიტული გრუზა თმა გეხსომებათ! დაფანტული რისტერი, სლავა, შეინახეთაგან ყველაზე ახალგაზრდა, ოდნავ რომ წყურავდა ქუთუთოებს ფერებისა და ხმების დეგუსტირებისას. „აი, რა მინდა ვკითხო სლავას! სლავა! მითხარით, ხელოვნება თუ არსებობს? — გულამოსკვნით ეკითხებოდა პასტერნაკი, რისტერს გვერდით ექდა მოხდენილი, სევდიანი, შავ მაქმანსავით გრაფიკული ნინა დორლიაკი.

უსამოვროდ სუფრა სად ნახულა? ამ შეკრებებზე სამოვარი ლივანოვი გახლდათ. ერთხელ მთელი თავისი მედლებით დაქინჯილებული გამოცხადდა. პეტრესავით ზორბა იყო. მას მასპინძლის პირდაპირ დასვამდნენ. ხმაურობდა, კამკაშებდა. მასში რამდენიმე ვედრო ჩადიოდა, ალბათ.

„მე ვიცნობდი კარალოვის ქიშხ, არა გჭერათ? — ბრაზდებოდა და იქოქებოდა. — „Дай лану, Джим... ეს შავი ბოროტი დემონი იყო. ბელზებელი ვინც მას უყურებდა, ყველა კანკალებდა. შემოდოდა და სასადილო მაგიდის ქვეშ წვივებოდა. ფეხის გატოკებას ვერავინ ხედავდა, მის ხვერდოვან ბალანზე ხელის გადასმას ხომ — მითუმეტეს. ეს ხელი ეგრევე რომ პირში მოიქციოს, რას შვრები! ვგეთი კუნსტიუკი იყო, აბა! მან კიდევ „Дай лану мне...“ მოლით, პოეზიის სადღეგრძელო დავლიოთ, ბორის!“ მის გვერდით მაისის ხოჭოსავით, შეცბუნებული და გულაჩვილებული ქუთავდა ვეება თვალებს ყავისფერკოსტუმისანი შურავლიოვი. ასმუსი აზროვნებდა. გაბარჯლულად, დათვური ბაჭბაჭით შემოდოდა ვსევოლოდ ივანოვი, ყვიროდა: „ვაჟი გავაჩინე შენთვის, ბორის, ვაჟი!“

მახსოვს ანტიკური სანა ახმატოვა, უავგუსტოესი თავის პოეზიისა და ასაკში. სიტყვაძუნწი იყო, ტუნისის მკვსი ფართო სამოსელი ემოსა. პასტერნაკმა მის გვერდით დამსვა. ასეთი, ნახევარპროფილ და მახსომდა იგი სამუდამოდ.

მეხსიერებაში აღმეცხვდა მიქმეთის მოსვლა. მასპინძელმა ასწია მისი და მისი ცხოვრების მოეღვარე რევოლუციური დაფიონის სადღეგრძელო. ნაწიშმა გულისტკივილი გა-

მოთქვა, რომ ირგვლივ თურქული არავის ეს-
მოდა: მე მხოლოდ დაფიონი კი არა, პოეტიც
ვარ და ახლა ლექსებს წავიკითხავთო. ბორგ-
ვით, გაშმაგებით კითხულობდა. ანგინა სჭირ-
და, მძიმედ სუნთქავდა. წასვლისას, ქუჩაში
რომ არ გაციებულყო, პერანგს ქვემოთ გაზე-
თები დაიფინა — ჩვენი და უცხოური, — აგა-
რაკზე ისინი თავზესაურელად იყო. მე გავაცი-
ლე. პოეტის გულზე შრიალებდნენ მოვლენები,
შარიშურობდნენ მიწიერი დღეები.

შემოდოდა გოთიკური ფედინა — მათი აგა-
რაკები გვერდიგვერდ იყო. ვილიამ — ვილ-
მონტების წყვილი როკოტოვისეულ პორტრე-
ტებს მოგაგონებდათ.

ბორის ლეონიდის ძის მეუღლე, ზინაიდა ნი-
კოლოზის ასული, ტურების განაწყენებული
ბანტით, შავი ხავერდის კაბით, მოკლედ შეჭ-
რილი შავი თმით, არტნუვოს მანდილოსნებს რომ
გვავდა, ღელავდა, რომ მის შვილს, სტასიკ ნეი-
ჰაუზს, პარიზის კონკურსზე დილით უნდა და-
ეკრა, ომას კი რეფლექსები, საღამოს დაკვირის-
თვის ბქონდ, მომართული. რუბენ სიმონოვი
ავბორცული ნეტარებით და მბრძანებლურად
კითხულობდა პუშკინსა და პასტერნაკს. გაიელ-
ვა ვერტინსკიმ. ბრწყინვალე ირაკლი ანდრო-
ნიკოვი ჰომერული კვენესის თანხლებით გამო-
სახავდა მარშაკს.

როგორი თვალისდამატკბობელი ნადიში იყო!
როგორი ლხინი სულისა! რენესანსული ფუნჯი,
უფრო ზუსტად, ბოროვიკოვსკისა და ბრიუ-
ლოვის ფუნჯი ისხამდა ხორცს ამ ტრაპეზობე-
ში.

ის გულუხვად ჩუქნიდა ჩემს მზერას თავის
თანამოკალმეთა ჩინებულებას. მე და ის თით-
ქოს მუნჯურად ვიყავით შეთქმულნი. ზოგჯერ
ხადღეგრძელოს მონოლოგის წიალ უცაბედად
ვიტერდი ჩემსკენ მომართულ მისი მცინარი,
მუქი თაფლისფერი თვლების განდობილ, თა-
ნამზრახველურ მზერას. შეჩვენებოდა, რომ ამ
სუფრაზე მხოლოდ იგი იყო ჩემი კბილა. ჩვენ
ფარული ასაკის ეს ერთობა გვაერთიანებდა.
ხშირად მის სახეზე აღტაცებას ბავშვური გა-
ნაწყენება, მეტიც, სიჭიუტე ცვლიდა.

ზოგჯერ მთხოვდა დამსწრეთათვის ლექსების
წაკითხვას. ცივ წყალში ჩაუურყუშალებულსა-
ვით, უშნო ხმით ვკითხულობდი და ვკითხუ-
ლობდი...

На звон трамваев, одурев,
Облокотились облака.

ხალხში პირველად ვკითხულობდი ლექსებს.
ზოგჯერ ვეპვიანობდი, იმათ მეთი გულის-
ყურით ხომ არ ექცევა-მეთქი. რასაკვირველია,
გაცილებით მეტად მიღირდა მასთან განმარტო-
ებული, უსტუმრებოდ საუბრები, უფრო ზუს-
ტად, მისი მონოლოგების მოსმენა, მონოლოგე-
ბისა, რომლებიც ჩემდამი კი არა, ჩემს იქითა

სივრცისკენ — მარადისობისადმი, ცხოვრების
აზრისადმი იყო მიმართული.

ზოგჯერ წყენიანობის კომპლექსი იფეთქებდა
ჩემში და მაშინ კერპს ვუმხედრდებოდი. ერთ-
ხელ დამირეკა და მითბრა, შენი მანქანის შრიფ-
ტი მომწონსო და თავისი ლექსების ციკლის
გადაბეჭდვა მთხოვა. ^{წინააღმდეგობა} ამბავი იყო!
მაგრამ ჩემი ბავშვური ^{თავმჯდომარეობა} ამან
განაწყენა — როგორ, ის მე მბეჭდვად
მთვლის! ბრიყვულად ვუთხარი უარი, მოვიმი-
ზეზე ხვალისდელი გამოცდა, რაც სინამდვილე
კი იყო, მაგრამ არა მიზეზი.

პასტერნაკი — მოზარდი.

არიან მუდმივი ასაკობრივი ნიშნებით აღბეჭ-
დილი მხატვრები. ასე, მაგალითად, ბუნინში
ადრეული შემოდგომაა მკაფიოდ გამოკვეთილი,
ის თითქოს ყოველთვის ორმოცი წლისაა. პას-
ტერნაკი კი მარადიული მოზარდია, გაუგონარი,
ურჩი კაცია — «Я создан богом мучить
себя, родных и тех, которых мучит грех».
ლექსში მხოლოდ ერთხელ, ავტორის მონოლო-
გში, აღნიშნა თავისი ასაკი: „მე თოთხმეტი
წლისა ვარ.“ ერთხელ და სამარადელად.

რარიგ თვალისმომჭრელად მოკრძალებული
იყო იგი უცხოთა შორის, შეკრებილობაში,
როგორ დაძაბულად, დაჭიმულად ღრცდა კი-
სერს!..

ერთხელ ვახტანგოვის თეატრში წამიყვანა
მისგან თარგმნილი „რომეო და ჯულიეტას“
პრემიერაზე. გვერდით, ხელმარჯვნივ ვიჭექე.
მარცხენა მხარი, ლოყა, ყური თითქოს გამი-
შეშდაო, როგორც ანესთეზიის შემდეგ ხდება.
სცენას ვუყურებდი, მაგრამ მაინც მას ვხედავ-
დი — მის მნათ პროფილს, შუბლზე შეჭრილ
თმას. ზოგჯერ ის მსახიობთან ერთად ტექსტს
ჩაიბუტბუტებდა. ტიბალდთან ორთაბრძოლის
სცენაში ბრწყინავდა რომეო — იური ლიუ-
ბიმოვი, მაშინ ვახტანგოვის თეატრის გმირი —
მიჯნური, რომელიც არც მომავალ თეატრზე
ფიქრობდა და არც იმაზე, „ჰამლეტის“ პასტერ-
ნაკისეულ თარგმანსა და მის ომისდროინდელ
ლექსებს თუ დადგამდა.

უცებ ლიუბიმოვის დაშნა იმტკრევა, და —
ჰოი, საოცრებავ! — მისი წვერი საარაკო პა-
რაბოლას შემოწერს და ჩემი და პასტერნაკის
საერთო სავარძლის სახელურზე ეცემა. მე
ვიბრები და ვიღებ. პასტერნაკი იცინის. მაგრამ,
აი, აპლოდისმენტები გაისმის და დარბაზი ყო-
ველგვარი კალამბურების გარეშე სკანდირებს:
„ავტორი! ავტორი!“ შეცბუნებულ პოეტს სცე-
ნაზე ექაჩებოან.

პურობები მისი დახვეწება იყო. ის გაღერუ-

ლად* მუშაობდა, წელიწადში ორ თვეს თარგმნიდა, — ეს იყო მისი „დიდაკური დესეტინა“, — რათა შემდეგ თავისი ლექსები ეწერა. დღე-ღამეში 150 სტრიქონს თარგმნიდა, სხვაგვარად არაპროდუქტიული ვიქნებო, ამბობდა. საუვედურობდა ცვეტაევას, რომელიც, თუ თარგმნიდა, დღეში 20 სტრიქონს არ ამეტებდა.

მასთან გავიცანი ს. ჩიქოვანიც, ა. ჩავინიც, ს. მაკაშინიც, ი. ნონეშვილიც.

მას, სიტყვის ოსტატს, არ უყვარდა სკაბრეზობები და უოფითი უწმანურობანი. მხოლოდ ერთხელ გავიგონე მისგან ტერმინის გადაკრულად მინიშნება. ერთხელ წვრილმანი პურიტანები თავს დაესხნენ მის მეგობარს იმისათვის, რომ მან ლექსები იმ ორგანოში არ დაბეჭდა, სადაც მათ სურდათ. პასტერნაკმა სუფრასთან თქვა ასეთი ქარაგმა. მსგავს სიტუაციაში თითქოს ფეტხ ეთქვას: „შმიდტი (ეტუობა, ამ გვარისა იყო უველაზე დაბალი დონის მაშინდელი პეტერბურგელი მეწაღე) რომ უშვებდეს ბინძურ ფურცელს, რომელსაც სამახოიანი სიტყვა ერქმეოდა, მაინც დავიბეჭდებოდი იქ. ლექსები განგვწმენდენ.“

ჩარიგ რიდიანი და უმწიკვლო იყო ერთხელ მომცა ახალი ლექსების დახტა, რომელშიც იყო „შემოდგომაც“ ტიცინანის ოქრო სტროფითურთ — წმინდა, გრძნობითა და სახიერებით გამსჭვალული სტრიქონები:

Ты так же сбрасываешь платье,
Как роша сбрасывает листья,
Когда ты падаешь в объятье,
В халате с шелковой кистью.

(თავდაპირველი ვარიანტი:

Твое распахнутое платье,
Как рошей сброшенные листья...)

დილით დამირეკა: „შესაძლოა, თქვენ ეს მეტიხმეტად გულაბდილად მოგეჩვენათ? ზინა ამბობს, რომ მე ის თქვენთვის არ უნდა მომეცა, ეს მეტიხმეტად თავისუფალი თარგმანია...“

მისგან ჩემი მხარდაჭერა იყო თავად მისი სიცოცხლე. რომელიც ჩემს გვერდით ნათობდა. არასოდეს ფიქრადაც კი არ მომივიდოდა, მეთხოვა რაიმე პრაქტიკული — ვთქვათ, დაბეჭდვაში დახმარება ან რაიმე ამდაგვარი, დარწმუნებული ვიყავი, რომ პოეზიაში პროტექციით

* გალერა (იტალ. galera), ხის ნიჩბებიანი სამხედრო ხომალდი, რომელიც VII საუკუნეში შექმნეს ვენეციელებმა. ნიჩბებით დაჰყავდათ. ავტორი აქ გულისხმობს მენიჩბეების მძიმე, კატორღულ ჯაფას. — მთარგ.

არ შედიან. როცა ვიგრძენი, რომ ლექსების დაბეჭდვის დრო დადგა, მისთვის სიტყვაც არ მითქვამს, უველა სხვა რომ უფლის, რაც ჩამოვუარე რედაქციებს და უოველგვარი დახმარებულეფონის ზარების გარეშე გავიარე დაბეჭდვისწინა მთელი ვაი-ვაგლახი ქრეჭქრეჭი წმინდა ლექსებმა სქელი ჟურნალის კრეჭქრეჭი წმინდამდე მიაღწია. იგი კაბინეტში შეძახის. სკამს მაწოდებს — ერთი გულდია დონდროხა გახლდათ. სიყვარულით მიუყრებს, მელლოლიაგება.

— თქვენ ვაფიშვილი ხართ?

— კი, მაგრამ...

— არავითარი „მაგრამ“, ახლა უკვე შეიძლება. ნუ მაღავეთ. ის უკვე რეაბილიტირებულია. შეცდომები ჰქონდა, კი. როგორი აზრის ლამპარი იყო, ჩირალდანი ახლავე ჩაის მოგვიტანენ. და თქვენ, როგორც ვაფიშვილი...

— კი, მაგრამ...

— არავითარი „მაგრამ“. თქვენს ლექსებს ნომერში ვაძლევთ. ჩვენ სწორად გავიგებენ. თქვენ ოსტატის ხელი გაქვთ, განსაკუთრებით ჩვენი ატომის საუკუნის ნიშნები გამოვლით — აი, მაგალითად, თქვენ წერთ „კარიბატილები...“ გილოცავთ.

(როგორც შემდეგ გავიგე, მას სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უოფილი თავმჯდომარის ნ. ა. ვოზნესენსკის შვილი ვგონებოვარ).

— ... როგორ თუ შვილი არა ხართ? როგორ თუ მოგვარე ვარო? რა გავვიწყალე გული, თუ კაცი ხარ? რა მავნე სისულელები მოგაქვთ, ერთი! ნებას არ მოგცემთ, მე კი ვფიქრობდი, ხაიდან ასეთ მამას, უფრო სწორად, არა მამას... ასეთი... ჩაი? არა!..

მაგრამ შემდეგ როგორღაც დავიბეჭდე. პირველი, საღებავისსუნიანი „ლიტგაზეტა“ მას მივუტანე პერედელკინოში.

პოეტი ავად იყო. იწვა. მახსოვს მისკენ დაბრილი ქალის—მწუხარე შემოდგომის სილუეტი რომელიც ვრუბელის მაიოლიკის მუზას ჰგავდა. პოეტის შავგვრემანი თავი მაგრად იყო მიკრული თეთრ ბალიშს. სათვალე მიაწოდებს. როგორ გაიბადრა, როგორ აღელდა, როგორ აუცახცახდა სახე! ლექსები ხმამაღლა წაიკითხა. ეტუობოდა, უხაროდა. „ჩანს, არც ჩემი საქმეა მთლად ცუდად.“ — უცებ თქვა მან. ჩემი ლექსებიდან თავისუფალი ფორმით დაწერილნი მოეწონა. „თქვენ ახლა, აღბათ, ასევეი დაგეძებთ.“ — იხუმრა.

ასევეი. მგზნებარე ასევეი, მკვეთრად ვერტიკალური სახით — საისრე თაღს რომ მოგაგონებდათ, ფანატიკური როგორც კათოლიკე მღვდელი, თხელი, გესლიანი ტურჩებით. „ცისფერი მუსხარებისა“ და „ოქსანას“ ასევეი, კონს-

თვალშეუდგამი პირველადობაა, ბავშვობის აღ-სარებაა, ჭანუია, ხანყაროს პირველი განცდაა, ლერწონტოვი ისე უუვარდა, როგორც უჭროს-თა მეურვეობას თავდაღწეული ბიჭუნა და თა-ვისი საუკეთესო წიგნი უძღვნა მას.

გვმართებს, ვისაუბროთ მისი ცხოვრების ლექსურ ნაკადზე. ამ ლექსურ ნაკადში თქმული არაერთხელ შეორდება, ისევ იბადება, კვლავ და კვლავ ისმის ბავშვობის ექო, მკაცრი ფრეს-კების წიალ ფონავს ციტატები წინა ლექსები-დან.

Все шалости фей, все дела чародеев,
Все елки на свете, все сны детворы.
Весь трепет затепленных свечек,
все цепи,
Все великолепье цветной мышуры...
...все злей и свирепей дул ветер из степи...
...Все яблоки, все золотые шары...

შეადარეთ «Вальс с чертовщиной»-ს ან «Вальс сослезой»-ს, ბავშვობისდროინდელი სუნთქვის შემკვრელი ფერხულების ფერწერულად შბრუნავ რიტმს:

Зс...коление выше сил
Туши и сепин и белил...
Финики, книги, игры, нуга.
Иглы, ковриги, скачки, бега.
В этой зловещей сладкой тайге
Люди и вещи на равной ноге.

თავის დაბადების დღეებს ის არ სცნობდა. მათ სამგლოვიარო დღეებად მიიჩნევდა. მილო-ცვას კრძალავდა. მე ვეშმაკობდი და ვახერხებ-დი მისთვის წინა ან მეორე დღეს, 9-ში ან 11-ში მიმეტანა უვაჟილები, ისე, რომ აკრძალვა არ დაშერღვია. მინდოდა რითიმე მაინც შენუგეშე-ბინა.

იმ დროის ლექსებში ის არაერთხელ მიმარ-თავს ლელვის ხის სახეს. მაბხენდება 20-იან წლებში ტიფით გარდაცვლილი ლილი ხარაზო-ვასადმი მიძღვნილი მონახაზი, რომელიც კრი-ტიკოს გ. მარგველაშვილის არქივში ინახება.

„საშუალოებში, ჩვეულებრივ, რიგით და ჩვეულებრივ ადამიანებს გულისხმობენ. ამასო-ბაში, საშუალოობა არის ცოცხალი თვისება, რომელიც შიგნიდან მოედინება და, ბევრწი-ლად, რაც უნდა უცნაური იყოს, შორეულად ნიჭიერებას ჰგავს. გენიოსები არიან უველაზე ჩვეულებრივი ადამიანები... და კიდევ უფრო ჩვეულებრივი, წარმტაცად ჩვეულებრივია ბუ-ნება. არაჩვეულებრივია მხოლოდ საშუალოო-ბა, ანუ ეგროფოდებული „საინტერესო ადა-მიანის“ კატეგორია. „საინტერესო ადამიანი“

უძველესი დროიდან თავილობდა საქმის გაკე-თებას და პარაზიტობდა გენიალობით, მიიჩნევ-და რა მას რაღაც სბსიამოვნი გბნსბპსბრბ. ბულბბბდ, მაშინ, როცა გშბბბბბბბ ბბბბ-რესი და მკვეთრი, თავისი უსასრულობით ფრთაშესხმული სისწორეჟჟჟჟჟჟჟჟჟჟჟ

მან ეს გაიმეორა უშუალოდ 1956 წელს, მინსკში, მწერალთა კავშირის გამგეობის პლე-ნუმზე.

გესმით? „წარმტაცად ჩვეულებრივია ბუნე-ბა“. რა ჩვეულებრივი იყო ის თავის ცხოვრე-ბაში, რა ჭეშმარიტად ბუღბუღელებრივად ინ-ტელიგენტური გახლდათ, როგორ იყო დაპი-რისპირებული ფშუტყვავილობას, არაშემოკმე-დებით ვაჭრულ ბღენძობას — რა უბრალოდ, სადად ეცვა, რა უბრალოდ, ბუღბუღსავით შე-უმჩნევლად ცხოვრობდა.

უბამს ადამიანებს არაფერი გაეგებათ პოე-ტის ცხოვრებისა და საქციელისა და მათ და-ბალმიწიერი მნიშვნელობით, უფრო ხშირად ანგარებინანობით ხსნიან. ისინი პოეტის ცხოვ-რების წესზე მსჯელობენ მათთვის გასაგები კა-ტეგორიებით — უფრო მეტი სახელის მოხვე-ქის, მონაგრების, თანამოძმისთვის უსიამოვნე-ბის მიუენების ხურვილით. ამავე დროს, ერთ-დერთი, რაზეც წუხს პოეტი და რასაც არსთა გამრიგებს ევედრება, ისაა, რომ არ წაერთვას უნარი წერისა, ესე იგი გრძნობებით შემსკვალ-ვის, სამყაროს მუსიკასთან შერწყმის უნარი. ამას ვერავინ გიბოძებს, ამას ვერავინ წაგარ-თმევს.

ეს უნარი პოეტს წარმატების ან კეთილდღე-ობის წყაროდ და ქალღმრთელ კალმის მისატარ-მოსატარებლად კი არ სჭირდება, არამედ ხამ-ყაროსთან, როგორც ადრე იტყოდნენ, მსოფ-ლიო სულთან ერთადერთ კავშირად, ერთადერთ სიგნალად იქითკენ და იქიდან, იმის ობიექტურ ნიშნად, რომ მისი ცხოვრება, მისი მიწიერი უამო სწორად მიედინება.

В миг, когда дыханьем сплავа
В слово сплочены слова!

პოეტი გზას უოველთვის როდი ხედავს ნათლად. ის უურს უგდება უწუნავს სიგნალებს, რომლებიც მას, ისევე, როგორც მფრინავს, კა-რნახობენ მარშრუტს. მე არ ვცდილობ, მის გზაზე რაიმე განვმართო: უბრალოდ, იმას ვწერ, რომ ვხედავდი, როგორ იკითხებოდა მის მიერ ნაწერი.

Часть труда скрывали верхушки ольхи,
Но часть было видно отлично отсюда
Сквозь гнезда грачей и деревьев верхи
Как шли вдоль запруды...

სდექი აი, სავუბარიც, მოვედით, ტბორის ნა-პირიც იქაა. და დაცემული ნაძვის მორიც, უვე-ლაფერი ეს მისი სასწაულთმოქმედობის ბიოგ-

И я прикован силой небывалой
К тем образам, нахлынувшим извне
Еловою арфой прорыдало
Начало строф, родивших вчерне.

ის ამას თავის თავზე კითხულობდა, ამიტომ გაიტაცა „ფაუსტმა“ — ის ხომ არც მხოლოდ გასამრტელოსთვის თარგმნიდა და არც სახელის განთქმისთვის: იგი ეძებდა დროს, ასაკის გასაღებს, ის ამას თავის თავზე წერდა, თავისი თავისკენ ისწრაფვოდა, და მარგარიტაც მისი იყო, ამით ეწამებოდა, დროის ვანახლება უნდოდა, მთავარი მაშინ იწყებოდა.

«Когда он — Фауст, когда — Фантаст»...
Тогда верни мне возраст дивный,
Когда все было впереди
И вереницей беспрерывной
Теснились песни на груди.

შეცბუნებით და მომთბოვნად დააგუგუნა მან პოეტის რებრიზა.

ფიქრობ, მას ფაუსტური არჩევანის საშუალება რომ მისცემოდა, მეორედ უველადფერს ოცი წლის კი არა, თოთხმეტი წლის ასაკიდან დაიწყებდა. თუმცა, ის სხვა ასაკისა არც არასოდეს უოფილა.

„ეხაა და ეს,“ — გამოერკვა ის და ხელნაწერი აბოკა. განხილვა არ უოფილა. მან დამნაშავესავეთ, თითქოს თავს იმართლებსო, გაასავსავა ხელები, რადგან უკვე საითკენლაც, ქვემოთ, ეტყობა, რესტორანში, ექაჩებოდნენ. ლიფტის შტორებმა ცის ნათელი ზოლი გახუნით დაფარეს.

გოეთეს მშობლიურ ვაიმარში, მალეობზე მდგარი გოეთეს სასახლის დიდი, ფართო მოცულობა კომპოზიციის აუხსნელი საიდუმლოებითაა დაკავშირებული მისი სიჭაბუკის პატარა სახლის ვერტიკალურ მოცულობასთან, რომელიც ბაღის სტატუტსავეთ დგას მოშორებით, ველზე. წყალდიდობისას წყალი ზოგჯერ შედადგება. თავისი გულის ძახილით დიდი სასახლე პირით ამ პატარა სახლისკენაა მიქცეული. მიწიდულობის ამ მსოფლიო კანონმა თავის სანუკვარ წერტილს ვლადიმირის დიდი ტაძრის თეორი ანხამბლისა და ველზე, ნერლიზე მდგარი ვერტიკალური მარგალიტის კომპოზიციისაში შიადწია. როცა მათ შორის გადიხარ, თითქოს ტანში გივლის ნათელი დენი ამ ქათქათა, ერთმანეთისკენ მიქცეული შედეგების ურთიერთსიყვარულისა — აქაც დიდი მიტრიალებული მცირისკენ.

Море мечтает о чем-нибудь махоньком,
Вроде как сделаться птичкой колибри...

ახევე, ლავრუშინზე მდგარი სახლის გიგანტური რუბი მასივი გულითაა მიქცეული პერდელკინოს აგარაკისკენ.

„ფაუსტის“ სრული თარგმანი რამდენიმე წლის შემდეგ გამოვიდა სახელგამში. მან მძიმე ალუბლისფერი ტომი მარჯა: წიგნებზე პაიპარად არ წაგიწერდათ, მოფიქრებისთვის დრო სჭირდებოდა. უფრო ხშირად მეორე დღეს წაგიწერდათ. თქვენ მთელი დღე-ღამე ვერ ისვენებდით მოლოდინით. და როგორი გულუხვი საახალწლო საჩუქარი გელოდათ ხვალ, როგორი გაგება სხვა გულისა, ცხოვრებისა, ზრდის როგორი ავანსი რომელიღაც სიტყვები წაშლილი იყო საშლელით და მათ თავზე ხელმეორედ ეწერა სხვა სიტყვები, მან „ფაუსტზე“ ასე წაწერა: „1957 წლის 2 იანვარი, ჩვენს სახლში 1 იანვარს შეხვედრის სახსოვრად ანდრიუშა, ის, რომ ტაძვან ასე ნიჭიერი და ნატიფი ხართ, ის, რომ თქვენეული გაგება ხელოვნებად სახელდებული ბედნიერების ძველისძველი მემკვიდრეობითობისა, ტაძვანი ფიქრები, ტაძვანი გემოვნება, ტაძვანი გულის-თქმანი და სურვილები ასე ხშირად ემთხვევა ჩემსას, — დიდი სიხარული და მხარდაჭერაა ჩემთვის. მწამს ტაძვანი, მწამს თქვენი მომავალი. გეხვევით — თქვენი ბ. პასტერნაკი.“

აქამდე ზუსტად ათი წლის წინათ, 1947 წლის იანვარში მარჯა მან თავისი პირველი წიგნი. ეს წარწერა ჩემთვის განგების უველაზე გულუხვი საჩუქარი იყო.

უკანასკნელ წლებში ხშირად ავადმყოფობდა. მე მას ვნახულობდი ბოტკინის საავადმყოფოში. „ფორსაიტების ხაგა“ მივუტანე წასაკითხად. კეთილსინდისიერად წაიკითხა და, როცა მიბრუნებდა, გაიხუმრა: „ამის ჩაკითხვას რომ უნდა, იმ დროში საკუთარ წიგნს დაწერ კაცი...“

იქიდან მომწერა: „საავადმყოფოში ვწევარ. ძალზე ხშირად მიმეორდება ის სასტიკი ავადმყოფობები. ახლანდელი დაემთხვა ტაძვენს შემოსვლას ლიტერატურაში, უეცარს, სწრაფს, ბობოქარს. ძალიან მიხარია, რომ ამას მოვესწარი. უოველთვის მიუვარდა ტაძვანი მანერა დანახვისა, ფიქრისა, საკუთარი თავის გამოხატვისა. მაგრამ არ ველოდი, თუ მას ასე ჩქარა გაიგონებდნენ და აღიარებდნენ. მით უფრო მახარებს ეს მოულოდნელობა და ტაძვანი დღესასწაული... როგორ ახლოა უველაფერი ეს ჩემს გულთან...“

მაშინვე, საავადმყოფოში, მარჯა მან თავისი ფოტოსურათი: „ანდრიუშა ვოუნესენსკის ჩემი ავადმყოფობისა და მისი თავბრუდამხვევი წარმატებების დღეებში, რომელთა გამო

გახარებაც ხელს ვერ მიშლიდა ჩემი წამების შეგრძნებაში...“

როგორ დავიწვი მაშინ სირცხვილით, რომ ჩანსრთელი გული, ხელები, ფეხები მქონდა, თბილამურებით დავდიოდი, შემრცხვა, რომ ახალგაზრდა ვიყავი და ყველაფერი ეს არ შემძლო გადამეცა სხვა, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი სიცოცხლიხათვის...

Художники уходят
Без шапок, будто в храм,
В гудящие уголья
К березам и дубам...

მე მას თოთხმეტი წლის მანძილზე ვიცნობდი.

ამ სიტყვებს რამდენჯერ გავუმხნევებივარ და გადავურჩენივარ, და რაოდენ მწარეა, რომ მათ ყოველთვის ტკივილი ახლავს.

მისი გვიანდელი ლექსები სულ უფრო და უფრო ფერწერული ხდება, მათში ხალებავების, — ოქროს, სეპიის, თეთრას, ხანგინის ფერები ტრიალებს, მას იზიდავს საღებავების სუნი, რომელიც ოდესღაც გარს ეხვია მამამისის სტუდიაში, იქითკენ, სიურმისკენ, მიუწევს გული,

Мне четырнадцать лет.
Вхутемас
Еще — школа ваянья,
В этом крыле, где рабфак,
Наверху
Мастерская отца...

ის შემოქობავს მამის ნამუშევრებს და თავისი სახლის კედლებზე აკიდებს, თანაც სწორედ „ადღგომის“ ილუსტრაციებს, სწორედ კათიუშასა და ნებლიუდოვს — მისთვის ახე ახლობელია ახალი ცხოვრების დაწყების იდეა. მას, თითქოს, სურს ბავშვობაში დაბრუნდეს და ყველაფერი თავიდან დაიწყოს, გადაწყვიტა ზელახლა დაწეროს მთელი კრებული „დაამ ჩემი — სიცოცხლე“, ამბობს, რომ ზუსტად ახსოვს იმდროინდელი ყველა შეგრძნება, რომლებმაც ბიძგი მისცეს ამა თუ იმ ლექსს, რამდენჯერმე უცვლის სახეს ოცდაათი წლის წინანდელ ნაწერებს, მაგრამ ის ლექსების კი არა, თავისი ცხოვრების გადაკეთებას, გადასხვაფერებას ცდილობს. ის პოეზიას ცხოვრებისგან არასოდეს აცალკევებდა.

Мне четырнадцать лет...
Где столетняя пыль на Днание
И холсты...
В классах яблоку негде упасть...

ის მიწონებდა არქიტექტურულ ინსტიტუტში

შესვლის გადაწყვეტილებას, თუმცა ლიტერატურის შორიხლო მოტირადე ხალხს დიდად არ წყალობდა. არქიტექტურული სახელობებ იქ მდებარეობდა, სადაც ოდესღაც ვნეცესის იყო, ჩვენი მომავალი სახელოსნო კი, რომელიც შემდეგ დაიწვა, იყო ჭრჭრედ შეხორცის იმ ფრთაზე, სადაც რაბფაკის დასახლება შემოთ მამის სახელოსნო“ გახლდათ ადრე...

მისი ძმა ალექსანდრ ლეონიდის ძე ჩვენს ინსტიტუტში კონსტრუქციებს ასწავლიდა. მე მას ვუყვებოდი ინსტიტუტზე. ჩვენ განცვიფრებულნი ვიყავით იმპრესიონიზმით და ახალი ფერწერით, რომლის დარბაზებიც მრავალწლიანი შესვენების შემდეგ გაიხსნა პუშკინის სახელობის მუზეუმში. ეს ემთხვეოდა მის შეგრძნებას, რომელიც სწავლის პერიოდში, შჩუკინის კოლეჯის გამოფენის გახსნისას მიეღო. ჩვენი ჭაბუკობისდროინდელი კერპი პიკასო იყო, გარინდულნი, სულგანაბულნი ვუყურებდით კლუზოს ფილმს, რომელშიც ნახევრადშიშველი მეტრი ფლომასტერით ავსებდა ფურცლებს მტრედებითა და სახეებით. იმ ბნელ აუდიტორიაში მჭდარი რას ვიფიქრებდი, რომ ათიოდე წლის შემდეგ პიკასოს წაუუკითხავდი ჩემს ლექსებს, რომ მის სახელოსნოში მოგხვდებოდი და მის ქვეჩარჩობზე გაცეცხლებული მელოტი სფერო და მასზე ასროლილი მუჭლუგუნების შავი სამკუთხედები რას მიბედებდნენ?

„თქვენნი პროექტი რასა იქს? — მიწერია დლიურში პასტერნაკის კითხვა. ჩემი ყოფაცხოვრების გამოკითხვით იგი თითქოს იქ, საწყისთა საწყისთან, ბრუნდებოდა.

Дни и ночи
Открыт инструмент
Сочиняй хоть с утра.

ეხმიანებოდა რა თავის ბავშვობისდროინდელ მუსიკალურ ნაწარმოებებს, თითქოს იმპროვიზაციის მავნეობაზე სკრიაბინის მისთვის ნათქვამ სიტყვებს იხსენებსო, იგი უბრუნდებოდა თავის ადრინდელ „იმპროვიზაციას“, თქვენ გახსოვთ?

Я клавишей стаю кормил с руки
Под хлопанье крыльев, плеск и клекот.
Я вытянул руки, я встал на носки,
Рукав завернулся, ночь терлась о локоть.
И было темно. И это был пруд
И волны. И птиц из породы люблю вас,
Казалось, скорей умертвят, чем умрут
Крикливые, черные, крепкие клювы.

შესაძლოა, ისევ, როგორც მის სევდის-მომგვრელ «пью горечь тубероз»-ში, ამ მუსიკაში, ამ «люблю вас»-ში მას სევერიანიინის მუსიკა მოესმა? როცა სევერიანიინზე ლაპარაკობდა, ის ახალგაზრდავდებოდა. ჰყვებოდა,

სიჭაბუკეში ისა და, მგონი, ბობროვი როგორ მივიდნენ სვერიაინთან ავტოგრაფის გამოსართმევად. მათ თხოვენ, ოთახში დაიცადეთო. დივანზე თავჯექვ ილო წიგნი. რას კითხულობს მეტრი? გარისკეს გადაბრუნება. „ქარგი ქცივის წესები“ აღმოჩნდა.

მრავალი წლის შემდეგ ლას-ვეგასში, ბანკოს სათამაშო სახლის „ცუზარ პალასის“ ახლვანი დირექტორი, წარმოსობით ესტონელი, რომელიც ახლოს იცნობდა სვერიაინის, მიჩვენებს სვერიაინის ხელით დაწერილ იისფერ, გაბუნებულ, ჩვენი ბურთულიანი ავტოკალმების საუკუნის კვლობაზე ასეთ უცნაურ,

Как хороши, как свежи будут розы,
Моей страной мне брошенные в гроб!

...ამასწინათ გამოსული პატარა ტომი სვერიაინისა მაინცდამაინც კარგად ვერაა შედგენილი. მასში მიჩქმალულია როგორც გამომწვევი უგემოვნება, ისე პოეტის კაშკაშა ხასიათი, ლირიზმი, რაც მუსიკალურად თვით ადრინდელ მაიაკოვსკიშიც გაფლერდა და პასტერნაკშიც, ბაგრიცკისა და სელვინსკიზე რომ არაფერი ვთქვათ.

გვიანდელი პასტერნაკი ბევრს მუშაობდა სტილის სიწმინდეზე.

ერთ-ერთ თავის ადრინდელ ლექსში მან «манто» «сальто»-თი შეცვალა. „იმპროვიზაცია“ გადააკეთა. ახლა მას „იმპროვიზაცია როიალზე“ ერქვა.

И клавишей стаю кормил в руки
Под хлопанье крыльев, плеск и гогот.
Казалось, все знают, казалось, —
все могут

Кричавший кругом лебедей вожак.
И было темно, и это был пруд
И волны; и птиц из семьи горделивой,
Казалось, скорей умертвят, чем умрут
Крикливо дробившиеся переливы.

როგორ ახლებურად ძლიერია! გემოვნება გამკაცრდა. მაგრამ რაღაც დაიკარგა. იქნებ, მხატვარს არც უნდა აქონდეს უფლება მის მიერ შექმნილ ნაწარმოებზე, როგორც პირად საკუთრებაზე? რას იტყობდით, მიქელანჯელოს დავითი განუწყვეტელივ რომ ესწორებინა თავისი ხულ უფრო და უფრო სრულქმნადი გემოვნების შესაბამისად?

მხატვრები ხშირად ზურგს აქცივენ მათ მიერ შექმნილ ნაწარმოებებს, მიიჩნევენ რა, რომ წარსულში მცდარ გზას აღგნენ, ეს შემოქმედის ხულის სიძლიერეზე ლაპარაკობს, მაგრამ მან არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააარაფროს უკვე შექმნილი. ასე დაემართა ტოლსტოის. ასეთი იყო გვიანდელი ზაბოლოცკის ასკეზა. ხნოვანს მეორედ დაბადება სწყურია. 1889 წელს, როცა მიიღო მიწვევა გამოფენაზე „ფრა-

ნგული სახვითი ხელოვნების ასი წელი“, რენუარმა გამოფენის ორგანიზატორებს ასე შეუთვალა: „ერთ უბრალო რამეს ავიხსნით: მიმაჩნია, რომ ყველაფერი, რაც აქამდე შექმენი, ცუდია, და ჩემთვის ძალზე უსიამოვნო ამბავი იქნებოდა, რომ ყველაფერი ეს გამოფენაზე მენახა“. მას „ცუდად“ მიჩნდა მწვანე-ვარდისფერი სამარცხე-ანას მარგალიტივით ზურგიც და „საქანელაც“ — ესე იგი „მთელი რენუარი“, — საბედნიეროდ, მხატვარს არ შეეძლო არც მათი განადგურება, არც „ენგრულ“ ან ახალ, წითელ-ყავისფერ მანერაზე „გადახატვა“.

პასტერნაკი ცდილობდა დაეძლია უწინდელი პასტერნაკი — დაუპირისპირდა „თავის თავს, თავისი თავით“.

საუცხოო ნათათხი, უბადლებული სტრიქონიც მენანება:

Это — сладкий заглухший голох,
Это слезы вселенной в лопатках...

«лопатки» — ძველად მოსკოვში პარკ მუხუდოს ეძახდნენ ასე. ალბათ, შეიძლება ეს ცნობა კომენტარებში გაეტანათ ისევე, როგორც ცნობა პუშკინის ბრეგეტზე (ბრეგეტი — ძველებური ჯიბის საათი, რომელიც რეკავს ყოველ თხუთმეტ წუთში და აჩვენებს თვის რიცხვებს. ასე აქვია მისი გამომგონებლის გვარის მიხედვით — მთარგმ.), მაგრამ ჩანს, კრიტიკულმა პრეტენზიებმა მას სიჭა გააცალეს და სიცოცხლის მიწურულს სტრიქონი გადაკეთდა: Это — слезы в стручках и лопатках...

იგი ათახვანის მართალი იყო. მაგრამ რაღაც დაიკარგა.

«Есть речи — значение темно иль ничтожно но им без волнения внимать невозможно». აუნაზღაურებელ დანაკლისად მიმაჩნია, მენანება დაკარგული სტრიქონები, ისევე როგორც, შესაძლოა, სისულელეც იყოს, მაგრამ, ძველი არბატის ზოგიერთი შესახვევის გაქრობა მენანება.

პასტერნაკი ძალზე მოსკოველი პოეტია. მასშია დახლართულობა მოსკოვის შესახვევებისა, ზამოსკოვრეჩიის, ჩისტეი პრუდის გახასხველი ეზოებისა, ვორობიოვის მთებისა, მათი ენა, ეს ყოფა, ეს შუკუმები, ეს ცაცხვები, სიარულის ეს მოსკოვეური მანერა — «Как всегда нараспашку пальтецо и кашне на груди». В московские особняки Врывается весна нахрапом...

მოსკოვი თითქოს მთლიანად ხელითაა დახატული, სავსე ცოცხალი ხაზით, ხალხური მეტყველებით, სტილთა დაურიდებელი ადრევიტ და კონსტრუქტივიზმის არქაიზმით (რვასი წლისაა და მაინც მოზარდია!), და მასში სახლებიც კი თითქოს კი არ შენდება, არამედ ამო-

რდილ ხეებსავით ან ბუჩქებსავით კვარტალებად იშლება.

განსხვავებით ჩრდილოეთ პალმირისგან, რომელიც მისი გეომეტრიულობით, კლასიციზმით, სასწაულებრივად მთლიანად სახაზავისა და ფარკლის კანონების თანახმადაა შექმნილი, — კულტურის, ისევე, როგორც ცხოვრების წესის, მოსკოვური სკოლა უფრო სტიქიური, უფრო ფართოდ გაშლილია, ბიზანტიური ორნამენტულობიდან მოდის და ენის უველაზე ცოცხალ სტიქიას უახლოვდება.

Все дымкой сказочной подернется,
Подобно завиткам по стенам
В боярской золоченой горнице
И на Василии Блаженном.

მისი მეტრი იყო ანდრეი ბელი — სულით და მხატვრული აზროვნებით მოსკოველი. განსაკუთრებით კრებულ „ფერფლს“ აფასებდა. მიხსნიდა, ვნანობ, რომ ავციდი ბლოკს, რადგან ის პეტროგრადში იყო. თუმცა, პოეტების მოსკოველებად და პეტერბურგელებად დაყოფა პირობითია, რადგან, მაგალითად, ბლოკის „თორმეტში“ უკვე „მოსკოვური“ ქარი ნავარდობს. ბლოკისკენ ბავშვური სწრაფვა თავს იჩენდა პოეტის პასტერნაკისეულ განმარტებაშიც. ის პოეტს აღარებს იმ ნაძვისხეს, რომელიც მოყინულნახტებიანი ფანჯრის იქით ჩახახებს: ეგრევე ხედავ ბიჭუნას, რომელიც გაყინული ფანჯრის იქით მღვარ ნაძვისხეს უჭერტს.

Весна! Не отлучайтесь
Сегодня в город. Стаями
По городу, как чайки
Льды раскричались, таючи.

ის და მე შეცნიერთა სახლიდან, ლეზბიუმის მხრით, ლავრუშინისკენ ხიდზე გადმოვდიოდით. მდინარეზე ყინული იყო დაძრული. მთელი გზა ტოლსტოიზე, სახლიდან მის წასვლაზე, ჩებოვის ბიჭუნებზე, ცხოვრებაში შემთხვევითობასა და წინასწარგანსაზღვრულობაზე ლაპარაკობდა. ქურჭი გაღეღილი ჰქონდა, გვერდზე მოქცეოდა ნაცრისფერი კრაველის ქუდი — ღვეწელი, არა, ამერია, ნაცრისფერი მამაჩემს ჰქონდა, მას კი შავი კრაველი ეხურა, — მოდა, მოდიოდა გამოცდილი ხოდოკის მსუბუქი, ფრენია სიარულით, გაღეღილი, როგორც მარტი მის ლექსში, როგორც მოსკოვი ირგვლივ. მერეში ამინდის შეცვლის წინასწარ მაგრძნობინებელი თოვლის გაღზობილი სისუსტე იგრძნობოდა.

Как не в своем рассудке,
Как дети ослушанья...

გამვლელები თვალს აყოლებდნენ — მთვრალი ეგონათ.

„უნდა დაკარგო. — ამბობდა ის. — უნდა დაკარგო, რომ ცხოვრებაში ვაკუუმი იყოს. მე ჩემი ნაწერების მხოლოდ მესამედი შემომრჩა. დანარჩენები გადასვლა-გადმოსვლისას დამეკარგა. არ უნდა ინაღვლო...“ მე შევაბხებე რომ ბლოკსაც უწერია დღიურში, ადამიანია უნდა კარგოსო. ეს ის ადგილია, სადა ყველაფერს თავის ბიბლიოთეკაზე, სახმეტროვლში უწევს ეწვა. „ნუთუ, მართლა? — განცვიფრდა პასტერნაკი — მე კი არ ვიცოდი. მაშ, მე ერთიორად მართალი ვყოფილვარ“.

ზოგჯერ ეზოში გაივლიდა ანდრეი ტარკოვსკი, ჩემი თანაკლასელი. ვიცოდით, რომ ის მწერლის შვილი იყო. მაგრამ არ ვიცოდით, თუ იყო შვილი შესანიშნავი პოეტის და სახელგანთქმული რეჟისორის მომავალი მამისა. მათ ოჯახს უჭირდა. მან ხაღლაც იშოვა ნარინჯისფერი, მისი ზომის კვალობაზე მეტისმეტად გრძელსახელოებიანი პიჯაკი და მწვანე ფართოფარფლებიანი ქუდი. ასე გამოეცხადა ჩვენს ეზოს პირველი ხტილიაგა. ის იყო იმ უღიმღამო დღეების უფერული გამის ერთადერთი ფერადი ლაქა.

...პასტერნაკი ეზოს ეპოპეაზე ჩემს ნაამბობს თანამზრახველის აღტაცებული სახით ისმენდა. ის ხარბად გულისყურიანი იყო ცხოვრების, მისი უოველი გამოვლინების მიმართ.

ახლა ეზოს ცნება შეიცვალა. გაქრა ცნება ერთობისა, მეზობლები ერთმანეთს სახელითაც კი არ იცნობენ. ამასწინათ, იქაურობა მოვიწახულე და ჩვენი ეზო ვერ ვიცანი. ჩვენი სალოცავი ღობე და ხანარცხე (ორმო) — გამქრალა. მერხზე მეგიტარეთა ჯგუფი რაღაც მელოდიას აწყობდა. „სანთელს“ ხომ არა, მაგიდაზე რომ იწვოდა?..

ასევე შროიანი მელოდიის წყალობით შემოფრთხილდა ჩვენი ქვეყნის ყოფაში ცვეტაევას «Мне нравится, что вы больны не мной».

ოდესღაც, უურნალ „ინოსტრანაია ლიტერატურაში“ პასტერნაკისეულ თარგმანებსა და კულტურათა შერწყმულობაზე საუბრისას, მთლიანად მოვიყვანე ციტატად მისი „მამლეტი“ (ეს ლექსი პირველად ასე დაიბეჭდა). არ ვიცი, შემანქანებს შეეშალა თუ ამწყობს, ან, იქნებ, სულაც „«Аве, Оза»-მ იმოქმედა, მაგრამ შეცდომის შედეგად «авва отче» დაიბეჭდა ლათინური აქცენტით — «ave, otche» დაგვიანებით აღვადგენ სწორ ტექსტს:

Если только можно, авва отче,
Чашу Эту мимо пронеси...

ეს ნოტი ექოსავით გაისმის მეორე ლექსში:
Чтоб Эта чаша смерти миновала,
В поту кровавом он молил Отца.

ამასწინათ ხალხთა მეგობრობის თბილისის მუზეუმმა შეიძინა პასტერნაკის არქივი. მღელვარებით, ძველ ნაცნობსავით შევხვდი „ჰამლეტის“ თავდაპირველ ტექსტს, რომელიც მე ზურმუხტისფერი რვეულიდან შევისწავლე. ამავე არქივში ვნახე ჩემი ბავშვობისდროინდელი წერილი პასტერნაკისადმი. „ჰამლეტის“ ორ სტროფში უკვე ისმის ბედისწერის გუგუნი, ჩანს წინათგრძნობა.

Вот и весь. Я вышел на подмости,
 Прислонясь к дверному косяку.
 Я ловлю в далеком отголоске
 То, что будет на моем веку.
 Это шум вдали идущих действий.
 Я играю в них во всех пяти.
 Я один. Все тонет в фарисействе.
 Жизнь прожить — не поле перейти.

მინდორი მის პერედელკინოურ გასეირნებებს ემეზობლებოდა.

ლექსებისა და ფიქრში დაძირვათა საათებში, ადგილობრივი ხელოსნის ან გზის შემომვლელისდაგვარად ჩაცმული, ნაცრისფერკეპიანი, მუქცისფერი გაბარდინის დარეზინებული, შიგნიდან, როგორც მაშინ ატარებდნენ, შავ-თეთრ უჭრედებიანი მოსასხამით, და თუ ტალახი იყო, ჩექმაში შარვლისტოტებჩატანებული, გამოდიოდა კუტიკარიდან და დაუყვებოდა მარცხნივ, მინდვრის გასწვრივ, ქვევით, წყაროსკენ და ზოგჯერ გაღმაც გადიოდა.

მისი მოახლოებისთანავე წელში სწორდებოდნენ და ირინდებოდნენ აფინოგენოვის აგარაკის ახლოს მდგარი ოქროსფერი ნეკერჩხლები. მათი ნერგები ოკეანის გაღმიდან ჩამოიტანა და ხეივნის გაყოლებაზე დარგო ჯენი აფინოგენოვამ, როგორც ამბობდნენ, წარმოშობით სანფრანცისკოელმა ცირკის მსახიობმა.

ნაკადულის, ვერცხლისფერი ტირიფების გრძნობადი ველი, ტუის ფიქრები სტრიქონს სახავდნენ. მინდვრის იქითა მხრიდან მის თავნება ნაბიჯებს სამი ფიქვი უთვალთვალებდა გორაკიდან. ხეივნას ტოტებს იქით თაფლაკვერის ნაქერსავით იწვოდა შეღებილი პატარა ეკლესია. იგი ტოტზე ჩამოკიდებულ ნაძვისხის ოქროსფერ ხათამაშოს ჰგავდა. აქ იყო პატრიარქის პირადი რეზიდენცია. ფოსტალიონი ქალი, ზოგჯერ ერთმანეთში ურევდა „პატრიარქს“ და

„პასტერნაკს“ და პოეტის აგარაკზე მოქონდა მეუფისთვის გამოგზავნილი ბარათები. პასტერნაკს ეს ახალისებდა, ამ დროს ბავშვსავით უბრწყინავდა სახე.



**ეროვნული
 ბიბლიოთეკა**

მას 2 ივნისს ასაფლავებდნენ.

მახსოვს შეგრძნება საშინელი სიცარიელისა, რომელმაც შემიპყრო ხალხით გადაქედილ მის აგარაკზე. ეს-ესაა დაამთავრა დაკვრა რიხტერმა. თვალები ამიჭრელდა. სიცოცხლემ აზრი დაკარგა. ამბობენ, პაუსტოვსკი იყო, მაგრამ ვწერ მხოლოდ იმ ცოტაზე, ვინც მაშინ ვნახე, მებსაიერებაში რახრახებს მეუიროვის „მოსკვიჩი“, რომლითაც მივედი პერედელკინოზე.

მას ხელით მიასვენებდნენ, უარი თქვენ კუბოს წამსვენებელი მანქანის მომსახურებაზე, მიასვენებდნენ მისი სანლიდან, მისი ცხოვრების ნავსაყუდარიდან, მისი საყვარელი სახელგანთქმული მინდვრის შემოვლით მიასვენებდნენ სამი ფიქვის სამკვიდრო გორაკისკენ, რომელსაც ოდესღაც თვითონვე დიდხანს მწერდა.

გზა აღმართს მიუყვებოდა. ქარი ქროდა. ღრუბლები მიფრინავდნენ. ამ აუტანლად ცისფერი დღისა და თეთრი მიმჭროლავი ღრუბლების ფონზე გამოიკვეთა მისი ბრინჯაოგადაკრული, უკვე უცხო და ჩამომტკნარი პროფილი, რომელიც ოდნავ ტოკავდა უსწორმასწორო გზაზე.

მის წინ მილოლავდა არც არაფრისთვის საჭირო მანქანა. მის უკან მოედინებოდა მწუხარე არამწერალთა მასა — ჩამოსულნი და აქ მცხოვრებნი, მისი დღეების მოწმენი და მეზობლები, თვალცრემლიანი სტუდენტები, მისი ლექსების გმირი ქალები. მის უფროს ვაჟს ენისას სხეულში სასოწარკვეთით დაჩნდა გარდაცვლილის ნაკვთები. ასმუსი ქვაგდებოდა ფოტოკამერები ჩხაკუნობდნენ. ხეები გამოვიდნენ ზღუდის აქეთ, მტვრად დგებოდა დამწუხრებული მიწა-გზა, რომლითაც ამდენჯერ გახულა სადგურზე.

გზისპირას ვიღაცამ ფეხი დაადგა წითელ იორდასალამს.

აგარაკზე არ მივბრუნებულვარ. ის იქ არ იყო. ის უკვე არსად არ იყო.

Был всеми ошутим физически
 Спокойный голос чей-то рядом.
 То прежний, голос мой провидческий
 Звучал, не тронутый распадом...

მახსოვს, მას ველოდი პერედელკინოს ტბორის მეორე მხარეს, გრძელ ფიცრულ პატარა ხიდთან, რომელზეც უნდა გადმოსულიყო ჩვეულებრივ, აქ დაახლოებით ექვს საათზე გამოდიოდა. მისი გამოვლით დროს ამოწმებდნენ.

ოქროსფერი შემოდგომა იდგა. მზე ჩადიოდა და ტყის იქიდან აღმაცერი სხივები ანათებდნენ ტბორს, ხიდს და ნაპირის კიდეებს. ტბორის კიდეს მურყნის კენწერო ფარავდა.

ის მოსახვევში გამოჩნდა და ნაბიჯ-ნაბიჯ კი არა, როგორღაც ტბორის თავზე ლივლივით აბლოვდებოდა. მხოლოდ შემდეგ მივხვდი, რაშიც იყო საქმე. პოეტს მუქ-ლურჯი დარეზინებული მოსახსამი ეცვა. მოსახსამს ქვემოთ — ჩალისფერი, ბაცო შიტკლის შარვალი და ღია-

ფერის ბრეჯენტის ფეხსაცმელი. ამავე ფერისა და ტონისა იყო ახალი გარანდული ფეხსაცმელი ხიდიც, პოეტის ფეხები, მისი ნაბიჯი ფეხების ფერში გადადიოდა. მათი მოძრაობა არ ჩანდა.

მოსახსამიანი ფიგურა მიწაზე ფეხდაუკარებლად, წულის თავზე ლივლივით უახლოვდებოდა ნაპირს. მას სახეზე გაოცებისა და აღტაცების ბავშვური ღიმილი ეფინა.

დავტოვით იგი ამ შემოდგომის ოქროსფერი შუქის ციალში, ჩემო ძვირფასო მკითხველო.

გავიგოთ მის მიერ ჩვენთვის დატოვებული სიმღერები.

1980.



თამაში და უტოპია

ჰერმან ჰესეს „მძივებით თამაშის“ შესახებ

ჰერმან ჰესე უტოპიური აზროვნების ისტორიებში არ შებუავთ ხოლმე. რამდენადაც ვიცი, არც მისი შემოქმედების მკვლევართ უყვართ მაინცდამაინც ჰესეს უტოპისტთა მწკრივში ჩაყენება. არადა, მისი რომანი „მძივებით თამაში“ ფორმალურად სავსებით აკმაყოფილებს იმ ძირითად კრიტერიუმს, რითაც უტოპიური ნაწარმოებები ხასიათდება. მასში — საკმაოდ დაწვრილებით და თვალნათლივ — აღწერილია იდეალური სახელმწიფო — „კასტალია“. ისევე, როგორც უველა ტიპიურ უტოპიურ ნაწარმოებში, ამგვარი სახელმწიფოს არსებობა ახსნილია არა ისტორიული აუცილებლობის რაიმე კონცეფციით, არამედ ადამიანთა კეთილი ნებით — მათი სწრაფვით შეიქმნას ისეთი საზოგადოებრივი წყობა, რომელიც ადამიანის კეთილშობილური ბუნების საკადრისი იქნება, სადაც ადამიანი ბედნიერად იგრძნობს თავს, გააკეთებს იმას, რაც უველაზე მეტად შეესატყვისება მის არსს, გასაქანს მისცემს უველაზე მაღალს, რაც მასში არის.

ამ სტატიაში მე ჰერმან ჰესეს რომანს სწორედ უტოპიური აზროვნების კონტექსტში განვიხილავ. მაგრამ მანამდე შევეცადები გავიგო, რატომ არის ჰესეს ასეთი განხილვა არაპოპულარული. ჩემი აზრით, ამას ძირითადად ორი მიზეზი განაპირობებს. პირველი ისაა, რომ თუმცა, როგორც ვთქვი „მძივებით თამაში“ ფორმალურად ატარებს უტოპიური ნაწარმოებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, მისი იდეა უტოპიისაზე მაინც არ დაიყვანება. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ თუმცა რომანის მოცულობის უდიდესი ნაწილი კასტალიურ ცხოვრებაზე მოგვითხრობს და სადაღმრთელი დასიკვლებული „მძივებით თამაში“ ამ ცხოვრების არსს ვაშთაბეჭავს, ეს „უტოპიური ელემენტი“ მეორეხარისხისადაც შეიძლება ჩავთვალოთ, რადგან მთავარი გმირი — იოზეფ კნეპტი, კასტალიის „უმაღლესი მოხელის“ თანა-

მდებობას რომ მიაღწევს, მიატოვებს თავის სულიერ სამშობლოს და შეეცდება სიცოცხლის უმაღლესი დანიშნულება კასტალიის გარეთ იპოვოს. თუ კასტალიელთა ძირითადი საქმიანობა არის თამაში, კნეპტი — და მასთან ერთად ავტორი — ადამიანის დანიშნულებას მსახურებაში ხედავენ („კნეპტი“ გერმანულად „მსახურს“ ნიშნავს). გამოდის, რომ ზემოთ მთლად მართალი არ გვითქვამს: კასტალიური საზოგადოების წყობა არ ყოფილა ადამიანის კეთილშობილური ბუნების საკადრისი, რადგან ის საშუალებას არ აძლევს მას თავისი უმაღლესი დანიშნულება შეასრულოს. უტოპია იდეალური არ ყოფილა, რადგან კასტალიური ცხოვრება უკმარისობის გრძნობას ბადებს მის უველაზე უფრო ღირსეულ მოქალაქეში.

ეს, ცხადია, ასეა, მაგრამ მე არც ვაპირებ ამ სტატიაში „მძივებით თამაშის“ იდეური მხარის (მხატვრულს ხაერთოდ არ ვეხები) ამომწურავ ანალიზს. ამ შემთხვევაში ჩემთვის მთავარია ის, რომ, თუმცა ჰესე თანაუგრძნობს კასტალიიდან გაქცეულ კნეპტს, „თამაშის სახელმწიფოს“ საზოგადოებრივი წყობის აღწერისას ავტორი მაინც უტოპიისა და არა ანტიუტოპისტის მართალია, კასტალიური ცხოვრების წესი მთლიანად ვერ შეესაბამება ადამიანის უმაღლეს დანიშნულებას, როგორც ის ჰესეს და მის გმირს ესმით — მაგრამ არა იმიტომ, რომ კასტალიური ცხოვრება სრულყოფილად არ არის მოწყობილი, არამედ იმიტომ, რომ ადამიანის დანიშნულების პრობლემა საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალის პრობლემადაც დამოუკიდებლად წყდება ჰესეს აზრით, არ არსებობს საზოგადოებრივი წყობა, რომელიც ადამიანის აბსოლუტურად ღირსეული ცხოვრების გარანტიას იძლევა, ეს პიროვნების — გმირის საქმეა. კნეპტი სწორედ

ექტით სამყაროში მყარად უოფნას, შინ-უოფნას" ზეიმობს, თავისი უოფნის სინრულით ხარობს. მოლანდიელი ბიოლოგის ბონიტენდაიკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ადამიანს პური და თამაშები სჭირდება. პური იმისათვის, რომ გაიზარდოს და იარსებოს, თამაშები კი იმისათვის, ეს არსებობა რომ განიცადოს“.

მეორეს მხრივ, თამაში პრინციპულად არაპროდუქტიულია. თუნდაც შექმნდეს კიდევ რაღაც ცვლილებები „სერიოზულ“ სამყაროში, მისი საზრისი ამ ცვლილებებით არ განისაზღვრება. თამაში არანაირი მიმართულებით არ „ექაჩება“ სამყაროს, რადგან შინაგანი სრულყოფილებისათვის მიუღწევია. ნოსტალგია ბავშვობაზე — რაც საზოგადოდ კულტურის ერთ-ერთ მძლავრ მოტივს შეადგენს — არსებითად, თამაშის სილაღეზე ნოსტალგიაა, რადგან ბავშვობა სწორედ თამაშით ფასობს, და პირიქით, მხოლოდ ბავშვობაში აქვს ადამიანს საშუალება სუფთა სინდისით მიეცეს თამაშის თავდავიწყებას. ცხოვრების ქცევა მარადიულ თამაშად — ეს მარადიულ ბედნიერებაზე ოცნებაა. მარადიულ ბედნიერებაზე ოცნება კი სწორედ უტოპიის სახით ავლენს თავს.

მაგრამ, ისტორიულად არსებულ უტოპიებს თვალი რომ გადავაავლოთ, სრულყოფილ სახელმწიფოთა უმრავლესობაში მეტისმეტად სერიოზული და დარბაისელი მოქალაქეები ცხოვრობენ — ისინი ხელ არ შეგვანან მარად თამაშით გართულ დიდ ბავშვებს. სქმე ისაა, რომ ჯერ ერთი, უტოპიურ მისწრაფებას საფუძვლად უდევს არა მხოლოდ ბედნიერი, არამედ სამართლიანი, ზნეობრივი ცხოვრების წყურვილიც. ხოლო მოთამაშის სილაღე უპასუხისმგებლობასთან ასოცირდება: ამიტომ ძნელია, თამაშში ზნეობრივი იდეალის განხორციელება დავინახოთ. გარდა ამისა, — და რაც მთავარია — თუმცა უტოპისტი მეოცნებეა, და შეიძლება არც სწამდეს თავისი პროექტის რეალური განხორციელებადობისა, მას უნდა, თავის უტოპიური იდეა შინაგანად დაჰაჭრებელი მაინც იყოს. ხოლო როგორ შეიძლება წარმოიდგინო საზოგადოება, რომელიც მთლიანად იქნება განთავისუფლებული ლუკმაპურზე ზრუნვისაგან? როგორ შეიძლება, საზოგადოებამ მთლად უშრომლად გაძლოს? თუ ვიღაცამ იშრომა — ის ვიღაცა ხომ მაინც უბედური იქნება. ამიტომ უტოპიური ცნობიერება კომპრომისზე მიდის: ის უარს ამბობს სრული და მარადიული ბედნიერების ოცნებაზე, უშვებს შრომას, როგორც „გარდუვალ ბოროტებას“, მაგრამ ცდილობს, შრომასთან დაკავშირებული სოციალური უსამართლობა მაინც მოიშოროს თავიდან და მისი უსიამოვნო

ზასიათი მინიმუმამდე დაიყვანოს. ასეთი უტოპიები გაბატონებულია უტოპიური ზრუნვების ისტორიაში. მათ შეიძლება კომპრომისული ანუ სოციალურ-ეთიკური უტოპიებიც ვთქვათ. „უტოპიოლოგიური“ ნაშრომებში კი უნდა აღვვარ მოძღვრებებზეა ორიენტირებული, რომ უველა როდი მიდის კომპრომისზე, სრულყოფილ ბედნიერებაზე ოცნებაშია უნდა შრომის გამოხატულება უტოპიური პროექტის სახით: თუნდაც რეალობის გრძნობისა და, შესაძლოა, ეთიკური პრინციპების საზიანოდ. ასეთ — თავისი შინაგანი პრინციპის მიმართ თანმიმდევრულ უტოპიებს შეიძლება ონტოლოგიური ვუწოდოთ, რადგან ისინი მხოლოდ სოციალურ ზნეობრივი გარდაქმნებით კი არ კმაყოფილდებიან, არამედ ადამიანს ახალ უოფნას უქმნიან. მას სხვა, უფრო მაღალი რანგის არსებობა აქცევენ.

ასეთი უტოპიის წინაშე მდგომი მთავარი პრობლემა შრომისა და თამაშის პრობლემის გადაქრია. თუკი ოცნების ადამიანსაც სჭირდებოდა საქმელ-სასმელი, ბინა და ა. შ., რა ვუყოთ შრომას, რომელიც უოველივე ამის მოპოვების ერთადერთი გზაა? არსებობს ორი გამოხავალი: ან შრომა უნდა ვაქციოთ თამაშად, ან შრომა იდეალური სახელმწიფოს გარეთ გავიტანოთ. პირველი შესაძლებლობის რეალიზაცია ფრანგმა უტოპისტმა სოციალისტმა შარლ ფურიემ სცადა. მაგრამ მისი მცდელობა აშკარად გულუბრყვილო და ლოგიკურად გაუმართლებელი იყო — რაზეც კ. მარქსმაც გააჩახვილა უურადლება. რაც გინდა მსუბუქი და სახალისო გავხადოთ შრომის პროცესი, მისი მიზანი და საზრისი მაინც სახარგებლო ნივთების შექმნაა, თამაში კი იმის თამაშია, რომ თვითმიზნური და არაპროდუქტიული იყოს. რჩება მეორე გზა: შრომა უტოპიის გარეთ გავიდეს, ესეც უტოპიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის დარღვევაა: სრულყოფილი სახელმწიფო თვითკმარი უნდა იყოს, სხვის კმაყოფაზე არ უნდა დარჩეს. მაგრამ ამ პრინციპის დარღვევა აუცილებელია, რომ უტოპიური პროექტი სხვა მხრივ იყოს თანმიმდევრული სრულყოფილი სახელმწიფოს მოქალაქემ თავი არ უნდა დაიმცროს იმგვარი საზრუნავით, რაც ადამიანის უმაღლეს არსს არ ეკადრება.

სწორედ ამ გვარი თანმიმდევრულობა გამოიჩინა ევროპული უტოპიის მამამთავარმა პლატონმა. ოღონდ, ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას რომ პლატონის ორ უტოპიურ ნაშრომებში „სახელმწიფო“ და „კანონები“ ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული საზოგადოებრივი მო

4 ამის შესახებ იხ. ნოდია, კ. ძამიჯან შიონისა და თამაშის მიმართობის შესახებ. ამერიკული ლოს-ანჯელისა და ფსიქოლოგიის სკოლა, 1983, № 2

3. F. Buitendijk. Wesen und Sinn des Spiels. Berlin. 1933, გვ. 79

მარეობაში მომყავს. რამდენადაც წარმოსახვის და განსჯის სტრუქტურა პრინციპულად საერთოა ყველა ადამიანისათვის, ასევე საერთო კანონზომიერებები ექნება ამ უნართა „სათამაშოდ“ მომართვასაც.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს რაღაც სქოლასტიკური მსჯელობაა, თამაშის ცნება კი — უფრო მოთრეული. ეს შთაბეჭდილება რომ გავფანტოთ, უნდა დავსვათ კითხვა: რაში მდგომარეობს ადამიანის შემეცნებითი უნარების ამგვარი თამაშის საზრისი? რატომ ახლავს ამ თამაშს მოწონების, ე. ი. კმაყოფილების, ხიზარის გრძობა? სილამაზის ჰერეტიკსას ადამიანის შემეცნებითი უნარები მოკლებულნი არიან იმას, რის გარეშეც მოუაზრებადია მათი დანიშნულება — შესამეცნებელს, შემეცნების ობიექტს. რატომ შეიძლება ამგვარი მდგომარეობა ადამიანის კმაყოფილების წყაროდ იქცეს? ხაქმე ისაა, რომ როცა შემეცნებითი უნარებს შესამეცნებელი არაფერი აქვთ, და სილამაზის ჰერეტიკსას წყალობით სათამაშოდ აღიძრებიან, ისინი მოქმედებენ საკუთარი შინაგანი წესრიგის, შინაგანი კანონის, შინაგანი მიზანშეწონილების მიხედვით, ე. ი. ისე, როგორც საჭიროა არა კონკრეტული საგნის შესამეცნებლად, არამედ შემეცნებისათვის საზოგადოდ. და პირიქით: ადამიანის შემეცნებითი უნარების საკუთრივი, შინაგანი მიზანშეწონილობის გამჟღავნება მხოლოდ თავისუფალ თამაშში ხდება, რისკენაც მათ სილამაზის ჰერეტიკა აღძრავს. ადამიანის შემეცნებითი უნარების თამაშის ამ თავისებურებას კანტი ახასიათებს პარადოქსული გამოთქმებით: „მიზანშეწონილება მიზნის გარეშე“, „კანონზომიერება კანონის გარეშე“. თავისუფალი თამაშის მდგომარეობაში ადამიანის შემეცნებითი უნარები აღწევენ იმ პროპორციას ერთმანეთის მიმართ, რომელიც ოპტიმალურია საერთოდ შემეცნებისთვის, ამ თამაშში განსჯა და წარმოსახვა „აცოცხლებენ ერთმანეთს თანხმობით“, ადამიანის შემეცნებითი უნარი აღწევს იმ „პარმონიულ განწყობას“, რასაც საზოგადოდ შემეცნებისაგან ვითხოვთ. თამაში არის ის მდგომარეობა, რომლის დროსაც შემეცნებითი უნარების უშაღლესი ჰარმონია მიიღწევა, და ამ ჰარმონიის განცდა არის ის, რაც ესთეტიკური მოწონების შინაარსს შეადგენს და გემოვნების მსჯელობათა ზოგადმართებულობის შესაძლებლობას ქმნის. ამავე დროს, თუმცა საუბარი ადამიანის შემეცნებითი უნარების თამაშს ეხება, ამ ჰარმონიის გრძობა, განცდა სცდება ინტელექტის სფეროს და ადამიანში გრძობადისა და რაციონალურის შერიგებას ახდენს. თამაში არის არა მხოლოდ ადამიანის შემეცნებითი უნარების, არამედ მთლიანად ადამიანის სულის ჰარმონიული მდგომარეობა. ეს ჰარმონია, ეს წესრიგი ამავე

დროს ადამიანის თავისუფლების უმაღლესი გამოვლენაა: აქ თავისუფლება უფრო სრულად შეღავდება, ვიდრე გარე (თუნდაც ამაღლებულ) მიზანზე მიმართულ საქმეში. თავისუფლება უფრო მეტადაა წარმოდგენილი თამაშში, ვიდრე კანონზომიერ საქმეში. უმაღლეს წესრიგსა და ჰარმონიას ადამიანი რომ თამაშში აღწევს, ეს, როგორც შემოთ დავინახეთ, პლატონის მოძღვრებაშიც ჩანდა. თავისუფლებას — და, მასთან ერთად, პიროვნულ ბედნიერებას თამაშის ცნება კანტის წყალობით დაუკავშირდა. ამიერიდან თამაში არა მხოლოდ ობიექტურად არის წესრიგი და ჰარმონია, არამედ სუბიექტურადაც (და უპირველეს ყოვლისა სუბიექტურად) წარმოადგენს ადამიანის ინტოლოგიური, პოტენციების ყველაზე აღქვითურ გამოვლენას. ადამიანი თამაშის ობიექტიდან თამაშის სუბიექტად იქცა. მაგრამ თვით თამაშის ღირებულებითი სტატუსი ამით არ შეცვლილა: თამაში მაინც დარჩა ადამიანის უმაღლეს დანიშნულებად.

თუმცა, პლატონისაგან განსხვავებით, კანტი ასეთი რამ აშკარად არ უთქვამს. ეს მისი ფილოსოფიის ერთ-ერთი შესაძლო ინტერპრეტაციაა, მაგრამ ამგვარი ინტერპრეტაცია არც ამ ნაშრომის ავტორის სუბიექტური თვითნებობის შედეგია. სწორედ ასე გაიგო კანტი მისმა უშუალო მიმდევარმა, პოეტმა და ფილოსოფოსმა ფრიდრიხ შილერმა, რომელმაც თავისი „წერილები ესთეტიკური აღზრდის შესახებ“ (გამოქვეყნდა 1795 წელს, ხუთი წლით გვიან „მსჯელობის უნარის კრიტიკაზე“) დაიწყო განცხადებით, რომ „ქვემოთ მტკიცებანი მეტწილად კანტის დებულებებზე იქნებიან დაურდნობილნი“. შილერის ნაშრომი თავისი გამიზნულობით გაცილებით ფართოა, ვინემ სათაურიდან ჩანს, მისი ამოცანა, როგორც თვითონ ამბობს, მხოლოდ პედაგოგიური კი არა, პოლიტიკურია. ადამიანის ბუნების სრულყოფით შილერი სახელმწიფოს ამაღლებას ესწრაფვის (აქ შეიძლება ითქვას, პირდაპირი პოლემიკაა პლატონთან, რომელიც ადამიანის სრულყოფის ერთადერთ გზად სახელმწიფოს სრულყოფას მიიჩნევდა). როგორც ადამიანი, ისე სახელმწიფო, შილერის აზრით, ბუნების შექმნილია, მაგრამ ადამიანს, როცა იგი ზნეობრივად მოიწიფება, ამგვარი სახელმწიფო აღარ აკმაყოფილებს და მიზნად ისახავს „თავისი ბუნებრივი სახელმწიფო ზნეობრივ სახელმწიფოდ გადაქციოს“. ამრიგად, სახელმწიფოს სრულყოფა მთლიანად დაიუვანება ადამიანის

6. И. Кант Сочинения в шести томах, Т. 5, М., 1966, 83-278.
7. ფრ. შილერი, რჩეული თხზულებები, ტ. 3, თბ., 1965, გვ. 484.
8 იქვე, გვ. 488.

სული სახელმწიფო — კასტალია, რომლის მოქალაქეებსაც არაფერი ევალებათ, გარდა გონების ვარჯიშისა, რომლის უმაღლესი ფორმა არის საგანგებო, როგორც ჩანს, შეტად რთული თამაში — „მძივებით თამაში“. ჰესე არ იძლევა ამ თამაშის წესების ზუსტ აღწერას, მაგრამ განსაზღვრავს მას როგორც „ჩვენი კულტურის უკეთესი შინაარსითა და ღირებულებით თამაშს“.¹² თუმცა, მკაცრად რომ ვთქვათ, „მძივებით თამაში“ არ არის კასტალიელთა ერთადერთი საკმელოება, კასტალიას მაინც შეგვიძლია ვუწოდოთ „თამაშის სახელმწიფო“ ორი გარემოების გამო: ჯერ ერთი, როგორც არაერთხელაა ნათქვამი თვით ტექსტში, სწორედ თამაში გამოხატავს მთელი კასტალიის სულისკვეთებას, ის არის მისი „უმაღლესი საიდუმლო და სიმბოლო“ (202), ხოლო მოთამაშეები — თამაშის „პროფესიონალები“ — ინტელექტუალურ ელიტას კმნიან ისედაც ელიტურ კასტალიაში. მეორეს მხრივ, სხვა სახის საკმელოება, რასაც კასტალიელები ეწევიან — მათემატიკა, მუსიკა, ფილოლოგია, — სავსებით მოკლებულია რაიმე უტილიტარულ საზრისს და აბსოლუტურად თვითმიზნურია, ამიტომ ისიც შეგვიძლია „თამაშად“ ჩავთვალოთ.

ეს სახელმწიფო, რომელიც განუსაზღვრელ მომავალში არსებობს, შექმნილია მსოფლიოს სახელმწიფოთა გაერთიანების დადგენილებით. მრავალი ომისა და განსაცდელის შემდეგ კაცობრიობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ, თუ სადღაც მაინც არ იქნა შენარჩუნებული გონის სიწმინდე, გონი საერთოდ დაიღუპება, ხოლო კაცობრიობა — თუ არ დაიღუპა. გადაგვარდება და ბარბაროსულ ეპოქას დაუბრუნდება: „თუ აზროვნება სიწმინდესა და სიფხიზლეს კარგავს და გონს საკმარის პატივს აღარ მიაგებენ, ცოტა ხანში გემსა და ავტომობილსაც გზა ებნევა, ინჟინრის ლოგარითმულ სახაზავსა და ბანკებისა და ბირჟების ანგარიშსაც ნდობა და ავტორიტეტი ერყვევა, საყოველთაო ქაოსი იხადგურებს. მაგრამ მაინც საკმაოდ დიდი დრო გავიდა, ვიდრე ადამიანებმა შეიგნეს: ცივილიზაციის გარეგან მხარესაც — ტექნიკას, მრეწველობას, ვაჭრობას და ახე შემდეგ — გონითი ზნეობისა და პატიოსნების ერთიანი ძირი ასაზრდოებს (87). თუმცა, ქვეყანას კასტალიისაგან უფრო კონკრეტული „გამორჩენაცა“ აქვს: „პატარა კასტალია დიდ გარე სამყაროს ემსახურება, მასწავლებლებს, წიგნებს, მეთოდებს აწვდის, გონითი ფუნქციებისა და ზნეობის სიწმინდეზე ზრუნავს“ (196). საშაგიეროდ, „დიდი გარე სამყარო“ ათავისუფლებს „პატარა კასტალიას“ უყოველგვარი მატერიალუ-

რი საზრუნავისაგან, უველა პირობას უქმნის მის მოქალაქეებს, დაუბრკოლებლად „ითამაშონ“ და ისეთვე არაფერზე იფიქრონ, რაც მათ უკურადღებას კულტურის წმინდა „შინაარსებსა და ღირებულებებს“ მოწყვეტდა. ჰესე აქ თავისი უტოპიის ერთგვარ „რეალისტურ“ დაფუძნებას ცდილობს, მკითხველი რომ კასტალიის რეალურ შესაძლებლობაში დაარწმუნდეს. მაგრამ, უნდა ითქვას, მისი არგუმენტი მაინცდამაინც ძლიერი ვერ არის. დახვედეთ ის კულტურული კრიზისი, რასაც ჰესე „ფელეტონიზმს“ უწოდებს და თავისი უტოპიით უპირისპირდება („ფელეტონიზმზე“ კიდევ გვექნება საუბარი). კვლავაც გრძელდება, თან სწორედ იმ მიმართულებით, რაც ჰესეს მხედველობაში ჰქონდა. მაგრამ ავტომობილები და ხომალდები უწინდელზე ნაკლებად როდი ასრულებენ თავის დანიშნულებას, ხოლო მოარული ცნობიერებისათვის „ინჟინრის ლოგარითმული სახაზავის“ ავტორიტეტი კვლავინდებურად მაღალია. მართალია, ამ „სახაზავმა“ შექმნა რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ სამყარო სულ დაიღუპოს, თავის ავტომობილიან-ხომალდიან-ინჟინრებიანად, მაგრამ ეს უკვე საკითხის სხვა მხარეა, რასაც ჰესე არ გულისხმობდა. რაც შეეხება მასწავლებლებს, წიგნებს და მეცნიერულ მეთოდოლოგიას, საამისოდ არსებობს უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების საკმაოდ მძლავრი ქსელი. რომელიც, „ფელეტონიზმის“ გავრცელების მიუხედავად, საკმაოდ დამაკმაყოფილებლად ასრულებს თავის ფუნქციებს და სულ არ საჭიროებს დამატებით „კასტალიის“ გამოგონებას. მოკლედ, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ: ქვეყანას კასტალია არაფერში არ შეიძლება სჭირდებოდეს. კასტალიის არსებობის ამგვარი „გამართლების“ მცდელობამ, თუნდაც მხატვრული დამაჭერებლობის ინტერესებში, მუისვე გამოიწვია ლალათი თამაშის ძირითადი იდეისა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თამაშს არავითარი გარეგნული გამართლება არ სჭირდება. თამაშს მხოლოდ მისი საკუთარი, შინაგანი საზრისი ამართლებს.

რას ნიშნავს „ფელეტონიზმი“, რომელსაც კასტალია თავისი შინაგანი საზრისით უპირისპირდება და რომელშიც ჰესე თავისი თანადროული ბურჟუაზიული სამყაროს კულტურას გულისხმობს? მისი ძირითადი მახასიათებლები შედაპირულობა და უპრინციპობაა. აუშხედრდა რა შუა საუკუნეების მიწურულს ეკლესიის ავტორიტეტს, წერს ჰესე, ადამიანის განსჯამ მოინდომა, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს დაფუძნებოდა, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ განსჯა ვერ იქნება საკუთარი თავის გამმართლებელი და კულტურა შინაგანი საფუძვლის, შინაგანი სიღრმის გარეშე დარჩა. კულტურამ გარეგნულ ეფექტზე აიღო ორიენტაცია და მხოლოდ

12. H. Hesse, Das Flasperlenspiel, Aufbau-Verlag Berlin und Weimar, 1985, გვ. 15. შემდგომ ჰესეს რომანის ციტირებისას ფრჩხილებში მიუთითებ ამ გამოცემის გვერდს.

ამოვალთ, კასტალიის უოველწლიური „თამაშ დღესასწაული“ საკუთრივ დღესასწაული კი არ არის, არამედ დღესასწაულის კულმინაცია, აპოგეა — რაც უოველგვარ დღესასწაულს მოეპოვება, — ე. ი. ის მომენტი, როცა კავშირი დღესასწაულის ქვემდებარე „სასწაულთან“, მის გონით საფუძველთან განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება და დღესასწაულის მონაწილეთა ერთობლივ აღფრთოვანებას იწვევს. ხოლო ის, რისი ამოგეაც არის „თამაშ-დღესასწაული“, სხვა არაფერია, თუ არა კასტალიის ჩვეულებრივი ცხოვრება. კასტალიის, ისევე როგორც პლატონის „კანონებში“ აღწერილი სახელმწიფოს ცხოვრება მარადიული დღესასწაულია; ოღონდ, თუ პლატონთან ხადღესასწაულთა თამაში პლასტიკურია, თუ „მოთამაშე“ ადამიანის სხეულია, ამ სხეულის მამოძრავებელი საწყისი კი ადამიანის გარეთ — ღმერთშია. ჰესესთან ნაშთიც აღარ გვრჩება იმ პლასტიკისა — ფერხულებსა და ხაგალობლებს „შიძვები“ ცვლის, მოთამაშე, თამაშის სუბიექტი კი ადამიანის უზენაესი გონია. მეორეს მხრივ თუ პლატონი უყოყმანოდ აცხადებს თამაშს ღვთისმსახურების სახედ (როგორც გვახსოვს, უოველი დღესასწაული, რომელიმე ღმერთს ან „გენიოსს“ ეძღვნება), ჰესეს თქმით, თამაში თითქმის ღვთისმსახურებაა; ის „თავს არიდებს საკუთარი თეოლოგიის შექმნას“. რას ჰქვია — „თითქმის“? თუ შაინც მსახურებაა — ბოლოს და ბოლოს, რისი მსახურებაა? თუ მხოლოდ ჰგავს ღვთისმსახურებას — რატომ და რით ჰგავს?

ღვთისმსახურება არის უმაღლესი არსის, ონტოლოგიურად ამაღლებული არსის მსახურება, მსახურება რაღაც ისეთისა, რაც თავის თავში სრულყოფილია. როცა ჰესე ამბობს, რომ თამაში არის მსახურება, და ამავე დროს ღვთისმსახურებას ჰგავს, ეს გულისხმობს მსახურებას რაღაც თავის თავში სრულყოფილისა, რაც ამავე დროს ღვთაებრივი — უოველ შემთხვევაში, რელიგიურ-ქრისტიანული აზრით ღვთაებრივი, არ არის. ის, რისი „მსახურებაც“ არის თამაში, ადამიანის გონია, ადამიანის გონი არა როგორც შემოქმედი, ან, ვთქვათ, ღმერთის წილი ადამიანში, ან წნეობრივი საწყისის მატარებელი, ან წამყვანი ელემენტი ერთიანობისა, რასაც „ადამიანი“ ჰქვია — ე. ი. არა რაღაც მიმართებაში, არამედ თავისთავად, მის თვითკმარებაში: გონი, მიმართული მხოლოდ საკუთარ თავზე. კასტალიის, ასე ვთქვათ, ოფიციალური იდეოლოგიის თვალსაზრისით ადამიანის გონს არაფერი არ სჭირდება, ის ღვთაებია, თამაში კი — ამ ღვთაებისადმი მიძღვნილი მარადიული დღესასწაული.

მაგრამ „გონი“ თავისთავად საკმაოდ აბსტრაქტული ცნებაა. ის არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ მოცემული სახით, არამედ ერთხელ

ადამიანთა ცნობიერებაში ცოცხლობს. ეს ცნობიერებები კი თავისთავად ხელადაც არ არის სრულყოფილი. რომელია ცნობიერების ის მდგომარეობა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მდგომარეობს გონის სრულყოფილებას უახლოესი მდგომარეობა... ისევე თამაშიც უმეტეს შემთხვევაში ვთქვით, რომ კასტალიის გამმართლებელი უმაღლესი ღირებულება გონის საკუთარ თავთან უოფნაა, საკუთარ თავთან გონი კი თამაშისას არის. თამაში განახიერებს გონის უმაღლეს წესრიგს, მის მარშოლას, მის უნივერსალობას, მის მთლიანობას. „თამაში უბრალო ვარჯიში ან გართობა არ იყო, მასში გონის დისციპლინის კონცენტრირებული შეგროვება მიიღწეოდა“ (35). თამაშში ახდენილია საკაცობრიო კულტურის უძველესი ოცნება „გონითი უნივერსუმი კონცენტრულ სისტემებში დაქერილიყო და გონისა და ხელოვნების ცოცხალი ხილამაზე ზუსტ მეცნიერებათა ფორმულების მაგიასთან გაერთიანებულიყო“ (18) — ამ მხრივ თამაშის იდეის წინამორბედებად ჰესე ასახელებს პითაგორას, პლატონს, აბელარს, ლაიბნიცს, ჰეგელს. „თამაში განვითარდა... გონითისა და მუხიურის უმაღლეს ერთიანობად, უზენაეს კულტად, universitas litterarum-ის უველა გათიშული ნაწილის მისტიურ კავშირად“ (39). ამიტომ ჰესე ლაპარაკობს არა თამაშზე როგორც მსახურებაზე (თუმცა ამის თქმის უფლებაც აქვს) არამედ — უფრო ზუსტად — თამაშის მსახურებაზე. თამაშის მსახურება კი ისევე თამაშია. თამაში მსახურებაა თამაშისა. ეს ლოგიკური ეკვილიბრიბტიკა არ არის. თამაშის მსახურება მსახურებაა ამ სიტყვის სრული აზრით — მიუხედავად იმისა, რომ თვითონაა თამაში. ხაქმე ისაა, რომ, თუმცა ამ შემთხვევაში არსად ჩანს ღმერთი თავისი უხილავი ძაფებით და თამაშის ერთადერთი სუბიექტი ადამიანის გონია, თანდათან ხდება თამაშის, ასე ვთქვათ, მიპოსტაზირება, გაუცხოება, გაობიექტურება და ჩვენ ვიღებთ იმ მდგომარეობას, როცა თამაში თითქოს უკვე „თავისთავად“ ხდება, თითქოს სუბიექტი კი აღარ თამაშებს „კულტურის შინაარსებსა და ღირებულებებს“, არამედ თვით ეს „შინაარსები და ღირებულებები“ ებმებიან ფერხულში, სუბიექტის ღირსება კი ისაა, ჰერეტის პოზიციაში დადგეს მათ მიმართ და თვითონაც ფერხი აუწყოს ამ ფერხულს... თამაშის ბარტიები ობიექტური გონის მონაპოვართა სტატუსს იძენენ, სუბიექტს კი მოეთხოვება თვითაღკვეთა, ასკეტიზმი, საკუთარ სუბიექტურობაზე შაქსიმალურად უარის თქმა. თამაშის განვითარების გარკვეულ საფეხურზე კასტალიაში შაკაცი ბრძოლა გამოეცხადა „ვირტუოზულობას თამაშში და ცენტრში დადგა (როგორც თვით ჰესე ამბობს, აღმოსავლური კულტურული ტრადიციიდან მოტანილი) კონტემ-

არც თამაშისა და შემოქმედების მიმართების საკითხთან დაკავშირებით შევხებივართ მას. შესე კი სხვა კულტურული ეპოქის შვილია და პიროვნებას გვერდს ვერ აუქცევს. ვერ ვიტყვი, რომ პიროვნების ცნების უკანა პლანზე გადაყვანა ზუსტად თამაშის პრინციპზე აგებული უტოპიური იდეალის ლოგიკამ უკარნახა. შესეს მსოფლმხედველობა დასავლური კულტურის განვითარების იმ ეტაპს განეკუთვნება, როცა ის უკვე გაწილებულია პიროვნების რომანტიკული კონცეფციით, რომელიც სწორედ კანტისა და შილერის დროს განიცდიდა გაფურჩქვნის ხანას. შესესთვის — როგორც მისი სხვა ნაწარმოებებიდანაც ჩანს (მათი გახსენება ახლა შორს წაგვიყვანდა) — პიროვნება უპირველეს ყოვლისა სოციალური ნიღაბია, რომელიც აცალმბრებებს და ზღუდავს უნივერსალურ ადამიანურ გონს. პიროვნებით გაწილება კი მთელი ევროპული კულტურით გაწილებაა — ამით აიხსნება შესეს მიდრეკილება „დილის ქვეყნის“, აღმოსავლეთის კულტურისადმი, სადაც პიროვნების ცნებას ნაკლები გასავალი აქვს, სადაც ადამიანის უმაღლესი დანიშნულება დანახულია ირა შემოქმედებაში, ე. ი. აქტივობაში, არამედ ქვრეტაში, პასივობაში, მაგრამ, როგორც ზემოთ შევეცადე დამენახუთებინა, „მარადიული ღღერასწაულის“ ლოგიკა თავისთავად არ უწყობს ხელს პიროვნულობის და, მაშასადამე, შემოქმედების პრინციპის განვითარებას. როცა თამაში მთლიანად ჩაიკეტება თავის თავში, თავს საყვებით თვითკმარ რეალობად წარმოადგენს და უმაღლეს ღირებულებად გამოაცხადებს, ის უცხოვდება მოთამაშისაგან, მისგან დამოუკიდებელ ობიექტურ საზრისს იძენს და თავის მსახურად აქცევს; თამაშში ინდივიდი თავს კი არ ამკვიდრებს, არამედ თამაშის აბსტრაქტულ პრინციპს, თამაშის იდეას. თამაში კი არ არის საშუალება ადამიანის ამაღლებისა, არამედ ადამიანია საშუალება თამაშის ამაღლებისა. ინდივიდი ჩრდილში უნდა დარჩეს; ინდივიდუალური შემოქმედება კი ამ მაქსიმის დარღვევა იქნებოდა. ამიტომ შემოქმედება უნდა აიკრძალოს, ადამიანის პიროვნულ-ინდივიდუალური საწყისი — რაც შეიძლება მიიჩქმალოს.

და კიდევ ერთი ფაქტორი, რის გამოც კასტალიას არ სჭირდება შემოქმედნი, გარდა ობიექტური (არასრულყოფილი სინამდვილის სრულყოფა იდეალური ღირებულების მიხედვით) და სუბიექტური (პიროვნულობამდე ამაღლებული სუბიექტურობა) მხარეებისა, შემოქმედებაში არის მათი გამაერთიანებელი მომენტი: პიროვნების სწრაფვა, ობიექტური ღირებულებები ობიექტურ რეალობად აქციოს, არასრულყოფილი სრულყოფ. ეს სწრაფვა კი ეთიკურია თავისი არსით. შემოქმედების აქტს თავისი ზნეობრივი ზედამოცანა აქვს. ნაგულისხმევი მისი

კონკრეტული ამოცანის მიღმა. შემოქმედმა შეიძლება განიხილოს თავისი შემოქმედება როგორც „მხოლოდ თამაში“ (რა თქმა უნდა, წელან მე სულაც არ მინდოდა იმის თქმა, თითქოს თამაში შემოქმედებას გამოყოფდეს; შემოქმედებას გამოაცივებს თამაშის პრაქტიკულ-ტიზაცია უტოპიური იდეალის სახით). უარი თქვას ყოველივე იმაზე, რასაც ჩვენ შემოქმედების „იდეურ შინაარსს“ ვეძახით. მაგრამ სინამდვილეში ეს იქნება არა თამაში, არამედ „თამაშის იდეოლოგიის“ დამკვიდრება რალაც სხვა იდეოლოგიის საპირისპიროდ, და ამასაც აუცილებლად ექნება რალაც ზნეობრივი ქვეტექსტი (შევიწყნარებთ ამ ქვეტექსტს თუ არა — სხვა საქმეა). კასტალიაში კი, როგორც უკვე ვთქვით, ზნეობა უარყოფილი არ არის, მაგრამ „თამაშგარე მდგომარეობაში“ კია. მოყვასის ქმედითი სიყვარული, რაც ყოველგვარი ზნეობის ძირითადი ელემენტია, თვითონ მოყვასს არ სჭირდება, რადგან ის, უბრალოდ რომ ვთქვათ, „ისედაც კარგად არის“, არაფერი არ აკლია და ჩვენგან არაფერი უნდა. ზნეობა დაყვანილია მხოლოდ წესიერებაზე, პატიოსნებაზე, კანონის ერთგულებაზე. ამიტომ შემოქმედებასაც საზრისი ეცლება.

სტატიის დასაწყისში ჩვენ მოვიყვანეთ ადგილი ჰ. შესეს პირადი წერილიდან, საიდანაც ჩანდა, რომ კასტალია ფაშისტური რეჟიმის ანტითეზად იყო ჩაფიქრებული. საბჭოთა მკვლევარის ავერინცევი აღნიშნავს, რომ იგივე გამიზნულობა მქონდა ი. შოიზინგას ცნობილ თეორიას კულტურის თამაშობრივი ძირების შესახებ, რომელიც დაახლოებით იმავე პერიოდში შეიქმნა, როცა შესეს რომანი დაიწერა (წიგნი „Homo ludens“ პირველად 1938 წელს გამოვიდა). რანაირად უპირისპირდება კულტურის თამაშად გაგება ფაშინზმს? ავერინცევის პასუხი ასეთია: ფაშისტური პროპაგანდის საწინააღმდეგოდ, რომელიც კულტურული სიმბოლოების გაფრთხილებას ახდენს, შესესა და შოიზინგას კონცეფციებში „კულტურა პატიოსნად აშიშვლებს თავის თამაშობრივ არსს და თავისი წესების პირობითობას, ამიტომ თუ დემოგოგია აღსავსეა უალბი სერიოზულობით, „თამაში“ მსუბუქია. სიყალბე ანგარებიანია — „თამაში“ თვითმიზნურია. სიყალბე და ძალმომრეობა არ ცნობენ შემაკავებელ საწყისს — „თამაში“ აუცილებლად „პატიოსანი თამაში“ (fair play) უნდა იყოს, რომელიც მით უფრო უახლოვდება გონითის დედაარსს, რაც უფრო მკაცრი, დამუშავებული, უქვევლია მისი წესები... ივარაუდება, რომ რაც უფრო ნათლად და პატიოსნად გაიცნობიერებს კულტურა თავს როგორც „მხოლოდ“ თამაშს, მით უფრო მეტი შანსი აქვს მას

მაღალ თამაშად იქცეის¹⁴. ეს დაკვირვება, ჩემი აზრით, არსებითად სამართლიანია და ღირებული. მაგრამ ჩვენ უკვე შევთანხმდით, რომ გვიანტერესებს არა უტოპიური ცნობიერების განვითარების კანონზომიერებანი ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში, მისი მიმართებები ამა თუ იმ ისტორიულ გარემოსთან, არამედ უტოპიური აზროვნების შინაგანი ლოგიკა. ეს ლოგიკა კი არ ებუება უტოპისტის სუბიექტურად ჰუმანისტურ ზრახვებს, რომელთა კეთილშობილებაში არც ამ და არც უმეტეს სხვა შემთხვევაში არა მგონია ვინმეს ეჭვი შეეპაროს. მას თავისი გზით მიჰყავს უტოპიური ცნობიერება იშისდა მიუხედავად, რამდენად აშკარად გამოთქვამს ეს უკანასკნელი საკუთარი პრინციპიდან გამომდინარე დასკვნებს. ჩემი აზრით, უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ „მძივებით თამაშის“ სახით მესემ ერთ ფეტიშს მეორე ფეტიშში დაუპირისპირა. თამაში, რომელსაც მთელი სახელმწიფო ემსახურება, საიდუმლო პოლიცია და სადაზვერვო ქსელი იცავს, რომელიც აუცილებელი და ბუნებრივი ფორმალური წესების გარდა, სავსეა შინაარსებული აკრძალვებით, (ვთქვათ, ფეხბურთში რომ იყოს აკრძალული ზედიზედ სამი მცველის მოტყუება), რომელსაც ჰყავს თავისი ღვთაებასთან გათანაბრებული ქურუმები, უსიტყვო დისციპლინას და სამონასტრო ასკეტიზმს მოითხოვს — ეს არის თამაში როგორც ფეტიშა და, ერთი წუთით რეალურად რომ წარმო-

ვიდგინოთ კასტალიის არსებობა, მისი მოქალაქეებისთვის, ალბათ, ისეთივე აუტანელი იქნებოდა ამ ფეტიშის მსახურება, როგორც პლატონის იდეალური სახელმწიფოს მკვიდრთათვის — გაუთავებელი ცეცვა-თამაში, ხოლო „წითელი კხმერების“ დროინდელი კამპუჩიანელებისთვის — თავიანთ ლიდერთა ციტატების წყობა.

კამპუჩიასთან და ფაშისტურ დიქტატურასთან პარალელის გავლება აქ, ალბათ, გადაჭარბებულია ჩანს. რა თქმა უნდა, მესეს უტოპია აბსოლუტურად „უწყინარია“: — მკითხველი მას ჩვეულებრივ აღიქვამს როგორც უბრალოდ მხატვრულ ნაწარმოებს და მისი „რეალიზაცია“ არავის არახოდეს მოუვა აზრად. შესაძლოა, არც ჩვენ უნდა მოვპურობოდით მას ასე ხერიოზულად. მაგრამ მხატვრული ფორმა ადრეც მიღებული იყო უტოპიურ აზროვნებაში და მას არ შეუშლია ხელი მესესთვის, უტოპიური აზროვნების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ლოგიკურად თანმიმდევრული უტოპია შეექმნა. რაც შეეხება მის „უცნაურობას“, უცნაურობით უტოპია არ დაიწუნება. ეს „უცნაური“ უტოპია გვიჩვენებს, რომ ყველაფერი შეიძლება ფეტიშად იქცეს — მათ შორის ამ ქვეყნად ყველაზე ანტიფეტიშური რამ — თამაში, და რომ ყოველი ფეტიშში ბოლოს აღამიანს შემოუბრუნდება, როგორც მისი მტერი. კაცობრიობის რეალურ ისტორიაში არსებული ყველა ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმი რაღაც მეტად მაღალ და ღირებულს აფეტიშებდა — სამშობლოს, ღმერთს, აღამიანთა ძმობას, თანასწორობას. თამაში, გონის წმინდა და ამალღებული თამაში, არაფრით მათზე უკეთესი არ არის.

¹⁴ С. С. Аверинцев. Социология игры йохака Хэйзинги. — «Вопросы философии», 1969, № 3, гл. 170—171.





ლაილა თათრუაშვილი

ზოგი რამ ბიოლოგიური კვლევის შესახებ ლიტერატურაში

3 ფიქრობთ, მკითხველისათვის ნათელია, რა მნიშვნელობა აქვს შედარებით-ბიოლოგიურ კვლევას ეროვნული ლიტერატურისათვის, მაგრამ მაინც იქიდან დავიწყებ, რომ, როცა კომპარატივისტიკას, შედარებით-ისტორიულ მეთოდს ობსკურანტი ოპოზიციონერები გამოუჩნდნენ, ვიქტორ უილმუნსკიმ განაცხადა: არც ერთი დიდი ეროვნული ლიტერატურა არ განვითარებულა სხვა ქვეყნების ლიტერატურასთან ცოცხალი კონტაქტისა და ურთიერთშემოქმედების გარეშე. ხოლო ის, ვინც ფიქრობს, იმის მტკიცებით აღამაღლოს თავისი მშობლიური ლიტერატურა, თითქოს იგი გამოჩაქვდეს სახით აღმოცენდა ადგილობრივ ეროვნულ ნიადაგზე, სწორედ ამ მტკიცებით, ამ „ბრწყინვალე იზოლაციით“, თავისდაუნებურად ამცირებს, პროვინციული შეზღუდულობისთვის იმეტებს, სწირავს მას. უსახავს, „თვითმომსახურების“ მწირსა და ობსკურანტულ ამოცანებს, რითაც, ფაქტიურად, გამოუსწორებლად აკნინებს თავისი ქვეყნისა და ლიტერატურის საქმეს. აქ უილმუნსკი ეყრდნობა გოეთეს ცნებას „მსოფლიო ლიტერატურისა“ და „ეროვნული ლიტერატურის“ ურთიერთმიმართების შესახებ, ხოლო თავის მრავალ შრომაში განამტკიცებს და განავითარებს მას.

იმისდა მიუხედავად, რომ ჩვენმა კომპარატივისტიკამ მრავალმხრივი შრომა გასწია ლიტერატურათმცოდნეობაში გოეთეს ამ პროგრესული ცნება-იდეის შემდგომი დამკვიდრებისათვის, პრაქტიკულად, მკვლევარისათვის, ზოგი რამ

ისევ და ისევ ძიების პროცესშია; მზამზარეული რეცეპტურა კი, ბუნებრივია, არ არსებობს და არც იარსებებს.

ზოგიერთი საკითხის შესახებ შევეცდები ხაკუთარი დაკვირვება გავუზიარო მკითხველს.

ქერ მინდა ტერმინზე შევჩერდე: „კომპარატივისტიკა“, „კომპარტივისტიკა“. იყო ტენდენცია და, სამართლიანაც, რომ ამ ტერმინს ჩვენში აკრიტიკებდნენ. მაგალითად, იგივე ვ. უილმუნსკი და, განსაკუთრებით რ. სამარინი. ამ კრიტიკით ისინი იცავდნენ ჩვენს პოზიციებს იმ ტენდენციების საპირისპიროდ, რომლითაც აღბეჭდილი იყო ე. წ. „დასავლური“ მეთადრე კი „ამერიკული“ კომპარტივისტიკის საკითხები. ერთხანს მის ნაცვლად დამკვიდრდა „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა“. მაგრამ აგერ უკვე ოცი წელია მას შემდეგ, რაც იმავე რ. სამარინმა თავად არა ერთხელ გამოიყენა ეს „კომპარატივისტიკა“, მიიჩნია რა, რომ მთავარია თვით ცნებაში მოცემული შინაარსი და არა თავად სიტყვა, და რომ მხოლოდ ლიტერატურის ისტორიამ, რომლის პროგრესული ნაწილი უოველთვის იჩენდა დიახაც „ერეტიკულ“, ანუ საღ, მეცნიერულ დამოკიდებულებას ცნებისა და ტერმინების მიმართ, არაერთი შესანიშნავი მაგალითი იცის მათი გადაფასებისა. დღესდღეობით კი იუენებენ ორივე ტერმინს — „კომპარატივისტიკასაც“ და „შედარებით ლიტერატურათმცოდნეობასაც“, თანაც ისე, რომ ორივე ტერმინში თანაბრად ატევენ ორივე იდეოლოგიურ ტენდენციას. მაგალითად,

სლოვაკი დ. დიურეშენი, რომელსაც ანგარიშს უწევს ჩვენი სამეცნიერო საზოგადოება, თავის წიგნს უწოდებს „შედარებით ლიტმცოდნეობას“. (1975 წ. გამოვიდა, 1979 წ. რუსულად ითარგმნა). იმავე სახელწოდებისაა სარბრ-ოუკენელი მეცნიერის მანფრედ შმელინგის წიგნი „დი ფერგლაიხენდე ლიტერატურვისენ-შაფტ, თეორიი უნდ პრაქსის“, რომელიც 1981 წელს გამოვიდა ვისბადენში. როგორც ჩანს, საფუძველი არა გვაქვს, „კომპარატივისტიკა“ არ გამოვიყენოთ და „შედარებითი ლიტმცოდნეობა“ დავაბეკვადროთ, რადგან ორივემ ერთი და იგივე შინაარსობრივი „დატვირთვა“ შეიძინა. პირადად მე ტერმინების მიმართ სიფრთხილის მომხრე ვარ. ოღონდ ეს სიფრთხილე მის სრულ იგნორირებად არ მესახება, მიმაჩნია, რომ ცნება, ტერმინი უნდა რჩებოდეს, მისი არსი და ტენდენცია კი განიმარტებოდეს.

ჩვენი დარგის მკვლევარის წინაშე, დამეთანხმებით, მრავალი ხიძნელეა, მრავალი დამაფიქრებელი ტენდენცია; ზოგიერთზე ვიტყვი, მაგალითად ე. წ. „პერიოდისაციის“ შესახებ, აგრეთვე ეროვნულ ლიტერატურათა თავისებურების, ან მათი დიდი წარმომადგენლების შემოქმედებათა ურთიერთმიმართების თაობაზე.

ჩერ პერიოდისაციის შესახებ: ცნობილი, მიღებული ტენდენციაა, რომ ეპოქა, საუკუნე, სოციალურ-პოლიტიკური გარემო ის წანამძღვრებია, რომელიც უტყუარ ბაზას ქმნის ტიპოლოგიური კვლევისათვის. ეს ასეა, ოღონდ შეუვალი არც ეს ტენდენციაა და არც ყველა შემთხვევაში გამოდგება მზამზარეულ რეცეპტად. ორიენტირად დიდი შემოქმედი მიმაჩნია, რომლის შემონაქმედი ეპოქალურიც არის და ზედროულიც, თამამად არღვევს ყველა საზღვრებს, მარადიულ მნიშვნელობას იძენს. ქრონოლოგია აქ მინიმუმამდღა დაყვანილი.

ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში უკვე გაიხმა კითხვა, როგორ მოვიქცეთ, როცა ეპოქა, საუკუნე, ლიტერატურული მიმდინარეობანი საკვლევ მწერალთა ქვეყნებისა, არ ემთხვევა ერთმეორეს. (მე ხაზს ვუსვამ — ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობაში — გაიხმა ეს კითხვა, თორემ გერვინუსის, პეტერის, ვალცილისა თუ გ. ბრანდესისათვის იგი პრობლემა არ

არის). ტიპოლოგიური კვლევისათვის არჩეული მწერლები თითქმის შედარების ძიებას ქმნიან თავიანთი სუბიექტი წყობით, სამყაროსადმი დამოკიდებულებით, მხატვრულ-გამომხატველობითი აქსესუარებით, მსოფლმხედველობით, პრობლემატიკითაც, მაგრამ არ არიან მაინცდამაინც ზუსტად ერთი და იგივე საუკუნის ერთი და იმავე მონაკვეთისანი.

ამ გარემოებამ არ უნდა დაგვაფრთხოს. ერთ-ერთი მათგანი, ვინც ეს საკითხი ჩვენში ამ ბოლო დროს დააუნა, არის ცნობილი რუსი მეცნიერი ვ. კულეშოვი, რომელმაც თავის წიგნში «Литературные связи России и Западной Европы в 19 веке» (1977 წ.) აღნიშნა: „ზუსტი ქრონოლოგიური დამთხვევები არ უნდა ვეძიოთ, იგი დოკმატიზმამდე მიგვიყვანსო“. მართალია, ვ. კულეშოვი ამას რუსული ლიტერატურის მაგალითზე ამბობს, მაგრამ ნათქვამს განზოგადების პრეტენზია აქვს: „არ უნდა დავუშვათ აზრი იმის შესახებ, რომ რუსულ ლიტერატურას უთუოდ უნდა გაეცლო ყველა ის ზიგზაგი, რომელიც დასავლეთის ლიტერატურებმა გაიარეს“, — წერს ვ. კულეშოვი.

ეს ტენდენცია, ალბათ, არც ქართული ლიტერატურის მიმართ არის უგულვებელსაყოფი. მით უფრო, რომ ჩვენში დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური ძვრები იყო. და ვინაც იმეამინდელი ჩვენი ყოფა დამაბრკოლებლად შიამჩნია საიმისოდ, რომ ტიპოლოგიური შედარებისათვის მორალური ფირმანი გვიბოძოს, ერთი გარემოების გათვალისწინებაც მართებს: ცხადია, გარკვეულწილად ჩამოვრჩებოდით ევროპას (მე-19 საუკუნეს ვგულისხმობ). მაგრამ მით უფრო საგულისხმოა, რომ ამ დროს შეიქმნა დიდი რაოდენობის ლიტერატურა და ნებისმიერი ევროპული ქვეყნის დიდ ლიტერატურასთან შესადარებელი ლიტერატურაც. ამის თქმა ხაზოთიროს არ არის არანაირი პოზიციიდან: თავის დროზე ფრ. ენგელსი ხაზგასმით აღნიშნავდა გერმანული ყოფისა და კულტურის შესახებ, რომ ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩამორჩენილობის წიაღში, როცა გერმანია ერთ „ხრწნად და ლპობად მასას“ წარმოადგენდა და სადაც „ყველაფერი ირყეოდა დასანგრევად გამზადებული“, გაჩნდნენ ტიტანები — გოეთე, ში-

დერი, მგელი... სხვა... რაღა თქმა უნდა, ამ აზრს განზოგადების დატვირთვა აქვს და სხვა კვირის მსგავს ვითარებასაც იოვალისწინებს. მაინც წერს: როცა იმანუელ კანტის თეორიების შესაბამისად ფრანგებმა ბიურგერული რევოლუცია მოახდინეს, გერმანელი მანსი ჯერაც ჩაჩით დადიოდაო (ამით ხაზს უსვამს გერმანელი ბიურგერის ფილისტერულ ბუნებას, რაც უოველგვარი სიახლისადმი შიშით გამოიხატა).

როგორც ვხედავთ, არც უბადრუკი სოციალურ-პოლიტიკური ყოფა და არც ჩაჩით სიარული აღმოჩნდა დამაბრკოლებელი საიმიოდ, რომ გერმანიაში სიტყვისა და აზრის დიდოსტატები გაჩენილიყვნენ.

ტიპოლოგიური კვლევის დროს ქრონოლოგიურმა საზღვრებმა არ უნდა შეგვზღუდოს. მაგალითისთვის ვაუა-ფშაველასა და იოჰან ვოლფგანგ გოეთეს შემოქმედების ტიპოლოგიური კვლევის დასახელებაც შეიძლება.

შარტალია, გოეთე მე-18 საუკუნის მწერალია უპირატესად, სოლო ვაჟა-ფშაველა მე-19-ში მოღვაწეობდა, მაგრამ გოეთემ სწორედ მე-18 საუკუნეში „დაპუო“ იმდენ ხანს (81 წელზე მეტი), რამდენიც ხანგრძლივად არ უცოცხლია, ან შემოქმედის ცხოვრებით არ უცხოვრია არა ერთ აღმატებულ შემოქმედს, ვთქვათ, ნ. ბარათაშვილს, ფრ. პოლდერლინს, ან მ. ლერმონტოვს. თანაც, რაც მთავარია, სწორედ მე-18 საუკუნეში შეიქმნა თუ არსებითად დასრულდა გოეთეს უმნიშვნელოვანესი შედევრები: „ფაუსტი“ და მისი ლირიკული პარალელი „დახვედეთ-აღმოსავლეთის დივანი“, „ვილჰელმ მაისტერის“ II ნაწილი და „ხულთა არჩევითი ნათესაობა“, „რომაული ელიგიები“ და „ვენების ტრილოგია“... სხვა...

მაგრამ აქ მეორე მომენტია უფრო მნიშვნელოვანი და არსებითიც, ვიდრე ქრონოლოგიაა; ამ ორი მწერლის ტიპოლოგიური კვლევის საფუძველი ისაა, რომ გოეთეს შემდეგ, ფაუსტური იდეების სრული დეინტეგრაციის პირობებში, ვაუა-ფშაველა მსოფლიო მასშტაბის

მწერალია, რომელიც თავისი შემოქმედებით ამ იდეების რეინტეგრაციას, აღმავლობას, აღორძინებას გვთავაზობს. ეს აზრი მიბნეულ კვირულავას ეკუთვნის, რომელიც, უფიქრობ, უნდა გავიზიაროთ.



ახლა მეორე საკითხს შევეხებით: **ქვეყნდობა, რაზეც გოეთე ლაპარაკობს** [ქვეყნდობა] [ქვეყნდობა] [ქვეყნდობა] „საგანძურში ყველა ერის ლიტერატურას თავისი ეროვნული თავისებურება შეაქვსო. მწერალს შეუძლია მიმართოს „ქვეყნდობის“, ეროვნულ, თუნდაც ეთნოგრაფიულ მასალას და აქციოს იგი ისეთ განზოგადოებულ ნაწარმოებად, რომლის გმირები, ვაუა-ფშაველას განცხადებისებრ „მთელი კაცობრიობის საჭიროების მიხედვით იქნებიან შექმნილი“. ილია ამას „კაცად-კაცობის ვრცელს მოცდაზე გადაწვდენას“ ეძახდა. ამგვარი განზოგადების მაგალითი ჩვენს კლასიკურ და თანამედროვე ლიტერატურაში ცოტა არ არის. იგივე რუსთაველი, ვაუა, გალაკტიონი... სხვა.

და ბოლოს — თეორიებზე:

კომპარატივისტიკაში მრავალი თეორიაა. ზოგი გასაზიარებელია, ზოგი არა. ამ დარგში მომუშავენი ვალდებული ვართ ვიცნობდეთ მის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. მაგრამ არც იმის დავიწყება გვმართებს, რომ პირველ ყოვლისა, ფრ. შმელინგის განცხადებისა არ იყოს, „თეორიათა საყოველთაო ინფლაციის“ ეპოქაში ვცხოვრობთ (ლიტერატურულ თეორიებს გულისხმობს). და, მეორეც, პოეზიას, ლიტერატურას ისეთი სახურველი დამთრგუნველ-შემოქმედებითი ძალა გააჩნია, რომ იგი ნებას არ გვაძლევს, მეტისმეტად დავემორჩილოთ, წარმმართველი და „შეამზარებული რეცეპტურის“ დატვირთვა მივანიჭოთ ამ თეორიებს.

აღბათ, ყველას გვჭერა, რომ მაინცდამაინც არისტოტელეს „პოეტიკის“ შემდეგ არ დაიწერებოდა დიდი ტრაგიკოსების დიდი ქმნილებები.

ან რა: კლასიციზტთაგან გამორჩეულთა ჯერ

1 იხ. ჩვენს მონოგრაფია „ვაუა-ფშაველასი და გოეთეს იდეურ-მსოფლმხედველობრივი ურთიერთობისათვის“. (გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1982 წ.).

ბუალო იხწავლეს ძალიან კარგად და შერე და-
იწყეს თავიანთი შედეგების წერა?!

ამ ათიოდე წლის განმავლობაში ჩვენს თვალ-
წინ ჩვენმა თანამედროვეებმა მშვენიერი თარ-
გმანები შექმნეს. აჰ, როგორ მოხდა — ჯერ
ლიტერატურის თეორიას დაეუფლნენ რი-
გიანად და შერე თარგმნეს ვიიონი
და ებრაული პოეზია?! ან რობერტ სტურუამ,
ჯერ პიტერ ბრუკი „ათვისა“ და შერე და-
იწყეს თავისი სრულიად განსაკუთრებული
სპექტაკლების შექმნა?!

მართალია, „იქ“ წმინდა შემოქმედებითი
პროცესია და ზღვარი კი პოეზიასა და მეც-
ნიერებას შორის ოდითგანვე დადებულია, რაც
ცხადია, გაცნობიერებული გვაქვს, მაგრამ შე-
მოქმედებითი მომენტის გარეშე არც ჭეშმა-

რიტი მეცნიერება არსებობს; რომელი მეცნიე-
რული ნაშრომი იძენს ჭეშმარიტ ღირებულებას
და სჭირდება ადამიანს, — ის, რაც მხოლოდ
ლოგიკურ აზროვნებას ექვემდებარება, თუ ის,
რაც აკადემიურობასთან ერთად შემოქმედები-
თი სულით არის აღბეჭდილი?!

თეორიასთან დაკავშირებით, ალბათ, მეტფის-
ტოფელს უნდა დავეთანხმოთ, რომელსაც გოე-
თე ათქმევინებს: „ნაცრისფერია ყველა თეო-
რია, მწვანედ ბიბინებს სიცოცხლის ხე ოქრო-
ცურვილი“.

ეს „სიცოცხლის ხე“ ჩვენი ლიტერატურაა,
რომლის ჯეროვან მსახურებსაც დიდი სული-
ერი ძაბვა და, ალბათ, ზოგჯერ ფანატიზმიც
სჭირდება...





იუგენდობილი და რაინერ მარია რილკეს ადრეული პროზა

რაინერ მარია რილკე უბი-რველესად ორი მონუმენტური პოეტური ციკლის „დუინოს ელეგიებისა“ და „ორფეოსის სონეტების“ ავტორი, სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. დღესდღეობით მისი პიროვნებისა და შემოქმედების ირგვლივ დაწვავებულმა გამოკვლევებმა ლამის დანტესა და შექსპირზე არსებულ ლიტერატურასაც კი გადააქარბონ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რილკე დღესაც ბოლომდე შეუცნობელ, ბევრი თვალსაზრისით „ამოუხსნელ“ მწერლად რჩება. მისი ჩაშინაგანებული, პერმეტული და კოსმიური იდეუმალებით მოცული პოეტური სამყარო, ძნელად აღსაქმელი, მაგრამ ამავე დროს საოცრად რაფინირებული, მისეული თამამი ნეოლოგიზმებითა და განუმეორებელი ხატოვანებით აღსავსე პოეტური ენა, რომელსაც ი. ბრააკი თავის „პოეტიკაში“ „შიფრის“ ცნებას უხადაგებს, დღესაც ბევრ მოულოდნელობასა და სიახლეს პირდება ამ „შიფრის“ ამომხსნელთ.

აღბათ ამიტომაც რილკეს შემოქმედების კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მისი ძირების, პირველი მხატვრული ცდების შეხწავლა უნდა მივიჩნიოთ, რაც კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს მწერლის მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკურ შეხედულებათა ევოლუციის წინააღმდეგობებით აღსავსე, რთულ გზას, გვიჩვენებს აგრეთვე ცალკეულ მხატვრულ ხაზეთა, მოტივთა და სიმბოლოთა დინამიურ განვითარებას.

მაგრამ თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ რილკესადმი მიძღვნილ სპეციალურ ლიტერატურაში თითქმის არ მახვილდება ყურადღება ამ ადრეულ ეტაპზე. მკვლევართა ინტერესს უმთავრესად იწვევს შუა და გვიანდელი პერიოდის რილკე და, თუ ადრეული შემოქმედება მაინც იქცევა ხოლმე მსჯელობის საგნად, ძირითადი აქცენტი პოეზიაზეა გადატანილი, პროზა კი მათი

ყურადღების მიღმა რჩება. ახე მაგ. ა. სტეპენსი რილკეს რომანის „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერების“ ანალიზისას მიზნად ისახავს, რომ კვლევა წარმართოს ადრეულ შემოქმედებაზე დაურდნობით, მაგრამ ძირითადად მწერლის ამ პერიოდის დღიურებისა და რამდენიმე ლექსის მოშველიებით კმაყოფილდება, კ. ჰამბურგერის აზრით კი, „ახალგაზრდა რილკეზე“ ვერ ვიშსაქლებთ ისე, როგორც ვიშსაქლებდით „ახალგაზრდა გოეთეზე“. უფრო ზუსტად, დასძენს იგი, ეს არის „რილკე ნამდვილ რილკემდო“.

შედარებით მეტ ლმობიერებას იჩენს ე. ბუდებერგი, რომელიც თავის ვრცელ ნაშრომში მოკლედ მიმოიხილავს რილკეს ადრეული შემოქმედების ცალკეულ ასპექტებს და ეხება ადრეულ პროზასაც, მაგრამ ბუდებერგს ძირითადად მწერლის მსოფლმხედველობრივი ევოლუციაა ინტერესებს და არაფერს გვეუბნება მისი მხატვრული სტილის განვითარების თაობაზე. ამ ორი ძირითადი ასპექტის ურთიერთქმედების გარეშე კი შეუძლებელია ხელოვანის სამყაროს, როგორც ერთი მთლიანის, წარმოდგენა.

სწორედ ამ თვალსაზრისით იწვევს ინტერესს რაინერ მარია რილკეს ადრეული პროზა. ერთი მხრივ მასში, ამავე პერიოდის პოეზიასთან შედარებით, უფრო მკაფიოდ და მრავალფეროვნად წარმოჩნდება ხელოვანის თვითშეცნობის რთული გზის სათავეები (რომელსაც რ. პრაისნერი „რენე რილკეს ბოჰემიურ სინდრომს“ უწოდებს), მეორე მხრივ კი აქ უკვე იგრძნობა მწერლის მსოფლმხედველობრივი პოზიციისა და მისი მხატვრული სტილის სინთეზის მცდელობა, რაც ამ პროზას დამოუკიდებელ ესთეტიკურ ღირებულებას ანიჭებს.

„ადრეული რილკეს“ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრულ სპეციფიკას პირველ რიგში განსაზღვრავს ის ფაქტორი, რომ მისი სამწერლო დებიუტი ემთხვევა XIX და XX საუკუნეების მი-

ქნას. ლ. დოღვაშვილის შენიშვნით, ეს არ იყო ერთი ისტორიული ეპოქის მორი განსხვავებული პერიოდი, არამედ ერთმანეთს დაუპირისპირდა სწორედ ორი განსხვავებული ეპოქა, ხოლო მათ შორის გარდამავალი საფეხური აღინიშნა სხვადასხვა ესთეტიკური სკოლებისა და მსოფლმხედველობრივ შეხედულებათა მძაფრი შეჭაბებით, რაც, ისევ დოღვაშვილის სიტყვებით, გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე ტიპურ ნიშანს წარმოადგენს...

ქრონოლოგიურად სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა იუგენდშტილის გავრცელება გერმანიაში (დაახლოებით 1893-1895 წლებიდან). ეს იყო ხანმოკლე, მაგრამ სრულიად განსხვავებული ხელწერის მქონე მიმდინარეობა, რომელიც ძირითადად ვრცელდებოდა დეკორატიულ ხელოვნებასა და ნაწილობრივ არქიტექტურაზეც. მაგრამ რამდენადაც იუგენდშტილი ამკვიდრებს სრულიად ახალ გამოშახველობით ფორმებს, იგი გარკვეულად გავლენას ახდენს გარდამავალი პერიოდის ლიტერატურის პოეტიკასა და ხტილზეც. ეს გავლენა კი იმდენად ღრმა აღმოჩნდა, რომ დღეს, კ. შამბურგერის შენიშვნით, ლიტერატურათმცოდნეობა ერთმანეთთან აიგივებს იუგენდშტილისა და ლიტერატურული მიმდინარეობის — ნეორომანტიზმის ცნებებს.

ჩვეულებებისამებრ გერმანული ლიტერატურის ისტორიაში ნეორომანტიკოსებად მიიჩნევენ XX საუკუნის დასაწყისის სამ ყველაზე გამოკვეთილ ფიგურას: შტეფან გეორგეს, შუგო ფონ შოფმანსტალსა და რაინერ შარია რილკეს, თუმცა ეს ორი უკანასკნელი მხოლოდ პირობითად, საწყის ეტაპზე თუ ჩაითვლება ნეორომანტიკოსად.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი საუკუნის მს-იანი წლებიდან მოწვევად გამოკვეთვები, რომლებშიაც ავტორები ხსენებულ მწერალთა შემოქმედების ანალიზისას ჩვეულებრივ მსჯელობენ ე. წ. „ლიტერატურული იუგენდშტილის“ გავლენაზე მათ ადრეულ ნაწარმოებებში. თუმცა რილკეს მიმართ ამას „მსჯელობას“ ვერ დავარქმევთ. მხოლოდ გაკვირით და უმეტესად ძალზე უარყოფითად აფასებენ რილკეს შემოქმედებასთან იუგენდშტილის მიმართებას ო. ფ. ბოლნო, ე. ჰელერი, ბ. აღეზანი, ვ. მიულერი და რილკეს სხვა მკვლევარები.

ე. ჰელერი ერთგან საყვედურობს რილკეს, რომ მისი რომანის ზოგიერთ მონაკვეთს აბუნდოვნებს და მხატვრულად აკნინებს ადრეული პერიოდიდან შემორჩენილი იუგენდშტილის ხელწერა, ასევე ო. ფ. ბოლნოც შენიშნავს, რომ იუგენდშტილის სპეციფიურა დექსიკა თანდათან კარგავს თავის მხატვრულ ფუნქციას და ბოლოს სრულიადაც ქრება რილკეს მკაცრად კონსტრუირებული ენის სფეროდან. მაგრამ რამდენადაც მხგავსი დასკვნები მოკლებულია საფუძვლიან მეცნიერულ ანალიზს, ჩვენი აზრით, ისინი სწო-

რად ვერ აფასებენ იუგენდშტილის როლს ახალგაზრდა რილკეს შემოქმედებაში. ერთადერთი მნიშვნელოვანი ცდას ამ მხრივ წარმოადგენს კ. ბ. ვების ხტატია „ხელოვნებიდან ლიტერატურამდე“. რაინერ შარია რილკეს ლიტერატურული იუგენდშტილი“, რომელსაც ნაწილობრივ დავფრ-დნობით შემდგომი ანალიზისთვის ვუგვრთ.

ამრიგად, ჩვენი მიზანია განვიხილოთ იუგენდშტილის, როგორც დეკორატიული ხელოვნებისა და იუგენდშტილის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის თავისებურებანი და ვნახოთ, თუ როგორ ხდება მათი ტრანსფორმაცია რილკეს ადრეულ პროზაში. რა ცვლილებებს იწვევს იგი ამ პროზის პოეტიკისა და ენის სფეროში და ბოლოს, რით არის იგი მნიშვნელოვანი რილკეს გვიანდელი შემოქმედებისათვის.

„ინდივიდუალიზმის გამოხატულება“ — ამგვარად განმარტავს ნ. პევზნერი იუგენდშტილის ძირითად არსს და სწორედ ეს განმარტება გვინახება იუგენდშტილისა და მისი ლიტერატურული ეკვივალენტის პირველ ხაერთო ნიშნად. ფანტაზიის სრული თავისუფლება, ახალი გამოშახველობითი საშუალებების ძიება და განსაკუთრებული ინტერესი ნაწარმოების (თუ ნაწარმის) გარეგანი ფორმისადმი აერთიანებს ორივე მიმდინარეობას. ამ „ახალი ხელოვნებისათვის“ უცხოა უოველივე ტიპური და მიშბამველობითი: „ხელოვანი თავისი ბუნებით უკიდურესი ინდივიდუალისტია... ნებაყოფლობით იგი არასოდეს არ დაემორჩილება იმგვარ დისციპლინას, რაც მას თავს მოახვევს რაიმე ტიპუს ან კანონს“, — აცხადებს იუგენდშტილის ერთ-ერთი ფუძემდებელი ვან დე ველდე. ასევე შეუწყნარებელია ხელოვნებაში გაბატონებული თანადროული ტენდენციების მიმართ ნეორომანტიზმის ყველაზე გამოკვეთილი ლიდერი შ. გეორგი, რომელსაც სწორედ მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობისა და სრულიად ახალი ესთეტიკური მიმართულების დაფუძნების გამო „ხკანდალურსაც“ კი უწოდებდნენ: „ეპიგონების დაშაქრული ბურჟუაზიულობა განდევნილ იქნა სინამდვილის მოციქულთა უფორმო პლებეურობით, ეს უკანასკნელი კი — პოეტურისა და მშვენიერის აღორძინებით“, — ვკითხულობთ შტ. გეორგესა და მისი წრის მიერ დაარსებულ საპროგრამო უურნალში „ხელოვნების ფურცული“.

ფორმის პირველადობა ასევე ამ ორი მიმდინარეობის უმთავრეს ნიშანს წარმოადგენს. იუგენდშტილი სრულიად ვლინდება ფასადის დეკორატიულ გაფორმებაში, ისევე როგორც ლიტერატურული იუგენდშტილი მეტ უურადღებას უთმობს ნაწარმოების გარეგან მხარეს, მის არქიტექტონიკას, ენის სინატიფებს, ბოლო თემა და შინაარსი აქ მეორე პლანზე გადადის. ნეორომანტიკოსთა ერთ-ერთი საპროგრამო დე-

ბუნება: არა განსჯა-დაკვირვება, არამედ გამო-სახვა.

იუგენდშტილი გამომსახველობით ფუნქციას პირველ რიგში ანდობს ორნამენტს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მის დაახლოებას ფლორასთან. მაგრამ აქ პირველადია არა თავად ბუნება, ლანდშაფტი (როგორც ამას იუგენდშტილის ე. წ. „ნატურალიზტური“ განშტოება თვლიდა), არამედ ორნამენტის სიმბოლური დატვირთვა. მისთვის რაიმე ექსპრესიული ფუნქციის მინიჭება: „ბუნების ფორმები დაუვანილ უნდა იქნას მარტოდენ სიმბოლოებად“, — აცხადებენ ვან დე ველდეს მიმდევრები.

ორნამენტთან ერთად იუგენდშტილში დიდ ყურადღებას უთმობს ძვირფას მორთულობას, სამკაულს. რაც პირველ რიგში ვლინდება წიგნის გაფორმების ხელოვნებაში, მეორე მხრივ კი სამკაულმა ორნამენტთან ერთად გადაწყვეტილი როლი შეასრულა ახალი სტილის დაფუძნებაში: „სამკაული არა მარტო ძვირფასი ქვებისაგან შემდგარი დანამატია, რაც მულობელის შემსუიდელოებით უნარს ააშკარავებს, არამედ სიმბოლური შინაარსით დატვირთული ნაკეთობა, რომელიც მოგვითხრობს“. (გ. შტერნერი).

შეიძლება ითქვას, რომ ეს განმარტება ხავსებით შეესაბამება როგორც დეკორატიული, ასევე ლიტერატურული იუგენდშტილის სპეციფიკას. როგორც ორნამენტი ფახადისათვის, ასევე სიტყვა იქცევა სამკაულად მხატვრული ტექსტისათვის. მაგრამ ფორმალური დახვეწილობის, ბგერითი ეფექტების და მდიდრული ფერების სინთეზი, რაც სიტყვას განსაკუთრებულ ვიზუალურობას ანიჭებს, ამავე დროს მას აქცევს იმ სიმბოლო-მინიშნებად, რაზეც უკვე ორნამენტის მაგალითზე მიუთითებდა ვან დე ველდე. ნეორომანტიკოსთა ენა მდიდარია უესტ-მიშიკით; რომელიც მხატვრულ ტექსტში ენაცვლება დიალოგსა და მონოლოგს. გმირის სულიერი მდგომარეობა უმეტესად გამოხატულია რაიმე მოქმედებით, გაძლიერებული მგრძობელობით და დუმილითაც კი...

შესაბამის სახეცვლას განიცდის ნეორომანტიკოსთა ლანდშაფტიც. სახელდობრ იგი იქცევა გმირის სულიერი განწყობილების ფონად, მაგრამ რომანტიკოსების ე. წ. — „ნატურგედისტის“ საპირისპიროდ და დეკორატიული იუგენდშტილის ესთეტიკური კანონების შესაბამისად აქ ბუნება იცვლება ხელოვნური, ადამიანის მიერ კულტივირებული ლანდშაფტით. ეგზოტიკური მცენარეებითა და აურაცხელი სიმდიდრით ხავსება გვორგესეული ალგაბალის ბაღი. მაგრამ უსიცოცხლოა და ცივი, რაც უფრო წარმტაცია ლანდშაფტი, მით უფრო აშკარად ისახება მის ფონზე ადამიანის სულიერი უმწეობა და სიმარტოვე ძვირფასი ქვების ელვარება თვალს ქრის ზღაპ-

რულ წაღყოტში მიხვედრილ მოფმანსტალის ლირიკულ გმირსაც (ლექსი „ჩემი ბაღი“), მაგრამ იქ გამეფებული ცივი მდუშარება მას აღფრთოვანების ნაცვლად მხოლოდ ხეცდას ბგერის, სევდას იმ „სხვა ბაღზე“, რომელშიაც ქერ კიდევ იგრძნობოდა მიწის სურნელი, ნამდვილი იყო მწიფე მარწყვითა და დილის ნამიყუ...

რაც შეეხება რილკეს, უნდა ითქვას, რომ იუგენდშტილის ხელწერა ლანდშაფტის სახევაში უფრო მისი შუა პერიოდისთვისაა ნიშანდობლივი, ვიდრე ამ ადრეული ეტაპისათვის (პოეტური ციკლი „ახალი ლექსები“ — 1908 წ.). ამ პერიოდში რილკე ზურგს აქცევს ბუნებას, რომლის წიაღშიც მისი ადრეული პროზის გმირები სულიერ თავშესაფარსა და ჰარმონიას ეძიებდნენ და მიმართავს ადამიანის ხელით შექმნილ, „მოაზრებულ“ ლანდშაფტს. აქ მცენარეებიც და ცხოველებიც სწყდებიან თავიანთ ბუნებრივ საწყისს და ადამიანის თვალში ე. წ. „დაკვირვების საგნებად“ იქცევიან. ასეთად წარმოგვიდგებიან „ახალ ლექსებში“ ზოობარკში დამწყვედიული პანტერა თუ ქოთანში გამოყვანილი შორტენზია.

ადრეული პერიოდის მხატვრულ პროდუქციაში კი ბუნება არა მხოლოდ „განივთებულია“ ან ფონის შექმნის ფუნქცია აკისრია, არამედ უშუალოდ მონაწილეობს გმირის სულიერ კოლიზიებში. ალბათ ამიტომაც რილკეს ადრეული პროზის ძირითად სივრცით ელემენტს წარმოადგენს ტყე. სწორედ აქ აფარებენ თავს გარე სამყაროს სისასტიკით დათრგუნული რილკესეული გმირები: ელიზაბეტი („შობის მეკვლე“), ბერგერი და მთხრობელი („და მაინც სიკვდილში“), გაუდოლფი და ფელიცია („მიცვალეული“). ყველა შემთხვევაში ტყე აღიქმება, როგორც გასულიერებული, ზღაპრულ-რომანტიკული ლანდშაფტი, რომელიც უნისონს ქმნის ადამიანის შინაგან, ინტიმურ საწყისთან. სწორედ ამიტომ ფელიციასთან პირველივე შეხვედრისას გაუდოლფი ასკვნის: „თქვენც ჩემსავით მარტოდმარტო მიდინხართ ტყეში, ფროილან ფელიცია, მშვენიერ ტყეში“...

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხრობები იუგენდშტილის ტიპური ხელწერითაა შესრულებული, ლანდშაფტის აღქმის განსხვავებული მანერა მიგვითითებს, რომ რილკეს ადრეული შემოქმედება მთლიანად ვერ თავსდება იუგენდშტილის ფარგლებში. აქ ვერც ბოლნოს აზრს დავეთანხმებით, რომ თითქოს „ლანდშაფტი ხვერთოდ უცხოა რილკესათვის“...

ახლა განვიხილოთ რილკეს ადრეული პროზის რამდენიმე ნიმუში და ვნახოთ, როგორ ხდება მათში იუგენდშტილის სხვა თავისებურებათა ტრანსფორმაცია.

ერთ-ერთ ყველაზე ტიპურ მაგალითს წარმოადგენს მოთხრობა „ბედისწერა“ (1898 წ.)

მოთხრობის ცენტრში ექცევა მოცდევადე ქალის ფიგურა, რომელიც ლიტერატურული და დეკორატიული იუგენდშტილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოტივს წარმოადგენს: „რილკეს იზიდავს მოცდევადე გოგონას ხშირად გამოყენებული მოტივი... ქალის გამომეტყველება და მოძრაობანი... ციკვის ეროტიული რიტმი... წარმოგვიდგინენ იუგენდშტილის ნიშნებს.“ (კ. ე. ვები).

„მოხმარების საგნებზე ქალის ფიგურის გამოსახვა მე-19 საუკუნის ტრადიციის იყო და იუგენდშტილისთვისაც ერთობ მიმზიდველი გახლდათ. (ნ. პევზნერი).

მოთხრობაში სამი მოქმედი პირია: ბოშა ქალი ტიანა, მისი ქმარი კრალი და გლეხი პროკოფი, რომელსაც უყვარს ტიანა, მაგრამ, იგი მიუხედავად თანაგრძნობისა, საკუთარი ნებით რჩება ქმართან.

სიუჟეტური მონახაზი ერთი შეხედვით მოითხოვს დაძაბულობით აღსავსე დიალოგურ მეტყველებას, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ლიტერატურული იუგენდშტილის სპეციფიკის შესაბამისად, მხატვრულ ტექსტში მას უნდა ენაცვლებოდეს რაიმე მოქმედება, ჩვენს შემთხვევაში კი — ტიანას ციკვა, რომელიც გამოხატავს სწორედ ქალის მძაფრ ვნებათღელვას, მის სიყვარულს. ხოლო პერსონაჟთა მეტყველება, რაც მაინც გვხვდება მოთხრობის ზოგიერთ მონაკვეთში, ან ძალზე უფერული და არაფრისმთქმელია, ან ერთობ ლაკონიურად მიგვანიშნებს ძირითად სათქმელზე:

„რა გხურს?“ — ამოიკვნესა მან.

ტიანამ წყნარად გაიღიმა: „ციკვა“.

ტიანას მორცხვად წარმოთქმული სიტყვა კრალზე გამარჯვების საწინდარიც ხდება. და მართლაც, ქალის ეროტიულ მოძრაობებში, მის ფრთხილით გაშლილ ხელებსა და უცხო ღიმილში ჩაქსოვილია არა მარტო სიყვარული, არამედ კრალზე გამარჯვების ზეიმიც, თავისუფლებისა და ბედნიერების წყურვილი. ხაინტერესია, რომ ციკვის ფუნქციის გაძლიერებასთან ერთად დინამიურ სახეცვლას განიცდის კრალის მხატვრული პორტრეტიც. უურადღებას იქცევს პირველ რიგში ამ პერსონაჟის სახელის — კრალის — ეტიმოლოგია, რაც ჩებურად „მეფეს“ ნიშნავს. მოთხრობის პირველ ეპიზოდში ტიანას ახეც წარმოუდგენია ძლიერი კრალი, რომლის ზორბა სხეული არა მარტო ცოლს, არამედ შთელ არემარესა და ცახაც კი გადაფარავს, მაგრამ ციკვის მომენტში ქალი თავად მალღდება შთელს ქვეყანაზე, კრალი კი თითქოს ერთბაშად წიავდება და მონას ეშხავსება.

ნეორომანტიკული ლანდშაფტის საპირისპიროდ ტიანას ზეიმში მთელი არემარე მონაწილეობს. უველაფერი მას შეჰხარის: უვაგილები, შემოდგომის საღამო, მინდვრის წიაფი თუ პირვე-

ლი ვარსკვლავი. ამავე დროს მხატვრულ ქსოვალში ჩართული ნეორომანტიკოსთა შემოქმედების განუყოფელი თანამგზავრი — შემოდგომის მოტივი, წინასწარ ამზადებს მკითხველს სევდიანი ფინალისათვის.

ლიტერატურული იუგენდშტილის ტიპური ხელწერითაა შესრულებული მოთხრობის შემდეგი ეპიზოდებიც. მაგ. ტიანას ციკვა გადაიზრდება სევდიან მელოდიაში, რომელსაც მოვერცხლისფრო ბინდებუნდში შემოაყვავს პროკოფი. (აქ ხაზი უნდა გაეხვას, რომ პროკოფი კი არ შემოდის ხიმღერით, არამედ სწორედ სიმღერა უძღვის წინ მის შემოსვლას, ხოლო ვაჟის სილუეტის შემოდგომის ბინდში გამოჩენა კიდევ უფრო ამძაფრებს შეყვარებულთა მოახლოებული განშორების შეგრძნებას). აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მოთხრობის კულმინაციურ წერტილში — კრალისა და პროკოფის შეხვედრის ეპიზოდში — მოქმედება მკითხველისათვის მოულოდნელად კი არ მძაფრდება, არამედ პირიქით, მთლად მინიმუმამდე დაიყვანება. მოქმედები ერთხანს მდუმარედ შეზუპრებენ ერთმანთს, შემდეგ კი ტიანა მორჩილად მიჰყვება ქმარს. ამ ეპიზოდში ძირითად მხატვრულ ფუნქციას ასრულებს პაუზა, ე. წ. „სიჩუმის კომპლექსი“, რომელიც, ა. კარელსკის აზრით, რილკეს პოეტიკის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს... მაგრამ როცა ბედს დამორჩილებული ტიანა ახევე მდუმარედ მიჰყვება კრალს, აკუსტიკურ-ვიზუალური ელემენტები კვლავ ამოძრავდებიან: ჩუმი წიაფი იხევ გადაუფრენს ტრიალ მინდორს, წყნარად შრიალებენ ფოთლები, საღაც მირაკრაკებს ნაკადული და ღამის სიმფონიას აგვირგვინებს ხიდან ვაშლის ჩამოვარდნის ხმა, როგორც სიმბოლო ტიანას გულიდან ამოგლეჯილი სიყვარულისა...

ამავე კონტექსტში შეიძლება მოვიხსენიოთ შტ. გეორგეს ლექსიც „სევდიანი ციკვები“, მაგრამ ციკვა, როგორც საკუთარ თავზე ამალღების სულიერი ძალების გამოღვიძება-განთავისუფლების სიმბოლო, აქ თავიდანვე ამოცხიისთვისაა განწირული:

გულისტკივილი და ეს სიმძიმე: განდევნის, რაც ოდესღაც იყო ახლო და ჩემი. ამაოდ გაწვდა ხელებისა იმისკენ, რაც უმაღლ მოლანდებდა.

თუ განხილულ მოთხრობაში ადამიანური ვნებათღელვა გამოხატულია ტიანას სულისშემძვრელი ციკვით, იგივე გრძნობა მოთხრობაში „უველა ერთში“ გადმოცემულია ხეიბარი ვერნერის თავდაუზოგავი მუშაობით.

მოთხრობას პაროდულ ელფერს ანიჭებს ის ფაქტი, რომ ხეიბარი ვერნერი, რომელიც დღე და ღამე წმინდა მარიაშის გამოქანდაკებას უნდ-

ება, საერთოდ არ არის ნამყოფი ეკლესიაში და, მაშასადამე, არ უნახავს წმინდანის გამოხატულება. (აქ კიდევ ერთხელ შედავნიდება რილკეს ორპოფული პოეზია ქრისტიანული სარწმუნოებისადმი) მისი შთაგონების წყაროს კი ბავშვობისდროინდელი მეგობარი ანა-მარია წარმოადგენს (აქედან: ქალის კრებითი ხახელი ანა-მარია). მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხეივანი ანა-მარიას გათხოვების ამბავს შეიტყობს, ხდება მკვეთრი შემობრუნება: მარიაში და არა ანა-მარია! არა ყველა — ერთში, არამედ მხოლოდ ერთია! დავრწმუნდები ახალი ძალითა და შთაგონებით იწყებს წმინდანის გამოქანდაკებას, მაგრამ არაფერია აღამიანურ გრძობაზე უფრო ძლიერი: ქანდაკებიდან ისევ და ისევ ანა-მარიას თვალები იშწი-რებიან. მაშინ ხასოწარკვეთილი ვერწერი ხელ-ებს გადაიხერავს.

ამრიგად, უკვე შეიძლება ითქვას, რომ რილკეს ადრეული მოთხოვნები აშკარად პასუხობენ იუგენდშტილის ძირითად მოთხოვნებს. მხატვრულ ქსოვილში სიტყვის ადგილს იკავებენ ექსტ-შიშიკა, აკუსტიკურ-ვიზუალური საშუალებები და, როგორც ვნახეთ, დუმილიც კი. ხოლო მოთხოვნის ყველაზე მნიშვნელოვან მონაკვეთში დიალოგი და მონოლოგი უარყოფილია. აღსანიშნავია, რომ ამავე 1898 წელს რილკე აქვეყნებს ორ პუბლიცისტურ წერილს „მონოლოგის მნიშვნელობა“ და „კიდევ ერთხელ, მონოლოგის მნიშვნელობაზე“, „რომლებშიაც იგი ექვის ქვეშ აყენებს სიტყვის ყოვლისშემძლეობას და უპირატესობას ანიჭებს სიტყვის შიდა განზომილებას, რომლის წვდომაც მხოლოდ „სულის სფერო-თი“ შეიძლება...“ იუგენდშტილის ზოგიერთ თავისებურებას ეძღვნება რილკეს სხვა პუბლიცისტური წერილებიც: „მიუნჰენური წერილი“, „კიდევ ერთი მიუნჰენური წერილი“, „ხელოვნების შესახებ“ და სხვ.

მნიშვნელოვან სიახლეებს ვხვდებით რილკეს მოთხოვნათა ენობრივ ასპექტშიც. რამდენადაც აღწერილობითი ხასიათის მინიჭებისათვის იუგენდშტილის სპეციფიკა თხოულობს შესაბამის ცვლილებებს წინადადების სინტაქსურ და სემანტურ სფეროში. კერძოდ, წინადადების წყობაში აქცენტი გადატანილია განსაზღვრებებსა და ზმნიზედებზე, რის შედეგობითაც, კ. ე. ვების სიტყვებით, ხდება ქვემდებარისა და შემასმენლის „შევიწროება“, მაგრამ ძირითადი აქცენტი მაინც ზმნის ფუნქციის შესუსტებაზეა დამყარებული. რილკე ირჩევს გარდაუვალ ან უკუქცევით ზმნებს, რომელთა გავლენას თავის მხრივ ახსნებს განსაზღვრებათა მთელი წყება... და ბოლოს, ზმნის ფუნქციის შესუსტება ან საერთოდ მისი უარყოფა იწვევს შესაბამისად როგორც გრამატიკული ასევე მხატვრული დროის მოხსნას ზოგიერთ ნაწარმოებში. საერთოდ კი

იუგენდშტილის პერიოდის ლიტერატურა სათბრობ დროდ ირჩევს პრეზენტს ან იმპერფექტს, რომლებიც უფრო განზოგადოებულ, ფართოდროთ ასპექტს მოიცავენ, ვიდრე პერფექტი და პლუსკვამპერფექტი.

ყოველივე ზემოთქმული თავს იჩენს რილკეს თუნდაც ისეთ მცირე ზომის პოეზიულ ჩანახატში, როგორცაა „ფანტაზია“ (Fantasie) ბილია, უფრო ზუსტად კი — „მეგობრული გემზე“. პირველივე სიტყვა მთხოველის მიერ ხაზგასმული — „ემიგრანტების გემი“ მიგვანიშნებს, რომ „ფანტაზიის“ მიღმა ხავსებით რეალური „სოციალური სატკივარი ამოიკითხება: „მდიდრები მოცინარნი, მოსეირნენი, მოქვიფენი. ქვემოთ, ღრმა კვამლით დამძიმებულ კაიუტებში, ხადაც მხოლოდ გამჭვარტლული ნავთის ლამფა წარმაცად ანათებს — ღარიბები. კაცები, ქალები, ფერწახულნი, გულმოსულნი, დაოსებულნი“. ეს არის ჩანახატის პირველი ხურათი, რომელსაც აღწერილობითი ხასიათს ანიჭებს განსაზღვრებათა უხვი გამოყენება და ზმნის ხმარების ერთადერთი შემთხვევა („ანათებს“). შესაბამისად კონტრასტულია თხოობის რიტმიც. თუ მდიდართა დაღბინებული ყოფის სკენა გამოხატულია ლაკონიურად, განსაზღვრებათა გამოყენებით, ხადაც მარცვალთა და მორფემათა თითქმის თანაბარი რაოდენობაა, მეორე ხურათში რიტმის პარმონიულობა ირღვევა და დუნდება, ხოლო ჩართული ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ხაზს უხვამს ღარიბთა უღიმღამო ყოფას. აქვე შეიძლება დავიმოწმოთ ფ. მარტინის მოსაზრება, რომ „რილკეს თხოობის უაღრესი რიტმი თავად არის უშუალო მთხოველი“.

ჩანახატის შემდეგ ეპიზოდებში დომინირებს მზერის მოტივი, რომელიც, იღებს რა სათავეს რილკეს ადრეული მოთხოვნებიდან (ისევე, როგორც მისი საპირისპირო — სიბრძავის მოტივი), გასდევს მთელ მის შემოქმედებას და მნიშვნელოვან ფუნქციას იძენს როგორც „მალტეში“, ასევე ძირითად პოეტურ ციკლებში. თუმცა მზერის მოტივის სახეცვლა ჩვენს შემთხვევაში ერთი მხატვრული ტექსტის ფარგლებშიაც ხდება. ჩანახატის ძირითადი ეპიზოდები ეთმობა გემის ერთ-ერთი მგზავრი ქალის პორტრეტს, რომლის ერთ მთლიანობაში აღქმას სწორედ მზერის მოტივი განაპირობებს. თუ პირველ ეპიზოდში ქალის თვალბში იმედსა და რწმენას დაუსადგურებია, მეორე მონაკვეთში უფრო ღრმავდება მისი მზერის მიზანი: შეიცნოს ცხოვრების არსი და საიდუმლოება. ხოლო ბოლო ხურათში მზერის ფუნქცია რეალობის ტრაგიკულ შემეცნებაში დაიყვანება. აქ კვლავ წინა პლანზეა ქალის მზერა, მაგრამ ახლა უკვე ამაო ძიებითა და ლოდინით დაღლილი, ჩამქრალი: „ხანდახან უძილო ღამეებში მელანდეებიან ეს თვალბი...“

დახ, ეს თვალები, მოღლილი, სიკვდი-
ლის წყურვილით სავსე, — გვაშინებს
მთხრობელი. ამ ეპიზოდში და ხაერ-
თოდ მთელ მოთხრობაში შემთხვევითი არ უნ-
და იყოს „ავტორის ხატის“ გამოჩენა, რადგან
აქ დასმული პრობლემები ამ პერიოდში განსა-
კუთრებით აქტუალურია რილკესათვის. მეორე
მხრივ კი მთხრობელის პოზიცია ყოველთვის
ემხატურება ნაწარმოების მხატვრული სტრუქ-
ტურის სხვადასხვა დონეების ერთიანობას, მათ
ერთ მთლიანობაში აღქმას.

ამრიგად, განხილული მოთხრობის ერთ ვრცელ
სიბრტყეში მოქცევას განაპირობებენ მწერის
მოტივი (თავისი მსოფლმხედველობრივი დატ-
ვირთვით), ავტორის ხატი (როგორც მხატვრუ-
ლი სტრუქტურის მორგანიშნებელი ცენტრი),
ენობრივი დონე, რიტმიზაცია (როგორც გარე-
განი ფორმის, მისი ექსპრესიულობის ხაზგასმის
საშუალებანი). ამასთან, მიღებული სურათიდან
აშკარაა, რომ, როგორც უკვე ლანდშაფტის თა-
ვისებურმა ხელწერამ გვიჩვენა, იუგენდშტილის
პრინციპთა საწინააღმდეგოდ, რილკეს ადრეული
პროზისათვის ფორმა თვითმიზანი კი არ არის,
არამედ მის მიღმა გარკვევით ამოკითხება
მწერლის მსოფლმხედველობრივი პოზიცია, ადა-
მიანური სატყვივარი, რაც აშკარად მიუთითებს
რილკეს მცდელობაზე, ამ ადრეულ პერიოდშივე
გაემიჯნოს იუგენდშტილს და საკუთარი, დამო-
უკიდებელი გზა ეძიოს.

მაგრამ მიუხედავად ამისა, იუგენდშტილმა
გარკვეული დადებითი როლი ითამაშა მწერლის
მხატვრულ-მსოფლმხედველობრივ ფორმირება-
ზე. რილკეს გვიანდელი შემოქმედების განუყ-
რელ თანამგზავრებად იქცევინა მისთვის ისეთი

მნიშვნელოვანი მოტივები, რომლებიც სწორედ
იუგენდშტილის პერიოდიდან იღებენ სათავეს.
ცხენია: შემოდგომის, მწერის, ცეკვის, სიბრმა-
ვშ მოტივები, რომელთა ათასგვარ ინტერპრე-
ტაციას ვეღარ აუღის „მალტეს“ „სონეტებისა“
და „ელეგიებისადმი“ მიძღვნილი კრიტიკული
ლიტერატურა.

აგრეთვე სავარაუდოა, რომ სწორედ დეკორა-
ტიული იუგენდშტილის ერთ-ერთმა სატყვიუ-
რმა ნიშანმა — უბრალო მოხმარების საგნები-
სადმი გაძლიერებულმა ინტერესმა — განსაზ-
ღვრა შემდგომში რილკეს მიმართება და განსაკ-
უთრებული სიმპათია ადამიანის ხელით დამზა-
დებული, ხელოსნური შრომით შექმნილი საგ-
ნებისადმი, რომელთაც ფაბრიკული წესით გა-
მოშვებულ მასიურ პროდუქციასთან შედარებით
ჭერ კიდევ ძალუძთ შეინარჩუნონ თვითმყოფად-
ობა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ იუგენდ-
შტილი უეჭველად წარმოადგენს მნიშვნელოვან
იშპულსს „ადრეული რილკესათვის“, მისი სა-
ფუძვლიანი ანალიზი უფლებას გვაძლევს იგი
მწერლის გვიანდელი შემოქმედების ერთ-ერთ
წყაროდაც კი მივიჩნიოთ. ხოლო, თუ ახალგაზრ-
და რილკე მთლიანად „ვერ თავსდება“ იუგენდ-
შტილის ფარგლებში და იმთავითვე საკუთარ
პრიზმაში გარდაქმნის მას, მხოლოდ და მხო-
ლოდ ამართლებს მკვლევარ ვ. ბელის სიტყ-
ვებს: „პოეტის გენია იმდენად ცვალებადია,
იმდენად არამყარია, რომ შეუძლებელია მისი
დამწყვდევა რომელიმე სკოლაში ან იდეათა
ნაკადში“.



თანამედროვე აფრიკული თეატრი

თანამედროვე აფრიკული თეატრის არსი მთლიანად გასაგები იქნება, თუ ღრმად გადავხედავთ ქვეყნის ისტორიულ წარსულს. აღსანიშნავია, რომ შავი აფრიკის ხალხების ისტორია, ლიტერატურა და ხელოვნება ჩამოყალიბების პროცესშია. ქვეყანა ვითარდება, ძლივს მის წინაშე შექმნილ წინააღმდეგობებს. ლიტერატურა და ხელოვნება მეტად ახალგაზრდაა, რომელიც იქმნება სხვადასხვა ენებზე, მათ შორის ევროპულ ენებზეც.

თანამედროვე აფრიკულ ლიტერატურაში არ შეიმჩნევა დამწერლობის ხანგრძლივი ტრადიცია, აზროვნების სქემა და ფორმა, არც ბრძოლა ძველსა და ახალ ხელოვნებას შორის — კლასიციზმს, რეალიზმს და სიურრეალიზმს შორის. აფრიკელ მწერლებს არ ეცალათ ტრადიციების შესაქმნელად, აფრიკული ლიტერატურა ეს არის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობისათვის. ეს კომპონენტი აფრიკულ ლიტერატურას აქცევს მსოფლიოს პროგრესულ ლიტერატურად. იგი ღრმად იჭრება ხალხთა გულელებში და იბრძვის აფრიკის ხალხების უკეთესი მომავლისათვის.

თანამედროვე აფრიკული თეატრის არსებობა დამოკიდებულია ადგილობრივ მწერალთა შემოქმედებაზე, რომელთაც გზა გაუკაფეს თეატრის ღრმად დაფუძნებას ქვეყნის ცხოვრებაში. აფრიკულ თეატრს ჰქონდა ჩავარდნის პერიოდები, ვინაიდან დრამატურგთა მიერ წარმოდგენილი მახალები უშეტეს შემთხვევაში არ ექვემდებარებოდა პუბლიკაციას. ასეთივე ბედი ჰქონდა უნივერსიტეტის და კოლეჯების თეატრებს, რადიოსა თუ ტელევიზიას, ე. ი. ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც მთელ კონტინენტს მოიცავს.

ფრიითაუნში, სიერა ლიონაში არის ბევრი თეატრალური ჯგუფი, რომლებიც დგამენ საკუთარ ნაწარმოებებს სცენაზე, ახალგაზრდულ კლუბებში და კულტურული საზოგადოების წრეებში.

იბადანში და ნიგერიაში ადგილობრივი რადიო და ტელევიზია აქტიურად წარმოდგენს დამწყებს მწერალთა დრამებს მთელ კონტინენტზე. ყველა სკოლა და უნივერსიტეტი დიდ მონაწილეობას იღებს თეატრალურ ცხოვრებაში, აქ პოპულარიზაციას უწევენ საკუთარი ძალებით შექმნილ პიესებს. ასეთი თეატრალური ჯგუფები დადებით გავლენას ახდენენ აფრიკული თეატრის ჩამოყალიბებაზე, რომლებიც თავის მხრივ დიდ პროპაგანდას უწევენ ქვეყნის განათლებას, ტრადიციულ დღესასწაულებს და სხვა მრავალ ღონისძიებას. ძირითადად თეატრები და ადგილობრივი ჯგუფები მიმართავენ დახვედრულ და აღმოსავლეთ აფრიკის ინგლისურ და ფრანგულენოვან დრამატურგთა შემოქმედებას, რომლებსაც აფრიკული თეატრის და აფრიკული დრამის სახელი გააქვთ თავიანთი ქვეყნის გარეთ. ეს პიესები ძირითადად ებმურებიან აფრიკის ისტორიულ და კულტურულ საკითხებს.

აფრიკის ქვეყნებში ინგლისური და ფრანგული ენა გახდა სახელმწიფო ენად. მწერლები და დრამატურგებიც უცხო ენაზე ქმნიან თავიანთ ნაწარმოებებს. უცხოურმა ზეგავლენამ თავისი კვალი დაამჩნია აფრიკულ ხელოვნებას, რასაც ევროპის პოლიტიკურმა ძალამაც არ დააკლო ხელი.

თანამედროვე ეროვნულ აფრიკულ თეატრს არ გააჩნია მდიდარი გამოცდილება, იგი დგას თავისი განვითარების საწყის საფეხურზე. აფრიკელი დრამატურგების პიესებით დატვირთული თეატრი თანამედროვეა ფორმით, შინაარსით კი ეროვნული. პიესების ავტორები უშეტესად ახალგაზრდები არიან. 1970 წელს აფრიკის დრამის ფესტივალზე წარმოდგენილი პიესები დაწერილი იყო უმთავრესად ინგლისურ და სუაბილის ენაზე, სიუჟეტი კი ძირითადად აფრიკულ თემებზე იყო შექმნილი. აღსანიშნავია, რომ ახალ-

განრდული აფრიკული თეატრები მეტად ფუნ-
ქციონალური და აზარტულნი არიან. ზოგიერთ
მათგანს საკუთარი შენობაც კი არ გააჩნია. შე-
ნობების უქონლობა გამოწვეულია არა უსახს-
რობით — მათი აზრით, თეატრი თავისუფალია
და ადვილად ეგუება ყოველნაირ ფიზიკურ მდგო-
ნარობას.

თეატრალური ხელოვნების განვითარების ახა-
ლი ეტაპი დაიწყო საუკუნის შუა წლებიდან. აფ-
რიკის ქვეყნების გმირული ბრძოლა დამოუკი-
დებლობისათვის ხელს უწყობს ხალხის ეროვნ-
ული თვითშეგნების ჩამოყალიბებას. ადგილობ-
რივი ინტელიგენციის მაღალი ფენა თავისუფლ-
დება დასავლეთის კულტურის ბრმა მიმდევრ-
ობისაგან, ცდილობს განავითაროს თვითმყოფა-
დი ეროვნული კულტურა.

აფრიკული თეატრის ფესვები აღმოცენებუ-
ლია ძველ რიტუალებზე, რელიგიაზე. ეს ტრა-
დიცია თავს იჩენს თეატრის რეპერტუარშიც.
თეატრებში განხორციელებული ყველა სპექტა-
კლი მეტყველებს ამაზე. შეიძლება აღვნიშნოთ
ვ. შონკას პიესები, რომლებშიც სიმბოლიზმი
უკავშირდება დღევანდელობას და თან პარალ-
ელს ავლებს ძველ რიტუალებთან.

აფრიკელ მაყურებელს იზიდავს სპექტაკლები,
რომლებიც იმართენ თეატრების ჩვეულებრივ
შიდაეზოებში ანდა ნაუცხადევად აშენებულ სცე-
ნებზე, მაგალითად, განას დრამის სტუდია აკრა-
ში. დემას ნვოკომ, შესანიშნავმა ნიგერიელმა
მსახიობმა, რომელიც ამავე დროს გახლავთ თე-
ატრის დიზაინერი და არქიტექტორი (იბადანის
უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების გან-
ყოფილების წევრი) შექმნა პატარა დრამის ცენ-
ტრი. ეს ცენტრი გადაიქცა პროფესიული თეატ-
რის მსახიობების თავშესაფარად. აფრიკაში გავ-
რცელებულია მოხეტიალე თეატრალური დასები,
რომლებიც დაკომპლექტებულია ქვეყნის სხვადა-
სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებისაგან. ამ
თეატრებს ეწოდება „თეატრი ბორბლებზე“.
პროფესიული მსახიობების დასი დიდი ხა-
ნია არსებობს აფრიკაში. ამ დასის მსახიობები
ხშირად თავს იყრიან მოხეტიალე ჯგუფებშიც.
მაგ: რობერტ სერუმავას აბაფუმუს დასში ძი-
რითადად მოღვაწეობენ პროფესიული მსახიო-
ბები, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ ერთი ძირითა-
დი კოლექტივი. იბადანის უნივერსიტეტის ბაზა-
ზე არსებობს პროფესიულ მსახიობთა დასი, მა-
გრამ ისიც სპორადულია.

ჩრდილოეთ აფრიკაში დარ-ეს-სალამე ერთად-
ერთი უნივერსიტეტია, რომელშიც ჩამოყალი-
ბებულია თეატრალური ხელოვნების ფაკულ-
ტეტი. ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი
იწოდებიან პროფესიონალ მსახიობებად. ისინი
მართავენ წარმოდგენებს ჩრდილოეთ აფრიკის
სხვადასხვა ქალაქების სკოლებში და ფართო

აუდიტორიის წინაშეც. ნაირობის (კენია) უნი-
ვერსიტეტში არსებობს ხაკონსულტაციო საბჭო,
რომელიც დიდ დახმარებას უწევს მსახიობთა
დასებს თეატრალური ხელოვნების დანერგვაში.
ზამბიის უნივერსიტეტის ახალგაზრდულ-დრამა-
ტულ საზოგადოებას აქვს საკუთარი ღია თეა-
ტრი — ჩიკვაკვას თეატრი. ეს კოლექტივი აუა-
ლიბებს თეატრალურ წრეებს ზამბიის სხვადა-
სხვა რაიონებში.

თეატრალური ხელოვნებისადმი დიდმა ინტე-
რესმა გამოავლინა უცხოური პიესების ბევრი
კვალიფიციური მთარგმნელი. ტანზანიის პრეზი-
დენტმა ჯულიუს ნერერემ თარგმნა შექსპირის
პიესები „ვენეციელი ვაჭარი“ და „იულიუს კეი-
სარი“ სუახილის ენაზე, ხემ ს. მუშინმა კი „მაკ-
ბეტი“ და „ქარიშხალი“. შექსპირის პიესების თა-
რგმნამ დიდი ინტერესი გამოიწვია აფრიკის
ინტელიგენციაში. ისინი სიხარულით აღნიშნავ-
დნენ, „რა ბედნიერებაა იქდე კამპალის, უგანდ-
ის ან განას უნივერსიტეტის თეატრის ამფითეა-
ტრში და სცენიდან კი კახიო სუახილის ენაზე
გესაუბრებოდესო“. შექსპირი აფრიკაში პირ-
ველად დაიდგა 1907 წლის 5 სექტემბერს ინგ-
ლისის ერთ-ერთ გემზე სიერა-ლიონეს ხანაპი-
როზე. სპექტაკლს ესწრებოდა გემის მთელი
ეკიპაჟი.

დასავლეთ აფრიკის ქვეყნებიდან თეატრალ-
ური ხელოვნება შედარებით განვითარებულია
ნიგერიაში, სადაც მოღვაწეობს ცნობილი დრა-
მატურგი ჰუბერტ ოგუნდა. მისი ნაწარმოებები
თეატრალურ სამყაროში გამოჩნდა 1940 წლი-
დან. მ. ოგუნდას პირველ ლიტერატურულ ნა-
წარმოებს არ ჰქონდა დიდი წარმატება. შემდგომ
პიესებს კი სახელი გაუთქვეს მსახიობებმა ლედი-
პომ და ოგუნდომლამ. ჰუბერტ ოგუნდა თვით იყო
დრამატურგიც, მომღერალიც, კომპოზიტორიც,
მთხრობელიც და მსახიობიც. მისი სათეატრო
რეპერტუარიდან ცნობილია — „გასეიჩნება ცა-
ზე“, „მისტერ ეშმაკის ფული“, „პური და
ტყვია“. ეს ბოლო ნაწარმოები პოლიტიკური
ხასიათისაა. პიესა დაწერილია 1951 წელს, მასში
ასახულია აღმოსავლეთ ნიგერიაში მომხდარი
შეტაკება, რომელშიც მოკლეს ნიგერიის გმირი
ჰუბერტ მაკაული.

შეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ,
ნმ-იანი წლებიდან, იწყება აფრიკის ყველა რე-
გიონის თეატრალური ხელოვნების განვითარე-
ბის ახალი ეტაპი. ადგილობრივი ინტელიგენციის
მაღალი ფენა თავისუფლდება დასავლეთის კუ-
ლტურის ბრმა მიმდევრობისაგან, იგი ცდილობს
განავითაროს თვითმყოფადი ეროვნული კულ-
ტურა. მ. ოგუნდა მუშაობდა ოპერისა და დრამის
უანრში. მისი ლიბრეტოებით და სცენარებით
იდგმებოდა სპექტაკლები იორობას თუ ალა-
რინჯოს თეატრებში. მის ნაწარმოებებს სიამო-

ვინებით იღებდა უკველა თეატრი და მათურებელიც სიამოვნებით უყურებდა ამ პიესებში წარმოდგენილ ნიგერიის ხალხთა რიტუალებს. უკველა თეატრის სცენაზე მსახიობები მათურებლის წინაშე ნიღბებით გამოდიან. აღარინჯოს თეატრი გამონაკლისს წარმოადგენს. ამ თეატრში პროფესიონალი მსახიობები იხსნიან ნიღბებს და აცნობენ მათურებელს თავიანთ პიროვნებას.

ერთ-ერთი ცნობილი კრიტიკოსი იბუნ ქლარკი წერდა ოგუნდაზე: „ბ. ოგუნდა იწოდება თეატრის პაპად“. ნიგერიელი დრამატურგი ვოულ შონკა ოგუნდას უწოდებს „ნიგერიის თეატრის უბუცეს წარმომადგენელს“. იგი ხიბლავდა მათურებელს თავისი პროფესიონალიზმით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბ. ოგუნდა ხშირად ეხმარებოდა პოლიტიკურ თემას. მან თავისი ნაწარმოები „იურობა რონუ“ მიუძღვნა დასავლეთ ნიგერიის მთავრობას. პიესაში აღწერილია ამ რეგიონის პრემიერის ეკინტოლას მოღვაწეობა. მეტად სერიოზული საკითხები განიხილება პიესაში „აჯანუბა და შიმშილი“. სათაური თვითონ მიგვანიშნებს პიესის ძირითად შინაარსზე. მეტად ხაინტკერესოდაა პიესაში აღწერილი სცენა, როდესაც ღარიბი, მშვიერ-მწყურვალ ხალხი მიდის „შიმშილის ბაზარში“ სურსათის საყიდლად, ისინი ხელცარიელნი ბრუნდებიან ბაზრიდან ხიმღერით. ამ ხიმღერას ლეიტ-მოტივად გასდევს ის აზრი, რომ მთელ ქვეყანაში ხალხი იხოცება შიმშილით, რომ ქვეყნის მმართველობა გადაგვარდა და საჭიროებს გამოსყვლას. ბ. ოგუნდოლა იყო ერთ-ერთი წამყვანი დრამატურგი და პიროვნება, რომელზეც იყო დამოკიდებული ნიგერიის თეატრის ბედი. იგი გარდაიცვალა 1972 წ.

ბ. ოგუნდოლას საქმე გააგრძელეს კოლა ოგუნდოლამ, რომელიც ხელმძღვანელობს მოხეტიააღერ თეატრს, და დურო ლედიპომ, რომელიც უძღვება ეროვნულ თეატრს. ისინი მოღვაწეობდნენ აგრეთვე იურობას ოპერის დასშიც. დურო ლედიპომ თავისი შემოქმედება, შეიძლება ითქვას, უძღვნა ძირითადად იურობას ისტორიას. მისი ნაწარმოებების („მეფეს არ აბრჩობენ“, „აჩრდილების დამპყერი“, „მეფე გარდაცვლილია“), როგორც კრიტიკოსი ული ბიერერი აღნიშნავს თავის ნაშრომში „იურობას სამი პიესა“ — შინაარსი აღებულია OYO — ისტორიიდან, რომელიც წარმოადგენდა იურობას ძველ სამეფო ქალაქს. ეს სამი პიესა თვით ული ბიერერმა თარგმნა ინგლისურ ენაზე.

დასავლეთ აფრიკის ქვეყნების თეატრის განვითარებაში დიდი როლი მიუძღვის ცნობილ დრამატურგს ვ. შონკას. იგი აღიარებს მამიანი წლების ერთ-ერთ დიდ ხატირიკოსად. თავისი პიესებით დრამატურგი ფართო აუდიტორიას აცნობს იმ აზრებს და შეხედულებებს, რომელ-

იც მეტად აქტუალურია საყოფაცხოვრებო თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. პროფესორი ელდრედ ჯონსი ასე გამოხმაურა ვ. შონკას შემოქმედებას: „აზრები და იდეები, რომელიც შონკას მოცემული აქვს თავის პიესებში, არ არის ნამდვილი აფრიკული იდეები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავისი ხასიათით და მანერით ისინი აფრიკულია. მისი საზრუნავი არის ადამიანის ბედი დედამიწაზე. ადამიანი შემოსილია, რაღაც უაზრო აფრიკული სამოსით, ცხოვრობს მზეზე და ტროპიკულ ტყეში, მაგრამ მაინც მიეკუთვნება მთლიან რასას...“

აფრიკელი დრამატურგები და მათ შორის ვ. შონკაც ხშირად ჩვეულებრივი ხალხისაგან იღებენ რჩევას, თუ რომელ რელიგიურ რიტუალებზე შექმნან თავიანთი პიესები. ხალხის ასეთი შთაგონებითაა შექმნილი ვ. შონკას პიესები — „ძლიერი თაობა“, „ფორივა“ და „ორიდი“.

ვ. შონკას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შექმნილი აქვს ბევრი იუმორისტული ნაწარმოები. „შეშლილები და სპეციალისტები“ დაწერილია 1971 წელს. მეორე რომანი „უკანონობის დრო“ წარმოადგენს თანამედროვე ლიტერატურის შესანიშნავ მოვლენას. ამ ნაწარმოებში წამოჭრილი პრობლემები და კონფლიქტები სცოლდებიან ნიგერიის და თვით აფრიკის საზღვრებსაც კი. ეს ნაწარმოები ეხება თანამედროვე კაპიტალიზმის განადგურების საკითხს. „დრამატურგი, ხედავს ადამიანის სულში ძალას — ეს ძალა ეხმარება ადამიანს დასძლიოს თავისი თავი. მაგრამ ეს ისეთი ძალაა, რომელიც შეიძლება მიმართო როგორც სიკეთისაკენ ისე ბოროტებისაკენ“; — აღნიშნავდნენ ამ ნაწარმოების გარშემო თანამედროვე აფრიკელი კრიტიკოსები. ამავე პრობლემას ეხება ავტორის ნაწარმოები „ლოში და დოვლათი“. მასში წამოჭრილია სერიოზული საკითხი ტრადიციული და თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების შესახებ.

ლეგოს უნივერსიტეტის ინგლისური ენის პროფესორი, პოეტი, დრამატურგი და კრიტიკოსი ჯონ პეპერ ქლერუსი ხამი შოკლე პიენა „თხის ხიმღერა“, „უახარადი“ და „ბორანი“ დაწერილია ინგლისური ლექსით. თვითოეული პიესა წარმოადგენს ერთმანეთის გაგრძელებას. მათში გატარებულია ერთი რწმენა—რწმენა ადამიანისა. ეს პიესები იდგმება მრავალი თეატრის თუ უნივერსიტეტის სცენაზე. „თხის ხიმღერა“ მეტად პოპულარულია დასავლეთ აფრიკაში და შეტანილია სასკოლო პროგრამაში. ახალგაზრდა დრამატურგი ოლა როტიში — მოღვაწეობს იფეს უნივერსიტეტში და აფრიკის ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში. მან თავისი პიესები პირველად წარმოადგინა შეერთებული შტატების

ერთ-ერთ უნივერსიტეტში. პიესამ „ღმერთები გაკიცხვას იმსახურებენ“, რომელიც დაიდგა ნიგერიაში და ხიერა ლიონაში, მიიღო ოთხ რეტიმის დრამატურგიის ტიტული.

ჭეიშს იმე პენშოუს მრავალმა პიესამ ნიგერიელი მკითხველის დიდი მოწონება დაიმსახურა. მათ შორის მეტად საინტერესო, საყოფაცხოვრებო თემაზე დაწერილი კომედიაა „მედიცინა სიუვარულის სამსახურში“. აღსანიშნავია აგრეთვე პიესების მეორე ჯგუფი: „ეს არის ჩვენი იღბალი“ და „ქალღმერთის შვილები“.

განის დრამატურგებს არ შეუქმნიათ ისეთი რაოდენობის პიესები. განის უნივერსიტეტის ოკატრალურმა ჯგუფებმა ვერ შეუწყვეს ხელი დამწყები დრამატურგების პიესების წარმოჩენას სცენაზე. დრამატურგმა ქრისტინა ამა ატა აიღუმ 1964 წელს დაამთავრა განის ლეგოს უნივერსიტეტი და დარჩა იმავე უნივერსიტეტში აფრიკის ფაკულტეტზე. მისი ორი გამოქვეყნებული პიესაა „არდილის დიღემა“ და „ანოვა“.

ქო დე გრაფტის პიესებმა „ვაჟები და ქალიშვილები“ და „გაურკვეველ ფილმში“ დიდი გამოხმაურება გამოიწვია განაში და მთელ დასავლეთ აფრიკაში.

განის დანარჩენი დრამატურგები ხალხმა გაიცნო რადიოგადაცემებით. დერლინ კლეშმის პიესები „პატიმარი“ და „მოსამართლე და ციხის ზედამხედველი“ რადიოთი გადაიცა 1971 წ. კვეისი კეის პიესა „სიცილი და ღრიანცილი სახლში“ რადიომსმენელმა გაიცნო 1972 წ.

აფრიკის ფრანგულენოვანი დრამის განვითარება დაიწყო 80-იანი წლებიდან სენეგალში. 1958 წელს გამოცემულ წიგნში „ნეოგრაფიკული თეატრი“ წარმოდგენილია ფრანგულენოვანი პიესების ორიგინალების სრული სია. ფრანგულენოვანი აფრიკის თეატრის განვითარების უფრო დაწვრილებითი ცნობები მოცემულია რ. კორნევიანის წიგნში „შავი აფრიკის თეატრი მადაგასკარში“, წიგნი გამოცემულია 1970 წელს. 80-იანი წლებიდან 60-იან წლებამდე შექმნილი პიესები იმსახურებენ სერიოზულ კრიტიკულ უსრადლებას. ეს ნათლად გამოვლინდა, როდესაც პიესები გადაიცა რადიოთი. 1968 წელს გამომცემლობა ORTF-მ რადიოს საშუალებით ხალხს გააცნო ის ავტორები, რომელთა პიესებმა დაიმსახურეს პრემია საუკეთესო პიესებისათვის. რადიო და პენ-აფრიკის კულტურული ფესტივალი ჩატარდა დაკარში (1968 წ.) და ალჟირში (1969 წ.). ამ ფესტივალის შემდეგ ჩა-

მოყალიბდა აზრი, თითქოს აფრიკული დრამა გამიზნულია სწორედ აუდიტორიისათვის და სიამოვნებას ანიჭებს მას. ამ ჩეზაირიმ, რომელიც ადრე გატაცებული იყო პორტრეტით, ანლა ხელი მიმყო პიესების წერას. ეს მოვლენა მან ასე ახსნა: „შავ მასას თითქოს ესმოდა პოეზიის ანდივიდუალური ხასიათი, ნოველა კი მათთვის ხელოვნების შეუფერებელი ფორმა იყო (ე. ი. მასას არ ესმის ნოველა, დრამა კი წარმოადგენს პოეზიისა და ნოველის ხელოვნების ერთიანი გამოხატვის საშუალებას — ეს საშუალება მეტად მისაღები შეიქნა ტრადიციული აფრიკული საზოგადოებისათვის“.

მწერლის იდეოლოგიური დოგმატიზმის მიღმა ჩანს სიმართლე. დრამა მუდამ მზადაა განავითაროს მასის გემოვნება, ვინაიდან იგი ხელმისაწვდომია ჩვეულებრივი უბრალო ხალხისათვის. თეატრმა სათანადოდ გამოიყენა ეს უნარი. ამ უნარის მეშვეობით თეატრი აუდიტორიას აწვდის ამა თუ იმ პიესაში გატარებულ აზრს, უფრო მნიშვნელოვანი კი ის ვახლავთ, რომ თეატრი დრამის მეშვეობით იღწვის საზოგადოების შექმნის და მისი ჩამოყალიბების საქმეში.

აღმოსავლეთ აფრიკას არ ჰყავს იმდენი დრამატურგი, რამდენიც დასავლეთ აფრიკის ქვეყნებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ 1960 წლიდან შესამჩნევად გაიზარდა აქტიური თეატრალური მოძრაობა უგანდის და დარ ეს სალაამის უნივერსიტეტებში. აქ შეიქმნა მოხეტიალე თეატრალური ჯგუფები. ტანზანიის თეატრში პიესები იდგმება სუაბილის ენაზე. ფესტივალების და მასკარადების მოწყობის ტრადიციამ ფუნქციონირება დაიწყო აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებში.

კენიაში მოღვაწეობს კარგად ცნობილი ნოველისტი ჭეიშს ნგუგი, რომელმაც მოიპოვა მყარი ლიტერატურული რეპუტაცია სამი ნაშრომით „შორს ცრემლები“, „ბავშვი“ და „შუა მდინარე და ხორბლის მარცვალი“. ჯ. ნგუგმა, ისევე როგორც ნიგერიელმა დრამატურგმა ვ. შონკამ, დაამთავრა ლიდიის უნივერსიტეტი, შემდეგ კი მიიღო მაკერერეს ხარისხი. პიესებით „შავი განდეგილი“ და „ხვალ ამ დროს“ მან შეიტანა მცირე, მაგრამ მეტად საინტერესო წვლილი კენიის თეატრალური ცხოვრების გაღვივებაში. „შავ განდეგილში“ (1969 წ.) ახახულია ახალგაზრდა კაცის—რემის ბედი. ეს ახალგაზრდა კაცი მოქმედებს თავისი ტომის და მშობლების წინააღმდეგ. პიესა წარმოადგენს მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმღერას.



თარგმანა ეთარ ჟურნალშია

დღეობა

თავისი ეპოქის მოსაზრება*

მთხი ათასი ლითოგრაფია, მთხი ათასი გრაფიურა, სამასამდე ტილო, სამოცდაათი ქანდაკება, ასობით ნახატი და აკვარელი — ასეთია XIX საუკუნის გამოჩენილი მხატვრის ონორე დომიეს ნახევარსაუკუნოვანი დამაბული შრომის შედეგი. ამ უბადლო ხელოვნების ერთადერთი თემია ადამიანი, რომლის ხატსაც დაუცხრომილად, განუწყვეტლივ ქმნიდა, როგორც ეპოქის ზედმიწევნითი მოწმე, რადგანაც თვლიდა: „შენს დროსთან ერთად უნდა იყო“.

მისი ნაწარმოებები დღესაც გვაკვირვებს სიმართლით, სიზუსტით, აქტუალურობით: რა არის მათი უბერებლობის საიდუმლოება, დღესაც რატომ არის ადამიანისთვის ისე საინტერესო, როგორც გასულ საუკუნეში? რამდენადაც ჩავუღრმავდებით დომიეს სამყაროს, იმდენად ნათელია — არ არის არავითარი საიდუმლოება — არის სხვა რამ: ერთმანეთს ცვლიდა პოლიტიკური რეჟიმები და ზნე-ჩვეულებანი, სწრაფწარმავალი დაცემა და გატაცებანი, ყოველთვის დამოუკიდებელ მხატვარს კი ბჭონდა უნარი დაენახა ის, რაც უცვლელია — ადამიანური ღირსებები, ცდომილებანი და მანკიერებანი, შექმნილი მათი ასახვა ყოველისშემძლე ოსტატის უფლებამოსილი გულდაჭერებით. იშვიათი სიძუნწითა და განხაცვიფრებელი სიზუსტით შესრულებული ფანქრის რამდენიმე ხაზი და იმ რუკვე ჩვენს წინაა პერსონაჟი მთელი თავისი სრულყოფილებით. მშვენიერ ნახატში არა მარტო ცალკეული ნაკეთობი, სახე, სილუეტია, არამედ აზრისა და გრძნობის, უც-

ნაურობისა და აბირებულობის, ზოგჯერ სიხადაგლის, ზოგჯერ გულუბრყვილობისა და სიკეთის საოცრად ამაღლებებელი და მომაჯადოებელი ხიშართლევცაა. პერსონაჟი სუნთქავს, ფიქრობს, ლაპარაკობს — გველაპარაკება და ჩვენც წამიერად ვიჭერთ მის ნათქვამს, რადგან მისი ენა, როგორც ისტორიკოსი მოშლე წერდა, ჩვენი ყოველდღიური მეტყველებაა.

დომიეს მუღამივი თანადროულობა ეფუძნება მის მიერ გამოხატულ სამყაროს უნივერსალურობას, რომელიც ჩვენს სამყაროსაც წარმოადგენს. პრივილეგირებული და საშუალო კლასების წარმომადგენლები, მსხვილი და წვრილი ბურჟუაზია, პოლიტიკოსები, მინისტრები, კომერხანტები, მუშები, გლეხები, დევნილნი, დამცირებულნი, „კატარა ადამიანები“ რიგობით იბურობდნენ მას უურადღებას და ხლებოდნენ მისი ნახატების, ქანდაკებების, სურათების ცოცხალი პერსონაჟები. ისინი XIX საუკუნის ტანსაცმელსა და ცილინდრებში გამოწყობილნიც კი არ ქველდებიან. დომიე იწყებდა თავისი პერსონაჟების შიშვლიად ხატვას და მხოლოდ მერე აცმევდა და სულს შთაბერავდა მათ, და ისინი ნებისმიერ სამოსში გამოწყობილნი რეალური და გასაგებია ჩვენთვის.

XIX საუკუნესა და ჩვენს აწწლუღლის დასაწყისში დომიე ითვლებოდა უპირველეს კარიკატურისტად. სინამდვილეში კი სრულიად სხვას წარმოადგენს. თუმც იგი თავისი ეპოქის შართლაც უპირველესი კარიკატურისტია, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ის არის ყოველი დროის ერთ-ერთი უდიდესი მხატველი, გენიალური მხატვარი და მოქანდაკე. მისი ნამუშევრების, განსაკუთრებით კი ლითოგრაფიებისა

* იბეჭდება შემოკლებით.

და ქანდაკებების გაცნობისთანავე აშკარაა — დომინე ეკუთვნის თავის ეპოქას — ჩვენ წინ მოძრაობს იმ დროისათვის ძალზე მოდური დიორამის მსგავსი ცოცხალი ფრესკა, და ჩვენ თითქოს მაშინვე ვიძირებით წარსულში: აი, ჩვენ XIX საუკუნის პარიზის ქუჩებში ვართ, ჩვენ წინაა შალაშიების ვიტრინები, სავალ გზებზე ხერგილებია, ჩვენ ვცდილობთ თავი ავარიდოთ ქარს, წვიმას, მცხუნვარე მზეს, ჩვენ თეატრშიც ვართ, ქუჩის კაფეშიც, ფერწერის ხალხშიც, შალალი საზოგადოების მიღებაზეც, შვებულებას ვატარებთ ქალაქგარეთ ან ზღვისპირას, ვსველდებით პარიზის ომნიბუსის იმპერიალზე, გავურბივართ ეკვიანი კონსიერჟის სიფხიზლეს, ვამოწმებთ დროს პალე-როიალის ზარბაზნის გასროლაზე, გულდასმით ჩაკვირკიტებთ გაზეთებს და, შეწუხებულნი, ვეძებთ პოლიტიკურ სიახლეებს, რომელიც შეიძლება გახდეს ჩვენი საკუთარი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი სარკე.

ონორე დომინე დაიბადა 1808 წლის 28 თებერვალს მარსელში, 1816 წლის ოქტომბრიდან დომინეს ოჯახი პარიზში გადასახლდა. მამამისი ჟან ბატისტ დომინე პოეტობდა, დრამატურგიაშიც სცადა ბედი. პარიზში მის ოჯახს მფარველობდა ჟან ბატისტ დომინეს მეგობარი ალექსანდრ ლენუარი — მხატვარი, არქეოლოგიით გატაცებული, ძალიან საქმიანი პიროვნება. ბიჭი ათი წლისა იყო, როცა მამამ პირველად წაიყვანა თეატრში რეპეტორიაზე. ის აღფრთოვანა მსახიობთა თამაშმა, კოსტიუმებმა, დადგმამ, კულისებმა, მის წინ გადაიშალა ახალი სამყარო. რამის ქვედა შუქით მკვეთრად ხაზგასმული მსახიობთა სახეები მის თვალწინ გარდაიქმნებოდა: ერთი ტრაგიკული გამომეტყველება ცვლიდა მეორეს, და თვითონ მსახიობებიც — ჩვეულებრივი ადამიანები — გარდაისახებოდნენ წარსული დროის პერსონაჟებად. მათი გამომსახველობითი ეხტები სამუდამოდ აღიბეჭდა ყმაწვილის მეხსიერებაში. თეატრი და მსახიობები შთააგონებენ მას მომავალში ლითოგრაფიაზე, სურათებზე, აკვარელებზე მუშაობისას.

დომინეს შემოქმედად ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ალექსანდრ ლენუარმა. იგი შესანიშნავი მასწავლებელი აღმოჩნდა დამწყები მხატვრისათვის. თვითონ ლენუარი ბევრს ხატავდა და წერდა. გატაცებული იყო ქანდაკებით, რაც განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა ონორესთვის. ადვილი შესამჩნევია, რომ პირველი ნამუშევრების პერსონაჟები გამოსახულია ზედაპირზე სიღრმის გარეშე, მაშინ, როცა ლენუარის გაკვეთილების შემდეგ ლითოგრაფიები იძენენ რელიეფურობას. ლენუ-

არს შემორჩენილი მქონდა ანტიკურ ქანდაკებათა უამრავი ტვიტრი. დომინეს აღფრთოვანებდა ეს ნაძერწები და ისწავლა მათი ხატვალენუარს ფერწერის უდიდეს მხატვრებად მიანდა რუბენსი, რომლის ესკიზს მის კოლეჯიაში ინახებოდა, და ტიციანი — მისი სურათის ფრაგმენტი თვითონ გადაიღო პალე-როიალში. სწორედ ამიტომაც, დომინე მთელი სიცოცხლის მანძილზე დიდ ინტერესს იჩენდა რუბენსის მსგავსი მხატვრებისადმი. ლენუარი იყო XIX საუკუნის ერთ-ერთი უაშვიათესი მხატვარი, რომელიც ფერწერაში ყველაზე მეტად აჯახებდა ფერსა და სიცოცხლის თრთოლას. მას ღრმად სწამდა, რომ ფერი აუცილებლად მქანე და მძღარი კი არ უნდა იყოს, არამედ მრუმე, მაგრამ ყოველთვის თბილი. ლენუარს ძალზე იტაცებდა ადამიანის სახის გამოსახვა და ამ პრობლემას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოწაფებთან მუშაობაში. შალე დომინემ იგრძნო, რომ საკუთარი ხელწერის გამოსაჩუშავებლად აუცილებელი იყო მასწავლებლის მიტოვება. იგი გრძნობდა თავის ჯერ კიდევ გამოუმუღავნებელ შესაძლებლობებს და მეგობრების რჩევით, ჩაეწერა სიუსის აკადემიაში. ძველი მენატურე სიუსი, „მამილო სიუსად“ წოდებული, იყო დამაარსებელი ამ „აკადემიისა“, რომლის თავისუფლებაც იმაში მდგომარეობდა, რომ არ მყავდა პედაგოგები. მხატვრებს შეეძლოთ მენატურესთან მუშაობა, თვეში იხდიდნენ მხოლოდ ათ ფრანკს. სიუსის აკადემიაში დადიოდნენ პირველი კლასის მხატვრები: ბონინგტონი, დელაკრუა, კურბე, პისარო, მონე, გიომენი, სეზანი. მხატვრებს ამ აკადემიაში შეეძლოთ თავისუფლად და გაბედულად გამოემუღავნებინათ თავი. ე. წ. ნატუფი ხელოვნების სკოლის მკაცრი კანონების დაუცველად.

ნატურიდან თავისუფალი ხატვა და ამხანაგური ატმოსფერო მოეწონა დომინეს. აქ დაუახლოვდა იგი რაფეს და შარლეს სამ მოწაფეს: ტოდორ ლებლანს, ეიულ-უმეროსს, ლუი ანრი დე რიუდეს. ნიკოლა ტუსენ შარლე დიდი სიყვარულით სარგებლობდა ახალგაზრდა მხატვართა წრეში, 1817 წელს იგი მივიდა გროს სახელოსნოში და დაიწყო ფერწერის და ლითოგრაფიის შესწავლა.

ბარონი გრო თხუთმეტე წლისა გახდა დავიდის მოწაფე. მან შესძლო გვერდი აევლო მასწავლებლის მკაცრი და ცივი ხელოვნებისათვის, გაუინული. თეატრალური პოზებისათვის და შეუდგა ცოცხალი და ბუნებრივი ფორმების ძიებას. მილანში გამგზავრებისას გრო ბონაპარტს წარუდგინეს. ბონაპარტმა მოიწონა მისი ნახატი „ბრძოლა არკოლთან“ და ლონგს სთხოვა გადაეღო გრაფიურა. ამის შემდეგ გროს

ნახატების უმრავლესობა ეძღვნებოდა ნაპო-
ლეონის სამხედრო კომპანიებს. რესტავრაციის
პერიოდში დავიძმა გროს გადააბარა სახელო-
სნოს ხელმძღვანელობა და იგი გახდა ოთხასი
ახალგაზრდა მხატვრის მასწავლებელი. მათი
ლითოგრაფიების უმრავლესობა ნაპოლეონის
ბრძოლებს ასახავდა.

ახალგაზრდა და ძველი თაობის მხატვრები,
მიუხედავად თავიანთი დამოკიდებულებისა რე-
ჟიმისადმი, განიცდიდნენ ნოსტალგიას წარსუ-
ლისადმი და მიისწრაფოდნენ ძლიერი პოლიტი-
კური ხუნთქვით გამსჭვალული ხატალური თან-
რისაკენ. მათგან უველაზე ცნობილნი: ნაპოლეონ-
ის ოფიციალური მხატვარი დავიდი, გაძევებული
ლუდოვიკო XVIII-ის მიერ. დებიუტური, დო-
მინიკ ვივან დენონი, ლუი ლეოპოლდ ბაიი, ჟი-
როდო, ჟან-ბატისტ ისაბე, ბარონი ჟერარი, ბე-
რონი გრო, ენგრი, კარლ და ორას ვერნე, ვე-
რიკო, შარლე, კორო, პოლ დელაროში, იპოლიტ
ბელანგი, დეკანი, რაფე. საუკეთესო ლითოგ-
რაფიის ავტორები უფრო ხშირად იყვნენ და-
ვიდისა და გროს მოწაფეები.

იმპერიის დაცემამ და მონარქიის აღდგენამ
აშკარა განხეთქილება გამოავლინა ფერწერაში
დავიდის კლასიციზმსა და მის მოწინააღმდეგე-
თა შორის, რომელთა უმრავლესობა უკვე
გრძნობდა თავის თავში რომანტიზმის დაბადე-
ბას. დავიდს ზურგი შეაქციეს ახალგაზრდებმა.
სალონებში ერთმანეთს ეჯახებოდნენ „მოხუ-
ცები“ და „ახალგაზრდები“. ფერწერული სკო-
ლების ამ ცხარე შეჯახების დროს გრძელდე-
ბოდა ლითოგრაფიის განვითარება და 1828
წლიდან სულ უფრო პოპულარული ხდება,
რადგან უოველდღიური და უოველკვირეული
პრესა თავის ფურცლებზე აქვეყნებს ლითოგრა-
ფიის ნიმუშებს.

1825 წელს დომიე დაემოწაა ლითოგრაფ
ზეფერინ ბელიარს. ახლადდაბადებულ ფოტო-
გრაფიას (1827 წ.) ჯერ კიდევ არ შეუძლო სა-
ხელგანთქმულთა უკვდავოება, ამიტომ ბელი-
არის ესტამპებზე დიდი მოთხოვნილება იყო.
მაგრამ ეს პორტრეტები, რომლებიც დღემდეა
შემონახული, იყო მოსაწყენი, უსიცოცხლო,
უშეტყველო, მათში არ იყო იუმორის ნასახიც.
კი. დომიემ შეისწავლა ლითოგრაფია თეორი-
ულად მხატვართა სახელოსნოებში, ამას დაუმა-
ტა ბელიარის სკოლის პრაქტიკული ჩვევები და
გადაწყვიტა, დამოუკიდებლად გამოსულიყო
ასპარეზეზე.

ორი წლის განმავლობაში დომიე დაოსტატდე-
ბა და შექმნის სახელგანთქმულ ნაწარმოებებს,
რომელთაგან ერთ-ერთი — „ტრანსნონენის ქუ-
ჩა“ — წარმოადგენს იმდროინდელი ლითოგრა-
ფიისა და ესტამპის შედეგს. 1830 წლის მე-
ორე ნახევარში ერთბაშად გამოჩნდა დომიეს

ოცი ლითოგრაფია. „დიდების სამი დღე“ — ამ
სახელწოდებით დარჩა ისტორიაში 1830 წლის
სამი დღე, როცა სახალხო პარიზე აღხდგა
კარლ X-ის წინააღმდეგ და მეფე გააძევა საფ-
რანგეთიდან. გვაოცებს ამ გამოსვლების მასო-
ბრიობა. „დიდების სამი დღის“ უკანასკნელ
დღეს, 29 ივლისის დილას, პარიზში 28-ათასი
ბარიკადი იყო, ასეთი რაში ბარიკადები 1789
წელსაც კი არ ენახათ. მთელი პარიზი ჩაითრია
ამ მძლავრმა ტალღამ. ეს სამი დღე დომიემ თავის
მეგობრებთან ერთად პარიზის ქუჩებში გაატა-
რა. ამბობენ, რომ მსუბუქად დაქრილა კიდევ.
დომიემ იგრძნო ქუჩების დაძაბულობა, ბრძო-
ლის თავდავიწყება, მან იხილა არა მარტო მო-
კლუნი, დაჭრილი, არამედ გამარჯვებაც, არა
მარტო დანგრეული ბარიკადები, არამედ ისიც,
როგორ აღიმართებოდა თავიდან და მათი დამ-
ცველნი იყვნენ სახელოვანი და ბავშვივით
უშუალო უბრალო ადამიანები, და, აი, ეს უშე-
ლაფერი უეცრად გაქვავდა და დარჩა მოპარუ-
ლი გამარჯვების მწარე განცდა. დომიემ გადა-
წყვიტა ემოქმედა და თავისი ნახატები შესთა-
ვაზა რიკურს, ობერს, მარტინს. მათ მიიღეს ეს
ნახატები და შემდგომ დამზადებულმა ლითო-
გრაფიებმა მიიპყრო ვინმე ფილიპონის ყურა-
დღება, ვისთან შეხვედრას და მრავალწლიან
თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა აქონდა
დომიესათვის. კარლ X-ის დაცემის შემდეგ
დომიემ დაიწყო მუშაობა პოლიტიკურ ლი-
თოგრაფიაში. როგორც კი ლუი ფილიპე ჩა-
უდგა სახელმწიფოს სათავეში (1830 წ. 9 აგვის-
ტო), კარლ X-ის აშკარა მოწინააღმდეგე —
ყურნალისტები, მხატველი-ლითოგრაფები —
ამჯერად ახალ მეფეს ჩაუდგნენ ოპოზიციაში.
მათ შორის იყო დომიეც, რომლის მაშინდელი
ლითოგრაფიებიც მოწმობს, თუ რა სახტიკად
ილაშქრებდა მხატვარი მეფის წინააღმდეგ. 1830
წლის 1 დეკემბერს ლუი ფილიპეს მან დიდი
დარტყმა მიაყენა ლითოგრაფიით: „ოხ, საცო-
დავო ცხვრებო, რაც არ უნდა იღონოთ, მაინც
გააკრეჭენ“. მკრეჭავად წარმოადგენილია ლუი
ფილიპე. ფრიგიული ქუდი სამფერი კოკარდა-
თი აღნიშნავს თვალთმაქცობას, გაკრეჭილი
ცხვრები ხამფეროვანი კოკარდათი — პოლიტი-
კური იდეალების ნიშანია.

დომიეს ოცი ლითოგრაფია შესრულებული
იყო ივლისის (27, 28, 29 ივლისის) რევოლუ-
ციის შემდეგ, რომელმაც ტახტიდან ჩამოაგდო
კარლ X. გამონაკლისს წარმოადგენდა უოველ-
კვირეულ ილუსტრირებულ სატირულ ალბომ
„სილუეტში“ დაბეჭდილი (29 ივლისი) ორი ლი-
თოგრაფია. პირველის სიუჟეტი ასეთია: იმპე-
რატორის თოფგადაკიდებული გრენადერი ზი-
ზლით დაპყრებს მის ფეხებთან დავარდნილ
მტრის ჭურვს. ნაპოლეონის ჯარისკაცის გამო-

სახვად მხოლოდ ამ ლითოგრაფიის პოლიტიკური მინიშნება. მეორეზე ილუსტრირებულია ბერანტეს ხიზღერა „ძველი დროების“ ორი სტრიქონი, რომლის ქვესათაური ახე უღერს: „დაე მან კიდევ ერთხელ დაუმტკიცოს მიაგვრელებს, რომ დიდება — ხალხის ქალიშვილია“. რა თქმა უნდა, დომიეს მიერ გამოსახული დროშა სამფეროვანია (კარლ X-ის დროშა თეთრია). ის უჭირავს ქალარაულვანთან კაცს, აშკარად უბრალო ხალხიდან გამოსულს (შეიძლება იმპერატორის ყოფილი გრენადერია). მისი „სმენაზე“ გაქიშული ფიგურა მკაფიოდ გამოიკვეთება მოღრუბლული ცისა და პარიზის შორეული ხედის ფონზე. 1882-1885 წლებში დომიე თანამშრომლობს „კარიკატურში“, რომლისთვისაც შეასრულა ოთხმოცდათერთმეტი ლითოგრაფია. თანამშრომლობდა აგრეთვე ყოველდღიურ გაზეთ „შარივარიში“. გრანვილთან, გავარნიხთან, ბენჟამინთან (რუბო), ბუშოსთან, მენიუსთან, ტრავიესთან, უიულიენთან, ფორესთან, უიგუსთან, შ. ვერნიესთან, შანთან ერთად, დომიესულ უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა. ლითოგრაფიებს „გარგანტუა“ და „ტრანსნონენის ქუჩას“ ძალიან დიდი წარმატება ხვდა. მისი შარლ ლამეტისა და დიუპონ-უფროსის ლითოგრაფიული პორტრეტების რელიეფურად გადმოცემული სახეები მაშინვე ქანდაკებას გვახსენებს. ამ დროს დომიეს მქონდა ფილიპონის მიერ შეკვეთილი რამდენიმე თიხის ბიუსტი, რომლებიც როგორც ფიქრობენ, წინ უსწრებდა ლითოგრაფიებზე მუშაობას. ქანდაკების ქრონოლოგიური პირველობა მორის გობენმაც დაადასტურა. 1888 წელს მხატვრის ბიოგრაფი არსენ ალექსანდრი წერდა: „ენერგია, რომლითაც შესრულებულია ეს ლითოგრაფიული პორტრეტი-შარტები, ღრმა სიხნელით ან მკვეთრი სინათლის ანარეკლით მოცული ჩაცვინული ან მბზინავი ყბები, ნაკვეთები, მაშინვე გაგვახსენებს მრგვალი ქანდაკების რელიეფურ ძერწვას. მას მხოლოდ ერთი ახსნა აქვს: ესენი მართლაც ქანდაკებებია, ან უკიდურეს შემთხვევაში, ქანდაკებათა რეპროდუქციებია... აი, რატომ იგრძნობა ლითოგრაფიებში ტევადი გამოსახულებანი, ნახატისათვის დამახასიათებელი შუქ-ჩრდილების თამაში. გარდა ამ სკულპტურულობისა — აქვს განსაკუთრებული დინამიკა და ფერი; ლითოგრაფია და სკულპტურა აქ ტყუპი დებივით წარმოიჩინდება...“

დომიეში ყოველთვის ცოცხლობდა მოქანდაკე. როგორც კი ხელს შეხებდა თიხას, მაშინვე იბადებოდა უბადლო ნაწარმოები. ადამიანის თავის ძერწვისას თიხის გამოყენებამ მას მისცა ფორმის არაჩვეულებრივი გრძნობა, რომელიც გავლენას ახდენდა მის ნახატზე. შეიძლება ით-

ქვას, რომ მის შემოქმედებაში ნახატს კვებავდა ქანდაკება. ლითოგრაფიას კი — ფერწერა. გრავიურის გამოჩენილი მხატვრები ყოველთვის იყვნენ არამარტო გრავიორები, არამედ მხატვრებიც, ხოლო უდიდესი მხატვრები კი — თითქმის ყოველთვის მოქანდაკეებიც. უმჯობესია, ფილიპონის თხოვნით შესრულებულ სკულპტურული ბიუსტები წარმოადგინოთ ლითოგრაფიის მოდელებს. აღსანიშნავია, რომ დომიე ცოცხალ მოდელთან არ მუშაობდა არც ქანდაკების და არც ლითოგრაფიისა და ფერწერის შესრულებისას. იგი ეყრდნობოდა მებსიერებას და გასაოცარი უნარის წყალობით სპონტანურად აღადგენდა სახეს, პოზას, ექსტს, მოძრაობას, სიდიდეს, გადმოხცემდა მსგავსებასაც და უცნაურ წენსაც.

ფილიპონი აღფრთოვანა დომიეს ბიუსტებში. იგი ყოველთვის გამოპყოფდა მას თავისი თანამშრომლებსაგან, როგორც გამოჩენილ კარიკატურისტს. დომიეს საშუალებით ფილიპონი აღწევდა საძულველ რეტიშზე ძლიერი იერიშის მიტანას, ხელისუფლება უკვე რეაგირებდა დომიეს „გამობდომებზე“. ამბობენ, ლუი ფილიპე პირველი იცინოდათ თავის პარსონის შარტებზე. ლუი ფილიპეს ვაჟებსაც უფრო მეტად ანათებდა დომიეს ლითოგრაფიები, მაგრამ, უმჯობესია, სამეფო კარი, მისი მინისტრები, მრჩევლები მოითხოვდნენ, ბოლო მოეღოთ მხატველ-რესპუბლიკელთა გამობდომებისათვის. მათი მიზანი იყო მოთავის — დომიეს შეჩერება, ამიტომაც დააკავეს მისი ორი ლითოგრაფია: „გარგანტუა“ და „ერთი ნახტომით“.

„გარგანტუაზე“ არაერთხელ დაწერილა. ის გამოხატავს ტახტზე მჯდომ ლუი ფილიპეს გიგანტ გარგანტუას სახით, მის წინაა დატაკთა ბრბო, ტახტის ქვეშეთ, დეპუტატთა პალატის წინ, კიდევ ერთი, უფრო მცირერიცხოვანი, პრივილეგირებულთა ჯგუფი. შორს — პარიზი. ამჭერად მთავრობამ გადაწყვიტა დომიეს, დელაპორტის (ტიპოგრაფიის მფლობელი) და ობერის (გრავიურის გამყიდველი) სამართალში მიცემა. მათ ბრალი ედებოდათ მტრობაში და სამეფო კარის უპატივცემულობაში, თვით მეფის პიროვნული შეურაცხყოფისათვის გაზეთში გამოქვეყნებული კარიკატურით „გარგანტუა“, მიესაჩათ ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა — თითოეულისაგან 500 ფრანკი. მალე ფილიპონიც დააპატიმრეს.

1838 წლის იანვრის ბოლოს დომიე და ფილიპონი გაათავისუფლეს. და, აი, დომიე თავისუფალია, გახარებული, დაჭერებული საკუთარ ქალებში. ის სახლდება მხატვართა კომუნაში, სადაც თავი მოუყრიათ მის მეგობრებს პოლ იუესა და კაბას, შანრონს და პრეოს, დი-

ახს. ჭკუფი, რომელშიც დომიე მოხვდა, გატაცებული იყო პოლიტიკით. კაბა და პოლ იუე ლიბერალები იყვნენ, ეანრონი და პრეო რევოლუციონერებად ითვლებოდნენ, დიაზი კი — მეამბოხედ. დომიე არასოდეს უოფილა არც აქტივისტი-რევოლუციონერი და არც მეამბოხე. იგი უოველთვის გამოიჩინოდა დამოუკიდებელი რწმენით და თავშეკავებულობით, რაც სულ არ უშლიდა ხელს მყვარებოდა თავისი ფიცხი შეგობრები და მონაწილეობა მიეღო მათ ცხოვრებაში. მაგრამ ამ ჭკუფმა მაინც დიდი გავლენა მოახდინა დომიეზე. თუ პრეო უპირველესად მოქანდაკე იყო, სხვები — იუე, კაბა, ეანრონი მუშაობდნენ ფერწერაში. დომიემ თავისი პირველი გაუდული სურათი — ფირნიში მენისათვის (დაქარგულია) ეანრონთან ერთად დასატა. იმ დროს ქუჩებში იფინებოდა უამრავი ფირნიში, ვიდრე დღეს. დამწყები კომერსანტები, მეღუქნეები თავის ფირნიშებს უკვეთდნენ მხატვრებს, რაც მათ საშუალებას აძლევდა გასამრჩელო აელოთ. ასეთი შეკვეთების წყალობით, სალონების მიერ უარყოფილი ბევრი მხატვარი, პირდაპირ ქუჩაში იფინებოდა. ფირნიშებს ხატავდნენ გავარნი, ხელესტენ ნანტილი, პოლ იუე, კაბა, პრიუდონი, ძმება ვერნე, ეერიკო დელაკრუა.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ლენუარმა ხამუდამოდ შეაუვარა დომიეს რუბენსი. 1848-1850 წლების ნახატებში: „მეწიხქვილე, მისი ფაფი და ხანეღარი“, „სატირები მისდევენ ნიმფებს“, „მონანიე მაგდალინელი“ აშკარად ჩანს რუბენსის მნიშვნელოვანი გავლენა. მეორე დიდი მხატვარი, ვისაც პატივს სცემდა დომიე, იყო გოია. ის ხშირად დადიოდა ლუვრში, სწავლობდა და იღებდა ასლებს მისი ნახატებიდან.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ დომიე ითვისებს ახალ მხატვრულ ტექნიკას — გრავიურას ხეზე. მისი პირველი გრავიურები ფილიპონის რჩევით დაიბეჭდა „შარივარიში“ ფრონტიხპისის სახით. მათი შინაარსიც პოლიტიკური იყო. ორმოცდაშვიდი პოლიტიკური გრავიურა გამოხატავდა ივლისის მონარქიის იგივე პერსონაჟებს, რომლებიც ცნობილი იყვნენ დომიეს ლითოგრაფიებითა და ქანდაკებებით. შემდგომ თანდათან დაიკარგა მათი პოლიტიკური ხასიათი და ვხვდებით სიუჟეტებს ლითოგრაფიის ცნობილი სერიიდან „მართლმსაჭულების მხახურნი“ (1845-1848 წ.წ.).

ფილიპონი და დომიე აგრძელებენ ბრძოლას ლუი ფილიპეს რეჟიმის წინააღმდეგ „შარივარისა“ და „კარიკატურის“ მეშვეობით. ციხეებში დაახუსტა მხატვარი, პირიქით, ინტენსიური მუშაობით შექმნა უველაზე მარტივი ლითოგრაფიები, აგრესიული ბიუსტები, მძაფრი გრავიურები. ფერწერისათვის თითქმის ვეღარ იცლის.

„კარიკატურმა“ მიზანში ამოიღო თვით მეფე ლუი ფილიპე და გამოაქვეყნა ოცდაექვსი ლითოგრაფია მის წინააღმდეგ. „შარივარიში“ — ოცდაცხრამეტი, „ასოსიასონ მანსიუელმა“ — ორი.

1838 წელს, როცა ხელისუფლება მკაცრად ებრძვის ოპოზიციას, დომიე დაუღალავად მუშაობს სკულპტურულ ბიუსტებსა და ლითოგრაფიებზე. აგრძელებს პოლიტიკური პორტრეტების ხერხას, რომელთაგან უველაზე მნიშვნელოვანია: პერსილი, აბრაამ დიუბუა, ანტუან ოდე, გიზო, გიომ ვიენე, პატაი, პოდენა, განერონი, ფიულიშირონი, ადოლფ ტიერე. წარწერებს ადგენდნენ რედაქციის მუშაკები, ფილიპონი, თვით დომიე. მისი ტექსტები გამოიჩინებდა ლაკონიურობითა და სიმბავილით.

1834 წელი დაიწყო ხენსაციით — „ასოსიასონ მანსიუელმა“ გამოაქვეყნა დომიეს დიდი ფორმატის ლითოგრაფია „კანონმდებლობითი მუცელი“. ეს მის შემოქმედებაში ივლისის მონარქიის მოღვაწეთა პორტრეტების აპოთეოზი — გამოხახავს დეპუტატთა პალატას, სადაც უველა სჯამი დაკავებულია, თვით მინისტრისაც კი, და რომლებზეც წამოჭიმულან: გიზო, პერსილი, ტიერე, ბარტი, სულტი, გრაფი არგუ, პრიუნელი პიუპიტრზე იდაყვდაყრდნობილი დგას, მის უკან კი დე ბროლი და დე რინი. ეს ლითოგრაფია 150 წლის მანძილზე დიდი მოწონებით ხარგებლობდა.

ბეჭდვითი სიტუციის დასაცავად დომიემ შექმნა ლითოგრაფია „არ შეეხოს!“ სახელოდაკაპიწებული, მუსტშეკრული, განზე ფეხებგამდგარი მუშა მედგრად დგას მიწაზე, რომელზეც წერია: „პრესის თავისუფლება“. მუშის ამ რელიეფურ ფიგურაში იგრძნობა დომიე-მოქანდაკე. მუშის თავი პროფილშია მოცემული, რადგან შებრუნებულია სიღრმეში მდგომ ადამიანთა ჭკუფისაკენ — იქ მოჩანს ლუი ფილიპე,

რომელსაც უბიძგებს გენერალური პროკურო-
რი პერსილი, ორივე მიზანსწრაფულად მიემა-
რებდა წინ, მაგრამ მათ გზას უღობავს გიზო-
ის მიუთითებს მუშისაკენ და ურჩევს მის შე-
ჩერებას. უკანა პლანის მარჯვენა მხარეს კიდევ
ერთი ჯგუფი ჩანს: სამი მეფე, ორი გვირგვინით,
მესამე კი, ნახევრადწაქცეული — უგვირგვინოდ.
უგვირგვინო მეფე — კარლ X. ის, რომელიც
ეშველება მას და აწვდის გულის წამალს, ალ-
ბათ ბოჰემიის მეფეა, შემდგომ წელს რომ გახ-
დება ავსტრიის იმპერატორი — ფერდინანდ
I-ად მოდებული: სწორედ მასთან, პრალაში მი-
იღებს თავშესაფარს და იქვე აღესრულება 1884
წელს კარლ X. მესამე მეფე შეშინებული იკრავს
გულში ფულით სავსე ტომარას — მინიშნება
ნათელია: თუ „მეფე-მოქალაქე“ კვლავ გააგრ-
ძელებს პრესაზე დაწოლას, მას ელის კარლ
X-ის ბედი. ეს ფურცელი დღეს ძალზე იშვია-
თია და დიდ კოლექციებშიც კი არ გვხვდება.

1884 წლის 20 მაისს გარდაიცვალა ლაფაიე-
ტი — ცნობილი ისტორიული პირი, სახელგანთ-
ქმული პოლიტიკური მოღვაწე, ლუი ფილიპეს
რეჟიმის უკიდურესი შემწეუდავი. დომიე მა-
შინვე გამოეხმაურა ამ მოვლენას შედეგრ-ლი-
თოგრაფიით „ლაფაიეტის დაკრძალვა“ („ლაფაი-
ეტი მიწაშია! აბა ახლა სცადე, ბერიკაცო“):
შორს სამგლოვიარო კორტეჟს უამრავი ხალხი
მიჰყვება პერ-ლაშეზის სასაფლაოსაკენ, წინა
ხედზე კი მსუქანი ბურჟუა — შავსამოსიანი,
შავკრემომოვლებული მალაღი ქვაბ-ქუდა ახუ-
რავს. ნახევრადმუხლმოდრეკილს, ხელები ღვთი-
სმოსავივით მალა აღუვლენია — თითქოს ლო-
ცულობს. ქვაბ-ქუდა თვალეზე ჩამოფხატვია,
ხელები სახეს უფარავს, მაგრამ ის, რაც ჩანს
— პირი, ღაწვები, ნიკაპი — ძალზე მნიშვნე-
ლოვანია: სახე დაღმეჭილი აქვს გრიმასით, ეს
მწუხარების გრიმასაა, მაგრამ ამასთანავე შეკა-
ვებული სინარულის ღიმილიცაა, რომელსაც
მხატვარი უბადლოდ გადმოსცემს. პროცესიისა-
კენ ზურგშექცეული კაცი, უბეჭვალად ლუი ფი-
ლიპეა. ამ ლითოგრაფიას მალე მოჰყვა კიდევ
ერთი შედეგრი — „ტრანსნონენის ქუჩა“. 1884
წლის 9 აპრილს ლიონის აჯანყებამ პარიზში გა-
დმოინაცვლა და ტრანსნონენის ქუჩაზე გათამა-
შდა სისხლიანი დრამა, რომელმაც შესძრა არა
მარტო პარიზი, არამედ მთელი ევროპა. დომიეს
ლითოგრაფიების კეთილშობილება, ლაკონიურ-
ობა და ღირსება ფაქტების გადმოსცემისას, კა-
რიკატურობის სრული უქონლობა და შესრუ-
ლების მხატვრულობა — ყველაფერი მოუწო-

დებდა. მოკრძალებული დუმილისაკენ. შეუკამა-
თებლად, თავდაჭერილად და ამავე დროს მკვერ-
მეტყველურად იყო გამოთქმული ყველასათვის
კარგად ცნობილი სიმართლე. მთავრობა და ცენ-
ზურა უძლური იყო. ესტეტურ-მასიური ხოცვა-
ფლეთის გადმოსცემისას, დომიე უკუშვოთებული
დულდა, მაგრამ სულის სიღიადემ, გრძნობების
კეთილშობილებამ არ მისცა უფლება სულ-
მდაბალ შურისმგებლობამდე დაცემულიყო. ჩვენ
გვესმის მხოლოდ მისი ხმა, ხილვადია მხოლოდ
მსხვერპლი. მათი შესახედაობა აღგვაშფოთებს
და კრიჭას გვიკრავს. მხოლოდ შემდეგ ამუშა-
ვდება გონება, ვფიქრობთ დამნაშავეებზე, თა-
ნდათან ირკვევა ჩვენი დამოკიდებულება მომ-
ხდარი ფაქტისადმი, რა სიბრძნეა! რა ხელოვ-
ნებაა! ვერო-დოდის გაღერებაში ობერის მიერ
გამოფენილ ამ ნაწარმოებს უზარმაზარი წარ-
მატება ხვდა წილად: ოცდაექვსი წლის დომიეს
სახელი ყველას პირზე ეკერა. დომიეს ეს ფუ-
რცელი ყველა დროის ლითოგრაფიებისა და ეს-
ტამპების შედეგია. ნახატის ხარისხი განსაცვი-
ფრებელია. მოკლულის მარცხენა ფეხის რაკუ-
რსი, ფიგურისა და თავის ნახატი გასაოცარია.
სინათლე ფანტასტიკურადაა გადმოსცემული. ფა-
ნჯრიდან შემოსული განთიადის საზარელი სი-
ნათლე ანათებს მთავარ პერსონაჟს, მაშინ, რო-
ცა ოთახის ნაწილი ნახევრადბნელშია დანთქმუ-
ლი და გვაძლევს დანარჩენ მსხვერპლთა გამოც-
ნობის საშუალებას. სინათლესა და ჩრდილს შო-
რის საზღვარს გადაჰყვითს საწოლის ხასთუმა-
ლი, რომლიდანაც მოკლულის კვალდაკვალ იატ-
აკზე ვარდება ზეწარიც. კომპოზიციის ოხტატობა
განუმეორებელია. დომიემ თითქმის ნახევარი
საუკუნით გაუხწრო XX საუკუნის გამოჩენილ
კინემატოგრაფისტთა მიზანსცენებსა და მსხვილ
პლანებს. ჩვენთვის, კინემატოგრაფს შერვეულ-
თათვის, ადვილი წარმოსადგენია სცენა, გადა-
ლებული იატაკიდან ოდნავ ზემოთ დადგმული
კამერიით. მაგრამ 1884 წელს ასეთი თვალთაზე-
დვა უბრეცენდენტო იყო. დომიეს ლითოგრაფიამ
შთაგონა პოლ დელაროში შეექმნა სურათი
„პერცოგ გიზის მკვლელობა“. მოკლული პერ-
ცოგი ცენტრშია და ისეთხავე პოზაშია, როგორც
დომიეს კომპოზიციისაში.

1888 წელი ძალზე მნიშვნელოვანია დომიეს
შემოქმედებაში. მხატვარი განაგრძობს შეტევას
მთავრობის წინააღმდეგ. სექტემბრის კანონი
ბეჭდვითი სიტყვის წინააღმდეგ იძულებულს
ხდის დომიეს პოლიტიკური თემა შეცვალოს
სხვა თემით: ადამიანი უოველდლიურ ცხოვრება-
ში. ორმოცი წლის განმავლობაში იგი დაუღალ-

ყოფილი ქმნიდა სხვადასხვა ტიპს, რომელიც ერთ-
 ანდებდა შესანიშნავ ანხამბლში, მის „ადამიანურ
 კომედიაში“ — გიგანტურ ქმნილებებში, რომ-
 ლის ბადალიც არ მოიძებნება. და თუ მრავალმა
 ჩატვარმა დაგვიტოვა ძვირფასი მახალა, ამა თუ
 იმ ეპოქის ცხოვრების გარკვევაში რომ გვეხმა-
 რება (მაგ. აბრაჰამ ბოსის ათას ზუთასი გრავიურა
 წარმოადგენს შეუდარებელ დოკუმენტურ მასა-
 ლას XVIII საუკუნის შუაწლებების კოსტიუმებზე),
 სილიანობაში ისინი მხოლოდ თავიანთი დროის
 სიწმედ გამოდიან. დომიეს შემოქმედება კი
 ცდებდა თავისი ეპოქის ფარგლებს. ის ჩვენი
 დღევანდელიობაცაა და ალბათ ხვალინდელი უო-
 ვაც.

1885 წლის 28 ოქტომბრიდან დომიე ანახ-
 ლებს „პარიზარში“ თანამშრომლობას. გაზეთი
 თავისი ჩვეული ტონით აცხადებს: „სახელწო-
 ვებით „ფრანგი ტიპები“ დომიე აპირებს ჩვენი
 საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენე-
 ლთა ტიპების საქციელისა და ჩაცმულობის გა-
 სოსახვას. გრანვილის ხერხის „პარიზული გრო-
 ტესკი“ და ზურდეს „პარიზული უხერხულობა-
 ლი“ გმირებთან ერთად ჩვენს გაზეთში ეს სერია
 მთელი სისრულით წარმოგვიდგენს ჩვენი ერის
 სახეს, რომელიც ამ ქვეყნად ყველაზე უფრო
 ანტილიბერალურად და დახვეწილად ითვლება“.
 სირველი ხერხი თვრამეტი ლითოგრაფიიდან იხ-
 სნებოდა ფურცლით „პატარა კლერკი“ (ანუ „ბე-
 დურა“). შემდეგ ამას მოჰყვა ხერხი ათი ლითო-
 გრაფიით „პარიზული ფლიბუსტიერები“ — პა-
 ტარა ესკიზი ხერხისა „რობერ მაკერი; ინგლი-
 სელი იუმორისტის, რობერტ სემიურის მიზა-
 ჯვით შექმნილი ხერხი „ნადირობა“ და „ორან-
 გუტანგი“. იგი ქმნის აგრეთვე იმდროისათვის
 მოდურ, ილუსტრირებულ ანბანს—კომიკურს,
 გროტესკულს, ხამხედროს, ეროვნული კოსტი-
 უმების, ხელოვნების, თეატრის, ცხოველთა სამ-
 ყაროს თემებზე. ხერხისათვის „ფიზიონომიური
 გალერეა“ დომიემ შეასრულა ოცდახუთი ფურ-
 ცელი, რომელთაგან დასამახსოვრებელია „ხამან-
 წკახ მოყვარული“ და „ნამდვილი მწვეელი“.

ფილიპონს აღარ ჰქონდა შესაძლებლობა თავისი
 მხატველობისათვის შეეძვეთა პოლიტიკური
 სიუჟეტი, ამიტომ მან შემოიღო ლითოგრაფიის
 ახალი ხერხების გამოქვეყნება — პუბლიკის
 ყოველმხრივ მოტყუება ძალამოკრებილ მეწარ-
 მეთა, ფინანსისტთა, კომერსანტთა — ერთი სი-
 ტყვით, საქმოსანთა მიერ. ნახატები ფილიპონმა
 შეუკვეთა დომიეს, წარწერები კი თვითონ შეა-

დგინა. ამ სერიებს („რობერ მაკერი“) დიდი წა-
 რმატება ხვდა წილად. ერთ-ერთ ფურცელზე
 ფილიპონს მიუწერია: „პატარა დომიე ქვეყნი
 სერიალი რობერ მაკერზე მშვენიერია... ეს არის
 ჩვენი ეპოქისათვის ნიშანდობლივი საყოველ-
 თაო თაღლითობის ნამდვილი მწიქანთა... მის
 ყველგან მოფუთფუთე — ვაჭარებში, მწიქანთა
 კაში, ადვოკატურაში, ფინანსებში, სწორედ ყვე-
 ლგან, ყველგან მოფუთფუთე თაღლითთა ზუს-
 ტი პორტრეტის ეს არამწადები ალბათ ძალიან
 ბრაზობენ თქვენზე, მაგრამ პატიოსან ადამიან-
 თა პატივისცემა თქვენს მხარეზეა... თქვენ, რა,
 ჭერ კიდევ არ მიგიღიათ საორდენო ჯვარი? აღ-
 მაშფოთებელია!“.

რობერ მაკერი ცბიერი, უსვინდისო, გაიძვირა,
 გამოცდილი თაღლითის კრებითი ხანა და იზა-
 დება ეკონომიკური კონიუნქტურის გარკვეულ
 მომენტში, ეს ის დროა, როცა ინდუსტრიულმა
 აღმავლობამ მოიცვა მთელი ევროპა, მოგვიანე-
 ბით რომ აშუშენ მრეწველობაში განვითარებულ
 ინგლისს. რობერ მაკერს ვხედავთ სხვადასხვა
 ამპლუაში — ხან მრეწველია, ხან სასოფლო-სა-
 მეურნეო აქციის მფლობელი; ხან ნოტარიუსია,
 ხანაც უურნალისტი; ხან რესტორატორია, ხან
 ბანკირი; ხან ბირჟის მაკლერია, ხან ადვოკატი;
 ხან საქორწინო ბიუროს აგენტია, ხან წიგნით
 მოვაჭრე; ხან კომივოიაჟორია, ხან არქიტექტო-
 რი. მისთვის ყველაფერი ემსახურება მოგების
 წყაროს—ვაჭრობა, არჩევნები, მიმდობი აქციო-
 ნერები, ხელოვნების მოყვარულნი და ექვიანი
 ავადმყოფები, ასევე სხვათა ნათესაური კავშირე-
 ბი, მაგნეტიზმი, სამრეწველო გაზეთები, დარეკ-
 ტორთა კარიერა, რომლის სახით ის ქადაგებს
 პოლიტიკურ და ეკონომიკურ პატიოსნებას, საქ-
 მით კი—შეუძლია კაპიტალის გატანა საზღვარგა-
 რეთ (ჭერ კიდევ მაშინ!). აქ წარმოდგენილია
 საფრანგეთის საზოგადოების ცხოვრების ყველა
 ასპექტი ივლისის მორნაჟისა და მისი შემდგომი
 რეჟიმის დროს. გრავიურთა სერია თავისი
 მთლიანობით იყო გახაოცარი, წარწერები კი,
 უმრავლეს შემთხვევაში ზუსტად რომ შეესატ-
 ყვისებოდა გამოსახულებას, ხელს უწყობდა მის
 არჩევულებრივ წარმატებას.

დომიემ ორმოცდაცამეტი ლითოგრაფია შექ-
 მნა ხერხისათვის „მეტყველი მონახაზები“, ასე-
 ვე ხერხები: „პარიზული ტიპები“, „ცოლქმრული
 წნეობა“ (80 ფურცელი), „პარიზის მღელვარე-
 ბა“ (50 ფურცელი), „მოხანავე“ (80 ფურცელი).
 1889 წლიდან დომიე ჩაეფლო თავის მონუმენ-
 ტურ „ადამიანურ კომედიაში“.

ლუი ფილიპემ, ისწრაფოდა რა ერთპიროვნუ-

ლი ხელისუფლებასაკენ, მკაცრი კანონების შემოღებით პოლიტიკური კარიკატურის მიმართ, მხატვრებს უბიძგა თავისი დროის ზნე-ჩვეულებების გამოსახვისაკენ, რაც გახდა მძლავრი რეალისტური მიმართულების საწინდარი სახვით ხელოვნებასა და ლიტერატურაშიაც კი. იმ დროისათვის მხატვარმა ამოწურა პოლიტიკური თემა — უკვე აღარაფერი ბქონდა დასამატებელი. ახლა მას იწიდავს უოველდღიური ცხოვრება, ქუჩის თეატრი. ახლა უკვე საბოლოოდ შეხმლებს იმის გამოხატვას, რაც აინტერესებს: ადამიანი და მისი ზნე-ჩვეულება ისეთი, როგორსაც ხედავს, როგორიც იყო და როგორიც არის.

გამოთქმა „ადამიანური კომედია“ ხშირად იხმარებოდა დომიეს შემოქმედების იმ ნაწილზე, რომელიც არ შეიცავდა პოლიტიკურ შარებს. 1842 წელს, მისი მეგობარი ონორე ბალზაკი იყენებს ამ სიტყვათა შერწყმას თავისი დამთავრებული რომანების გასაერთიანებლად. თავდაპირველად მათ საქმიანი ურთიერთობა ბქონდათ, როგორც „ქარიკატურის“ თანამშრომლებს. მაგრამ მათმა ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათმა და გემოვნებამ დაამტკიცა ისინი. ბალზაკი — დაუცხრომელი, ფულადი, ეგზალტირებული, ბენედიკტი, დიდი მტოცმეტი, მოგზაურობის, ფუფუნების, ქაღთა მოუფარული და, როგორც ცნობილია, არც ისე ჯანმრთელი, 1832 წელს გახდა რეალისტ-ლიტერატორისტი. დომიე კი თავისი ბუნებით მწიცი, თავშეკავებული, უფხო, შეუმჩნეველი, ძალზე უბრალოდ ჩაცმული, უოველთვის სადად მცხოვრები, ერთგული მეუღლე, გამორჩეული ჩინებული ჯანმრთელობით, სიცოცხლის ბოლომდე დარჩა რესპუბლიკელად.

როცა ბალზაკმა პირველად ნახა დომიე, მისი ლითოგრაფიები და სკულპტურული პორტრეტები, თქვა: „ამ უმაწვილში არის რაღაც მიქელანჯელოსებური“. ბალზაკმა იგრძნო დომიეს ნახატის ძალა, დინამიკა, პლასტიკა.

1840 წლიდან დომიე აახლებს ქანდაკებაზე მუშაობას, მაგრამ აქაც გამორიცხავს პოლიტიკურ თემას. დომიეს ახალი ქანდაკებანი ცნობილია საერთო სახელწოდებით „სტატუეტები“. მან შექმნა არაჩვეულებრივად მრავალფეროვანი გრაფიკული პერსონაჟი, სტატუეტი კი მხოლოდ ოცდაორი. ამასთანავე ეს სტატუეტები გამომწვარი თიხისაა, რის გამოც ძალზე გამძლეა. მასვე ეკუთვნის ხევადასხვა გამოცემები, მათ შორის ბალზაკის წიგნის ილუსტრაციებიც. წარმატებანი ფერწერაში უფრო მოკრძალებულია, მაგრამ 1826 წლიდან შეიმჩნევა წინსვლა. ნაგ. „ღამის სცენა“ და „ქუჩაზე“, (ხე, ზეთი) წარმოაჩენს დომიე-ფერმწერის დიდ ნიჭიერებას. ამ პერიოდსვე ეკუთვნის ლითოგრაფიის დიდი სერია: „მართმსაჯულებ-

ბის მსახურნი“, „პათოხანი ბურჟუეზი“, „ბინის დამქირავებელი და სახლის მეპატრონე“, „რაც გინდა, ხულო და გულო“. ამ სერიებში მან მოაღწია ფორმის, კომპოზიციის და ნაცრისფერის უველა გონის მართლმწიფე ელფერის მშვენიერ სიმსუბუქეს. დომიეს პირველი გამოცემის (1834 წ. ნაციონალური ბიბლიოთეკა) კატალოგის სტატიაში „შავ-თეთრი მანერის ორმოცდაათი წელი“ თან ლარანი წერდა: „... დომიეს ნახატი არაჩვეულებრივად წარმოაჩენს კონტურის სრულ სირთულეს. ფორმები თითქოს ქაღალდის ზედაპირის მიღმა ჩნდება და არსებობს. მსუყე, დენადი, მოქნილი ხაზი ემორჩილება ლაქას, ან უფრო ზუსტად, ლაქა და ხაზი ერთიანია (...) შავი ტონები — უველაზე ღრმა და ხვეწრდისებური, თეთრი — უველაზე ქათქათა და არაუანივით სქელი. მათ შორის კი ფაქიზი გამაა სქელი თუ კომპაქტური, აბრეშუმოვანი თუ ნაზი, მსუბუქი, შუქმფენი, ჭაეროვანი ნაცრისფერის ტონებისა. დომიეს უძნელესი ხერხების სახწაულობა ის, რომ ის არ იგრძნობა... დომიეს ვირტუოზულობა ინსტინქტურია, ერწუმის ფორმის დამსწრებელ და ფხიზელ გრძნობას...“

1838 წლის რევოლუციის გამოჩვევის შემდეგ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის დტოებითი მთავრობა. დომიეც იზიარებდა საუკველთიო სიხარულს ლუი ფილიპეს დამარცხების გამო. მიუხედავად მუშათა დიდი სიმმათეებისა, ხერიაში „წესიერი ბურჟუეზი“ მან ბრალი კი არ დასდო მათ უოველგვარ სიხაძაგლესა და დანაშაულობაში, არამედ გამოხატა ისინი ისეთები, როგორებიც სინამდველეში იყვნენ — უველა თავისი ნაკლით, მხატვრული უგემოვნობით, კონსერვატიზმით, სიმხდალით, მაგრამ უოველივე ამასთან ძალზე ღმობიერად, რბილად, როგორც ადამიანმა, რომელმაც იცის, რომ ასეთია ცხოვრება.

1850 წლიდან დომიე თავისი ლითოგრაფიებით ილაშქრებს იმპერატორის ხელისუფლების წინააღმდეგ სერიებით: „პარლამენტური იდილიები“, „ახალი ამბები“.

იძულებითი ემიგრაციის დრამა ძალზე აღელვებდა დომიეს და მიუძღვნა კიდეც ამ თემას „გაძველებული“. დომიეს პირველი და ერთადერთი სკულპტურული ავტოპორტრეტი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია. მართლაც და რა სიცოცხლეა, რა სტილის მაღალი ნათელი შუბლი, კეთილმოსურნე, ქვიანი სახე, გრუზათმითა და ფუშფულა წვერით შემოსილი ჭიშიანი თავი, ბრწყინვალედ გამოკვეთილი პირი, მაგრამ განსაკუთრებით გვანცვიფრებს მწერა: ქანდაკება „გვიყურებს“. მაშინ როცა ქანდაკებათა

უმრავლესობის თვალში მკვდარია, იმიტომაც წარსულში თვალს ღებავდნენ ან ძვირფასი ქვების ინკრუსტაციით ამკობდნენ. მწერა გამგმირავია, თქვენსა და პორტრეტს შორის დიდილოგი იმართება.

მეორე იმბერიის დროს შესრულებული ნამუშევრებიდან მნიშვნელოვანი იყო ადოლფ ტიერესადმი მიძღვნილი ლითოგრაფიები. ადოლფ ტიერე — ადვოკატი, ჟურნალისტი, ისტორიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე მსახიობი იყო, რომელიც სხვადასხვა ხელისუფლების დროს ხან ერთგულებას, ხან კი მოწინააღმდეგის როლს თამაშობდა პოლიტიკურ არენაზე. გარდა ამისა, იყო თავისი დროის ბურჟუაზიის ტიპური წარმომადგენელი, იმ კლასისა, რომელიც უოველთვის დომიეს ფანქრის მიზანში იყო ამოღებული. და ბოლოს, თვითონ მისი ფიზიკური იერსახე იწვევდა გაშარებებს. მომცრო ტანი, გაბერილი სხეული, მერხერი თმა, უტევდა რა ტიერეს, რომელიც ხშირად იყო თავის მოწინააღმდეგეთა ზიზღის ობიექტი, დომიე არასოდეს არ ბრაზობდა, მაგრამ იჩენდა მისთვის დამახასიათებელ შინაგან ზომიერებასა და თავდაქვრას. მართლმსაჭულების მსახურთ მიუძღვნა მშვენიერი ფურცლები „ადვოკატები და კლიენტები“. ერთ-ერთზე გამოსახულია ადვოკატთა დიდილოგი. წარწერა ასეთია: „არ დაგავიწყდეთ შემოღაცება, მერე მეც შეგესიტყვებით და მაშინ ჩვენს კლიენტებს მოუწევთ კიდევ ორი გამოსვლის ანაზღაურება“. პერსონაჟთა სახე გამობატავს ურთიერთგაგებას და კმაყოფილებას.

საინტერესოა ექსპრესიული ნახატის კიდევ ერთი სერია: „მუსიკალური მონახაზები“ — მიძღვნილი იმ დროისათვის მიღებული მუსიკალური ხალამოებისადმი, რომლებზეც მოყვარული-სტუმრები ან მასპინძელთა ბავშვები უკრავდნენ მუსიკალურ საკრავებზე. მისი თემაა გაღაღებული ბურჟუა-მამის სიამაყე. აქ არის უკიდურესად მეშჩანური თვითკმაყოფილებაც, მემკვიდრეობის ხარბი მძიებლების ფარისევლობაც, მაღალი საზოგადოების ხალამოებისათვის დამახასიათებელი მოწყენილობაც, მასპინძლის მუსიკოს ქალიშვილზე აშკარად შეყვარებული ყმაწვილის მღუშარე აღტაცებაც — სახის გამომეტყველება განსაცვიფრებლად გულმართალია.

სერია „ახალი ამბები“ — ნამდვილი სახვითი რეპორტაჟია 1850-1872 წლების ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებზე. აქ გამოიყოფა მთავარი თემა: ამინდი, ტრანსპორტი, თეატრი, სახვითი ხელოვნება, პოლიტიკა. პირველი და ბოლო

თემა მხოლოდ ლითოგრაფიითაა წარმოდგენილი; დანარჩენი სამი კი — ფერწერითა და ნახატით. ამ ფურცელთა სილამაზის შეგრძობა, მათი შეყვარება შეიძლება მხოლოდ აუჩქარებელი, გულისხმიერი დათვადიერებით ამინდის ცვალებადობაა ქუჩის სინამდვილის შემადგენელი ნაწილი და მთავარი წყარო დროიეს შთაგონებისა. სრულიად ნათელია, რომ ამინდზეა დამოკიდებული — მთელი გარეგნული დეკორი — შენობათა და ხეთა მკაცრი იერიც კი. რაც შეეხება გამვლელებს, ისინი იცვლებიან წელიწადის დროთა მონაცვლეობის მიხედვით. წვიმა, თოვლი, ქარი, სიცხე — როგორ ვართ ამინდზე დამოკიდებული? — გვიცვლის პოზებს, უფსტებს, ტანსაცმელს, კომპოზიციის რა სილამაზეა, რა არაჩვეულებრივი განათება და ფერთა გადაწყვეტაა. ხერიებს ხერიები მოხუცება: „პარიზული მონახაზები“, „საზაფხულო მონახაზები“ და ა. შ.

დომიეს შემოქმედებაში ხშირად ფიგურირებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის თემა. მას უოველთვის აინტერესებდა ერთმანეთისათვის უცნობი ადამიანების ურთიერთშეზობლობა გადატვირთულ სამგზავრო ვაგონებში. სახეთა, პოზათა გამოსახვის რა სიუხვეა! ჩვენ სრული წარმოდგენა გვექმნება, როგორ მგზავრობდნენ მაშინ პირველი, მეორე და მესამე კლასის ვაგონებით, დიდიჟანსებით, ომნიბუსებით, ფიაკრებით.

არაჩვეულებრივად მიმზიდველია მატარებლის ვაგონის კუპის სცენა: ჩასუქებული ბურჟუა სიგარით ტკბება და თამბაქოს ბოლში ახვევს გამზდარ მგზავრ ქალს, რომელიც ზის დაძაბულად, სავსებით გაოგნებული კვამლითაც და თანამგზავრის თავხედობითაც. ეს ფურცელი შედის ცნობილ სერიაში „ბულვარი“. განსაკუთრებული თავისუფლებით გამოირჩევა „მესამე კლასის ვაგონში“ და „პირველი კლასის ვაგონში“. ნახატები შესრულებულია მელნით, ნახშირისა და აკვარელის გამოყენებით. „პირველი კლასის ვაგონში“ — უზრუნველი სახეები, რომლებიც საგულდაგულოდ მალავენ თავის განკერძობებს მოჩვენებითი ჩაფიქრებით, კითხვისადმი ინტერესით, პეიზაჟის უურებით. ჩვეული ოსტატობით გადმოსცემს მხატვარი ამ სცენის განწყობილებას.

დომიეს უოველთვის აინტერესებდა თეატრი. თავისი ნახატებით მას შეეყვარათ სცენაზეც, კულისებშიც, მაყურებელთა დარბაზშიც, საორკესტრო ნაწილშიც, სუფლიორის ჭიხურშიც. აქ არიან მომღერლებიც, მუსიკოსებიც და, რა თქმა უნდა, მაყურებლებიც — ისინი იცინიან და ტირიან, თრთიან და თავს აკანტურებენ. ჩვენ ვიმყოფებით მსახიობთა რეპეტიციებზე

რეჟისორთან, თეატრის დირექტორთან, ვნახავთ „კომედი ფრანსეზსაც“ და „ვოდველიის“ წარმოდგენებსაც, უბრალო სახალხო თეატრებსაც, ოინბაზებსაც და საბაზრო ბალაგანსაც. მხატვარი გვერდს არ უვლის ხულისშემძვრელ, ნაღვლიან ქუჩის მომღერლებსაც. არაფერი რჩება შეუმჩინებელი — არც ფიზიონომია, არც ყესტი და არც წამოძახილი.

არაჩვეულებრივად საინტერესოა მოლიერის სიუჟეტზე შექმნილი „სკაპენი და სილივესტრი“ — რამაც დომიეს მისცა საშუალება შეექმნა მსახიობთა მეტყველი სახეები. თეატრისადმი მიძღვნილ ნაწარმოებთა შორის უნიშვნელოვანესი შედეგია „პიერო უკრავს მანდოლინას“. ეს არის მაგალითი იმ არაჩვეულებრივი თავისუფლებისა ფერწერაში, რომელსაც მთელი სიცოცხლე მიესწრაფოდა დომიე და რომელსაც ვერ აფასებდნენ მისი თანამედროვენი: მან ბევრად გაუსწრო მათ. ისინი ვერ ჩახვდნენ, რომ ფუნჯის დარტყმით მოხაზული უწესრიგო, გრიგალისებური ლენტები პიეროს ირგვლივ, ფერადოვანი ხაზების გადახლართვა, სინამდვილეში ნახატს ანიჭებს ფორმის ხისრულეს, პიეროს სახე—სიმღერის განსაზიერებაა: ის ჩაღრმავებულია საკუთარ თავში, სული მთლიანად გაიხსნა სიმღერაში. როგორი დიდი ხელოვნება უნდა ამ მწერის გადმოცემას! პიერი მოხაზულია ფუნჯის ერთი მონასმით, დაჭიმული უბები, გვერდზე გადახრილი თავი—უვლელო ფერი მარმონიულადაა შერწყმული სიმღერასთან, მაგრამ ის თითქოს ისმის. ძნელია დაჭერება, რომ ეს სურათი შექმნილია ერთი, ორი ან შეიძლება სამი წლით ადრე მხატვართა გამოფენამდე, რომელთაც შემდეგ იმპრესიონისტებს უწოდებენ.

მართლმსაჯულების მსახურთ ბევრი საერთო აქვთ მსახიობებთან: ადვოკატი— მსახიობიცაა და ხშირად ძალზე ნიჭიერი მსახიობი. უმეტესეულია, დომიე მათში ხედავდა მსახიობებს, რომლებიც თამაშობენ კომედიას ან ტრაგედიას: თითოეული მათგანი უფრო მეტს წარუნავს თავის როლზე, ვიდრე კლიენტის ინტერესებზე. დომიეს შეეძლო მსგავსი დრამატული სიტუაციები გარდაექმნა კომედიის სცენად. მაგ. სერიიდან „მართლმსაჯულების მსახურნი“: სასამართლოს დარბაზიდან გამოდიან სამნი — შავებში ჩაცმულნი: ადვოკატი და ბავშვიანი ქალი. ქალი და ბავშვი დამწუხრებულნი არიან, ისინი უხედურებას მოუტეხავს, მოდიან თავჩაქინდრულნი: ქალი ტირის. ადვოკატი პირიქით — შემართულია. თავი უკან გადაუგდია, თვალები მიუღულავს, სახეზე აწერია უკიდურესი თვითკმაყოფილება, ტექსტი კი ასე უღერს: „მართალია, თქვენ წააგეთ პროცესი, მაგრამ სამაგიეროდ ბედნიერება გხვდათ წილად მო-

გესმინათ ჩემი სიტყვა!“ გვაოცებს ნახატის და ტექსტის ერთიანობა. სასამართლო განაჩენით დაიჩაგრნენ ქალი და ბავშვი. ეს საშინელება, ტრაგიკულია, მაგრამ დომიეს მიზანი სხვაა: მან გადაღაბა ამ სამეულის ტრაგიკული ხასიათი და კომედიური ხერხების მსახურად ადვოკატი. თითქოს ურუთარდობა უნდა გვხვდეს თითოეულს აღელვებს მხოლოდ საკუთარი ბედი. ის, რაც ერთისათვის დრამაა, მეორესათვის — სიამოვნებაა: ხომ კარგად გაუძღვა თავის საქმეს, უოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ფიქრობს. „კარგად ვითამაშე ჩემი როლი?“ — „დიახ“, — უპასუხებს თვითონვე. — „კლიენტის ინტერესები?“ — „შე რა შესაქმნება!“ — ასეთია დომიეს ამ პერსონაჟის ლოგიკა. სიტუაციის დრამატიზმის გამოყენებით დომიე აქ განსაცვიფრებელ სატირულ უღერადობას აღწევს. საყურადღებოა თვით კომპოზიციაც, თითქოს სამი ფიგურა ერთ კონადაა შეკრული, სამოსის ნაოჭები კი — ღეროებია. კომპოზიციის გვირგვინია თეთრ ფონზე გამოკვეთილი ადვოკატის თავი. აღტაცებას გვგვრის მისი ყესტი—უბოზე თითების ნებიერი შეხება. ფეხები? რა სიმტკიცეს მატებენ ისინი პერსონაჟს!

მხატვარი ადვოკატებს წარმოგვიდგენს ათასნაირი სახით: ხან გაბღენძილებს, ხან ოხუნჯებს, ხან განმართლებულთ, ხან კი კლიენტებთან ურთიერთობისას, ხან მომღიმართ სარფიანი საქმის მოგებისას. ზოგიერთ ნახატზე განსაკუთრებული როლი აქვთ დაკისრებული ხელებს: გაშლილი და ძირს დაშვებული ხელები, იდაყვში მოხრილი ხელები, ხელისგული სახის გასწვრივ, საჩვენებელი და დიდი თითი შეერთებული, თითქოს ებება უხილავ საგანს, რომელიმე უმნიშვნელო ფაქტის ნიშნად.

დომიემ თავის ლითოგრაფიებში ძალიან ადრე დაიწყო ადამიანთა რეაქციის გამოხატვა ხელოვნების ნაწარმოებზე. დომიეს ფერწერის მწვერვალია „ესტამპების მოყვარული“. კაცი დახრილია გრავიურების საქალაღღეზე იმ იმედით, რომ იპოვის საყვარელ ნაწარმოებებს, პოზა მიგვანიშნებს, რომ ეს მისთვის ჩვეული ძიებაა. ღერის შარფი და ჯიბიდან ამოჩრილი თეთრი ქალაღღის შეკვრა რამდენადმე აცოცხლებს მისი კონსტიუმის სიმკაცრეს, ზურგიდან დაცემული სინათლეს ფონზე. განათებულია ესტამპების ნაწილიც, დანარჩენი კი ფარდულის სიღრმეშია ბნელით მოცული. მამაკაცის ტკობას საყვარელი ხელოვნების ნიმუშებით მხატვარი გვაგრძნობინებს რამდენიმე უუსტი ხაზის მონასმით. კიდევ ერთი თემა, რომელიც ძალზე აღელვებდა დომიეს, იყო მხატვრის განცდათა დრამატიზმი თავისი ქმნილებების ხილვისას. სულ სხვა ეპოქის მხატვარი პიკასოც

იყო ამ თემის ტყვეობაში, მაგრამ მას კომპო-
 ზიციასი შემოჰყავდა მოდელის გამოხახულება, რასაც დომიე არასოდეს არ მიმართავდა. გამო-
 ნაკლის წარმოადგენს მხოლოდ ერთი უკანა-
 სკნელთაგანი — ამაღლვებელი ტილო — „მხა-
 ტვრის სახელოსნო“. ამ კომპოზიციაში, ეტ-
 ყობა, მთავარი პერსონაჟი უფრო მეტად გატა-
 ცებუდია მომხაზვლელი მოდელით, ვიდრე სუ-
 რათით, დანარჩენ შემთხვევებში კი დომიეს
 სურათებში მოდელი არ არის: თვითონ ხომ
 არასოდეს სარგებლობდა მოდელით. ამის მა-
 გალითია „მხატვარი თავის ნახატთან“, და რო-
 ცა ის გამოხატავს თავის ტილოსთან მარტოდ
 დარჩენილ მხატვრის ფიგურას, ეს საკუთარი
 პრობლემებით მოგვრილი მარტოობის გამომ-
 ხატველი სახეა. სურათში „მხატვარი თავის ნა-
 ხატთან“ ოსტატი გატაცებით მუშაობს. ზემო-
 დან დაცემული სინათლე მის ფიგურას გა-
 მოკვეთავს კაშკაშა კონტურით.

მხატვრების გარდა დომიე მეგობრობდა პო-
 ეტებზე და მწერლებთანაც. ამან მასზე დიდი
 გავლენა მოახდინა. ხერვანტესის გმირმა გაი-
 ტაცა დომიე. მხატვრებს შორის ის პირველი
 არ დაინტერესებულა ხერვანტესით. დეკანოზა,
 ტონი უოანომ, თეოდორ რუსომ, დობინიმ
 სხვადასხვა დროს გამოფინეს „დონ კიხოსის“
 ილუსტრაციები. დომიე თვითონაც არ იყო გუ-
 ლგრილი ამ ნაწარმოების მიმართ და აი, 1847-
 1848 წლებში დახატა „ხის ქვეშ მჭდომი სა-
 ნჩო პანსა“, ხოლო 1850 წელს სალონისათვის
 დონ კიხოსის დიდი ფიგურა. ცხენი აქ არ არის
 ისეთი გამბდარი, როგორც შემდგომ ტილო-
 ებზეა. 1864-1865 წლებში დომიე ქმნის მთა-
 ვარ სურათს — „დონ კიხოსი და სანჩო პა-
 ნსა“. შორიზონტთან განათებულ ცის ფონზე
 გამოკვეთილია შორს მიმავალი გამბდარი და
 უღაზათო იდაღოს სილუეტი. მას თან ახლავს
 სანჩო პანსა — ის წინა პლანზეა, ჩასუქებული,
 ზორზობი, მთვლემარე, სახედარზე შემომჭდა-
 რი. ერთი წლის შემდეგ ქმნის „დონ კიხოსი
 და სანჩო პანსა ხის ქვეშ“. ნახატში გადმოცე-
 მულია პერსონაჟთა ძლიერი კონტრასტი. ჩა-
 ხუქებულ სანჩოს მშვიდად სძინავს თავქვეშ
 ამოდებული უნაგირზე. დონ კიხოსი ზის ხეს
 მიყრდნობილი, ჩაფხუტიანი თავი შეოცნებედ
 გადაუგდია. თითქოს მის წარმოსახვაში ჩაივ-
 ლის წარსულის ბრძოლების ზმანება. როსინა-
 ნტი კი იქვე სახედართან ერთად ბალახობს
 მდელოზე. სანჩოს სძინავს: დასვენების გარე-
 შე არ შეიძლება, უველაზე კარგი დასვენება
 კი ძილია, აი, რას უკარნახებს პანსას ხალხუ-
 რი სიბრძნე და საკუთარი ჯანსაღი აზრი.
 მწუხარე სახის რაინდი თავისი ამაღლებული
 შემოღობის ტყვეობაშია, მისთვის დასვენე-
 ბა ძილი კი არა, მოქმედებისათვის მზადებაა:
 შეუსვენებლივ უნდა იბრძოდოს, რათა დუ-

ლსინეა აღიარონ სამყაროს უმშვენიერეს მან-
 დილონად, და დონ კიხოსი ფურცლებში იძი-
 რება... ოცდათექვსმეტი ნახატი და აკვარელი
 მიუძღვნა დომიემ დონ კიხოსს.

დომიემ შექმნა რამდენიმე [ხელნაწილი] და-
 ფონტენის იგავებზე. შინაგანად [ხელნაწილი] ეტე-
 და „ადამიანური კომედის“ სცენების შექმნას
 იმპერიის დიქტატორული რეჟიმის დროს. ამა-
 ვე დროს მის ფუნქს არ გამოპარვია დედაქა-
 ლაქის ხელახლა დაგეგმვა, მუშათა კვარტალებ-
 ბის ღანგრევა.

ახლოვდებოდა 1871 წელი. ლითოგრაფია
 „ისტორიის ფურცლები“ გამოხატავს იმპე-
 რიის სიმბოლოს — არწივს, რომელიც ებრძ-
 ვის ვიქტორ ბიუგოს წიგნს „შურისძიებას“. მათ
 როცა მრისხანე ციდან ჩამოვარდნილი
 მენი აპობს დედამიწას. იმპერიის ხელისუფ-
 ალთა მოწინააღმდეგე ვიქტორ ბიუგო, რისთ-
 ვისაც განდევნეს ქვეყნიდან, დიდად აფახებდა
 ამ ლითოგრაფიას.

1871 წლის სიმბოლოა „შემზარავი მემკვიდ-
 რეობა“. შავით მოსილ ქალს თვალები დაუ-
 ხუჭავს საშინელების შემყურეს — მის წინაა
 შორიზონტამდე დაფარული მიწა 1870 წლის
 მსხვერპლთა სხეულებით. გვამებით მოფენილი
 მიწის იერსახე პირველი არ არის დომიეს შე-
 მოქმედებაში და გამოხატავს თავის დამოკი-
 დებულებას 60-70-იანი წლების ევროპული
 ომებისადმი.

დაბოლოს დავასახელოთ რამდენიმე გახალისი
 ლითოგრაფია „საფრანგეთი-პრომეთე“ და
 არწივი-ფასკუნჯი“ — ნახევრადშიშველი ქა-
 ლის სახით საფრანგეთი მიჯაქვულია კლდეზე,
 არწივი კი გააფთრებით უკორტნის ლეიძლს.
 აქაც ისეთივე დაძაბულობა და ენერჯიაა, რო-
 გორც სხვა მის ნამუშევრებში, ემოციური და-
 ტვირთვით კი მხოლოდ „ტრანსნონენის ქუჩა“
 თუ შეედრება, ლითოგრაფია — „თუ
 მუშები იბრძვიან, შენობას შეუძლია აღსდგეს
 ნანგრევებიდან?“ — არა მარტო საუკეთესო
 ნამუშევარია, არამედ მხატვრის უკანასკნელი
 მოწოდება, რომელმაც ღრმად განიცადა სა-
 მშობლოს ტანჯვა: შინა ომების უბედურება,
 ნაჩქარევად განაჩენის გამოტანა, მძევალთა
 დახვრეტა, შიმშილი, ძარცვა, შიში, ხელყოფა,
 ადამიანის ღირსების შემლახავი ქვეყნა გრძნობე-
 ბი. ბებერი ლომი უკვე სიბრძავის პირასაა,
 მხედველონა ყრველდღიურად უსუსტდება, მა-
 გრამ ზედსუფალთ კვლავ აიძულებს მოისმი-
 ნონ მისი ბრძდვინვა. ამის შემდეგ შეიქმნა
 კიდევ ოცდაათამდე ლითოგრაფია, რომლებ-
 შიც სრულიად არ იგრძნობა მხატვრის დაღ-
 ლილობა და მხედველობის ტრაგიკული დასუ-
 სტება.

ეს ნამუშევრები ადასტურებენ, რომ დომიე

ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი იდეალებსა, რესპუბლიკური შრწამსისა, ადამიანებისადმი თავისი გულმზურვალე სიყვარულისა. ეს თვისებები შეადგენდა მის მთავარ არსს და მას იგი ყოველთვის წარმოაჩენდა ყოველდღიურ ცხოვრებაში; ყოველთვის, მაგრამ ხაზგაუსმელად.

1878 წლის იანვარში, მეგობრების დიდი მოწოდებით, როგორც იქნა გამოცხადდა დომიეს გამოფენა, რომელსაც თვითონ არ ესწრებოდა, რადგან გაუკეთეს თვალის ოპერაცია. ვერნისაჟმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

1879 წლის 10 თებერვალს დომიე გარდაიცვალა. დაკრძალულია პერ-ლაშეზის სასაფლაოზე.

სამი რევოლუციის თანამედროვე, პოლიტი-

კური კარიკატურის უბადლო ოსტატი, მრისხანე ნაწარმოები-პამფლეტების ავტორი, მონარქიის, ბურჟუაზიული სახელმწიფო წყობის, სოციალური უხამართლობის, მილიტარიზმის მამხილებელი დომიე ყოველდღიურ ყოველდღიურ ცხოვრებაში იყო ყოველდღიური ცხოვრების ეპოქის ყოფისა და ზნეობის, უბრალო ადამიანთა ცხოვრების მიმართაც. ის იყო არა ცალკეული პიროვნებების გამომსახველი, არამედ ა. ნ. ბენუას თქმით „...ადამიანთა მთელი მოდგმისა... აი, საიდან მოდის მისი ზოგადსაკაცობრიო (და არა მარტო ეროვნული) მნიშვნელობა; აი, საიდანაა მისი სიღრმე — მიუხედავად ფორმის მთელი „ონუნჯობისა“, რითაც ის გამოხატავდა...“

«САУНДЖЕ»


ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ

На грузинском языке

1986 № 6


СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ



ლაშინი. სატორები მისლავან ნაძვებს

6150/8



ლ. მინია. ბაზრიდან დაბრუნება.

76132